

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებელი კრებული

ნომრი II



COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

გამოცემა დაფინანსებულია
ევროპის საბჭოს მიერ

**Selected Judgments of the European Court of Human Rights (in Georgian), 2004
Volume II**

This book was published with the financial support of the Council of Europe

გაფორმება და კომპიუტერული უზრუნველყოფა – შპს „პეტიტი“

ტექსტის თარგმანი – ლაშა ჭელიძე

თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით და
მასზე პასუხს აგებს მთარგმნელი

ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში

ერეკლე II-ის შესახვევი №7, თბილისი, 0105,
ტელ.: 988977/989560; ფაქსი: 989657;
ელ-ფოსტა: information.office@coe.ge
ვებ-გვერდი: www.coe.ge

ევროპის საბჭო, 2004 წლის ოქტომბერი

სარჩევნი

ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ.....	5
Engel and others v. the Netherlands	
ნოვიცკა პოლონეთის წინააღმდეგ.....	79
Nowicka v. Poland	
მინელი შვეიცარიის წინააღმდეგ.....	99
Minelli v. Switzerland	
რინგაიზენი ავსტრიის წინააღმდეგ.....	127
Ringeisen v. Austria	
სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ.....	189
Selmouni v. France	
სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.....	237
Silver and others v. the United Kingdom	
ვან დროგენბროეკი ბელგიის წინააღმდეგ.....	289
Van Droogenbroeck v. Belgium	
ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ.....	325
Winterwerp v. the Netherlands	

ენგელი და სხვები
ნიდერლანდების წინააღმდეგ

Engel and others v. the Netherlands

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“
(*Engel and others v. the Netherlands*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა გადაწყვეტილების მისაღებად პლენარულ სხდომაზე სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლო შემდეგი მოსამართლეებისაგან შედგებოდა:

ქ-ნი პ. მოსლერი, პრეზიდენტი,
ბ-ნი ა. ვერდროსი,
ბ-ნი მ. ზეკია,
ბ-ნი ჯ. კრემონა,
ბ-ნი გ. ვიარდა,
ბ-ნი პ. ოდონოგუე,
ქ-ნი პ. პედერსენი,
ბ-ნი თ. ვილიალმსონი
ბ-ნი ს. პეტრენი,
ბ-ნი ა. ბოზერი,
ბ-ნი განშოფ ვან დერ მეერში,
ქ-ნი დ. ბინდშელდერ-რობერტი
ბ-ნი ევრიგენისი,

აგრეთვე რეგისტრატორი – ბ-ნი მ.-ა. ეისენი და რეგისტრატორის მოადგილე – ბ-ნი პ. პეტცოლდი.

იმსჯელა რა განმარტოებით 1975 წლის 30 და 31 ოქტომბერს, 1976 წლის 20-22 იანვარსა და 26-30 აპრილს,

1976 წლის 30 აპრილს სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

1. ენგელისა და სხვების საქმე სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“). საქმეს საფუძვლად დაედო 1971 წელს ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ ნიდერლანდების მოქალაქეების – კორნელის ჯ. მ. ენგელის, პეტერ ვან დერ ვიელის, გერიტ ჯან დე ვიტის, იოჰანეს კ. დონასა და უილემ ა. კ. შულის მიერ შეტანილი ხუთი განაცხადი.

2. როგორც კომისიის თხოვნა, რომელსაც თან ერთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 31-ე მუხლით გათვალისწინებული მოხსენება, ისე მთავრობის განცხადება, რომელიც მიუთითებდა 48-ე მუხლზე, შეტანილი იქნა სასამართლოს რეგისტრატურაში სამი თვის ვადაში, რომელიც დადგენილია 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით. თხოვნა შეტანილი იქნა 1974 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო განცხადება – 17 დეკემბერს. ისინი მიუთითებდნენ 44-ე და 48-ე მუხლებზე და დეკლარაციაზე, რომლითაც ნიდერლანდების სამეფომ აღიარა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (46-ე მუხლი), და მიზნად ისახავდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხე მთავრობის მიერ მე-5, მე-6, მე-10, მე-11, მე-14, მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.

3. 1974 წლის 15 ოქტომბერს სასამართლოს პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით ჩაატარა კენჭისყრა. შვიდიდან ხუთი მოსამართლე მონეული იქნა პალატის წევრებად; ბ-ნი გ. ჯ. ვიარდა, მოსამართლე ნიდერლანდების მხრიდან, და ბ-ნი პ. მოსლერი, სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი, იყვნენ *ex officio* წევრები კონვენციის 43-ე მუხლისა და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტის შესაბამისად. ხუთი დასახელებული მოსამართლე იყო ბ-ნი ა. ვერდროსი, ბ-ნი მ. ზეკია, ბ-ნი პ. ოდონოგუ, ბ-ნი თ. ვილიამსონი და ბ-ნი რ. რისდალი (კონვენციის 43-ე მუხლი *in fine* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

ბ-ნი მოსლერი გახდა პალატის პრეზიდენტი რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. -

4. პალატის პრეზიდენტმა რეგისტრატორის მეშვეობით გამოარკვია მთავრობის წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატების მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით. 1874 წლის 31 ოქტომბრის ბრძანების შესაბამისად, მან გადაწყვიტა, რომ მთავრობას უნდა წარმოედგინა მიმოხილვა დადგენილ ვადაში, რომელიც 1975 წლის 14 თებერვალს იწურებოდა, და რომ დელეგატებს უნდა წარმოედგინათ საპასუხო მიმოხილვა

მთავრობის მიმოხილვის მიღებიდან ორი თვის ვადაში. 1975 წლის 22 იანვარს პალატის პრეზიდენტმა 1 აპრილამდე გააგრძელა მთავრობისათვის მიცემული ვადა.

მთავრობის მიმოხილვები რეგისტრატურამ 1975 წლის 1 აპრილს მიიღო, ხოლო დელეგატებისა – იმავე წლის 30 მაისს.

მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატებთან რეგისტრატორის მეშვეობით მოთათბირების შემდეგ პრეზიდენტმა 1975 წლის 30 ივნისის ბრძანების შესაბამისად გადაწყვიტა, ზეპირი მოსმენა დაენიშნა 28 ოქტომბერს.

6. სხდომაზე, რომელიც ჩატარდა განმარტოებით 1975 წლის 1 ოქტომბერს სტრასბურგში, პალატამ გადაწყვიტა, რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვა იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ იმის გათვალისწინებით, რომ „განსახილველი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციის ... განმარტებაზე“. ამავე დროს, მან მხედველობაში მიიღო კომისიის დელეგატების განზრახვა, რომ ზეპირი მოსმენის დროს მიეღოთ ბ-ნი ვან დე შანსის დახმარება, რომელმაც წარმოადგინა განმცხადებლები კომისიის წინაშე; მან აგრეთვე ნება მისცა ბ-ნ ვან დერ შანსს, ელაპარაკა პოლანდიურ ენაზე (რეგლამენტის 29-ე მუხლი *in fine* და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

7. 1975 წლის 27 ოქტომბერს სასამართლომ გამართა მოსამზადებელი შეხვედრა ზეპირი ეტაპის პროცედურის განსახილველად. ამ შეხვედრაზე მან შეადგინა თხოვნებისა და კითხვების ორი ფურცელი, რომლებიც გადაეცათ სასამართლოს წინაშე გამოსაცხადებელ პირებს. დოკუმენტები კომისიამ იმავე დღეს წარადგინა, ხოლო მთავრობამ – 1975 წლის 21 ნოემბერს.

8. ზეპირი მოსმენა ჩატარდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1975 წლის 28 და 29 ოქტომბერს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ბ-ნი კ. ვ. ვან სანტენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩევლის მოადგილე, წარმომადგენელი;

ბ-ნი კ. ვ. ვან ბეტზელერ ვან ასპერენი, ევროპის საბჭოში ნიდერლანდების მუდმივი წარმომადგენელი, შემცვლელი წარმომადგენელი;

ბ-ნი ე. დრუგლევერ ფორტუინი, მთავრობის ადვოკატი,

ბ-ნი რ. ჯ. აკერმანი, თავდაცვის სამინისტროს მოხელე,

ბ-ნი ვ. ბრუჟკელარი, იუსტიციის მინისტრის მოხელე,

ბ-ნი ჯ. ჯ. ე. შუტე, იუსტიციის სამინისტროს მოხელე,

ბ-ნი ა. დ. ბელინფანტი, ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი, მრჩეველები;

კომისიის სახელით:

ბ-ნი ჯ. ე. ფასეტი, მთავარი დელეგატი,

ბ-ნი ფ. ერმაკორა, დელეგატი,

ბ-ნი ე. ვან დერ შანსი, რომელმაც განმცხადებლები წარმოადგინა კომისიის წინაშე, ეხმარებოდა დელეგატებს რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად.

სასამართლომ მოუსმინა ბ-ნ ფასეტს, ბ-ნ ერმაკორასა და ბ-ნ ვან დერ შანსს კომისიის სახელით და ბ-ნ ვან სანტენს, ბ-ნ დროგლევერ ფორტუინსა და ბ-ნ ბელინფანტეს მთავრობის სახელით, მოუსმინა, აგრეთვე, მათ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე.

9. 30 ოქტომბერს კომისიამ წარმოადგინა სხვადასხვა დოკუმენტი, რომლებიც მიუთითებს მისმა წარმომადგენლებმა ზეპირი მოსმენის დროს.

10. სასამართლოს ინსტრუქციების შესაბამისად, რეგისტრატორმა სთხოვა კომისიას 1975 წლის 3 და 13 ნოემბერს, წარმოედგინა მისთვის დეტალები საქმის კონკრეტულ საკითხზე, რაც წარმოდგენილი იქნა 4 და 14 ნოემბერს.

ფაქტები

11. საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

12. კომისიის წინაშე განაცხადის შეტანის მომენტში ყველა განმცხადებელი იყო წვევამდელი ჯარისკაცი, რომლებიც მსახურობდნენ ნიდერლანდების შეიარაღებულ ძალებში და ჰქონდათ სხვადასხვა თადარიგის ნოდება. ცალკეულ შემთხვევებში მათ შეეფარდათ სხვადასხვა სასჯელი თავიანთი ნაწილების მეთაურების მიერ სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევებისათვის. განმცხადებლებმა საჩივრებით მიმართეს საჩივრების განმხილველ ოფიცერს (*beklagmeerdere*), ხოლო საბოლოოდ – უზენაეს სამხედრო სასამართლოს (*Hoog Militair Gerechtshof*), რომელმაც არსებითად დაადასტურა გასაჩივრებული გადაწყვეტილებები, მაგრამ ორ შემთხვევაში შეამცირა დაკისრებული სასჯელები.

ნიდერლანდების სამხედრო დისციპლინური კანონმდებლობის სისტემა

13. ნიდერლანდების ჯარის შესახებ დისციპლინური კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენებოდა წინამდებარე საქმეში ღონისძიებების გასაჩივრების დროს, ჩამოყალიბებული იყო 1903 წლის 27 აპრილის კანონში სამხედრო დისციპლინის შესახებ (*Wet op de Krijgstucht*, შემდგომში „1903 წლის კანონი“), 1922 წლის 31 ივლისის სამხედრო დისციპლინის რეგლამენტში (*Reglement betreffende de Krijgstucht*), 1903 წლის 27 აპრილის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსში (*Wetboek van Militair Strafrecht*) და 1964 წლის 9 იანვრის ჯარისა და საჰაერო ძალების საპროცესო კოდექსში (*Rechtspleging bij de Land-en Lichtmacht*).

კანონმდებლობის აღნიშნული სისტემა წლების მანძილზე ვითარდებოდა. კერძოდ, წინამდებარე საქმეზე გამოყენებული 1903 წლის კანონის მთელი რიგი დებულებებისა მოგვიანებით გაუქმდა ან შეიცვალა 1974 წლის 12 სექტემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 1974 წლის 1 ნოემბრიდან.

14. ნიდერლანდებში დისციპლინურ კანონმდებლობასთან ერთად არსებობს სამხედრო სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომლის თანახმად სამართალწარმოება პირველი ინსტანციით ხორციელდება სამხედრო (*Krijgsraad*) სასამართლოში, შემდეგ კი, თუ მიზანშეინილია, უზენაეს სამხედრო სასამართლოში აპელაციის წესით.

ქვემოთ მოყვანილი მოხსენება ეხება მხოლოდ სამხედრო დისციპლინურ კანონმდებლობას, რომელიც, სამხედრო სისხლის სამართლის მსგავსად, თანაბრად გამოიყენება როგორც წვევამდელი სამხედრო მოსამსახურეების, რა კატეგორიაშიც შედიოდნენ განმცხადებლები, ისე მოხალისეების მიმართ.

სამხედრო დისციპლინური სამართალდარღვევები

15. სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები 1903 წლის კანონის მე-2 მუხლში განმარტებულია, როგორც

„1. ყველა ის ქმედება, რომელიც არ არის მოცემული არც ერთ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, და ეწინააღმდეგება ნებისმიერ სამსახურებრივ ბრძანებას ან დადგენილებას ან შეუსაბამო სამხედრო დისციპლინასა და წესრიგთან;

2. ისეთი სისხლისსამართლებრივი ქმედებები, რომლებიც ხვდება სამხედრო მოსამართლის იურისდიქციაში, რამდენადაც ისინი არ შეასაბამება სამხედრო დისციპლინასა და წესრიგს, მაგრამ ამავე დროს ისეთი უმნიშ-

ვნელო ხასიათისაა, რომ საკითხი შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს სხვა სამართალწარმოების წესით, გარდა სისხლის სამართალწარმოებისა."

1922 წლის 31 ივლისის სამხედრო დისციპლინის რეგლამენტი აყალიბებს სამხედრო დისციპლინის ძირითად პრინციპებს (თავი 15, პუნქტი 2). მე-16 თავის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საკითხი იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა შეიარაღებული ძალების წევრების საქციელი სამხედრო დისციპლინასა და წესრიგს, გადაწყვეტილი უნდა იქნეს ხსენებული რეგლამენტის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული ზოგადი შეხედულებების მხედველობაში მიღებით.

17-26 თავებში მაგალითების სახით ჩამოთვლილია, როგორც აღნიშნულია მე-16 თავის მე-2 პუნქტში, სამართალდარღვევები სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ, როგორცაა: ექსტრემისტული ორგანიზაციების წევრობა, საიდუმლოების დაუცველობა, არასასურველი ნაწერების ფლობა და გავრცელება, უკმაყოფილების გამოჟღავნება, სამხედრო ვალდებულებების შეუსრულებლობა, დროებით გათავისუფლება, არასწორი ან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი საქციელი, საკუთრების გაუფრთხილებლობა, დახმარების აღმოუჩენლობა, ჰიგიენისა და სისუფთავის დაუცველობა, მორიგეობისა და საპატრულო ვალდებულებების შეუსრულებლობა და ა.შ.

ზოგიერთი ამგვარი მოქმედება ან უმოქმედობა ამავდროულად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, რომელიც ისჯება სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მაგალითად, ერთი ან მეტი დღით დროებით გათავისუფლება (მუხლი 96), სამხედრო წესრიგისადმი დაუმორჩილებლობა (მუხლი 114) და არასასურველი ნაწერების გავრცელება (მუხლი 147).

ჯარისა და საჰაერო ძალების საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, კომპეტენტური მოხელე უფლებამოსილია, დააკისროს დისციპლინური სასჯელი, თუ იგი ჩათვლის, რომ შესაბამის პირს ბრალი მიუძღვის იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც არ ისჯება სისხლის სამართალწარმოების შედეგად.

სამხედრო დისციპლინური სასჯელები და ღონისძიებები

16. შესაბამის დროს დებულებებს სხვადასხვა სასჯელების შესახებ, რომლებიც შეიძლება შეფარდებოდეთ პირებს დისციპლინური სამართალდარღვევების ჩადენისათვის, ითვალისწინებდა 1903 წლის კანონის მე-3-მე-5 მუხლები.

სასჯელების ხასიათი დამოკიდებული იყო სამართალდამრღვევის ნოდებაზე. ამგვარად, მე-3-A მუხლი ითვალისწინებდა საყვედურს, „მსუ-

ბუქ პატიმრობას (*licht arrest*) 14 დღემდე" და „მკაცრ პატიმრობას (*streng arrest*) 14 დღემდე“, როგორც ძირითად დისციპლინურ სასჯელებს ოფიცრებისათვის. თადარიგის ოფიცრების მიმართ მე-4-ა მუხლი ითვალისწინებდა, *inter alia*, საყვედურს, ღამის განმავლობაში ბანაკში ყოფნის შეზღუდვას, „მსუბუქ პატიმრობას 21 დღემდე“, „შედარებით მკაცრ პატიმრობას (*verzwaard arrest*) 14 დღემდე“ და „მკაცრ პატიმრობას 14 დღემდე“. ჩვეულებრივი სამხედრო მოხელე, მე-5-ა მუხლის შესაბამისად, ძირითადად, ექვემდებარებოდა იმავე სასჯელებს, რასაც თადარიგის ოფიცრები, რიგითების „დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის“ (*plaatsing in een tuchtklasse*) დამატებით შესაძლებლობასთან ერთად. ყველა წოდების სამხედრო მოხელეს, თითოეული ზემოხსენებული მუხლის ბ პუნქტების შესაბამისად, აგრეთვე ჩამოერთმეოდა ხელფასი „დამატებითი სასჯელის“ სახით.

17. 1903 წლის კანონის შესაბამისად, დისციპლინური სასჯელების აღსრულების წესი ასევე განსხვავდებოდა წოდებების მიხედვით.

18. მსუბუქი პატიმრობის აღსრულება რეგულირდებოდა მე-8 მუხლით:

„მსუბუქი პატიმრობა უნდა განხორციელდეს:

ა. ოფიცრების მიერ:

1. ხმელეთზე: მათ საცხოვრებელ ბინებში, კარვებში ან ყაზარმებში ან როდესაც იმყოფებიან ნაწილის მეთაურის მიერ განსაზღვრულ ადგილზე;
2. ...

ბ. თადარიგის ოფიცრებისა და ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეების მიერ:

1. ხმელეთზე: მათ ყაზარმებში, ბაზებზე ან საცხოვრებელ ბინებში ან როდესაც იმყოფებიან შტაბში ან ნაწილის მეთაურის მიერ განსაზღვრულ ადგილზე;
2. ...

...
სამხედრო მოსამსახურეები, რომელთა მიმართ ხორციელდება მსუბუქი პატიმრობა, არ თავისუფლდებიან თავიანთი ვალდებულებების შესრულებისაგან.“

აღნიშნულ დებულებას ის დატვირთვა ჰქონდა, რომ ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა მსუბუქი პატიმრობა, წოდების მიუხედავად, არასამუშაო საათებში რჩებოდა თავის საცხოვრებელ ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ცხოვრობდა ყაზარმების გარეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მოთავსებული იყო ყაზარმებში.

ოფიცრები და თადარიგის ოფიცრები ცხოვრობდნენ ბარაკების გარეთ, ხოლო ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები, როგორც წესი, ვალდებულნი იყვნენ, ეცხოვრათ ბარაკებში. პრაქტიკაში ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები ზოგჯერ სარგებლობდნენ გადაადგილების თავისუფლებით სალამოს ხუთი საათიდან შუალამის თორმეტ საათამდე და უქმე დღეებში. ისინი ამ უფლებას ხშირად იყენებდნენ, რომ დარჩენილიყვნენ თავიანთ ოჯახებში, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მათ აღარ მოეთხოვებოდათ ყაზარმებში ცხოვრება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ სამხედრო მოსამსახურეს, განსხვავებით ოფიცრისა და თადარიგის ოფიცრისაგან, ზოგადად არ შეეძლო მსუბუქი პატიმრობის სახლში მოხდა და, ამდენად, იგი კარგავდა არასამუშაო საათებში ოჯახში დაბრუნების პრივილეგიას. წვევამდელებს ნება ჰქონდათ, ეცხოვრათ ყაზარმების გარეთ იმავე გარემოებებში: სამეფო ჯარში შიდა სამსახურის რეგლამენტის (*Reglement op de Inwendige Dienst der Koninklijke Landmacht*) 123-ე მუხლის შესაბამისად, ხსენებული ნებართვით სარგებლობა დროებით წყდებოდა, *inter alia*, დისციპლინური პატიმრობის პერიოდში; თუმცა მიჩნეული იქნა, რომ აღნიშნული დებულება ენინაალმდეგებოდა 1903 წლის კანონს და 1974 წელს გაუქმდა.

სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ყაზარმებში იხდიდა მსუბუქ პატიმრობას, ვიზიტების, მიმონერისა და ტელეფონით სარგებლობის ნება ეძლეოდა; მას შეეძლო ყაზარმების ირგვლივ თავისუფლად გადაადგილება სამუშაო საათების შემდეგ, მაგალითად, შეეძლო ნასულიყო ბანაკის კინოში, სასადილოში ან სხვა დასასვენებელ დაწესებულებებში.

19. შედარებით მკაცრი პატიმრობის აღსრულება, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ თადარიგის ოფიცრებისა და ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, რეგულირდებოდა 1903 წლის კანონის მე-9 მუხლით. ხსენებული პირები კვლავაც აგრძელებდნენ ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ დანარჩენ დროს რჩებოდნენ, სხვა ჩვეულებრივ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, რომლებიც მსგავს სასჯელს იხდიდნენ, სპეციალურად განსაზღვრულ, მაგრამ არა ჩაკეტილ ადგილას. სამართალდამრღვევს, ნაწილის მეთაურის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, ჰქონდა მნახველების მიღების უფლება. განსხვავებით პირისაგან, რომელიც იხდიდა მსუბუქ პატიმრობას, მას არ შეეძლო, თავისუფლად ევლო ყაზარმების ირგვლივ, ნასულიყო კინოში, სასადილოში ან დასასვენებელ დაწესებულებებში. შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები განცალკევებულები უნდა ყოფილიყვნენ სხვა სამხედრო მოსამსახურეებისაგან (*afzondering*) ლამის განმავლობაში.

20. მკაცრი პატიმრობის აღსრულება რეგულირდებოდა 1903 წლის კანონის მე-10 მუხლით. პატიმრობის პერიოდს, რომელიც მოიცავდა როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო საათებს, იხდიდნენ ოფიცრები მსუბუქი პატიმრობის მსგავსად იმ სახით, რომ ისინი, როგორც წესი, სახლში რჩებოდნენ, მა-

შინ, როდესაც თადარიგის ოფიცრები და ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები საკანში იყვნენ ჩაკეტილები. ყველა წოდების სამხედრო მოსამსახურე ჩამოშორებული იყო ჩვეულებრივი ვალდებულებების შესრულებისაგან.

21. დისციპლინური სასჯელის იმ დროისათვის ყველაზე უფრო მკაცრი ფორმის აღსრულება, დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა (*plaatsing in een tuchtklasse*), რომელიც მხოლოდ რიგითების მიმართ გამოიყენებოდა, რეგულირდებოდა 1903 წლის კანონის მე-18 და მე-19 მუხლებით. ამგვარი სასჯელი ითვალისწინებდა სამართალდამრღვევის გადაცემას ჩვეულებრივთან შედარებით უფრო მკაცრი დისციპლინისათვის – პირი იგზავნებოდა ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ დაწესებულებაში (მუხლი 18). მე-19 მუხლის თანახმად, დისციპლინურ განყოფილებაში სამსახური შეეფარდებოდა იმ პერიოდით, რაც განისაზღვრებოდა სასჯელის შეფარდების დროს – სამიდან ექვს თვემდე. მხოლოდ ამ თვალსაზრისით განსხვავდებოდა აღნიშნული ღონისძიება დამსჯელი განყოფილებისათვის გადაცემისაგან (*plaatsing in een strafklasse*), დამატებითი სასჯელისაგან, რომელიც, სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, შეეფარდებოდა სამხედრო მოსამსახურეებს სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.

დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა, როდესაც ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა სამხედრო სამსახურის დამთავრებისას, ჩვეულებრივ, აჭიანურებდა პირის სამოქალაქო ცხოვრებისათვის დაბრუნებას. მისი აღსრულება რეგულირდებოდა 1971 წლის 14 ივნისის დადგენილებით (*Besluit straf-en tuchtklassen voor de krijgsmacht*), რომელიც ეხებოდა როგორც დამსჯელი განყოფილებისათვის გადაცემას, ისე, ძირითადად (მუხლი 57), დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემას. მათ, ვინც ამგვარ სასჯელს იხდიდა, ჩამოაცილებდნენ თავიანთ ნაწილებს და ათავსებდნენ სპეციალურ ჯგუფში; მათ ეზღუდებოდათ გადაადგილება, თავიანთ სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, აქცენტი კეთდებოდა მათ განათლებაზე (მუხლები 17, 18 და 20).

ზემოხსენებული განყოფილებები სამ სექციად იყოფოდა. როგორც ნესი, სამართალდამრღვევები პირველ ორ სექციაში ატარებდნენ ოცდაათ დღეს, მაგრამ აღნიშნული პერიოდების გაგრძელება ან შემოკლება შესაძლებელი იყო მათი საქციელის შესაბამისად (მუხლები 26 და 27). რამდენადაც შესაძლებელი იყო, ისინი მთელ ლამეებს ატარებდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებით (*afgezonderd* – მუხლი 28). პირველ სექციაში მათ თვეში ორჯერ მნახველების მიღებისა და არასამუშაო საათებში სწავლის ნება ეძლეოდათ (მუხლი 29). მეორე სექციაში ისინი აგრეთვე სარგებლობდნენ გადაადგილების თავისუფლებით შაბათობითა და კვირაობით, კვირაში ორჯერ მაინც შეეძლოთ სასადილოსა და/ან დასასვენებელ დაწესებულებებში წასვლა საღამოს თავიანთი ვალდებულებების შესრულების შემდეგ (მუხლი 30). მესამე სექციაში რეჟიმი შედარებით ნაკლებად მკაცრი იყო (მუხლი 31).

22. 1903 წლის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც სასჯელის სახით შეფარდებული ჰქონდა დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა, ამ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დაკავებული სასჯელის შეფარდებისთანავე და აყვანილიყო პატიმრობაში, სანამ არ მივიდოდა იმ დაწესებულებაში, რომელშიც სასჯელი უნდა მოეხადებინა. როგორც ჩანს, ამ ტექსტის ფარგლებში შესაძლებელია პატიმრობის შემოსხენებული ნებისმიერი სამი ფორმის გამოყენება.

სამხედრო დისციპლინურ კანონმდებლობაში არ არსებობდა დებულება, რომელიც შეზღუდავდა ან დაადგენდა წინასწარ ან სხვაგვარ კონტროლს ამგვარი დროებითი დაკავების ხანგრძლივობაზე ან გაითვალისწინებდა შესაძლებლობას, რომ დაკავების აღნიშნული პერიოდი ჩათვლილიყო დისციპლინურ განყოფილებაში გატარებულ დროში.

23. სამხედრო მოსამსახურეზე დაკისრებული დისციპლინური სასჯელების მხედველობაში მიღება შეიძლებოდა მაშინ, როდესაც, მაგალითად, მისი დანიშნულების საკითხი დგებოდა. მეორე მხრივ, ისინი ასევე არ აისახებოდა პირის სისხლისსამართლებრივ საქმეში და, 1975 წლის 28 ოქტომბრის მოსმენაზე სასამართლოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, არ ახდენდა არავითარ ზეგავლენას სამოქალაქო ცხოვრებაზე.

24. 1974 წლის 12 სექტემბრის კანონის შედეგად როგორც არსებული დისციპლინური სასჯელების დიაპაზონი, ისე მათი აღსრულების წესი ერთნაირად გავრცელდა ყველა წოდების სამხედრო მოსამსახურეზე. თუმცა კანონის ძალაში შესვლამდე (1974 წლის 1 ნოემბერი) აღნიშნული სასჯელები, მთავრობის ინსტრუქციის საფუძველზე, პრაქტიკაში აღარ გამოიყენებოდა.

მაშინ, როდესაც საყვედური, მსუბუქი პატიმრობა და შედარებით მკაცრი პატიმრობა შენარჩუნებული იქნა, ნებისმიერი პატიმრობის მაქსიმალური პერიოდი ამჯერად 14 დღით განისაზღვრა, ხოლო შედარებით მკაცრი პატიმრობა ამიერიდან ოფიცრების მიმართაც გამოიყენება (1974 წლის კანონის მე-3, მე-8 და მე-9 მუხლები). შედარებით მკაცრი პატიმრობა დღეისათვის წარმოადგენს დისციპლინური სასჯელის ყველაზე მკაცრ ფორმას. 1974 წლის კანონით შემოღებული იქნა სხვა სამი სასჯელი: დამატებითი ვალდებულებები დღეში ერთიდან ორ საათამდე, იძულებითი ყოფნა ყაზარმებში მთელი ღამის განმავლობაში და ჯარიმა.

სამხედრო დისციპლინური სამართალწარმოება

25. 1903 წლის კანონის 39-43 მუხლები ადგენს, თუ ვის აქვს დისციპლინური სასჯელის შეფარდების უფლებამოსილება. ჩვეულებრივ, ეს არის თითოეული ნაწილის მეთაური. იგი იკვლევს საქმეს და უსმენს ბრალდებულ სამხედრო მოსამსახურეს (1903 წლის კანონის 46-ე მუხლი) და, საჭიროების შემთხვევაში, დაჰკითხავს მონმეებსა და ექსპერტებს.

თითოეული ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ოფიცერი ირჩევს, თუ არსებული სხვადასხვა სასჯელიდან რომელი უნდა იქნეს გამოყენებული. „როდესაც განსაზღვრავს დისციპლინური სასჯელების ხასიათსა და სიმკაცრეს“, იგი უნდა იყოს „სამართლიანი და მკაცრი“, უნდა „გაითვალისწინოს გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი, ისევე როგორც ბრალდებულის ხასიათი და ჩვეულებრივი საქციელი“, მისი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს „საკუთარ მოსაზრებასა და მრწამსს (1903 წლის კანონის 37-ე მუხლი).

26. 1903 წლის კანონის 44-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი ზემდგომი, რომელსაც აქვს საკმარისი საფუძველი, ივარაუდოს, რომ დაქვემდებარებულმა ჩაიდინა მძიმე სამართალდარღვევა, უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, აცნობოს დროებითი დაპატიმრების თაობაზე (*voortlopig arrest*). ქვემდგომი, თავის მხრივ, ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაემორჩილოს მას. დროებითი პატიმრობა ჩვეულებრივ ხორციელდება იმავე გზით, როგორც მსუბუქი პატიმრობა, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ან უნესრიგობის თავიდან აცილების მიზნით, იგი ხორციელდება შედარებით მკაცრი პატიმრობის ან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1974 წლის კანონის მიღებამდე, მკაცრი პატიმრობის სახით. შესაბამისი სამხედრო მოსამსახურე, როგორც წესი, ჩამოშორებულია თავისი ვალდებულებების შესრულებისაგან მისი დაკავების ადგილის გარეთ. 45-ე მუხლი აყალიბებს, რომ დროებითი პატიმრობა არ უნდა გაგრძელდეს 24 საათზე მეტ ხანს, ხოლო 49-ე მუხლის შესაბამისად, ოფიცრის იერარქიულ ზემდგომს, რომელიც უფარდებს დროებით პატიმრობას, შეუძლია გააუქმოს პატიმრობა ოფიცრის მოსმენის შემდეგ. ამგვარი დროებითი პატიმრობის პერიოდი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოირიცხოს დაკისრებული სასჯელიდან.

27. 1903 წლის კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც შეეფარდა დისციპლინური სასჯელი, საჩივრების განმხილველი ოფიცრის წინაშე შეუძლია სასჯელის ან მისი საფუძვლების გასაჩივრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი შეფარდებულია სამხედრო სამართლოს მიერ. საჩივრების განმხილველი ოფიცერი არის იერარქიული ზემდგომი ოფიცრისა, რომელსაც, როგორც წესი, დახმარებას უწევს კოლეგა, რომელიც არის იურისტი, განსაკუთრებით დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის საქმეებში (1974 წლის კანონის მიღებამდე).

საჩივარი ოთხი დღის ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ მოსარჩელე დაპატიმრებულია, მას შეუძლია მოითხოვოს მის მიერ დასახელებულ სხვა პირებთან (მაქსიმუმ სამი) კონსულტაცია, თუ ნაწილის მეთაური არ ჩათვლის მათ დასწრებას არაგონივრულად (მუხლი 62).

საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა საქმე უნდა განიხილოს შეძლებისდაგვარად სწრაფად; იგი აწარმოებს მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვას იმ ფარგლებში, რასაც აუცილებლად მიიჩნევს; უსმენს მოსარჩელეს და დამსჯელ ოფიცერს. შემდეგ მას გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელ-

შიც მოცემული უნდა იყოს საფუძვლები და რომელიც უნდა გადაეცეს საჩივრების განმხილველ ოფიცერსა და დამსჯელ ოფიცერს (მუხლი 65).

28. დისციპლინური სასჯელის შეფარდების გადანყვეტილების თაობაზე აპელაციას არა აქვს შემაჩერებელი ეფექტი, თუმცა თავდაცვის მინისტრს შეუძლია შეაჩეროს ამგვარი სასჯელის აღსრულება სპეციალური გარემოებების მხედველობაში მიღებით. 1903 წლის კანონის 64-ე მუხლი ითვალისწინებდა გამონაკლისს დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის შემთხვევებში; მიუხედავად ამისა, სამხედრო მოსამსახურის აპელაცია არ განაპირობებდა მე-20 მუხლით დაკისრებული ნებისმიერი დროებითი დაკავების შეჩერებას ან შეწყვეტას.

29. თუ სასჯელი არ იყო გაუქმებული საჩივრების განმხილველი ოფიცრის მიერ, ოთხი დღის განმავლობაში მოსარჩელეს შეეძლო, მიემართა აპელაციით უზენაესი სამხედრო სასამართლოსათვის (1903 წლის კანონის 67-ე მუხლი).

30. ხსენებული სასამართლოს შემადგენლობა და მისი ფუნქციონირება რეგულირდება უზენაესი სამხედრო სასამართლოს შესახებ „დროებითი ინსტრუქციებით“ (*Provisionele Instructie voor het Hoog Militair Gerechtshof*), რომლებიც 1814 წლის 20 ივლისს გამოქვეყნდა, მაგამ მას შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა. 1-ლი მუხლის შესაბამისად, სასამართლო დაფუძნებული იქნება ჰააგაში და შედგება ექვსი წევრისაგან: ორი სამოქალაქო იურისტისგან – ერთი მათგანი იქნება სასამართლოს თავმჯდომარე – და ოთხი სამხედრო ოფიცრისაგან. სასამართლოს შემადგენლობაში აგრეთვე შედიან შეიარაღებული ძალების საკითხებში სახელმწიფო მრჩეველი (*advocaat-fiscaal voor de Krijgsmacht*) და რეგისტრატორი.

სამოქალაქო წევრები („დროებითი ინსტრუქციების“ მე-2 მუხლი) უნდა იყვნენ უზენაესი სასამართლოს (*Hoog raad*) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები (*Gerechtshof*) ჰააგაში. 1827 წლის 18 აპრილის უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ კანონის (*Wet op de Rechterlijke Organisatie*) მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 მუხლები, რომლებიც *inter alia* ითვალისწინებს თანამდებობაზე ყოფნის ვადასა და გათავისუფლების საფუძველს, გამოიყენება მათ მიმართ. სამოქალაქო წევრებს ნიშნავს მეფე იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრების ერთობლივი რეკომენდაციის საფუძველზე; მათი სამსახურის ვადა უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეების უფლებამოსილების ვადის თანაბარია.

სასამართლოს სამხედრო წევრებს („დროებითი ინსტრუქციების“ მე-2 (ა) მუხლი), რომლებიც არ უნდა იყვნენ 30 წელზე ნაკლები და 70 წელზე მეტი ასაკის, აგრეთვე ნიშნავს მეფე იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრების ერთობლივი რეკომენდაციის საფუძველზე. მსგავსია მათი დათხოვნის პირობებიც. თუმცა თეორიულად მათი დათხოვნა შესაძლებელია მკაცრი მოთხოვნებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის გარეშე, რომლებიც ჩამოყალიბებულია სამოქალაქო წევრებთან მიმართებაში უზენაესი

სასამართლოს ორგანიზაციის შესახებ კანონში. მთავრობის მტკიცებით, სასამართლოს სამხედრო წევრების დანიშვნა არის მათი სამსახურებრივი კარიერის ბოლო საფეხური; ისინი, როგორც მოსამართლეები, თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას არ ექვემდებარებიან არავითარი ზემდგომი ხელისუფლების ბრძანებას და აგრეთვე არ არიან ვალდებული, თავიანთი ქმედების შესახებ ანგარიშით წარდგენენ სამსახურის წინაშე.

თანამდებობის დაკავებისას სასამართლოს ყველა წევრი ვალდებულია, ფიცი დადოს, რაც მათ ავალდებულებს, *inter alia*, იყვნენ სამართლიანი, პატიოსანი და მიუკერძოებელი („დროებითი ინსტრუქციების“ მე-9 მუხლი). უდავოა, რომ სასამართლოს სამხედრო მოსამართლეები რჩებიან შეიარაღებული ძალების წევრებად და, მათ, როგორც ოფიცრებს, ფიცი ავალდებულებს, სხვა საკითხებთან ერთად, დაემორჩილონ ზემდგომის ბრძანებებს. თუმცა ხსენებული ფიცი ასევე ითვალისწინებს კანონმდებლობისადმი, მათ შორის ზოგადად სანესდებო დებულებებისადმი, მორჩილებას, რომლებიც არეგულირებს უზენაესი სამხედრო სასამართლოს, და, კერძოდ, მოსამართლეების, მიერ დადებულ ფიცს მიუკერძოებლობის შესახებ.

31. საქმეებს განიხილავს არა ერთპიროვნული მოსამართლე, არამედ სასამართლო, როგორც ორგანო. სასამართლო ვალდებულია, განიხილოს საქმეები შეძლებისდაგვარად სწრაფად და მოუსმინოს განმცხადებელს; საჭიროების შემთხვევაში დასაჯოს ოფიცერი, საჩივრების განმხილველი ოფიცერი და ნებისმიერი მონაწილე ან ექსპერტი, რომლისაგანაც აპირებს მტკიცებულების მოპოვებას („დროებითი ინსტრუქციების“ 56-ე მუხლი). სასამართლო გადახედავს საჩივრების განმხილველი ოფიცრის გადაწყვეტილებას როგორც ფაქტების, ასევე კანონმდებლობის მხედველობაში მიღებით; მას არავითარ შემთხვევაში არა აქვს სასჯელის გაზრდის უფლება-მოსილება (მუხლი 58).

მართალია, სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მოსმენა საჯაროა („დროებითი ინსტრუქციების“ 43-ე მუხლი და ზემოხსენებული პუნქტი 14), სასამართლო დისციპლინურ საქმეებს დახურულ სხდომაზე (*in camera*) განიხილავს. მეორე მხრივ, განაჩენს აცხადებს საჯარო სხდომაზე; მას თან უნდა ერთვოდეს საფუძვლები და იგი უნდა გადაეცეს საჩივრების განმხილველ ოფიცერს, დამსჯელ ოფიცერსა და მოსარჩელე სამხედრო მოსამსახურეს (მუხლი 59).

32. იმ დროს, როდესაც გამოყენებული იქნა აღნიშნული ღონისძიებები, კანონმდებლობაში არ არსებობდა დებულება მოსარჩელის სამართლებრივი წარმომადგენლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, უზენაესი სამხედრო სასამართლოს მოქმედმა რეგისტრატორმა 1970 წლის 23 დეკემბრის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ფაქტიურად სასამართლო მთელ რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფდა სამართლებრივი დახმარებით შესაბამის პირს, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ იგი ვერ შეძლებდა სააპელაციო

საჩივარში წამოჭრილი სპეციალური სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას. განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევებს ეხებოდა, როდესაც მითითება კონვენციაზე იყო გაკეთებული. თუმცა დახმარება ამგვარ სამართლებრივ საკითხებში შეზღუდული იყო.

მდგომარეობა შეიცვალა 1973 წელს: 1973 წლის 7 ნოემბრის მთავრობის ინსტრუქციის შესაბამისად (*Regeling vertrouwensman – KL*), სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც ბრალად ედებოდა დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენა, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო ესარგებლა „სანდო პირის“ დახმარებით, აგრეთვე ადვოკატის (*vertrouwensman*) დახმარებითაც, თუ საკითხს განიხილავდა უზენაესი სამხედრო სასამართლო (ინსტრუქციის 1-ლი, მე-17 და მე-18 მუხლები).

ფაქტები თითოეულ განმცხადებელთან მიმართებაში

ბ-ნი ენგელი

33. 1971 წლის მარტში ბ-ნი ენგელი სერჟანტად მსახურობდა ნიდერლანდების ჯარში. არასამუშაო დღეებში იგი ფაქტობრივად თავის სახლში ცხოვრობდა. განმცხადებელი იყო წვევამდელ სამხედრო მოსამსახურეთა ასოციაციის წევრი (*Vereniging van Dienstplichtige Militairen – V.V.D.M.*). ეს ასოციაცია ჩამოყალიბდა 1966 წელს და მიზნად ისახავდა წვევამდელების ინტერესების დაცვას. მთავრობამ ცნო, რომ აღნიშნულ ასოციაციას უფლება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ სფეროში გამართულ მოლაპარაკებებში და მასში განეწიანებული იყო წვევამდელთა დაახლოებით ორი მესამედი.

ბ-ნი ენგელი იყო *V.V.D.M.*-ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი. 12 მარტს მან თავისი ნაწილის მეთაურს წარუდგინა თხოვნა 17 მარტს გათავისუფლების თაობაზე, რათა უტრეხტში დასწრებოდა ძირითად კრებას, რომელზეც უნდა ჩატარებულიყო არჩევნები, თუმცა მან არ მიუთითა, რომ იგი კანდიდატად იყო წარდგენილი.

შემდგომში იგი ავად გახდა და სახლში დარჩა თავისი ექიმის მითითებების საფუძველზე. ექიმმა გამოუწერა საავადმყოფო ფურცელი 18 მარტამდე და ნება დართო, რომ სახლი მხოლოდ 17 მარტს დაეტოვებინა. 16 მარტს ნაწილის მეთაური ბატალიონის მეთაურთან საუბრის დროს შეთანხმდა, რომ არ ყოფილიყო მიღებული გადაწყვეტილება ზემოხსენებულ თხოვნასთან დაკავშირებით, სანამ შემდგომ ინფორმაციას არ მიიწვდიდა განმცხადებელი, რომელმაც არ შეატყობინა თავისი არყოფნის ან დაბრუნების თაობაზე. თუმცა მომდევნო დღეს განმცხადებლის სახლში ჩატარებული შემონების დროს აღმოჩნდა, რომ იგი ადგილზე არ იმყოფებოდა. სინამდვილეში, იგი წასულიყო *V.V.D.M.*-ის კრებაზე, რომელზეც იგი არჩეული იქნა ვიცე-პრეზიდენტად.

34. 18 მარტს ბ-ნი ენგელი დაბრუნდა თავის ნაწილში და იმავე დღეს ნაწილის მეთაურმა სასჯელის სახით შეუფარდა ოთხდღიანი მსუბუქი პატიმრობა წინა დღეს მის საცხოვრებელ ადგილზე არყოფნის გამო.

განმცხადებელმა აღნიშნული სასჯელი თავის პირად საქმეებში სერიოზულ ჩარევად მიიჩნია, რამდენადაც იგი ხელს უშლიდა, სათანადოდ მომზადებულიყო უტრეხტის უნივერსიტეტში სადოქტორო გამოცდისათვის, რომელიც 24 მარტს იყო დანიშნული. განმცხადებლის მტკიცებით, მან 18 მარტს რამდენჯერმე სცადა, ამ საკითხის თაობაზე დალაპარაკებოდა ოფიცერს, მაგრამ უშედეგოდ. იმ რწმენით, რომ ჯარის რეგლამენტის შესაბამისად, თადარიგის ოფიცრებს შეეძლოთ მსუბუქი პატიმრობის სახლში მოხდა, სალამოს ყაზარმა დატოვა და ღამე სახლში გაატარა. მეორე დღეს ნაწილის მეთაურმა დააკისრა სამდღიანი შედარებით მკაცრი პატიმრობა პირველი სასჯელის უგულებელყოფისათვის.

როგორც კი შეიტყო, რომ 1971 წლის 1 აპრილიდან რიგითის ნოდებამდე ჩამოაქვეითეს, განმცხადებელმა სალამოს კვლავ დატოვა ყაზარმა და სახლში წავიდა. შაბათს, 20 მარტს, იგი დაკავებული იქნა სამხედრო პოლიციის მიერ და დროებით შეეფარდა დაახლოებით ოცდღიანი მკაცრი პატიმრობა, 1903 წლის კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 26). ორშაბათს, 22 მარტს ნაწილის მეთაურმა შეუფარდა სამდღიანი მკაცრი პატიმრობა წინა ორი სასჯელის უგულებელყოფისათვის.

35. აღნიშნული სასჯელების აღსრულება შეჩერებული იქნა სამთავრობო გადაწყვეტილებით, რომ განმცხადებელს ნება მისცემოდა, გასულიყო სადოქტორო გამოცდაზე, რომელიც მან 1971 წლის 24 მარტს ჩააბარა. უფრო მეტიც, 21, 22 და 25 მარტს ბ-ნმა ენგელმა იჩილა საჩივრების განმხილველ ოფიცერთან ნაწილის მეთაურის მიერ მისთვის დაკისრებული სასჯელების შესახებ. 5 აპრილს საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა მხარეთა მოსმენის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პირველი სასჯელი – ოთხდღიანი მსუბუქი პატიმრობა – უნდა შემცირებულიყო საყვედურამდე, მეორე სასჯელი – სამდღიანი შედარებით მკაცრი პატიმრობა – სამდღიან მსუბუქ პატიმრობამდე და მესამე სასჯელი – სამდღიანი მკაცრი პატიმრობა – ორდღიან მკაცრ პატიმრობამდე. ბოლო ორ შემთხვევაში გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ წინა სასჯელები შემცირებული იქნა და რომ მოსალოდნელი გამოცდის გამო განმცხადებელი აშკარად სტრესის ქვეშ იმყოფებოდა. საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა შემდგომში მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბ-ნი ენგელისათვის ორდღიანი მკაცრი პატიმრობა მოხდilat დათვლილიყო 20-იდან 22 მარტამდე მისი დროებითი პატიმრობის დროს.

36. 1971 წლის 7 აპრილს განმცხადებელმა საჩივრების განმხილველი ოფიცრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სამხედრო სასამართლოში, ზოგადად ეყრდნობოდა რა *inter alia* კონვენციას. სასამართლომ მოუს-

მინა განმცხადებელს და გაითვალისწინა შეიარაღებული ძალების საკითხებში სახელმწიფო მრჩევლის დასკვნა. 1971 წლის 23 ივნისს, განსახილველი დისციპლინური ღონისძიებების მიღებიდან სამი თვის შემდეგ, სასამართლომ დაადასტურა გასაჩივრებული გადანყვეტილება. მან მიუთითა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ (ბ) პუნქტზე და დაადგინა, რომ განმცხადებლის პატიმრობა იყო კანონიერი და შეფარდებული იქნა კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. სისტემა, 1903 წლის კანონისა და გამოყენებული რეგლამენტის შესაბამისად, ფაქტობრივად, ითხოვდა, რომ ყოველი სამხედრო მოსამსახურე დამორჩილებოდა სამხედრო დისციპლინას და ეთანამშრომლა მისი შენარჩუნების მიზნით. აღნიშნული ვალდებულება შეიძლება განხორციელებულიყო დისციპლინური სასჯელების დაკისრებით ზემოხსენებული კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. მოცემულ პირობებში განმცხადებლის ორდღიანი მკაცრი პატიმრობა გამართლებული იყო აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

განმცხადებელს მის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ მიუღია იურიდიული განათლების მქონე პირის დახმარება; საქმის მასალების განხილვის დროს არ იქნა დადგენილი, მოითხოვა თუ არა მან ამგვარი დახმარება.

ბ-ნი ვან დერ ვიელი

37. კომისიაში განაცხადის შეტანის მომენტისათვის ბ-ნი ვან დერ ვიელი კაპრალად მსახურობდა ნიდერლანდების ჯარში. 1970 წლის 30 ნოემბერს დილით დაახლოებით ოთხი საათით დაიგვიანა მორიგეობაზე. მას შაბათ-კვირას დასვენების დროს მანქანა გაუფუჭდა. იმის მაგივრად, რომ ნაწილში დაბრუნებულიყო პირველივე მატარებლით, იგი მანქანას არემონტებდა. ამ საფუძველზე ნაწილის მოქმედმა მეთაურმა განმცხადებელს იმავე დღეს შეუფარდა ოთხდღიანი მსუბუქი პატიმრობა. მომდევნო დღეს გადახედა ხსენებულ საფუძველებს და მიუთითა, რომ განმცხადებელს არ უთხოვია მეთაურის ნებართვა გათავისუფლებაზე.

38. 2 დეკემბერს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა საჩივრების განმხილველ ოფიცერს თავისი სასჯელის თაობაზე, *inter alia*, მიუთითებდა რა კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებზე. ამ თვალსაზრისით ამტკიცებდა, რომ მას აღეკვეთა თავისუფლება იმ გადანყვეტილების საფუძველზე, რომელიც, მე-5 მუხლის მოთხოვნების სანადაღმდეგოდ, არ იყო მიღებული კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ; რომ, უფრო მეტიც, მისი საქმე არ განუხილავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი); რომ მას არ ჰქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად (მე-6 მუხლის მე-3 (ბ) პუნქტი) და რომ არ მიუღია სამართლებრივი დახმარება (მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტი).

39. 18 დეკემბერს, საჩივრების განმხილველი ოფიცრის მიერ 16 დეკემბერს მისი საჩივრის უარყოფის შემდეგ, განმცხადებელმა აპელაციით მიმართა უზენაეს სამხედრო სასამართლოს. 1971 წლის 17 მარტს სასამართლომ მოუსმინა განმცხადებელს, რომელიც სარგებლობდა ადვოკატის – სერჟანტი რეინტჯესის დახმარებით, და გაითვალისწინა შეიარაღებული ძალების საკითხებში სახელმწიფო მრჩევლის დასკვნა. სასამართლომ შემდგომში გააუქმა საჩივრების განმხილველი ოფიცრის გადაწყვეტილება, მაგრამ დაადასტურა განმცხადებლისათვის დაკისრებული სასჯელი – ოთხდღიანი მსუბუქი პატიმრობა თავდაპირველ საფუძველებზე, რომლებიც მითითებული იქნა 1970 წლის 30 ნოემბერს.

თავდაპირველად სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც არ განიხილებოდა საკითხი არც სისხლისსამართლებრივი ბრალდებისა და არც სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ. სასამართლომ მიუთითა 1903 წლის კანონის მე-2 მუხლში მოცემულ განმარტებაზე სამხედრო დისციპლინურ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15) და, აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ დისციპლინური სამართალწარმოება არ ხდებოდა მე-6 მუხლის ფარგლებში. არც განმცხადებლის არგუმენტიდან ჩანდა, რომ, რამდენადაც წვევამდელი ნებაყოფლობით არ დაემორჩილა სამხედრო ხელისუფლების იურსიდიქციას, ფაქტობრივად მასზე დაკისრებულ ნებისმიერ დისციპლინურ ღონისძიებას სისხლისსამართლებრივი ხასიათი ჰქონდა.

რაც შეეხება მე-5 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრებს, სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა, რომ ოთხდღიანი მსუბუქი პატიმრობა არ წარმოადგენდა „თავისუფლების აღკვეთას“. პირიქით, სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული სასჯელი უნდა გაგებულიყო, როგორც „კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა“ მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის მნიშვნელობისათვის.

40. სამართალწარმოების პირველ და მეორე ინსტანციებში ბ-ნ ვან დერ ვიელს არ მიუღია რაიმე სამართლებრივი დახმარება, ხოლო უზენაეს სამხედრო სასამართლოში სამართალწარმოებისას მიღებული სამართლებრივი დახმარება, წინამდებარე განაჩენის 32-ე პუნქტში განხილული პრაქტიკის კუთხით, შეზღუდული იყო საქმის სამართლებრივი ასპექტებით.

ბ-ნი დე ვიტი

41. კომისიაში განაცხადის შეტანის მომენტისათვის ბ-ნი დე ვიტი რიგითად მსახურობდა ნიდერლანდების არმიაში. 1971 წლის 22 თებერვალს ნაწილის მეთაურმა მას შეუფარდა დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა სამი თვის ვადით იმ საფუძველზე, რომ 1971 წლის 11 თებერვალს იგი უპასუხისმგებლოდ მართავდა ჯიპის ტიპის ავტომანქანას უსწორმასწორო

ტერიტორიაზე დაახლოებით 40-50 კმ/საათში სიჩქარით; რომ მან მაშინვე არ შეასრულა დავალება, კერძოდ, დაეყენებინა მანქანა გარკვეულ ადგილზე, რომ მან ეს მხოლოდ მას შემდეგ შეასრულა, რაც გააჩერეს და მოსთხოვეს ბრძანებები და გამოძახებული იქნა მათ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად; რომ მისი არაერთგზისი არამართლზომიერი საქციელისა და დისციპლინის დარღვევის თვალსაზრისით, იგი ადრეც იყო გაფრთხილებული დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის შესაძლებლობის თაობაზე.

25 თებერვალს განმცხადებელმა მისთვის დაკისრებული სასჯელის შესახებ საჩივრით მიმართა საჩივრების განმხილველ ოფიცერს, ამტიკცებდა რა, *inter alia*, კონვენციის დარღვევას. 5 მარტს საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა მოუსმინა განმცხადებელს, რომელსაც დახმარებას უნევდა რიგითი ეგენკამპი, იურისტი, *V.V.D.M.*-ის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ამგვარი დახმარება განმცხადებელმა მიიღო იმ ფაქტის გამო, რომ კონვენციაზე მიუთითებდა. საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა ასევე დაკითხა ექვსი მონმე, მათ შორის ერთი, კერძოდ, რიგითი დე ვოსი, განმცხადებლის სასარგებლოდ, და შემდეგ დაადასტურა სასჯელი, მხოლოდ ცოტაოდენ შეცვალა ადრე მითითებული საფუძვლები. მან უარყო მტიკიცებები კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით, მიუთითა რა უზენაესი სამხედრო სასამართლოს 1970 წლის 13 მაისის განაჩენზე.

11 მარტს განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სამხედრო სასამართლოში. 1903 წლის კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებლის შემდგომმა სააპელაციო საჩივრებმა განაპირობა სასჯელის აღსრულების შეჩერება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 28). სასამართლომ მოუსმინა განმცხადებელსა და მის ადვოკატს, აგრეთვე გაითვალისწინა შეიარაღებული ძალების საკითხებში სახელმწიფო მრჩეველის დასკვნა. 1971 წლის 28 აპრილს სასამართლომ, განმცხადებლის ადრინდელ საქციელზე მითითების გარეშე, სასჯელი თორმეტდღიან შედარებით მკაცრ პატიმრობამდე შეამცირა, რომელიც შემდგომში სისრულეში იქნა მოყვანილი. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ პირობებში დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა სამი თვის ვადით მეტისმეტად მძიმე სასჯელს წარმოადგენდა.

42. განმცხადებელი ამტიკცებს, რომ სხვა ორი მონმის, კერძოდ, რიგითების კნიჯკერსისა და დოკესტიჯნის, გამოძახება მის სასარგებლოდ ყოველ ჯერზე ფერხდებოდა. იგი აგრეთვე ჩივის, რომ მიღებული სამართლებრივი დახმარება შეზღუდული იყო საქმის სამართლებრივი ასპექტებით.

ბ-ნი დონა და ბ-ნი შული

43. კომისიაში განაცხადის შეტანის მომენტისათვის ბ-ნი დონა რიგითად მსახურობდა ნიდერლანდების ჯარში. როგორც უურნალ *Alarm*-ის (რომელსაც *V.V.D.M.*-ი აქვეყნებდა ერმელოს ზოგადი დანიშნულების ყა-

ზარმებში) რედაქტორმა მონანილეობა მიიღო 1971 წლის სექტემბრით დათარიღებული ჟურნალის მე-8 ნომრის მომზადებაში. „ნაწერების გავრცელების შესახებ დადგენილების“, 1967 წლის მინისტრის დადგენილების, შესაბამისად, ყაზარმების ნაწილის მეთაურმა დროებით აკრძალა აღნიშნული ნომრის გავრცელება, რადგან მისი შინაარსი სამხედრო დისციპლინასთან შეუთავსებლად მიიჩნია.

28 სექტემბერს ორი ოფიცერი კომისიაში შეხვდა ერთმანეთს ნაწილის მეთაურის ინსტრუქციების საფუძველზე, რათა გამოეკვლიათ ხსენებული ნომრის ბრუნვიდან ამოღების საკითხი. კომისიამ სხვებთან ერთად განმცხადებელსაც მოუსმინა.

1971 წლის 8 ოქტომბერს განმცხადებელს კომპეტენტურმა ზემდგომმა სამი თვით შეუფარდა დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა იმ ნაწერის გამოქვეყნებასა და გავრცელებაში მონანილეობის მიღების გამო, რომელიც ძირს უთხრიდა დისციპლინას. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა 1903 წლის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს და სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის 1-ლ პუნქტს, რომლის თანახმად:

„ნებისმიერი პირი, რომელიც სიგნალის, ნიშნის, ფესტიკულაციის, სიტყვის, სიმღერის, ნაწერის ან სურათის მეშვეობით ეცდება შეიარაღებულ ძალებში დისციპლინისათვის ძირის გამოთხრას ან რომელსაც შეგნებული აქვს ნაწერის ან სურათის შინაარსი, ავრცელებს ან გამოფენს მას, აქვეყნებს მას ან აგროვებს გავრცელების მიზნით, ექვემდებარება პატიმრობას სამ წლამდე.“

Alarm-ის მე-8 ნომერში დაბეჭდილი სტატია სათაურით „უძლიერესის კანონი“ (*Het recht van de sterkste*) ეხებოდა 1971 წლის 13 აგვისტოს ერმელოში *V.K.D.M.*-ის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით ჩატარებულ დემონსტრაციას. ბ-ნი ვან დერ შანსის მტკიცებით, დემონსტრაცია თითქმის მაშინვე დაიშალა, ვინაიდან დემონსტრანტები სწრაფად დაბრუნდნენ თავიანთ შტაბებში მას შემდეგ, რაც ნაწილის მეთაური დაჰპირდა, რომ, თუ ისინი ასე მოიქცეოდნენ, არავითარი დისციპლინური საწესი არ იქნებოდა მათ მიმართ გამოყენებული. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ჯარისკაცი სავარაუდოდ მალევე იქნა გადაყვანილი ინციდენტში მონანილეობისათვის.

სტატიის ნაწყვეტში, რომელმაც წამოჭრა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი 1971 წლის 8 ოქტომბერს, ნათქვამია:

(ა) „როგორც ჩანს, გენერალი სმიტის სწერს თავის „ხელქვეითებს“: „მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგიცვათ კანონის დარღვევისაგან!“ მაგრამ სწორედ რომ ხსენებული გენერალი არის პასუხისმგებელი დაალპუისენისა და დუპენის გადაყვანისთვის. ჯერჯერობით, მოგეხსენებათ, არ არის ნებადართული შენიღბული სასჯელის ხასიათის ღონისძიებები. თვითონ გენერალი როგორ ემორჩილება კანონს? როგორც აწყობს“;

(ბ) „... ჩვეულებრივი სასჯელების გარდა, ჯარის „ბოსები“ ფლობენ სხვა ღონისძიებათა მთელ სერიას, რომელთაგან მხოლოდ ერთი – გადაყვანა – მიმართულია ჯარისკაცების დასაბრუნებლად. ამას ბოლოს არ უღებს განხილვები პარლამენტში – ეს მათ უმეტესწილად უფრო ფრთხილს ხდის. ეს მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როდესაც ამ ხალხს, რომელსაც თავისი ძალაუფლების გამოხატვა მხოლოდ დასჯითა და შეშინებით შეუძლია, მონუნივეს ნორმალური სამუშაოს ძებნა.“

44. გადანყვეტილება განმცხადებლის დისციპლინური განყოფილები-სათვის გადაცემის შესახებ მიუთითებდა ზემოხსენებულ ნაწყვეტზე. უფრო მეტიც, გადანყვეტილებაში გათვალისწინებული იყო რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება: ბ-ნი დონა თანამშრომლობდა ჟურნალის მე-6 ნომრის გამოცემაში, რომელიც ამგვარადვე აიკრძალა „ნაწერების გავრცელების შესახებ დადგენილებით“ მისი არასასურველი შინაარსის გამო; გარდა ამისა, მან მიიღო მონაწილეობა ერმელოს დემონსტრაციაში და, კერძოდ, ზემოხსენებულთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ბროშურა, რომლისთვი-საც 1971 წლის 13 აგვისტოს მკაცრი პატიმრობა შეეფარდა.

45. ბ-ნი შული, ნიდერლანდების ჯარის რიგითი კომისიის წინაშე განაცხადის შეტანის მომენტისათვის, იყო აგრეთვე ჟურნალ *Alarm*“-ის რედაქტორი. მის საქმესთან დაკავშირებული ფაქტები ბ-ნი დონას საქმის ფაქტების იდენტურია იმ განსხვავებით, რომ მისი სასჯელი თავდაპირველად ითვალისწინებდა დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემას ოთხი თვით იმ დამატებითი დამამძიმებელი გარემოების გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო წვევამდებლებისათვის „საინფორმაციო ბიულეტენის“ გამოქვეყნებაში, რომლის გავრცელებაც აიკრძალა უარყოფითი შინაარსის გამო.

46. 1971 წლის 8 ოქტომბერს ორმა განმცხადებელმა გამოხატა თავიანთი განზრახვა დაკისრებული სასჯელების გასაჩივრების თაობაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ მოეთხოვათ, თავი შეეკავებინათ ნებისმიერი შემდგომი პუბლიკაციისაგან, სანამ მათ წინააღმდეგ მიმდინარეობდა სამართალწარმოება. მთავრობა ამტკიცებს, რომ მათ მხოლოდ ეთხოვათ, არ გამოექვეყნებინათ სხვა სტატიები, რომლებიც ძირს უთხრიდა სამხედრო დისციპლინას. განმცხადებლებმა სასამართლოს წინაშე განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ მცირედი განზრახვაც კი, დაეწერათ ამგვარი სტატიები, რაც მათ ხაზგასმით აღნიშნეს 1971 წლის 28 სექტემბერს საგამოძიებო კომისიის წინაშე. ამ უკანასკნელის მოხსენების თანახმად, ბ-ნმა დონამ განაცხადა, რომ მისი მიზანი სულაც არ იყო დაეწერა სტატიები, რომლებსაც შემდგომში აკრძალავდნენ, ბ-ნი შულის თქმით კი (რაც ჩანერილია): „როდესაც ამ სახის ბროშურებს ვამზადებთ, ჩვენი მიზანი არ არის, რომ ისინი აკრძალული იქნეს. ჩვენი მიზანია, რომ ისინი ნაკითხული იქნეს. მათი აკრძალვის რისკი დიდია.“

ამგვარად, განმცხადებლებმა უარი თქვეს მოთხოვნის შესრულებაზე და მათ, შესაბამისად, შეეფარდათ შედარებით მკაცრი პატიმრობა 1903 წლის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.

47. განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს თავიანთი სასჯელების შესახებ საჩივრების განმხილველ ოფიცერს, რომელმაც 19 ოქტომბერს დაადასტურა ეს სასჯელები, თუმცა ბ-ნი დონას საქმეში ოდნავ შეცვალა საფუძველები. მან უარყო განმცხადებელთა მტკიცებები, მათ შორის, კონვენციის მე-5, მე-6 და მე-10 მუხლებთან დაკავშირებული მტკიცებები. მე-5, მე-6 და მე-10 მუხლებთან დაკავშირებით მიუთითა უზენაესი სამხედრო სასამართლოს მიერ 1970 წლის 13 მაისს გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა აგრეთვე დააკონკრეტა, რომ განმცხადებლები უნდა დარჩენილიყვნენ დროებით პატიმრობაში 1903 წლის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.

48. განმცხადებლებმა აპელაციით მიმართეს უზენაეს სამხედრო სასამართლოს – ბ-ნმა შულმა 21 ოქტომბერს და ბ-ნმა დონამ მეორე დღეს, მიუთითებდნენ რა კონვენციის მე-5, მე-6 და მე-10 მუხლებზე.

1903 წლის კანონის 64-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელთა თანმიმდევრობითმა საჩივრებმა და აპელაციებმა შეაჩერა მათი დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა, მაგრამ არა დროებითი პატიმრობა (იხ. წინამდებარე განაჩენის 28-ე მუხლი).

1971 წლის 27 ოქტომბერს სასამართლომ ბრძანა განმცხადებლების გათავისუფლება მას შემდეგ, რაც მათ პირობა დადეს, რომ ცნობდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმის არსებითად განხილვის შესახებ, რომ მომავალშიც დაიცავდნენ მას და რომ მათ წინააღმდეგ სამართალწარმოების მიმდინარეობის განმავლობაში თავს შეიკავებდნენ ნებისმიერი საქმიანობისაგან ისეთი წერილობითი მასალების კომპილაციასა და გავრცელებასთან დაკავშირებით, რომელთა შინაარსიც შეუთავსებელი იქნებოდა სამხედრო დისციპლინასთან. განმცხადებლების მტკიცებით, ამგვარი ვალდებულება მათ ეკისრებოდათ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რამდენადაც არ არსებობდა სამართლებრივი მიმართვის არავითარი ხელმისაწვდომი საშუალება მათი დროებითი პატიმრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ბ-ნი დე ვიტის მსგავსად, განმცხადებლებს სასამართლოში დახმარებას უნევედა რიგითი ეგენკამპი, თუმცა მას მხოლოდ მათი საქმეების სამართლებრივი ასპექტების წარმოება შეეძლო (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 41-42).

49. 1971 წლის 17 ნოემბერს უზენაესმა სამხედრო სასამართლომ დაადასტურა ბ-ნი დონას დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა სამი თვით, ბ-ნი შულის გადაცემა ოთხიდან სამ თვემდე შეამცირა და ორივე საქმეში უმნიშვნელოდ შეცვალა სასჯელების საფუძველები. სასამართლომ განმცხადებლების მტკიცებები უარყო დაუსაბუთებლობის საფუძველზე. ორივე საქმეში მიუთითა რა მათ ადრინდელ საქციელსა და ბრალდებებზე, სასამართლო კვლავაც იხსენიებს, რომ ისინი ადრეც მონაწილეობდნენ იმ ნაწერების გამოქვეყნებასა და გავრცელებაში, რომ-

ლებიც აკრძალული იყო 1967 წლის 21 დეკემბრის დადგენილების (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 44-45) საფუძველზე. სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ფაქტორები მათ ზოგად საქციელზე მიუთითებდა.

შემდეგ სასამართლომ განიხილა განმცხადებლების მტკიცებები კონვენციის მე-5, მე-6 და მე-10 მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე უარყო.

მე-5 მუხლთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა, რომ დისციპლინურ განყოფილებაში მსახურობის ვალდებულება არ წარმოადგენდა „თავისუფლების აღკვეთას“. პირიქით, მიიღო რა ბ-ნი ენგელის აპელაციაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 36) გამოტანილი გადანყვეტილების მოტივაცია, სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული სასჯელები გამართლებული იყო მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის შესაბამისად.

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საკითხთან მიმართებაში სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ დისციპლინური სამართალწარმოება უურნალ *Alarm*-ის გამოცემასთან დაკავშირებით არ ეხებოდა არც „სამოქალაქო უფლებების“ განსაზღვრას, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, და არც „რაიმე სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“; ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ თავის გადანყვეტილებას საფუძვლად დაუდო ბ-ნი ვან დერ ვიელის აპელაციაზე გამოტანილი გადანყვეტილების მოტივაცია (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 39).

განმცხადებლები ასევე ჩიოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები წარმოადგენდა მათი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ამ თვალსაზრისით სასამართლო დაეყრდნო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს; მისი აზრით, გასაჩივრებული შეზღუდვები აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში უნესრიგობის თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 147-ე მუხლით რეგულირებული სფეროს ფარგლებში.

და ბოლოს, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი დროებითი პატიმრობა შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტთან და ამ თვალსაზრისით მოითხოვდნენ კომპენსაციას კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. სასამართლომ დაადგინა, რომ მას არ ჰქონდა ამგვარი საჩივრის განხილვისა და გადანყვეტის კომპეტენცია.

50. სააპელაციო საჩივრების უარყოფიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბ-ნი დონა და ბ-ნი შული გაგზავნილი იქნენ დისციპლინურ ყაზარმებში (*Depot voor Discipline*) ნიუვერსლუისში სასჯელის მოხდის მიზნით. პირველი თვის განმავლობაში მათ არ ჰქონდათ ამ დანესებულების დატოვების ნება; უფრო მეტიც, ლამის განმავლობაში ორივე ჩაკეტილი იყო საკანში.

51. ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტების გარდა, ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას მთავრობასა და *V.V.D.M.*-ს შორის. მაგალითად, 1971 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ერმე-

ლოში ჩატარდა წინამდებარე განაჩენის 43-ე პუნქტში ხსენებული დემონსტრაცია. განმცხადებლებმა იმ ფაქტზეც მიუთითეს, რომ სასჯელის შეფარდებად, კერძოდ, 1971 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე, თავდაცვის მინისტრმა მიიღო განკარგულებები V.V.D.M.-ის პუბლიკაციების აკრძალვის შესახებ. უფრო მეტიც, სხვა სამხედრო მოსამსახურეები, როგორცაა ასოციაციის სექციური ჟურნალების რედაქტორები, დასჯილი იქნენ სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით – შედარებით მკაცრი პატიმრობით, ჯარიმით, ერთ შემთხვევაში კი – სამხედრო პატიმრობით (სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი) – იმ პუბლიკაციების დანერისა და გავრცელებისათვის, რომლებიც, როგორც მიჩნეული იქნა, ძირს უთხრიდა სამხედრო დისციპლინას სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 147-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

1971 წლის 19 ნოემბერს მიღებული მინისტრის ინსტრუქციის შემდეგ და, ამგვარად, გასაჩივრებული ღონისძიებების შედეგად ყველა შემთხვევა, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 147-ე მუხლის დარღვევას, გადაეცა სისხლის სამართლის სამხედრო სასამართლოებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14) და არა დისციპლინურ ხელისუფლებას. 1967 წლის 21 დეკემბრის „ნაწერების გავრცელების შესახებ დადგენილება“, რომელზეც წინამდებარე განაჩენის 43-ე პუნქტში იყო ლაპარაკი, 1971 წლის 26 ნოემბერს გაუქმდა.

საქმის წარმოება კომისიაში

52. განაცხადები კომისიას შეტანილი იქნა ბ-ნი ენგელის მიერ 1971 წლის 6 ივლისს, ბ-ნი ვან დერ ვიელისა და ბ-ნი დე ვიტის მიერ – 1971 წლის 31 მაისს, ბ-ნი დონას მიერ – 19 დეკემბერს და ბ-ნი შულის მიერ – 1971 წლის 29 დეკემბერს. 1972 წლის 10 თებერვალს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განაცხადების გაერთიანების შესახებ იმ დროისათვის მოქმედი კომისიის რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად.

ყველა განმცხადებელი ჩიოდა, რომ მათზე დაკისრებული სასჯელები წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 მუხლის სანაღმდეგოდ, რომ სამართალწარმოება სამხედრო ხელისუფლებისა და უზენაესი სამხედრო სასამართლოს წინაშე არ იყო შესაბამისობაში მე-6 მუხლის მოთხოვნებთან, რომ მოპყრობის ხასიათი იყო დისკრიმინაციული და წარმოადგენდა მე-14 მუხლის დარღვევას მე-5 და მე-6 მუხლებთან მიმართებაში.

ბ-ნი ენგელი აგრეთვე ამტკიცებდა მე-5 მუხლის დარღვევას მის დროებით პატიმრობასთან დაკავშირებით და მე-11 მუხლის დარღვევას მისი საქმის კონკრეტული ფაქტების გამო.

თავის მხრივ, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული ჩიოდნენ, რომ მათი დროებითი პატიმრობა წინააღმდეგობაში მოდიოდა მე-5 მუხლთან და რომ მათზე დაკისრებული სასჯელი იმ სტატიების გამოქვეყნებისა და გავცელებისათვის, რომლებიც სამხედრო დისციპლინისთვის ძირგამომთხრელად იქნა მიჩნეული, ეწინააღმდეგებოდა მე-10, მე-11, მე-14, მე-17 და მე-18 მუხლებს.

გარდა ამისა, ხუთივე განმცხადებელი ითხოვდა კომპენსაციას.

1972 წლის 17 ივლისს კომისიამ განაცხადები არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა იმ გამონაკლისის გარდა, რომ ბ-ნი ენგელის მიერ წარდგენილი საჩივარი მე-11 მუხლთან მიმართებაში უარყო დაუსაბუთებლობის საფუძველზე (27-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

მოპასუხე მთავრობის გარკვეული პრეტენზიის პასუხად საქმის არსებითად განხილვისას 1973 წლის 29 მაისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უარყოფდა 29-მუხლის შესაბამისად ბ-ნი ენგელის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის მიერ 1972 წლის 21 ივნისს თავიანთი განაცხადების მხარდასაჭერად წარდგენილი საჩივრების ორ ნაწილს.

53. კომისიამ 1974 წლის 19 ივლისს მოხსენებაში ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება:

- რომ სასჯელის შეფარდება მსუბუქი პატიმრობის სახით ბ-ნი ენგელისა და ბ-ნი ვან დერ ვიელის მიმართ არ წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას მე-5 მუხლის მნიშვნელობით (თერთმეტი ხმა, ერთმა თავი შეიკავა);
- რომ სხვა დისციპლინური სასჯელები, რომლებსაც ასაჩივრებდნენ ბ-ნი დე ვიტი, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული, წარმოადგენდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რამდენადაც ამ დებულების არც ერთი ქვეპუნქტი არ ამართლებს მათ (უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე კენჭისყრა არაერთხელ შედგა და დასკვნა მიღებული იქნა ხმათა სხვადასხვა უმრავლესობით);
- რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას, რამდენადაც ზემოხსენებული ოთხი განმცხადებლის აპელაციები იმავე სასჯელებთან დაკავშირებით არ „გადაწყდა სწრაფად“ (თერთმეტი ხმა, ერთმა თავი შეიკავა);
- რომ ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობა 1903 წლის კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, თავის მხრივ, ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს, რამდენადაც იგი გადასცილდა ხსენებული კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადას (თერთმეტი ხმა, ერთმა წევრმა თავი შეიკავა);
- რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენებოდა არც ერთი ზემოხსენებული დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ (ათი ხმა ერთის წინააღმდეგ, ერთმა წევრმა თავის შეიკავა);
- რომ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში არ დადგინდა არც

კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა მათ წინასწარი პატიმრობასთან დაკავშირებით (1903 წლის კანონის მე-20 მუხლი) და არც კონვენციის მე-10, მე-11, მე-17 ან მე-18 მუხლების დარღვევა (უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე კენჭისყრა არაერთხელ შედგა და დასკვნა მიღებული იქნა ხმათა სხვადასხვა უმრავლესობით);

- რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მე-14 მუხლის დარღვევას მე-5, მე-6, მე-10 ან მე-11 მუხლებთან მიმართებაში (უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე კენჭისყრა არაერთხელ შედგა და დასკვნა მიღებული იქნა ხმათა სხვადასხვა უმრავლესობით).

მოსხენებას თან ერთვის ხუთი განსხვავებული აზრი.

სამართალი

54. როგორც მთავრობის, კომისიისა და განმცხადებლების მოსაზრებები დაემთხვა ერთმანეთს, კონვენცია პრინციპში გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო პირების, არამედ შეიარაღებული ძალების წევრების მიმართაც. 1-ლ და მე-14 მუხლებში დაკონკრეტებულია, რომ ხელშემკვრელი მხარეები „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში“ ყველასათვის „დისკრიმინაციის გარეშე“ უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-4 მუხლის მე-3 (ბ) პუნქტი სამხედრო სამსახურს ათავისუფლებს იძულებითი ან სავალდებულო შრომის წინააღმდეგ აკრძალვისაგან, შემდგომში ადასტურებს, რომ, ზოგადი წესის თანახმად, კონვენციის გარანტიები ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე. იგივე ეხება მე-11 მუხლის მე-2 პუნქტს *in fine*, რომელიც ნებას რთავს სახელმწიფოებს, დაანეხონ სპეციალური შეზღუდვები შეიარაღებული ძალების წევრების შეკრებისა და გაერთიანების უფლების განხორციელებაზე.

მიუხედავად ამისა, ხსენებულ საქმეში კონვენციის ინტერპრეტაციისა და გამოყენების დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს სამხედრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და მისი შედეგები შეიარაღებული ძალების თითოეული წევრის მდგომარეობაზე.

55. დადგინდა რა ეს წინასწარი საკითხები, სასამართლო თანამიმდევრობით, მუხლობრივად განიხილავს ხუთივე განმცხადებლის ან ზოგიერთი მათგანის მიერ წამოჭრილ თითოეულ საჩივარს.

1. მე-5 მუხლის საკარაუდო დარღვევა

ა. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საკარაუდო დარღვევა

56. ყველა განმცხადებელი ამტკიცებს, რომ დისციპლინური სასჯელი თუ სასჯელები, მათ წინააღმდეგ მიღებული ზომა თუ ზომები ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომლის თანახმად:

„ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

- ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ ადამიანის კანონიერი დაპატიმრება;
- ბ) ადამიანის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადანყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- გ) ადამიანის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად აუცილებლად არის მიჩნეული, ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდეგ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;
- დ) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი გადანყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით;
- ე) ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ადამიანების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მანანნალების კანონიერი დაკავება;
- ვ) ადამიანის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან კანონიერი დაკავება თუ დაპატიმრება იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.“

1. თავისუფლების უფლება სამხედრო სამსახურის კონტექსტში

57. კონვენციის შემუშავებისა და შემდგომი სრულყოფისას ხელშემკვრელ მხარეთა უმრავლესობას ჰყავდა თავდაცვის ძალები და, შესაბამის-

სად, ჰქონდა სამხედრო დისციპლინის სისტემა, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობდა შეიარაღებული ძალების წევრების მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებზე შეზღუდვების დანესების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელი იყო სამოქალაქო პირების მიმართ. ამგვარი სისტემის არსებობა, რომელიც ამ სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს იმ დროიდან მოყოლებული, თავისთავად არ ეწინააღმდეგება მათ ვალდებულებებს.

მიუხედავად ამისა, სამხედრო დისციპლინა არ ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროს გარეთ. აღნიშნული დებულება არ უნდა იქნეს წაკითხული მხოლოდ 1-ლი და მე-14 მუხლების კონტექსტში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 54), არამედ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები კონვენციაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი, როგორც ეს ნაჩვენებია სიტყვებით „გარდა შემდგომი შემთხვევებისა“. დისციპლინური სასჯელი ან ღონისძიება შეიძლება შედეგობრივი თვალსაზრისით წარმოადგენდეს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. უფრო მეტიც, მთავრობა აღიარებს ამას.

58. „თავისუფლების უფლების“ ცნებაში მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს პიროვნულ თავისუფლებას კლასიკური გაგებით, ანუ ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას. იგი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს, რომ არავის წაერთვას თავისუფლება თვითნებური გზით. როგორც მთავრობა და კომისია მიუთითებდნენ, იგი არ გულისხმობს უბრალოდ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი). ეს აშკარად გამომდინარეობს ტერმინებიდან: „თავისუფლების აღკვეთა“, „დაკავება“ და „დაპატიმრება“, რომლებიც ასევე ნახსენებია მე-2-მე-5 პუნქტებში, და კონვენციის მე-5 მუხლის და სხვა ნორმატიული დებულებებისა და ოქმების შედარებიდან.

59. იმის განსაზღვრისას, აღეკვეთა თუ არა ადამიანს თავისუფლება მე-5 მუხლის მნიშვნელობით, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული სიტუაცია. სამხედრო სამსახური, როგორც ამას ვხვდებით ხელშემკრელ სახელმწიფოებში, თავისთავად არ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას კონვენციის შესაბამისად, რამდენადაც აშკარად არის სანქცირებული მე-4 მუხლის მე-3 (ბ) პუნქტში. გარდა ამისა, სამხედრო სამსახურის სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიარაღებული ძალების წევრების გადაადგილების თავისუფლებაზე უფრო ფართო შეზღუდვები არის დანესებული. ამდენად, არც მისი თანამდევი ჩვეულებრივი შეზღუდვები ხვდება მე-5 მუხლის ფარგლებში.

თითოეული სახელმწიფო უფლებამოსილია, თავად ჩამოაყალიბოს სამხედრო დისციპლინის თავისი სისტემა. ამ საკითხში ისინი სარგებლობენ შეფასების გარკვეული ზღვრით. ზღვარი, რომელსაც მე-5 მუხლის მოთხოვნით არ უნდა გადააჭარბოს სახელმწიფომ, არ არის იდენტური სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირებისათვის. დისციპლინურ

სასჯელს ან ღონისძიებას, რომელიც საქმის განხილვისას უეჭველად ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთად, თუ გამოყენებული იქნება სამოქალაქო პირის მიმართ, არ ექნება მსგავსი შინაარსი სამხედრო მოსამსახურესთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ეს სასჯელი არ სცდება მე-5 მუხლის ფარგლებს, როდესაც იგი იმგვარი შეზღუდვების სახით ხორციელდება, რომლებიც აშკარად განსხვავდება ცხოვრების ნორმალური პირობებისაგან ხელშემკერელი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში. ამის დასადაგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი რიგი ისეთი ფაქტორებისა, როგორიცაა: სასჯელის ან ღონისძიების აღსრულების ხასიათი, ხანგრძლივობა, შედეგები და მეთოდი.

2. წინამდებარე საქმეში თავისუფლების აღკვეთის არსებობა

60. სწორედ ზემოხსენებული წინაპირობების საფუძველზე განიხილავს სასამართლო, ჰქონდა თუ არა ადგილი აღნიშნულ საქმეში თავისუფლების აღკვეთას ერთ ან მეტ შემთხვევაში. მთავრობის მიერ წარდგენილ მთავარ მტკიცებულებაში საკითხი ითხოვს უარყოფით პასუხს ყველა გასაჩივრებულ სასჯელსა და ღონისძიებასთან მიმართებაში (მიმოხილვის პუნქტები 15-19 და ზეპირი არგუმენტები), მაშინ, როდესაც, კომისიის აზრით, მხოლოდ მსუბუქი პატიმრობა არ იწვევს პრობლემას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად (მოხსენების პუნქტები 67-76).

61. თავისუფლების აღკვეთას არ ჰქონია ადგილი ბ-ნი ენგელის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 34-36) და ბ-ნი ვან დერ ვიელის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 37-39) წინააღმდეგ სამ- და ოთხდღიანი მსუბუქი პატიმრობის შემთხვევაში. თუმცა ისინი არასამუშაო საათებში დააკავეს მათ საცხოვრებელ ადგილებზე ან სამხედრო შენობებსა თუ ნაგებობებში, გარემოებებისდა მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ექვემდებარებიან ამგვარ სასჯელს, არ არიან ჩაკეტილები და შეუძლიათ, გააგრძელონ თავიანთი ვალდებულებების შესრულება (1903 წლის კანონის მე-8 მუხლი და წინამდებარე განაჩენის პუნქტი 18). ისინი მეტ-ნაკლებად რჩებიან სამხედრო ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში.

62. შედარებით მკაცრი პატიმრობა განსხვავდება მსუბუქი პატიმრობისაგან მხოლოდ ერთ საკითხში: არასამუშაო საათებში ჯარისკაცები სასჯელს იხდიან სპეციალურად განკუთვნილ ადგილას, რომლის დატოვებაც მათ არ შეუძლიათ კინოში, სასადილოში ან სხვა დასასვენებელ დაწესებულებებში წასვლის მიზნით, მაგრამ ისინი არ არიან ჩაკეტილები (1903 წლის კანონის მე-9-ბ მუხლი და წინამდებარე განაჩენის პუნქტი 19). შესაბამისად, არც სასამართლო არ თვლის, რომ თორმეტდღიანი შედარებით მკაცრი პატიმრობა, რასაც ასაჩივრებს ბ-ნი დე ვიტი (ზემოხსენებული პუნქტი 41), წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას.

63. მკაცრი პატიმრობა, რომელიც გაუქმდა 1974 წელს, იმით განსხვავდებოდა მსუბუქი და შედარებით მკაცრი პატიმრობისაგან, რომ თადარიგის ოფიცრები და ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები მისი მოხდისას დღედაღამ საკანში იყვნენ ჩაკეტილები და, შესაბამისად, ჩამოცილებულნი იყვნენ თავიანთი ჩვეულებრივი ვალდებულებების შესრულებას (1903 წლის კანონის მე-9-ბ მუხლი და წინამდებარე განაჩენის პუნქტი 20). ამგვარად, მკაცრი პატიმრობა წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას. აქედან გამომდინარე, დროებით პატიმრობას, რომელიც დაეკისრა ბ-ნი ენგელს მკაცრი პატიმრობის სახით (1903 წლის კანონის 44-ე მუხლი და წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26, 34 და 35), მოკლე ხანგრძლივობის (1971 წლის 20-22 მარტი) მიუხედავად, იგივე ხასიათი ჰქონდა.

64. დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა, რომელიც ამგვარადვე გაუქმდა 1974 წელს, მაგრამ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის მიმართ გამოყენებული იქნა 1971 წელს, წარმოადგენდა ყველაზე მკაცრ სასჯელს ნიდერლანდების სამხედრო კანონმდებლობის შესაბამისად. რიგითები, რომლებსაც ეკისრებოდათ აღნიშნული სასჯელი დისციპლინური სამართალწარმოების წესით, არ იყვნენ განცალკევებულნი მათგან, რომლებსაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით ჰქონდათ შეფარდებული აღნიშნული ღონისძიება და ერთი ან მეტი თვის განმავლობაში არ შეეძლოთ დანესებულების დატოვება. გადაცემა გრძელდებოდა სამიდან ექვს თვემდე: ეს გაცილებით უფრო ხანგრძლივი იყო ვიდრე სხვა სასჯელები, მათ შორის, მკაცრი პატიმრობა, რომლის შეფარდებაც შეიძლებოდა ერთიდან თოთხმეტ დღემდე. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული ღამით ჩაკეტილები იყვნენ საკანში (1903 წლის კანონის მე-5, მე-18 და მე-19 მუხლები, 1971 წლის 14 ივნისის სამეფო დეკრეტი და ზემოხსენებული პუნქტები 21 და 50). ამ სხვადასხვა მიზეზის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ გარემოებებში ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთას.

65. იგივე არ ითქმის იმ ღონისძიებაზე, რომელიც გამოყენებული იქნა 1971 წლის 8 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემამდე, რამდენადაც ბ-ნმა დონამ და ბ-ნმა შულმა დროებითი პატიმრობა შედარებით მკაცრი პატიმრობის სახით მოიხადეს (1903 წლის კანონის მე-20 მუხლი და წინამდებარე განაჩენის პუნქტები 22, 46, 48 და 62).

66. ამგვარად, სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ არც ბ-ნი ენგელისა და ბ-ნი ვან დერ ვიელის მსუბუქი პატიმრობა, არც ბ-ნი დე ვიტის შედარებით მკაცრი პატიმრობა, არც ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დროებითი პატიმრობა არ მოითხოვს უფრო დანერვილებით განხილვას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

1971 წლის 7 აპრილს ბ-ნი ენგელისათვის დაკისრებული ორდღიანი მკაცრი პატიმრობა, რაც უზენაესმა სამხედრო სასამართლომ 1971 წლის

23 ივნისს დაადასტურა, პრაქტიკულად გაუთანაბრდა წინა ღონისძიებას: ჩაითვალა, რომ იგი მოხდელი იქნა მანამდე, ანუ 1971 წლის 20-დან 22 მარტამდე განმცხადებლის დროებითი პატიმრობის დროს (წინამდებარე განაჩენის პუნქტები 34-36, მესამე სასჯელი).

მეორე მხრივ, სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამებოდა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის ბოლოს ნახსენები დროებითი პატიმრობა, ისევე როგორც დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა.

3. აღნიშნულ საქმეში დადგენილი თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტთან

67. ამის საპირისპიროდ მთავრობა ამტკიცებდა, რომ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა და წინასწარი დაკავება აკმაყოფილებდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტისა და (ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნებს; მთავრობა არ შეხებია (გ)-დან (ვ)-მდე ქვეპუნქტებს.

68. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი დასაშვებად მიიჩნევს „კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ პირის კანონიერ დაპატიმრებას“.

სასამართლო, ისევე, როგორც მთავრობა (1975 წლის 29 ოქტომბრის მოსმენა), აღნიშნავს, რომ ხსენებული დებულება არ განასხვავებს სამართალდარღვევას, რომლის ჩადენაშიც ადამიანს ედება ბრალი, სამართლებრივი ხასიათის საფუძველზე. იგი გამოიყენება ნებისმიერი „მსჯავრდების“ მიმართ, რომელიც იწვევს თავისუფლების აღკვეთას „სასამართლოს“ მიერ იმისდა მიუხედავად, სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად მსჯავრდება სისხლისსამართლებრივად იქნება კვალიფიცირებული თუ დისციპლინურად.

ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულს ნამდვილად აღეკვეთათ თავისუფლება უზენაესი სამხედრო სასამართლოს მიერ მსჯავრდების „შემდეგ“. 1903 წლის კანონის 64-ე მუხლი ითვალისწინებდა ნაწილის მეთაურის (1971 წლის 8 ოქტომბერი) და საჩივრების განმხილველი ოფიცრის (1971 წლის 19 ოქტომბერი) გადანყევტილების გასაჩივრებამდე შემაჩერებელ ეფექტს. ეს ფაქტი კომისიას ამკარად გამორჩა მხედველობიდან (მოხსენების პუნქტი 85 და IV დანართი), მაგრამ სწორედ მასზე გაამახვილა ყურადღება მთავრობამ (მიმოხილვის პუნქტი 21). შესაბამისად, მათი [განმცხადებლების] გადაცემა დისციპლინური ყაზარმებისათვის ნიუჯერსლუისში განხორციელდა მხოლოდ 1971 წლის 17 ნოემბერს დაკისრებული საბოლოო სასჯელის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 28, 48 და 50).

უნდა დადგინდეს, რომ ხსენებული სასჯელები მიღებული იქნა „კომპეტენტური სასამართლოს“ მიერ მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მნიშვნელობისათვის.

უზენაესი სამხედრო სასამართლო, რომლის იურისდიქცია საერთოდ არ ყოფილა გასაჩივრებული, წარმოადგენს სასამართლოს ორგანიზაციული თვალსაზრისით. უეჭველია, რომ მისი ოთხი სამხედრო ნევრი არ არის შეუცვლელი კანონმდებლობით, მაგრამ, ორი სამოქალაქო ნევრის მსგავსად, ისინი სარგებლობენ დამოუკიდებლობით, რაც ახასიათებს „სასამართლოს“ კონვენციის გაგებით (*De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A № 12, გვ. 41, პუნქტი 78, და წინამდებარე განაჩენის პუნქტი 30).

უფრო მეტიც, საქმის მასალებიდან არ ჩანს (წინამდებარე განაჩენის პუნქტები 31-32 და 48-49), რომ ბ-ნმა დონამ და ბ-ნმა შულმა ვერ შეძლეს უზენაეს სამხედრო სასამართლოში ადეკვატური სასამართლო გარანტიებით სარგებლობა მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის, ავტონომიური დებულების, შესაბამისად, რომლის მოთხოვნები ყოველთვის თანაბრად არ ვრცელდება მე-6 მუხლის მოთხოვნებთან ერთად. გარანტიები, რომლებიც მიეცა ორ განმცხადებელს, თავისთავად აჩვენებს, რომ „ადეკვატურია“ მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მიზნებისათვის, თუ მხედველობაში იქნება მიღებული „იმ გარემოებების განსაკუთრებული ხასიათი“, რომელთა თანახმადაც ხორციელდება სამართალწარმოება (ზემოხსენებული 1971 წლის 18 ივნისის განაჩენი, სერია A № 12, გვ. 41-42, პუნქტი 78). რაც შეეხება მე-6 მუხლს, სასამართლო ქვემოთ განიხილავს, უნდა ყოფილიყო თუ არა იგი გამოყენებული აღნიშნულ საქმეზე და დაცული იქნა თუ არა იგი.

და ბოლოს, სასჯელი შეფარდებული, შემდეგ კი აღსრულებული იქნა „კანონიერად“ და „კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად“. იგი არ ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.

69. თავის მხრივ, ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობა აშკარად არ ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლებში.

მთავრობა თავის არგუმენტს ასაბუთებდა (ბ) ქვეპუნქტით, რამდენადაც ეს უკანასკნელი დასაშვებად მიიჩნევს „კანონიერ დაკავებას ან დაპატიმრებას“, რომელიც მიმართულია „კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სიტყვები „კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“ ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც კანონმდებლობა უშვებს პატიმრობას, რათა პირს მოსთხოვოს სპეციფიკური და კონკრეტული ვალდებულების შესრულება, რომელიც მან არ შეასრულა. ფართო ინტერპრეტაცია გამოიწვევდა შედეგებს, რომლებიც შეუთავსებელი იქნებოდა კანონის უზენაესობის პრინციპთან, რომელსაც ეფუძნება მთლიანი კონვენცია (*Goldner*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1975 წლის 21 თებერვალი, სერია A № 18, გვ. 16-17, პუნქტი 34). ეს გაამართლებდა, მაგალითად, ადმინისტრაციულ ინტერნირებას, რომელიც ნიშნავს მოქალაქის იძულებას, შეასრულოს კანონისადმი მორჩილების მისი ზოგადი ვალდებულება.

ფაქტობრივად, ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობა არანაირად არ ისახავდა მიზნად მომავალში ამგვარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას. 1903 წლის კანონის 44-ე მუხლი, რომელიც გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც ოფიცერს ჰქონდა „საკმარისი საფუძველი, ეფიქრა, რომ დაქვემდებარებულმა პირმა ჩაიდინა სერიოზული სამართალდარღვევა სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ“, ეხება წარსულ საქციელს. ამდენად, აღნიშნული სანქციონებული ღონისძიება არის სამხედრო დისციპლინური სამართალწარმოების მოსამზადებელი ეტაპი და, ამგვარად, აქვს დამსჯელი კონტექსტი. შესაძლებელია, დროდადრო აღნიშნულ ღონისძიებას ჰქონდეს შემთხვევითი მიზანი ან ეფექტი (აიძულოს შეიარაღებული ძალების წევრი, კონკრეტული მომენტის შემდეგ შეასრულოს თავისი ვალდებულებები), მაგრამ ხსენებულის მოხვედრება (ბ) ქვეპუნქტის ფარგლებში ძნელად თუ არის შესაძლებელი. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევას ექნება ადგილი, აღნიშნული ქვეპუნქტი შესაძლებელია აგრეთვე გავრცელდეს სასჯელებზე *stricto sensu*, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მათი პრევენციული ხასიათის საფუძველზე. ეს ჩამოაშორებდა ამგვარ სასჯელებს (ა) ქვეპუნქტის ფუნდამენტურ გარანტიებს.

ხსენებული ღონისძიება უფრო მეტად ჰგავს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტში განვითარებულ აზრს. თუმცა აღნიშნულ საქმეში არ იქნა შესრულებული ამ დებულების ერთ-ერთი მოთხოვნა, რამდენადაც ბ-ნი ენგელის პატიმრობა 20-დან 22 მარტამდე „არ განხორციელებულა კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით“ (კომისიის მოხსენება, პუნქტები 86-88).

არც ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობა იყო „კანონიერი“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, ვინაიდან იგი, 1975 წლის 28 ოქტომბერის მოსმენაზე წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ოცდაორიდან ოცდაათ საათამდე აღემატებოდა 1903 წლის კანონის 45-ე მუხლით დადგენილ ოცდაოთხსაათიან მაქსიმალურ ვადას.

მთავრობის მტკიცებით, საჩივრების განხილველმა ოფიცერმა გამოასწორა ეს დარღვევა მას შემდეგ, რაც წინასწარ მოხდილად ჩაუთვალა დისციპლინური სასჯელი ორი დღით – 1971 წლის 20-დან 22 მარტამდე – მკაცრი პატიმრობის სახით, რომელიც მან შეუფარდა განმცხადებელს 1971 წლის 5 აპრილს და რომელიც დაადასტურა უზენაესმა სამხედრო სასამართლომ 1971 წლის 23 ივნისს. თუმცა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ჩანს, რომ წინასწარი პატიმრობის (*Untersuchungshaft*) ჩათვლა უკანასკნელი სასჯელის ნაწილად არ გამორიცხავს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, მაგრამ მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მხოლოდ 50-ე მუხლზე იმ საფუძველზე, რომ მიყენებული ზიანი შეზღუდულია (*Stögmüller*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1969 წლის 10 ნოემბერი, სერია A №9, გვ. 27, 36 და 39-45; *Ringelsen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენები, 1971 წლის 16 ივლისი და 1972 წლის 22 ივნისი, სერია

A №13, გვ. 20 და 41-45, და №15, გვ. 8, პუნქტი 21; *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1974 წლის 7 მაისი, სერია A №17, გვ. 18-19, პუნქტები 40-41). ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტთან შესაბამისობის შეფასებისას სასამართლო ვერ ხედავს ვერავითარ საფუძველს განსხვავებული გადაწყვეტილების მისაღებად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთა 1971 წლის 20-დან 22 მარტამდე განხორციელდა ხსენებულ პუნქტთან შეუთავსებელ პირობებში.

ბ. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

70. განმცხადებელთა მტკიცებით, გასაჩივრებული სასჯელები და ღონისძიებები აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს მე-14 მუხლთან მიმართებაში. უკანასკნელი მუხლის თანახმად:

„კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერ ისეთ საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება თუ სხვა სტატუსი“.

71. რამდენადაც ზოგიერთი აღნიშნული სასჯელი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 61, 62 და 65), მათთან მიმართებაში შესაძლო დისკრიმინაცია არ წამოჭრის პრობლემას მე-14 მუხლის შესაბამისად და არ ახდენს ზეგავლენას მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული უფლების განხორციელებაზე. ეს არ ვრცელდება ბ-ნი ენგელის წინასწარ დაკავებაზე, არც ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 63 და 64).

72. პირველ რიგში, ბ-ნი ენგელი, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული ჩიოდნენ სამხედრო მოსამსახურეების მიმართ მოპყრობას შორის არსებულ განსხვავებებზე. 1903 წლის კანონის მე-10 და 44-ე მუხლების შესაბამისად, დროებით პატიმრობას მკაცრი პატიმრობის სახით ოფიცრები იხდიდნენ თავიანთ სახლებში, სასადილოში ან შტაბში მაშინ, როდესაც თადარიგის ოფიცრები და ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეები საკანში იყვნენ ჩაკეტილები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 20). რაც შეეხება დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემას, მხოლოდ რიგითები ექვემდებარებოდნენ ამ სასჯელს (1903 წლის კანონის მე-3-მე-5 მუხლები და წინამდებარე განაჩენის პუნქტები 16 და 21).

განსხვავება, რომელიც ეფუძნებოდა წოდებას, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მე-14 მუხლს. ამ დებულების ჩამონათვალი არის საილუსტრაცია

ციო და არა ამომწურავი, რაც ჩანს სიტყვებით: „ნებისმიერ ისეთ საფუძველზე, როგორცაა“ (ფრანგულ ტექსტში *notamment*). გარდა ამისა, სიტყვა „სიტუატი“ (ფრანგულ ტექსტში *situation*) საკმარისად ფართოა, რომ ეხებოდეს ნოდებასაც. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისით განსხვავება, რომელიც ეხება სასჯელის ან ღონისძიების აღსრულების მანერას თავისუფლების აღკვეთის დროს, არ ხვდება მე-14 მუხლის ფარგლებს გარეთ, რამდენადაც ამგვარ განსხვავებას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს იმ საშუალებაზე, რომლითაც „ხორციელდება“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლების „უზრუნველყოფა“. სასამართლო აღნიშნულ ორ საკითხზე არ ეთანხმება მთავრობის მტკიცებებს (კომისიის მოხსენების პუნქტი 40, პირველი ქვეპუნქტი), იგი გამოხატავს თავის თანხმობას კომისიასთან (იქვე, პუნქტები 133-134).

სასამართლოსათვის არ არის უცნობი, რომ მთელი რიგი ხელშემკვრელი სახელმწიფოების შესაბამისი კანონმდებლობა ვითარდება, თუმცა სხვადასხვა ხარისხით, რათა მიღწეული იქნეს უფრო მეტი თანასწორობა ოფიცრებს, თადარიგის ოფიცრებსა და ჩვეულებრივ ოფიცრებს შორის დისციპლინურ სფეროში. ნიდერლანდების 1974 წლის 12 სექტემბრის კანონი წარმოადგენს ამ ტენდენციის შესანიშნავ მაგალითს. კერძოდ, მკაცრი პატიმრობისა და დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის გაუქმებით ეს კანონი ამიერიდან ბოლოს უღებს ბ-ნი ენგელის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის მიერ გაკრიტიკებულ განსხვავებებს.

იმისათვის, რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ხსენებული განსხვავებები დისკრიმინაციას ერთად აღებული მე-5 და მე-14 მუხლების საწინააღმდეგოდ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მომენტი, როდესაც ისინი არსებობდნენ. სასამართლო განიხილავს აღნიშნულ საკითხს 1968 წლის 23 ივლისის *Belgian Linguistic*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენის კუთხით (სერია A №6, გვ. 33-35, პუნქტები 9-10).

ჯარისათვის დამახასიათებელი იერარქიული სტრუქტურა ინვეს დიფერენციაციას ნოდებების მიხედვით. სხვადასხვა ნოდების შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდება პასუხისმგებლობებიც, რომლებიც, თავის მხრივ, ამართლებს დისციპლინურ სფეროში მოპყრობას შორის გარკვეულ უთანასწორობას. ამგვარი უთანასწორობა ტრადიციულად გვხვდება ხელშემკვრელ სახელმწიფოებში და მას უშვებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (კომისიის მოხსენება, პუნქტი 40: ყენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ). ამ თვალსაზრისით, ევროპული კონვენცია ეროვნულ ხელისუფლებას აძლევს შეფასების მნიშვნელოვან თავისუფლებას.

შესაბამის დროს სამი განმცხადებლის მიერ გაკრიტიკებულ განსხვავებებს თავიანთი სამართლებრივი ეკვივალენტი შქონდათ პრაქტიკულად თითქმის ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდა სამართლებრივ სისტემაში. ეფუძნებოდა რა თავისთავად ობიექტიურ ელემენტს – ნოდებას,

აღნიშნული განსხვავებები შეიძლებოდა ნაკარნახევი ყოფილიყო კანონიერი მიზნით, კერძოდ, დისციპლინის შენარჩუნებით თითოეული კატეგორიის სამხედრო მოსამსახურისათვის შესაფერისი მეთოდებით. მართალია, მხოლოდ რიგითებს ემუქრებოდათ დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა, მაგრამ ისინი აშკარად არ ექვემდებარებოდნენ მძიმე სასჯელებს, რაც ემუქრებოდათ შეიარაღებული ძალების სხვა წევრებს, კერძოდ, ნოდების შემცირებას. რაც შეეხება მკაცრი პატიმრობის დროს საკანში მოთავსებას, ნიდერლანდების კანონმდებელს შესაძლოა ჰქონოდა საკმარისი საფუძველი, არ გამოეყენებინა იგი ოფიცრების მიმართ. მთლიანობაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ ჩანდა, რომ კანონმდებელმა ბოროტად გამოიყენა კონვენციით მინიჭებული თავისუფლება. უფრო მეტიც, სასამართლო არ თვლის, რომ პროპორციულობის პრინციპი, როგორც ის განსაზღვრულია ხსენებულ 1968 წლის 23 ივლისის განაჩენში (სერია A №6, გვ. 34, პუნქტი 10, მეორე ქვეპუნქტი *in fine*), დარღვეული იქნა მოცემულ საქმეში.

73. მეორე რიგში, ბ-ნი ენგელი, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული პრეტენზიებს გამოთქვამენ სამხედრო მოსამსახურებისა და სამოქალაქო პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობის გამო. ფაქტობრივად, თვით სამოქალაქო პირებსაც, რომლებიც თავიანთი თანამდებობის გამო ექვემდებარებიან კონკრეტულ დისციპლინურ სისტემას, ნიდერლანდებში არ შეიძლება დაეკისროთ გასაჩივრებული თავისუფლების აღკვეთის ანალოგიური სასჯელები. თუმცა ეს არ წარმოადგენს რაიმე სახის დისკრიმინაციას, რაც შეუთავსებელია კონვენციასთან, სამხედრო ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნებთან, რომლებიც თავისი ხასიათით განსხვავდება სამოქალაქო ცხოვრების მოთხოვნებისაგან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 54 და 57).

74. ამგვარად, სასამართლომ არ დაადგინა ერთად აღებული მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-14 მუხლის დარღვევა.

ბ. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საპარაულდო დარღვევა

75. განმცხადებლები, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გარდა, მიუთითებდნენ მე-4 პუნქტზეც, რომელიც ითვალისწინებს:

„დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებააღკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

76. ეს საკითხი წამოიჭრება მხოლოდ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემასთან მიმართებაში. ბ-ნმა ენგელმა არც ფაქტობრივი გარემოებების ასპექტით წამოჭრა ეს საკითხი ნი-

ნასწარ დაკავებასთან დაკავშირებით; რაც შეეხება სხვა გასაჩივრებულ სას-
ჯელებსა თუ ღონისძიებებს, არავინ ყოფილა „დაკავებით ან დაპატიმრებით
თავისუფლებააღკვეთილი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 61-66).

77. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიხსენა, რომ ბ-ნი დონასა და ბ-ნი
შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა მოხდა კომპეტენ-
ტური სასამართლოს მიერ მსჯავრდებით, მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის
მნიშვნელობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 68). რამდენადაც „მე-5
მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს ხელშემკერველ სახელმწიფოებს, ხელ-
მისაწვდომი გახადონ ... სასამართლოსათვის მიმართვის უფლება“; როდე-
საც „გადანყვეტილებას პირის თავისუფლების აღკვეთის შესახებ იღებს
ადმინისტრაციული ორგანო“, „არაფერია მისათითებელი, რომ იგივე გამო-
იყენება მაშინ, როდესაც გადანყვეტილებას იღებს სასამართლო დახურულ
სასამართლო სხდომაზე“. „ამ უკანასკნელ შემთხვევაში“, მაგალითად, „რო-
დესაც სასჯელის სახით პატიმრობას უფარდებს „კომპეტენტური სასამარ-
თლოს მიერ მსჯავრდების“ შემდეგ (კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნ-
ქტი), „ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი,
გადანყვეტილებაში არის ჩართული“ (*De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე
გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვ. 40-41; პუნ-
ქტი 76). ამგვარად, სასამართლო, ისევე, როგორც მთავრობა (მიმოხილვის
21-ე პუნქტი), ასკვნის, რომ ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის
დარღვევას ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულთან მიმართებაში.

II. მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევები

ა. ცალკე აღებული მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

78. ხუთივე განმცხადებელი ამტკიცებს მე-6 მუხლის დარღვევას. ხსე-
ნებული მუხლი ითვალისწინებს:

„1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სის-
ხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება
კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს
მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო
გადანყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადო-
ებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინ-
ტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს
დაშვებული მთელ სასამართლო განხილვზე ან მის ნაწილზე, თუ ამას მო-
ითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების
დაცვა, ანდა თუ სასამართლოს შეხედულებით ეს სრულიად აუცილებელია,
ვინაიდან განსაკუთრებულ გარემოებებში საჯაროობა ზიანს მიაყენებდა
მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

- ა) დაუყოვნებლივ და დეტალურად ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე წაყენებული ბრალდების არსი და მიზეზი;
- ბ) მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად;
- გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს;
- დ) დაკითხოს ან დაიკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მონმეები და უზრუნველყოფილი იქნეს დაცვის მონმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მონმეთა თანაბარ პირობებში;
- ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო.“

79. მთავრობისა და კომისიის აზრით, ბ-ნი ენგელის, ბ-ნი ვან დერ ვიელის, ბ-ნი ვან დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოება არ ეხებოდა არც „სამოქალაქო უფლებებისა“ და არც „ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ განსაზღვრას.

ამგვარად, განიხილავს რა მე-6 მუხლის გამოყენების საკითხს მოცემულ საქმეში, სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა გამოიკვლიოს, ხსენებული სამართალწარმოებები ეხებოდა თუ არა „ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“ კონვენციის ტექსტის მნიშვნელობიდან გამომდინარე; რამდენადაც, მართალია, ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად ისინი დისციპლინურია, მაგრამ მიზნად ისახავდა, სასჯელების მეშვეობით აღეკვეთა სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენაშიც ბრალი ედებათ განმცხადებლებს – ეს ამოცანა კი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი მიზნის ანალოგიურია.

1. მე-6 მუხლის გამოყენება

(ა) „ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ არსებობა

80. ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო განასხვავებს ერთმანეთისაგან, თუმცა სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით, დისციპლინურ სამართალწარმოებასა და სისხლის სამართალწარმოებას. პირველი, ჩვეულებ-

რივ, დაზარებული პირებისათვის ითვალისწინებს არსებით უპირატესობებს უკანასკნელთან შედარებით, მაგალითად, როდესაც საქმე დაკისრებულ სასჯელებს ეხება. დისციპლინური სასჯელები, ძირითადად, ნაკლებად მკაცრი, არ აისახება პირის სისხლის სამართლის საქმეში და ინვესს უფრო შეზღუდულ შედეგებს. თუმცა შეიძლება სხვაგვარადაც მოხდეს; გარდა ამისა, სისხლის სამართალწარმოებას, ჩვეულებრივ, თან ახლავს უფრო მეტი გარანტიები.

ამდენად, უნდა დაისვას კითხვა: არის თუ არა ამასთან დაკავშირებით ეროვნულ დონეზე მიღებული გადანეცილება გადამწყვეტი მნიშვნელობის კონვენციის თვალსაზრისით. ნყდება თუ არა მე-6 მუხლის გამოყენება მხოლოდ იმიტომ, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები სამართალდამრღვევის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებასა და სამართალწარმოებას დისციპლინურის კვალიფიკაციას აძლევენ, ან, პირიქით, გამოიყენება თუ არა მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნული კლასიფიკაციის მიუხედავად? ხსენებული პრობლემა, რომლის მნიშვნელობაც მთავრობამ აღიარა, სწორედ კომისიის მიერ იყო წამოჭრილი; კერძოდ, ამას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც ქმედება მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კვალიფიცირებულია შერეულ სამართალდარღვევად, რაც გულისხმობს როგორც სისხლისსამართლებრივს, ისე დისციპლინურს, და როდესაც არსებობს სისხლისსამართლებრივ და დისციპლინურ სამართალწარმოებებს შორის არჩევანის გაკეთების ან, თუნდაც, გაერთიანების შესაძლებლობა.

81. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა განმცხადებლების, მთავრობისა და კომისიის მიერ წარმოდგენილ შესაბამის მტკიცებულებებზე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განსაზღვრეს მათ ცნება „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ „ავტონომია“, მაგრამ სრულად არ ეთანხმება არც ერთ არგუმენტს (კომისიის მოხსენება, პუნქტები 33-34, პუნქტები 114-119 და ბ-ნი ველტერის განსხვავებული აზრი; მთავრობის მიმოხილვა, პუნქტები 25-34; კომისიის მიმოხილვა, პუნქტები 9-16, I დამატების პუნქტები 14-17 და II დამატების პუნქტები 12-14; 1975 წლის 28 და 29 ოქტომბრის მოსმენის სტენოგრაფიული მოხსენება).

1968 წლის 27 ივნისს *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სიტყვა „ბრალდება“ გაგებული უნდა იქნეს „კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში“ (სერია A №8, გვ. 41, პუნქტი 18, რომელიც შედარდა მეორე ქვეპუნქტთან, გვ. 28, და მეხუთე ქვეპუნქტთან, გვ. 35; აგრეთვე იხ. *Wemhoff*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A №7, გვ. 26-27, პუნქტი 19, და *Ringelsen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 16 ივლისი, სერია A №13, გვ. 45, პუნქტი 110).

ცნება „სისხლისსამართლებრივის“ „ავტონომიის“ საკითხი არ მოითხოვს ზუსტად იმავე პასუხს.

კონვენცია ყოველგვარი ეჭვის გარეშე ნებას რთავს სახელმწიფოებს, თავიანთი, როგორც საჯარო ინტერესების დამცველის, ფუნქციის შესრუ-

ლებიასა შეინარჩუნონ ან დაადგინონ განსხვავება სისხლისსამართლებრივსა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას შორის და ერთმანეთისაგან გამიჯნონ ისინი გარკვეული პირობების დაცვით. კონვენცია სახელმწიფოებს აძლევს თავისუფლებას, სისხლის სამართალდარღვევად დაადგინონ ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე დაცული უფლების ჩვეულებრივ განხორციელებას. ეს განსაკუთრებით ნათლად გამომდინარეობს მე-7 მუხლიდან. ამგვარი არჩევანი, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მე-6 და მე-7 მუხლების გამოყენებაზე, პრინციპში თავისუფლება სასამართლოს მხრიდან ზედამხედველობისაგან.

საპირისპირო არჩევანი, თავის მხრივ, ექვემდებარება უფრო მკაცრ წესებს. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ სამართალდარღვევის კვალიფიცირება დისციპლინურად სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, ან „შერეული“ სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასჯა დისციპლინური წესით სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, მე-6 და მე-7 მუხლების ფუნდამენტური დებულებების ფუნქციონირება დაექვემდებარება მათ სუვერენულ ნებას. ასე შორს მიმავალი თავისუფლება მიგვიყვანდა კონვენციის მიზნებთან შეუთავსებელ შედეგებამდე. ამგვარად, სასამართლოს აქვს იურისდიქცია, მე-6 მუხლის შესაბამისად, მე-17 და მე-18 მუხლებზე მითითების გარეშეც კი, ჩათვალოს, რომ დისციპლინური არამართლზომიერად არ ვრცელდება სისხლისსამართლებრივზე.

მოკლედ რომ აღინიშნოს, ცნება „სისხლისსამართლებრივის“ „ავტონომია“ მხოლოდ ერთი სახით მოქმედებს.

82. ამდენად, მხოლოდ სამხედრო სამსახურის სფეროსთან მიმართებაში, სასამართლომ უნდა დააკონკრეტოს, თუ როგორ განსაზღვრავს: ითვლება თუ არა შესაბამისი სახელმწიფოს მიერ დისციპლინურად კვალიფიცირებული – როგორც ამას ადგილი აქვს წინამდებარე საქმეში – „ბრალდება“ „სისხლისსამართლებრივად“ მე-6 მუხლის მნიშვნელობით.

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აუცილებელია, გაირკვეს, ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ბრალდებას სამართალდარღვევისათვის, მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში სისხლის სამართლის კანონმდებლობას, დისციპლინურ კანონმდებლობას თუ ერთდროულად ორივეს ეკუთვნის. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მხოლოდ სანაყის ნერტილს. ამგვარად დასაშვებ მითითებებს აქვთ მხოლოდ ფორმალური და შედარებითი ღირებულება აქვს და განხილული უნდა იქნეს სხვადასხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების შესაბამისი კანონმდებლობის საერთო მსაზღვრელის თვალსაზრისით.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს უშუალოდ დანაშაულის ხასიათი. როდესაც სამხედრო მოსამსახურეს ბრალი ედება ქმედებაში, რომელიც სავარაუდოდ ეწინააღმდეგება შეიარაღებული ძალების ფუნქციონირების სამართლებრივ ნორმას, სახელმწიფოს, პრინციპში, შეუძ-

ლია პირის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური და არა სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ თვალსაზრისით სასამართლო ეთანხმება მთავრობას.

თუმცა სასამართლოს ზედამხედველობა აქ არ მთავრდება. ამგვარი ზედამხედველობა ზოგადად იქნებოდა წარმოსახვითი, თუ არ გაითვალისწინებდა შესაბამისი პირისათვის დაკისრებული სასჯელის სიმკაცრის ხარისხსაც. საზოგადოებაში, რომელშიც აღიარებულია კანონის უზენაესობა, „სისხლისსამართლებრივ“ სფეროს მიეკუთვნება სასჯელის შეფარდება თავისუფლების აღკვეთის სახით, გარდა ისეთისა, რომელიც თავისი ხასიათით, ხანგრძლივობით ან აღსრულების მეთოდით არ შეიძლება შესამჩნევად იყოს საზიანო. საკითხის სერიოზულობა, ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტრადიციები და ის მნიშვნელობა, რასაც კონვენცია ანიჭებს პირის ფიზიკურ თავისუფლებას – ყოველივე ხსენებული მოითხოვს, რომ ეს ასე უნდა იყოს (იხ. *mutatis mutandis, De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია № 12, გვ. 36, ბოლო ქვეპუნქტი, და გვ. 42 in fine).

83. ამ კრიტერიუმების საფუძველზე სასამართლო დაადგენს, იყენენ თუ არა განმცხადებლები „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ სუბიექტები მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

მოცემულ გარემოებებში შესაბამისი ბრალდება ჩამოყალიბებულია ნაწილის მეთაურის გადანყვებილებაში იმ სახით, როგორც დაამტკიცა ან შეამცირა საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა. ეს უდავოდ იყო გადანყვებილება, რომელმაც საბოლოოდ გადაჭრა საკითხი, რამდენადაც დადგენილების გამოსატანად შეკრებილ უზენაეს სამხედრო სასამართლოს არ ჰქონდა უფრო მკაცრი სასჯელის გამოტანის იურისდიქცია (იხ. ნინამდებარე განაჩენის პუნქტი 31).

84. სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენაშიც ბრალი ედებოდათ ბ-ნ ენგელს, ბ-ნ ვან დერ ვიელს, ბ-ნი დე ვიტს, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულს, ხდება იმ დებულებების სფეროში, რომლებიც ეკუთვნის დისციპლინურ სფეროს ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად (1903 წლის კანონი და რეგლამენტი სამხედრო დისციპლინის შესახებ), თუმცა ის სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენაშიც ბრალი ედებოდათ ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულს (სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 147-ე მუხლი), და, შესაძლოა, ბ-ნ ენგელსა და ბ-ნ დე ვიტს (ბ-ნ ვან დერ შანსის მტკიცებით, ხსენებული კოდექსის 96-ე და 114-ე მუხლები, 1975 წლის 28 ოქტომბრის მოსმენა), აგრეთვე ხდებოდა სისხლის სამართლის კანონის რეგულირების სფეროში. გარდა ამისა, სამხედრო ხელისუფლების აზრით, ყველა სამართალდარღვევა წარმოადგენდა ნიდერლანდების შეიარაღებული ძალების ფუნქციონირების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დარღვევას. ამ თვალსაზრისით გამართლებული იყო დისციპლინური დევნა.

85. მაქსიმალური სასჯელი, რომლის შეფარდებაც შეეძლო უზენაეს სამხედრო სასამართლოს, იყო ოთხი დღით მსუბუქი პატიმრობა ბ-ნ ვან

დერ ვიელთან მიმართებაში, ორი დღით მკაცრი პატიმრობა ბ-ნ ენგელთან მიმართებაში (მესამე სასჯელი) და სამი ან ოთხი თვით დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა ბ-ნ დე ვიტთან, ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში.

ამგვარად, ბ-ნი ვან დერ ვიელი დაექვემდებარა მხოლოდ მსუბუქ პატიმრობას, რაც არ წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 61).

თავის მხრივ, სასჯელი, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას და რომელიც თეორიულად ემუქრებოდა ბ-ნ ენგელს, იყო მეტისმეტად მოკლე ხანგრძლივობის, რომ მიკუთვნებოდა „სისხლისსამართლებრივ“ კანონმდებლობას. გარდა ამისა, ბ-ნ ენგელს არ ემუქრებოდა საფრთხე, რომ იგი ამ სასჯელს დაექვემდებარებოდა მის წინააღმდეგ მიმართული 1971 წლის 7 აპრილს უზენაესი სამხედრო სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დამთავრების შემდეგ, რამდენადაც მას უკვე მოხდილი ჰქონდა აღნიშნული სასჯელი 20-დან 22 მარტამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 34-36, 63 და 66).

მეორე მხრივ, „ბრალდებები“ ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის წინააღმდეგ ნამდვილად ხვდებოდა „სისხლის სამართლის“ სფეროში, რამდენადაც მათ მიზანს წარმოადგენდა მძიმე სასჯელების დაკისრება, რაც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 64). უზენაესმა სამხედრო სასამართლომ ბ-ნ დე ვიტს მხოლოდ თორმეტი დღით შედარებით მკაცრი პატიმრობა შეუფარდა, რაც არ წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 62), მაგრამ აპელაციის საბოლოო შედეგი ვერ შეამცირებდა იმის მნიშვნელობას, რაც სახეზე იყო თავდაპირველად.

რა თქმა უნდა, კონვენცია არ ავალდებულებს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს, გაასამართლონ ბ-ნი დე ვიტი, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული სამხედრო სასამართლოში სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14), რაც ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა განმცხადებლებისათვის. თუმცა კონვენცია ავალდებულებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ისინი მე-6 მუხლის გარანტიებით.

(ბ) „სამოქალაქო უფლებების განსაზღვრის“ არსებობა

86. ამავე დროს, ხუთიდან სამი განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მათ წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოება ეხება „სამოქალაქო უფლებების განსაზღვრას“: ბ-ნი ენგელი „სამოქალაქოს“ უწოდებს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას (მე-11 მუხლი), ბ-ნი დონა და ბ-ნი შული კი – გამოხატვის თავისუფლებას (მე-10 მუხლი).

87. მე-6 მუხლი ნაკლებად მკაცრია ამგვარი უფლებების განსაზღვრისას, ვიდრე „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ განსაზღვრისას; რამ-

დენადაც 1-ლი პუნქტი გამოიყენება ორივე შემთხვევაში, მე-2 და მე-3 პუნქტები იცავს მხოლოდ მათ, ვისაც „ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“. ვინაიდან ბ-ნი დონა და ბ-ნი შული იყვნენ „სისხლის-სამართლებრივი ბრალდების“ სუბიექტები (ზემოხსენებული პუნქტი 85 *in fine*), მათთან მიმართებაში მე-6 მუხლი გამოიყენება მთლიანობაში. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო იმის განხილვა, იყო თუ არა 1-ლი პუნქტი საქმესთან კავშირში მეორე საფუძველზე, რადგან საკითხი მოკლედ ბულია რაიმე პრაქტიკულ მნიშვნელობას.

რაც შეეხება ბ-ნ ენგელს, რომელსაც „ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“ (იხ. წინამდებარე განაჩენის 85-ე პუნქტის მე-სამე ქვეპუნქტი), მის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოება განპირობებული იყო მხოლოდ სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევებით, კერძოდ, იგი არ იმყოფებოდა თავის სახლში 1971 წლის 17 მარტს, რის შედეგადაც უგულებელყო მასზე დაკისრებული სასჯელი მომდევნო ორი დღის განმავლობაში. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არ არის საჭირო მოცემულ საქმეზე რაიმე დადგენილების გამოტანა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება „სამოქალაქო“.

88. მოკლედ რომ ითქვას, სასამართლო ვალდებულია, მე-6 მუხლის შესაბამისად განიხილოს ის მოპყრობა, რომელსაც დაექვემდებარნენ ბ-ნი დე ვიტი და ბ-ნი შული, და არა ის, რომელსაც ასაჩივრებენ ბ-ნი ენგელი და ბ-ნი ვან დერ ვიელი.

2. მე-6 მუხლთან შესაბამისობა

89. უზენაესი სამხედრო სასამართლო, რომელსაც აქელაციით მიმართეს ბ-ნმა დე ვიტმა, ბ-ნმა დონამ და ბ-ნმა შულმა, წარმოადგენს „კანონით შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 30 და 68) და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველყო განმცხადებლები „სამართლიანი განხილვით“. თავის მხრივ, „დრო“ „ბრალდებასა“ და საბოლოო გადაწყვეტილებას შორის „გონიერულია“. იგი არ წარმოადგენს ექვს კვირას ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში (1971 წლის 8-17 ნოემბერი) და უმნიშვნელოდ გადასცილდა ორ თვეს ბ-ნ დე ვიტთან მიმართებაში (1971 წლის 22 თებერვალი – 28 აპრილი). უფრო მეტიც, განაჩენი „გამოცხადდა საჯაროდ“.

პირიქით, მოსმენას მხარეთა მონაწილეობით ადგილი ჰქონდა *in camera* უზენაესი სამხედრო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად დისციპლინური სამართალწარმოების წესით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 31). ფაქტობრივად, განმცხადებლებს არ მიდგომიათ ზიანი ამ თვალსაზრისით; სინამდვილეში ხსენებულმა სასამართლომ გააუმჯობესა ორი მათგანის, კერძოდ, ბ-ნი შულისა და, უფრო მეტად, ბ-ნი დე ვიტის ბე-

დი. უფრო მეტიც, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იმ სფეროში, რომელსაც იგი არეგულირებს, მოითხოვს ძალიან ზოგადად, რომ სასამართლო განხილვა უნდა იყოს საჯარო. რა თქმა უნდა, მე-6 მუხლი ითვალისწინებს ჩამოთვლილ გამონაკლისებსაც, მაგრამ მთავრობამ არ მიუთითა და არც საქმის მასალებიდან ჩანს, რომ საქმის გარემოებები უტოლდებოდა ერთ-ერთ ისეთ შემთხვევას, როდესაც აღნიშნული მუხლი უშვებს „პრესისა და საზოგადოების არდაშვებას“. ამგვარად, ამ კონკრეტული თვალსაზრისით ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

90. ბ-ნი დონა და ბ-ნი შული ჩივიან, რომ უზენაესმა სამხედრო სასამართლომ მხედველობაში მიიღო მათი მონანილეობა "Alarm"-ის მე-8 ნომრის გამოშვებამდე ორი ისეთი მასალის გამოქვეყნებაში, რომელთა გავრცელება მხოლოდ დროებით იყო აკრძალული „მასალების გავრცელების შესახებ დადგენილებით“ და რისთვისაც ისინი არასოდეს გაუსამართლებიათ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 49). მათი მტკიცებით, უზენაესმა სამხედრო სასამართლომ უგულვებელყო მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უდანაშაულობის პრეზუმფცია (კომისიის მოხსენება, პუნქტი 45, ბოლოდან მესამე ქვეპუნქტი).

რეალურად ხსენებულ პირობას არა აქვს ის მოცულობა, რომელიც მას ორმა განმცხადებელმა მიანერა. როგორც ფორმულირებიდან გამომდინარეობს, იგი ეხება მხოლოდ ბრალის მტკიცებას და არა სასჯელის სახესა თუ ზომას. ამგვარად, იგი ხელს არ უშლის ეროვნულ მოსამართლეს, როდესაც იგი იღებს გადაწყვეტილებას, სასჯელი შეუფარდოს სამართალდარღვევაში კანონიერად ბრალდებულს, რომელიც მის განხილვას ექვემდებარება, პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებას.

უზენაეს სამხედრო სასამართლოში ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის „ბრალეულობა დამტკიცებული იყო კანონის შესაბამისად“ მათ წინააღმდეგ მიმართულ სამართალდარღვევებში (Alarm-ის №8). ხსენებულმა სასამართლომ მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის მიზნით მათი ხასიათისა და პირადი საქმის გათვალისწინებით მიიღო მხედველობაში მთელი რიგი დადგენილი მსგავსი ფაქტებისა, რომელთა ნამდვილობაც მათ არ გაუპროტესტებიათ. სასამართლომ არ დასაჯა ისინი უშუალოდ ამ ფაქტების გამო (1903 წლის კანონის 37-ე მუხლი და კომისისათვის 1973 წლის 24 აგვისტოს მთავრობის მიერ წარდგენილი მიმოხილვა).

91. ბ-ნი დე ვიტი, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული არ უარყოფენ, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტი დაცული იქნა მათთან მიმართებაში და არ ეყრდნობიან მე-3 პუნქტის (ე) ქვეპუნქტს. მეორე მხრივ, ისინი ჩივიან, რომ არ ისარგებლეს (ბ), (გ) და (დ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებით.

თუმცა მათი მტკიცებები მეტად ბუნდოვანია, რათა სასამართლომ დაასკენას, რომ მათ არ ჰქონდათ „საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად“ (ბ) ქვეპუნქტის მნიშვნელობით.

შემდეგში სამივე განმცხადებელს კვლავ ჰქონდა შესაძლებლობა, „პირადად დაეცვა თავი“ სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ამასთანავე, მათ ჰქონდათ საშუალება, უზენაეს სამხედრო სასამართლოში, ბ-ნი დე ვიტის შემთხვევაში კი საჩივრების განმხილველი მოსამართლის წინაშე, დაეცვათ თავიანთი ინტერესები მათ „მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით.“ ეს იყო ახალგაზრდა წვევამდელი, იურისტი სამოქალაქო ცხოვრებაში. თუმცა ბ-ნი ეგენკამპის მომსახურება შემოიფარგლებოდა დავის სამართლებრივი საკითხების მოგვარებით. ამის მიუხედავად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდვა შესაბამისობაში მოდიოდა მართლმსაჯულების ინტერესებთან, რამდენადაც განმცხადებლებს რეალურად შეეძლოთ პირადად წარმოედგინათ განმარტებები მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების თუნდაც ძალიან მარტივ ფაქტებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია (გ) ქვეპუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევას.

არც სასამართლოს მიერ მოპოვებული (კერძოდ, 1975 წლის 28-29 ოქტომბრის მოსმენის დროს) ინფორმაცია ავლენს რაიმე დარღვევას (დ) ქვეპუნქტთან მიმართებაში. განმცხადებლების საწინააღმდეგო მოსაზრების მიუხედავად, აღნიშნული დებულება არ მოითხოვს თითოეული მოწმის დასწრებასა და დაკითხვას ბრალდებულის სასარგებლოდ. მისი არსებითი მიზანია, როგორც ეს მითითებულია სიტყვებით „თანაბარ პირობებში“, საქმეში „მხარეთა სრული თანასწორობა“. ამ დებულებით აღნიშნული ქვეპუნქტი ნებას რთავს ეროვნულ კომპეტენტურ ხელისუფლებას, გადაწყვიტოს წარდგენილი მტკიცებულების მნიშვნელობა იმგვარად, როგორც ეს შეესაბამება სამართლიანი განხილვის ცნებას, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს მე-6 მუხლიდან. 1903 წლის კანონის 65-ე მუხლი და 1814 წლის 20 ივლისის „დროებითი ინსტრუქციების“ 56-ე მუხლი თანაბარ მდგომარეობაში აყენებენ ბრალდებისა და დაცვის მხარეებს: ნებისმიერი მხარის მოწმეები გამოძახებული იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას აუცილებლად ჩათვლის საჩივრების განმხილველი ოფიცერი ან უზენაესი სამხედრო სასამართლო. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იქნა კანონმდებლობა გამოყენებული მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაეს სამხედრო სასამართლოში ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში ბრალდებულების წინააღმდეგ არც ერთი მოწმე არ დაკითხულა და რომ საქმის მასალებიდან არ ჩანს, სთხოვეს თუ არა განმცხადებლებმა ხსენებულ სასამართლოს მათ სასარგებლოდ მოწმეები დაკითხა. ბ-ნი დე ვიტი უდავოდ ასაჩივრებს, რომ საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა დასახელებული სამიდან მხოლოდ ერთ მოწმეს მოუსმინა მის სასარგებლოდ. თუმცა თავისთავად ამ ფაქტს არ შეუძლია, გაამართლოს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის დარღვევის დადგენა.

ბ. ერთად აღებული მე-6 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

92. განმცხადებლების მტკიცებით, დისციპლინური სამართალწარმოება, რომელსაც ისინი ასაჩივრებენ, არ შეესაბამება ერთად აღებული მე-6 და მე-14 მუხლებს, რამდენადაც იგი არ იყო დაცული იმდენივე გარანტიით, როგორც სისხლის სამართალწარმოება სამოქალაქო პირების წინააღმდეგ (კომისიის მოხსენება, პუნქტი 37).

თუმცა სამხედრო დისციპლინური პროცედურა არ არის დაცული იმავე გარანტიებით, როგორც სისხლის სამართალწარმოება სამოქალაქო პირების მიმართ, მეორე მხრივ, იგი ითვალისწინებს სხვა უპირატესობებს იმ პირების მიმართ, ვინც მას ექვემდებარება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 80). ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონმდებლობაში არსებული განსხვავება სამართალწარმოების ამ ორ სახეს შორის აიხსნება სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრებას შორის არსებული განსხვავებებით. ისინი არ განაპირობებს დისკრიმინაციას შეიარაღებული ძალების წევრებს შორის ერთად აღებული მე-6 და მე-14 მუხლის მნიშვნელობით.

ბ. ერთად აღებული მე-6 და მე-18 მუხლების სავარაუდო დარღვევა

93. ბ-ნი დონას და ბ-ნი შულის მტკიცებით, გადანყვეტილება, რომ მათ მიმართ გამოყენებულიყო დისციპლინური და არა სისხლის სამართალწარმოება, მიზნად ისახავდა მე-6 მუხლით სარგებლობის აღკვეთას. არჩევანს, რომელიც გააკეთა კომპეტენტურმა ხელისუფლებამ, სავარაუდოდ ჰქონდა თვითნებური ხასიათი, რომელიც არ შეიძლებოდა შესაბამისობაში ყოფილიყო მე-18 მუხლთან (კომისიის მოხსენება, პუნქტი 53).

სასამართლოს დასკვნები მე-6 მუხლის გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებით ამ ორი განმცხადებლის საქმეში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 85 და 89-91) ზედმეტს ხდის ამ საჩივართან დაკავშირებით დადგენილების გამოტანას.

III. მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

ა. ცალკე აღებული მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

94. ბ-ნი დონა და ბ-ნი შული ამტკიცებენ მე-10 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავ-

რცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და მიუხედავად საზღვრებისა. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ წარმოებათა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც გულისხმობს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.“

საჩივარი, რომელიც დაუშვებლად გამოაცხადა კომისიამ, ეხება მხოლოდ დისციპლინურ სასჯელს, რასაც დაექვემდებარენ განმცხადებლები 1971 წლის 17 ნოემბრის შემდეგ *Alarm*-ის მე-8 ნომრის გამოქვეყნებასა და გავრცელებაში თანამშრომლობისათვის. ის არ ეხება „მასალების გავრცელების შესახებ დადგენილების“ შესაბამისად ამ ნომრის, *Alarm*-ის მე-6 ნომრისა და წვევამდებლობისათვის საინფორმაციო ბიულეტენის აკრძალვას და არც განმცხადებლებზე დაკისრებულ მკაცრ პატიმრობას 1971 წლის 13 აგვისტოს ბროშურის გავრცელებაში მონაწილეობისათვის ერმელოს ინციდენტის დროს (იხ. წინამდებარე განაჩენის 43-45).

95. გასაჩივრებული სასჯელი უდავოდ წარმოადგენდა „ჩარევას“ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის გამობატვის თავისუფლებაში, რაც გარანტირებულია მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით. შესაბამისად, მიზანშეწონილია მე-2 პუნქტის განხილვა.

96. სასჯელი უდავოდ იყო „გათვალისწინებული კანონით“, ამ შემთხვევაში 1903 წლის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, 5-A-8^o, მე-18, მე-19 და 37-მუხლებით სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 147-ე მუხლთან მიმართებაში. იმ როლის მხედველობაში მიღებით, რომელსაც ბრალდებული ასრულებდა *Alarm*-ის მე-8 ნომრამდე სამხედრო ხელისუფლების მიერ აკრძალული მასალების რედაქტირებასა და გავრცელებაში, სასჯელი ეფუძნებოდა 1903 წლის კანონს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 90) და არა „მასალების გავრცელების შესახებ დადგენილებას“. ამგვარად, სასამართლო არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ამ დადგენილების ნამდვილობის შესახებ (კომისიის მოხსენება, პუნქტი 45, ქვეპუნქტი 5).

97. იმის სადემონსტრაციოდ, რომ ჩარევა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის სხვა მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდა, მთავრობამ მიუთითა, რომ მიღებუ-

ლი ლონისძიებები იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „უნესრიგობის თავიდან აცილებისათვის“. ისინი ემყარება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს მხოლოდ ამ მოთხოვნასთან მიმართებაში.

98. პირველ რიგში, სასამართლო, ისევე როგორც მთავრობა და კომისია, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ნესრიგის“ ცნება, როგორც ეს ამ დებულებით არის გათვალისწინებული, ეხება არა მარტო საზოგადოებრივ წესრიგს ან *ordre public*-ს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 ოქმის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით: იგი მოიცავს აგრეთვე წესრიგს, რომელიც უნდა დომინირებდეს კონკრეტული სოციალური ჯგუფის ფარგლებში. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც, მაგალითად, როგორც შეიარაღებული ძალების შემთხვევაში, ჯგუფში არსებულმა უნესრიგობამ შეიძლება ასახვა ჰპოვოს ამ საზოგადოების, როგორც მთლიანის, წესრიგზე. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული სასჯელები დააკმაყოფილებდა ამ პირობას, თუ მათი მიზანი იყო უნესრიგობის თავიდან აცილება ნიდერლანდების შეიარაღებულ ძალებში.

ბ-ნი დონა და ბ-ნი შული ამტკიცებენ, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს „უნესრიგობის თავიდან აცილებას“ მხოლოდ „დანაშაულის თავიდან აცილებასთან“ მიმართებაში. სასამართლო არ იზიარებს ამ მოსაზრებას. თუმცა ფრანგული ვერსია იყენებს მაკავშირებელ კავშირ „et“-ს, ინგლისური ვერსია იყენებს მაცალკეებელ კავშირს „or“-ს. მე-10 მუხლის კონტექსტისა და ზოგადი სისტემის გათვალისწინებით, ინგლისური ვერსია ამ თვალსაზრისით უფრო ზუსტ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. მოცემულ გარემოებებში სასამართლო არ თვლის აუცილებლად, გამოიკვლიოს, მიმართული იყო თუ არა განმცხადებლებისადმი მოპყრობა „დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ“ „უნესრიგობის თავიდან აცილებასთან“ ერთად.

99. გასარკვევი რჩება, იყო თუ არა ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „უნესრიგობის თავიდან აცილებისათვის“.

100. რა თქმა უნდა, მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება გამოიყენება სამხედრო მოსამსახურეების, ისევე როგორც სხვა პირების, მიმართ ხელშემკვრელი სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ. თუმცა ჯარის სათანადო ფუნქციონირება ძნელად წარმოსადგენია სამართლებრივი წესების გარეშე, რომელთა მიზანია, ხელი შეუშალოს სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო დისციპლინისათვის საფრთხის შექმნაში, მაგალითად, სხვადასხვა სახის მასალებით. ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 43) ეფუძნება ამ კანონიერ მოთხოვნას და თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს.

სასამართლოს უდავოდ აქვს იურისდიქცია, კონვენციის შესაბამისად ზედამხედველობა გაუწიოს მეთოდს, რომლითაც ნიდერლანდების შიდა კა-

ნონმდებლობა გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში, მაგრამ ამ თვალსაზრისით მან არ უნდა უგულებელყოს არც სამხედრო ცხოვრების კონკრეტული მახასიათებლები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 54 *in fine*), ის სპეციფიკური „მოვალეობები“ და „პასუხისმგებლობები“, რომლებიც ეკისრებათ შეიარაღებულ ძალებს, და არც შეფასების ზღვარი, რასაც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, ისევე, როგორც მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, აძლევს ხელშემკერებელ სახელმწიფოებს (*De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვ. 45, პუნქტი 93, და *Goldier*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1975 წლის 21 თებერვალი, სერია A № 18, გვ. 22).

101. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც სიტუაცია ერმელოს ყაზარმებში რამდენადმე დაძაბული იყო, განმცხადებლებმა თავისი წვლილი შეიტანეს იმ მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებაში, რომლის შესაბამისი ნაწყვეტები წარმოადგენილია წინამდებარე განაჩენის 43-ე და 51-ე პუნქტებში). მოცემულ გარემოებებში უზენაეს სამხედრო სასამართლოს შესაძლებელია, ჰქონოდა კარგად დასაბუთებული საფუძვლები, რათა ჩაეთვალა, რომ განმცხადებლები ცდილობდნენ, ძირი გამოეთხარათ სამხედრო დისციპლინისათვის და რომ უნესრიგობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო ხსენებული სასჯელის შეფარდება. ამგვარად, განმცხადებლებისათვის გამოხატვის თავისუფლების აღკვეთის საკითხი კი არ იდგა, არამედ მხოლოდ აღნიშნული თავისუფლების ბოროტად გამოყენებისა. შესაბამისად, არ ჩანს, რომ უზენაესი სამხედრო სასამართლოს გადანყვეტილება წარმოადგენს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დაარღვევას.

ბ. ერთად აღებული მე-10 და მე-14 მუხლების საპარაულდო დარღვევა

102. ბ-ნი დონა და ბ-ნი შული მიუთითებენ ერთად აღებული მე-10 და მე-14 მუხლების დარღვევაზე. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ნიდერლანდებში სამოქალაქო პირი მსგავს სიტუაციაში არ ექვემდებარება ყველაზე მსუბუქ სასჯელსაც კი. გარდა ამისა, ისინი ჩივიან, რომ დაისაჯნენ უფრო მკაცრად, ვიდრე ნიდერლანდების მთელი რიგი სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც არ შედიოდნენ *V.V.D.M.*-ში და სასამართლდნენ სამხედრო დისციპლინის ძირგამომთხრელი მასალების დანერისა თუ გავრცელებისათვის.

103. პირველ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული სხვაობა აიხსნება იმ განსხვავებებით, რომლებიც არსებობს სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრების პირობებს შორის, უფრო კონკრეტულად კი, იმ „მოვალეობებითა“ და „პასუხისმგებლობებით“, რომლებიც აკისრიათ შეიარაღებული ძალების წევრებს გამოხატვის თავისუფლების სფეროში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები

54 და 100). მეორე საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ პრინციპში მისი ფუნქცია არ არის, ერთმანეთს შეადაროს ეროვნული სასამართლოების სხვადასხვა გადაწყვეტილებები, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიღებულია აშკარად მსგავსი სამართალწარმოებისას; მან, ისევე, როგორც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, პატივი უნდა სცეს აღნიშნული სასამართლოების დამოუკიდებლობას. ამგვარი გადაწყვეტილება თავისი ხასიათით დისკრიმინაციული იქნებოდა, თუ იგი იმდენად განსხვავებული იქნებოდა სხვებისაგან, რომ მიგვიყვანდა მართლმსაჯულების უარყოფამდე თუ აშკარად ბოროტად გამოყენებამდე, მაგრამ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია არ იძლევა ამ სახის დარღვევის დადგენის საშუალებას.

ბ. მე-10 მუხლის სავარაუდო დაღვევა მე-17 და მე-18 მუხლებთან მიმართებაში

104. ბ-ნი დონა და ბ-ნი შული აგრეთვე ჩივიან, რომ მე-17 და მე-18 მუხლების საწინააღმდეგოდ მათი გამოხატვის თავისუფლების განხორციელება დაექვემდებარა „შეზღუდვას უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია“ მე-10 მუხლით და იმ „მიზნით“, რომელიც მასში არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნული საჩივარი არ საჭიროებს განხილვას, ვინაიდან სასამართლომ უკვე დაასკვნა, რომ ხსენებული შეზღუდვა გამართლებული იყო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის (მუხლი 10-2) საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 96-101).

IV. მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევა

105. ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის მტკიცებით, მათი საქმეების შემდეგ *V.V.D.M.*-ის ნეერი ბევრი ნეევამდელი დასჯილი იქნა იმ პუბლიკაციების დაწერისა და/თუ გავრცელებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავდა დისციპლინისათვის ძირის გამოთხრას სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის 147-ე მუხლის მნიშვნელობით. მათი აზრით, ეს იყო სისტემატური ღონისძიებები, რომელთა მიზანი *V.V.D.M.*-ის ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა იყო და, ამდენად, წარმოადგენდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, მათ შორის, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დანესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დანესებას.“

106. სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხოლოდ ორი განმცხადებლის შემთხვევა და არა იმ სხვა პირებისა თუ გაერთიანებების სიტუაცია, რომელთაც არ მიუნიჭებიათ მისთვის კომისიაში მათი სახელით განაცხადის შეტანის უფლებამოსილება (*De Becker*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1962 წლის 27 მარტი, სერია A №4, გვ. 26 *in fine*, და *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1975 წლის 21 თებერვალი, სერია A №18, გვ. 19, პუნქტი 39 *in fine*).

107. ვინაიდან ბ-ნი დონა და ბ-ნი შული აგრეთვე მიუთითებენ გაერთიანების თავისუფლებაზე, სასამართლო ადგენს, რომ ისინი არ გაუსამართლებიათ *V.V.D.M.*-ის წევრობის და არც მის საქმიანობაში მონაწილეობის, მათ შორის ჟურნალ *Alarm*-ის მომზადებისა და გამოქვეყნების გამო. უზენაესმა სამხედრო სასამართლომ ისინი მხოლოდ იმიტომ გაასამართლა, რადგან ჩათვალა, რომ მათ გამოხატვის თავისუფლება სამხედრო დისციპლინისათვის ძირის გამოთხრის მიზნით გამოიყენეს.

108. ვინაიდან ორი განმცხადებლის მიმართ არ მომხდარა მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევა, სასამართლო არ არის ვალდებული, განიხილოს მე-2 პუნქტი ან მე-14, მე-17 და მე-18 მუხლები.

V. 50-ე მუხლის გამოყენება

109. კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ „მიღებული გადაწყვეტილება ან ღონისძიება“ „სრულად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს ... კონვენციიდან, და თუ ხსენებული (სახელმწიფოს) შიდა კანონმდებლობა იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას ამ გადაწყვეტილების ან ღონისძიების შედეგების გამო“, სასამართლო, „საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას“.

სასამართლოს რეგლამენტი აკონკრეტებს, რომ, თუ სასამართლო „დაადგენს კონვენციის დარღვევას, იგი იმავე განაჩენში გამოიტანს გა-

დანყვეტილებას კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების შესახებ, თუ საკითხი, მას შემდეგ, რაც წამოჭრილია რეგლამენტის 47-ე მუხლზე მითითებით, მზად არის გადაწყვეტილების მისაღებად; თუ საკითხი არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად, სასამართლო მთლიანად ან ნაწილობრივ გადადებს და დანიშნავს შემდგომ პროცედურას" (რეგლამენტის 50-ე მუხლი, პუნქტი 3, პირველი წინადადება, რეგლამენტის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად).

110. 1975 წლის 29 ოქტომბრის მოსმენის შემდეგ სასამართლომ, რეგლამენტის 47-ე მუხლის შესაბამისად, მის წინაშე გამოცხადებულ მხარეებს მოუწოდა, წარმოედგინათ მიმოხილვები მოცემულ საქმეზე 50-ე მუხლის (მუხლი 50) გამოყენების საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის მთავარი დელეგატის პასუხიდან ჩანს, რომ განმცხადებლები საჩივარში არ მოითხოვენ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. თუმცა ისინი იმედოვნებენ სამართლიანი დაკმაყოფილების მიღებას, თუ სასამართლო ერთ ან რამდენიმე შემთხვევაში დაადგენს კონვენციის მოთხოვნების შეუსრულებლობას, მაგრამ ისინი მოცემული მომენტისათვის არ მიუთითებენ საჩივრის ოდენობას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი დაკმაყოფილება განხორციელდება ფინანსური კომპენსაციის სახით.

თავის მხრივ, მთავრობამ წარმომადგენლის მეშვეობით განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს მთლიანად სასამართლოს უტოვებს განსახილველად.

111. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ დგას ბ-ნი ვან დერ ვიელის საქმეში და არც ბ-ნი ენგელის, ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საჩივრებიდან გამომდინარეობს, რასაც სასამართლომ მხარი არ დაუჭირა. მეორე მხრივ, იგი წამოიჭრება ბ-ნი ენგელის საქმეში მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის გამო და ბ-ნი ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის გამო (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 69 და 89). კომისიის მთავარი დელეგატის წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ საკითხი არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად; ამდენად, მიზანშეწონილია საკითხის გადადება ამახსნა დაკავშირებით შემდგომი პროცედურის დანიშვნა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ადგენს ერთხმად, რომ მე-5 მუხლი არ გამოიყენება ბ-ნი ენგელის (მეორე სასჯელი) და ბ-ნი ვან დერ ვიელის მსუბუქ პატიმრობასთან მიმართებაში;
2. ადგენს თორმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ იგი აგრეთვე არ გამოიყენება ბ-ნი დე ვიტის შედარებით მკაცრ პატიმრობასთან და ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დროებით შედარებით მკაცრ პატიმრობასთან მიმართებაში;

3. ადგენს თერთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა არ წარმოადგენს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
4. ადგენს ცხრა ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ ბ-ნი ენგელის დროებითი მკაცრი პატიმრობის მთელი პერიოდი წარმოადგენს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რამდენადაც მას არანაირი გამართლება არ მოეძებნა ხსენებული დებულების რომელიმე ქვეპუნქტის შესაბამისად;
5. ადგენს ათი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ ამასთანავე იგი წარმოადგენდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რამდენადაც გადასცილდა სამხედრო დისციპლინის შესახებ ნიდერლანდების 1903 წლის 27 აპრილის კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ ოცდაოთხსაათიან ვადას;
6. ადგენს ერთხმად, რომ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა და ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობა არ წარმოადგენს ერთად აღებული მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-14 მუხლის დარღვევას;
7. ადგენს თორმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით;
8. ადგენს თერთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენება ბ-ნი ენგელთან მიმართებაში „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ საფუძველზე;
9. ადგენს ერთხმად, რომ იგი აგრეთვე არ გამოიყენება ხსენებულ განმცხადებელთან მიმართებაში „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ საფუძველზე;
10. ადგენს ერთხმად, რომ იგი არც ბ-ნი ვან დერ ვიელთან მიმართებაში გამოიყენება;
11. ადგენს თერთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ბ-ნი დე ვიტთან, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულთან მიმართებაში, რამდენადაც სამართალწარმოება უზენაეს სამხედრო სასამართლოში განხორციელდა დახურულ სხდომაზე (*in camera*);
12. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულთან მიმართებაში;
13. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-3 (ბ) პუნქტის დარღვევას ბ-ნი დე ვიტთან, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულთან მიმართებაში;
14. ადგენს ცხრა ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის დარღვევას ხსენებულ სამ განმცხადებელთან მიმართებაში;

15. ადგენს ცხრა ხმით ოთხის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტის დარღვევას ბ-ნ დე ვიტთან მიმართებაში;
16. ადგენს თორმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტის დარღვევას ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში;
17. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია ერთად აღებული მე-6 და მე-14 მუხლების დარღვევას ბ-ნ დე ვიტთან, ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში;
18. ერთხმად ადგენს, რომ არ არის საჭირო, დადგენილება იქნეს გამოტანილი იმ საჩივრის თაობაზე, რომელიც ეფუძნება ერთად აღებული მე-6 და მე-18 მუხლების სავარაუდო დარღვევას ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში;
19. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია ცალკე აღებული მე-10 მუხლის დარღვევას ან ერთად აღებული მე-10 მუხლისა და მე-14, მე-17 ან მე-18 მუხლების დარღვევას ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში;
20. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-11 მუხლის დარღვევას ბ-ნ დონასა და ბ-ნ შულთან მიმართებაში;
21. ადგენს ერთხმად, რომ 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ დგას ბ-ნ ვან დე ვიელის საქმეში და არც ბ-ნი ენგელის, ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საჩივრებიდან გამომდინარეობს, რომლებსაც სასამართლომ მხარი არ დაუჭირა (წინამდებარე განაჩენის დადგენილებითი ნაწილის პუნქტები 1-3, 6-10 და 12-20);
22. ადგენს თორმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ საკითხი არ არის მომზადებული, რათა მიღებული იქნეს გადაწყვეტილება დარღვევებზე, რომელიც აღმოჩენილი იქნა ბ-ნი ენგელის საქმეში (მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, წინამდებარე განაჩენის დადგენილებითი ნაწილის პუნქტები 4 და 5) და ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, წინამდებარე განაჩენის დადგენილებითი ნაწილის პუნქტი 11).

შესაბამისად,

- ა) დროებით გადადებს 50-ე მუხლის გამოყენების საკითხს ოთხივე განმცხადებელთან მიმართებაში;
- ბ) მოუწოდებს კომისიის დელეგატებს, წერილობით წარმოადგინონ თავიანთი მიმოხილვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამ განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში;
- გ) გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ მთავრობას აქვს უფლება, წერილობით უპასუხოს ხსენებულ მიმოხილვებს ერთი თვის ვადაში იმ

დღიდან, როდესაც რეგისტრატორი წარუდგენს მათ მთავრობას;
დ) დროებით გადადებს წინამდებარე საქმის ამ ასპექტთან დაკავშირებულ შემდგომ პროცედურას.

შესრულებულია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1976 წლის 8 ივნისს. ფრანგული ტექსტი ავთენტურია.

ხელმოწერა: ჰერმან მოსლერი,
პრეზიდენტი

ხელმოწერა: მარკ-ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი

კონვენციის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე განაჩენს თანერთვის შემდეგი მოსამართლეების განსხვავებული აზრები:

ბ-ნი ვერდროსი;
ბ-ნი ზეკია;
ბ-ნი კრემონა;
ბ-ნი ოდონოგუ და ქ-ნი პედერსენი;
ბ-ნი ვილიალმსონი;
ბ-ნი ბინდშელდერ-რობერტი;
ბ-ნი ვერიგენისი.

ინიციალები: პ.მ.

ინიციალები: მ.-ა.ე.

მოსამართლე ვერდროსის განსხვავებული აზრი

მე ხმა მივეცი წინამდებარე განაჩენის დადგენილებით ნაწილს, ვინაიდან ის შეესაბამება სასამართლოს დადგენილ პრეცედენტულ სამართალს. თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, არ შემიძლია, დავეთანხმო მსჯელობას, რომელიც საფუძვლად უდევს განაჩენს, კერძოდ, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას, როდესაც პატიმრობას უფარდებს ნებისმიერი კომპეტენტური სამხედრო ხელისუფლება, რომლის გადანაცვლებაც არ ექვემდებარება შემაჩერებელი ეფექტის მქონე სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

აქვე ჩამოვაყალიბებ ჩემს მოსაზრებებს. თუ ვინმე შეადარებს დისციპლინურ პატიმრობას ყაზარმების საკანში სამოქალაქო ან სამხედრო პი-

რის ციხეში მოთავსებასთან (მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტი), იგი დაინახავს, რომ მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებაა. მეორე შემთხვევაში მსჯავრდებული პირი სრულიად მონყვეტილია ჩვეულებრივ გარესამყაროსა და საქმიანობას, რამდენადაც იგი მოცილებულია თავის სახლს. მეორე მხრივ, დისციპლინური მიზეზებით დაპატიმრებული ჯარისკაცი რჩება ყაზარმებში და მას დროდადრო შეიძლება ებრძანოს თავისი სამხედრო მოვალეობების შესრულება. როგორც მე შესმის, ამგვარი პატიმრობა, პრინციპში, არ უთანაბრდება თავისუფლების აღკვეთას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. ეს არ ნიშნავს, რომ დისციპლინური პატიმრობა, რომელსაც უფარდებს კომპეტენტური სამხედრო ხელისუფლება, არ ექვემდებარება სასამართლოს ზედამხედველობას. იგი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას, თუ არღვევს მე-3 მუხლს, ან თუ მისი ხანგრძლივობა ან სიმკაცრე აღემატება ევროპის საბჭოს ნევრი სახელმწიფოების მიერ ზოგადად აღიარებულ ნორმას; ჩემი აზრით, საბოლოო ანალიზისას, სასჯელის ხასიათი დამოკიდებულია სწორედ ამ კრიტერიუმზე, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება იცვლებოდეს საერთაშორისო სამხედრო ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.

მოსამართლე ზეკიას განსხვავებული აზრი

მე მოწინებთ ვეთანხმები განაჩენის დადგენილებით ნაწილს, რომელიც ეხება მოსაზრებებს, მიღწეულ დასკვნებსა და ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს იმის გასამიჯნად, წვევამდელის ან ჯარისკაცის თავისუფლების აღკვეთა ხორციელდება თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში. რა თქმა უნდა, წვევამდელისათვის ან ჯარისკაცისათვის თავისუფლების უფლებაზე მთელი რიგი შეზღუდვები დანესებული უნდა იყოს მე-5 მუხლის დარღვევის გარეშე მაშინ, როდესაც ამგვარი შეზღუდვა არ შეიძლება კანონიერად შეეფარდოს სამოქალაქო პირს. არ გავიმეორებ განაჩენში მოყვანილ ყველა საფუძველს.

თუმცა შეუძლებლად მიმაჩნია, შევეუერთდე ინტერპრეტაციის მიმართულებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ საქმეზე კონვენციის მთელი რიგი მუხლების, კერძოდ, მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტის, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-6 მუხლის მე-3 (გ) და (დ) პუნქტების გამოყენების სფეროს განსაზღვრისას. ჩემი აზრით, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად, თუ წვევამდელს ან ჯარისკაცს ერთხელ დაედოთ ბრალი სამართალდარღვევის ჩადენაში, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, როგორცაა დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა, და სამართალწარმოება ამ მიზნისაკენ მიემართება, ხსენებულ წვევამდელს ან ჯარისკაცს სრულად შეუძლია გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები. რამდენადაც ყველა მიზანი და განზრახვა, რომელთა გამოც მის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოება სისხლისსა-

მართლებრივი ხასიათისაა და, რამდენადაც საქმე ეხება სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებას, არ არის აუცილებელი იყოს განსხვავება ამ პირსა და სამოქალაქო პირს შორის. მე არ ვგულისხმობ, რომ ამგვარი სამართალწარმოება განახორციელონ სამოქალაქო სასამართლოებმა. პირიქით, ძალზედ მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სამხედრო სასამართლოებმა, რომლებიც შედგებიან ერთი ან მეტი მოსამართლისაგან, და რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევენ ექსპერტები ან იურისტები, განიხილონ ის საქმეები, რომლებშიც ასამართლებენ სამხედრო მოსამსახურეებს.

ბ-ნი დე ვიტი, ბ-ნი დონა და ბ-ნი შული – თითოეული მათგანი რიგითად მსახურობდა ნიდერლანდების ჯარში. პირველს ბრალად ედებოდა, რომ იგი დიდი სიჩქარით მართავდა ჯიპის ტიპის ავტომანქანას შეუფერებელი სახით არასწორ ტერიტორიაზე. მისი ნაწილის მეთაურმა იგი გადასცა დისციპლინურ განყოფილებას სამი თვით. მან საჩივრით მიმართა საჩივრების განხილველ ოფიცერს, რომელმაც მოუსმინა განმცხადებელსა და სამიდან ერთ მონმეს, რომლის მოსმენაც მას უნდოდა. იგი სარგებლობდა ადვოკატის დახმარებით, რომელსაც მისი დახმარება შეეძლო მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე. მან აპელაციით მიმართა უზენაეს სამხედრო სასამართლოს, რომელმაც აპელანტისა და მისი იურიდიული მრჩევლის, აგრეთვე სახელმწიფო მრჩევლის დასკვნის მოსმენის შემდეგ, შეუმცირა სასჯელი თორმეტ დღემდე შედარებით მკაცრი პატიმრობით, რომელიც მას ამის შემდეგ უნდა მოეხადა. თავდაპირველი სასჯელის დაეკისრა 1971 წლის 22 თებერვალს, ხოლო უზენაესმა სამხედრო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 1971 წლის 28 აპრილს.

1971 წლის 8 ოქტომბერს ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულს, როგორც ჟურნალ *Alarm*-ის რედაქტორებს, შეეფარდათ მათი ნაწილების მეთაურების მიერ დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა შესაბამისად სამი და ოთხი თვის ვადით იმ პუბლიკაციებისათვის, რომლებიც ძირს უთხრიდა სამხედრო დისციპლინას ჯარში. ორივე მათგანმა საჩივრით მიმართა საჩივრების განხილველ ოფიცერს, რომელმაც დაადასტურა სასჯელი. შემდეგ მათ აპელაციით მიმართეს უზენაეს სამხედრო სასამართლოს. საქმე მოსმენილ იქნა 1971 წლის 17 ნოემბერს. ორივეს სამართლებრივ საკითხებზე დახმარებას ადვოკატი უწევდა. სასჯელები დადასტურებულ იქნა. ბ-ნი შულს სასჯელი შეუმცირდა სამ თვემდე. უზენაესი სამხედრო სასამართლოს წინაშე მათი აპელაციის განხილვისას ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულს შეეფარდათ შედარებით მკაცრი პატიმრობა 8-დან 19 ოქტომბრამდე და რჩებოდნენ დროებით პატიმრობაში 19-დან 27 ოქტომბრამდე. შემდეგ ისინი გათავისუფლდნენ, სანამ მათ საქმეს განიხილავდა უზენაესი სამხედრო სასამართლო.

როგორც განაჩენში მოყვანილი ფაქტებიდან და მთელ რიგ ფაქტებზე ჩემი მოკლე მითითებით არის ნათელი, ნაწილის მეთაურმა შეითავსა

მოსამართლის სტატუსი, რომელიც წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს, საქმის მოსმენის შემდეგ მსჯავრი დასდო განმცხადებლებს და შეუფარდა დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა. ამგვარადვე, საჩივრების განმხილველმა ოფიცერმა შეითავსა სარევიზიო სასამართლოს სტატუსი ქვემდგომი სასამართლოების, ამ შემთხვევაში – ნანილის მეთაურის, მიერ გასამართლებული და მსჯავრდებული პირების საჩივრების გადანყვეტისას. საჩივრების განმხილველი ოფიცრის გადანყვეტილება აგრეთვე ექვემდებარება გასაჩივრებას უზენაესი სამხედრო სასამართლოს წინაშე, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს ან უარყოს მსჯავრდება და სასჯელი ან შეცვალოს იგი. უზენაესი სამხედრო სასამართლო ასრულებს სააპელაციო იურისდიქციას მეთაურისა და საჩივრების განმხილველი ოფიცრის გადანყვეტილებებზე. მსჯავრდებასა და სასჯელის შეფარდებას არ ახორციელებს ხსენებული სასამართლო. დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა თავდაპირველად აისახა ზემდგომი ოფიცრის გადანყვეტილებაში, რომელიც არც მოსამართლე იყო და არც სასამართლოს წარმოადგენდა. მის წინაშე სამართალწარმოება ჩატარდა ნანილობრივ კვაზი-იურიდიული სახით და არა სრული შესაბამისობით კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან, მე-6 მუხლის მე-3 (გ) და (დ) პუნქტებთან. მეტ-ნაკლებად იგივე მოსაზრებები ვრცელდება საჩივრების განმხილველი მოსამართლის სტატუსზე. უზენაესი სამხედრო სასამართლო სწორედ არის მოხსენიებული როგორც სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ მის წინაშე სამართალწარმოება ხორციელდება დახურულ სხდომაზე (*in camera*) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა სანინაალმდეგოდ. ეს სასამართლო საქმის განმხილველ სასამართლოს კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო ასწორებს უკვე მიღებულ გადანყვეტილებებსა და დაკისრებულ სასჯელებსა და მსჯავრდებებს. ამგვარად, მიმაჩნია, რომ მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტის მოთხოვნები არ იქნა დაცული. პირველ რიგში, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირებისათვის, რომლებსაც ემუქრებათ ბრალდება, მათი საქმე მოსმენილი იქნეს საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას და იცავს სამართლიანი განხილვის წესებს. მსჯავრდებისა და სასჯელის შეფარდების შემთხვევაში კვლავ მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, ზემდგომი სასამართლოს წინაშე დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. როგორც წესი, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, თუ არა აქვს მყარი საფუძველი, უარყოს ამგვარი მონაცემები. მართლმსაჯულების განხორციელებაში პირველი ინსტანციის – საქმის განმხილველი სასამართლოს მნიშვნელობა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული გადაჭარბებულად. მეორე მხრივ, თუ ჩემი მსჯელობა სწორია, რომ, თუ ჯარისკაცს ერთხელ აღუკვეთავენ თავისუფლების უფლებას თავისი სტატუსისათვის – როგორც ჯარისკაცის ან წვევამდელისათ-

ვის – დაუშვებელი და შეუფერებელი სახით, მას უფლება აქვს, მოექცნენ როგორც სამოქალაქო პირს, მაშინ განმცხადებლების პატიმრობა შედარებით მკაცრი პატიმრობის ან დროებითი პატიმრობის სახით იქამდე, სანამ მათი საქმე მოსმენილ იქნება უზენაესი სამხედრო სასამართლოს მიერ, გაუთანაბრდა პატიმრობას კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდებამდე. უფრო მეტიც, განმცხადებლების პატიმრობა ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში უზენაესი სამხედრო სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ეფუძნებოდა იმ ზემდგომი მეთაურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირის მსჯავრდებასა და სასჯელის შეფარდებაზე, რომელიც არ წარმოადგენდა კომპეტენტურ სასამართლოს. ამგვარი პატიმრობა არ იყო განპირობებული სამსახურებრივი აუცილებლობით.

ასევე უნდა შევხვით მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-6 მუხლის მე-3 (გ) და (დ) პუნქტების დარღვევების საკითხს. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა. არაფერი მაქვს დასამატებელი. მე-6 მუხლის მე-3 (გ) და (დ) პუნქტებთან მიმართებაში ჩანანერებიდან ჩანს, რომ განმცხადებლები დახმარებით სარგებლობდნენ მხოლოდ საქმის სამართლებრივ ასპექტებზე და ნაკლებად შესაძლებელია, რომ მათ მიეთითებინათ კონვენციის მუხლებზე. ეს, ჩემი აზრით, არ აკმაყოფილებს ზემოხსენებული ქვეპუნქტის დებულებებს. რაც შეეხება მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტს, კვლავ ჩანს, რომ განმცხადებლებმა ვერ მიაღწიეს, რომ ზოგიერთი მონმე, რომელთა დაკითხვაც უნდოდათ თავიანთ სასარგებლოდ, გამოეძახებინათ და დაეკითხათ. ამგვარი უმოქმედება ან უარი ხსენებული მონმეების გამოძახებაზე მათ სასარგებლოდ, არ ეფუძნება არც მტკიცებულების დაუსაბუთებლობას და არც სხვა რაიმე გონივრულ საფუძველს. განმცხადებლებს სრულად არ მიეცათ შესაძლებლობა, ადვოკატის ან სასამართლოს მეშვეობით პირდაპირ ან უშუალოდ დაეკითხათ მონმეები მათ წინააღმდეგ, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტში.

მოსამართლე კრემონას განსხვავებული აზრი

მე დავეთანხმე მოსამართლეთა უმრავლესობას განაჩენში მითითებული კონვენციის მუხლების დარღვევების დადგენისას. მაგრამ ერთად დავასკვნით რა, რომ გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები, რომლებიც გასაჩივრებული იყო მოცემულ საქმეში (მკაცრი პატიმრობა და დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა) ფაქტიურად პირადი თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენდა აგრეთვე სამხედრო ცხოვრების თავისებურებებისა და მოთხოვნების კონტექსტში, ვთვლი, რომ მთელი რიგი სხვა საკითხები საქმისათვის მნიშვნელოვანი გახდა და ამ საკითხებზე, რომლებსაც მოკლედ მიმოვიხილავე ქვემოთ, არ ვეთანხმები კოლეგების უმრავლესობის მიერ მიღებულ დასკვნას.

პირველ რიგში, უკვე გამოირიცხა რა გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები (ასევე მოხსენიებულია როგორც პატიმრობა) თავისუფლების აღკვეთის სფეროდან მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (მუხლი 5-1) მიზნებისათვის კონვენციის მხოლოდ დაშვებულ საფუძველზე, რომ, „მოცემულ საქმეზე კონვენციის ნორმების ინტერპრეტაციისას და გამოყენებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სამხედრო ცხოვრების თავისებურებები და მისი ზეგავლენა შეიარაღებული ძალების თითოეული წევრის მდგომარეობაზე“ (წინამდებარე განაჩენის პუნქტი 54), შემდეგ – სისხლისსამართლებრივი შესაძლო ბრალდების დადგენის პროცესში (კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის) მთელი რიგი „დისციპლინური ბრალდებები“, რომლებიც ცალსახად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, მე არ შემიძლია, შემდგომში განვახსავაო, კოლეგების უმრავლესობის მსგავსად (განაჩენის პუნქტი 82), განსაკუთრებით ამგვარი თავისუფლების აღკვეთის შედარებითი ხანგრძლივობის საფუძველზე.

ამგვარად, მე მივიჩნევ, რომ ბ-ნი ენგელის საქმეში (და არა მარტო ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში, როგორც ნათქვამი იყო განაჩენის 88-ე პუნქტში) ადგილი ჰქონდა მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრას და, რამდენადაც მისი საქმის მოსმენაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, განხორციელდა დახურულ სხდომაზე (*in camera*), ასევე ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, მიუხედავად მკაცრი პატიმრობის მოკლე ხანგრძლივობისა, რომელსაც იგი დაექვემდებარა. საფრთხის შეფასების საკითხს, რომელსაც იგი პრაქტიკულად დაექვემდებარა 1971 წლის 7 აპრილს, ჩემი აზრით, არ შეუძლია არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა.

განაჩენის 63-ე პუნქტში ნათქვამია, ბ-ნი ენგელს წინასწარი პატიმრობა მკაცრი პატიმრობის სახით ჰქონდა შეფარდებული, მიუხედავად მცირე ხანგრძლივობისა. მისაღებად მივიჩნევ რა იმას, რის თქმასაც ვაპირებ, თუმცა საფუძველი არსებითად საერთოა, ვთლი, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პასუხისმგებლობა სასჯელთან მიმართებაში, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მისი ხანგრძლივობის მიუხედავად. პირადი თავისუფლების აღკვეთას არ შეიძლება, კონვენციის არსისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ჩაითვალოს, რომ შეწყდა ხანმოკლე ხასიათის გამო, აგრეთვე, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობისათვის, სისხლისსამართლებრივი ბრალდების ნამდვილი ხასიათის განსაზღვრის დროს. განაჩენის 82-ე პუნქტის ბოლო ქვეპუნქტზე განსაკუთრებული მითითებით, მჯერა, რომ პირადი თავისუფლების აღკვეთით მიყენებული ზიანი, თუკი ეს დადგინდა, არ შეიძლება (როგორც ამას ჰქონდა ადგილი) კვლიფიცირებული იყოს რაოდენობრივი ცნებით „არ ექვემდებარება შეფასებას“ და არც დროზე იყოს მითითება (გარდა მხოლოდ შესაბამისი სიმკაცრის მიზნით მითითებისა).

შემდეგი საკითხი ეხება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტს, რომელიც, გარდა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირისათვის გარანტირებული მთელი რიგი მინიმალური უფლებებისა, მოიცავს უფლებას, „დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს“. მე არ ვცდილობ, უარყო ის ფაქტი, რომ ეს უფლება, როგორც მთლიანი და როგორც ჩამოყალიბებულია ამ დებულებაში, არ არის აბსოლუტური უფლება ყველა შემთხვევაში. მაგრამ მჯერა, რომ ბრალდებულის ეს მნიშვნელოვანი უფლება არ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, რომ სამართლებრივი დახმარება (მოცემულ საქმეში იურიდიული კვალიფიკაციის მქონე წვევამდელი არჩეული იქნა თვითონ განმცხადებლების მიერ) შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საკასაციო საჩივრით.

ამ თვალსაზრისით კვლავაც უნდა მოვიხსენიოთ, რომ გასაჩივრებული ღონისძიებების მიღების დროს უზენაესმა სამხედრო სასამართლომ პრაქტიკულად უზრუნველყო სამართლებრივი დახმარება მთელ რიგ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ შესაბამისი პირი ვერ შეძლებდა, თვითონ მოეგვარებინა აპელაციაში წამოყენებული სამართლებრივი პრობლემები და ამგვარი სამართლებრივი დახმარება შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქმის სამართლებრივი ასპექტებით. ფაქტიურად, ხსენებული შეზღუდვა ამ შემთხვევაში არის საჩივრის საგანი და მე ვთვლი, რომ მისი გამოყენება განაჩენის 91-ე პუნქტში მოხსენიებული განმცხადებლების საქმეებზე წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის დარღვევას. სამართლებრივი დახმარება, რომელიც ნახსენებია ამ დებულებაში, ეხება საქმეს მთლიანად ანუ მის ყველა ასპექტს, სამართლებრივსაც და ფაქტობრივსაც. რა თქმა უნდა, საკმაოდ ნათელია, რომ ყოველი საქმე შედგება როგორც კანონმდებლობის, ისე ფაქტებისაგან, რომ ორივე მხარე მნიშვნელოვანია დაცვის მოსამზადებლად (რის დაცვასაც ისახავს მიზნად აღნიშნული დებულება) და, რომ დროდადრო ასევე შეიძლება, ადვილი არ იყოს მათი ერთმანეთისაგან გამოიჯვანა.

კერძოდ, ნაკლებად გონივრულია გასაჩივრებული სიტუაციის გამართლება, როგორც ამას მიმართავდა ჩემი კოლეგების უმრავლესობა განაჩენის 91-მუხლის მესამე ქვეპუნქტში, იმ საფუძველზე, რომ „განმცხადებლებს რეალურად შეეძლოთ პირადად წარმოედგინათ განმარტებები მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების თუნდაც ძალიან მარტივ ფაქტებთან დაკავშირებით“. სინამდვილეში, ბრალდების ფაქტების ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანის უტყუარი სიმარტივის გარდა, არსებით საკითხს წარმოადგენს არა ახსნა-განმარტების წარდგენა, არამედ პირის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებისაგან ადეკვატურად დაცვა. მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტით გარანტირებული უფლება ბრალდებუ-

ლის და, ზოგადად, დაცვის მხარის არსებითი უფლებაა და მიმართულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართალწარმოება ბრალდებულის წინააღმდეგ არ განხორციელდეს ისეთი გზით, რომ მისი დაცვა შეფერხდეს ან ადეკვატურად არ განხორციელდეს. არც სამართლებრივი წარმომადგენლის უფლება საკუთარი არჩევანისამებრ, როგორც ეს ხორცშესხმულია ხსენებულ დებულებაში, არის პირობითი ბრალდებული პირისათვის, რომელსაც არ შეუძლია დაცვა (ან, როგორც განაჩენშია აღნიშნული, განმარტებების წარმოდგენა) პირადად. უფრო მეტიც, არ იყო გარკვეული ის საკითხი, რომ განმცხადებლებს არ შეეძლოთ პირადად დაცვა, მაგრამ, როგორც ჩანდა, მათ არ სურდათ ასე მოქცევა, არჩიეს რა, რის შესაძლებლობასაც კონვენცია ანიჭებს, თავი დაეცვათ (მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების არა მარტო სამართლებრივ, არამედ ფაქტობრივ ასპექტებთან მიმართებაში) ადვოკატის მეშვეობით თავიანთი არჩევანისამებრ. ადვოკატი რომ ფაქტიურად არჩეული იქნა, თუმცა მისი მომსახურება განმცხადებლების დაცვაში, როგორც უკვე აღვნიშნე, გაუმართლებლად იყო შეზღუდული.

შემდეგი საკითხი ეხება ბ-ნი დე ვიტის მიერ მის სასარგებლოდ დასახელებული მოწმეების არ გამოძახებას, ანუ რის შესახებაც იგი ჩიოდა თავის საქმეში, მიუთითებდა რა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტს, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირისათვის, სხვა მთელ რიგ მინიმალურ უფლებებთან ერთად, უფლებას, „დაკითხოს ან დაიკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეთა თანაბარ პირობებში“. გარდა ამისა, არ არის უარყოფილი ის ფაქტი, რომ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და შეზღუდულია, მაგალითად, ერთი ფაქტორი მაინც რომ ვახსენოთ, რელევანტობის ცნებით. მხოლოდ ახლა, როცა ბ-ნმა ვან დერ შანსმა კომისიის დელეგატების დახმარებისას (მან ადრე აგრეთვე კომისიის წინაშე წარმოადგინა განმცხადებლები) აღნიშნა ამ სასამართლო წინაშე, რომ დაცვის მხარის მოწმეები, რომლებიც არ ყოფილან გამოცხადებულნი, სწორედ ის მოწმეები იყვნენ, რომლებსაც შეეძლოთ დაცვის მხარისათვის დახმარება (მათ უნოდებდნენ „თვითმხილველ მოწმეებს“), მთავრობის წარმომადგენლებმა საწინააღმდეგოდ აღნიშნეს, რომ, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ბ-ნმა დე ვიტმა განცხადება გააკეთა, რომლითაც აღიარა მთელი რიგი ფაქტები, „ალარ იყო მოწმეების გამოცხადების შემდგომი საჭიროება“ (1975 წლის 29 ოქტომბრის მოსმენის სტენოგრაფიული მოხსენება). მაგრამ ეროვნული იურისდიქციების გადაწყვეტილებებში არამართლზომიერი ჩარევის სურვილის გარეშე და იმ ფაქტისაგან განსხვავებით, რომ ბ-ნი დე ვიტის განცხადება მოიცავდა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების მხოლოდ ნაწილს (იგი დაბეჯითებით უარყოფდა ბრალდების მთელ რიგ ფაქტებს, რაც შეიძლება დანახულ იქნეს შესაბამი-

სი გადანყვეტილებიდან), მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებში, როგორც ჩანს, მითითებული იყო, რომ ბ-ნი დე ვიტის მიერ შეთავაზებული სამიდან ორი მონმის დაუშვებლობა (მაშინ როდესაც მის წინააღმდეგ ხუთი მონმე დაუშვეს) ისეთ გამამართლებელ საფუძვლებს კი არ ემყარებოდა, როგორცაა რელევანტობა, არამედ უფრო მეტად მათ არასაჭიროდ მიჩნევას მსჯავრდებულის მთელი რიგი განცხადებების გამო, რომლებიც, ჩემი აზრით, თუნდაც ჩემს წინაშე წარმოდგენილი მასალების გამო, არ არის გამართლებული.

მოსამართლეების ოდონოგუსა და პედერსენის ერთობლივი განსხვავებული აზრი

ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სასამართლოში განხილულ არც ერთ შემთხვევაში არ დადგინდა დარღვევა კონვენციის მე-10, მე-11, მე-14, მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად. განაჩენიდან ნათლად ჩანს, რომ სირთულეები წამოიჭრება მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენების შესახებ მოსაზრებებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ მუხლებს (მუხლი 5, მუხლი 6) შორის გარკვეული ურთიერთკავშირია, რამდენადაც, თუ მე-5 მუხლი გამოიყენება იმ თვალსაზრისით, რომ ადგილი აქვს თავისუფლების აღკვეთას, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ ბრალდებას, განპირობებული იქნება მე-6 მუხლთან შესაბამისობის ვალდებულების სრული ზეგავლენა.

ჩვენ არ შეგვიძლია, დავეთანხმოთ სასამართლოს უმრავლესობის მიერ მიღებულ დასკვნას, რომ შეიარაღებული ძალების წევრების ამკარა ვალდებულება, დაიცვან დისციპლინის კოდექსი, რომელიც გამოიყენება ხსენებული ძალების მიმართ, არის დაუკონკრეტებელი ვალდებულება და, ამდენად, არ ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის სფეროში. ჩვენი აზრით, ამკარა განსხვავებაა ზოგადად მოქალაქეების ვალდებულებას, დაემორჩილონ კანონმდებლობას, და სამხედრო პერსონალის სპეციალურ მდგომარეობას, დაემორჩილონ დისციპლინურ კოდექსს, შორის, რომელიც ხსენებული ძალების არსებითი და განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

ბ-ნი ფასეტისა და სხვების განსხვავებულ აზრში ჩამოყალიბებული მოსაზრებებისაგან განსხვავებით (მოხსენება, გვ. 74-75)¹, რომელში ჩამოყალიბებულ დასკვნასაც სრულიად ვეთანხმებით, არსებობს მარტივი ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამხედრო დაწესებულების სტრუქტურისა და ხასიათის კუთხით კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოში. ეს ფაქტორი არის დისციპლინური კოდექსი, რომლის დაცვა არსებითია შეიარაღებული ძალების მუდმივი არსებობისათვის და სავსებით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ორგანოს ან გაერთიანებისაგან, რო-

¹ რეგისტრატურის შენიშვნა: ფურცლების ნუმერაცია შაბლონური ვერსიით.

მელიც ითვალისწინებს თავისი წევრების მიმართ დისციპლინური ღონისძიების განხორციელებას.

შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის სპეციალური მნიშვნელობა და მისი წევრების მიერ ამის აღიარებას მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ ამკარად ადგილი აქვს კანონით გათვალისწინებულ სპეციფიკურ და კონკრეტულ ვალდებულებას, რომლებიც შეეფარდათ წევრებს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს წინაშე განხილულ არც ერთ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისის გამო.

ბ-ნი ენგელის წინასწარი პატიმრობა დაიწყო მისი დაკავებით 1971 წლის 20 მარტს. 1903 წლის სამხედრო დისციპლინური კანონი ითვალისწინებდა ამგვარ დაკავებასა და პატიმრობას, მაგრამ კანონის 45-ე მუხლი ზღუდავდა წინასწარი პატიმრობის ვადას ოცდაოთხ საათამდე. ენგელის საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ოცდაორი საათით პატიმრობა გადასცილდა ვადას, რაც არაკანონიერი იყო. მაგრამ ბ-ნი ენგელის საქმეში ვთვლით, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი პერიოდი 1971 წლის მარტიდან ივნისამდე. მინისტრის გადაწყვეტილებამ გადაავადა მისი სასჯელების აღსრულება, რომ გამოცდის ჩაბარების ნება მისცემოდა. აგრეთვე აპრილში რამდენიმე სასჯელის შემცირება ბალანსირებული უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, მაგრამ ტექნიკურად გაჭიანურებულ ოცდაორ საათთან მიმართებაში. ჩვენ არ ვთვლით, რომ ყველა ამ გარემოებაში ნიდერლანდების მთავრობამ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

როგორც ჩვენ მივიჩნევთ, განმცხადებლების მართლსაწინააღმდეგო ქმედებები დისციპლინური სამართალდაღვევების სახით ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლების, როგორც სამხედრო მოსამსახურეების, საქციელსა და მათ სამხედრო ვალდებულებებს (იხ. კომისიის მოხსენება, პუნქტი 122), აქედან გამომდინარეობს, რომ „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას“, როგორც აღნიშნულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, არ ჰქონია ადგილი არც ერთი განმცხადებლის მიმართ.

იგივე მიზეზების გამო ვთვლით, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის დარღვევას საქმეების გადაწყვეტის დროს და, რომ არც ერთ მათგანს არ მოქცევთან სისხლისსამართლებრივი ბრალდების კონტექსტში, რაც მოითხოვს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ პროცესს.

აღიარებული უნდა იქნეს, რომ სიძნელე შეიძლება შეხვედროდათ სახელმწიფოებს იმ საქმეების გადაწყვეტისას, რომლებიც წარმოადგენენ დისციპლინის დაღვევას და ამავე დროს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულს. როდესაც სახეზეა ეს უკანასკნელი შემთხვევა, მაშინ დაცული უნდა იყოს მე-6 მუხლის დებულებები. დისციპლინური კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საჩივრისა და სასჯელის ხასიათი იმ კურსის სასარგებლო

მანიშნებელი იქნება, რომელიც დაცულ უნდა იქნეს კონვენციის შესაბამისობაში ყოფნისათვის. ნებისმიერი მცდელობა, რომ მძიმე დანაშაული განხილულ იქნეს პროცედურის გადახვევით როგორც დისციპლინური სამართალდარღვევა, ჩვენი აზრით, იქნებოდა ამ უფლების ბოროტად გამოყენება და, რა თქმა უნდა, სავსებით ნაკლებად სარწმუნო იქნებოდა, კონვენციის თანახმად, გამორიცხულიყო მე-6 მუხლის გამოყენება და მოეთხოვა სრული შესაბამისობა მე-6 მუხლის მოთხოვნებთან.

ჩვენ დიდად დაგვეხმარა ბ-ნი ველტერის განსხვავებული აზრი, კერძოდ, ვეთანხმებით მე-9 პუნქტში გამოთქმულ მოსაზრებასა და მის დასაბუთებას, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული მე-6 მუხლი ხუთი განმცხადებლიდან რომელიმეს მიმართ.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 50-ე მუხლთან მიმართებაში არ წამოიჭრება არანაირი კითხვა.

მოსამართლე თორ ვილიალმსონის განსხვავებული აზრი

1. არ შემიძლია დავეთანხმო სასამართლოს უმრავლესობის მსჯელობას, რომელიც მოცემულია განაჩენის 62-ე პუნქტში. უმრავლესობამ დაადგინა, რომ 1903 წლის კანონის შესაბამისად შედარებით მკაცრი პატიმრობა არ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას მე-5 მუხლის მნიშვნელობით. ჩემი აზრით კი, იგი წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას როგორც ბუნებით, ასევე სამართლებრივი ხასიათით.

როგორც განაჩენის მე-19 პუნქტში არის აღნიშნული, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც შეეფარდათ შედარებით მკაცრი პატიმრობა, არ სარგებლობენ გადაადგილების იმავე თავისუფლებით, როგორც სხვა სამხედრო მოსამსახურეები. ეს შეზღუდვები აშკარად განსხვავდება ცხოვრების ჩვეულებრივი პირობებისაგან ნიდერლანდების შეიარაღებულ ძალებში. ამგვარად, ხსენებული სამხედრო მოსამსახურეები არასამუშაო საათებში რჩებიან სპეციალურად განკუთვნილ ადგილზე, მათ არ შეუძლიათ გამაჯანსაღებელ დანესებულებებში წასვლა სხვა პირების მსგავსად იმავე ბარაკებში და სძინავთ სპეციალურ ოთახებში.

შეხედულებას, რომ ამგვარი მოპყრობა უთანაბრდება თავისუფლების აღკვეთას, ამყარებს მისი აშკარად დამსჯელი მიზანი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახეზეა მოპყრობა, რომლის მიმართაც გამოიყენება ტერმინი პატიმრობა, რაც თავისთავად მიუთითებს თავისუფლების აღკვეთაზე.

ყოველივე ზემოხსენებული არ მაძლევს იმის საფუძველს, რომ დადგინდეს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა ბ-ნი დე ვიტისა (განაჩენის 41-ე პუნქტი) და ბ-ნი შულის (განაჩენის 65-ე პუნქტი) შედარებით მკაცრი პატიმრობასთან მიმართებაში. ეს დასკვნა ეფუძნება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის ჩემულ ინტერპრეტაციას, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი. რაც შეეხება ბ-ნი დე ვიტის საქმეს, ფაქტია, რომ მან მოიხადა

შედარებით მკაცრი პატიმრობა ნიდერლანდების უზენაესი სამხედრო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

2. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს „პირის კანონიერი დაკავებას ან დაპატიმრებას ... კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“. სასამართლოს უმრავლესობა კომისიის უმრავლესობასთან ერთად მიიჩნევს, რომ ეს დებულება არ გამოიყენება ხსენებულ საქმეზე (განაჩენის 69-ე მუხლი). მე არ შემძლია დავეთანხმო უმრავლესობას აღნიშნულ საკითზე. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს სამხედრო სამსახური, მას აყალიბებს დადგენილი პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ნიდერლანდებში ჩამოყალიბებულია განაჩენში მითითებული კანონებისა და რეგლამენტების მეშვეობით. აღნიშნული წესები ქმნის მკაფიოდ განსაზღვრულ სისტემას და ისინი სამხედრო მოსამსახურეებს აკისრებენ სპეციალურ ვალდებულებებს: როგორც მე ვხედავ, კანონის უზენაესობისათვის საფრთხის მიყენების გარეშე, აღნიშნული წესების ეს ერთობლიობა ექცევა მე-5 მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის სფეროში.

ამისდა მიუხედავად, ეს დასკვნა არ გამოიყენება ბ-ნი ენგელის ოცდაოთხ საათზე მეტი ხნით დროებით პატიმრობასთან მიმართებაში, რომელსაც ითვალისწინებდა 1903 წლის კანონის 45-ე მუხლი (განაჩენის 26-ე პუნქტი). ამ კონკრეტულ საკითხზე მე ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 69).

3. განაჩენის 91-ე პუნქტში სასამართლოს უმრავლესობა გამოთქვამს თავის მოსაზრებას მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (გ) და (დ) ქვეპუნქტებთან დაკავშირებით. მე არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას.

რაც შეეხება მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტს, ტექსტის ბუნებრივი აღქმა, როგორც მე მიმაჩნია, მიუთითებს იმაზე, რომ ბრალდებულმა უნდა გადაწყვიტოს, თავს დაიცავს პირადად თუ ამ ამოცანას ადვოკატს მიანდობს. ეს, უფრო მეტიც, ეთანხმება კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს, რომლებიც ასახულია მე-6 მუხლში. მე ვერ ვხედავ, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს – რომ არაფერი ვთქვათ ადმინისტრაციულ ხელისუფლებაზე – შეუძლია გონივრულად გადაწყვიტოს, თუ რა დონეზე შეუძლია ბრალდებულს თავის დაცვა. ამგვარად, ვთვლი, რომ ადგილი აქვს მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის დარღვევას ბ-ნი დე ვიტის, ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის მიმართ.

რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტს, მე ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას, როდესაც განაჩენის 91-ე პუნქტში მიუთითებს, რომ ეს დებულება არ მოითხოვს თითოეული მოწმის დაკითხვას, რომელთა გამოძახების სურვილი ექნება განმცხადებელს. ისევე როგორც უმრავლესობა, მივიჩნევ, რომ „მხარეთა თანასწორობა“ მნიშვნელოვანი საკითხია დებულების ინტერპრეტაციის დროს. თუმცა ეს დებულება სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალდებულს უფლებას აძლევს, რომ

მის მიერ დასახელებულ მოწმეებს მოუსმინოს ტრიბუნალმა, რომელიც მის საქმეს იხილავს, თუ ამის სანინააღმდეგოდ არ არსებობს დასაბუთებული მიზეზები. ხსენებულ სასამართლოს, გარკვეულნილად, ჰქონდა არასრული ინფორმაცია ფაქტებთან დაკავშირებით მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ ბ-ნი დე ვიტის საქმეში ორი მოწმის გამოძახება ბრკოლდებოდა ყოველ ჯერზე (განაჩენის 42-ე და 91-ე პუნქტები). ეს, ჩემი აზრით, არ იყო გაპროტესტებული. თუნდაც საჩივრების განმხილველ ოფიცერს 1971 წლის 5 მარტს მოესმინა მოწმეებისათვის, ეს არ ჩათვლებოდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებად, რადგანაც იგი არ წარმოადგენს სასამართლოს ან ტრიბუნალს მე-6 მუხლის მნიშვნელობისათვის. შესაბამისად, ვთვლი, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტის დარღვევას ბ-ნი დე ვიტთან მიმართებაში. მეორე მხრივ, ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას, რომ არ ჩათვალა ამ დებულებების დარღვევა ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში, რადგანაც არ დადგინდა, რომ მათ ამის შესახებ თხოვნით მიმართეს უზენაეს სამხედრო სასამართლოს.

მოსამართლე ბინდშელდერ-რობერტის განსხვავებული აზრი

მე ვეთანხმები განაჩენის დადგენილებითი ნაწილის დებულებებს, გარდა ორი საკითხისა ბ-ნი ენგელის დროებით პატიმრობასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხები მოიცავს იმის დადგენას, რომ პატიმრობით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, რადგანაც, პირველ რიგში, არ იყო გამართლებული ამ დებულების არცერთი ქვეპუნქტის შესაბამისად (განაჩენის დადგენილებითი ნაწილის პუნქტი 4), და, მეორე რიგში, გადააჭარბა ნიდერლანდების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოცდაოთხსაათიან ვადას (განაჩენის დადგენილებითი ნაწილის პუნქტი 5).

1. განაჩენის დადგენილებითი ნაწილის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებული განსხვავებული აზრი ასახავს, თუ რაოდენ არსებითად არ ვეთანხმები მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებას მოცემულ საკითხთან მიმართებაში.

განაჩენის პირველი ნაწილი („კანონმდებლობის შესახებ“) ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი *de plano* გამოიყენება დისციპლინური ღონისძიებებისა და სასჯელების მიმართ, რომლებსაც მოჰყვება თავისუფლების აღკვეთა სამხედრო დისციპლინური კანონმდებლობის კონტექსტში. აქედან გამომდინარე, (i) დისციპლინური ღონისძიება, რომელსაც მოჰყვება თავისუფლების აღკვეთა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კონვენციასთან შესაბამისობაში, თუ დროებით დაკავებას ან პატიმრობას უფარდებს სასამართლო მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის შესაბამისად; და (ii) მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ კომპე-

ტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით და არა იერარქიულად ზემდგომის წინაშე, თუნდაც იგი უფლებამოსილი იყოს, შეუფარდოს დისციპლინური სასჯელი. თუ, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პირველი შედეგით არ დადგინდა კონვენციის დარღვევა, მეორე შემთხვევაში სასამართლო დაასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ბ-ნი ენგელის წინასწარი დაკავება დაკავშირებით.

ჩემდა სამწუხაროდ, მე არ შემიძლია ამ მოსაზრების გაზიარება; ვფიქრობ, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ამკარად ამომწურავი ხასიათის მიუხედავად, სამხედრო დისციპლინის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები და სასჯელები არ ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში შემდეგი მიზეზების გამო:

(1) მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამხედრო სამსახურის ხასიათი და დისციპლინური კანონმდებლობის როლი დისციპლინის დამყარებისა და განმტკიცებისათვის, რომელიც არის *sine qua non* პირობა ჯარის, როგორც სპეციალური ინსტიტუტის, სათანადო ფუნქციონირებისათვის. არ არის საკმარისი თავისუფლების აღკვეთის ვინაობა კონტექსტში აღიარება, როგორც ამას მიმართავს სასამართლო; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დისციპლინური კანონმდებლობის მთელი სისტემა. კერძოდ, სამხედრო დისციპლინა ითხოვს სწრაფ და ეფექტურ ღონისძიებებსა და სასჯელებს, თითოეული სიტუაციის შესაბამისად, რომელთა შეფარდებაც შესაბამისად შეუძლია იერარქიულად ზემდგომს.

(2) კონვენცია აღიარებს მე-4 მუხლის მე-3 (ბ) პუნქტით სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას. ეს დებულება ასახავს ხელშემკვრელ სახელმწიფოების მიერ გაკეთებულ ძირითად არჩევანს და ზოგადად განსაზღვრავს სამხედრო ცხოვრების კონვენციისთან შესაბამისობას. ამგვარად, ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვები და მათგან გადახვევის უფლება, მაგალითად მე-4 ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გადაადგილების თავისუფლება – არ ეწინააღმდეგება კონვენციას, თუნდაც მათ შესახებ არ იყოს გაკეთებული ამკარა დათქმა. ჯარისათვის დამახასიათებელი დისციპლინის სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ ამგვარ გადახვევას; მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ეხება სამხედრო დისციპლინის შესახებ კანონმდებლობას. მისი ამომწურავი ხასიათი ეხება მხოლოდ სამოქალაქო ცხოვრების სიტუაციებს. მოსამართლე ვერდროსი სწორედ აღნიშნავს თავის განსხვავებულ აზრში, რომ დისციპლინური სასჯელები სამხედრო სამსახურის ფარგლებში არის *sui generis*.

(3) ის ფაქტი, რომ დისციპლინური კანონმდებლობა არ ექცევა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში, არის ერთადერთი გამართლება ხსენებული დებულების ფორმულირებისა და სიტუაციებთან ადაპტაციის ნაკლისა, რომლებსაც ეხება დისციპლინური კანონმდებლობა. აღნიშნული ფაქტორები, ისევე როგორც კონვენციაში მე-5 მუხლის ადგილი და მისი

ლოგიკური კავშირი მე-6 მუხლთან მიუთითებს იმაზე, რომ კონვენციის ფუძემდებლებს ცალსახად ჰქონდათ მხედველობაში სიტუაციები, რომლებიც ეხებოდა სისხლის სამართალწარმოებას.

(4) ზემოხსენებული საკითხები შემუშავებულია იმ სახით, რომლითაც ხელშემკვრელი სახელმწიფოები ამ საკითს არეგულირებენ თავიანთი შიდა კანონმდებლობით. დღესაც კი, სამხედრო დისციპლინურ კანონმდებლობაში იერარქიული ზემდგომი ზოგადად არის ხელისუფლება, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს ღონისძიებები ან დააკისროს სასჯელები, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ზოგიერთი სახელმწიფო რეალურად უზრუნველყოფს სასამართლო წესით გადასინჯვას, მაგრამ მას ყოველთვის არ აქვს შემაჩერებელი ეფექტი; უფრო მეტიც, მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტი არ ასხვავებს მოთხოვნებს სხვადასხვა ხელისუფლებასთან მიმართებაში. მთავრობებს არ მოეთხოვებათ, წინასწარ განჭვრიტონ იმის შესაძლებლობა, რომ მათი სამხედრო დისციპლინურ კანონმდებლობას, სამხედრო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სანინაალმდეგოდ, შეიძლება ზიანი მიაღდგეს კონვენციით. ამ გარემოებებში ძნელია, ხელი შეუწყონ ინტერპრეტაციას, რომელიც უგულებელყოფს ფართოდ გავრცელებულ ცნებას, კერძოდ, „სხვადასხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების შესაბამისი კანონმდებლობის საერთო მსაზღვრელი“, რათა სასამართლოს ენა მიღებული იქნეს სხვა კონტექსტით (განაჩენის პუნქტი 82).

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივიღოვარ, რომ ბ-ნი ენგელის წინასწარი დაკავება, რამდენადაც იგი განხორციელდა დისციპლინური პროცედურის ფარგლებში, არ ექვემდებარებოდა მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტს და, შედეგად, იგი არ წარმოადგენდა აღნიშნული დებულების დარღვევას იმ საფუძველზე, რომ ბ-ნი ენგელი დაკავებულ და დაპატიმრებულ იქნა იერარქიული ზემდგომის და არა სასამართლო ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით.

2. მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტის, რომ არ გამოიყენება დისციპლინური კანონმდებლობის მიმართ, არ გულისხმობს იმას, რომ დისციპლინური ღონისძიებები და სასჯელები არ ექვემდებარება ზედამხედველობას. ფაქტიურად, როგორც განაჩენში არის ნათქვამი, მე-6 მუხლი (მუხლი 6) კონვენციის საფუძველზე შექმნილ ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოასწორონ დისციპლინური კანონმდებლობის მოცულობის მეტისმეტი გადაჭარბება; უფრო მეტიც, არსებობს იმის საფუძველი, რომ დისციპლინურ კანონმდებლობაში გათვალისწინებული ღონისძიებები და სასჯელები, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, არ გამორიცხავს თავიდან კანონიერების მოთხოვნას, რომელიც წარმოადგენს მთლიანი მე-5 მუხლს საფუძველს.

ბ-ნი ენგელის დროებითი პატიმრობა შეიძლება ამ კუთხით იქნეს შეფასებული. მიუხედავად ამისა, თუმცა მიმაჩნია, რომ თავდაპირველად იგი არაკანონიერი იყო, რამდენადაც გაგრძელდა ოცდაოთხ საათზე მეტი ხნით,

არ შემიძლია დავეთანხმო განაჩენის დადგენილებით ნაწილში იმ საკითს, რომელიც აღწერს კონვენციის დარღვევას ამ თვალსაზრისით. სახელმწიფო, რომელიც ახდენს საერთაშორისო სამართლის სანინაალმდეგოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სწორედ ამ ფაქტით იხსნის თავის საერთაშორისო პასუხისმგებლობას; მისთვის ამ შესაძლებლობის მიცემა სწორედ რომ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებების ამონაურვის წესის შინაარსს (იხ. *Guggenheim, Traité de droit international public*, ტომი II, გვ. 23). წინამდებარე საქმეში სახელმწიფომ ბ-ნ ენგელს სრულად აუნაზღაურა მიყენებული ზიანი, როდესაც აპელაციის განმხილველმა ხელისუფლების ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორი დღის მკაცრი პატიმრობა, რომელსაც იგი დაექვემდებარა, უნდა ჩათვლილიყო, რომ მან იგი უკვე მოიხადა წინასწარი დაკავების დროს. აღნიშნულ გარემოებებში უკვე აღარ იყო მართლზომიერი განაჩენის დადგენილებით დებულებებში კონვენციის დარღვევაზე მითითება. აღნიშნული მიდგომა არ ეწინააღმდეგება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ყოველ ჯერზე, როდესაც მან დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობის ჩათვლა სასჯელის ნაწილად მას არ უშლიდა ხელს, მხედველობაში მიეღო ამგვარი პატიმრობის არაკანონიერება, ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ პატიმრობას, რომლის შესახებაც დასკვნა არ წარმოადგენდა სრულ გამოსწორებას. გარდა ამისა, საკითხი წარმოდგენილ იქნა სასამართლოს წინაშე სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭების კონტექსტში (იხ. მაგალითად, *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1974 წლის 7 მაისი, სერია A № 17, გვ. 18-19).

მოსამართლე ევრიგენისის განსხვავებული აზრი

1. ჩემდა სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას განაჩენის დადგენილებითი დებულებების მე-3, მე-14, მე-15 და მე-16 საკითხებზე. ქვემოთ მოცემულია ის საკითხები, რომლებშიც არ ვეთანხმები:

(ა) სასამართლოს უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემა ნიდერლანდების უზენაესი სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, აკმაყოფილებდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მოთხოვნებს. ჩემი კოლეგების აზრით, მათ თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა „სასამართლომ“ იმ მნიშვნელობით, რა დატვირთვაც აქვს ამ ტერმინს მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტში. თუ მივმართავთ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოყენებულ ტერმინოლოგიას, სამხედრო სასამართლო წარმოადგენდა სასამართლოს ორგანიზაციული თვალსაზრისით; თუმცა, როგორც ჩანს, მეორე მხრივ, ძნელია კანონით გათვალისწინებული პროცედურა, როგორც გამომდინარეობს მოცემული საქმიდან, რომ ფაქტიურად შეესაბამება პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო ორგანო მე-5

მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მნიშვნელობისათვის. ჩემი აზრით, ამ პროცედურის ორმა ასპექტმა, კერძოდ, ერთი მხრივ, ბრალდებულის ადვოკატისათვის ნებადართული მოქმედების თავისუფლებამ და, მეორე მხრივ, მტკიცებულებების წარდგენამ, არ შეასრულა ხსენებული პირობები.

პირველ ასპექტთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ აღნიშნულ ფაქტები (განაჩენი, პუნქტები 32, 48, 91) მიუთითებს დაცვის მხარის ადვოკატის თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვაზე სამხედრო სასამართლოს წინაშე, როდესაც იგი განიხილავს დისციპლინურ საქმეს, მსგავსად წინამდებარე საქმეებისა. ფაქტიურად, ადვოკატს არ შეუძლია სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღება იმ გამონაკლისის გარდა, რომ მოაგვაროს სამართლებრივი პრობლემები და, უფრო მეტიც, მხოლოდ საეციფიკური სამართლებრივი პრობლემები, რაც წარმოდგენილ უნდა იყოს მისი კლიენტის აპელაციაში, როგორცაა საკითხები, რომლებიც წამოიჭრება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად. გარდა ამისა, არსებობს საკმარისი საფუძველი, ჩაითვალოს, რომ ადვოკატს არა აქვს უფლება, ბრალდებულის ინტერესები წარმოადგინოს სასამართლო პროცესზე (იხ. 1970 წლის 23 დეკემბრის მოხსენებაზე ნიდერლანდების უზენაესი სამხედრო სასამართლოს მოქმედი რეგისტრატორის მითითება, გადაწყვეტილება დაშეებადობის შესახებ, კომისიის მოხსენება, გვ. 99)². ამ შეზღუდვების მხედველობაში მიღებით ძნელია ხსენებული პროცედურის სასამართლოს ცნებასთან შესაბამისობაში მოყვანა მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში; არ დაგვაინყდეს, რომ ეს არის სასამართლო, რომელსაც სანქციის სახით უფარდებს თავისუფლების აღკვეთას (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია №12, გვ. 41-42, პუნქტები 78-79, და (ბ), რომელიც ქვემოთ არის ნახსენები).

იგივე საკითხები გამოიყენება ზემოხსენებულ მეორე პროცედურულ ასპექტთან, კერძოდ, კანონით გათვალისწინებულ პროცედურასთან მიმართებაში, რომელსაც პრაქტიკაში მოსდევს მტკიცებულების წარდგენა სამხედრო სასამართლოს წინაშე, როდესაც იგი იკრიბება დისციპლინური სასამართლოს სახით. სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტების შესაბამისად და ნიდერლანდების კანონმდებლობის დებულებების მხედველობაში მიღებით, რომელიც მოცემულ საქმეზე გამოიყენება (იხ. განაჩენის პუნქტები 31 და 91), დაცვის მხარის მოწმეების დასწრება და მოსმენა არ ხორციელდება იმ პირობებში, რომლებსაც ითვალისწინებს დაცვის გარანტიები, რაც, ჩემი აზრით, უნდა უზრუნველყოს სასამართლომ, თუ იგი უფარდებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით და იმისათვის, რომ იყოს სამართლიანი. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეებში.

2 რეგისტრატურის შენიშვნა: ფურცლების ნუმერაცია შაბლონური ვერსიით.

მიმაჩნია, რომ ამის აღნიშვნით სასამართლომ ერთხელ დაადგინა რა, რომ ხსენებული ორი განმცხადებლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება იყო „სისხლისსამართლებრივი“ (მე-6 მუხლი, განაჩენის პუნქტები 80, კერძოდ, პუნქტი 85 *in fine*), მან თავი უნდა შეიკავოს იმის გამორკვევისაგან, სამხედრო სასამართლო შეესაბამება თუ არა სასამართლოს ცნებას მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტის მნიშვნელობისათვის. რამდენადაც, პრინციპში, გამოთქმა „სასამართლო“ ავტონომიური ცნებაა თითოეულ ზემოხსენებულ დებულებაში, იგი, მოუხედავად ამისა, არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტში ნახსენები სასამართლო უნდა აკმაყოფილებდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, როდესაც, ისევე როგორც მოცემულ საქმეზე, სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, რომელსაც იგი უფარდებს, საბოლოოდ ითვლება, რომ არის სისხლისსამართლებრივი ბრალდების შედეგი და, ამდენად, ხვდება მე-6 მუხლში. შესაბამის შემთხვევებში დასაშვებია, მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტში ნახსენები სასამართლო არ აკმაყოფილებდეს მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულ ყველა პირობას სისხლის სამართლის სასამართლოსათვის. სანინააღმდეგოს მტკიცება ძნელი იქნებოდა როგორც ლოგიკურად, ასევე სამართლებრივად. თუ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით შეუფარდა სასამართლომ, რომელიც აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის პირობებს, აზრი აღარ აქვს შემდეგ კითხვებს იმასთან დაკავშირებით, სასამართლო შეესაბამებოდა თუ არა სასამართლოს ცნებას მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტის მნიშვნელობისათვის.

(ბ) იმავე საფუძვლებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არ უნდა დავეთანხმო სასამართლოს უმრავლესობის აზრს განაჩენის დადგენილებითი ნაწილის მე-14, მე-15 და მე-16 პუნქტებზე. ამდენად, შევეხები ზემოთ წარმოდგენილ 1 (ა) პუნქტში მითითებულ შენიშვნებს.

ჩემი აზრით, ფაქტად რჩება, რომ დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის საქმეების განხილვა „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ მე-6 მუხლის ცნების კუთხით ითხოვს ზოგიერთ უფრო ზოგადი ხასიათის დაკვირვებას. მათი განხილვით გამოვხატავ, თუ რამდენად მკვეთრად არ ვეთანხმები ამ საკითხებზე უმრავლესობას.

სასჯელის სახით დისციპლინური განყოფილებისათვის გადაცემის შეფარდებისას (ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმე) ან არასასამართლო ხელისუფლების ორგანოს მიერ ამგვარი სასჯელის შეფარდების (ბ-ნი დე ვიტის საქმე) გადასინჯვისას, სამხედრო სასამართლო მოქმედებდა, ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც დისციპლინური სასამართლო. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო სასამართლო არ განიხილავდა საქციელს, რომელიც შეიძლება სანქცირებული ყოფილიყო სასჯელებით თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი პროცედურა პრინციპში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო კონვენციის სანინააღმდეგოდ. თუმცა, ჩვენმა სასამართლომ მიიჩნია, და სწორედაც, რომ ზემოხსენებული შემთხვევები არა მარტო ითვალისწინებდა სასჯელების სახით თავისუფლების აღკვეთას, არამედ ასევე ხვდებოდა „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ცნების ქვეშ კონვენციის

მე-6 მუხლის მნიშვნელობით. ამგვარად, მას უნდა გამოეკვლია, აღჭურვილი იყო თუ არა სამხედრო სასამართლო იმ გარანტიებით, რომლებიც უნდა ჰქონდეს, აღნიშნული დებულების მოთხოვნისამებრ, სისხლის სამართლის სასამართლოს. უმრავლესობამ ჩათვალა, რომ მოცემულ საქმეში სახეზე იყო ხსენებული გარანტიები, გარდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისა, რომ მოსმენა უნდა იყოს საჯარო. ახლა უკვე სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ უმრავლესობის წარმოდგენა, ჩემი აზრით, ძნელად შეესაბამება მე-6 მუხლის მინიმალურ მოთხოვნებს იდეალურ სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ. ძნელად თუ ჩავთვლი, რომ სისხლის სამართლის სასამართლო, მიუხედავად მისი დონისა თუ იურისდიქციისა, შეიძლება, მე-6 მუხლის დებულებების სანინალმდებლობად, ფუნქციონირებდეს დაცვის მხარის ადვოკატის მოქმედების თავისუფლებაზე დანესებულ მნიშვნელოვან შეზღუდვებთან ერთად, რომლებიც ტრადიციულად ნებადართულია სისხლის სამართლის პროცესში ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში, და ბრალდებულისათვის ნაკლებად ხელსაყრელი მტკიცებულებების გათვალისწინებასთან ერთად. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს ხარვეზები მიენეროს სამხედრო სასამართლოს, რომელიც, როგორც უნდა გვახსოვდეს, მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად როგორც დისციპლინური სასამართლო და, ამდენად, არც არავის გამოურკვევია ნორმალურად, შეესაბამებოდა თუ არა იგი კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. სწორედ ჩვენი განაჩენი, რომელიც ავლებს საზღვარს, რითაც დისციპლინური ხდება სისხლის-სამართლებრივი, მოითხოვს უკუქცევითად, კონვენციის ძალით, რომ დისციპლინური სასამართლო აღჭურვილი იყოს სისხლის სამართლის სასამართლოს გარანტიებით. ვშიშობ, რომ უმრავლესობის მოსაზრება იმ მოცულობამდე, როგორადაც იგი ზღუდავს ხსენებულ გარანტიებს, შეუძლია ისე მოახდინოს კონვენციის მე-6 მუხლის (მუხლი 6) და განსაკუთრებით სისხლის სამართლის სასამართლოს ცნების ინტერპრეტაცია, რომელიც არ იქნება დაცული საფრთხისაგან. ამავე კონტექსტში, აგრეთვე, მინდა აღვნიშნო, რომ, კონვენციის შესაბამისად, საკითხის სისხლისსამართლებრივად კვალიფიცირებამ, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი ეროვნული კანონმდებლობის კონცეფციებს, მოქმედებაში უნდა მოიყვანოს აგრეთვე კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები.

(გ) ხსენებული მიზეზების გამო მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენისას ზემოთ წარმოდგენილ 1 (ა) ნაწილში ლოგიკურად უნდა დავასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას ბ-ნი დონასა და ბ-ნი შულის საქმეში (განაჩენის დადგენილებითი ნაწილის პუნქტი 7). თუ უზენაესი სამხედრო სასამართლო, რომელიც, განაჩენის თანახმად, ერთდროულად ასრულებს მე-5 მუხლის 1 (ა) პუნქტში ნახსენები სასამართლოსა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში ნახსენები სასამართლოს ფუნქციებს, არ შეესაბამებოდა წინა პუნქტში მოცემულ სასამართლოს

ცნებას, პრინციპში, ამგვარადვე იგი არ იქნება შესაბამისობაში ბოლო პუნქტში მოხსენიებული სასამართლოს ცნებასთან. თუმცა მე ვეთანხმები უმრავლესობას ამ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაში ვიღებ რა, რომ ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს ზოგადი იურიდიქციის სამოქალაქო სასამართლო, რომლის წინაშეც შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის კანონიერების გასაჩივრება გამარტივებული წესით (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლი და სასამართლოების შესახებ კანონის თავი 2 და თავი 53).

2. ხმა მივეცი განაჩენის დადგენილებითი დებულებების მე-6 საკითხის თაობაზე, რომ ხსენებულ საქმეებში ადგილი არ ჰქონდა ერთად აღებული მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-14 მუხლის დარღვევას ერთმანეთთან მიმართებაში. თუ კითხვა წამოიჭრობდა, იმავე მიზეზების გამო (განაჩენი, პუნქტები 72) იმავე სახით მივცემდი ხმას სასამართლოს წინაშე წამოყენებულ საჩივრებს, რომლებიც არ ჩათვალა თავისუფლების აღკვეთად. თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ შეეძლო, არ შეენახა ეს საკითხები განაჩენის 71-ე პუნქტში მითითებული მიზეზებიდან გამომდინარე. მე არ შემიძლია ამ მოსაზრების გაზიარება. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (საქმე ეხება ბელგიაში განათლების მიღების დროს ენების გამოყენების შესახებ კანონმდებლობის გარკვეულ ასპექტებს, 1968 წლის 23 ივლისის განაჩენი, სერია A №6, გვ. 33-34, პუნქტი 9; *National Union of Belgian Police*-ს საქმე, 1975 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი, სერია A №19, გვ. 19, პუნქტი 44), „ლონისძიება, რომელიც შეესაბამება იმ მუხლის მოთხოვნებს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება არღვევდეს მე-14 მუხლს იმ მიზეზით, რომ იგი არის დისკრიმინაციული ხასიათის“. მე-14 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება. ამგვარად, კონვენცია კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას მის მიერ გარანტირებული უფლებების განხორციელების კონტექსტში, თუ ამგვარი დისკრიმინაცია ხორციელდება იმ ღონისძიებების პოზიტიური ფორმით, რომლებიც აღრმავებს ამ უფლების განხორციელებას, კანონიერად თუ სხვაგვარად, ამ უფლების შეზღუდვების ნეგატიური ფორმით. ძნელად წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება ვინმემ, *a fortiori*, განასხვავოს ერთმანეთისაგან მე-14 მუხლის შესაბამისად, როგორც სასამართლომ განმარტა, ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს უფლების არაკანონიერ შეზღუდვას, და ღონისძიებები, რომლებიც ნებადართულია კონვენციით. დისკრიმინაციულმა მოპყრობამ რომელიმე ამ ორი კატეგორიის გამოყენებით შეიძლება მიგვიყვანოს დისკრიმინაციამდე იმ უფლებების განხორციელების დროს, რომლებიც ექვემდებარება ზედამხედველობას კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად. ამდენად, მე-14 მუხლთან შესაბამისობის თვალსაზრისით სასამართლომ ის სასჯელებიც უნდა გამოიკვლიოს, რომლებთან დაკავშირებითაც საბოლოოდ ჩათვალა, რომ არ წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას.

ნოვიცკა
პოლონეთის წინააღმდეგ

Nowicka v. Poland

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმე „ნოვიცკა პოლონეთის წინააღმდეგ“ (*Nowicka v. Poland*)

წინამდებარე განაჩენი საბოლოო სახეს მიიღებს კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში განხილულ გარემოებებში. განაჩენი შეიძლება დაექვემდებაროს სარედაქციო გადასინჯვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (მეორე სექცია) შეიკრიბა პალატის სახით, შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,
ბ-ნი ა. ბ. ბაკა,
ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი,
ბ-ნი კ. ჟუნგვიერტი,
ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,
ქ-ნი ვ. ტომასენი,
ბ-ნი ლ. გარლიკი, მოსამართლეები,

ასევე ქ-ნი ს. დოლე, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2001 წლის 16 ოქტომბერსა და 2002 წლის 12 ნოემბერს,

2002 წლის 12 ნოემბერს სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს განაცხადი (№30218/96), რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას (შემდგომში „კომისია“) 1994 წლის 15 ნოემბერს პოლონეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 25-ე მუხლის შესაბამისად წარუდგინა პოლონეთის მოქალაქემ დობროჩნა ნოვიცკამ (შემდგომში „განმცხადებელი“).

2. განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ბ-ნ ვ. პერმელისკის მიერ, რომელიც თავის ადვოკატურ პრაქტიკას ახორციელებს ვარშავაში. პოლონეთის მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი იყო მთავრობის წარმომადგენლის, ბ-ნ დრზევიცკის მიერ სახით.

3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საქმეში არსებული ფაქტები წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-8 მუხლის დარღვევას.

4. განაცხადი სასამართლოს გადაეცა 1998 წლის 1 ნოემბერს, როდესაც კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმი შევიდა ძალაში (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

5. განაცხადი დაენერა სასამართლოს მესამე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). პალატა, რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), შეიქმნა სასამართლოს რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

6. 2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადი არსებით განხილვაზე ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა.

7. 2001 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). საქმე დაენერა ახლად შექმნილ მეორე სექციას.

8. განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადგინეს მიმოხილვები არსებით განხილვაზე (რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). მხარეებთან გამართული კონსულტაციის შემდეგ პალატამ გადაწყვიტა, რომ საჭირო არ იყო მოსმენის გამართვა საქმის არსებით განხილვაზე (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი *in fine*).

I. საქმის გარემოებები

9. განმცხადებელი დაიბადა 1940 წელს და ცხოვრობს ქ. ლოდში, პოლონეთში.

ა. საკუთრიბასთან დაკავშირებული დავა

10. დაუდგენელ დღეს განმცხადებელმა დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო 25% ქონებისა, რომელიც მდებარეობდა ქ. ლოდში, პოტროვსკას ქუჩა №6-ში. ქონება შედგებოდა მშენებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთისაგან. 1990 წლის 18 ოქტომბერს ლოდის რაიონულმა სასამართლომ (*Sad Rejonowy*) განმცხადებელი გამოაცხადა ქონების განმკარგულებლად.

11. მოგვიანებით განმცხადებელმა მოსთხოვა ქონების ყოფილ განმკარგულებელს, ასოციაცია *Z.W.Z.D.*-ს, შეეჩერებინა ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება. მაგრამ ასოციაცია უგულვლელყო ეს მოთხოვნა და აგრძელებდა შენობაში მცხოვრები დამქირავებლებისგან ქირის აკრეფას. გარდა ამისა, განმცხადებელი ასაჩივრებდა ბ-ნი *ჰ.დ.*-ს უფლებას, აეკრიფა ქირა იმ დამქირავებლებისგან, რომლებიც ქირაობდნენ შენობაში არსებულ საოფისე სათავსოებს, და ამავე დროს აცხადებდა, რომ მან ყალბი გზებით მოიპოვა უფლება საკუთრების ნაწილზე. ამ პრეტენზიებმა წარმოშვა დავა განმცხადებელსა და ბ-ნი *ჰ.დ.*-ს შორის.

ბ. განმცხადებლის კერძო ბრალდება

12. 1994 წლის 8 მარტს ბ-ნმა *ჰ.დ.-მ*, მოქმედებდა რა თავისი ადვოკატის ბ-ნი *ლ.ბ.-ს* დახმარებით, აღძრა კერძო ბრალდება განმცხადებლის წინააღმდეგ. ბ-ნი *ჰ.დ.-ს* კერძო საბრალდებო დასკვნის თანახმად, განმცხადებელი დამნაშავე იყო სისხლისსამართლებრივ ცილისწამებაში, რადგან 1994 წლის 19 იანვარს წერილი გაგზავნა ბანკში, რომელმაც სესხი მისცა ბ-ნი *ჰ.დ.-ს*. აღნიშნულ წერილში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ბ-ნმა *ჰ.დ.-მ* ბანკიდან სესხი მიიღო უკანონო ხერხების გამოყენებით და სესხს ფარავდა მისი ქონებიდან მიღებული შემოსავლით.

13. ლოდის რაიონულ სასამართლოში 1994 წლის 12 აპრილს გამართული მოსმენის დროს ბ-ნი *ჰ.დ.-ს* ადვოკატმა და განმცხადებელმა უარი განაცხადეს საქმეზე მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით. გან-

მცხადებელმა დაადასტურა, რომ 1994 წლის 19 იანვარს მან გაგზავნა სადავო წერილი, რომელმაც აიძულა ბ-ნი ჰ.დ., აღედგინა კერძო ბრალდება მის წინააღმდეგ. ბ-ნი ჰ.დ.-ს ადვოკატმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, მოეთხოვა ლოდის ფსიქიატრიული კლინიკისათვის (*Poradnia Zdrowia Psychicznego*) ინფორმაცია იმის შესახებ, იყო თუ არა განმცხადებელი ამ კლინიკის პაციენტი და თუ ეს დადასტურდებოდა, მითითება მიეცა მისთვის, რათა სასამართლოსათვის მიენოდეზინა სამედიცინო ისტორია. ადვოკატმა თავის მოთხოვნას საფუძვლად დაუდო ის ფაქტი, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, განმცხადებელი ნამდვილად იყო კლინიკის პაციენტი. განმცხადებელმა უარყო, რომ იგი ოდესმე გადიოდა ფსიქიატრიულ მკურნალობას და განაცხადა, რომ ადვოკატის მტკიცება ცილისმწამებლურ ხასიათს ატარებდა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იგი მოგვიანებით განიხილავდა ადვოკატის მოთხოვნას დახურულ სხდომაზე (*in camera*) და გამოითხოვდა ინფორმაციას განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმეებსა და კრიმინალურ წარსულთან დაკავშირებით (*wywiad srodowiskowy*).

14. 1994 წლის 14 აპრილს რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა იმავე წლის 12 აპრილს წარდგენილი მოთხოვნა და ლოდის ფსიქიატრიულ კლინიკას მოსთხოვა ინფორმაციის მიწოდება ნებისმიერ სამედიცინო დახმარებაზე, რომელიც განმცხადებელს ოდესმე მიუღია კლინიკაში.

15. 1994 წლის 19 აპრილს ლოდის ფსიქიატრიულმა კლინიკამ დოქტორ ბ.კ.-ს მიერ ხელმოწერილი წერილით აცნობა რაიონულ სასამართლოს, რომ 1973 წლის 23 ოქტომბერს განმცხადებელმა მიმართა კლინიკას. მისი სამედიცინო ისტორია მიაწოდებდა განმცხადებლის „საეჭვო პარანოიულ შიზოფრენიაზე“ (*podjezrenie schizofrenii urojeniowej*).

16. 1994 წლის 6 მაისს პოლიციის კონსტებლმა ზ.ა.-მ მოამზადა განცხადება სიენკიევიცზას ქუჩა №4-ში მდებარე სახლის (სადაც განმცხადებელი ცხოვრობდა იმ დროისათვის) შემოწმების შედეგის თაობაზე. მან დაასკვნა, *inter alia*, რომ განმცხადებლის მეზობლებს დადებითი შეხედულება ჰქონდათ განმცხადებელზე, რომ იგი არ სვამდა ბევრს და არ ჰქონდა უსიამოვნება არც ერთ მეზობელთან.

17. 1994 წლის 11 მაისს ბ-ნი ჰ.დ.-ს ადვოკატმა მოსთხოვა ლოდის რაიონულ სასამართლოს, ებრძანებინა ექსპერტის აზრის მოსმენა განმცხადებლის სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მან ასევე წარმოადგინა განმცხადებლის მიერ შედგენილი რამდენიმე წერილი, რომლებშიც განმცხადებელი მოითხოვდა ქირის მიღებას ცალკეული დამქირავებლებისგან, რომლებსაც საოფისე სათავსოები ეკავათ შენობის ცალკეულ ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ ასოციაცია Z.W.Z.D-ს გაქირავებული ჰქონდა ისინი.

18. 1994 წლის 19 მაისს სასამართლომ დანიშნა ორი ფსიქიატრი და

ფსიქოლოგი და მისცა მათ მითითება, მოემზადებინათ ანგარიში განმცხადებლის მდგომარეობასთან დაკავშირებით იმ დროს, როდესაც ჩადენილი იყო სავარაუდო დანაშაული. 1994 წლის 30 მაისს ექსპერტებმა განმცხადებელთან შეხვედრა 1994 წლის 10 ივნისისათვის დაგეგმეს.

19. 1994 წლის 1 ივნისს განმცხადებელმა მიმართა ლოდის ექიმთა რაიონულ პალატას (*Okregowa Izba Lekarska*), რათა აღედრა დისციპლინარული სამართალწარმოება დოქტორ ბ.კ.-ს მიმართ 1994 წლის 19 აპრილის წერილში ყალბი ინფორმაციის მიცემისათვის. განმცხადებელი ასაჩივრებდა წერილის შინაარსს და აცხადებდა, რომ იგი დაფუძნებული იყო შეთითხნილ სამედიცინო ჩანაწერებზე, რადგან მას არასოდეს მიუმართავს ლოდის ფსიქიატრიული კლინიკისათვის. განმცხადებლის მოთხოვნა გამოძიების აღძვრასთან დაკავშირებით იმ გარემოებებში, რომლებშიც წერილი იქნა შედგენილი, უარყოფილი იქნა ლოდის რაიონისა და საოლქო პროკურორების მიერ.

20. ერთ დღეს ლოდის რაიონულმა სასამართლომ უბრძანა განმცხადებელს, 1994 წლის 10 ივნისს გამოკვლევის მიზნით გამოცხადებულ იყოს ბაბინსკის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ იზოლატორში. გამოკვლევას დოქტორი ბ.კ. უხელმძღვანელებდა. ლოდის რაიონულმა და საოლქო სასამართლოებმა უარყვეს განმცხადებლის საჩივრები და პრეტენზიები მიღებულ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით. განმცხადებლის მტკიცებით, მან რაიონულ სამართლოს მიმართა თხოვნით, შეეცვალა მისი გასინჯვის ადგილი, რადგან თვლიდა, რომ დოქტორ ბ.კ.-ს ხელმძღვანელობით წარმოებულ შემონმებას არ მოჰყვებოდა ობიექტური გადანყვეტილება მის სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

21. 1994 წლის 10 ივნისს განმცხადებელი არ გამოცხადდა ფსიქიატრიულ შემონმებაზე.

22. 1994 წლის 14 ივნისს განმცხადებელმა წარმოადგინა განაცხადი, რომლითაც მოითხოვდა ლოდის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების ყველა მოსამართლის აცილებას, მაგრამ ეს განაცხადი 1994 წლის 23 ივნისს უარყოფილი იქნა.

23. 1994 წლის 13 ივლისს ლოდის რაიონულმა სასამართლომ გამოსცა დაკავების ბრძანება განმცხადებლის ფსიქიატრიული შემონმებისათვის წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით.

24. მთავრობის მტკიცებით, 1994 წლის 27 ივლისს პოლიციამ შეატყობინა სასამართლოს, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა, გაელოთავისი ბინის კარი და ამიტომაც პოლიციის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს სისრულეში მოეყვანათ დაკავების ბრძანება. განმცხადებელმა ეს უარყო და მიუთითა იმ ფაქტზე, რომ 1994 წლის 25 ოქტომბერს იგი თავისი ნებით მივიდა პოლიციის განყოფილებაში (იხ. ქვემოთ).

25. 1994 წლის 1 ავისტოს რაიონულმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც 1994 წლის 12 აგვისტო განსაზღვრა განმცხადებელი-

სათვის იძულებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების ახალ თარიღად. თუმცა განმცხადებელი ახალ ბრძანებას არ დამორჩილა.

26. 1994 წლის 1 სექტემბერს რაიონულმა სასამართლომ გამოსცა დაკავების ახალი ბრძანება და განმცხადებლის შემონმება დანიშნა 1994 წლის 23 სექტემბრისათვის. განმცხადებელი შემონმებაზე ისევ არ გამოცხადდა.

27. 1994 წლის 4 ოქტომბერს ლოდის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა განმცხადებლის დაკავება და მისი წინასწარ პატიმრობაში აყვანა სასამართლოს ბრძანების აღსრულების მიზნით.

ბ. პირველი პატიმრობა

28. 1994 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებელი ეწვია *Lodz-Srodmiescie* რაიონის პოლიციის განყოფილებას (*Komenda Rejonowa Policji*) მისი საცხოვრებელის გატეხვისა და მასში შეღწევის თაობაზე საჩივარის წარდგენის მიზნით. მაგრამ პოლიციამ არ მიიღო მისი საჩივარი და რაიონული სასამართლოს ბრძანების საფუძველზე იგი დაკავებული იქნა, ხოლო 1994 წლის 26 ოქტომბერს გადაყვანილი იქნა ლოდის № 1 საპყრობილეში.

29. 1994 წლის 26 ოქტომბერს განმცხადებლის ქალიშვილმა გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს 1994 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც ბრძანებდა განმცხადებლის დაკავებასა და დაპატიმრებას. მაგრამ სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა 1994 წლის 27 ოქტომბერს, რადგან სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის ქალიშვილი არ იყო უფლებამოსილი, დედის სახელით შეეტანა საჩივარი.

30. 1994 წლის 28 ოქტომბერს განმცხადებლის წარმომადგენელმა გაასაჩივრა 1994 წლის 4 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ დაუდგენელ დღეს სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა.

31. 1994 წლის 2 ნოემბერს განმცხადებელმა გაიარა ფსიქიატრიული შემონმება. ფსიქიატრებმა, რომლებმაც გასინჯეს განმცხადებელი, დაასკვნეს, რომ შეუძლებელი იყო დიაგნოზის დასმა მხოლოდ ერთი შემონმებით და სასურველად მიიჩნიეს, რომ განმცხადებელს საავადმყოფოში გაეწეო ფსიქიატრიული შემონმების კურსი. ამასთან, ფსიქიატრები ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებელი შემონმებას ციხის საავადმყოფოში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაექვემდებარებოდა, თუკი არ გამოცხადდებოდა შემონმებისათვის საავადმყოფოში. 1994 წლის 3 ნოემბერს განმცხადებელი გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

32. 1994 წლის 25 ოქტომბერსა და 3 ნოემბერს შორის პერიოდში განმცხადებლის ქალიშვილმა ორჯერ მიმართა ლოდის რაიონულ სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს განმცხადებელთან შეხვედრის ნება მიეცა. ორივე განაცხადი დაკმაყოფილებული იქნა.

33. 1994 წლის 8 ნოემბერს ლოდის რაიონულმა სასამართლომ გადან-

ყვიტა, რომ განმცხადებელს უნდა გაეცლო ფსიქიატრიული შემონმება სამედიცინო დანესებულებაში (*zakład leczniczy*). 1994 წლის 23 ნოემბერს ლოდის საოლქო სასამართლომ (*Sad Wojewodzki*) არ მიიღო განმცხადებლის მიერ ამ გადანყვეტილებასთან დაკავშირებული აპელაცია.

34. 1994 წლის 12 დეკემბერს სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტებმა, რომლებსაც უნდა შეემონმებინათ განმცხადებელი, აცნობეს სასამართლოს, რომ შემონმების ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა 1995 წლის 2-დან 7 იანვრამდე.

35. 1995 წლის 6 იანვარს განმცხადებელი კვლავ არ გამოცხადდა შემონმებაზე.

36. იმის გამო, რომ განმცხადებელი არ დაესწრო ფსიქიატრიულ შემონმებას საავადმყოფოში, 1995 წლის 9 იანვარს ლოდის რაიონულმა სასამართლომ გამოსცა მისი დაკავების ბრძანება. სასამართლომ გადანყვიტა, რომ იგი წინასწარ პატიმრობაში უნდა ყოფილიყო აყვანილი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის 1 (2) პუნქტის შესაბამისად. სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებელმა ხელი შეუშალა მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართალწარმოებას, რადგან, გამოძახების მიუხედავად, არ გამოცხადდა საავადმყოფოში და პოლიციამ ვერ შეძლო მისი მიყვანა საავადმყოფოში.

37. 1995 წლის 22 თებერვალს ლოდის რაიონულმა სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა მიმალვაში და არ იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ადგილას, გასცა ჩხრეკის ბრძანება.

დ. მეორე პატიმრობა

38. 1995 წლის 23 მარტს განმცხადებელი დაკავებული იქნა, ხოლო 1995 წლის 24 მარტს გადაყვანილი იქნა ციხეში.

39. 1995 წლის 24 მარტს რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის ქალიშვილს განმცხადებლის ნახვის ნება მისცა.

40. 1995 წლის 29 მარტს ლოდის საოლქო სასამართლომ უარყო განმცხადებლის აპელაცია რაიონული სასამართლოს მიერ მის დაკავებასთან დაკავშირებით მიღებულ გადანყვეტილებაზე. იმავე დღეს ექსპერტებმა აცნობეს სასამართლოს, რომ განმცხადებლის შემონმების დანყება შესაძლებელი იქნებოდა 1995 წლის 19 აპრილს.

ე. მონახულების უფლების შეზღუდვა

41. 1995 წლის 31 მარტს განმცხადებლის ქალიშვილმა ასტრიდ ნოვიცკამ განაცხადით მიმართა ლოდის რაიონულ სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს ნება დაერთო მისთვის, მოენახულებინა განმცხადებელი. დედის „მრავალჯერ“ (*wielokrotne widzenia*) მონახულების მიზნით იგი ითხოვდა ორ ნებართვას, ერთს თავისთვის, ხოლო მეორეს – დისთვის, ინება ნოვიცკა-

სათვის. 1995 წლის 4 აპრილს მოსამართლემ შემდეგი მითითება მისცა რეგისტრატურას:

„აცნობეთ ა. ნოვიცკას, რომ სასამართლო პატიმრობაში მყოფ პირთან შეხვედრისათვის გასცემს მხოლოდ ერთ ნებართვას თვეში ერთხელ, ხოლო სხვა [ნებართვებს] – მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში“.

42. 1995 წლის 4 აპრილს ლოდის რაიონულმა სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა პატიმრობიდან გაათავისუფლების შესახებ.

43. 1995 წლის 10 აპრილს რაიონულმა სასამართლომ ნება დართო განმცხადებლის შვილს, მოენახულებინა განმცხადებელი.

44. 1995 წლის 19 აპრილს საოლქო სასამართლომ უარყო განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 4 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

45. 1995 წლის 19 აპრილსა და 26 მაისს შორის პერიოდში განმცხადებელმა გაიარა ფსიქიატრიული შემოწმება ლოდის №2 საპრობილის საავადმყოფოში. შემოწმების შედეგად შედგენილი სამედიცინო დასკვნა ადგენდა, რომ განმცხადებლის ინტელექტუალური შესაძლებლობა საშუალოზე მაღლა იდგა და რომ მას არ აღენიშნებოდა არც სულიერი ავადმყოფობა და არც გონებრივი ჩამორჩენილობა. სამედიცინო დასკვნა ასევე აცხადებდა, რომ იგი იყო პარანოიკი და რომ მას აბსოლუტურად შეგნებული ექნებოდა თავისი ქმედებები სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს.

46. ამავე დროს, 1995 წლის 5 მაისს, რაიონულმა სასამართლომ ნება დართო განმცხადებლის შვილს, მოენახულებინა განმცხადებელი.

47. 1995 წლის 22 მაისით დათარიღებული წერილით ლოდის საოლქო სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტმა აცნობა განმცხადებელს, რომ ფსიქიატრების მოთხოვნის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში მისი შემოწმება სასამართლოს მიერ იყო ნაბრძანები. ამასთან, ფსიქიატრებმა დაასკვნეს, რომ ერთი შემოწმებით მათ არ შეეძლოთ ექსპერტთა მოსაზრების ჩამოყალიბება განმცხადებლის სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

48. 1995 წლის 30 მაისს განმცხადებელი გადაყვანილი იქნა ლოდის №1 საპრობილეში. 1995 წლის 2 ივნისს რაიონულმა სასამართლომ ნება დართო განმცხადებლის შვილს, მოენახულებინა განმცხადებელი.

49. 1995 წლის 3 ივნისს განმცხადებელი გაათავისუფლებული იქნა ციხიდან.

50. მოგვიანებით ლოდის რაიონულმა სასამართლომ შეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის მიმართ.

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

ა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

51. 1969 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“) 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„პირს, რომელსაც თავისი სულიერი შეზღუდულობისა თუ ავადმყოფობის გამო არ შეუძლია აღიქვას თავისი ქმედებები ან გააკონტროლოს თავისი საქციელი [დანაშაულის ჩადენისას], არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

ბ. წინასწარი პატიმრობა

52. კოდექსის 217-ე მუხლის 1 (2) პუნქტის თანახმად:

„წინასწარი პატიმრობა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, თუკი:

2. არსებობს იმის გონივრული საფრთხე, რომ [ბრალდებული] შეეცდება, ზეგავლენა მოახდინოს მონმეებზე, რათა მათ მისცენ ყალბი ჩვენებები ან ხელი შეუშალოს სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვას ნებისმიერი სხვა უკანონო საშუალებებით...“

გ. ფსიქიატრიული გამოკვლევა

53. კოდექსის 65-ე მუხლის 1 (1) პუნქტის თანახმად:

„თუკი ეს საჭიროა მტკიცებულებათა მოპოვებისათვის, ბრალდებული უნდა დაემორჩილოს:

(1) სხეულის გარე შემონმებასა და სხვა შემონმებებს, რომლებიც არ მოიცავს სხეულთან შეხებას...“

დ. მონახულების უფლებები

54. წინასწარი პატიმრობის მარეგულირებელი წესების თაობაზე იუსტიციის მინისტრის 1989 წლის რეზოლუციის 34-ე (1) პუნქტის თანახმად:

„წინასწარ პატიმრობაში აყვანილი პირის მონახულება შესაძლებელია იმ ორგანოდან ნებართვის მიღების შემდეგ, რომლის განკარგულებაშიც იგი იმყოფება, თუკი ორგანო სხვაგვარად არ გადანყევტს“.

I. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

55. განმცხადებელი ჩიოდა, რომ 1994 წლის 25 ოქტომბერსა და 1995 წლის 23 მარტს მისი დაკავება და შემდგომი პატიმრობა წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგ შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

...

ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

...“

ა. სასამართლოსთვის წარდგენილი არგუმენტაცია

1. განმცხადებელი

56. განმცხადებლის მტკიცებით, პატიმრობის ორივე პერიოდი უკანონო იყო. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობას 1994 წლის 25 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე, მან აღნიშნა, რომ პატიმრობის ასეთი ხანგრძლივობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს საფუძვლიანი შემონგების საჭიროებით, რომელსაც, როგორც წესი, ერთი საათი სჭირდება. უფრო მეტიც, განმცხადებელი თვლიდა, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე განმარტება მისი პატიმრობისათვის მეორე პატიმრობის წინა და შემდგომ პერიოდებში.

2. მთავრობა

57. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლის პატიმრობით არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი. ამასთან, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ორივე შემთხვევაში პატიმრობა გამართლებული იყო იმ ფაქტით, რომ განმცხადებელი არ დაემორჩილა სასამართლოს ბრძანებას და არ გაიარა ფსიქიატრიული შემოწმება. ხოლო რაც შეეხება პატიმრობის

იმ პერიოდს, რომელიც წინ უსწრებდა მის პირველ შემონმებას 1994 წლის 2 ნოემბერს, მთავრობის მტკიცებით, „ტექნიკური მიზეზების გამო“ ვერ მოხერხდა შემონმების უფრო ადრე ჩატარება.

ბ. სასამართლოს მიერ განხორციელებული შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

58. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, პირველ რიგში, მოითხოვს, რომ პატიმრობა იყოს „კანონიერი,“ რაც მოიცავს იმ პირობას, რომ შესაბამისობაში იყოს კანონით განსაზღვრულ პროცედურასთან. კონვენცია აქ მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და ადგენს ვალდებულებას, პატიმრობა შესაბამისობაში იყოს არსებით და პროცესუალურ წესებთან. ამასთან, იგი დამატებით მოითხოვს, რომ ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთა შესაბამისობაში იყოს მე-5 მუხლის მიზანთან, სახელდობრ, ადამიანის თვითნებობისაგან დაცვასთან. პატიმრობის პერიოდი, პრინციპში, კანონიერი იქნება, თუ პატიმრობა განხორციელდება სასამართლო ბრძანების საფუძველზე (იხ. საქმეზე *Benham v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, 1996 წლის 10 ივნისი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე, 1996-III, გვ. 752-753, პუნქტები 40 და 42).

59. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამონაკლისთა სია თავისუფლების უფლებაზე, რომელიც დაცულია მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში, ამომწურავია და მხოლოდ ამ გამონაკლისთა ვინრო განმარტება შეესაბამება ამ დებულების მიზანს, სახელდობრ, იმის უზრუნველყოფას, რომ არავის აღეკვეთოს თავისუფლება თვითნებურად (იხ. *inter alia*, საქმეზე *Giulia Manzoni v. Italy* გამოტანილი განაჩენი, 1997 წლის 1 ივლისი, მოხსენებები 1997-IV, გვ. 1191, პუნქტი 25).

60. უფრო მეტიც, პატიმრობა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად ნებადართულია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ვალდებულებათა „შესრულების უზრუნველსაყოფად“. აქედან გამომდინარეობს, რომ სულ მცირე ადგილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი პირის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას, ხოლო დაკავება და პატიმრობა უნდა ემსახუროდეს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზანს და არ უნდა იყოს დამსჯელი ხასიათის. როდესაც შესაბამისი ვალდებულება შესრულებულია, საფუძველი მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად პატიმრობისთვის წყვეტს არსებობას.

61. და ბოლოს, უნდა დადგინდეს ნონასწორობა დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მნიშვნელობასა და თავისუფლების უფლებას შორის. აღნიშნული ნონასწორობის დადგენისას პატიმრობის ხანგრძლივობაც გასათვალისწინებელი ფაქტორია (იხ. საქმე *McVeigh and Others v. the United Kingdom*, განაცხადები

№8022/77, №8025/77, №8027/77, 1981 წლის 18 მარტის კომისიის გადან-
ყვეტილება, გადანყვეტილებები და მოხსენებები (DR), ტომი 25, გვ. 37-38
და 42; საქმე *Johansen v. Norway*, განაცხადი №10600/83, 1985 წლის 14 ოქ-
ტომბრის კომისიის გადანყვეტილება, DR, ტომი 44, გვ. 162).

2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

62. სასამართლო, პირველ რიგში, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საერთო
საფუძველზე მოხდა განმცხადებლის დაპატიმრება კონვენციის მე-5 მუხ-
ლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად და რომ ის იყო „კანონიე-
რი“. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის პატიმ-
რობა განხორციელდა სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, რათა უზ-
რუნველყოფილიყო ფსიქიატრიული შემონმებისათვის გამოცხადების მისი
ვალდებულების შესრულება, სასამართლო ვერ ხედავს ვერავითარ მიზეზს,
გამოიტანოს სხვაგვარი გადანყვეტილება ამასთან დაკავშირებით.

63. განმცხადებლის წინასწარი შემონმებისათვის განხორციელებულ
პატიმრობასთან დაკავშირებით სასამართლო ადგენს, რომ პირველად იგი
იმყოფებოდა პატიმრობაში 8 დღის განმავლობაში, სანამ დაენიშნებოდა
ფსიქიატრიული შემონმება 1994 წლის 2 ნოემბერს (იხ. წინამდებარე განაჩე-
ნის პუნქტები 28-31). მისი შემონმება დასრულდა იმავე დღეს. განმცხადებ-
ლის მეორე შემონმებას, 1995 წლის 19 აპრილიდან 26 მაისამდე პერიოდში,
წინ უძღოდა პატიმრობის 27 დღე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტებინ 38-
45). სასამართლო თვლის, რომ პატიმრობის ორივე პერიოდი, რომელიც წინ
უძღოდა შემონმებას, არ შეიძლება შესაბამისობაში მოდიოდეს კომპეტენ-
ტური ორგანოების სურვილთან, უზრუნველყოთ განმცხადებლის ვალდე-
ბულებების დაუყოვნებელი შესრულება. უფრო მეტიც, „ტექნიკური მიზეზე-
ბი,“ რომლებსაც ეყრდნობოდა მთავრობა იმ პატიმრობის ხანგრძლივობას-
თან დაკავშირებით, რომელიც წინ უძღოდა პირველ შემონმებას, ვერ გაა-
მართლებს განმცხადებლის რეაღიან პატიმრობას ხანმოკლე შემონმების
ჩატარებამდე. მიიღო რა მხედველობაში პატიმრობის ხანგრძლივობა, სასა-
მართლოს აზრით, ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანოებმა დაარღვიეს ბალან-
სი შესაბამისი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მნიშვნელო-
ბასა და თავისუფლების უფლების მნიშვნელობას შორის (იხ. ზემოხსენებუ-
ლი *McVeigh and Others*-ის საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილება).

64. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობას შემონმების შემდეგ, სა-
სამართლო თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველი შემონმება
დამთავრდა 1994 წლის 2 ნოემბერს, იგი პატიმრობაში იქნა დატოვებული
მთელი ლამის განმავლობაში და გათავისუფლებული იქნა მხოლოდ 1994
წლის 3 ნოემბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 31). განმცხადებლის
მეორე შემონმება დამთავრდა 1995 წლის 26 მაისს, მაგრამ იგი პატიმრობა-

ში დარჩა კიდევ 8 დღე 1995 წლის 3 ივნისამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 და 48-49). მთავრობამ ვერ წარმოადგინა ახსნა-განმარტება განმცხადებლის ფსიქიატრიული შემონმების შემდგომ პატიმრობასთან დაკავშირებით. სასამართლო თვლის, რომ ორივე შემთხვევაში განმცხადებელმა შეასრულა თავისი ვალდებულება იმ დღეს, როდესაც დამთავრდა მისი შემონმება. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის პატიმრობას 1994 წლის 2 ნოემბრისა და 1995 წლის 26 მაისის შემდგომ არ გააჩნდა არანაირი საფუძველი მე-5 მუხლის 1 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად (იხ. ზემოხსენებული *McVeigh and Others* და *Johansen*-ის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები).

65. სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის პატიმრობა, რომელიც მთლიანობაში გრძელდებოდა 83 დღე და შეფერხებული იქნა მეზობლებს შორის წარმოშობილი დავის შედეგად აღძრული კერძო ბრალდების კონტექსტში, არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს.

II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

66. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ (i) გადანყვეტილებები, რომლებიც ავალდებულებდა მას, გაეელო ფსიქიატრიული შემონმება და ბრძანებდა მის დაკავებას, (ii) მისი პატიმრობა 83 დღის განმავლობაში, აგრეთვე (iii) მისი ოჯახის წევრების მიერ ციხეში მისი მონახულების უფლების შეზღუდვა (თვეში მხოლოდ ერთი ვიზიტი) არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, ...

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რომელიც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

ა. სასამართლოსთვის წარმოდგენილი არგუმენტები

1. განმცხადებელი

67. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისმა დაპატიმრებამ გამოიწვია მე-8 მუხლის დარღვევა. მან აღნიშნა, რომ მოსამართლის 1995 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება, რომელმაც შეზღუდა მისი მონახულების უფლება (თვეში მხოლოდ ერთხელ), არღვევდა კონვენციის დებულებას, რადგან იგი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საფრთხედ ნებისმიერი იმ ინტერესის მიმართ, რომელიც ჩამოთვლილია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში.

2. მთავრობა

68. მთავრობამ დაადასტურა, რომ გადანყვევტილებები, რომლებითაც განმცხადებელს დაევალა, გაეცლო ფსიქიატრიული შემონმება და ნაბრძანები იქნა მისი დაკავება, წარმოადგენდა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მის უფლებაში ჩარევას. თუმცა მთავრობა თვლიდა, რომ ჩარევა შესაბამისობაში მოდიოდა კანონთან, სახელდობრ, 1969 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლთან, რომ სასამართლო ბრძანების განხორციელება კონვენციის შესაბამისად გამართლებული და პროპორციული იყო კანონიერ მიზანთან. ამას გარდა, მთავრობამ აღნიშნა, რომ დაკმაყოფილდა ყველა განაცხადი, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის მონახულების ნებართვასთან დაკავშირებულ თხოვნას და შეტანილი იყო მისი ოჯახის წევრების მიერ.

ბ. სასამართლოს მიერ განხორციელებული შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

69. სასამართლო იმეორებს, რომ ნებისმიერი ჩარევა ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას, თუკი ეს ჩარევა არ არის განხორციელებული „კანონის თანახმად“, არ არის მიმართული მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი კანონიერი მიზნისა თუ მიზნების მიღწევისაკენ და არ არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმ თვალსაზრისით, რომ პროპორციული იყოს მისაღწევი მიზნებისა (იხ. საქმე *D.G. v. Ireland*, განაცხადი №39474/98, პუნქტი 104, 2002 წლის 16 მაისი, არ არის გამოქვეყნებული).

70. აუცილებლობის ცნება მოიაზრებს, რომ ჩარევა უნდა პასუხობდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას, კერძოდ, დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს. იმის განსაზღვრისას, „არსებობს თუ არა აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ ხელშემკერელ სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ შეფასების ზღვარი. ამას გარდა, სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს სადავო ფაქტები მოწყვეტილად, არამედ უნდა გამოიყენოს ობიექტური სტანდარტი და განიხილოს ფაქტები საქმეში არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით (იხ. საქმე *Matter v. Slovakia*, №31534/96, პუნქტი 66, 1999 წლის 5 ივლისი, არ არის გამოქვეყნებული).

71. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი შეზღუდვები და აკრძალვები, რომლებიც თან სდევს პატიმრის ცხოვრებასა და დისციპლინას კანონიერი პატიმრობის განმავლობაში, არ არის შემთხვევები, რომლებიც პრინციპში წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას, რადგან ითვლება, რომ ისინი არ წარმოადგენს ჩარევას პატიმრის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში

ან იმიტომ, რომ ნებისმიერი ასეთი ჩარევა გამართლებულად იქნებოდა მიჩნეული (იხ. წინამდებარე განაჩენის 105-ე პუნქტში მითითებული *D.G.*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი).

2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(ა) გადაწყვეტილებები, რომლებითაც ნაბრძანები იქნა განმცხადებლის ფსიქიატრიული შემონმება, დაკავება და პატიმრობა

72. განმცხადებელი ჩიოდა, რომ (i) გადაწყვეტილებები, რომლებიც ავალდებულებდა მას, გაეწყო ფსიქიატრიული შემონმება და ბრძანებდა მის დაკავებას და (ii) მისი პატიმრობა მკვლელობაში წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. თუმცა სასამართლო თვლის, რომ ეს საჩივრები არ წამოჭრის ცალკე საკითხს, რომელიც არ არის მოცული სასამართლოს მიერ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენით (იხ. *mutatis mutandis*, წინამდებარე განაჩენის 107-ე პუნქტში მითითებული *D.G.*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი).

(ბ) მონახულების უფლების შეზღუდვა

73. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ოჯახის წევრების ნახვის მისი უფლების შეზღუდვა თვეში მხოლოდ ერთი ვიზიტით არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს.

74. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ განმცხადებლისათვის ოჯახის წევრების მონახულების უფლების შეზღუდვა წარმოადგენდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას და „შესაბამისობაში იყო კანონთან“. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე სხვა მიზეზს სხვაგვარი გადაწყვეტილების მისაღებად.

75. რაც შეეხება იმ საკითხს, მიმართული იყო თუ არა ჩარევა კანონიერი მიზნის მისაღწევად და „აუცილებელი იყო თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო, პირველ რიგში, ხაზს უსვამს მთავრობის მტკიცებას, რომ განმცხადებლის პატიმრობა ისახავდა სასამართლო ბრძანების განხორციელების კანონიერ მიზანს. თუმცა შესაძლოა ჩაითვალოს, რომ პატიმრობა მიმართული იყო კანონიერი მიზნის მისაღწევად, რომელიც გულისხმობდა უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებას, ჯანმრთელობისა და სხვათა უფლებების დაცვას (იხ. საქმე *Berlinski v. Poland* (dec.), განაცხადის №27715/95 და №30209/96, 2001 წლის 18 იანვარი, არ არის გამოქვეყნებული), მოსამართლის 1995 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავდა განმცხადებლის მონახულების უფლებას (თვეში მხოლოდ ერთი ვიზიტი) არ იყო მიმართული

და არ იყო პროპორციული კანონიერი მიზნისა. შეზღუდვა დანესებული იყო განმცხადებლის მიმართ, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა 83 დღის განმავლობაში იმ საქმეში, რომელშიც განმცხადებელი არ უარყოფდა კერძო ბრალმდებლის მტკიცებებს მის წინააღმდეგ მიმართულ საქმეზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 13). უფრო მეტიც, მთავრობამ ვერ წარმოადგინა, რომ ეს გამართლებული იყო როგორც ჩვეულებრივი შეზღუდვა, რომელიც თან სდევს ციხის ცხოვრებასა და დისციპლინას პატიმრობის დროს.

76. ამას გარდა სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტაციაზე, რომ ყველა განაცხადი მონახულების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც წარდგენილი იქნა განმცხადებლის ოჯახის წევრების მიერ, დაკმაყოფილებული იქნა. თუმცა მას შემდეგ, რაც მონახულების უფლება შეიზღუდა 1995 წლის 31 მარტის განაცხადთან დაკავშირებით, განმცხადებლის ოჯახი წარადგენდა შემდგომ განაცხადებს თვეში ერთხელ: რაიონულმა სასამართლომ ნებართვა გასცა მონახულებაზე 1995 წლის 10 აპრილს, 5 მაისსა და 2 ივნისს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 41-48). როგორც ჩანს, ოჯახის მიერ წარდგენილ განაცხადთა სიმცირე გამოიწვია მოსამართლის მიერ 1995 წლის 4 აპრილს გამოტანილმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ეხებოდა თვეში მხოლოდ ერთ შესაძლო ვიზიტს.

77. სასამართლო ასკვნის, რომ პატიმრობაში ყოფნისას ოჯახის წევრების ნახვასთან დაკავშირებული განმცხადებლის უფლების შეზღუდვა თვეში მხოლოდ ერთი ვიზიტით არ იყო მიმართული და არ იყო პროპორციული რომელიმე კანონიერი მიზნისა და, ამგვარად, წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

78. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები და თუ შესაბამისი მაღალი ხელშეკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას“.

ა. ზიანი

79. ქ-ნი ნოვიცკა ითხოვდა 200,000 ამერიკულ დოლარს მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის.

80. მთავრობის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს დარღვევას, სასამართლოს გადანყევტილება თავისთავად საკმარისი იქნება სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის, რადგან განმცხადებლის პრეტენზია შეეხებოდა განმცხადებლის პრეტენზიას მატერიალურ ზარალთან დაკავშირებით. ალტერნატიულად, მთავრობამ მოსთხოვა სასამართლოს, ქვეყანაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შეეფასებინა სამართლებრივი დაკმაყოფილების მოცულობა, რომელიც მინიჭებული უნდა ყოფილიყო მატერიალური ზარალისათვის ანალოგიურ საქმეებზე სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე.

81. მთავრობა თვლიდა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი არამატერიალური ზიანი ძალიან გადაჭარბებული იყო და შეფასებული უნდა ყოფილიყო ანალოგიურ საქმეებზე დადგენილი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, ისევე და ისევე ქვეყანაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

82. სასამართლო, მისთვის წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე, თვლის, რომ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი არგუმენტაცია, რომ მატერიალური ზიანი, რომელსაც განმცხადებელი ამტკიცებდა, მას მიადგა კონვენციის დარღვევის შედეგად. შესაბამისად, არ იქნებოდა გამართლებული, სასამართლოს მიენიჭებინა მისთვის რაიმე ამ თავში მოთხოვნილი პრეტენზიის თანახმად (იხ. *mutatis mutandis, Kudla v. Poland* [GC], განაცხადის №30210/96, პუნქტი 164, ECHR 2000-XI).

83. თუმცა სასამართლო თვლის, რომ ამ ცალკეული საქმის გარემოებებში და სამართლიანობის საფუძველზე განმცხადებელს უნდა გადაეხადოს 10,000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის.

ბ. განუხლები ხარჯები

84. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა 3,000 აშშ დოლარს სამართლებრივი მომსახურებისათვის, ისევე, როგორც სასამართლოში მის საქმეზე დაცვის მომზადების პერიოდში გაღებული ხარჯების დასაფარავად. ხსენებული სამუშაოს შესრულება მოიცავდა 20 საათს. განმცხადებელი თითოეული საათისათვის ითხოვს 150 აშშ დოლარს.

85. მთავრობის მტკიცებით, ეს მოთხოვნები გადაჭარბებული იყო, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა საათობრივ ანაზღაურებას. ამასთან, მთავრობამ თხოვნით მიმართა სასამართლოს, მისანიჭებელი თანხა განესაზღვრა „სამართლებრივი დახმარებისათვის დადგენილი მინიმალური ტარიფების“ საფუძველზე. უფრო მეტიც, მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის წარმომადგენელი დაინიშნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა წარადგინა თავისი მიმოხილვების პირველი ნაწილი. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე არ იყო რთული.

86. გაითვალისწინა რა სამართლიანობის პრინციპი, სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს 2,000 ევროს, ნებისმიერი სახის საშემოსავლო გადასახადთან ერთად, რომელიც შესაძლოა გადასახდელი გახდეს, ამ თანხას გამოკლებული 510 ევრო, რომელიც უკვე გადახდილი იქნა სამართლებრივი დახმარების სახით.

3. საშრაპი

87. სასამართლო თვლის, რომ დადგენილი უნდა იქნეს ევროპის ცენტრალური ბანკის სასესიო განაკვეთის ტოლი საურავი, რასაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას განმცხადებლის მონახულების უფლების შეზღუდვასთან მიმართებაში;
3. ადგენს,
 - (ა) რომ ხელშემკერელმა სახელმწიფომ 3 თვის ვადაში მას შემდეგ, რაც განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უნდა გადაუხადოს განმცხადებელს 10,000 ევრო (ათი ათასი ევრო) პოლონურ ზლოტებში იმ დღის კურსით, როდესაც მოხდება გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად;
 - (ბ) რომ ხელშემკერელმა სახელმწიფომ 3 თვის ვადაში მას შემდეგ, რაც განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უნდა გადაუხადოს განმცხადებელს 2,000 ევრო (ორი ათასი) განეული ხარჯებისათვის, ამას დამატებული ნებისმიერი სახის საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს, ამ თანხას გამოკლებული 510 ევრო (ხუთას ათი ევრო) პოლონურ ზლოტებში იმ დღის კურსით, როდესაც მოხდება გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად;
 - (გ) რომ ერთჯერადი გადასახადი ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რასაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი, გადახდილი უნდა იქნეს ზემოხსენებული სამი თვის ამონრვიდან თანხის გადახდამდე;

1. უარყოფს განმცხადებლის მიერ წამოყენებულ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2002 წლის 3 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოლე,
რეგისტრატორი

ე.-პ. კოსტა,
პრეზიდენტი

მინელი
შვეიცარიის წინააღმდეგ

Minelli v. Switzerland

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „მინელის შვეიცარიის წინააღმდეგ“ (*Minelli v. Switzerland*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის⁷ შესაბამისი მუხლების თანახმად, შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ. ვიარდა, პრეზიდენტი,
ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი,
ბ-ნი გ. ლაგერგენი,
ბ-ნი ფ. გოლცუკლუ,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი რ. მაკდონალდი,
ბ-ნი ს. რუსო,

ასევე ბ-ნი მ.-ა. ეისენი, რეგისტრატორი, და ბ-ნი ჰ. პეთზოლდი, რეგისტრატორის მოადგილე.

იმსჯელა რა განმარტოებით 1982 წლის 19 ოქტომბერსა და 1983 წლის 21 თებერვალს,

1983 წლის 21 თებერვალს სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

-
- რეგისტრატურის შენიშვნა: წინამდებარე საქმის მიმართ გამოიყენება სასამართლოს რეგლამენტი, რომელიც მოქმედებდა სამართალწარმოების აღქერის მომენტისათვის. სასამართლოს გადასინჯული რეგლამენტი ძალაში შევიდა 1983 წლის 1 იანვარს, მაგრამ გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც სასამართლოს განსახილველად ამ თარიღის შემდეგ გადაეცა.

1. საქმე სასამართლოს გადაეცა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) და შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) მიერ. საქმეს საფუძვლად უდევს სახელმწიფოს წინააღმდეგ კომისიისთვის 1979 წლის 20 ივნისს შვეიცარიის მოქალაქის ბ-ნი ლუდვიგ მინელის მიერ კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად წარდგენილი განაცხადი (განაცხადი №8660/79).

2. კომისიის მოთხოვნა და მთავრობის განაცხადი რეგისტრატურას წარედგინა 3 თვის ვადაში, როგორც ეს დადგენილია კონვენციის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47 მუხლით. კომისიის მოთხოვნა წარმოდგენილი იქნა 13 ოქტომბერს, ხოლო მთავრობის განაცხადი – 1981 წლის 15 ოქტომბერს. მოთხოვნა მიუთითებდა 44-ე და 48-ე მუხლებსა და დეკლარაციაზე, რომლითაც შვეიცარიის კონფედერაციამ აღიარა სასამართლოს იურისდიქცია (მუხლი 46), განაცხადი კი მიუთითებდა 45-ე, 47-ე და 48-ე მუხლებზე. მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმეში არსებული ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით აღებულ ვალდებულებათა დარღვევას.

3. პალატაში, რომელშიც უნდა შესულიყო შვიდი წევრი, *ex officio* წევრების სახით შევიდნენ ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი, შვეიცარიის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი), და ბ-ნი ჯ. ვიარდა, სასამართლოს პრეზიდენტი (სასამართლოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-3 (ბ) მუხლი). 1981 წლის 22 ოქტომბერს პრეზიდენტმა, რეგისტრატორის თანდასწრებით, კენჭისყრის შედეგად გამოავლინა დანარჩენი ხუთი მოსამართლის ვინაობა. ეს მოსამართლეები იყვნენ: ბ-ნი მ. ზეკია, ბ-ნი ჯ. კრემონა, ბ-ნი ფ. გოლცუკლუ, ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი და ბ-ნი ს. რუსო (კონვენციის 43-ე მუხლის *in fine* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

4. ბ-ნი ვიარდამ, რომელმაც დაიკავა პალატის პრეზიდენტის თანამდებობა, რეგისტრატორის საშუალებით გაარკვია მთავრობის წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატის მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით. 26 ნოემბერს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ მთავრობის წარმომადგენელმა მემორანდუმი უნდა წარმოადგინოს 1982 წლის 15 თებერვლამდე, ხოლო დელეგატს უფლება უნდა მიენიჭოს, წერილობითი პასუხი გასცეს რეგისტრატორის მიერ მისთვის მთავრობის მემორანდუმის გადაცემიდან ორი თვის ვადაში.

მთავრობამ რეგისტრატორს მემორანდუმი წარუდგინა 22 თებერვალს. 5 მაისს კომისიის მდივანმა შეატყობინა რეგისტრატორს, რომ კომისიის დელეგატი საკუთარ მიმოხილვებს მოსმენაზე წარმოადგენდა.

5. მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატთან რეგისტრატორის საშუალებით გამართული კონსულტაციების შედეგად 22 ივნისს სასამართლოს პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ზეპირი მოსმენა 1982 წლის 26 ოქტომბერს გაიმართებოდა.

1982 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით პრეზიდენტმა მოსთხოვა მთავრობასა და კომისიას გარკვეული დოკუმენტების წარმოდგენა. ხსენებული დოკუმენტაცია სასამართლოს რეგისტრატურამ სხვადასხვა დღეებში მიიღო.

6. მოსმენა გაიმართა საჯაროდ, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 26 ოქტომბერს. მოსმენის გახსნამდე სასამართლომ მოსამზადებელი შეხვედრა გამართა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ბ-ნი. ო. იაკობ-გუილარმონდი, იუსტიციის ფედერალური დეპარტამენტის ევროპის საბჭოს განყოფილება – წარმომადგენელი,
ბ-ნი. რ. პაუსერი, ციურხის უნივერსიტეტის პროფესორი,
ბ-ნი ბ. მუნგერი, იუსტიციის ფედერალური დეპარტამენტი, ადვოკატი;

კომისიის სახელით:

ბ-ნი ჯ. ფროუენი, დელეგატი,
ბ-ნი ლ. მინელი, განმცხადებელი, რომელიც დახმარებას უწევდა დელეგატს (სასამართლოს რეგლამენტის 29-ე პუნქტის 1-ლი პუნქტი, მე-2 წინადადება).

სასამართლომ მოისმინა მათი მიმართვები და პასუხები დასმულ კითხვებზე. მოსმენის განმავლობაში მათ რამდენიმე დოკუმენტი წარმოადგინეს.

7. 1983 წლის 21 თებერვალს გამართულ სასამართლო განხილვაზე ბ-ნმა გ. ლაგერგრენმა, ბ-ნმა ფ. მათჩერმა და ბ-ნმა რ. მაკდონალდმა, შემცველმა მოსამართლეებმა, დაიკავეს ბ-ნ მ. ზეკიას, ბ-ნ ჯ. კრემონასა და ბ-ნ ლ.-ე. პეტიტის ადგილები, რომლებმაც ვერ შეძლეს საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობის მიღება (სასამართლოს რეგლამენტის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ა. საქმის კონკრეტული ფაქტები

8. განმცხადებელი, რომელიც არის შვეიცარიის მოქალაქე, დაიბადა 1932 წელს და ცხოვრობს ფორჩში, ციურიხის კანტონში. იგი პროფესიით ჟურნალისტიკა.

9. 1972 წლის 27 იანვარს მან გამოაქვეყნა სტატია *National Zeitung*-ში (ბაზელის ყოველდღიურ გაზეთში, რომელიც აღარ გამოდის), რომელშიც მოცემული იყო ბრალდებები თაღლითობასთან დაკავშირებით კომპანია *Télé-Répertoire S.A.*-სა და მისი დირექტორის ბ-ნ ვასის წინააღმდეგ. სტატიაში განმცხადებელი მოითხოვდა ჩხრეკის ჩატარებას ბ-ნ ვასის სახლში, სამსახურსა და სხვა ადგილებში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ჩხრეკა გამოიღებდა შედეგს, ითხოვდა მის დაპატიმრებას. 6 დღით ადრე ბ-ნმა მინელიმ უსტერის რაიონის პროკურატურას (*Bezirksanwaltschaft*) წარმუდგინა საჩივარი, რომელიც იურისდიქციის პრინციპის საფუძველზე გადაეგზავნა ტიკინოს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს. ამ უკანასკნელმა 10 თებერვალს მოისმინა ბ-ნ მინელის ჩვენება და 1972 წლის 10 მაისს უარი განაცხადა სამართალწარმოების აღძვრაზე.

განმცხადებლის მიერ გადმოცემული ფაქტები უკვე სხვა ჟურნალისტიკა, ბ-ნმა ფუსტმა გამოიყენა 1972 წლის 19 იანვარს ყოველდღიურ გაზეთ *Blick*-ში გამოქვეყნებულ თავის სტატიაში. ბ-ნი ფუსტი აცხადებდა, რომ სატელეფონო ცნობარების გაყიდვის გაფართოების მიზნით შესაბამისი კომპანია იყენებდა ხელმონერისათვის განკუთვნილ ფორმებს (*Einzahlungsscheine*), რომლებიც სატელეფონო ქვითრებს ნააგავდა. ამ თვალსაზრისით ასეთ მოქმედებას შეეძლო შეექმნა ისეთი წარმოდგენა, თითქოს ეს იყო შვეიცარიის საფოსტო ორგანოების მიერ განხორციელებული ჩვეულებრივი მომსახურება, რაც წარმოშობდა დავალიანებას, რომელიც უნდა გადახდილიყო იმავე გზით, როგორც ეს ხორციელდებოდა რეგულარული ანგარიშფაქტურების შემთხვევაში.

10. *Télé-Répertoire S.A.*-მა და ბ-ნმა ვასმა ორივე ჟურნალისტიკის წინააღმდეგ შეიტანეს სისხლისსამართლებრივი საჩივარი პრესის საშუალებით ცილისწამებისათვის (*Ehrverletzung*).

საჩივარი ბ-ნი მინელის წინააღმდეგ უსტერის (ციურიხი) რაიონულ სასამართლოს (*Bezirksgericht*) 1972 წლის 29 თებერვალს წარედგინა. 6 ივნისს გამოძიებელმა მოსამართლემ დაკითხა მხარეები მათი ადვოკატების თანდასწრებით. მანამდე განმცხადებლის ადვოკატმა, ბ-ნმა კუჰნმა წარმოადგინა ცალკეული დოკუმენტები და მოითხოვა მტკიცებულებათა წარმოდგენა; 28 ივნისს მან მოითხოვა რამდენიმე მონმის დაკითხვა. თუმცა 1974 წლის 3 ივლისს რაიონულმა სასამართლომ შეაჩერა სამართალ-

წარმოება ბ-ნ ვასის მოთხოვნით, სანამ არ დამთავრდებოდა სამართალ-წარმოება ბ-ნ ფუსტის, გაზეთ *Blick*-ის ჟურნალისტის წინააღმდეგ.

ზემოხსენებული სამართალწარმოება, რომელიც დაიწყო 1972 წლის 28 თებერვალს, მოიცავდა მრავალ პროცედურულ საკითხს, რაც აისახა 1975 წლის 2 სექტემბერს ციურიხის კანტონის უმაღლესი სასამართლოს (*Obergericht*) სისხლის სამართლის პირველი პალატის მიერ გამოტანილ განაჩენში, რომლის თანახმადაც ბ-ნი ფუსტი დაჯარიმდა 200 შვეიცარიული ფრანკით და დაეკისრა დაახლოებით 1,400 შვეიცარიული ფრანკის გადახდა სასამართლო ხარჯებისათვის, ასევე 1,400 შვეიცარიული ფრანკის გადახდა კომპენსაციის სახით თითოეული კერძო ბრალმდებლისათვის მათ მიერ გაღებული ხარჯებისათვის.

11. 1975 წლის 22 აგვისტოს, განაჩენის გამოტანამდე, ბ-ნმა ვასმა ფორმალურად მოითხოვა ბ-ნი მინელის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოების განახლება; მან სასამართლოს ყურადღება ხანდაზმულობის ვადაზე გაამახვილა.

1975 წლის 12 სექტემბერს სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და სთხოვა ბ-ნ მინელის, აღენიშნა, მოითხოვდა თუ არა იგი, რომ მისი საქმე განეხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ბ-ნი კუჰნის დადებითი პასუხის შედეგად რაიონულმა სასამართლომ 1975 წლის 1 ოქტომბერს დათმო საქმის განხილვის უფლებამოსილება.

1975 წლის 6 ნოემბერს ციურიხის უმაღლესი სასამართლოს საგამოძიებო პალატამ (*Anklagekammer*) არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა საჩივარი და ბრძანა, საქმე გადასცემოდა ციურიხის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (*Geschworenengericht*) (ციურიხის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლი). 1975 წლის 24 ნოემბერს განმცხადებელმა წარმოადგინა საჯარო სამართლებრივი საჩივარი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც უარყოფილი იქნა ფედერალური სასამართლოს მიერ 1976 წლის 6 იანვარს.

1975 წლის 19 ნოემბერს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეგისტრატურამ ტელეფონით აცნობა ბ-ნ ვებერს, ბ-ნ ვასის ადვოკატს, რომ მოსმენები გაიმართებოდა 1976 წლის 19 და 21 იანვარს, მაგრამ მოსმენები გადაიდო ფედერალური სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. როდესაც ეს განაჩენი იქნა გამოტანილი 6 იანვარს, მთავრობის მტკიცებით, უკვე გვიანი იყო, მოსმენა თავიდან დადგენილ დღეს გამართულიყო. თუმცა 1976 წლის 21 იანვარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მოუწოდა მხარეებს, წარმოედგინათ თავიანთი არგუმენტაცია ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით, რადგან გათვალისწინებული იქნა, რომ ხანდაზმულობის „აბსოლუტური“ ვადა (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-17 პუნქტი) მაღე გადიოდა. ორივე მხარემ ეს წერილობით განახორციელა. ბ-ნმა მინელიმ ასევე მიმართა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარკვეულ მტკიცებულებათა მოპოვების მოთხოვნით.

12. 1976 წლის 12 მაისს ციურისის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ (*Gerichtshof des Geschworenengerichts*) გადაწყვიტა, რომ იგი არ განიხილავდა განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოდგენილ საჩივარს (*Nichtzulassung der Anklage*), რადგან ხანდაზმულობის ოთხწლიანი „აბსოლუტური“ ვადა 1976 წლის 27 იანვარს გავიდა (შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე და 178-ე მუხლები, იხ. წინამდებარე განაჩენის მე-17 პუნქტი). ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ ბრძანა, რომ ბ-ნ მინელის უნდა გაეღო სასამართლო ხარჯების ორი მესამედი (*Kosten der Untersuchung und des gerichtlichen Verfahrens*), სახელდობრ, 374 შვეიცარიული ფრანკი 562 შვეიცარიული ფრანკიდან. თანხის დარჩენილი ნაწილი კერძო ბრალმდებლებს უნდა გადაეხადათ; სასამართლომ ასევე უბრძანა ბ-ნ მინელის, თითოეული კერძო ბრალმდებლისათვის გადაეხადა 600 შვეიცარიული ფრანკი მათ მიერ გაღებული ხარჯებისათვის, და არა 3,600 შვეიცარიული ფრანკი, როგორც ეს მათ მოითხოვს.

13. ამ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ციურისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლს, რომლის თანახმად ნაგებულმა მხარემ უნდა გაიღოს სამართალწარმოების ხარჯები და მონინააღმდეგე მხარეს უნდა აუნაზღაუროს გაღებული ხარჯები, თუკი არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც მოითხოვს ამ მუხლიდან გადახვევას.

ციურისის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეში ხანდაზმულობის გამო ნაგებული გამოდიოდნენ კერძო ბრალმდებლები, რადგანაც მათ ვერ მიაღწიეს განმცხადებლის მსჯავრდებას. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა ციურისის პრეცედენტული სამართალი, რომლის თანახმად იმ საქმეებში, რომლებიც მთავრდება გამართლებით (*Freispruch*) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის გამო ან ბრალდებულის სიკვდილის გამო სამართალწარმოების შეწყვეტით (*Einstellung*), ხარჯების გადანაწილების დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა ზომით დაეკისრებოდა გადახდა ბრალდებულს იმ შემთხვევაში, თუკი დაეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან თუ გამართლებული იქნებოდა. სასამართლოს აზრით, იგივე გამოიყენებოდა, როდესაც გამოძიება შეწყდებოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; „ღირებულებისა და გაღებული ხარჯების გადახდის ვალდებულება“ ასეთ შემთხვევებში „დამოკიდებული უნდა იყოს განაჩენზე, რომელიც გამოტანილი იქნებოდა ხანდაზმულობის ვადის არარსებობის შემთხვევაში“. პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ კერძო ბრალდების ღირებულება არ შეიძლებოდა არანაირ შემთხვევაში ანაზღაურებულიყო სახელმწიფოს მიერ და რომ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, აღარ იყო საჭირო ფაქტებთან დაკავშირებით შემდგომი გამოძიების წარმართვა.

იმისათვის, რომ დადგენილიყო, თუ რა შედეგით დამთავრდებოდა გამოძიება ხანდაზმულობის არარსებობის შემთხვევაში, პალატამ მიუთითა განაჩენზე (რომელიც ამის შემდეგ საბოლოო გახდა), რომელიც გამოიტანა უმაღლესმა სასამართლომ 1975 წლის 2 სექტემბერს ბ-ნ ფურსტის, ჟურნალისტის საქმეში (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-10 პუნქტი). განაჩენის განხილვისა და დიდი ნაწყვეტების ციტირების შემდეგ პალატამ დაასკვნა (მთავრობის მიერ წარმოდგენილი თარგმანი გერმანულიდან ფრანგულ ენაზე):

„შეიძლება აღიარებულად იქნეს ცნობილი, როგორც ეს იქნა გაკეთებული კერძო ბრალმდებლების მიერ, რომ წინამდებარე საქმე, მცირე განსხვავებებით, იგივეა რაც ზემოხსენებული, სახელდობრ, სამართალწარმოება, რომელიც მიმდინარეობდა კანტონის სასამართლოში ჟურნალისტ ფ.-ს წინააღმდეგ ცილისწამებისათვის. ფაქტობრივად, მინელიმ, ამტკიცებდა რა, რომ ადგილი ჰქონდა თაღლითობას წინამდებარე საქმეში და მოითხოვდა რა ბ-ნ ვასის წინასწარ პატიმრობას, უფრო სერიოზული ბრალდებები ნაუყენა კერძო ბრალმდებლებს. ფ.-სგან განსხვავებით, ბრალდებულს ამკარად არ განუხორციელებია არავითარი მცდელობა, შეემონებინა თავისი ბრალდებები. მინელი გახდა კერძო ბრალმდებლების საზოგადოებრივი კამპანიის სამიზნე, როდესაც 1972 წლის იანვარში *Télé-Répertoire Editions Vass*-ისგან მიიღო ხელმოწერის ფორმა. თუმცა, მის მიერვე გაკეთებული განცხადებით, იგი არ მოტყუებულა. დააკვირდა რა ბარათს უფრო ყურადღებით, მან უკანა მხარეს აღმოაჩინა დაბეჭდილი შეტყობინება, „რომელიც არაპირდაპირი გზით გასაგებს ხდიდა, რომ ანგარიში განკუთვნილი იყო სატელეფონო ცნობარში მისი ნომრის შეყვანის მიზნით ფულის გადასახდელად“ (მინიშნება 5/28). როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ *Blick*-ში გამოქვეყნდა ფ.-ს სტატია, მინელიმ თავად ჩამოაყალიბა შესაბამისი ბრალდებები, რომელთა მიზანი, მისივე განცხადებით, იყო, სტიმული მიეცა საფოსტო ორგანოებისათვის, ემოქმედათ შესაბამისად. მიუხედავად ამისა, იგი არ დაკავშირებია კერძო ბრალმდებელ ბ-ნ ვასს ან მის კომპანიას, რადგან ფაქტები მისთვის ისეთი ცხადი იყო, რომ აღარ ჩათვალა აუცილებლად მათთან დაკავშირება (მინიშნება 5/26 გვ. 4).

იმ ფაქტით, რომ განმცხადებელმა არ მიმართა ზუსტი ინფორმაციის მოპოვების მოთხოვნით კერძო ბრალმდებლებს, მან დაარღვია სიფრთხილის დაცვის ვალდებულება. იგი უნდა დარწმუნებულიყო ბრალმდებლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებში იმ მოსაზრებით, რომ აუცილებელია გაუგებრობის რისკი. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მას ყველაზე მეტი, რაც შეეძლო გაეკეთებინა, იყო უკმაყოფილების გამოთქმა მეთოდებთან დაკავშირებით, მაგრამ არ ჰქონდა უფლება, სახალხოდ ასე ამკარად ბრალი დაედო მათთვის თაღლითობაში. რადგან მიუხედავად

ყველაფრისა განმცხადებელმა ეს გააკეთა, სამართალწარმოება რომ არ შეწყვეტილიყო ხანდაზმულობის ვადის გამო, იგი ყველა შემთხვევაში იქნებოდა მსჯავრდებული ცილისწამებისათვის. ეს დასკვნა უფრო დამაჯერებელი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ თაღლითობისათვის აღძრული სამართალწარმოება, რომელიც აღიძრა ბრალდებულის მიერ ბნვასის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის საფუძველზე ტიცინოს კანტონში, დამთავრდა ბრალდების მოხსნით (1972 წლის 10 მაისი); სამართალწარმოების ხარჯების გადახდა დაეკისრა სახელმწიფოს. ბრალდების მოხსნა ემყარებოდა იმგვარი ფაქტების არარსებობას, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა, დადგენილიყო, რომ თაღლითობის დანაშაულის შემადგენელი ელემენტები არსებობდა (მინიშნება 5/20 და 21). ის არგუმენტები, რომლებსაც ბრალდებული წარმოადგენს ამ გადანყვეტილების საწინააღმდეგოდ, აღარ შეიძლება განხილული იქნეს წინამდებარე სამართალწარმოებაში. ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოეთხოვებოდა, გამოეთანა გადანყვეტილება ბრალდების არსებით განხილვაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლი უფლებას აძლევს სასამართლოს, მხედველობაში მიიღოს „განსაკუთრებული გარემოებები“, მეტყველებს იმაზე, რომ მან მხედველობაში უნდა მიიღოს ხარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებული ყველა შესაფერისი გარემოება. როგორც ეს ციურიხის კანტონის საკასაციო სასამართლოს მიერ იქნა განცხადებული 1973 წლის 2 აპრილს გამოუქვეყნებელ ზემოხსენებულ გადანყვეტილებაში, ეს გარემოებები გულისხმობს, რომ კერძო ბრალმდებლები ხელს უწყობდნენ თავიანთი საქციელით სამართალწარმოების აღძვრას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის გაგებით. იმ ფაქტს, რომ ხელმოსაწერი ფორმები იგზავნებოდა კონვერტის გარეშე 1971 წლის დასასრულამდე, ზოგჯერ კი 1972 წელსაც, შეიძლებოდა ბრალდებულისთვის შეექმნა წარმოდგენა, რომ ბრალმდებელი იღწვოდა შეექმნა გაუგებრობა, ან ყველაზე მცირე, რომ მას ეს არ ანალღლებდა. შეთავაზებისა და ანგარიშფაქტურის გაერთინებაც არასათანადოდ უნდა ჩაითვალოს, რაც უკვე აღინიშნა უმაღლესი სასამართლოს განაჩენში. სინამდვილეში, გასაჩივრებული სტატიის გამოქვეყნების საფუძველიც კერძო ბრალმდებლების კომერციული საქმიანობა გახდა, რომელიც სახალხოდ უკვე გაკიცხული იქნა. ბრალდებულის რეაქციაც, შესაბამისად, გამონვეული იყო კერძო ბრალმდებლების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული მოქმედებდა გარკვეული მიზნით, მისი თავდასხმა მაინც გადაჭარბებული იყო. აღნიშნული სცილდება შემწყნარებლობის ყველანაირ ზღვარს.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: სამართალწარმოება ხანდაზმულობის გამო რომ არ შეწყვეტილიყო, ის სტატია, რომლის საწინააღმდეგოდაც წარმოდგენილი იქნა საჩივარი, სა-

ვარაუდოდ დასრულდებოდა ბრალდებულის მსჯავრდებით; მეორე მხრივ, კერძო ბრალმდებელთა ქმედებამ გამოიწვია ის, რომ ბრალდებულმა საჯაროდ და კომპეტენტური ორგანოების წინაშე გამოიტანა მათი გასაკიცხი კომერციული საქმიანობა. ამიტომ გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულისთვის სასამართლოს ხარჯების ორი მესამედის, ხოლო ბრალმდებლებისთვის ერთი მესამედის გადახდის დაკისრება. მხარეთა მიერ გაღებული ხარჯებიც იმავე პროპორციებით უნდა იქნეს ანაზღაურებული იმის საფუძველზე, რომ მთლიანი თანხა შეადგენდეს 3, 600 ფრანკს; ...”

14. 1976 წლის 26 ივლისს ბ-ნმა კუჰნმა ბ-ნ მინელის სახელით წარმოადგინა განაცხადი, რომლითაც მოითხოვა ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმება (*Nichtigkeitsbeschwerde*). განაცხადი ემყარებოდა, *inter alia*, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს.

ციურიხის კანტონის საკასაციო სასამართლომ (*Kassationsgericht*) 1976 წლის 30 სექტემბერს არ დააკმაყოფილა განაცხადი. მან უდანაშაულობის პრეზუმფცია მიიჩნია სასამართლოს რეგლამენტის იმ ნაწილად, რომელიც არეგულირებს მტკიცებულებათა სასამართლოს წინაშე წარმოდგენის საკითხს. მან აღნიშნა, რომ უდავო იყო ის ფაქტი, რომ გასაჩივრებული სტატია ცილისმწამებლურ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, განმცხადებელს არ შეეძლო აეცილებინა მსჯავრდება, თუკი სამართალწარმოება არ შეწყდებოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ექნებოდა გარკვეული საფუძვლები, რომ მისი მტკიცებები შეესაბამებოდა სიმართლეს; თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში ეს ასე არ იყო. საკასაციო სასამართლოს მტკიცებით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არ შეიძლება განმარტებულიყო ისე, თითქოს ცილისმამებისათვის ბრალდებულის კეთილი განზრახვა ნაგულისხმევი უნდა იქნეს საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ ბრალდებულის მხრიდან ბოროტი განზრახვის დამტკიცება კერძო ბრალმდებელს ეკისრებოდა. არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ კონვენციის მიზანს წარმოადგენდა ამ გზით გაუქმებინა (*umwälzen*) ხეშემკერელი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონი. უფრო მეტიც, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენების სფერო არ იყო მთლად ნათელი. ამ მიზეზით არ შეიძლება დაშვებული იქნეს, რომ იგი გავრცელდა სიმართლის დადგენამდე ცილისმამებისათვის აღძრულ სისხლისსამართლებრივ ბრალდებაში. აქედან გამომდინარეობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატას არ დაურღვევია ეს დებულება, როდესაც მტკიცებულებათა მოუპოვებლად (*Beweisverfahren*) გამოიტანა დასკვნა, რომ ბ-ნმა მინელიმ ვერ დაამტკიცა კერძო ბრალმდებლების წინააღმდეგ თავისი ბრალდებების სიმართლე.

საკასაციო სასამართლომ ბრძანა, რომ განმცხადებელს უნდა გადაეხადა 251 შვეიცარიული ფრანკი სასამართლო ხარჯებისათვის და 600

შვეიცარიული ფრანკი კერძო ბრალმდებლებისათვის, მათ მიერ განეული ხარჯებისათვის კომპენსაციის სახით.

15. 1976 წლის 1 ნოემბერს ბ-ნმა კუჰნმა, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობით, ბ-ნი მიწის სახელით საჯარო სამართლებრივი საჩივარი შეიტანა ფედერალურ სასამართლოში.

1977 წლის 5 იანვარს, განმცხადებლის მოთხოვნით, სასამართლოს პრეზიდენტმა შეაჩერა სამართალწარმოება იმ საფუძველზე, რომ სხვადასხვა საქმე, რომელიც ანალოგიურ საკითხებს უკავშირდებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში განხილვის სტადიაში იმყოფებოდა (განაცხადები №6281/73 და 6650/74, *Neubecker*-ი და *Liebig*-ი, შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ; განაცხადი №7640/76, *Geerk*-ი შვეიცარიის წინააღმდეგ). სამართალწარმოება განახლდა მას შემდეგ, რაც ამ საქმეებზე მოხდა მეგობრული მორიგება კონვენციის 28-ე მუხლის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

16. ფედერალური სასამართლოს საჯარო-სამართლებრივმა პალატამ 1979 წლის 16 მაისს უარყო საჩივარი.

პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგან ეს იყო კერძო ბრალდება ცილისწამებისათვის, პროკურორის ჩარევის გარეშე, ხარჯები არ შეიძლება ანაზღაურებულიყო სახელმწიფოს მიერ, ისინი მხარეებს შორის უნდა ყოფილიყო განაწილებული (*aufteilen*). ასევე მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის ფაქტი, რომ ასეთ სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ კერძო ბრალმდებლის რეპუტაციაც. ამ განსაკუთრებულ სიტუაციას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ხარჯების გადანაწილების მეთოდზე.

ფედერალური სასამართლოს მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი პროცესუალური ბარიერის გამო სისხლის სამართალწარმოება შეწყდებოდა არა არსებით განხილვაზე გამოტანილი განაჩენით, არამედ იმ გადანყვეტილებით, რომელიც ღიად დატოვებდა ბრალეულობის საკითხს (ბრალდების მოხსნა ან იმის განცხადება, რომ არ შეიძლებოდა საჩივრის მოხმენა), სამართლიანობის მოსაზრებებმა შეიძლება აუცილებელი გახადოს ხარჯებთან დაკავშირებულ გადანყვეტილებაში, ბარიერის არარსებობის შემთხვევაში, სამართალწარმოების შესაძლო შედეგის მხედველობაში მიღება. ამიტომაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს საქმის წინასწარ არსებითად განხილვის შემდეგ (*aufgrund einer provisorischen Prüfung der materiellen Rechtslage*) იმის დადგენა, თუ რომელი ნაწილი იქნება სავარაუდოდ დაკმაყოფილებული ხანდაზმულობის არარსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე საქმეში ადგილი არ ჰქონია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას იმ ფაქტით, რომ სასჯელი დაკისრებული იქნა ბრალეულობის დადგენის გარეშე, რაც უნდა განხორციელებულიყო კანონმდებ-

ლობის შესაბამისად. არ ჰქონია ადგილი ასევე რაიმე ღონისძიების მიღებას, რომელიც თუნდაც არაპირდაპირ მიანიშნებდა სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებულ გადანყვეტილებაზე, რაც მსჯავრდების ტოლფასი იქნებოდა. საყოველთაო აღიარებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მივიდა ამ დასკვნამდე, «განსაზღვრა რა ნაწილობრივ მტკიცებულებათა შეფასებით, რომ განმცხადებელი სავარაუდოდ მსჯავრდებულია ცილისწამებისათვის". თუმცა ეს იყო არა „ბრალეულობის ფორმალურად დადგენა, არამედ სამართალწარმოების შესაძლო შედეგის შეფასება (*Würdigung der Prozesschancen*). ვინაიდან პალატა უნდა მისულიყო გარკვეულ გადანყვეტილებამდე მისთვის წარდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე და ვინაიდან კანტონის პრაქტიკა უკრძალავდა მას ფაქტებთან დაკავშირებით რაიმე შემდგომ გამოძიებას მხოლოდ ხარჯების განაწილების მიზნით, შესაძლო იყო, რომ სამართალწარმოება დასრულებულიყო გამართლებით, თუ წარიმართებოდა ჩვეულებრივი დინებით. რადგან პალატამ გამოიტანა გადანყვეტილება მხოლოდ ხარჯების განაწილებასთან და არა სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით, განმცხადებელს (და ასევე კერძო ბრალმდებელს) არ შეეძლოთ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობა, რათა მოეთხოვათ, რომ წინასწარი გამოძიება, რომელიც წარიმართა წინამდებარე საქმეში, უნდა წარმართულიყო იმ პროცედურის თანახმად, რომელიც საჭიროა არსებით განხილვაზე გადანყვეტილების გამოტანისათვის.

ფედერალურმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სამართალწარმოების შესაძლო შედეგის კრიტერიუმი შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ მაშინ, თუკი ხელმისაწვდომი მონაცემები საშუალებას იძლევა, გაკეთდეს საკმარისად მყარი შეფასება და თუკი მხარეებს ადრე ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოეხატათ თავიანთი მოსაზრებები შესაბამისი ხარჯების განაწილების საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ამ კონტექსტში გასათვალისწინებელი საზღვრები დაფუძნებული იყო არა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, არამედ ზოგად პრინციპზე, რომლითაც იკრძალება თვითნებური გადანყვეტილება, და მოსმენის შესაძლებლობის უფლებაზე. განმცხადებელს ამ თვალსაზრისით არ გამოუთქვამს პრეტენზია.

და ბოლოს, ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ არა მარტო განიხილა ის საკითხი, უნდა დამთავრებულიყო თუ არა სამართალწარმოება ბ-ნი მინელის მსჯავრდებით, რომ არ ყოფილიყო ხანდაზმულობა, არამედ ყურადღება გაამახვილა ასევე ორი კერძო ბრალმდებლის საქციელზე სასამართლო განხილვის დროს. ფედერალურმა სასამართლომ ბრძანა, რომ განმცხადებელს უნდა გადაეხადა 643 შვეიცარიული ფრანკი სასამართლო ხარჯებისათვის და უბრძანა მას გადაეხადა მოპასუხეებისათვის კომპენსაციის სახით 800 შვეიცარიული ფრანკი მათ მიერ გაღებული ხარჯებისათვის.

ბ. შინაგამისი კანონმდებლობა

17. სამართალდარღვევა, რომელიც მოიცავს ადამიანის ღირსების ხელყოფას (*délits contre l'honneur*), განსაზღვრულია შვეიცარიის 1937 წლის 21 დეკემბრის ფედერაციული სისხლის სამართლის კოდექსის 173-178 მუხლებში. მარტივი ცილისწამება (*diffamation*) მოიცავს პასუხისმგებლობას 6 თვეზე მეტი ხნის პატიმრობით (მუხლი 173), ხოლო სერიოზული ცილისწამება (*calomnie*) – 3 წელზე მეტი ხნით პატიმრობას (მე-17 და 36 მუხლების ერთობლიობით).

178-ე მუხლის თანახმად, ამ სამართალდარღვევათა ბრალდება ექვემდებარება 2 წლის ხანდაზმულობის ვადას. თუმცა დროის დინება შეწყდება და ხელახლა განახლდება, როდესაც საგამოძიებო მოქმედება წარმართება. მიუხედავად ამისა, იმ სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც მოიცავს ადამიანის ღირსების ხელყოფას, „აბსოლუტური“ ხანდაზმულობა ნებისმიერ შემთხვევაში ოთხ წელიწადს მოიცავს, რაც ხანდაზმულობის გაორმაგებულ ვადას წარმოადგენს (სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

18. შვეიცარიაში სისხლის სამართალწარმოება ასეთი სამართალდარღვევებისათვის აღიძვრება კერძო საჩივრების საფუძველზე (*Strafantrag*). ციურიხის კანტონში, ისევე, როგორც სხვა რამდენიმე კანტონში, სამართალწარმოება ცნობილია, როგორც *Privatstrafklageverfahren* (ციურიხის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლი): საქმის აღძვრა დამოკიდებულია დაზარალებულ მხარეზე და არა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე. პროკურორი არ იღებს მონაწილეობას სამართალწარმოებაში.

ჩვეულებრივ, საქმეები განიხილება რაიონული სასამართლოს (*Bezirksgericht*) მიერ, მაგრამ ბრალდებულს შეუძლია მოითხოვოს საქმის გადაცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის, თუკი სავარაუდო ცილისწამება ჩადენილი იქნა პრესის საშუალებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 294-ე მუხლი და ციურიხის სასამართლოების შესახებ კანონის კონსტიტუციის 56-ე მუხლი). ამ შემთხვევაში ციურიხის კანტონის უმაღლესი სასამართლოს საგამოძიებო პალატას – და არა რაიონული სასამართლოს პრეზიდენტს – გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის არსებით განხილვაზე დაშვებადობასთან (*Zulassung*) დაკავშირებით (ციურიხის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ არ შეიძლება საჩივრის განხილვა, კერძო ბრალმდებელს უფლება აქვს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება (იმავე კოდექსის 169-ე მუხლი), მაგრამ თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ საჩივრის განხილვა შესაძლებელია, ბრალდებულს არ შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება გარდა იმ საფუძ-

ველზე დაყრდნობისა, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს საჩივარი.

სასამართლოების შესახებ კანონის კონსტიტუციის 160-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, განაჩენი სისხლის სამართლის საქმეებში უნდა მოიცავდეს გადაწყვეტილებებს როგორც ბრალეულობასა და გამომდინარე შედეგებთან (გამართლება, სასჯელი, აღმკვეთი ხასიათის ღონისძიების დაკისრება ან დახმარება), ისე ზიანთან (*Schadenersatz*), ხარჯებსა და კომპენსაციასთან (*Entschädigungen*) დაკავშირებით.

გაღებული ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებული დეტალური მონაცემები, განსხვავებით იმათგან, ვისაც სასჯელი არ შეხებია, შეტანილია მხოლოდ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა რეესტრში და არა სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეებში (*casier judiciaire*).

19. კერძო ბრალდებათა კონტექსტში ხარჯები მოიცავს მხარეებისათვის განკუთვნილ კომპენსაციას მათ მიერ გაღებული დანახარჯებისათვის (*Prozessentschädigung*), ისევე, როგორც ეგრეთ წოდებული სასამართლო ხარჯებისათვის (სასამართლო და რეგისტრატურის ხარჯები); მათი მოქმედების სფერო განისაზღვრება, *inter alia*, იმით, თუ რამ წარმოშვა სასამართლო ხარჯები და გაღებული დანახარჯები. აქედან გამომდინარეობს, რომ ხარჯების ანაზღაურება არასოდეს არ ხდება სახელმწიფოს მიერ, ისინი მხარეებმა უნდა აანაზღაურონ (ციურისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლი). ამასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ

„ნაგებულმა მხარემ უნდა გაიღოს სასამართლო ხარჯები და მეორე მხარეს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია გაღებული დანახარჯებისათვის; ამ მუხლიდან გადახვევა შესაძლებელია განხორციელდეს, თუკი ამას მოითხოვს სპეციალური გარემოებები.“

როდესაც განისაზღვრება ხარჯებისა და გაღებული დანახარჯების განაწილება, სასამართლო, მთავრობის მტკიცებით, სარგებლობს გარკვეული თავისუფლებით, თუ რა კრიტერიუმი უნდა იქნეს გამოყენებული. მან შესაძლოა მხედველობაში მიიღოს, *inter alia*, მხარეების გასაკიცხი თუ უპასუხისმგებლო მოქმედება გამოძიების პროცესში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე და 286-ე მუხლები); მათ მიერ კეთილსინდისიერებისა თუ ეთიკის პრინციპების დარღვევა; თანასწორობის პრინციპი, და ბოლოს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებსაც შეუძლია მიიყვანოს სასამართლო სამართალწარმოების სავარაუდო შედეგის შეფასებამდე.

20. კომისიისთვის 1979 წლის 20 ივნისს წარდგენილ განაცხადში (№8660/79) ბ-ნმა მინელიმ გაასაჩივრა 1976 წლის 12 მაისს ციურიხის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც იგი ვალდებული იყო, ციურიხის კანტონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის თანახმად, გადაეხადა გამოძიებისა და სასამართლო ხარჯების ორი მესამედი და აენაზლაურებინა კერძო ბრალმდებლებისათვის გაღებული დანახარჯები. იგი ამტკიცებდა, რომ ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა „ეჭვის დასჯას“ და ამიტომ არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს.

21. 1980 წლის 17 დეკემბერს კომისიამ განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა.

1981 წლის 16 მაისით დათარიღებულ მოხსენებაში (კონვენციის 31-ე მუხლი) კომისიამ ერთხმად გამოხატა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

სასამართლოს წინაშე საბოლოო მტკიცებები

22. 1982 წლის 26 ოქტომბერს გამართულ მოსმენაზე მთავრობამ სასამართლოს მიმართა თხოვნით, დაედგინა, რომ შვეიცარიას არ დაურღვევია კონვენცია და, რომ საჭირო აღარ იყო განმცხადებლისათვის სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება 50-ე მუხლის შესაბამისად.

სამართალი

23. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი იყო კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის მსხვერპლი. ამ დებულების თანახმად:

„ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დარღვევა წარმოიშვა 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების შედეგად, რომელშიც ციურიხის კანტონის სასამართლოს პალატამ, შეწყვიტა რა საქმის გამოძიება ხანდაზმულობის გამო, უბრძანა მას სამართალწარმოების ხარჯებისა და, ამასთან ერთად, კომპენსაციის გადახდა *Télé-Répertoire S.A.*-სა და ბ-ნ ვასისათვის

მათ მიერ გაღებული დანახარჯების ასანაზღაურებლად (იხ. წინამდებარე განაჩენის 12-13 პუნქტები).

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება

24. მთავრობის მთავარი პრეტენზია იყო ის, რომ წინამდებარე საქმე არ შედიოდა ზემოხსენებული დებულების მოქმედების სფეროში *ratio-
ne materiae*-სა და *ratione temporis*-ის გამო.

ა. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფერო საქმის სა- განთან დაკავშირებით

25. პირველ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამი იყო, რომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენებოდა, გამომდინარე გამოძიების ხასიათიდან და ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს პალატის მიერ ამ შემთხვევაში განხორციელებული ფუნქციებიდან.

1. შესაბამისი ბრალდების ხასიათი

26. მთავრობამ აღიარა, რომ ბ-ნ მინელის „ბრალად ედებოდა სისხლისსამართლებრივი დანაშაული“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. თუმცა მთავრობამ ჩათვალა, რომ კერძო გამოძიება ცილისწამებისათვის არ იყო „სისხლისსამართლებრივი საკითხი“ (*matière pénale* მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფრანგულ ტექსტში), არამედ გააჩნდა სამოქალაქო ხასიათი. მთავრობა ეყრდნობოდა კომისიის მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს იმასთან დაკავშირებით, რომ კარგი რეპუტაციით სარგებლობის უფლება იყო „სამოქალაქო ხასიათის უფლება“ და რომ „კერძო ბრალდების სამართალწარმოება არ ხვდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროში“.

კომისიამ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა გაუგებრობას მთავრობის მხრიდან და არ დაეთანხმა მის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას: მიუხედავად იმისა, რომ უფლებამოსილი პირისათვის კარგი რეპუტაციის უფლება იყო სამოქალაქო ხასიათის უფლება, პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა ცილისწამებისათვის, რა თქმა უნდა, იყო „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ობიექტი და ამიტომ შეუძლია დაეყრდნოს მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს. განმცხადებელსაც იგივე მოსაზრება გააჩნდა.

27. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, პასუხი უნდა ეგო თუ არა ბ-ნ მინელის, რომელსაც უეჭველად ჰქონდა წაყენებული „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ (*accusé d'une infraction*), მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი), „მის წინააღმდეგ წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდე-

ბისათვის“ (*accusation en matière pénale dirigée contre lui*, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი); როგორც ეს მთავრობამ მოიხსენია, უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში არის მოცემული, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ელემენტს, რაც მოთხოვნილია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით (იხ. *Deweer*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1980 წლის 27 თებერვალი, სერია A №35, გვ. 30, პუნქტი 56, და *Adolf*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1982 წლის 26 მარტი, სერია A №49, გვ. 15, პუნქტი 30).

28. ადამიანის „სამოქალაქო“ უფლების დარღვევა ზოგჯერ ასევე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევას. იმის განსაზღვრისას, ადგილი აქვს თუ არა „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“/*accusation en matière pénale*, განხილული უნდა იქნეს, *inter alia*, ბრალდებულის მდგომარეობა – როგორც ეს განსაზღვრულია სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით – მე-6 მუხლის ობიექტის გათვალისწინებით, სახელდობრ, დაცვის უფლების უზრუნველყოფა (იხ. *Adolf*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, იქვე).

შვეიცარიაში ცილისწამება განეკუთვნება იმ სამართალდარღვევებს, რომლებიც განსაზღვრულია და ისჯება სისხლის სამართლის ფედერალური კოდექსით (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-17 პუნქტი). ცილისწამებისათვის ბრალდებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, თუკი დაზარალებულმა წარადგინა საჩივარი (*Strafantrag*), მაგრამ გამოძიების წარმართვა რეგულირდება კანტონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ამ კერძო შემთხვევაში კი – ციურიხის კანტონის კოდექსით; სამართალწარმოება შესაძლოა დასრულდეს სასჯელით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ფულადი ჯარიმის თუ დაპატიმრების სახე, რაც შეიტანება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეებში (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-18 პუნქტი).

შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნია არანაირი ეჭვი ბ-ნი მინელის წინააღმდეგ *Télé-Répertoire S.A.*-სა და ბ-ნ ვასის მიერ 1972 წლის 29 თებერვალს აღძრული სამართალწარმოების სისხლისსამართლებრივ ხასიათთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-10 პუნქტი).

2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატის მიერ განხორციელებულ ფუნქციათა ხასიათი

29. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ ხარჯების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანისას მას შემდეგ, რაც საქმე ხანდაზმულობის გამო შეწყვეტილად გამოაცხადა, ციურიხის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატა ახორციელებდა წმინდა ადმინისტრაციული სახის ფუნქციებს, რაც არსებითად განსხვავდებოდა სასამართლო ფუნქციებისაგან; მან გამოიტანა პროცედურული გადაწყვეტილე-

ბა, რომელთან მიმართებაშიც უდანაშაულობის პრეზუმფცია – რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვების ნეესს – შეუსაბამო იყო.

კომისიის მტკიცებით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი იმ ბრალდების მიმართაც გამოიყენება, რომელიც წყდება განაჩენის გამოტანის გარეშე, მკაცრი მნიშვნელობით. უფრო მეტიც, წინამდებარე საქმეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ მხოლოდ ერთი პროცედურული ღონისძიების საშუალებით გადაწყვიტა, არ გაეგრძელებინა სამართალწარმოება საჩივართან დაკავშირებით და უბრძანა განმცხადებელს, გადაეხადა სასამართლოს ხარჯები და ბრალმდებელთა მიერ გაღებული დანახარჯები.

30. სასამართლოს აზრით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი სრულად არეგულირებს სისხლის სამართალწარმოებას, მიუხედავად ბრალდების შედეგისა, და არა მხოლოდ ბრალდების არსებითად განხილვას (იხ. *mutatis mutandis*, *Adolf*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, სერია A №49, გვ. 16, პუნქტი 33 *in fine*).

ციურისის კანტონში ხარჯების გადანაწილების გადაწყვეტილება შეადგენს ცილისნამებისათვის აღძრული სისხლის სამართალწარმოების ნორმალურ ნაწილს და მისი მთავარი დანიშნულებაა ცალკეულ შედეგთა გადაწყვეტა. ამასთან დაკავშირებით ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნა არსებითი განხილვის შედეგად ან რომ მისი ტექსტი ცალკე დოკუმენტშია მოცემული.

ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არც ცალმხრივ პროცესულურ ღონისძიებებთან, რომლებიც წარმართულია ერთდროულად თუ გარკვეულ ინტერვალებში, და არც – როგორც ეს *Adolf*-ის საქმეში იყო, სადაც სასამართლომ ანალოგიურად გადაწყვიტა, რომ მე-6 მუხლი გამოიყენებოდა სხვადასხვა წარმოქმნილ გარემოებებში (იხ. ზემოხსენებული განაჩენი, სერია A №49, გვ. 16, პუნქტი 32) – „მხოლოდ ერთ პროცესულურ ღონისძიებასთან, რომელიც განხორციელებულია რამდენიმე საფეხურზე“, არამედ ერთ ყოვლისმომცველ პროცესულურ ღონისძიებასთან. 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, ხანდაზმულობის ვადის გასვლის დადგენის შემდეგ, ავალდებულებდა ბ-ნი მინელის, გაელო სასამართლოს ხარჯების ორი მესამედი და გადაეხადა კომპენსაცია *Télé-Répertoire S.A.*-ისა და ბ-ნი ვასისათვის მათ მიერ გაღებული დანახარჯებისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-12 პუნქტი). შესაძლებელია იმის დანახვა, რომ გადაწყვეტილების მიზეზთა ორ ნაწილად გაყოფა დაუშვებელია: ხარჯების განაწილება წარმოადგენდა დამატებით და აუცილებელ ღონისძიებას გამოძიების შეწყვეტისათვის; უფრო მეტიც, მთავრობამ ეს აღიარა მოსმენაზე. ეს დადასტურებულია ამკარად მოქმედი დებულებებით: პირველივე საკითხის შემდეგ, რომელიც აცხადებს, რომ ბრალდება არ შეიძლება განხილული იქნეს, მოდის საკითხები, რომლებიც ეხება სასამართლო ხარჯებსა და კომპენსაციას გაღებული დანახარჯებისათვის.

ბ. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფერო დროსთან მიმართებაში

31. მთავრობის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სულ მცირე, არ ხვდება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფეროში დროსთან მიმართებაში. მთავრობა ამტკიცებდა, აგრეთვე, რომ ბ-ნი მინელი სარგებლობდა უდანაშაულობის პრეზუმფციით სულ მცირე 1976 წლის 27 იანვრამდე, როდესაც ხანდაზმულობის ვადა დადგა (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-12 პუნქტი) და რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატა შემოიფარგლა ხანდაზმულობისა და ხარჯების განანიღების სამართლებრივი შედეგების აღნიშვნით.

კომისია არ დაეთანხმა ამ არგუმენტს. მისი აზრით, სასამართლო სამართალწარმოება შეიძლება ოფიციალურად დასრულდეს რამდენიმე და არა ერთი ეტაპის გავლის შემდეგ; აქ ეს იყო 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, მისი მრავალნაირი დასაბუთებით, რომელიც წარმოადგენდა საბოლოო ეტაპს.

32. სასამართლო ეთანხმება კომისიას. აღიარებულია, რომ ხანდაზმულობამ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც აღძრული იყო განმცხადებლის წინააღმდეგ, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატის ოფიციალური პროცესუალური ღონისძიება მოითხოვდა ფაქტის დადგენას (იხ. *mutatis mutandis*, *Artico*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1980 წლის 13 მაისი, სერია A №37, გვ. 6-7 და 15-18, პუნქტები 8-11 და 31-37) და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სწორედ ასეთი დასკვნაა მოცემული. გადაწყვეტილება ამტკიცებდა, რომ, პირველ რიგში, „ბრალდება არ შეიძლება განხილული იქნეს“ და, მეორეც, რომ „ბრალდებულმა“ უნდა გაიღოს სასამართლო ხარჯების ორი მესამედი და გადაუხადოს თითოეულ კერძო ბრალმდებელს კომპენსაცია გაღებული დანახარჯებისათვის (მოქმედი დებულებების 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტები). ეს ტექსტი ნათლად წარმოაჩენს, რომ სამართალწარმოების ამ ბოლო ეტაპზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატა განმცხადებელს ისევ ეპყრობოდა, როგორც „ბრალდებულს სისხლისსამართლებრივ დანაშაულში“, მე-6 მუხლის მნიშვნელობით.

ბ. დასკვნა

33. ზემოხსენებულის გათვალისწინებით წინამდებარე საქმეში გამოიყენებოდა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

II. შესაბამისობა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან

ა. სასამართლოს ამოცანის ფარგლები

34. განმცხადებელი და მთავრობა დაეთანხმნენ ერთმანეთს, რომ საქმე წამოჭრიდა შემდეგ პრინციპს: შეესატყვისება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას ბრძანების გაცემა იმასთან დაკავშირებით, რომ პირმა გადაიხადოს სასამართლო ხარჯები და აანაზღაუროს განეული დანახარჯები, როდესაც იგი გაამართლეს ან როდესაც საქმე შეწყდა, ბრალდება მოიხსნა ან, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა, შეწყდა ხანდაზმულობის გამო?

როგორც ამას მთავრობამ გაუსვა ხაზი ალტერნატიული კომენტარით, სისტემა, რომელიც ნებას იძლევა ცალკეულ საქმეებში ასეთ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, ღრმად არის გამჯდარი შვეიცარიის სამართლებრივ ტრადიციაში: იგი ასახულია ფედერალურ კანონმდებლობაში და უმეტესი კანტონების, მათ შორის, ციურხის კანტონის, კანონებში და განვითარდა პრეცედენტული სამართლითა და პრაქტიკით. ბ-ნი მინელის მტკიცებით, სახელმწიფოს უნდა დაეკისროს სისხლის სამართალწარმოების ყველა რისკი, არა მარტო მტკიცებულებებთან, არამედ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებითაც.

კომისიის აზრით, შესაბამისი სისტემა წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან, თუმცა პრობლემა წარმოიქმნება, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოხსენიებული მიზეზები ან სხვა აშკარა და გადამწყვეტი მტკიცებულებები წარმოაჩენენ, რომ ხარჯების განაწილება გამოიწვია ბრალდებულის ბრალეულობის შეფასებამ.

35. სასამართლო, პრინციპში, ეთანხმება კომისიას. თუმცა მის მიერ დადგენილი იურისპრუნდენციის თანახმად იგი აღნიშნავს, რომ კერძო განაცხადიდან წამოჭრილ სამართალწარმოებაში იგი მაქსიმალურად შემოიფარგლება მხოლოდ მისთვის წარმოდგენილი კონკრეტული საქმით (იხ. *inter alia*, *Adolf*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, სერია A №49 გვ. 17, პუნქტი 36). შესაბამისად, მან უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება არა ციურხის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით *in abstracto*, არამედ მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეხებაში იყო ისინი განმცხადებელთან.

ბ. ციურხის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება (1976 წლის 12 მაისი)

36. მთავრობის მტკიცების თანახმად, 1976 წლის 12 მაისის გადანაცხვეტილება ითვალისწინებდა განმცხადებლის ქმედებებს, სხვა ფაქტო-

რებთან ერთად, მხოლოდ „როგორც ჰიპოთეზას“ ხარჯების განაწილები-სათვის: ის მხოლოდ ეცადა, შეფასებულიყო იმ საჩივრის დაკმაყოფილე-ბის პერსპექტივა, რომელიც წარმოდგენილი იქნა *Télé-Répertoire S.A.*-ისა და ბ-ნ ვასის მიერ არსებით განხილვასთან დაკავშირებული განაჩენის გამოტანის შემთხვევაში. ამ გარემოებებში, როგორც ამას მთავრობა ამ-ტყიცებდა, ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

კომისიამ, თავის მხრივ, გამოთქვა საწინააღმდეგო მოსაზრება: მისი აზრით, ციურისის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ ჩათვალა, რომ ბ-ნი მინელი დამნაშავე იყო.

37. სასამართლოს განაჩენში უდანაშაულობის პრეზუმფცია დარ-ღვეული იქნება, თუკი განმცხადებელი კანონმდებლობის შესაბამისად არ ყოფილა მიჩნეული ბრალდებულად, განსაკუთრებით დაცვის უფლე-ბის გამოყენების გარეშე, და მის საქმესთან დაკავშირებული სასამარ-თლო გადაწყვეტილება ასახავს იმ მოსაზრებას, რომ იგი დამნაშავეა. ეს ასე შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, თუკი არ არის გამოტანილი რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილება; საკმარისია, არსებობდეს გარკვეული მიზეზები, რომლებიც მიანიშნებს, რომ სასამართლო ბრალდებულს დამ-ნაშავედ მიიჩნევს. სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა ად-გილი ასეთ შემთხვევას 1976 წლის 12 მაისს.

38. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ თავისი გადაწყვეტი-ლება დაამყარა ციურისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლზე, რომელიც ცილისწამებისათვის კერძო ბრალდების შემ-თხვევაში ნებას რთავს გადახვევაზე, განსაკუთრებულ გარემოებებში, იმ წესიდან, რომ ნაგებულ მხარეს უნდა დაეკისროს სასამართლოს ხარჯე-ბისა და მეორე მხარის მიერ გაღებული დანახარჯების ანაზღაურება (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-19 პუნქტი). ციურისში დამკვიდრებული პრე-ცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლომ წინამდებარე საქმეში დაადგინა, რომ „ხარჯებისა და გაღებული დანახარჯების ოდენობა და-მოკიდებული უნდა იყოს განაჩენზე, რომლის გამოტანაც უნდა მომხდა-რიყო“, რომ არ გასულიყო ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ ამ სა-კითხზე გადაწყვეტილების გამოტანისას გაითვალისწინა ოთხი საკითხი (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-13 პუნქტი); ის ფაქტი, რომ საქმე თით-ქმის იდენტური იყო ჟურნალისტ ფუსტის საქმისა, რომელიც დამთავ-რდა 1975 წლის 2 სექტემბერს ჟურნალისტის მსჯავრდებით (იხ. წინამ-დებარე განაჩენის მე-10 პუნქტი); ბ-ნი ვასის წინააღმდეგ განმცხადებ-ლის ბრალდებათა სერიოზული ხასიათი; და ბ-ნი ვასის წინააღმდეგ მი-მართული ბრალდების უარყოფითი შედეგი (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-9 პუნქტი).

იმ მიზეზთა გამო, რომლებიც დანვრილებით იყო ჩამოყალიბებული და არ შეიძლებოდა მათი განცალკევება მოქმედი დებულებებისაგან (იხ. *Adolf*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, სერია A №49,

გვ. 18, პუნქტი 39), ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ დაასკვნა, რომ ხანდაზმულობის არარსებობის შემთხვევაში *National Zeitung*-ში გამოქვეყნებული გასაჩივრებული სტატია „სავარუდოდ დასრულდებოდა განმცხადებლის მსჯავრდებით“. აღნიშნა რა ეს მიზეზები, პალატამ ჩათვალა კერძო ბრალმდებლების მიერ აღძრული სამართალწარმოება დასაბუთებულად; ამას გარდა, მიზეზები ეფუძნებოდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებული იქნა სხვა საქმეებში, რომლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე ფაქტებს ეხებოდა, ბ-ნი მინელი არ ყოფილა სამართალწარმოების მხარე და რომლებიც, სამართლის მიხედვით, განსხვავდებოდა მისი საქმისაგან.

ამგვარი ქმედებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატამ წარმოაჩინა, რომ იგი დარწმუნდა ბ-ნი მინელის ბრალეულობაში, ბრალდებულისა, რომელსაც – როგორც ეს მთავრობამ აღიარა – არ უსარგებლია იმ გარანტიებით, რომლებიც განსაზღვრულია მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებში. მიუხედავად ფორმალური გადაწყვეტილების არარსებობისა და მიუხედავად ცალკეული ფრთხილი ფორმულირებებისა („ძლიერ სავარუდო“, „შესაძლებელია“), პალატამ განახორციელა შეფასება, რომელიც არ შეესაბამებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას.

ბ. ფედერალური სასამართლოს განაჩენი (1979 წლის 16 მაისი)

39. მთავრობამ წარმოადგინა საბოლოო არგუმენტი, რომელსაც საფუძვლად ედო კონვენციის 26-ე მუხლი, იმასთან დაკავშირებით, რომ სტრასბურგის ორგანოების წინაშე სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილი იქნა წინამდებარე საქმეში, სახელდობრ, ფედერალური სასამართლოს მიერ 1979 წლის 16 მაისს გამოტანილ განაჩენზე; მთავრობა აცხადებდა, რომ ამ განაჩენმა განმარტა ყველა ის ბუნდოვანი საკითხი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო 1976 წლის 12 მაისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში.

40. 1976 წლის გადაწყვეტილება აღქმული უნდა იქნეს 1979 წლის განაჩენის ქრილში (იხ. *Adolf*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, იქვე, გვ. 19, პუნქტი 40). პირველ რიგში, ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თანასწორობის პრინციპი შესაძლოა მოითხოვდეს, რათა ხარჯებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში მხედველობაში იქნეს მიღებული გამოძიების შესაძლო შედეგი ხანდაზმულობის არარსებობისას; აქედან გამომდინარეობს, რომ გამართლებული იყო იმის განხილვა, საქმის წინასწარი არსებითი განხილვის შედეგად, თუ რომელი მხარე მიაღწევდა წარმატებას პროცესუალური ბარიერის არარსებობის შემთხვევაში. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ციურის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პალატას არ განუხორციელებია არანაირი სახის ღონისძიება, რომელიც თუნდაც ორაზ-

როვნად მიჩნეული იქნებოდა სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის დადგენად, რაც უთანაბრდება მსჯავრდებას; პალატამ სინამდვილეში აღნიშნა, რომ განმცხადებელი შესაძლოა დამნაშავედ ყოფილიყო მიჩნეული ცილისწამებისათვის, მაგრამ ეს იყო მხოლოდ შეფასება და არა ოფიციალური გადაწყვეტილება (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-16 პუნქტი).

1979 წლის 16 მაისის განაჩენმა დაამატა ცალკეული ნიუანსები 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებას; თუმცა იგი შემოიფარგლა მხოლოდ გადაწყვეტილების მიზეზების განმარტებით, მათი მნიშვნელობისა თუ მოქმედების სფეროს შეცვლის გარეშე. უარყო რა მიწვევის საჩივარი, განაჩენმა დაადასტურა გადაწყვეტილება სამართლებრივად, ამავე დროს, მან დაადასტურა გადაწყვეტილება უმთავრეს ნაწილებში.

ფედერალური სასამართლო შესაძლოა სხვა გადაწყვეტილებამდე მისულიყო, განმცხადებელს სასამართლოს წინაშე რომ წარმოედგინა თავისი უფლება, რომელიც უზრუნველყოფდა მის მოსმენას (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-16 პუნქტი), როგორც ეს მან მოგვიანებით განახორციელა – მთავრობას არ გაუსაჩივრებია სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებების ამონურვის ვალდებულების შეუსრულებლობა – კომისიისა და სასამართლოს წინაშე. თუმცა ეს შესაძლებლობა არანაირად არ ახდენს ზეგავლენას იმ დასკვნაზე, რომელიც გამომდინარეობს 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების განხილვიდან, თუნდაც იგი აღქმული იქნეს 1979 წლის 16 მაისის განაჩენთან ერთად.

დ. დასკვნა

41. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

III. 50-ე მუხლის გამოყენება

42. მოსმენაზე განმცხადებელმა მოითხოვა

- არამატერიალური ზიანისათვის ის თანხა, რომელსაც სასამართლო განსაზღვრავს;
- სასამართლო ხარჯების, ადვოკატის ჰონორარებისა და ხარჯების და პირადად გაღებული იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც დაკავშირებულია მის წინააღმდეგ შვეიცარიაში აღძრულ სამართალწარმოებასთან;
- მისი ადვოკატისათვის გადასახდელი თანხებისა და გაღებული დანახარჯების ანაზღაურება და მის მიერ გაღებული იმ დანა-

ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც დაკავშირებულია მისი საქმის სამართალწარმოებასთან კომისიასა და სასამართლოში.

გამომდინარე იქედან, რომ მთავრობის წარმომადგენელმა წარმოადგინა დეტალური მიმოხილვა ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო თელის, რომ საკითხი მომზადებულია განხილვისათვის (სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის 1-ლი წინადადება). ჩვეულებრივი პრაქტიკის შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, აქვე განვასხვავოთ კონვენციის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანი და მსხვერპლის მიერ გაღებული აუცილებელი ხარჯები და დანახარჯები (იხ. *inter alia*, *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1982 წლის 18 ოქტომბერი, სერია A №54, გვ. 7, პუნქტი 14).

ა. არამატერიალური ზიანი

43. მთავრობის მტკიცებით, თუ სასამართლო დაადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევას, მაშინ ამის საჯაროდ განცხადება და საჯარო განაცხადზე თანდართვა უკვე წარმოადგენდა საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას სავარაუდო არამატერიალური ზიანისათვის.

44. სასამართლო იმეორებს, რომ საქმის აღძვრას გამოქვეყნებულმა სტატიამ დაუდო სათავე. ამ სტატიაში ბ-ნი მინელი ბრალს სდებდა მესამე მხარეს უკანონო კომერციულ საქმიანობაში, რომელთან დაკავშირებითაც მას სურდა გაემახვილებინა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოთა (შვეიცარიის საფოსტო ორგანოების) და საზოგადოების ყურადღება. ბრალდება, რომელიც აღიძრა მის წინააღმდეგ, განაპირობა იმ მესამე მხარის მიერ შეტანილმა შუამდგომლობამ, რომელსაც ცილი დასწამეს. განმცხადებელმა შესაძლოა განიცადა გარკვეული დონის არამატერიალური ზიანი შემდგომი სამართალწარმოებისას, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შედეგად, მაგრამ წინამდებარე საქმის გარემოებებში ადეკვატური კომპენსირება მოხდა იმ ფაქტით, რომ დადგენილი იქნა დარღვევა, რომელიც ასახულია წინამდებარე განაჩენში (იხ. უახლესი პრეცედენტი, ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, იქვე, გვ. 8, პუნქტი 16).

ბ. განუწესი სარჯები

45. იმისათვის, რომ 50-ე მუხლის შესაბამისად მხარეს მიენიჭოს ანაზღაურება განუწესი ხარჯებისათვის, დაზარალებულ მხარეს ეს ხარჯები გაღებული უნდა ჰქონდეს შიდა კანონმდებლობის საშუალებით დანაშაულის აღკვეთის ან გამოსწორების პროცესში, რაც ამავე

დროს დადგენილი უნდა იქნეს კომისიის, შემდეგ კი სასამართლოს მიერ, ან მიმართული უნდა ჰქონდეს ამ ზომებისთვის (იხ. *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1974 წლის 7 მაისი, სერია A №17, გვ. 20-21, პუნქტი 43). ამას გარდა, წარმოჩინებული უნდა იქნეს, რომ გაღებული ხარჯები ნამდვილად იქნა გაღებული, მათი გაღება საჭირო იყო და ისინი გონივრულ ფარგლებში იქნა გაღებული (იხ. *inter alia*, ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს განაჩენი, სერია A №54, გვ. 8, პუნქტი 17).

1 შვეიცარიაში გაღებულ ხარჯები

46. ბ-ნი მინელი მოითხოვდა იმ განუვლი ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც მამ სავარაუდოდ გაიღო რაიონულ სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, ასევე საკასაციო სასამართლოსა და ფედერალურ სასამართლოში განხორციელებული სამართალწარმოებისას (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-10, მე-11, მე-12, მე-14 და მე-15 პუნქტები).

თითოეული პრეტენზიის განხილვამდე სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი, რომელიც აღიარა წინამდებარე განაჩენის 41-ე პუნქტში, ეხებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის აღძვლი ბრალდების არსებით ნაწილს, განსაკუთრებით კი იმ მიზეზებს, რომლებიც წარმოჩენილი იქნა იმ ეტაპზე შვეიცარიის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ხარჯებისა და გაღებული დანახარჯების განაწილებასთან დაკავშირებით.

(ა) რაიონულ და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოების მიზნით გაღებული ხარჯები და დანახარჯები

47. უსტერის რაიონული სასამართლოსა და ციურიხის კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გამართულ ძირითად სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (1972 წლის 29 თებერვალი – 1976 წლის 12 მაისი), განმცხადებელი პირველ რიგში მოითხოვდა სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას (374.65 შვეიცარიული ფრანკი) და კომპენსაციას გაღებული დანახარჯებისათვის (1,200 შვეიცარიული ფრანკი), რა თანხის გადახდაც მას დაეკისრა 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-12 პუნქტი).

განმცხადებელს აქვს უფლება, აუნაზღაურდეს ეს თანხები გამომდინარე პირდაპირი კავშირიდან, რომელიც არსებობს თანხებსა და გადაწყვეტილების იმ მიზეზებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი არ შეესაბამებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას.

48. ბ-ნი მინელი ასევე მოითხოვდა 1,800 შვეიცარიული ფრანკის გადახდას დაკარგული მოგებისათვის და 3,600 შვეიცარიულ ფრანკს ადვოკატის ჰონორარებისა და ხარჯებისათვის.

სასამართლომ ვერ დაადგინა რაიმე მიზეზი, რათა დააკმაყოფილოს პირველი პრეტენზია, რომელთან დაკავშირებითაც განმცხადებელს არ წარმოუდგენია არანაირი სახის არგუმენტაცია (იხ. *Le Compt. Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული განაჩენი, იქვე, გვ. 11, პუნქტი 25 *in fine*). რაც შეეხება მეორე პრეტენზიას, ერთადერთი შესაფერისი პერიოდი არის 1976 წლის 21 იანვრის შემდგომი პერიოდი. ეს ის თარიღია, როდესაც მოახლოებულმა „აბსოლუტურმა“ ხანდაზმულობის ვადამ აიძულა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წამოეჭრა ხარჯების განაწილების საკითხი. სამართალწარმოების ამ ეტაპზე, რომელიც შესაძლოა დასრულებულიყო მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის აღკვეთით, სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ გადახდილი უნდა იქნეს 600 შვეიცარიული ფრანკის ოდენობის თანხა.

(ბ) 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისათვის გაღებული ხარჯები და დანახარჯები

49. 1976 წლის 26 ივლისს ციურიხის კანტონის საკასაციო სასამართლოსა და 1976 წლის 1 ნოემბერს ფედერალურ სასამართლოში შეტანილი საჩივრების (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-14-16 პუნქტები) მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ანაზღაურების მიღება იმ დარღვევისათვის, რომელიც წარმოიშვა 1976 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებიდან. ამიტომ ბ-ნი მინელის უფლება აქვს, მოითხოვოს ანაზღაურება სასამართლო ხარჯებისა და გაღებული დანახარჯებისათვის, რომელთა გადახდაც მას ებრძანა 1976 წლის 30 სექტემბრისა და 1979 წლის 16 მაისის განაჩენებით, რაც ერთობლიობაში შეადგენს 2,294 შვეიცარიულ ფრანკს.

იგივე ეხება ადვოკატის ჰონორარებსა და ხარჯებს, რომლებიც განმცხადებელმა გაიღო საჩივრების (ეს საჩივრები განმცხადებლის სახელით ბ-ნმა კუპნმა შეიტანა) შეტანისას; ეს იყო 600 შვეიცარიული ფრანკი და 800 შვეიცარიული ფრანკი შესაბამისად. რადგან ხსენებული სარწმუნო და გონივრული ჩანს, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, მოითხოვოს მთავრობის მიერ მოთხოვნილი ხელწერილები.

50. ფედერალურ სასამართლოში 1975 წლის 24 ნოემბერს შეტანილი საჩივარი პროცედურასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, ეხებოდა საჩივრის არსებით განხილვაზე დაშვებას და მის გადაგზავნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის მე-11 პუნქტი). ამიტომ მას არ ჰქონია არანაირი კავშირი ხარჯების განაწილებასთან და

მიმართული არ იყო მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის აღკვეთისაკენ ან შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნისაკენ. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, მთავრობის მსგავსად, რომ შესაბამისი ხარჯები და გაღებული დანახარჯები (მთლიანობაში 1,279 შვეიცარიული ფრანკი, ბ-ნი მინელის მტკიცებით) არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

2. სტრასბურგში გაღებული ხარჯები

51. განმცხადებელი, რომელსაც არ უსარგებლია სამართლებრივი დახმარებით კომისიაში წარმართული სამართალწარმოებისას თუ სასამართლოში კომისიის დელეგატთან კავშირისას, მოითხოვდა 2,400 შვეიცარიულ ფრანკს ადვოკატის ჰონორარებისთვის და 400 შვეიცარიულ ფრანკს გაღებული დანახარჯებისათვის, აგრეთვე 1,560 შვეიცარიულ ფრანკს დაკარგული შემოსავლის სახით.

მთავრობას არ გამოუთქვამს არანაირი პრეტენზია ბ-ნი მინელის მიერ ბ-ნ კუპნისთვის გადასახდელი ჰონორარების და თითოეული მათგანის მგზავრობისა და საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, და სასამართლოს მიანდო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით.

52. სასამართლოში განმცხადებელი თავისი ნებით ეხმარებოდა კომისიის დელეგატს, ადვოკატის ჰონორარები და შესაბამისი დანახარჯები დაკავშირებულია მხოლოდ კომისიაში წარმოებულ სამართალწარმოებასთან. სასამართლო არ თვლის საჭიროდ, მოითხოვოს ხელწერილები, რადგან 2,400 შვეიცარიული ფრანკი შესაფერისი და გონივრული ანაზღაურებაა.

ანალოგიური შენიშვნა ეხება 400 შვეიცარიულ ფრანკს, რომელსაც განმცხადებელი მოითხოვს მგზავრობისა და კვებისათვის და რომელიც განმცხადებელმა გაიღო სტრასბურგში ჩამოსასვლელად. მხედველობაში იქნა რა მიღებული საქმის ხასიათი, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ბ-ნი მინელის წარდგომას კომისიის წინაშე და უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო მისი წარდგომა სასამართლოს წინაშე, როდესაც იგი თვითონ წარდგა მოსმენაზე 1982 წლის 26 ოქტომბერს (იხ. *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Le Compte, Van Leuven and De Meyere*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №54, გვ. 11, პუნქტი 25).

მეორე მხრივ, შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებული პრეტენზია (1,560 შვეიცარიული ფრანკი) უარყოფილი უნდა იქნეს, როგორც ეს იქნა განხორციელებული სასამართლოს მიერ რაიონულ და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის 48-ე მუხლი).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას;

2. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს რვა ათას ექვსას სამოცდარვა შვეიცარიული ფრანკი და სამოცდახუთი სენტიმი (8,668.65 შვეიცარიული ფრანკი) განუული ხარჯებისათვის და უარყოფს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ სხვა პრეტენზიებს.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1983 წლის 25 მარტს. ფრანგული ტექსტი ავთენტიურია.

ხელმოწერილია: ჯერარდ ვიარდა,
პრეზიდენტი

ხელმოწერილია: მარკ-ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი

რინგაიზენი
ავსტრიის წინააღმდეგ

Ringeisen v. Austria

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „რინგაიზენი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Ringaizen v. Austria*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგულამენტის 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად. პალატა შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან:

ბ-ნი პ. პოლინი, პრეზიდენტი,

ბ-ნი ა. პოლმბაკი,

ბ-ნი ა. ვერდროსი,

ბ-ნი თ. უოლდი,

ბ-ნი მ. ზეკია,

ბ-ნი ა. ფავრე,

ბ-ნი ს. სიგურიონსონი,

აგრეთვე, რეგისტრატორი – ბ-ნი მ.-ა. ეისენი და რეგისტრატორის მოადგილე – ბ-ნი ჯ. ფ. სმიტი.

სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. რინგაიზენის საქმე სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“). საქმეს საფუძველად უდევს 1965 წლის 3 ივლისს ავსტრიის მოქალაქის ბ-ნი მიქაელ რინგაიზენის მიერ კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად კომისიისთვის ავსტრიის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი.

2. კომისიის თხოვნა, რომელსაც თან დაერთო კონვენციის 31-ე მუხლით გათვალისწინებული მოხსენება, შეტანილი იქნა სასამართლოს რეგისტრატურაში 1970 წლის 24 ივლისს, სამი თვის ვადაში, რომელიც დადგენილია 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით. თხოვნაში მითითებული იყო 44-ე და 48-ე მუხლებზე და ავსტრიის რესპუბლიკის დეკლარაციაზე, რომლითაც აღიარებული იქნა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (46-ე მუხლი). კომისიის თხოვნა მიზნად ისახავდა სასამართლოს გადაწყვეტილების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები ავსტრიის რესპუბლიკის მიერ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.

3. 1970 წლის 22 აგვისტოს სასამართლოს პრეზიდენტმა რეგისტრატორის მოადგილის თანდასწრებით პალატის წევრებად კენჭისყრით აირჩია შვიდიდან ექვსი მოსამართლე, კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად პალატის *ex officio* წევრი, ბ-ნი ალფრედ ვერდროსი, ავსტრიის მხრიდან არჩეული მოსამართლე; პრეზიდენტმა კენჭისყრით აირჩია სამი შემცველი მოსამართლეც.

4. პალატის პრეზიდენტმა, გამოარკვია ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლის (შემდგომში „მთავრობა“) და კომისიის დელეგატების მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით (რეგლამენტის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) და გაითვალისწინა მათი შეთანხმება, 1970 წლის 2 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოცემულ ეტაპზე არ იყო აუცილებელი მიმოხილვების წარდგენა.

პრეზიდენტის მითითებების საფუძველზე რეგისტრატორმა 1970 წლის 30 ოქტომბერს მთავრობის წარმომადგენელს მიმართა თხოვნით, წარმოედგინა გარკვეული დოკუმენტები, რაც შესრულებული იქნა 3 დეკემბერს.

5. სასამართლომ გამართა მოსამზადებელი შეხვედრა სტრასბურგში 1970 წლის 23 და 24 ნოემბერს, რის შემდეგაც მთავრობასა და კომისიას ეთხოვათ შემდგომი ინფორმაციისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა. კომისიის პასუხი მიღებული იქნა 1970 წლის 5 დეკემბერს. მთავრობამ პასუხი და დოკუმენტები წარადგინა 1971 წლის 10 და 17 თებერვალსა და 4 და 6 მარტს.

6. რეგისტრატორის მეშვეობით მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატებთან მოთათბირების შემდეგ პალატის პრეზიდენტმა 1970 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზეპირი მოსმენა ჩატარებულიყო 1971 წლის 8 მარტს.

7. სასამართლომ ნება დართო მთავრობის წარმომადგენელსა და მრჩეველს, ზეპირი მოსმენის დროს სასამართლოსათვის მიემართათ გერმანულ ენაზე. მთავრობამ თავად იკისრა, *inter alia*, თავისი განცხადებების ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე თარგმნის პასუხისმგებლობა.

8. ზეპირი მოსმენა ჩატარდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა სახლში, სტრასბურგში, 1971 წლის 8, 9 და 10 მარტს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

კომისიის სახელით:

ბ-ნი ჯ. ე. ს. ფასეტი, მთავარი დელეგატი,
ბ-ნი ფ. ერმაკორა და ბ-ნი გ. სპერდუტი, დელეგატები;

მთავრობის სახელით:

ბ-ნი ე. ნეტელი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი — წარმომადგენელი;

ბ-ნი ვ. პაპრი, ფედერალური კანცელარიის საკონსტიტუციო დეპარტამენტის საერთაშორისო განყოფილების უფროსი, და

ბ-ნი კ. მაიერჰოფერი, იუსტიციის ფედერალური სამინისტროს *Ministertalsekretär*, მრჩეველი.

სასამართლომ მოუსმინა ზემოხსენებული წარმომადგენლების განცხადებებსა და მიმართვებს, აგრეთვე მათ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე. გარდა ამისა, მთავრობამ წარმოადგინა გარკვეული დამატებითი დოკუმენტაცია.

1971 წლის 10 მარტს მოსმენა დროებით დახურულად გამოცხადდა.

9. 1971 წლის 22 მარტს კომისიამ წარმოადგინა კიდევ ორი დოკუმენტი, ხოლო 16 აპრილს სასამართლომ მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი საპასუხო მიმოხილვები.

10. სასამართლომ დახურულად გამოაცხადა სამართალწარმოება, იმსჯელა განმარტოებით და გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

11. როგორც კომისიის მოხსენებიდან, სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტებიდან და წარმომადგენლების მიმართებიდან ჩანს, საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

I. რინგაიზენის საქმიანი კავშირები

12. ბ-ნი რინგაიზენი არის ავსტრიის მოქალაქე, დაბადებული უნგრეთში 1921 წელს. 1958-1963 წლებში იგი მუშაობდა სადაზღვევო აგენტად ლინცში, ავსტრიაში; იგი ასევე მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებებში სესხებსა და მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

13. 1958 წელს ფრანც ვიდმანი, მალაზიის მფლობელი ლინცში, გამოეხმაურა გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას 100,000 ავსტრიული შილინგის (აშ) სესხის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ გზით მან ურთიერთობა დაამყარა რინგაიზენტან, რომელსაც 1958 წლის ნოემბერსა და 1959 წლის იანვარში წინასწარ ნაწილ-ნაწილ გადასცა 150,000 აშ. ამ ოპერაციის დროს რინგაიზენმა უთხრა ვიდმანს, რომ მას ეს ფული სჭირდებოდა ბ-ნი ვენგერისათვის, მაგრამ ვიდმანი ამ უკანასკნელს არ შეხვედრია. რინგაიზენის წაქეზებით ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელშიც ვიდმანების წყვილი გამოდიოდა გამსესხებლად, ხოლო ვენგერების წყვილი სხვებთან ერთად – მსესხებლად. შესაბამისად, რინგაიზენმა ვიდმანს გადაუხადა 72,000 აშ. 1959 და 1960 წლებში რინგაიზენი ქ-ნ გერტრუდ ვენგერის სახელით აგრეთვე მოელაპარაკა რუდოლფ შამბერგერს 11,000 აშ ოდენობის სესხის შესახებ.

14. 1961 წლის 9 მაისსა და 6 ნოემბერს რინგაიზენმა მოიპოვა ზოგადი მინდობილობა როთების წყვილისაგან, რომლებთანაც ადრე ჰქონდა საქმიანი ურთიერთობები. ეს მინდობილობა მიეცა რინგაიზენის მიერ როთებისათვის მიცემული სესხის მხედველობაში მიღებით და საშუალებას აძლევდა მათი სახელით ემოქმედა იმ მინის გაყოფისას და გაყიდვისას, დაქირავებისას და იპოთეკისას, რომელსაც ისინი ფლობდნენ ალკოვენში და რომელიც შეტანილი იყო ანარბერგის მინის რეესტრში, ზემო ავსტრიაში. იმავე გარიგების თანახმად, რინგაიზენს მიეცა ქონების ყიდვის საშუალება; იმავე დროს როთების წყვილმა ვალდებულება აიღო, რომ რინგაიზენის მიერ ხსენებული შესაძლებლობის განხორციელების შემთხვევაში და საკუთრების უფლების მისთვის გადაცემის დამტკიცებაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში ისინი აღარ მიჰყიდინენ ქონებას სხვას, თავს შეიკავებდნენ, როგორც მესაკუთრები, და მისცემდნენ რინგაიზენს ქონების დატვირთვის ექსკლუზიურ უფლებას (1961 წლის 3, 14 და 16 ნოემბრის წერილები).

15. 1962 წლის 6 თებერვალს რინგაიზენმა ხელშეკრულება გააფორმა ბ-6 და ქ-6 როთებთან ქონების ყიდვასთან დაკავშირებით; შესასყიდი ფასი 400,000 აშ იყო. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 1962 წლის 30 მარტს უძრავი ქონების საქმეთა ეფერდინგის რაიონულ კომისიაში (*Bezirksgrundverkehrs-kommission*, შემდგომში „რაიონული კომისია“) იქნა წარდგენილი დასამტკიცებლად.

„ზემო ავსტრიის უძრავი ქონების საქმეთა შესახებ“ კანონი (*Grundver-kehrsgesetz*) ითვალისწინებს:

„1-ლი მუხლი – (1) საკუთრებისა და უზუფრუქტის უფლებების გადაცემის თითოეული შემთხვევა სამართლებრივი აქტით *inter vivos* მთლიან მინასთან ან მის ნაწილთან მიმართებაში სოფლისა თუ სატყეო მეურნეობისათვის ექვემდებარება დამტკიცებას ამ კანონის დებულებების შესაბამისად.

...

(2) ამგვარ დამტკიცებზე უარი გარიგებას ბათილად აცხადებს.

...

მე-4 მუხლი – (1) სამართლებრივი გარიგებები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო სივრცეების შექმნასა და შენარჩუნებაში, აგრეთვე შემოსავლიანი საფერმერო საზოგადოების შენარჩუნებასა და გაძლიერებაში ან მცირე თუ საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური საკუთრების შენარჩუნებასა და შექმნაში.

...

(5) გარიგება, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოხსენებული (1), (2) ან (3) ქვეპუნქტების მოთხოვნებს, არ ექვემდებარება დამტკიცებას.

...

მე-6 მუხლი – კერძოდ, გარიგების დამტკიცების მოთხოვნები (მე-4 მუხლი) არ იქნება დაკმაყოფილებული, თუ არსებობს საფუძველი საფრთხისა,

(ა) რომ მყიდველის მიზანი არის მინის მთლიანი ან მისი ნაწილის ხელახლა გაყიდვა მოგების მიზნით;

(ბ) რომ საგლეხო საფერმერო ჰოლდინგები, ან მცირე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ან ეკონომიკურად მომგებიანი ნაწილის შეძენა ხდება დიდი მამულების შესაქმნელად;

...

(დ) რომ მამულები ... არ უნდა გამოიყენებოდეს როგორც საფერმერო ან სატყეო მიწები არამართლზომიერი მიზნით;

(ე) რომ მხედველობაში მიიღება მხოლოდ სპეკულაციური კაპიტალ-დაბანდება;

მე-7 მუხლი – თუ სამართლებრივი გარიგება მოითხოვს დამტკიცებას, ამ კანონის დებულებების შესაბამისად ხელშემკვრელმა მხარეებმა დასამტკიცებლად უნდა მიმართონ რაიონულ კომისიას გარიგების დადებიდან ოთხი კვირის განმავლობაში.“

16. 1962 წლის 28 სექტემბერს რაიონულმა კომისიამ უარი თქვა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამტკიცებაზე. მან დაადგინა, რომ ქონებას შეეძლო ფერმერის ოჯახის უზრუნველყოფა საარსებო საშუალებებით და რომ რინგაიზენი იყო სადაზღვევო აგენტი და არა ფერმერი. იმ განცხადებებზე მითითებით, რომლებიც გააკეთა რინგაიზენმა მის მიერ როთებისაგან სხვა ქონების ყიდვის დამტკიცებასთან დაკავშირებით და რომლებიც უარყოფილი იქნა, რაიონულმა კომისიამ დაადგინა, რომ საქმის მასალებმა გამოააშკარავე მინით სპეკულაციის სურათი. მან ასევე აღნიშნა, რომ რინგაიზენს მშენებლობისათვის უკვე მონიშნული ჰქონდა მიწის ოცდაათობმეტი ნაკვეთი. დასკვნაში რაიონულმა კომისიამ მიუთითა, რომ, რამდენადაც მყიდველის გარკვეული მიზნების საფრთხის არსებობა საკმარისი იყო, კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამტკიცების თაობაზე უარისთვის, იმ ფაქტს, რომ ამ საქმეში სახეზე იყო აშკარა მტკიცებულება, რომელიც ამგვარ განზრახვაზე მიუთითებდა, უფრო მეტი ძალა ჰქონდა.

17. 1962 წლის იანვარში რინგაიზენმა დაიწყო სამშენებლო ადგილებში მიწის საკუთრების ნაწილის გაყიდვა; მან გააგრძელა ეს საქმიანობა მთელი 1962 წლის განმავლობაში 1963 წლის აპრილამდე. მას შემდეგ, რაც მოიპოვა ექსპერტის დასკვნა პროვინციის დაგეგმარების სამსახურიდან (*Landesplanungsstelle*) იმ საფუძველზე, რომ საკუთრება შეთვალეირებული და მონიშნული ჰქონდა, მას მიეცა მშენებლობის ნებართვა ეფერდინგის რაიონული ადმინისტრაციის მიერ (*Bezirkshauptmannschaft*) 1962 წლის 17 ნოემბერს. ეს ორი ორგანო მოქმედებდა რაიონული კომისიისაგან დამოუკიდებლად და მათ დასკვნასა თუ ნებართვას მის გადაწყვეტილებაზე არ მოუხდენია რაიმე ზეგავლენა, რაზეც აშკარად მიუთითებს თვით რაიონული კომისიის გადაწყვეტილება.

18. რინგაიზენმა, როგორც ჩანს, ვერ შეძლო ეცნობებინა მომავალი მყიდველებისათვის, რომ იგი მოქმედებდა იმ მინდობილობის საფუძველზე, რომელიც მას მისცა როთების წყვილმა და თუ რომელიმე მათგანი აღნიშნავდა, რომ რინგაიზენი თვითონ არ იყო უშუალო გამყიდველი, მასში ახსნილი იყო, რომ გარიგება ამ სახით განხორციელდა საგადასახადო მიზნით. იმ დროს მყიდველებს რინგაიზენმა შეატყობინა, რომ მშენებლობის ნებართვა მოპოვებული იყო და მათ შეეძლოთ სამუშაოს დაუყოვნებლივ დაწყება. რინგაიზენის ადვოკატის მიერ დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები შეიცავდა პირობას, რომ მოძრავი ქონების საქმეთა კომისიის მიერ დამტკიცება აუცილებელი იყო მათი განხორციელებისათვის, მაგრამ რინგაიზენმა აცნობა მყიდველებს, რომ ეს მხოლოდ უბრალო ფორმა-

ლობა იყო. ბოლო ოცი ან დაახლოებით ამდენივე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული იმავე ადვოკატის მიერ და, შესაბამისად, არ შეიცავდა ამ კონკრეტულ პირობას. ყველა საქმეში შესასყიდი თანხა მაშინვე უნდა ყოფილიყო გადახდილი.

1962 წლის ივნისში როთების წყვილმა განიზრახა რინგაიზენისთვის მინდობილობის ჩამორთმევა. ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა მათი პრეტენზია. საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც მას ებრძანა მინდობილობის გადაცემა, ეროვნულმა სასამართლომ 1963 წლის 13 სექტემბერს მიიღო.

19. რინგაიზენმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა უძრავი ქონების საქმეთა საოლქო კომისიაში (*Landesgrundverkehrs-kommission*, შემდგომში „საოლქო კომისია“) რაიონული კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ყიდვა-გაყიდვის იმ ხელშეკრულების დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომელიც მან ბ-ნ და ქ-ნ როთებთან გააფორმა.

„ზემო ავსტრიის უძრავის ქონების საქმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი დებულებების მიხედვით:

„მე-18 მუხლი

...

(2) საოლქო ... კომისია იქნება დაფუძნებული პროვინციის მთავრობის სამსახურში ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილებების მისაღებად. მისი წევრები არ ექვემდებარებიან რაიმე ინსტრუქციას თავიანთი მოვალეობების განხორციელებისას და მათი გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება ადმინისტრაციის მიერ გაუქმებას ან შეცვლას.

...

(4) საოლქო ... კომისია შედგება რვა წევრისაგან:

- (ა) მოსამართლეს, რომელიც არის პრეზიდენტი, ნიშნავს პროვინციის მთავრობა;
- (ბ) ერთ წევრს, როგორც საოლქო აგრარული სენატის (*Landesagrarse-nat*) პრეზიდენტს, ნიშნავს პროვინციის მთავრობის ხელმძღვანელი;
- (გ) ორ წევრს ნიშნავს პროვინციის მთავრობა იმ პირობა რიგებიდან, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის მოსახლეობის ინტერესებს, და სამეურნეო მამულებში მცხოვრებთაგან;
- (დ) ერთ წევრს ნიშნავს პროვინციის მთავრობა ინდუსტრიისა და კომერციის წარმომადგენელთა რიგებიდან;
- (ე) სოფლის მეურნეობის ერთ ექსპერტს ნიშნავს პროვინციის მთავრობა;
- (ვ) ორ წევრს ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო პალატა (*Landwirtschaftskammer*) ზემო ავსტრიისათვის.

(8) წევრები ინიშნებიან ხუთი წლის ვადით...

...

მე-20 მუხლი

...

(2) რაიონული ... კომისიის გადანყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება საოლქო ... კომისიაში.

...

21-ე მუხლი

...

(2) უძრავი ქონების საქმეთა კომისიები იღებენ გადანყვეტილებას ხმათა უმრავლესობით და ფარულად. ... განხილვების მიმდინარეობის, კერძოდ, ხმის მიცემის, შესახებ ინფორმაცია არ უნდა ეცნობოს მესამე მხარეს.

...

20. საოლქო კომისია შეიკრიბა 1963 წლის 12 თებერვალს და მიიღო გადანყვეტილება საკუთრების გამოკვლევის შესახებ, რაც განხორციელდა 2 აპრილს. იმავე დღეს გაიმართა ზეპირი მოსმენაც. 1963 წლის 13 მაისს საოლქო კომისიამ არ დააკმაყოფილა რინგაიზენის სააპელაციო საჩივარი; კომისიამ დაადგინა, რომ რინგაიზენმა გააკეთა ურთიერთსაინააღმდეგო განცხადებები საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომ მან დაანანევრა და გაყიდა მიწა, სულ ორმოცდაათამდე სამშენებლო ადგილი, რომელიც წარმოადგენდა კარგი ხარისხის საფერმერო მიწას. აღნიშნულ და სხვა მიზეზთაგან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო იმის საშიშროება, რომ იგი უარს იტყოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ მიწის ფართომასშტაბიან გამოყენებაზე ადეკვატური მიზეზების გარეშე და, რომ იგი მიზნად ისახავდა სპეკულაციურ კაპიტალდაბანდებას (მე-6 (დ) და (ე) მუხლები, „ზემო ავსტრიის უძრავი ქონების საქმეთა შესახებ“ კანონი).

21. 1963 წლის 5 ივლისს რინგაიზენმა საკონსტიტუციო სასამართლოში (*Verfassungsgerichtshof*) შეიტანა საჩივარი (*Verfassungsbeschwerde*) საოლქო კომისიის გადანყვეტილებასთან დაკავშირებით; იგი ამტკიცებდა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის უფლებისა და კანონით შექმნილი მოსამართლის წინაშე სამართალწარმოების უფლების დარღვევას (*gesetzlicher Richter* – კონსტიტუციის მუხლები 7 (1) და 83 (2)). სააპელაციო საჩივარში მითითებული იყო, *inter alia*, რომ 1963 წლის 13 მაისს საოლქო კომისიის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო და ხმა მისცა ორმა წევრმა, რომლებიც არ ესწრებოდნენ ერთ-ერთ ან ორივე წინა კრებას, რომლებზეც საოლქო კომისიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადანყვეტილება 1964 წლის 20 ივნისს. თავისი პრეცედენტების შესაბამისად კოლეგიის (*Kollegialbehörde*) სათანადო სამართლებრივი შემადგენლობის საკითხთან დაკავშირებით კონსტიტუციის 133-ე მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობისათვის და-

ადგინა, რომ აპელანტის მიერ გასაჩივრებულმა გარემოებებმა მიგვიყვანა კანონით შექმნილ სასამართლოში სამართალწარმოების უფლების დარღვევამდე. ამგვარად, საოლქო კომისიის გადანყვეტილება გაუქმებული იქნა.

22. ამ განაჩენის შედეგად საოლქო კომისიამ მიიღო ახალი გადანყვეტილება რინგაიზენის სააპელაციო საჩივარზე 1962 წლის 28 სექტემბრის რაიონული კომისიის გადანყვეტილების წინააღმდეგ.

ახალი სამართალწარმოების დაწყებისას რინგაიზენმა მოითხოვა საოლქო კომისიის რამდენიმე წევრის აცილება მიკერძოებულობის ნიადაგზე: მისი თქმით, პრეზიდენტი წარმოადგენდა საოლქო კომისიას საკონსტიტუციო სასამართლოში 1964 წელს; ორ წევრი დაკითხული იქნა მონაშენების სახით ამ სამართალწარმოებისას, ხოლო ერთმა მათგანმა, ბ-ნმა თ.-მ, სავარაუდოდ, განაცხადა, რომ მას უკვე დადებული ჰქონდა სხვა ხელშეკრულება იმავე საკუთრების გაყიდვის შესახებ, რაც დამტკიცებული იყო; მესამე წევრმა, რომელიც დანიშნული იყო ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო პალატის მიერ, თქვა, რომ მან უკვე გამოხატა თავისი პოზიცია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ 1962 წლის 6 თებერვალს; და ბოლოს, მეოთხე და მეხუთე წევრების მონაწილეობით მიღებული იქნა 1963 წლის 13 მაისის გადანყვეტილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ 1964 წლის 20 ივნისს გააუქმა. თავისი საჩივრის დასასაბუთებლად რინგაიზენი ეყრდნობოდა 1950 წლის ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (*Allgemeines Verwaltungsverfahrensgesetz*) მე-7 მუხლს, რომელიც 1-ლ პუნქტში ითვალისწინებს:

„(i) ადმინისტრაციულმა მოხელეებმა (*Verwaltungsorgane*) თავი უნდა შეიკავონ თავიანთი მოვალეობების შესრულებისაგან და მოახდინონ ფუნქციების დელეგირება:

...

(iii) იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი იყვნენ ან ახლაც არიან დანიშნული მხარის აგენტებად;

(iv) როდესაც არსებობს სხვა სერიოზული საფუძველი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მათ სრულ მიუკერძოებლობას;

...“

საოლქო კომისიამ მიიღო გადანყვეტილება 1965 წლის 3 თებერვალს. პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ, მართალია, რინგაიზენს ზემოხსენებული კანონის შესაბამისად არ ჰქონდა გაპროტესტების უფლება, ამისდა მიუხედავად, მისი მტკიცებები მიკერძოებულობის შესახებ უნდა განხილულიყო *ex officio*. მიუხედავად ამისა, ეს მტკიცებები ჩაითვალა დაუსაბუთებლად. გადანყვეტილებაში, რომელიც მთლიანად ეხებოდა მტკიცებებს, საოლქო კომისიამ დაადგინა, რომ ბ-ნი თ.-ის უარი დამტკიცებაზე ფაქტობ-

რევიდ ეხებოდა როთების წყვილის საკუთრებაში არსებული სხვა ქონების გაყიდვას.

საოლქო კომისიამ არც რინგაიზენის სააპელაციო სარჩელი დააკმაყოფილა. ჩატარებული სრული გამოკვლევების შესაბამისად კომისიამ დაადგინა, რომ ყველა განსახილველ შემთხვევაში მოზომილი იქნა ორას ცხრა სამშენებლო ნაკვეთი; რომ რინგაიზენს უკვე დადებული ჰქონდა ხელშეკრულება სამოცდათვრამეტი სამშენებლო ნაკვეთის გაყიდვის შესახებ და რომ აქედან ოცდაცამეტი ხელშეკრულება აშკარად იქნა უარყოფილი უძრავი ქონების საქმეთა კომისიების მიერ; რომ რინგაიზენს დატვირთული ჰქონდა სხვადასხვა საკუთრება ფულადი თანხის მნიშვნელოვანი ოდენობით და რომ მან გააკეთა ურთიერთსანაღმდეგო განცხადებები დასამტკიცებლად წარდგენილ სხვადასხვა განაცხადში. საოლქო კომისიამ დაადგინა, რომ რინგაიზენის გეგმები შეუთავსებელი იყო „ზემო ავსტრიის უძრავი ქონების საქმეთა შესახებ კანონის“ მე-4 (1) მუხლის დებულებებთან და არსებობდა იმის საშიშროება, რომ მინის საკუთრების ნახევარზე მეტი გაყიდული იქნებოდა მშენებლობისათვის. ამგვარად, დადგინდა, რომ 1962 წლის 6 თებერვლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მიმართული იყო იმ ფერმის განადგურებისა და დაშლისაკენ, რომელიც მოცემული დროისათვის ითვლებოდა სამუშაო ერთეულად, საფერმერო შენობების დანგრევისა და მოგების მიზნით ღირებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვისაკენ („ზემო ავსტრიის უძრავი ქონების საქმეთა შესახებ“ კანონის მე-6 თავი).

23. 1965 წლის 2 აპრილს რინგაიზენმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში. სხვა საფუძვლებთან ერთად, იგი იმეორებდა ბრალდებას მიკერძოებულობის შესახებ, რაც მან წაუყენა საოლქო კომისიის ექვს წევრს, მათ შორის პრეზიდენტს (წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22).

1965 წლის 27 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის საფუძველი:

„სასამართლო არ არის ვალდებული, განიხილოს სააპელაციო საჩივარში მოყვანილი მტკიცებები იმგვარად, რომ დაადგინოს კომისიის წევრების მიკერძოებულობა ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მნიშვნელობისათვის და, ამდენად, მათ მიერ ამგვარი ქმედებისაგან თავის შეკავების აუცილებლობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხსენებული მტკიცებები მართალი აღმოჩნდებოდა ამ საკითხთან მიმართებაში, რადგან იმ ფაქტმა, რომ მისი საჩივრები არ დაკმაყოფილდა, არ ხელყო განმცხადებლის უფლება, მისთვის მოესმინა კანონით შექმნილ სასამართლოს. მხარეს არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა იმ ორგანოს აცილება, რომელიც კომპეტენტური იყო, გადაენყვიტა ან მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების გამოტანის დროს მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. ორგანო არ კარგავდა კომპეტენტურობას იმის გამო, რომ საქმის განხილვის

დროს მონაწილეობას იღებდნენ მიკერძობული პირები. არც მიკერძობული პირის მონაწილეობა – თუ სპეციალური კანონი ამკარად არ ითვალისწინებდა სხვა რამეს – ახდენდა ზეგავლენას ორგანოს სათანადო შემადგენლობაზე იმაზე მეტად, ვიდრე ერთი პირისგან (*monokratische Behörde*) შემდგარი ხელისუფლების კომპეტენციაზე ან სათანადო შემადგენლობაზე (*Organwalter*). ამდენად, არ იყო აუცილებელი, უშუალოდ განხილულიყო საკითხები იმასთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა მიკერძობულობა (იმავე მიზნით იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელი გადაწყვეტილებები: 1958 წლის 9 ოქტომბერი, *Slg. №3408*, 1959 წლის 6 ოქტომბერი, *Slg. №3588*, და 1960 წლის 19 ნოემბერი, *Slg. №3829*).“

იმავე განაჩენით არ დაკმაყოფილდა აპელაციის არც სხვა საფუძვლები.

II. რინგაიზენის ბრალდებები

ა. თალლითობის საქმე (19 Vr. 394/63)

24. იმ დღეებში, რომლებიც არ არის მითითებული სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტებიდან, ფ. ვიდმანმა და რ. ამბერგერმა თალლითობაში დასდეს ბრალი რინგაიზენს.

25. 1963 წლის 13 თებერვალს ბ-ნმა და ქ-ნმა როთებმა ლინცის პროკურატურაში ბრალი დასდეს რინგაიზენს მინდობილობის ბოროტად გამოყენებაში, აგრეთვე მათი საკუთრების უკანონო დატვირთვისა და გაყიდვაში. 21 თებერვალს პროკურატურამ მოითხოვა, რომ რინგაიზენის წინააღმდეგ დაწყებულიყო წინასწარი გამოძიება (*Vorerhebungen*).

რინგაიზენი დაკითხული იქნა 28 თებერვალს, როდესაც იგი პირველად გამოცხადდა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე.

26. 1963 წლის მარტში, იენისსა და იელისში პროკურატურის ორგანოებს შემდგომი საჩივრებით მიმართეს ბ-ნმა და ქ-ნმა როთებმა იმ მოტივით, რომ რინგაიზენი განაგრძობდა მათ მიერ დელეგირებული უფლებების ბოროტად გამოყენებას. საოლქო კომისიის 1963 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების კუთხით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 20) ლინცის პროკურატურის ორგანოებმა განცხადებით მიმართეს ლინცის საოლქო სასამართლოს (*Landesgericht*) 1963 წლის 16 ივლისს, რომ წინასწარი გამოძიება (*Voruntersuchung*) დაწყებულიყო რინგაიზენის წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ იგი ეჭვმიტანილი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 205-ე (გ) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენაში. 19 ივლისს პროკურატურამ კვლავ მოითხოვა, რომ დოკუმენტები, რომლებითაც რინგაიზენი უფლებამოსილი იყო, ემოქმედა როთების წყვილის სახელით, მისთვის ჩამოერთმიათ და საიმედოდ შეენახათ ან, თუ ეს

შეუძლებელი იყო, რინგაიზენი აეყვანათ წინასწარ პატიმრობაში, რადგანაც არსებობდა იმის საშიშროება, რომ იგი კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 57). 25 ივლისს ხელისუფლებას შეატყობინეს, რომ როთების წყვილმა მოიპოვა სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც რინგაიზენს უნდა დაებრუნებინა ხსენებული დოკუმენტები.

27. ერთი დღის შემდეგ დოქტორმა კერერმა, ადვოკატმა, რომელიც მოქმედებდა მინის ათი მყიდველის სახელით, პროკურატურის ორგანოებს შეატყობინა, რომ განმცხადებელმა პირადი სარგებლობისათვის გამოიყენა ფულადი სახსრები, რომლებიც მყიდველებმა გადაიხადეს შექმნილი ქონების გასხვისების უფლების გარეშე.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით პროკურატურამ მოითხოვა წინასწარი გამოძიების ვადის გაგრძელება. 1963 წლის 6 აგვისტოს დაკავებიდან მეორე დღეს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 57) რინგაიზენი გამოცხადდა გამოძიებელი მოსამართლის წინაშე და მოისმინა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. 16 აგვისტოს გაკეთებული განაცხადით ბ-ნმა და ქ-ნმა როთებმა უარყვეს იმ ინვესტიციების ღირებულების გაზრდა, რომლებიც რინგაიზენმა, თავისივე მტკიცებით, ჩადო მათ საკუთრებაში; ასევე ამტკიცებდნენ, რომ რინგაიზენმა მოყვანილი მოსავალი და ხილი პირადი სარგებლობისათვის გაყიდა.

28. 1963 წლის 27 აგვისტოს დოქტორმა კერერმა სხვა ცხრა მოსარჩელის სახელით რინგაიზენს წაუყენა სისხლისსამართლებრივი ბრალდებები. მათში ნათქვამი იყო, რომ 20 ივლისს რინგაიზენმა გამოაქვეყნა ახალი განცხადება სამშენებლო ადგილების გაყიდვის შესახებ. ერთი მოსარჩელის თქმით, რინგაიზენმა გააკეთა როთების მინდობილობის ასლი. პოლიციამ მოამზადა მოხსენება, რომელიც 30 აგვისტოს წარედგინა ლინცის საოლქო სასამართლოს. რინგაიზენი გათავისუფლდა წინასწარი პატიმრობიდან 1963 წლის 23 დეკემბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 58).

29. 1963 წლის 18 სექტემბრიდან 1964 წლის 6 აპრილამდე რინგაიზენს სხვა ოცდარვა ბრალდება წაუყენა. დამატებითი ინფორმაცია იქნა მიწოდებული სამშენებლო ადგილების სხვა მყიდველებისა და როთების წყვილის მიერ. იმავე პერიოდში გამოძიებელმა მოსამართლემ ჩაატარა ოცდამესამე მოსმენა, რომელზეც დაკითხული იქნენ რინგაიზენი და მონმეები. გამოძიებელმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სრული გამოძიების ჩატარებისა და წინასწარი გამოძიების გაგრძელების შესახებ ახალი საჩივრების გამოსაკვლევადა. 1964 წლის 8 აპრილს გამოძიებელმა მოსამართლემ შეწყვიტა წინასწარი გამოძიება.

30. 1964 წლის 5 მაისს რინგაიზენმა ხელისუფლების წინააღმდეგ დისციპლინარული საჩივრით (*Aufsichtsbeschwerde*) მიმართა იუსტიციის ფედერალურ სამინისტროსა და ლინცის სასამართლოებს, რომლებიც განიხი-

ლავდენ მოცემულ საქმეს. მისი თხოვნის საფუძველზე განმცხადებლის ადვოკატს 6-დან 12 მაისამდე მისცეს საქმის მასალები. მას საქმის მასალებზე ხელი არ მიუწვდებოდა 1964 წლის 25 ივნისიდან 6 ივლისამდე, რამდენადაც სამართალწარმოება მიმდინარეობდა ლინცის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილებაში.

31. პროკურორი, რომელიც განიხილავდა საქმეს, შვებულებაში იმყოფებოდა 1964 წლის 27 ივლისიდან 24 აგვისტომდე. 1 აგვისტოს რინგაიზენმა განცხადებით მიმართა პროკურორს, რომ მისი საქმე გადასცემოდა სხვა სასამართლოს, და მოითხოვა მოსამართლეთა აცილება (*Delegierungs- und Ablehnungsantrag*). 25 აგვისტოს პროკურატურამ სასამართლოს გადასცა განცხადება უარყოფითი კომენტარით.

1964 წლის 1 სექტემბერს საქმის მასალები გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცა უზენაეს სასამართლოს (*Oberster Gerichtshof*), რომელმაც 16 სექტემბერს არ დააკმაყოფილა მოთხოვნა.

ამავდროულად, ლინცის საოლქო სასამართლოს გამომძიებელმა მოსამართლემ 1964 წლის 31 აგვისტოს მიიღო ბრძანება, რომ თაღლითობის საქმეზე სამართალწარმოება (19 *Vr.* 394/63) უნდა ჩატარებულიყო განზრახ გაკოტრებისათვის სხვა ბრალდებების გამოძიებისაგან დამოუკიდებლად (19 *Vr.* 1566/64, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 49), რომლებიც წაყენებული იქნა 1964 წლის 24 აგვისტოს.

32. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად, საქმის მასალები 1964 წლის 12 ოქტომბერს გადაეცა პროკურატურას. ხსენებული მუხლის თანახმად, პროკურატურას ორი კვირის განმავლობაში უნდა წაეყენებინა ბრალდება ან ეცნობებინა გამომძიებელი მოსამართლისათვის, რომ არ აპირებდა სამართლებრივი დენის გაგრძელებას; მას ასევე შეეძლო გაეგრძელებინა წინასწარი გამოძიება, რაც განახორციელა კიდეც 1965 წლის 4 იანვარს დოქტორი კერერის მიერ სხვა მყიდველის სახელზე 1964 წლის 31 დეკემბერს ჩამოყალიბებულ ახალ საჩივართან მიმართებაში. იმავე დღეს სხვა სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მასალები გაეგზავნა ვენის საოლქო სასამართლოს (*Bezirksgericht*), ხოლო 19 იანვარს – ველსის შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოს (*Arbeitsgericht*); ეს მასალები ლინცში 3 თებერვალს იქნა დაბრუნებული. ორი დღის შემდეგ გამომძიებელმა მოსამართლემ დაკითხა ექვსი მონმე.

33. რინგაიზენი გამოძახებული იქნა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე 1965 წლის 8 თებერვალს, თუმცა გვიან ჩავიდა და თავი გაიმართლა; იგი 16 თებერვალს იქნა დაკითხული.

18 თებერვალს რინგაიზენს ნება დართეს, შეესწავლა საქმის მასალები და გაეკეთებინა ფოტოსტატური ასლები.

34. 1965 წლის 20 თებერვალს დამატებითი საჩივარი წამოაყენა ადვოკატმა დოქტორმა კერერმა და 25 თებერვალს თხოვნით მიმართა პროკუ-

რატურას, გაეგრძელებინა წინასწარი გამოძიების ვადა ამ საჩივრის განსახილველად. 1965 წლის 2 მარტს გამოძიებელმა მოსამართლემ დააკმაყოფილა მისი თხოვნა იმ დამატებით საჩივრებთან მიმართებაში, რომლებიც წამოყენებული იყო 1964 წლის 31 დეკემბრამდე.

35. 1965 წლის 15 მარტს რინგაიზენმა ლინცის საოლქო სასამართლოს გადასცა ლინცის რაიონული სასამართლოს 23 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა მისი ქონების დაყადაღებას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 60); თუმცა სასამართლოში ყოფნისას დააკავეს განზრახ თაღლითობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების გამო, №19 Vr. 1566/64 (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 61).

36. ბრალდება (*Anklageschrift*) წაყენებული იქნა ლინცის საოლქო სასამართლოში 1965 წლის 27 აპრილს, ხოლო რინგაიზენს ეცნობა 30 აპრილს. მას ბრალი ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ თაღლითობაში (*Betrug*, სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, მე-200, 201-ე (დ) და 203-ე მუხლები) და დამამძიმებელ გარემოებებში ქონების განზრახ მისაკუთრებაში (*Untreue*, იმავე კოდექსის 205-ე (გ) მუხლი).

რინგაიზენს ბრალი ედებოდა შემდეგ ქმედებებში:

1. 1958 წლის 3 ნოემბრიდან 1963 წლის 5 აპრილამდე თავს აჩვენებდა, როგორც უძრავი ქონების პატიოსანი გამყიდველი, მსესხებელი და აგენტი, რათა დაეთანხმებინა:

- ა. 78 პირი მათთვის საზიანო ქმედებებზე, კერძოდ, აიძულა 1,400,000 აშ-ის გადახდა. ამ პირების მტკიცებით, რინგაიზენმა დაუმალა მათ ის ფაქტი, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები, რომლებიც მათთან გააფორმა, შეიძლებოდა შესრულებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ დაამტკიცებდა უძრავი ქონების საქმეთა კომისია; რინგაიზენმა მხოლოდ ცამეტი ხელშეკრულება წარუდგინა უძრავი ქონების საქმეთა კომისიას მათი დადებიდან ერთი წლის შემდეგ და შემდეგი ოცდაერთი – ერთ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ; ბოლოს მისი ხელშეკრულებები გაყიდვის თაობაზე აღარ შეიცავდა პირობას, რომლის თანახმადაც ამგვარი დამტკიცება აუცილებელი იყო მათი განხორციელებისთვის. აღნიშნული პირები ასევე ამტკიცებდნენ, რომ რინგაიზენმა მიიღო 1,359,000 აშ თავისი ბიზნესის – უძრავი ქონების „მკვლევლობის“ (*gewerbsmässige Güterschlächtere*) შედეგად და უარი თქვა ფულის უკან დაბრუნებაზე;
- ბ. სხვა ორი პირი, (1) ფრანც ვიდმანი და (2) რუდოლფ შამბერგერი, გაეცათ სესხები, რომელთა დიდი ნაწილი არ იქნა გადახდილი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 13);

II. მოგების მიღების მიზნით ბოროტად გამოიყენა რა მინდობილობა, რომელიც მას მისცა როთების წყვილმა 1961 წლის 9 მაისს და გამოითხოვა 1962 წლის 22 აგვისტოს, ამ დღიდან მოყოლებული, ალკოვენში სხვადასხვა ფასად დატვირთა მათი მინა.

37. 1965 წლის 3 მაისს რინგაიზენმა საჩივრით მიმართა (*Einspruch*) სააპელაციო სასამართლოს (*Oberlandesgericht*) მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების გამო. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია განზრახვა, ზიანი მიეყენებინა ნაკვეთების მყიდველებისათვის და რომ მან ამ საქმეებში დააბანდა 2,000,000 აშ. იმავე დოკუმენტში რინგაიზენმა მოითხოვა ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების გადაცემა სასამართლოებისათვის, რომლებზეც არ ვრცელდებოდა ლინცის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია: იგი ამტკიცებდა, რომ სრულიად შეუძლებელი იყო ლინცში ქვემარტივად მიუკერძოებელი და ობიექტური მოსამართლის პოვნა, რომელიც წინასწარ არ განენწყობოდა მის წინააღმდეგ, რადგან უკვე მიღებული ჰქონდა მონაწილეობა უძრავი ქონების საქმეთა კომისიის მუშაობაში ანდა დაინტერესებული იყო სამართალწარმოებით, რომელიც განაპირობა საკუთრებასთან დაკავშირებულმა გარიგებებმა.

პროკურატურა ამ განცხადებების წინააღმდეგ გამოვიდა მომდევნო დღეს.

38. 1965 წლის 19 მაისს ლინცის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რინგაიზენის საჩივარი მის წინააღმდეგ ბრალდების თაობაზე იმ მიზეზით, რომ გამოძიების შედეგები საკმარისად ასაბუთებდა ეჭვს მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ, რისთვისაც წაეყენა ბრალი.

საქმის მასალები გადაეცა ლინცის საოლქო სასამართლოს 25 მაისს. 8 ივნისს რინგაიზენი გამოცხადდა სასამართლოში, რომელმაც მას მოუსმინა; რინგაიზენმა უარი თქვა თავის სხვადასხვა საჩივარზე და ძალაში დატოვა მხოლოდ განცხადება აცილების თაობაზე. შედეგად, საქმის მასალები 11 ივნისს გადაეცა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც 8 ივლისს გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება.

39. 1965 წლის 3 აგვისტოს რინგაიზენმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა ლინცის საოლქო სასამართლოს ყველა მოსამართლის აცილების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ უბრძანა მას, დაეკონკრეტებინა საჩივრის საფუძვლები, რაზეც მან უარი განაცხადა 1965 წლის 6 სექტემბერს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ეხებოდა გამომძიებელ მოსამართლეს, რომელმაც 1965 წლის 15 მარტს მიიღო ბრძანება განზრახ გაკოტრების საქმეზე სამართალწარმოების დროს მისი დაკავების შესახებ; მან ასევე შეიტანა ახალი ზოგადი სახის განცხადება საქმის აცილების თაობაზე. ლინცის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ საჩივარი არ დააკმაყოფილა 13 სექტემბერს, ხოლო სააპელაციო სასამართლომ 27 სექტემბერს გამოიტანა გა-

დანყვეტილება, რომლის მიხედვითაც მას არ ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივრის განხილვის უფლებამოსილება.

24 სექტემბერს განცხადება აცილების თაობაზე გადაეცა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც 27 ოქტომბერს უარი თქვა მის დაკმაყოფილებაზე.

40. 1965 წლის 3 ნოემბერს რინგაიზენს ეცნობა, რომ სასამართლო პროცესი დაიწყებოდა 13 დეკემბერს. 4 დეკემბერს მან სხვადასხვა განცხადება გააკეთა საქმის აცილებისა და სასამართლო პროცესის გაუქმების თაობაზე. 6 დეკემბერს ლინცის უზენაესი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარემ აცნობა, რომ, რადგან უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი წინა ორი განცხადება საქმის აცილების შესახებ, არც შემდგომი, 4 დეკემბრის, განცხადებები იქნებოდა დაკმაყოფილებული და არც პროცესის გაუქმების საფუძველი არსებობდა.

სასამართლო პროცესი დაიწყო 13 დეკემბერს, თუმცა 16 დეკემბერს გადაიდო 1966 წლის 13 იანვრამდე ორივე მხარის – პროკურორისა და დაცვის – განცხადების საფუძველზე ახალი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. 20 დეკემბერს სასამართლომ დანიშნა ორი ექსპერტი რინგაიზენის მიერ საკუთრებაში დაბანდებული ფულადი თანხის შესაფასებლად.

1966 წლის 7 იანვარს რინგაიზენმა გააკეთა განაცხადი, რათა გენერალურ პროკურორს (*Generalprokurator*) მისი სახელით შეეტანა განცხადება კანონმდებლობის უზრუნველყოფის ბათილობის შესახებ (*Nichtigkeitsbeschwerde zur Wahrung des Gesetzes*). თუმცა 10 იანვარს სხდომის თავმჯდომარემ შეატყობინა მას, რომ, იმ სასამართლო მოსმენის თვალთახედვით, რომელიც 13 იანვარს იწყებოდა, მასალები გენერალურ პროკურატურას მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გადასცემოდა; ანალოგიურად, საქმის აცილების თაობაზე გაკეთებული ახალი განცხადებები, რომელთა შეტანასაც აპირებდა განმცხადებელი, იმ დროისათვის უკვე აღარ შეიძლებოდა წარდგენილიყო კომპეტენტური ორგანოსათვის, ვინაიდან ეს გააჭიანურებდა სამართალწარმოებას.

41. სასამართლო პროცესი განახლდა 1966 წლის 13 იანვარს და დამთავრდა მომდევნო დღეს.

რინგაიზენი ცნობილი იქნა დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თაღლითობისათვის 78 მყიდველსა და ფრანც ვიდმანთან (საბრალდებო დასკვნა, *IA* და *IB* (1)) მიმართებაში. მას შეეფარდა სამი წლით მკაცრი პატიმრობა (*schwerer Kerker*) დამატებით სასჯელთან – ყოველ სამ თვეში ერთხელ შიმშილობასა და „დაძინების გართულებასთან“ (*hartes Lager*) ერთად. სასჯელის განსაზღვრისას საოლქო სასამართლომ გაითვალისწინა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები: ერთი მხრივ, სამშენებლო ნაკვეთების მყიდველები იყვნენ ლარიბი ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი დანაშაუგი ან ისესხეს რინგაიზენისთვის გადასახდელი ფული. რინგაიზენის დანაშაულებრივი საქმიანობა გრძელდებოდა წლების განმავლობაში და გამოწვეულმა ზარალმა ბევრად გადაა-

ჭარბა 15,000 აშ-ს, რომელიც დადგენილი იყო სისხლის სამართლის კოდექსით; მეორე მხრივ, რინგაიზენის წარსული ისტორია იყო სუფთა, ზოგიერთ მყიდველს არ ჰქონია დანაკარგი და როთების დანაკარგი ნაწილობრივ უნდა ყოფილიყო ანაზღაურებული. სასამართლომ რინგაიზენის სასარგებლოდ დაადგინა, რომ არსებობდა „სპეციალური შემამსუბუქებელი“ გარემოებები (*ausserordentliches Milderungsrecht*), რომლებიც გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე (ა) მუხლში. სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე (ა) მუხლის შესაბამისად, დრო, რომელიც რინგაიზენმა გაატარა წინასწარ პატიმრობაში, სასამართლომ ჩათვალა მოხდელი სასჯელის ნაწილად (1963 წლის 5 აგვისტოდან 23 დეკემბრამდე და 1965 წლის 15 მარტიდან 1966 წლის 14 იანვრამდე, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 59 და 77).

განაჩენის გამოტანის დღიდან რინგაიზენმა დაუყოვნებლივ აცნობა თავისი განზრახვა, შეეტანა ბათილობის შესახებ განცხადება (*Nichtigkeitsschwerde*) და აპელაცია (*Berufung*) თავისი მსჯავრდებისა და სასჯელის შესახებ; პროკურორმა აცნობა მას, რომ იგი შეიტანდა ბათილობის შესახებ განცხადებას მის გამართლებასთან დაკავშირებით და სააპელაციო საჩივარს იმის თაობაზე, რომ სასჯელი მეტისმეტად მსუბუქი იყო.

42. პროკურორმა შეიტანა ბათილობის შესახებ განცხადება და სააპელაციო საჩივარი 1966 წლის 25 თებერვალს, ხოლო რინგაიზენმა – 3 მარტს.

საქმის მასალები 9 მარტს გადაეცა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც მოსმენა დანიშნა 1966 წლის 14 ივლისს. 1966 წლის 27 ივნისს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რინგაიზენის განცხადება იმის თაობაზე, რომ დაეკითხა მოწმეები და ნება დაერთო, დასწრებოდა მოსმენას.

43. უზენაესმა სასამართლომ 1966 წლის 14 ივლისს განიხილა ბათილობის შესახებ განცხადებები და აპელაციები და 27 ივლისს გამოიტანა განაჩენი.

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 1966 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა საოლქო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის რინგაიზენის თაღლითობაში ბრალდებასთან დაკავშირებით *IB* (1) პუნქტის შესაბამისად (ფ. ვიდმანი), ქონების უკანონოდ მისაკუთრებისათვის ბრალდებისაგან გამართლებასა და სასჯელთან მიმართებაში II პუნქტის შესაბამისად (როთების წყვილი). საოლქო სასამართლომ დაამტკიცა გადაწყვეტილება თაღლითობაში ბრალდებასთან მიმართებაში *IA* პუნქტის შესაბამისად (78 მყიდველი) და თაღლითობის ბრალდებაში გამართლებასთან მიმართებაში *IB* (2) პუნქტის შესაბამისად (რ. შამბერგერი).

44. 1966 წლის 9 სექტემბერს პროკურორის განცხადებასთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი) 14 სექტემბერს ლინცის საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამართალწარმოება, I (1) პუნქტის შესაბამისად, თაღლითობაში ბრალდებასა (ფ. ვიდმანი) და, II პუნქტის შესაბამისად (როთე-

ბის წყვილი) ქონების განზრახ მისაკუთრებასთან დაკავშირებით უნდა გაგრძელებულიყო. ამდენად, ერთადერთი საკითხი, რაც დაუდგენელი დარჩა, იყო გადაწყვეტილების მიღება, IA პუნქტის შესაბამისად (78 მყიდველი), თალითობისათვის მსჯავრდების შეფარდების თაობაზე. რინგაიზენს ეცნობა, რომ საოლქო სასამართლოში შემდეგი მომენა ჩატარდებოდა 18 ოქტომბერს.

45. 1966 წლის 29 სექტემბერს და მომდევნო დღეებში რინგაიზენმა არაერთი განცხადებით მიმართა საქმის აცილების, საქმის სხვა სისხლის სამართალწარმოებასთან შეერთების, გადასინჯვის (*Wiederaufnahme des Strafverfahrens*) თუ სხვა საკითხების თაობაზე. ყველა მათგანი უარყოფილი იქნა საოლქო სასამართლოს მიერ 12 ოქტომბერს და სააპელაციო სასამართლოს მიერ – 16 ნოემბერს.

46. საქმის ხელახალი განხილვა ჩატარდა ლინცის საოლქო სასამართლოში 1966 წლის 18 ოქტომბერს.

იმავე დღეს მიღებულ განაჩენში სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ, რამდენადაც პროკურორმაც გაასაჩივრა 1966 წლის 14 იანვარს შეფარდებული სასჯელი, არ შეიძლებოდა უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდების აკრძალვა (*reformatio in pejus*).

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებებისა: რინგაიზენი არ იყო ნასამართლევნი, მან ანაზღაურა, თუმცა ძალიან მცირე მოცულობით, მიყენებული ზიანი და, ამავე დროულად, ირწმუნებოდა, რომ დანარჩენსაც ანაზღაურებდა. ამდენად, სასამართლომ დათქმა გააკეთა მის ფიციტ განმტკიცებულ განცხადებაზე ქონების შესახებ (*Offenbarungseid*). მეორე მხრივ, სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობდა დამამძიმებელი გარემოებებიც: აღამიანები, რომლებმაც ზარალი განიცადეს, არ ეკუთვნოდნენ შეძლებულ ფენას, რამაც გამოიწვია განსაკუთრებული სირთულე. დანაშაული გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში და მნიშვნელოვნად დიდი აღმოჩნდა მიყენებული ზარალი. შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შეფასებისას სასამართლომ დაასკვნა, რომ შეუძლებელი იყო იმის მტკიცება, რომ შემამსუბუქებელი გარემოებები, სისხლის სამართლის საქროცესო კოდექსის 265-ე (ა) მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დომინირებდა, და დაასკვნა, რომ სასჯელი უნდა დარჩენილიყო სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში, რაც ითვალისწინებდა ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობას, თუმცა შესაძლებელი იყო მინიმუმის შეფარდება.

ამდენად, სასჯელი განისაზღვრა ხუთი წლით მკაცრი პატიმრობით დამატებით სასჯელთან – სამ თვეში ერთხელ შიმშილობასა და სასჯელთან „დაძინების გართულება“ ერთად. დრო, რომელიც რინგაიზენმა გაატარა წინასწარ პატიმრობაში, სასამართლომ ჩათვალა მოხდილი სასჯელის ნაწილად (1963 წლის 5 აგვისტოდან 23 დეკემბრამდე და 1965 წლის 15 მარტი-

დან 1966 წლის 18 ოქტომბრამდე). რინგაიზენმა განაცხადა, რომ იგი აპირებდა ბათილობის შესახებ განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის შეტანას; მან ასევე მიმართა განცხადებით საქმის აცილების თაობაზე.

რინგაიზენმა შეიტანა ბათილობის შესახებ განცხადება და სააპელაციო საჩივარი 1966 წლის 3 ნოემბერს. საქმის მასალები უზენაეს სასამართლოს გადაეცა 24 ნოემბერს, მაგრამ დაბრუნდა ლინციში 1967 წლის 21 თებერვლიდან 23 მარტამდე რინგაიზენის დროებითი გათავისუფლების შესახებ განცხადების განხილვისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 76).

47. მოგვიანებით რინგაიზენმა უზენაესი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს მართლმსაჯულების არასათანადოდ წარმართვა (*Missbrauch der Amtsgewalt*) სისხლისსამართლებრივ ბრალდებად წაუყენა. 1967 წლის 26 ივნისს ვენის პროკურატურამ აცნობა უზენაეს სასამართლოს, რომ ეს საკითხი არ უნდა განხილულიყო მოცემულ ეტაპზე. 30 ივნისს უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის აპელაციისა და ბათილობის შესახებ განცხადების მოსმენა 1967 წლის 5 ოქტომბრისათვის დანიშნა.

1967 წლის 29 სექტემბერს რინგაიზენმა უზენაეს სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომელშიც აცილებას უცხადებდა იმ პალატის თავმჯდომარესა და სხვა მოსამართლეებს, რომლებსაც უნდა განიხილათ მისი სააპელაციო საჩივარი და განცხადება ბათილობის შესახებ; რინგაიზენი მოითხოვდა, რომ წინასწარი გამოძიება დაწყებულიყო ვენის საოლქო სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის წინააღმდეგ მართლმსაჯულების არასათანადოდ წარმართვისათვის. 1967 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 5 ოქტომბრისათვის დანიშნული მოსმენა და რინგაიზენის საჩივარი გადასცა კომპეტენტურ პალატას. 20 ოქტომბერს, პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ვენის საოლქო სასამართლომ გამოითხოვა საქმის მასალები, რათა მიეღო გადაწყვეტილება რინგაიზენის განცხადების თაობაზე, რომ წინასწარი გამოძიება დაწყებულიყო უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარის წინააღმდეგ, რომელიც მის საქმეს იხილავდა.

1967 წლის 4 დეკემბერს მასალები დაუბრუნდა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც 19 დეკემბერს არ დააკმაყოფილა საჩივარი მოსამართლეთა აცილების თაობაზე. შემდგომი მოსმენა დაინიშნა 1968 წლის 15 თებერვლისათვის.

1968 წლის 8 თებერვალს რინგაიზენმა კიდევ ერთხელ მიმართა მოსამართლეთა აცილებასთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოს იმ მოტივით, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობდა დაახლოებით 50,000,000 აშ ოდენობის ზარალის მიყენებისათვის პალატის თავმჯდომარის წინააღმდეგ ვენის საოლქო სასამართლოს წინაშე. 13 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი.

48. 1968 წლის 15 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რინგაიზენის განცხადება იმ დროისათვის დანიშნული მოსმენის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ უნდა განეხილა სამართალწარმოე-

ბასთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები. იმავე დღეს უზენაესმა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში უარყო განცხადება ბათილობის შესახებ, მაგრამ შეამცირა სასჯელი. სასჯელის გამოთვლისას უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შემამსუბუქებელი საფუძვლები არსობრივად და არა რაოდენობრივად ჭარბობდა და, ამდენად, შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე (ა) მუხლის გამოყენება; 1966 წელს თავდაპირველად დაკისრებული სასჯელი შეესაბამებოდა რინგაიზენის მსჯავრდებებს იმ დროისთვის, მაგრამ მხედველობაში უნდა მიღებულიყო ის ფაქტი, რომ მოგვიანებით გაუქმებული იქნა ბრალდება ფ. ვიდმანის მოტყუებისათვის; ამდენად, სასჯელი შემცირებული იქნა ორ წლამდე და ცხრა თვემდე მკაცრი პატიმრობით დამატებით სასჯელთან ერთად, რომელიც შეუფარდა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

1968 წლის 24 აპრილს საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მთლიანი დრო, რომელიც რინგაიზენმა გაატარა წინასწარ პატიმრობაში, უნდა ჩათვლილიყო მოხდელი სასჯელის ნაწილად.

ბ. განზრახ ბაქმტრეპის საქმი (19 Vr. 1566/64)

49. 1964 წლის აგვისტოში რინგაიზენს კრედიტორებმა წაუყენეს სისხლისსამართლებრივი ბრალდებები; კრედიტორები ბრალს სდებდნენ, რომ იგი უკანონო გზით ცდილობდა, მათთვის ხელი შეეშალა განაჩენების მოპოვებაში, რომლებიც მათ სასარგებლოდ იქნა მიღებული მის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სამშენებლო ნაკვეთების გაყიდვა არ შეიძლებოდა დამთავრებულიყო (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 16 და 20) და რომელთა თანახმადაც მას შესასყიდი ფასი უნდა აენაზღაურებინა. 1964 წლის 31 აგვისტოს ლინცის პროკურატურის განცხადების თაობაზე გამომძიებელმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წინასწარი გამოძიება უნდა დაწყებულიყო და ჩატარებულიყო თაღლითობასთან (19 Vr. 394/63) დაკავშირებული სხვა ბრალდებებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც მოცემულ დროს დახურული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32).

რინგაიზენი დაიკითხა 3 სექტემბერს და 20 ოქტომბერს გამომძიებელი მოსამართლის მიერ, რომელმაც მოგვიანებით გააგრძელა წინასწარი პატიმრობის ვადა, რათა განეხილა სხვა მსგავსი საჩივრები, რომლებიც წამოყენებული იყო 1964 წლის დასასრულსა და 1965 წლის დასაწყისში.

50. 1965 წლის 16 მარტს, წინასწარ პატიმრობაში აყვანის მეორე დღეს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 62), რინგაიზენი წარდგა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე; მან მოითხოვა ამ მოსამართლისა და ლინცის სააპელაციო სასამართლოს ყველა სხვა მოსამართლის აცილება. საქმის მასალები გადაეცა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც არ დააკმაყოფილა

საჩივარი 1965 წლის 1 აპრილს. შემდგომი საჩივრები მოსამართლეების აცილებასთან მიმართებაში უარყოფილი იქნა 1965 წელს.

51. 1965 წლის 23 მარტს ორი კრედიტორის განცხადების საფუძველზე ლინცის რაიონულმა სასამართლომ ლინცში არსებულ რინგაიზენის ქონებაზე ლიკვიდატორი (*Zwangsverwalter*) დანიშნა.

52. 1965 წლის 14 მაისს რინგაიზენი ლინცის საოლქო სასამართლოს მიერ ბანკროტად (*Eröffnung des Konkurses*) გამოცხადდა. ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზანი ჩამოყალიბებულია „გაკოტრების შესახებ“ კანონის (*Konkursordnung*) 1-ლი მუხლის (1) და (2) პუნქტებში:

„(1) გაკოტრების დაწყების მიზანია, ჩამოაცილოს აღსრულებას დაქვემდებარებული ყველა აქტივი, რომელიც ეკუთვნის გაკოტრებულ პირს მოცემულ დროს ან რომელიც დაგროვილი აქვს გაკოტრების მომენტისათვის (ბანკროტის ქონება) მისი თავისუფალი დეპოზიტის გარდა. ...

(2) ბანკროტის ქონებას ყადაღა ედება და მისი განკარგვა ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად. მისი გამოყენება ხდება იმ პირადი კრედიტორების ერთობლივი დაკმაყოფილების მიზნით, რომლებსაც აქვთ მატერიალური პრეტენზიები გაკოტრებული პირის წინააღმდეგ გაკოტრების დაწყების მომენტისათვის (გაკოტრების კრედიტორები).

...“

იმავე კანონის 75-ე–77-ე მუხლების გამოყენებისას ბანკროტად გამოცხადება ეცნობა ლინცში ხელისუფლების მთელ რიგ ორგანოებს, მათ შორის სხვადასხვა სასამართლოს, საგადასახადო და საბაჟო სამსახურს, სოციალური უსაფრთხოების სამსახურს, ცენტრალური რკინიგზის სადგურს, გადაზიდვების სადგურს, დუნაის სანავიგაციო კომპანიას, ფოსტატელეგრაფს, ადვოკატთა ასოციაციას, ვაჭრობის პალატას და ა.შ. განცხადება გამოქვეყნდა ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში (*Ämtliche Linzer-Zeitung*). სასამართლომ იმ დღესვე დანიშნა რწმუნებული.

53. საბრალდებო დასკვნა შედგენილი იქნა 1966 წლის 24 მარტს ლინცის საოლქო სასამართლოში და რინგაიზენს მომდევნო დღეს ეცნობა. მას ბრალად ედებოდა განზრახ გაკოტრება, რაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე (ა) მუხლით:

„ნებისმიერი პირი, რომელიც განზრახ უარს ამბობს, ან ამცირებს თავისი კრედიტორების ან ზოგიერთი მათგანის დაკმაყოფილებას თავისი ქონების დამალვით, ლიკვიდირებით, გასხვისებითა თუ დაზიანებით, რათა დაამტკიცოს ან ცნოს ვალდებულების არარსებობა ან ქონების სხვაგვარი შემცირება, უნდა დაისაჯოს ...“

როგორც დამტკიცებული იქნა, იმისათვის, რომ ხელი შეეშალა მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენების აღსრულებისათვის, რინგაიზენმა

1964 წლის აპრილში მიიღო 200,000 აშ-ის ოდენობის ფიქტიური სესხი იმ სადაზღვევო კომპანიისაგან, სადაც აგენტად მუშაობდა, შემდეგ კი თანხმობა გამოხატა სასამართლო წესით მოგვარებაზე სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ იმავე თანხის შესაბამისად. ასევე დამტკიცებული იქნა, რომ ბანკრუტად გამოცხადებამდე მან 60,000 აშ გამოიყენა იმ შვიდი კრედიტორის დაკმაყოფილებისათვის, რომლებმაც მოიპოვეს სასამართლოს დადგენილება კონფისკაციის შესახებ, ხოლო დანარჩენი, 140,000 აშ-ის ოდენობის თანხა თავისთვის შემოინახა.

54. 1966 წლის 4 აპრილს რინგაიზენი თავისივე თხოვნის საფუძველზე წარდგა ლინციის საოლქო სასამართლოს წინაშე; მან წამოაყენა პრეტენზია საბრალდებო დასკვნასთან დაკავშირებით და მოითხოვა, რომ უზენაეს სასამართლოს ან ვენის სააპელაციო სასამართლოს გამოეტანა დადგენილება ხსენებულთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ლინციის სასამართლოები მასთან მიმართებაში მიკერძოებულები იყვნენ. 22 აპრილით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად, რინგაიზენმა წამოაყენა მთელი რიგი საფუძვლებისა თავისი პრეტენზიის გასამყარებლად.

1966 წლის 27 ივნისს უზენაესმა სასამართლომ, იურისდიქციის არარსებობის საფუძველზე, არ დააკმაყოფილა რინგაიზენის განცხადება იმის თაობაზე, რომ გამოეტანა დადგენილება საბრალდებო დასკვნასთან დაკავშირებული პრეტენზიის შესახებ და დაუსაბუთებლად ჩაეთვალა განცხადება საქმის სხვა იურისდიქციისთვის გადაცემის თაობაზე.

55. 1966 წლის 15 აგვისტოსა და 1967 წლის 8 თებერვალს ლინციის საოლქო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია რინგაიზენის ორი შუამდგომლობა სამართალწარმოების გადასინჯვასთან დაკავშირებით. შემდეგი განცხადება საქმის აცილების თაობაზე უზენაესი სასამართლოს მიერ 1967 წლის 4 თებერვალს იქნა უარყოფილი.

56. 1968 წლის 17 სექტემბერს ბრალდებამ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად, გააკეთა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ უარი თქვა განზრახ გაკოტრებაში ბრალდებებზე რინგაიზენის საბოლოო მსჯავრდებისა და 1968 წლის 15 თებერვალს თალლითობის საქმეში მასზე დაკისრებული სასჯელის გათვალისწინებით. ლინციის რაიონულმა სასამართლომ მიიღო ბრძანება განზრახ გაკოტრებაში სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. რინგაიზენს ეცნობა ამის თაობაზე.

III. რინგაიზენის წინასწარი პატიმრობა

ა. პატიმრობის პირველი პერიოდი (1963 წლის 5 აგვისტოდან 23 დეკემბრამდე)

57. 1963 წლის 30 ივლისს ლინცის გამომძიებელმა მოსამართლემ, რომელიც პასუხისმგებელი იყო წინასწარ გამომძიებაზე თაღლითობის საქმეზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 24 *et seqq.*), მიიღო ბრძანება რინგაიზენის დაკავებაზე იმ მოტივით, რომ არსებობდა მის მიერ სხვა სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხე (*Wiederholungsgefahr*), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 4-ე ქვეპუნქტის შესაბამისად; მოსამართლემ განაცხადა, რომ რინგაიზენი, თუმცა მან იცოდა რეგიონალური კომისიის უარი როთების წყვილთან გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ, განაგრძობდა დასასჯელი ქმედებების ჩადენას გაზეთებში ნაკვეთების თაობაზე განცხადებების განთავსებით. რინგაიზენი დაკავებული იქნა 1963 წლის 5 აგვისტოს და მეორე დღესვე წარედგინა გამომძიებელ მოსამართლეს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი წინასწარი პატიმრობის შესახებ იმ მოტივით, რომ არსებობდა სხვა დანაშაულების ჩადენის საფრთხე.

1963 წლის აგვისტოსა და სექტემბერში რინგაიზენმა ითხოვა გათავისუფლება. ლინცის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ (*Ratskammer*) განცხადება არ დააკმაყოფილა 1963 წლის 4 სექტემბერს; სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა როგორც რინგაიზენის მიერ ახალი დანაშაულების ჩადენის, აგრეთვე მტკიცებულების განადგურების საფრთხე (*Verdunkelungsgefahr*, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი). ლინცის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რინგაიზენის 1963 წლის 23 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ რინგაიზენის საქციელი იძლეოდა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ იგი ჩაიდენდა სხვა სამართალდარღვევებს და არსებობდა მტკიცებულების განადგურების საფრთხე.

58. 1963 წლის 28 ოქტომბერს პროცესის მსვლელობის დროს რინგაიზენმა მიმართა გათავისუფლების თაობაზე სხვა განცხადებით, რომელიც არ დააკმაყოფილა გამომძიებელმა მოსამართლემ 7 ნოემბერს, ხოლო 19 ნოემბერს, აპელაციის დროს – მოსამართლეთა პალატამ იმავე ორი მოტივის გამო.

შემდგომი გასაჩივრებისას განცხადება დააკმაყოფილა ლინცის სააპელაციო სასამართლომ 1963 წლის 19 დეკემბერს იმის გამო, რომ რინგაიზენმა მისცა ოფიციალური გარანტია (*Gelöbnis*) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, *inter alia*, რომ

„ (...)

ლინცის საოლქო სასამართლოს პალატების (*Beschlüsse auf Erlassung von einstweiligen Verfügungen*) მიერ მიღებული ბრძანებები, რომლებიც შეიცავდა ამკრძალავ ნორმებს, უკვე შევიდა ძალაში; ამასთან დაკავშირებით ბრალდებულს ეცნობა, რომ სასამართლოსათვის გადაეცა მინდობილობა, რომელიც მან მიიღო ბ-ნ და ქ-ნ როთებისაგან, და რომ მას ეკრძალება ანაბერგში არსებული ქონების გაყიდვა ან დატვირთვა ... იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის საქმიან კავშირებს ზემოხსენებულ ქონებასთან მიმართებაში და ამ კავშირებთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ ბრალდებასა და სამოქალაქო პროცესს მიეცა ძალიან ფართო საჯარო განხილვის ხასიათი, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ბრალდებულს კვლავ შეეძლება სამშენებლო ნაკვეთების რეკლამირება და მყიდველების მონახვა. გარდა ამისა, გამოძიებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო დაედგინა რაიმე უტყუარი მაჩვენებელი, რომ ბრალდებული სხვა გზებით ჩაიდენდა სისხლის სამართალდარღვევებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ არსებული საჩივრები არსებითად ეხება მის საქციელს ბ-ნ და ქ-ნ როთების ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ნებისმიერი შემდგომი საშიშროება, რომ ბრალდებული ხელს შეუშლიდა სამშენებლო ადგილის მყიდველთა საჩივრების დაკმაყოფილებას, შესაძლებელია გაქარწყლდეს მისი წინადადების შედეგად, რომ გადასცემს სასამართლოს ლინცის საოლქო სასამართლოს 1963 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებას შესაძლო ბრალდების უპირატესი შეტყობინების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით (*Anmerkung der Rangordnung über die beabsichtigte Verpfändung*) ლინცში არსებულ 2,000,000 აშ-ის ღირებულების ქონებაზე. ასევე არ არსებობს სპეციალური საფუძვლები, გაამართლოს იმის საშიშროება, რომ ბრალდებული გაიმეორებდა სისხლის სამართალდარღვევებს, რომელთა ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია. აღარ არსებობს პატიმრობის რაიმე საფუძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისადაც.

ამგვარადვე აღარ არსებობს იმის საფუძვლები, რომ გაგრძელებული იქნეს წინასწარი პატიმრობა, 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტისა და 180-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. ამავე კოდექსის 190-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წინასწარი პატიმრობა იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული დაპატიმრებულია მხოლოდ იმ საფუძველზე, რომელიც მოცემულია 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტში, არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს, ანდა სამ თვეს, თუ მისი ვადის გაგრძელება დამტკიცებულია საოლქო სააპელაციო სასამართლოს მიერ. ეს ვადები უკვე ამოიწურა. მართალია, რამდენიმე ახალი საჩივარი იქნა წამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი ძირითადად ეხება ფაქტების იმავე სერიას, კერძოდ, ბრალდებულის ქმედებებს ბ-ნ და ქ-ნ როთების ქონების ყიდვასთან და სამ-

შენებლო ადგილის ხელახლა გაყიდვასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, პირებს, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ამ ახალ საჩივრებში, ... უკვე მიეწოდათ მთავარი საკითხები გამომძიებელი მოსამართლისაგან, ამდენად, აქედან გამომდინარე, აღარ არსებობს საილუმლო შეთანხმების ან მტკიცებულების განადგურების (*Verabredungs- und Verdunkelungsgefahr*) საშიშროება.

(...)

რაც შეეხება უპირატესი შეტყობინების ძალაში შესვლის შესახებ გადაწყვეტილების გადაცემას, რაც ბრალდებულის წინადადებას წარმოადგენდა, ან ამ გადაწყვეტილების გაგრძელებას ვადის ამონურვის შემთხვევაში, გამომძიებელი მოსამართლე იღებს აუცილებელ ზომებს კონკრეტულად იმიტომ, რომ ბრალდებულმა ამკარად შესთავაზა ამ გადაწყვეტილების გადაცემა გათავისუფლების შემთხვევაში.“

წინადადება, რომელიც მიიღო სააპელაციო სასამართლომ, რინგაიზენმა შესთავაზა მაშინ, როდესაც მიმართა გათავისუფლების თაობაზე 1963 წლის 28 ოქტომბერს; საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ უარი თქვა ხსენებულ წინადადებაზე 19 ნოემბერს იმ მოტივით, რომ იგი არასაკმარისი იყო, გაექარწყლებინა ახალი სამართალდარღვევების ჩადენის საშიშროება.

59. რინგაიზენი გათავისუფლდა 1963 წლის 23 დეკემბერს, მისცა რა ფორმალური გარანტია, რომ სასამართლოს გადასცემდა გადაწყვეტილებას შესაძლო ბრალდების უპირატესი შეტყობინების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. მისი პირველი პატიმრობა გაგრძელდა ოთხი თვისა და თვრამეტი დღის განმავლობაში.

60. გამომძიებელი მოსამართლის მიერ მოწვევის დროს რინგაიზენმა განაცხადა 1964 წლის 30 სექტემბერს, რომ მას უნდოდა ადვოკატთან მოთათბირება ახალ უპირატეს შეტყობინებასთან დაკავშირებით (პირველი შეტყობინება ინურებოდა მომდევნო დღეს). მოსამართლემ მას ნება მისცა, 7 ოქტომბრამდე წარმოედგინა ამგვარი გარანტია. 17 ოქტომბრის წერილში რინგაიზენი წინადადებას იძლეოდა ლინცში მისი ქონების 1,500,000 აშად რეალიზაციიდან მოსალოდნელი გაყიდვის უპირატესი შეტყობინების ძალაში შესვლის თაობაზე (*Anmerkung der Rangordnung der beabsichtigten Veräußerung*). მან კვლავ შესთავაზა წინადადება 1965 წლის 16 თებერვალს, როდესაც წარდგა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე; მოსამართლემ მიიღო ეს წინადადება, ამავე დროს აღნიშნა, რომ უპირატესი შეტყობინება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო პირველი წინადადების შემცვლელად (*Ersatz*). 23 თებერვალს რინგაიზენმა ლინცის რაიონული სასამართლოსაგან მოიპოვა გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში იყო 1966 წლის 22 თებერვლამდე, რათა ძალაში შესულიყო ახალი გარანტია, რომელიც მან შესთავაზა და შემდგომში გადასცა გამომძიებელ მოსამართლეს 1965 წლის 15 მარტს.

ბ. პატიმრობის მეორე პერიოდი (1965 წლის 15 მარტიდან 1967 წლის 20 მარტამდე)

61. 1965 წლის 15 მარტს პროკურატურამ მიმართა გამომძიებელ მოსამართლეს, რომელიც განიხილავდა განზრახ გაკოტრების საქმეს (19 Vr. 1566/64), *inter alia*, რომ მიელო ბრძანება რინგაიზენის დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტისა (მე-3 მხარისათვის საზიანო შეთანხმების დადების საფრთხე) და მე-4 ქვეპუნქტის (სხვა დანაშაულის ჩადენის საფრთხე) შესაბამისად.

გამომძიებელმა მოსამართლემ დააკმაყოფილა განცხადება. რინგაიზენი, რომელიც იმ დროს სასამართლოში აღმოჩნდა სხვა სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ იქნა დაკავებული და მას ეცნობა წინასწარი დაპატიმრების საფუძვლები.

დაკავების ორდერი მიუთითებდა სამართალდარღვევებზე, რომელთა ჩადენაშიც იყო ეჭვმიტანილი რინგაიზენი ორ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. დასკვნაში აღნიშნული იყო:

„ბრალდებულმა კარგად იცოდა ... მეტად მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულების შესახებ, რომელიც წარმოიშვა მის მიერ მინის ფართობით წარუმატებელი სპეკულაციის შედეგად, შეამცირა საჩივრების დაკმაყოფილებისათვის ხელმისაწვდომი აქტივები მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის მსხვილი სესხის დადებით, რენტის წინასწარ გადახდაზე თანხმობის მიცემით, ქონების გადაცემითა და ა.შ.; მან ხელყო იმ კრედიტორების ინტერესები, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ შეძლებულ ფენას და ხელი შეუშალა განაჩენების აღსრულებას.

წინამდებარე ორდერი ეფუძნება პროკურატურის თხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოირიცხოს ბრალდებულსა და მხარეებს შორის საიდუმლო შეთანხმება ხელშეკრულების დადების თაობაზე და აღიკვეთოს იმის საშიშროება, რომ რინგაიზენმა გააგრძელოს საქმიანობა, რომელიც მიგვიყვანდა მისი აქტივების შემდგომ შემცირებამდე ან აღსრულების შეფერხებამდე.“

62. მომდევნო დღეს, 1965 წლის 16 მარტს, რინგაიზენი წარდგა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, რომელსაც განუცხადა, რომ ასაჩივრებდა მისი დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ორდერს.

1965 წლის 26 მარტს რინგაიზენმა წერილობით მიმართა დროებითი გათავისუფლების თაობაზე; მან საკმაოდ დეტალურად განიხილა ორდერში ჩამოყალიბებული სხვადასხვა შეხედულება. ხაზგასმით აღნიშნა, რომ აბსოლუტურად შეუძლებელი იყო, ზიანი მიეყენებინა თავისი კრედიტორებისათვის იქიდან გამომდინარე, რომ ფიცი ჰქონდა დადებული 1964 წლის

15 დეკემბერს და რომ მისი პირადი ქონება და ყველა ვალი კონფისკებული იყო. აგრეთვე დასძინა, რომ მისთვის საჭიროებას წარმოადგენდა მინაზე მუშაობა ამ სეზონზე. თავისი არგუმენტების გასამყარებლად მან მოიშველია რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის სამოქალაქო სასამართლოს ბრძანება, რომლის თანახმად, იგი კვლავ რჩებოდა ექსპერტების მიერ 4,000,000 აშ-ად შეფასებული ქონების მესაკუთრედ.

1965 წლის 17 მაისს რინგაიზენმა დამატებითი დოკუმენტის სახით წარადგინა ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მან შეიტანა საჩივარი 2,000,000 აშ-ზე როთების წინააღმდეგ მათი გაკოტრების საქმეზე სამართალწარმოებისას. მან განაცხადა, რომ მისი პატიმრობა აპრილსა და მაისში მიაყენებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის დანაკარგს ივლისსა და აგვისტოში, რაც დაახლოებით 100,000 აშ-ს შეადგენდა. იგი ასევე ითხოვდა გათავისუფლებას, რათა თავისი შვილის უზრუნველყოფა შეძლებოდა.

სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა ლინცის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ 1965 წლის 26 მაისს. სასამართლომ დაადგინა, რომ საიდუმლო შეთანხმების საშიშროება უკვე აღარ იყო ქმედითი ვადის გასვლის გამო (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლი, პუნქტი 2), მაგრამ რინგაიზენის პატიმრობის ვადის გაგრძელება სხვა დანაშაულის ჩადენის საფრთხის გამო,

„ამისდა მიუხედავად, აუცილებელი და მიზანშეწონილია ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც დეტალურად არის აღწერილი 1965 წლის 15 მარტის ორდერში განმცხადებლის დამოკიდებულებასთან ერთად, რომელიც დაჟინებით უარყოფს ყველა ბრალდებას ... წინასწარი გამოძიების ნაწილობრივი შედეგების მიუხედავად, რომელიც აშკარად ადანაშაულებს მას. ბრალდებულის განწყობა, რაც სასამართლოსათვის ცნობილია, წამოჭრის იმის საშიშროებას, რომ იგი თავისუფლებას გამოიყენებს იმ დანაშაულებრივი ქმედების განახლებისათვის, რისთვისაც ბრალი წაეყენა“.

შემდეგი სააპელაციო საჩივრის შეტანისას, რომელშიც რინგაიზენი მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ იგი გამოცხადდა გაკოტრებულად 14 მაისს, ლინცის სააპელაციო სასამართლომ 1965 წლის 16 ივნისს დაამტკიცა მოსამართლეთა პალატის გადაწყვეტილება მასში მითითებული საფუძვლების გათვალისწინებით.

ნპ. იმავდროულად, როდესაც რინგაიზენს წაეყენა საბრალდებო დასკვნა თაღლითობის საქმეზე (1965 წლის 27 აპრილი), პროკურატურამ თხოვნით მიმართა ლინცის საოლქო სასამართლოს, აეყვანა რინგაიზენი წინასწარ პატიმრობაში იმავე საქმეზე გაქცევის (*Fluchtgefahr*, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 ქვეპუნ-

ქტი) და ახალი დანაშაულის ჩადენის საშიშროების გამო. თხოვნა ემყარებოდა იმ საფუძველს, რომ გადანყვეტილება მოსალოდნელი ბრალდების უპირატესი შეტყობინების ძალაში შესვლის თაობაზე, რომელიც რინგაიზენმა გადასცა სასამართლოს 1963 წლის 23 დეკემბერს თავისი გათავისუფლებისას, ამოიწურა 1964 წლის 1 ოქტომბერს და არ იქნა განახლებული; რომ რინგაიზენის „უქანონო და უიმედო“ სამართალწარმოების გამო მის კრედიტორებს არ შეეძლოთ ხსენებული გარანტიით სარგებლობა, სანამ იგი კვლავ ძალაში იყო; რომ, როგორც გამოძიებამ გამოავლინა, რინგაიზენი მალავდა ფულადი თანხის მნიშვნელოვან ოდენობას, რომლის გამოყენებაც შეეძლო გაქცევისას მის წინააღმდეგ წაყენებული საბრალდებო დასკვნის თვალსაზრისით. გარდა ამისა, არსებობდა იმის საფრთხე, რომ მიყენებული ზიანი აუნაზღაურებელი დარჩებოდა და რინგაიზენის განსაკუთრებული დაჟინების გამო იქმნებოდა სხვა დანაშაულების ჩადენის საშიშროებაც.

1965 წლის 12 მაისს ლინცის საოლქო სასამართლომ მიიღო ბრძანება, რომ რინგაიზენი კვლავ უნდა აეყვანათ პატიმრობაში თაღლითობის საქმესთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული იყო, რომ ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარებოდა მისი პირველი პატიმრობა, შეწყდა 1963 წლის დეკემბერს,

„... კერძოდ, იმიტომ, რომ ბრალდებულს, როდესაც მან შესთავაზა ლინცის რაიონული სასამართლოს 1963 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებული გადანყვეტილების გადაცემა, ... რომელიც ეხებოდა მოსალოდნელი ბრალდების უპირატესი შეტყობინების ძალაში შესვლას 2,000,000 აშ-ს ოდენობასთან დაკავშირებით, შეეძლო გაეფანტა ეჭვი, რომ იგი შეაფერხებდა სამშენებლო ნაკვეთების მყიდველების საჩივრების უზრუნველყოფას“.

სასამართლომ განაგრძო:

„რინგაიზენს, რომელმაც განაცხადა, რომ მას უნდოდა ზემოხსენებული უპირატესი შეტყობინების ამოწურვისას მოეპოვებინა სხვა სათანადო ახალი გარანტია ნაკვეთების მყიდველებისათვის, შეეძლო მხოლოდ ამ უპირატესი შეტყობინების შემდეგ გადაეცა 1965 წლის 15 მარტს ლინცის რაიონული სასამართლოს 1965 წლის 23 თებერვლით დათარიღებული გადანყვეტილება, ... რომელიც ეხებოდა №238 ქონების მოსალოდნელი გაყიდვის უპირატესი შეტყობინების სანქტ-პეტერბურგის რეესტრში შეტანას. მყიდველებს არ შეეძლოთ უპირატესი შეტყობინებით სარგებლობა 1964 წლის 1 ოქტომბრამდე, რადგან მიქაელ რინგაიზენმა თავისი ხანგრძლივი სასამართლო პროცესის მეშვეობით შეუძლებელი გახადა ინდივიდუალური კრედიტორებისათვის, მოეპოვებინათ აღსრულების ბრძანებები. ამდენად, როგორც ჩანდა, კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა არა მარტო საეჭვო იყო, არამედ, რამდენადაც საქმე ბევრ კრედიტორს შეეხებოდა, საერთოდ

არ იდგა დღის წესრიგში, ვინაიდან ვაინერ რაიხშტრასე №217-ში განლაგებული უძრავი ქონება უკვე გირაოთი იყო დატვირთული.

.....

არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ბრალდებულმა სინამდვილეში დააბანდა ერთნახევარი მილიონი შილინგი, მიღებული ალკოვენში დაუმთავრებელი სამშენებლო ნაკვეთების მყიდველებისაგან; უფრო მეტიც, გამოძიებაში, რომელიც ეხებოდა ლინცის ყველა ფინანსურ დანებს, აჩვენა, რომ რინგაიზენს იქ არ დაუბანდებია ფული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საეხებით ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ ბრალდებული მალავს ფულს, რომლის გამოყენებაც მას შეუძლია გაქცევის დროს ... გარდა ამისა, ბრალდებულის უძრავი ქონება იმგვარად არის დატვირთული, რომ მისი მიტოვება გაქცევის შემთხვევაში არ გამოიწვევს რაიმე სერიოზულ დანაკარგს.

ლინცის სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (1963 წლის 19 დეკემბერი) უკვე განმარტა, რომ გაყიდვის უამრავი ფაქტი, რომლებიც გრძელდებოდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, იმისდა მიუხედავად, რომ რაიონულმა კომისიამ მათ დამტკიცებაზე უარი განაცხადა, მიუთითებდა ბრალდებულის განსაკუთრებულ დაჟინებაზე სამშენებლო ადგილების გაყიდვით ფულის მოგროვების თვალსაზრისით. მართალია ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში იმყოფება აგრეთვე ამ სასამართლოში მიმდინარე სხვადასხვა სამართალწარმოების გამო, რომლებიც ეხება პატიმრობას, განხორციელებულს აღსრულებისათვის ხელის შეშლის გამო, რაც პატიმრობის საფუძველს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის თანახმად. (19 Vr. 1566/64), ამის მიუხედავად, 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით არის დადგენილი, რამდენადაც არსებობს იმის საშიშროება, რომ, თუ ბრალდებული გათავისუფლებული იქნება სხვა სამართალწარმოებისას, იგი ხელს შეუშლის სამშენებლო ნაკვეთების მყიდველებს, დაასრულონ თავიანთი საქმე ან, წინა უამრავი ქმედების გათვალისწინებით, შესაძლოა, ჩაიდინოს სხვა ანალოგიური სამართალდარღვევები.“

აპელაციის დროს ხსენებული გადაწყვეტილება დაადასტურა ლინცის სააპელაციო სასამართლომ 1965 წლის 19 მაისს გაქცევის საფრთხისა და სხვა დანაშაულის ჩადენის საფრთხის საფუძველზე. 1965 წლის მაისის დასასრულს ან იენისის დასაწყისში რინგაიზენმა სცადა ახალი სააპელაციო საჩივრის შეტანა, მაგრამ უარი თქვა მასზე, როდესაც გამოცხადდა სასამართლოში 8 იენისის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 38).

64. დროებითი გათავისუფლების თაობაზე ორივე სისხლის სამართლის საქმეზე შემდგომი განაცხადები რინგაიზენმა 1965 წლის 12 ივლისს, 29 ივლისს, 30 აგვისტოსა და 20 სექტემბერს წარადგინა. აღნიშნული განაცხადები არ დააკმაყოფილეს გამომძიებელმა მოსამართლეებმა განზრახ გაკოტრების საქმეზე – 23 სექტემბერს, ხოლო თალლითობის საქმეზე – მომდევნო დღეს. ორივე მოსამართლემ დაადგინა, რომ მისი პატიმრობის საფუძველები კვლავ ძალაში რჩებოდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ რინგაიზენმა კვლავ შეიტანა სააპელაციო საჩივრები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ ჩამოყალიბებული იყო თითქმის იდენტური ტერმინებით, განზრახ გაკოტრების საქმეზე – 24 სექტემბერს, ხოლო თალითობის საქმეზე – 27 სექტემბერს; მან დამატებითი დოკუმენტები წარადგინა 3 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს. მისი მტკიცებით, საფუძვლები, რომლებსაც ემყარებოდა პატიმრობის ვადის გაგრძელება, იყო ფიქტიური და ყალბი; ხელისუფლებას უნდოდა, ჩამოერთმია მისთვის ქონება და უფლებები, ხელი შეეშალა ნაკვეთების მყიდველების ინტერესების დაცვაში. იგი აცხადებდა, რომ, გათავისუფლების შემთხვევაში, შეძლებდა საკუთარი თავის დაცვას ამ ღონისძიებებისაგან, დაამტკიცებდა, რომ პროკურატურა მფარველობდა ნამდვილ დანმაშავებებს და მოიძიებდა სასამართლო მასალებს, თუ როგორ ანადგურებდნენ მისთვის უცნობი პირები მისი პატიმრობის პერიოდში დოკუმენტებს, რომლებიც ადანაშაულებდა მონაშენსა და ბრალდების მხარეს. მან აგრეთვე პრეტენზია გამოთქვა იმ მიმე დანაკარგთან დაკავშირებით, რომ არ შეეძლო თავის მინაზე ან სადაზღვევო სააგენტოში მუშაობა. ამასთანავე, ამტკიცებდა, რომ მისი თექვსმეტი წლის შვილი იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა და მიწის მუშად ქცეულიყო.

აპელაცია განზრახ გაკოტრების საქმეზე არ დააკმაყოფილა მოსამართლეთა პალატამ 1965 წლის 10 ნოემბერს წინა 1965 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებაზე მითითებით, რომელიც დაადასტურა სააპელაციო სასამართლომ 1965 წლის 16 ივნისს: მასში ჩამოყალიბებული იყო, რომ ის გარემოებები, რომლებიც ამართლებდა რინგაიზენის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას, კვლავ სახეზე იყო. 1965 წლის 9 დეკემბერს ლინცის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შემდეგი აპელაცია, დაადასტურა რა მოსამართლეთა პალატის გადაწყვეტილებაში აღნიშნული საფუძვლები.

არც ერთი შემდგომი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული 1965 წლის 27 სექტემბრის აპელაციაზე თალითობის საქმესთან დაკავშირებით.

65. თალითობის საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას რინგაიზენმა 1965 წლის 17 დეკემბერს წარადგინა საშობაოდ გათავისუფლების თაობაზე თხოვნა ორივე სისხლის სამართალწარმოებისას; მოსამართლემ, რომელიც თავმჯდომარეობდა სასამართლო პროცესს, არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა 1965 წლის 28 დეკემბერს.

66. 1965 წლის 14 დეკემბერს რინგაიზენმა ახალი განცხადება შეიტანა დროებითი გათავისუფლების თაობაზე განზრახ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა არავითარი საშიშროება, რომ იგი ჩაიდენდა ახალ სამართალდარღვევას, რამდენადაც, გაკოტრებიდან გამომდინარე, საკუთრება აღარ იყო მის განკარგულებაში; გამომძიებელმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა განცხადება 20 დეკემბერს იმ მოტივით, რომ ხსენებული საფრთხე კვლავ ძალაში რჩებოდა.

აპელაციისას მოსამართლეთა პალატამ დაადასტურა აღნიშნული გადაწყვეტილება 1965 წლის 29 დეკემბერს, მიუთითა რა წინა გადაწყვეტილებებზე რინგაიზენის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით (მოსამართლეთა პალატის 1965 წლის 26 მაისისა და 10 ნოემბრის გადაწყვეტილებები; სააპელაციო სასამართლოს 1965 წლის 16 ივნისისა და 9 დეკემბრის გადაწყვეტილებები).

რინგაიზენის შემდეგი აპელაცია 1966 წლის 9 თებერვალს არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ; მან დაადგინა, რომ აპელაცია არ ემყარებოდა ისეთ ფაქტებს, რომლებიც უარყოფდა მის მიერ შემდგომი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობას და რომ გაკოტრებულად გამოცხადებამ ვერ გააქარწყლა ხსენებული საფრთხე; სასამართლომ მიუთითა თავის 1965 წლის 16 ივნისისა და 9 დეკემბრის გადაწყვეტილებებზე.

67. რინგაიზენის თაღლითობისათვის ბრალდების შემდეგ დაუყოვნებლივ, 1966 წლის 14 იანვარს (წინამდებარე განაჩენის პუნქტი 41), მისმა ადვოკატმა თხოვნით მიმართა საოლქო სასამართლოს, გაეთავისუფლებინა იგი პატიმრობიდან, სანამ განიხილებოდა განცხადება ბათილობის შესახებ და სააპელაციო საჩივარი. ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი ადრე ნასამართლვე იყო და რომ წინასწარ პატიმრობაში ერთი წლის ყოფნის შემდეგ აზრი აღარ ექნებოდა გაქცევას; რამდენადაც საკუთრება უკვე გაყიდული იყო, აღარ არსებობდა ახალი სამართალდარღვევის ჩადენის საფრთხე. პროკურორი ამ განცხადებას დაუპირისპირდა იმ მოტივით, რომ პატიმრობის საფუძვლები კვლავ ძალაში რჩებოდა. გარდა ამისა, რამდენადაც რინგაიზენი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა სხვა სისხლის სამართალწარმოების გამო, იგი ვერაფერს მიაღწევდა გათავისუფლების შესახებ ბრძანებით ამ საქმეზე.

საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რინგაიზენი უნდა გათავისუფლებულიყო ამ საქმეზე იმის გათვალისწინებით, რომ მან მისცა ოფიციალური გარანტია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად; სასამართლომ დაადგინა, რომ აღარ არსებობდა მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის საფუძვლები.

პროკურორმა ზემოხსენებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა შემდეგი საფუძვლით: არ იყო ნათელი, თუ სად ნავიდა რინგაიზენის მიერ მიღებული ფული. შესაძლოა, იგი გაქცევისათვის გამოეყენებინა; მისი გაქცევის საფრთხე უფრო მეტად გაზარდა იმ ფაქტმა, რომ შეფარებული ჰქონდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯერ კიდევ ორი წელი ჰქონდა მოსახდელი; ამავე დროს, შესაძლებელი იყო, უზენაეს სასამართლოს გაეზარდა სასჯელი; მისი არაერთი თაღლითური ქმედებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ არსებობდა რინგაიზენის მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხე; მართალია, რინგაიზენს უკვე აღარ ჰქონდა უძრავი ქონება, სესხების მიღება თაღლითური გზით შეიძლება სხვა მეთოდებით განეხორციელებინა. რამდენადაც ხსენებულ სააპე-

ლაციო საჩივარს პქონდა შემაჩერებელი ძალა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლი), რინგაიზენი კვლავ რჩებოდა ნინასნარ პატიმრობაში.

1966 წლის 2 მარტს ლინცის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის აპელაცია. მან დაადგინა, რომ 1965 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების შემდეგ გარემოებები არსებითად არ შეცვლილა; პირიქით, რინგაიზენისთვის დაკისრებული სასჯელი და ის ფაქტი, რომ იგი შესაძლოა გაზრდილიყო პროკურორის აპელაციის შედეგად, დააჩქარებდა მის გაქცევას, მით უმეტეს, რომ ავსტრიაში არსებული ქონება დატიროთული იყო რეალურ ღირებულებაზე მეტად და მისი დატოვება არ გამოიწვევდა რაიმე მნიშვნელოვან დანაკარგს; უფრო მეტიც, მის მიერ არაერთგზის ჩადენული დასასჯელი ქმედებები და თვითნებური დამოკიდებულება ამართლებდა შიშს, რომ იგი კვლავ გაიმეორებდა სამართალდარღვევებს. ხსენებულ საფრთხეს არც ის ფაქტი აქარწყლებდა, რომ შემდეგი გარიგებები ალკოვენში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით შეუძლებელი იყო, რადგანაც რინგაიზენს ბრალად ედებოდა იმ სამართალდარღვევების ჩადენა, რომლებიც არ უკავშირდებოდა ამ ქონებას.

68. იმავდროულად, შეიტანა რა 1966 წლის 3 მარტს ბათილობის შესახებ განცხადება და სააპელაციო საჩივარი თაღლითობის საქმეზე 1966 წლის 14 იანვარს მსჯავრდებისა და შეფარდებული სასჯელის ნინაამდეგ (იხ. ნინამდებარე განაჩენის პუნქტი 42), რინგაიზენმა მოითხოვა დაუყოვნებლივი გათავისუფლება იმ მოტივით, რომ უკვე ორი წელი გაატარა ნინასნარ პატიმრობაში. საქმის მასალები თავიდან გადაეცა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც 1966 წლის 27 ივნისს არ დააკმაყოფილა რინგაიზენის მიერ პროცედურულად სხვადასხვა დროს შეტანილი განცხადებები, ხოლო შემდეგ დააბრუნა ლინცის საოლქო სასამართლოში დროებითი გათავისუფლების თაობაზე თხოვნის განსახილველად. რინგაიზენის ადვოკატმა უარი განაცხადა აღნიშნულ თხოვნაზე 1966 წლის 30 ივნისს იმ მოტივით, რომ მასალები დაუყოვნებლივ კვლავ უზენაეს სასამართლოს გადასცემოდა ბათილობის შესახებ განცხადებისა და საჩივრების განხილვისათვის, რაც დანიშნული იყო 1966 წლის 14 ივლისს.

69. განზრახ გაკოტრების საქმეში რინგაიზენმა კვლავ შეიტანა განაცხადი დროებითი გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით 1966 წლის 18 თებერვალს, საქმის აცილების თაობაზე თხოვნასთან ერთად. იგი მიუთითებდა ნინა (1965 წლის 16 ივნისის, 1965 წლის 9 დეკემბრისა და 1966 წლის 9 თებერვლის) გადაწყვეტილებებზე, რომლებითაც მას უარი ეთქვა გათავისუფლებაზე და რომლებშიც დადგენილი იყო, რომ მის მიერ ახალი დანაშაულების ჩადენის საფრთხე კვლავ არსებობდა, თუმცა იგი გაკოტრებულად გამოცხადდა. მან აღნიშნა, რომ ეს „ფიქტიური“ საფუძველი დადგინდა იმიტომ, რომ სააპელაციო სასამართლო არ იცნობდა რეალურ ფაქტებს, ანდა პროკურატურის მოხელეთა ინტრიგების გამო, რომლებიც, მი-

სი აზრით, გეგმავდნენ ალკოვენში ბიზნესს. ამ თვალსაზრისით, იგი ამტკიცებდა, რომ აქ უშუალოდ იყო ჩართული პოლიტიკური ინტერესები: მისი სამშენებლო გეგმები რაიონში მოიზიდავდა საშუალო შეძლების უამრავ მყიდველს. მათი ხმები კი გააძლიერებდა ქალაქის საბჭოში სოციალისტთა უმრავლესობას, რომელსაც ეწინააღმდეგებოდნენ პროვინციის მთავრობა და მთელი რიგი მოხელეებისა; ლინცის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული მოსამართლეები მიკერძოებულნი იყვნენ მასთან მიმართებაში, რამდენადაც ბევრი მათგანი მსახურობდა უძრავი ქონების საქმეთა კომისიაში, სხვები კი განიცდიდნენ კოლეგების ზეგავლენას, ვინაიდან მისი საქმეების განხილვას საჯარო ხასიათი მიეცა. იგი დეტალურად ჩიოდა იმ უსამართლო მეთოდზე, რომლის მიხედვითაც წარმართა მის წინააღმდეგ სხვადასხვა, მათ შორის, გაკოტრების საქმეზე სამართალწარმოება. იგი ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პატიმრობაში იმყოფებოდა თექვსმეტი თვის განმავლობაში. იგი იმუქრებოდა, რომ 1 მარტიდან დაიწყებდა შიმშილობას, და მოითხოვდა, მისი განცხადება გადასცემოდა უზენაეს სასამართლოს, რომელიც გასცემდა ბრძანებას, საქმე გადაეწვიტა ნებისმიერ საოლქო სასამართლოს, გარდა ლინცის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულისა.

1966 წლის 22 აპრილს რინგაიზენმა კვლავ შეიტანა განაცხადი დოკუმენტის სახით, რომელიც ავრცობდა მის პროტესტს წაყენებული ბრალდების მიმართ, მოგვიანებით, 1966 წლის 15 მაისს, წარდგენილ დოკუმენტში კი განმარტავდა, რომ გამომძიებელმა მოსამართლემ აცნობა, რომ განცხადება გათავისუფლების თაობაზე არ შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ბრალდების მიმართ წაყენებულ პრეტენზიასთან.

ლინცის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა 1966 წლის 6 ივლისის ბრალდების პრეტენზია (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 54) და გადაწყვიტა, რომ რინგაიზენი დარჩენილიყო წინასწარ პატიმრობაში, ვინაიდან კვლავ არსებობდა მის მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის საფრთხე; სასამართლომ შენიშნა, რომ 1966 წლის 9 თებერვლის გადანყვებილების შემდეგ ადგილი არ ჰქონია სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოებების რაიმე ცვლილებას.

70. 1966 წლის 15 ივლისს, თაღლითობის საქმეზე ბათილობის შესახებ განცხადებებისა და სააპელაციო საჩივრების სასამართლოს წინაშე განხილვის მეორე დღეს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 43), რინგაიზენმა თითოეული სისხლის სამართალწარმოებისას პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე თხოვნა წარადგინა.

თაღლითობის საქმეზე განცხადებაში რინგაიზენმა აღნიშნა, რომ გენერალური პროკურორის (*Generalprokurator*) წარმომადგენელმა უზენაეს სასამართლოში მოითხოვა, რომ მისი მსჯავრდება გაუქმებულიყო ყველა თვალსაზრისით; აქედან გამომდინარე, რინგაიზენის მტკიცებით, აღარ არ-

სებობდა მის მიმართ გამოტანილ საბრალდებო დასკვნაში მითითებული რაიმე საფუძველი ან ეჭვი, რომელიც გაამართლებდა წინასწარ პატიმრობას. იგი ჩიოდა, რომ, უდანაშაულობის მიუხედავად, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა ოცდაორი თვის განმავლობაში. მან დასძინა, რომ, როდესაც გათავისუფლებული იყო 1963 წლის 23 დეკემბრიდან 1965 წლის 15 მარტამდე, არ ჰქონია გაქცევის მცდელობა და, ამდენად, არაფერი მიახიზნებდა იმაზე, რომ ამჯერად შეეცდებოდა გაქცევას. რაც შეეხება ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, მან განაცხადა, რომ ალკოვენში მინის გაყოფა წარმოადგენდა ერთჯერად ოპერაციას, რომლის გამეორებაც შეუძლებელი იყო, და რომ, რადგანაც როთების წყვილი გაკოტრდა, მათი აქტივები გადაეცა ოფიციალურ რწმუნებულს.

რინგაიზენის განცხადება განზრახ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით მიუთითებდა იმ განცხადებაზე, რომელიც მან გააკეთა თაღლითობის საქმესთან მიმართებაში.

71. გამომძიებელმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა განცხადება განზრახ გაკოტრების საქმეზე გათავისუფლების თაობაზე 1966 წლის 22 ივნისს.

რინგაიზენმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 1966 წლის 8 აგვისტოს; მისი განცხადებით, გერმანულ ენას ისე კარგად არ ფლობდა, რომ წერილობით შეძლებოდა სააპელაციო საჩივრისა და გარემოებების სწორად და დეტალურად ახსნა. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 1966 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძველები ფიქტიური იყო. აგრეთვე მოითხოვა, ნება დაერთოთ, სასამართლოსთვის ყოველივე ეს ზეპირად წარმოედგინა; იგი ჩიოდა, რომ, მიუხედავად უდანაშაულობისა, ოცდაორი თვის განმავლობაში წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა; ასევე მიუთითებდა თავისი სასამართლო პროცესის შესახებ გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიებსა და სასამართლო დოკუმენტზე, რათა ეჩვენებინა, რომ მას უარი ეთქვა მართლმსაჯულებაზე. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი გააკეთა, რათა დახმარებოდა საშუალო შეძლების მყიდველებს მათი უფლებების დასაცავად. რინგაიზენმა წარმოადგინა დოკუმენტი, რათა ეჩვენებინა, რომ იგი არასდროს ყოფილა გადახდისუუნარო, თანაც აღნიშნა, რომ პატიმრობამ და გაკოტრებამ ხელი შეუშალა ვალების გადახდაში. მან უარყო ვალის პრეფერენციული გადახდის მეშვეობით განაჩენების აღსრულებისათვის ხელის შეშლა; აგრეთვე განაცხადა, რომ, გარდა ალკოვენის მინისა, ჰქონდა სხვა საშუალებები, რათა უზრუნველყო და მოგვიანებით აენაზღაურებინა მისთვის გადახდილი ფული. თუ რაც შეიძლება სწრაფად გაათავისუფლებდნენ, მისივე განცხადებით, მყიდველებს აღარ მიადგებოდათ ახალი ზარალი.

მოსამართლეთა პალატამ არ დააკმაყოფილა 1966 წლის 24 აგვისტოს სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ სიტუაცია ფაქტებსა და კანონმდებლობასთან დაკავშირებით უცვლელი დარჩა ლინცის სააპელაციო სა-

სამართლოს 1965 წლის 16 ივნისის, 1965 წლის 9 დეკემბრისა და 1966 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებების შემდეგ და რომ გარემოებები კვლავ ამართლებდა პატიმრობის ვადის გაგრძელებას ახალი დანაშაულების ჩადენის საფრთხის გამო.

72. პროკურატურა არ დაეთანხმა რინგაიზენის განცხადებას გათავისუფლების თაობაზე თალითობის საქმეზე 1966 წლის 9 სექტემბერს იმ მოტივით, რომ, ითვალისწინებდა რა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას (წინამდებარე განაჩენის პუნქტი 43), მისი პატიმრობის ვადის საფუძვლები კვლავ არსებობდა.

განცხადება გათავისუფლების თაობაზე არ დააკმაყოფილა ლინცის საოლქო სასამართლომ 1966 წლის 21 სექტემბერს. სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა რინგაიზენის გაქცევის საფრთხე, ვინაიდან იგი საბოლოოდ მსჯავრდებული იყო თალითობაში, რომელიც ეხებოდა 1,300,000 აშ-ზე უფრო მეტ თანხას და ექვემდებარებოდა მძიმე სასჯელს; აგრეთვე არსებობდა სამართალდარღვევების განმეორების საფრთხე, როგორც დაადგინა საოლქო სასამართლომ 1966 წლის 2 მარტს; რამდენადაც საქმე თავიდან უნდა მოესმინა საოლქო სასამართლოს 1966 წლის 18 ოქტომბერს, წინასწარი პატიმრობა ნებისმიერ შემთხვევაში მალე შეწყდებოდა.

რინგაიზენმა ხსენებული გადაწყვეტილება მომდევნო დღესვე გაასაჩივრა. გაქცევის საფრთხესთან დაკავშირებით იგი ამტკიცებდა, რომ მისი სასჯელი არ უნდა ყოფილიყო უფრო მძიმე იმ სასჯელთან შედარებით, რომელიც მას შეეფარდა 1966 წლის 14 იანვარს, რადგან მსჯავრდება ბრალდების ერთ პუნქტში (ვიდმანი) გაუქმებული იქნა და სახეზე იყო შემამსუბუქებელი გარემოებები მის სასარგებლოდ; უფრო მეტიც, მხედველობაში მიღებული უნდა ყოფილიყო, რომ მას თითქმის უკვე მოხდელი ჰქონდა პატიმრობის ორი წელი და რომ აესტრია იყო მისი პირადი და საქმიანი ურთიერთობების ცენტრი. რაც შეეხება ახალი სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხეს, მან განაცხადა, რომ განვილიმა დრომ, წინა ეტაპმა გაკოტრების საქმეზე და წინასწარ პატიმრობაში გატარებულმა ორმა წელმა აჩვენა, რომ ხსენებული საფრთხე აღარ არსებობდა. საბოლოოდ მან მიუთითა მისი საქმის ხელახალ მოსმენაზე საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ, როგორც დაუყოვნებლივი გათავისუფლების განსაკუთრებულ საფუძველზე, რათა მისი დაცვა სერიოზულად არ დაბრკოლებულიყო.

ლინცის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი 1966 წლის 28 სექტემბერს, დაადგინა რა, რომ კვლავ არსებობდა გაქცევისა და ახალი დანაშაულების ჩადენის საფრთხე. პირველ საკითხზე მან დაადასტურა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მეორე საკითხთან დაკავშირებით კი მიუთითა თავის 1966 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაზე.

73. 1966 წლის 15 სექტემბერს განზრახ გაკოტრების საქმეზე რინგაიზენმა კვლავ მიმართა განცხადებით გათავისუფლების თაობაზე, რომლითაც იგი

ახალი სამართალდარღვევების ჩადენის რაიმე საფრთხის არსებობასთან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამდა. პირველ რიგში, მან მიუთითა, რომ ის ფაქტები, რომელთა გამოც ბრალი ედებოდა, განხორციელდა ორწელიწადნახევრის წინ და რომ, პროკურატურის მტკიცებით, მან მიითვისა 140,000 აშ, თუმცა მან წარადგინა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია 1964 წლის დანახარჯები აღემატებოდა ზემოხსენებულ თანხას, აგრეთვე, არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, გამომძიებელ მოსამართლეს არასდროს შეუსწავლია ეს საკითხი, რაც ხელს უშლიდა მის გათავისუფლებას. და ბოლოს, რინგაიზენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქონება და აქტივები გაყინული იყო გაკოტრების დროს და მთელი მისი შემოსავალი გადაეცა ოფიციალურ რწმუნებულს.

გამომძიებელმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა განცხადება 1966 წლის 27 სექტემბერს და სააპელაციო საჩივარში, რომელშიც რინგაიზენი აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება წარმოადგენდა კანონის ბოროტად განოყენებას, მოსამართლეთა პალატამ 1966 წლის 27 ოქტომბერს დაადასტურა გადაწყვეტილება იმავე საფუძვლების გამო, რომლებიც მან 1966 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა (წინამდებარე განაჩენის პუნქტი 71).

შემდეგი აპელაცია, რომელშიც რინგაიზენი კვლავ ამტკიცებდა, რომ მისი პატიმრობის საფუძვლები ფიქტიური იყო, ლინცის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა 1966 წლის 30 ნოემბერს, დაადასტურა რა მოსამართლეთა პალატის მიერ მითითებული საფუძვლები; სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, მხოლოდ საქმის დასრულების მიზნით, რომ რინგაიზენი არ მიიღებდა რაიმე მნიშვნელოვან სარგებელს მიმდინარე სამართალწარმოების დროს პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მოპოვებით, რამდენადაც იგი, ამავდროულად, დროებით იყო დაპატიმრებული თალლითობისათვის მიმდინარე სამართალწარმოებისას, რომელშიც ლინცის საოლქო სასამართლომ შეუფარდა მკაცრი პატიმრობა ხუთი წლის ვადით და მისი სააპელაციო საჩივარი სასჯელის გაუქმების თაობაზე კვლავ განიხილებოდა უზენაეს სასამართლოში.

74. 1967 წლის 27 იანვარს რინგაიზენმა კვლავ მიმართა თხოვნით დროებითი გათავისუფლების თაობაზე სისხლის სამართლის თითოეულ საქმეზე. ორივე განცხადებაში რინგაიზენი აღნიშნავდა, რომ ცუდი ჯანმრთელობის გამო მისი პატიმრობაში ყოფნა შეუძლებელი იყო. უფრო მეტიც, იგი ამტკიცებდა, რომ გაქცევისა და ახალი დანაშაულის ჩადენის სავარაუდო საფრთხე თალლითობის საქმეზე გამოგონილი იყო; განზრახ გაკოტრების საქმეზე განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების, თითქოს პირადი სარგებლობისათვის მიითვისა 140,000 აშ, სიყალბე დამტკიცდებოდა მისი განცხადებების შემონმების შემთხვევაში, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

75. 1967 წლის 8 თებერვალს ლინცის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ არ დააკმაყოფილა დროებითი გათავისუფლების შესახებ თხოვნა განზრახ გაკოტრების საქმეზე იმ მსგავსი საფუძვლების გა-

მო, რომლებზეც მან მიუთითა 1966 წლის 24 აგვისტოსა და 27 ოქტომბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 71 და 73).

76. 9 თებერვალს პროკურორი არ დაეთანხმა განცხადებას გათავისუფლების თაობაზე თაღლითობის საქმესთან დაკავშირებით. 1967 წლის 15 თებერვალს ლინცის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება, განაცხადა რა, რომ:

„თაღლითობისათვის, რომელმაც გამოიწვია სერიოზული დანაკარგი, ნაყენებული ბრალდების სხვადასხვა პუნქტისა და ბრალდებულისათვის დაკისრებული სასჯელის (ხუთი წელი) გათვალისწინებით..., პატიმრობის ორივე საფუძველი კვლავ ქმედითად უნდა ჩაითვალოს. წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა დღემდე არ უკავშირდება ახალი სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხეს. არც დაკისრებული სასჯელის თვალსაზრისით შეიძლება იქნეს ნებადართული ხანგრძლივი პატიმრობა, რათა გამოირიცხოს მისი გაქცევის შესაძლებლობა. რაც შეეხება პატიმრობის ორივე საფუძველს, მითითება მინიშნებულია დანარჩენზე, ლინცის სააპელაციო სასამართლოს 1966 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაზე...“

რაც შეეხება მტკიცებას ავადმყოფობის შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ფაქტს არ შეეძლო გათავისუფლების გამართლება, თუმცა შესაძლებელი იყო მისი გადაყვანა საავადმყოფოს დახურულ განყოფილებაში. ციხის ექიმმა ყველა შემთხვევაში დაადგინა, რომ რინგაიზენის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა 1967 წლის 1 თებერვლისათვის დამაკმაყოფილებელი იყო.

რინგაიზენმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ლინცის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 1967 წლის 15 მარტს გადაწყვიტა, რომ აპელაცია უნდა დაკმაყოფილებულიყო, და მიიღო ბრძანება მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე მხოლოდ ოფიციალური გარანტიის მიცემის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ რინგაიზენის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი 1966 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების შემდეგ. მას შემდეგ, რაც მან ორწლიანადნახევარი გაატარა წინასწარ პატიმრობაში, უკვე აღარ მიიჩნეოდა გონივრულად, რომ იგი გაიქცეოდა გასამართლებისათვის თავის არიდების მიზნით, თუნდაც 1966 წლის 18 ოქტომბერს დაკისრებული სასჯელის გათვალისწინებით. რაც შეეხება სხვა სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხეს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ორი ბრალდება, რომლებიც არ იმყოფება არავითარ კავშირში ალკოვენში არსებულ ქონებასთან (თაღლითობა ფ. ვიდმანთან მიმართებაში და ქონების განზრახ მისაკუთრება), შეწყვეტილი იქნა 1966 წლის 14 სექტემბერს; ბრალდების ერთადერთი პუნქტი, რომელიც ძალაში დარჩა, ეხებოდა თაღლითობას, რომელიც განხორციელდა ალკოვენში მიწის ნაკვეთების 78 მყიდველთან მიმართება-

ში. სასამართლომ უკვე აღნიშნა 1966 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში, რომ რინგაიზენს აღარ შეეძლო ხსენებულ საკუთრებასთან დაკავშირებით გარიგების დადება. უფრო მეტიც, როგორც ჩანდა, მისი წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა საკმარისი იყო, რომ რინგაიზენისთვის ხელი შეეშალა სხვა დანაშაულების ჩადენაში, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ ყოფილა ადრე ნასამართლეთი.

77. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას 1967 წლის 20 მარტს რინგაიზენმა კვლავ მიმართა დროებითი გათავისუფლების თაობაზე განზრახ გაკოტრების საქმეზე. ამ შემთხვევაში პროკურატურამ გამოხატა დადებითი პოზიცია განცხადების თაობაზე, რომელიც გამომძიებელმა მოსამართლემ გადასცა. შესაბამისად, რინგაიზენი პატიმრობიდან გათავისუფლებული იქნა იმავე დღეს ოფიციალური გარანტიის მიცემის შემდეგ. მისი მეორე პატიმრობა ორი წელი და ხუთი დღე გაგრძელდა.

* * *

78. კომისიის სახელზე განცხადებაში (№2614/65) რინგაიზენმა ჩამოაყალიბა საჩივართა მთელი სერია. ზოგიერთი მათგანი ეხებოდა მის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართალწარმოებას, ხოლო ზოგიერთი – ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებს, რომლებიც მან წამოიწყო ავსტრიის ხელისუფლების წინაშე. იგი ამტკიცებდა კონვენციის მე-5, მე-6, მე-7, მე-10, მე-11, მე-14 მუხლებისა და პირველი ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლების დარღვევას.

79. მას შემდეგ, რაც განცხადების გარკვეული ნაწილი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოცხადდა 1967 წლის 2 ივნისს, კომისიამ 1968 წლის 18 ივლისს მიიღო განმცხადებლის საჩივრები შემდეგ მუხლებთან მიმართებაში:

- კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი რინგაიზენის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან მიმართებაში თაღლითობისა და განზრახ გაკოტრების საქმეებში;
- მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იმავე სისხლის სამართლის საქმეებში სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებაში;
- მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს უართან მიმართებაში, გამოერკვია ბრალდებები რეგიონალური კომისიის წევრების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით;

80. ქვეკომისიის მიერ მეგობრული მორიგების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ კომისიის პლენარულმა სხდომამ, კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად, 1970 წლის 19 მარტს მიიღო მოხსენება, რომელიც 1970 წლის 29 აპრილს გადაეცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს. კომისიამ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება:

- თერთმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ: განმცხადებლის პატიმრობა გადასცილდა „გონივრულ ვადას“, რამაც წინამდებარე საქმეში განაპირობა მე-5 (3) მუხლის დარღვევა;
- არც თაღლითობის საქმეზე (ერთხმად) და არც განზრახ გაკოტრების საქმეზე (თერთმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ) რინგაიზენის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების ხანგრძლივობა არ გადასცილდა „გონივრულ ვადას“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით;
- შვიდი ხმით ხუთის წინააღმდეგ: მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას არ ჰქონია ადგილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამტკიცებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, რადგან სამართალწარმოება არ ეხებოდა „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას“.

მოსხენებას თან ერთვის რამდენიმე დამოუკიდებელი აზრი, ზოგი – თანმხედრი, ზოგი – განსხვავებული.

სამართალი

81. სასამართლო შეიკრიბა, რათა გადაწყვიტოს შემდეგი სამი საკითხი:

- I. იყო თუ არა რინგაიზენი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი სამართალწარმოებისას, რომელიც მან წამოიწყო ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების წინაშე უძრავი ქონების – საფერმერო მიწის – გადაცემის დამტკიცებასთან დაკავშირებით?
- II. გადასცილდა თუ არა რინგაიზენის პატიმრობა გონივრულ ვადას კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით?
- III. აღემატებოდა თუ არა რინგაიზენის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობა გონივრული ვადის ფარგლებს, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში?

I. საკითხი, იყო თუ არა რინგაიზენი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი სამართალწარმოებისას, რომელიც მან წამოიწყო უძრავი ქონების – საფერმერო მიწის – გადაცემის დამტკიცებასთან დაკავშირებით

82. ამ საჩივრის წინააღმდეგ მთავრობამ წამოიწია არსებით განხილვაზე დაუშვებლობის საკითხი იმ საფუძველზე, რომ განაცხადი არ აკმაყოფი-

ლებდა 26-ე მუხლის პირობებს. კომისიამ გააპროტესტა სასამართლოს იურისდიქცია, გამოეტანა დადგენილება ამ მტკიცებასთან დაკავშირებით, რამდენადაც, მისი აზრით, იგი არის ერთადერთი ორგანო, რომელიც კონვენციით უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადების დაშვებადობის შესახებ.

გარდა ამისა, მთავრობამ გააპროტესტა ის ფაქტი, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელზეც მიუთითა განმცხადებელმა, არ გამოიყენებოდა, ვინაიდან საქმე არ ეხებოდა „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას“ (*contestations sur (des) droits et obligations de caractère civil*). კომისიის ნეერთა უმრავლესობამ იგივე აზრი გამოხატა და, ამდენად, არ ჩათვალა აუცილებლად, გამოეკვლია, შეესაბამებოდა თუ არა მიმდინარე სამართალწარმოება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს; ხუთნევრიანმა უმცირესობამ კი ის აზრი განავითარა, რომ ხსენებული ფაქტი სინამდვილეში სამოქალაქო უფლებების განსაზღვრას ეხებოდა.

83. ამგვარად, ამ საჩივრის ფარგლებში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ან შეიძლება მას მოუწოდონ, რომ გადაწყვიტოს შემდეგი ოთხი საკითხი:

- (ა) თუ რამდენად აქვს მას იურისდიქცია, განიხილოს არსებით განხილვაზე დაშვებადობის საკითხი;
- (ბ) თუ სასამართლოს აქვს იურისდიქცია, გადაწყვიტოს საჩივრის არსებით განხილვაზე დაშვებადობა 26-ე მუხლის შესაბამისად;
- (გ) თუ მეორე კითხვაზე პასუხი დადებითია, გადაწყვიტოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების საკითხი მიმდინარე სამართალწარმოებასთან მიმართებაში;
- (დ) თუ მესამე კითხვაზე პასუხი დადებითია, გადაწყვიტოს, არის თუ არა დასაბუთებული ხსენებული საჩივარი.

(ა) იურისდიქცია

84. 1971 წლის 18 ივნისს სასამართლოს პლენარულ სხდომაზე *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე მიღებულ განაჩენში ჩამოყალიბებული საფუძვლების გამო სასამართლოს არ შეუძლია, დაეთანხმოს კომისიის ძირითად მტკიცებას; შესაბამისად, ადგენს, რომ მას აქვს იურისდიქცია.

- (ბ) არსებით განხილვაზე დაუშვებლად გამოცხადების მტკიცების არსი იმ საფუძვლის გამო, რომ არ იქნა ამოწურული შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება

85. მთავრობა შენიშნავს, რომ განაცხადი კომისიაში შეტანილი იქნა 1965 წლის 3 ივლისს, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო განაჩენი 1965 წლის 27 სექტემბრამდე ჯერ კიდევ არ ჰქონდა გა-

მოტანილი. აქედან გამომდინარე, მთავრობა ასკვნის, რომ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება არ ყოფილა ამონურული განაცხადის შეტანის მომენტისათვის და, ამდენად, კომისია არ იყო კომპეტენტური, განეხილა საჩივარი.

86. ამ თვალსაზრისით მთავრობის წარმომადგენლებმა და კომისიის დელეგატებმა გააკეთეს ვრცელი განცხადებები 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ინტერპრეტაციის თაობაზე.

87. მთავრობის წარმომადგენლები, 26-ე მუხლის ფრანგულ ტექსტზე დაყრდნობით, აცხადებდნენ, რომ კომისია განიხილავდა (*saisie*) განაცხადს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების მომენტში და რომ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება უნდა ყოფილიყო ამონურული, სანამ კომისია განიხილავდა (*être saisie*) საქმეს, ასე რომ განაცხადი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ძალაში შესულად, თუ მანამდე არ იქნებოდა შესრულებული 26-ე მუხლის პირველი პირობა.

მთავრობის აზრით, 26-ე მუხლის მეორე პირობა, გარდა ამისა, მიუთითებდა, რომ აუცილებელი იყო სიტყვების – „კომისიას შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ ...“ – მკაცრი ინტერპრეტაციის დაცვა. სინამდვილეში, აშკარად ნათელი იყო, რომ „ექვსი თვის ვადა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან“ ავლებდა ზღვარს დროსთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც შეიძლებოდა განაცხადის შეტანა, და არა იმ დროსთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც განიხილავდა კომისია მის წინაშე ადრე შეტანილ საქმეებს.

88. ამის საპირისპიროდ, კომისიის დელეგატები ამტკიცებდნენ, რომ ინგლისურ ტექსტში, რომელიც ფრანგული ტექსტის თანაბრად ავთენტურია, ფრაზა – „კომისიას შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ“ – მიუთითებს შემდგომზე: ის ფაქტი, რომ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები არ არის ამონურული, ხელს უშლის არა განაცხადის შეტანას, არამედ მხოლოდ მის განხილვას კომისიაში.

კომისიის დელეგატების აზრით, მოსამზადებელი სამუშაოები ითვალისწინებდა შემდგომ საფუძველს, რომ განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ ინგლისურ ტექსტზე: 26-ე მუხლი თავდაპირველი რედაქციით ფრანგულ ენაზე იქნა მიღებული, პროექტის შემუშავებული ქვეკომიტეტის ინგლისურენოვანმა ექსპერტებმა პირველად წინადადება თარგმნეს სიტყვებით – „კომისიას შეიძლება მიმართონ მას შემდეგ, რაც ამონურული იქნება შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება ...“, რომელიც ზუსტად შეესაბამება ფრანგული ტექსტის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას და რომელიც, ამდენად, ცვლიდა ამჟამინდელ ინგლისურ ტექსტს – „კომისიას შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ...“

ინგლისურ ტექსტზე მითითების გარეშეც კი, კომისიის დელეგატების მტკიცებით, პრაქტიკული მოსაზრებები ცხადყოფს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სულ მცირე შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვა,

რომელზეც ლაპარაკია 26-ე მუხლში, არ ავალდებულებს განმცხადებელს, გააკეთოს იმაზე მეტი, ვიდრე ამონუროს მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებები; ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ საერთაშორისო ორგანოებში საჩივრის შეტანამდე იგი იძულებული ყოფილიყო, დაეცადა საბოლოო შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებისათვის პროცესის დახურვამდე, რომლის ხანგრძლივობაც მხოლოდ მასზე არ იყო დამოკიდებული. ამგვარი ინტერპრეტაცია, მათივე განცხადების თანახმად, იყო ერთადერთი, რომელიც შესაბამისობაში მოდიოდა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის წესის *ratio legis*-თან, კერძოდ, სახელმწიფოების დაცვასთან ნებისმიერი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც მას პასუხისმგებლობას აკისრებს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისათვის კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ საჩივრის განხილვის გარეშე, რათა გამოსწორებული იქნეს სიტუაცია, როდესაც ეს აუცილებელია. აღნიშნული შეხედულება, უეჭველად, გულისხმობს, რომ არავითარი საერთაშორისო ვერდიქტი არ იქნება გამოტანილი ეროვნული სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებამდე, მაგრამ ისე არა, რომ ეს უკანასკნელი მიღებული იყოს საერთაშორისო განაცხადის შეტანის ვადის თვალსაზრისით უფრო ადრე.

და ბოლოს, კომისიის დელეგატების მტკიცებით, არ იყო მართებული ამ ფართო ინტერპრეტაციის გაპროტესტება 26-ე მუხლის ბოლო ნაწილში გათვალისწინებულ ექვსთვიან ვადაზე დაყრდნობით. ხსენებული დებულების ერთადერთი მიზანი იყო, განესაზღვრა ვადა, რომლის ფარგლებს გარეთ შიდა სასამართლოების მიერ საბოლოოდ გადაწყვეტილი საქმეები აღარ შეიძლება დადგეს კომისიის წინაშე.

89. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ შეუძლია მიიღოს ამ ორი უკიდურესი პოზიციიდან რომელიმე.

ერთი მხრივ, ძალიან შორს წაგვიყვანდა და შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის წესის არსის საწინააღმდეგო იქნებოდა, პირს რომ შეეძლოს, სათანადო წესით შეიტანოს განაცხადი კომისიაში შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე.

მეორე მხრივ, საერთაშორისო სასამართლოებმა სხვადასხვა შემთხვევაში დაადგინეს, რომ საერთაშორისო სამართლის გამოყენება ამავე თვალსაზრისით არ შეიძლება იმ სახის საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ზოგჯერ აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობით. კონვენციის 26-ე მუხლი ამკარად მიუთითებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე. ამგვარად, კომისია სავსებით სწორი იყო, როდესაც სხვადასხვა გარემოებაში აცხადებდა, რომ ზემოხსენებული წესის გამოყენებისას აუცილებელი იყო გარკვეული მოქნილობა (იხ. მაგ., 1958 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება არსებით განხილვაზე დაშვებადობის შესახებ №332/57, *Lawless v. Ireland*, კონვენციის წელიწადი, ტომი 2, გვ. 324-326).

90. გარდა ამისა, შეიძლება აღინიშნოს, რომ კომისიაში თავდაპირველად შეტანილ განაცხადებს ხშირად თან სდევს მოკლე პერიოდში დამატე-

ბითი დოკუმენტების წარდგენა, რომელთა მიზანია, შეავსოს ხარვეზები ან დააზუსტოს ბუნდოვანი საკითხები, რომლებზეც განმცხადებელს მიუთითებს კომისიის მდივანი საქმის წინასწარი განხილვის დროს. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს იმის საფუძველი, თავდაპირველი განაცხადის აღნიშნული დანამატი რატომ არ უნდა უკავშირდებოდეს საკუთრივ იმის მტკიცებას, რომ განმცხადებელმა შეასრულა 26-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, თუნდაც განაცხადის შეტანის შემდეგ. როდესაც კომისია იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, დაიშვება თუ არა საქმე არსებით განხილვაზე, იგი აუცილებლად განიხილავს განაცხადსა და მის დამასაბუთებელ დოკუმენტებს, როგორც ერთ მთლიანს.

91. ამგვარად, სანამ საბოლოოდ არ დამტკიცდება, რომ განმცხადებელი, როგორც წესი, ვალდებულია, გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის სხვადასხვა საშუალება კომისიისათვის მიმართვამდე, კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაუშვას თუ არა ის ფაქტი, რომ დაცვის ამგვარი საშუალებების ბოლო საფეხური შეიძლება გამოყენებული იქნეს განაცხადის შეტანის შემდეგ, მაგრამ კომისიის წინაშე დაშვებადობის საკითხის დასმამდე.

92. სასამართლომ ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური განაცხადები ხშირად შეაქვთ არაპროფესიონალებს, რომლებიც, ათიდან ცხრა შემთხვევაში, კომისიას მიმართავენ სამართლებრივი წარმომადგენლის დახმარების გარეშე. 26-ე მუხლის ფორმალური ინტერპრეტაცია, ამგვარად, უსამართლო შედეგებამდე მიგვიყვანდა.

93. წინამდებარე საქმეში აშკარად ნათელია, რომ კომისიაში განაცხადის შეტანამდე რინგაიზენმა გამოიყენა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მისთვის; ამავდროულად, გამოტანილი იყო საბოლოო შიდა გადაწყვეტილება. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც განაცხადი შეტანილი იქნა კომისიაში, მაგრამ შესაბამისი აქტები შიდა და საერთაშორისო დონეზე სამართალწარმოებისას შემდეგი თანმიმდევრობით განხორციელდა:

- საკონსტიტუციო სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნა 1965 წლის 2 აპრილს;
- განაცხადი კომისიაში შეტანილი იქნა 1965 წლის 3 ივლისს და რეგისტრაციაში გატარდა 1965 წლის 24 სექტემბერს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1965 წლის 27 სექტემბერს;
- განმცხადებელმა კომისიას შეატყობინა ამის თაობაზე 1966 წლის 13 მაისს და საჩივარი გამოთქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი რეგონალური კომისიის 1965 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ;

- ნაწილობრივი გადანყვეტილება არსებით განხილვაზე დაშვებადობის შესახებ კომისიამ 1967 წლის 2 ივნისს გამოიტანა, ხოლო საბოლოო გადანყვეტილება - 1968 წლის 18 ივლისს, მთავრობის მიმობილებების მიღების შემდეგ.

ფაქტებზე მითითება საკმარისად აჩვენებს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არავითარ კანონიერ ინტერესს არ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა წინამდებარე საქმეზე იმ ფაქტის გამო, რომ განაცხადი შეტანილი იქნა და რეგისტრაციაში გატარდა ცოტა ხნით ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე.

ამგვარად, სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს მტკიცებას არსებით განხილვაზე დაუშვებლობის შესახებ 26-ე მუხლის მოთხოვნების დაუშვებლობის გამო.

(ბ) საკითხი, მოიცავს თუ არა წინამდებარე განაცხადი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას

94. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დავასთან (*contestation*) დაკავშირებით რომ იქნეს გამოყენებული, არ არის აუცილებელი, სამართალწარმოების ორივე მხარე იყოს კერძო პირი, რა აზრსაც ავითარებენ კომისიის წევრთა უმრავლესობა და მთავრობა. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფორმულირება გაცილებით უფრო ფართოა; ფრანგული გამოთქმა *contestations sur (des) droits et obligations de caractère civil* მოიცავს ყველა სამართალწარმოებას, რომელთა შედეგი გადამწყვეტია კერძო უფლებებისა და ვალდებულებებისათვის. ინგლისური ტექსტი „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ... განსაზღვრა“ ადასტურებს ამ ინტერპრეტაციას.

ამდენად, ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ კანონმდებლობის ხასიათი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ უნდა იქნეს გადანყვეტილი საკითხი (სამოქალაქო, კომერციული, ადმინისტრაციული სამართლის და ა.შ.), აგრეთვე იმ ხელისუფლების ხასიათი, რომელსაც აქვს საქმის განხილვის იურისდიქცია (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო და ა.შ.).

წინამდებარე საქმეში, როდესაც რინგაიზენმა იყიდა ქონება როთების წყვილისაგან, უფლება ჰქონდა, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაეფორმებინა, რაც დამტკიცებას დაექვემდებარებოდა, თუ იგი შეასრულებდა, როგორც თვითონ აცხადებდა, კანონით დადგენილ პირობებს. მართალია, გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რინგაიზენსა და როთების წყვილს შორის სამოქალაქო სამართლის ურთიერთობებისათვის (*de caractère civil*) გადამწყვეტი იყო რეგიონალური კომისიის გადანყვეტილება. ეს საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ აუცილებლად მიიჩნიოს, გადანყვეტიტოს, შეესაბამებოდა თუ არა წინამდებარე საქმეში სამართალწარმოება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.

(დ) არის თუ არა დასაბუთებული საჩივარი, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ იყო დაცული

95. სასამართლომ ვერ დაადგინა ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებდა, რომ რინგაიზენს არ მიეცა თავისი საქმის „სამართლიანი განხილვის“ საშუალება. გარდა ამისა, სასამართლო შენიშნავს, რომ რეგიონალური კომისია არის „სასამართლო“ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, ვინაიდან იგი დამოუკიდებელია როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ისე მხარეებისაგან. მისი წევრები ხუთი წლის ვადით ინიშნებიან და მის წინაშე განხორციელებული სამართალწარმოება ითვალისწინებს აუცილებელ გარანტიებს (იხ., *mutatis mutandis*, *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A, გვ. 44, პუნქტი 24, და *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, პუნქტი 78).

96. მიუხედავად ამისა, განმცხადებელი რეგიონალური კომისიის ექვს წევრს მიკერძოებულობაში სდებდა ბრალს; როდესაც მან წარადგინა აღნიშნული საჩივრები, საკონსტიტუციო სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად, განეხილა ისინი არსობრივად იმ მოტივით, რომ, როგორც მითითებულია 1965 წლის 27 სექტემბრის განაჩენში, მიკერძოებულობის საკითხს არ ჰქონდა კავშირი რეგიონალური კომისიის კომპეტენციასთან, რაც წარმოადგენდა ერთადერთ საკითხს, რომელიც მას გადაეცა ზედამხედველობაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23)

97. ევროპული სასამართლოს ფუნქცია არ არის, გააკეთოს ინტერპრეტაცია ავსტრიის კანონმდებლობისა, რომელსაც ეფუძნება ხსენებული განაჩენი, ან გამოხატოს თავისი აზრი მისი დასაბუთების ფორმაზე; მეორე მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა, განიხილოს საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობა რინგაიზენი, და გადაწყვიტოს, დაიცვა თუ არა რეგიონალურმა კომისიამ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული მიუკერძოებლობის წესი.

სასამართლო ადგენს, რომ, თუნდაც რინგაიზენის მტკიცებები სინამდვილეს შეეფერებოდეს, ისინი არ განაპირობებს დასკვნას რეგიონალური კომისიის მიკერძოებულობის შესახებ. ასეთი განსხვავებული შემადგენლობით დაკომპლექტებული ორგანოს შემთხვევაში, რომელიც, მოსამართლის თავმჯდომარეობით, აერთიანებს სამოქალაქო მოსამსახურეებსა და დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლებს, ერთი წევრის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი ერთადერთი საფუძვლით, რომ იგი წარმოადგენდა ზემო ავსტრიის სოფლის მეურნეობის პალატის მიერ დასახელებულ კანდიდატს, არ ამტკიცებს სასამართლოს მიკერძოებულობას. იგივე ითქმის საჩივართან მიმართებაში იმ ერთი წევრის წინააღმდეგ, რომელმაც, რინგაიზენის მტკიცებით, გააკეთა მთელი რიგი განცხადებებისა, რომელთა ზუსტი შინაარსი იმაში გამოიხატებოდა, რომ რეგიონალური კომისია

უფრო მეტად იყო დაინტერესებული (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22). რაც შეეხება ორმხრივ ფაქტს, რომ თავმჯდომარე წარმოადგენდა რეგიონალურ კომისიას საკონსტიტუციო სასამართლოში 1964 წელს და რომ მეორე წევრი დაკითხული იქნა მოწმის სახით, ის აშკარად ნაკლებად მნიშვნელოვანია. და ბოლოს, არც კანონიერი ეჭვის რაიმე საფუძველი შეიძლება დადგინდეს იმ ფაქტში, რომ სხვა ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა რეგიონალური კომისიის პირველი გადაწყვეტილების მიღებაში, რის გამოც არ შეიძლება დადგინდეს ზოგადი წესის სახით, რომელიც გამომდინარეობს მიუკერძოებლობის ვალდებულებიდან, რომ ზემდგომი სასამართლო, აუქმებს რა ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტილებას, ვალდებულია, საქმე გადასცეს სხვა იურისდიქციულ ხელისუფლებას ან იმავე ხელისუფლების სხვაგვარად დაკომპლექტებულ დანაყოფს.

98. თუმცა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ არის შემოფარგლული იმის უზრუნველყოფით, რომ სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების თითოეული განსაზღვრისას სახეზე უნდა იყოს სამართლიანი განხილვა გონივრულ ვადაში, რომ საქმე მოსმენილი იქნეს და რომ განაჩენი გამოტანილი იქნეს საჯაროდ.

სასამართლოს შეუძლია შეამონმოს, თუნდაც *proprio motu* – და ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის ხელახლა განხილვის გათვალისწინებით, იცავენ თუ არა რაიონული და რეგიონალური კომისიები აღნიშნულ წესს ან შეუძლიათ თუ არა მასზე უარის თქმა.

სასამართლოს არ უკისრია აღნიშნულის განხილვის ვალდებულება ავსტრიის მიერ კონვენციის რატიფიცირების დროს გაკეთებული დათქმის გამო:

“ ...

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები გამოიყენება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს იმ პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს საჯარო სასამართლო განხილვას (*im gerichtlichen Verfahren*) და რომლებიც ჩამოყალიბებულია 1929 წლის „ფედერალური კონსტიტუციური“ კანონის 90-ე მუხლში.

...“

ხსენებული 90-ე მუხლი შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

„სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მოსმენა (*in Zivil- und Strafrechtssachen*) საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ არის ზეპირი და საჯარო. გამონაკლისები შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობით.

...“

ეს დათქმა აშკარად არ ეხება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, არამედ მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს ანუ

იმ საქმეებს, რომლებსაც განიხილავენ სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დათქმა ფარავს *a fortiori* სამართალწარმოებას ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე, როდესაც განხილვის საგანია სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრა და როდესაც, აქედან გამომდინარე, ხსენებული ხელისუფლება მიჩნეულია სასამართლოდ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სამართალწარმოებაში, რომელიც დაიწყო, რინგაიზენის თხოვნით, დამტკიცების თაობაზე 1962 წლის 30 მარტს.

99. ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას სამართალწარმოების დროს ხსენებულ თხოვნასთან დაკავშირებით.

II. საკითხი, გადასცილდა თუ არა რინგაიზენის პატიმრობა გონივრულ ვადას მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით

100. რინგაიზენი დაპატიმრებული იქნა ორ სხვადასხვა ბრალდებასთან დაკავშირებით, პირველად – თაღლითობისა და ქონების განზრახ მისაკუთრებისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 24-48), მეორედ – განზრახ გაკოტრებისათვის, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა აქტივების დამალვაში კრედიტორების საზიანოდ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 49-56).

თითოეულმა ბრალდებამ განაპირობა ორდერი დაკავების შესახებ. პირველი ორდერი მიღებული იქნა 1963 წლის 30 ივლისს თაღლითობის საქმეზე და განაპირობა პირველი პატიმრობა, რომელიც დამთავრდა 1963 წლის 23 დეკემბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 57-59). მეორე ორდერი მიღებული იქნა 1965 წლის 15 მარტს განზრახ გაკოტრების საქმეზე. გარდა ამისა, რინგაიზენის ხელახალი დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილება თაღლითობის საქმეზე მიღებული იქნა 1965 წლის 12 მაისს; პატიმრობა ორივე სამართალწარმოებაში დამთავრდა 1967 წლის 15 და 20 მარტის გადაწყვეტილებებით მისი გათავისუფლების შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 61, 63, 76 და 77).

რინგაიზენის პატიმრობა ორივე საქმეზე დაახლოებით ორი წელი და ხუთი თვე გაგრძელდა.

101. პატიმრობის პირველი პერიოდი (1963 წლის 5 აგვისტოდან 23 დეკემბრამდე), თუ ცალკე განვიხილავთ, ხვდება სასამართლოს განხილვის ფარგლებს გარეთ: გათავისუფლების თხოვნაზე უარის გასაჩივრების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1963 წლის 23 სექტემბერს, ექვს თვეზე გაცილებით უფრო ადრე კომისიაში განაცხადის შეტანამდე (1965 წლის 3 ივლისი). მიუხედავად ამისა, პირველი პატიმრობის ოთხნახევარი თვე უნდა დაემატოს იმ პერიოდებს, რომლებსაც შემდეგში ჰქონდა

ადგილი წინასწარი პატიმრობის მთლიანი პერიოდის გონივრულობის შეფასებისათვის თაღლითობის საქმეზე (იხ. *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A, კანონმდებლობის შესახებ, გვ. 37, პუნქტი 6).

102. რაც შეეხება პატიმრობის მეორე პერიოდს (1965 წლის 15 მარტიდან 1967 წლის 20 მარტამდე), იგი განხორციელდა მთლიანად განზრახ გაკოტრების სამართალწარმოების კონტექსტში მაშინ, როდესაც ახალი ბრძანება პატიმრობის შესახებ თაღლითობისათვის ბრალდების დროს გაგრძელდა ამ დროის მხოლოდ ერთ მონაკვეთში (1965 წლის 12 მაისიდან 1967 წლის 15 მარტამდე). ამდენად, მიზანშეწონილი იქნებოდა, პირველ რიგში, პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობის განხილვა განზრახ გაკოტრების საქმეზე; გარდა ამისა, ეს მით უმეტეს ასეა, რადგან მთავრობის წარმომადგენლებს არ უცდიათ, გაემართლებინათ სასამართლოს წინაშე არც გამოძიებული მოსამართლის მიერ მიღებული 1965 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება რინგაიზენის ხელახლა დაპატიმრების შესახებ თაღლითობის საქმეზე და არც გადაწყვეტილებები, რომლებიც მოგვიანებით იქნა მიღებული კომპეტენტური სასამართლოების მიერ, როდესაც მათ არ დააკმაყოფილეს რინგაიზენის თხოვნები გათავისუფლების თაობაზე იმავე სამართალწარმოებისას.

103. დაკავების შესახებ ორდერი, რომელიც მიღებული იქნა 1965 წლის 15 მარტს სამართალწარმოებისას განზრახ გაკოტრების საქმეზე, თავის მხრივ, რამდენადმე მოულოდნელი იყო; პირველმა გამოძიებელმა მოსამართლემ, რომელიც იხილავდა თაღლითობაში ბრალდებებს, უკვე დანვრილებით გამოიკვლია, თუ როგორ გამოიყენა რინგაიზენმა ნაკვეთების გაყიდვით მიღებული ფული. უდავოა, რომ უამრავი საჩივარი იქნა შეტანილი პროკურატურაში 1963 წლის 23 დეკემბრის შემდეგ მყიდველების მიერ, რომლებსაც, შეთანხმებისამებრ, გადახდილი ჰქონდათ სულ მცირე ნაწილი მაინც შესასყიდი ფასისა, ვერ მიიღეს რა შეძენილ ნაკვეთებზე მფლობელობის უფლება იმის გამო, რომ უარი უთხრეს ხელშეკრულების დამტკიცებაზე და არც გადახდილი თანხა აუნაზღაურდათ, მაგრამ ყველა ეს საქმიანი ურთიერთობა წარმოიშვა იმათგან, რომელთა გამოძიებაც მიმდინარეობდა თაღლითობასთან დაკავშირებით და ბუნებრივი იქნებოდა მათი გამოძიება პირველი საქმის ფარგლებში. უფრო მეტიც, სასამართლო ადგენს, რომ, გარდა რინგაიზენის დაკითხვებისა, არანაირი საგამომძიებლო ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული სამი წლის განმავლობაში მეორე ბრალდებასთან დაკავშირებით.

თუმცა ერთხელ არსებობდა „გონივრული“ ეჭვი, რომ რინგაიზენმა, გარდა იმ დანაშაულებისა, რომლებისთვისაც იგი იყო ბრალდებული პირველი გასამართლებისას, ჩაიდინა სხვა სამართალდარღვევებიც. მისი დაკავება მათთან მიმართებაში მოიცავს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ (გ) პუნქტს და, ამგვარად, არ ექვემდებარება სასამართლოს ზედამხედველობას.

104. თუმცა სასამართლო ვალდებულია, განიხილოს, ალემატება თუ არა რინგაიზენის პატიმრობის ხანგრძლივობა მეორე ბრალდებასთან დაკავშირებით „გონივრულ დროს“, რომელზეც მიუთითებს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, და, ამდენად, შეაფასოს, ამართლებს თუ არა ავსტრიის სასამართლოების მიერ მითითებული საფუძვლები განმცხადებლის გათავისუფლების შესახებ თხოვნებზე უარის თქმას (იხ. მაგ., *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A, გვ. 37, პუნქტი 5).

105. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მსგავსი თხოვნების განხილვისაგან განსხვავებით, რომლებიც წარდგენილი იქნა პირველი სისხლის სამართალწარმოებისას, ხელისუფლება, რომელმაც მეორე საქმეზე მიიღო გადაწყვეტილებები, არასოდეს ამტკიცებდა გაქცევის საშუალების არსებობას; მის მიერ მითითებული საფუძვლები იყო, ერთი მხრივ, საიდუმლო შეთანხმების, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხე.

პირველი საფუძველი არ ექვემდებარება განხილვას. საპოლიციო გამოძიება, რომელზეც ბრძანება გასცა გამომძიებელმა მოსამართლემ განზრახ გაკოტრების ქმედებებთან მიმართებაში, ფაქტობრივად დაინყო 1964 წლის 31 აგვისტოს, ხოლო რინგაიზენი დაკითხული იქნა 1964 წლის 3 სექტემბერს, შემდეგ კი – 1964 წლის 20 ოქტომბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 49). თუმცა იგი თავისუფალი რჩებოდა თითქმის ხუთი თვის განმავლობაში ამ დღიდან. თუ მოინდომებდა მოწმეთა მოსყიდვას – დაუშვავთ, რომ გამომძიებელ მოსამართლეს ამგვარი აზრი დაბადებოდა – მას ყოველთვის ჰქონდა ამის შესაძლებლობა დროის ხსენებულ ინტერვალში.

107. რაც შეეხება სხვა სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხეს, ძირითადი საჩივარი, რომელმაც განაპირობა რინგაიზენის მიმართ ახალი ბრალდების წაყენება, წარმოადგენდა მტკიცებებს, რომ მას ჰქონდა ფიქტიური საქმიანი ურთიერთობები სადაზღვევო კომპანიასთან იმ მიზნით, რომ თავისი კრედიტორებისაგან დაემალა ფულადი თანხა, რომელიც კომპანიას მისთვის საკომისიოს სახით უნდა გადაეხადა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 53 და 61).

ამგვარად, განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული ფაქტები თარიღდება 1964 წლის პირველი ნახევრიდან. ინტერვალის დროს დანიშნული იქნა დროებითი მმართველი, 1965 წლის 23 მარტს, მთელი რიგი კრედიტორების თხოვნის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 51). გარდა ამისა, რინგაიზენი გაკოტრებულად გამოცხადდა 1965 წლის 14 მაისს, რის შედეგადაც, იმ დღიდან მოყოლებული, მას არათუ აღარ შეეძლო თავისი ქონების განკარგვა, არამედ ვერ მიიღებდა ვალს პირადად, თუ მას, სადაზღვევო კომპანიის გარდა, ჰყავდა სხვა მოვალეებიც (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 52).

შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობა განზრახ გაკოტრების საქმეზე, სულ მცირე 1965 წლის 14 მაისიდან, გადასცილდა გონივრულ ვადას.

108. იგივე ითქმის რინგაიზენის პატიმრობაზე თაღლითობის საქმეზე ამ პერიოდის ძირითად ნაწილთან მიმართებაში.

ზემოხსენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ხელახალი დაპატიმრების შესახებ 1965 წლის 12 მაისის შემდეგ მიუთითებდა რინგაიზენის გაქცევისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენის საფრთხეზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 61-76). თუმცა ზუსტი ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი 1965 წლის 12 მაისის შემდეგ წარმოშობილი პირობების შესახებ, რომლებსაც ეფუძნებოდა ამგვარი საფრთხის არსებობა ან გამეორება.

ეს შენიშვნა განსაკუთრებით ეხება სხვა დანაშაულების ჩადენის საფრთხეს. როგორც ლინციის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 1963 წლის 19 დეკემბერს, როდესაც განიხილავდა რინგაიზენის გათავისუფლების საკითხს, საქმე წარმოადგენდა საზოგადოებრივ ინტერესს და, ამდენად, ნაკლებად შესაძლებელი ჩანდა, რომ რინგაიზენს სხვა მყიდველები მოენახა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 58). მინდობილობაზე აბსოლუტურმა უარმა ნებისმიერ შემთხვევაში სამართლებრივად შეუძლებელი გახადა ნაკვეთების გაყიდვის შესახებ რაიმე ახალი მოლაპარაკების წარმოება 1963 წლის შუა პერიოდიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 17, 18 და 58).

1965 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების ახსნა აშკარად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ 1965 წლის 15 მარტიდან რინგაიზენი იმყოფებოდა პატიმრობაში იმ მოსამართლის ორდერის საფუძველზე, რომელიც იკვლევდა ბრალდებებს განზრახ გაკოტრების საქმეზე; მთავრობის ერთმა ადვოკატმა განმარტა, რომ გადაწყვეტილება თავისთავად ძლიერს თუ იქნებოდა გამართლებული ავსტრიის კანონმდებლობაში. დომინირებადი როლი, რომელიც დასაწყისში შეასრულა დროებითმა პატიმრობამ განზრახ გაკოტრების საქმეზე, კვლავ ნათელი გახდა რამდენიმე თვის შემდეგ: 1965 წლის 24 და 27 სექტემბერს რინგაიზენმა გააკრიტიკა ორი გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოძიებელმა მოსამართლემ ორივე შემთხვევაში არ დააკმაყოფილა მისი თხოვნები გათავისუფლების შესახებ. გარდა ამისა, საქმის მასალები შეიცავს მოსამართლეთა პალატის მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და რომელიც მიღებული იქნა 1965 წლის 10 ნოემბერს განზრახ გაკოტრების საქმეზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 64; იხ. აგრეთვე პუნქტი 65).

109. მიუხედავად ამისა, მთავრობამ კვლავ მიუთითა, რომ რინგაიზენი მსჯავრდებული იყო თაღლითობისათვის 1966 წლის 14 იანვარს; აქედან გამომდინარე, მთავრობამ დაასკვნა, რომ პატიმრობა, რომელსაც იგი უწოდებს *Überhaft*-ს, იმ დღიდან განსხვავებული ხასიათით განხორციელდა და გამოირიცხა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტიდან, რადგან მას ცალსახად მოიცავდა მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტი. ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობა

დაეყრდნო *Wemhoff*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში ჩამოყალიბებულ აზრს (სერია A, გვ. 23-24, პუნქტი 9).

ამის საწინააღმდეგოდ, კომისიამ სთხოვა სასამართლოს, გადაეხედა გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მან მიიღო აღნიშნული საკითხის თაობაზე ადრინდელ საქმეში, ან თუნდაც მისი ინტერპრეტაცია მოეხდინა იმგვარად, რომ პატიმრობა მსჯავრდების შემდეგ ითვლება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების სფეროში, სანამ გადაწყვეტილება მსჯავრდებასთან დაკავშირებით გახდება საბოლოო იმ შემთხვევებში, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ (წინასწარი) პატიმრობის დროებითი ხასიათის დროს პატიმრობა ექვემდებარება იმავე პირობებს და უზრუნველყოფს დაპატიმრებულ პირებს იმავე გარანტიებით.

სასამართლო არ თვლის აუცილებლად, გამოხატოს თავისი აზრი მთავრობისა და კომისიის მტკიცებებთან დაკავშირებით ამ საკითხებთან მიმართებაში. ფაქტობრივად, ახალი პატიმრობა (*Überhaft*), რომლის შესახებ ბრძანებაც მიღებული იქნა 1965 წლის 12 მაისს და გაგრძელდა 1967 წლის 15 მარტამდე თაღლითობის საქმეზე, მთლიანად ხვდება წინასწარი პატიმრობის ფარგლებში განზრახ გაკოტრების საქმეზე, რომლის შესახებ ბრძანება მიღებული იქნა 1965 წლის 15 მარტს და დამთავრდა 1967 წლის 20 მარტს. ახალი პატიმრობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ სხვა პატიმრობით. 1966 წლის 14 იანვარს რინგაიზენის მსჯავრდებამ არ შეცვალა აღნიშნული მდგომარეობა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ საწინააღმდეგოდ რინგაიზენის 1966 წლის 14 იანვრის გათავისუფლების შესახებ თხოვნისა იმ სასამართლოს მიმართ, რომელმაც მას მსჯავრი დასდო თაღლითობისათვის, პროკურორმა განაცხადა, რომ მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას რინგაიზენისთვის არავითარი აზრი არ ექნებოდა, რამეთუ იგი, ამავდროულად, პატიმრობაში იმყოფებოდა სხვა ბრძანების საფუძველზე განზრახ გაკოტრების საქმეზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 67)

მართალია, 1966 წლის 30 ნოემბერს ლინციის სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ რინგაიზენი ვერაფერს მიაღწევდა განზრახ გაკოტრების საქმეზე გათავისუფლებით, რამეთუ იგი სხვა საქმეზეც იყო დაპატიმრებული (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 73), მაგრამ ასეთი მსჯელობა ემსახურება მხოლოდ იმას, რომ დამტკიცდეს ურთიერთკავშირი, რომელიც ყოველთვის არსებობს ორ პატიმრობას შორის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 108). დაადგინა რა, რომ პატიმრობა განზრახ გაკოტრების საქმეზე გადასცილდა გონივრულ ვადას, რომელიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს დასკვნა ვრცელდება რინგაიზენის მთლიან პატიმრობაზე 1967 წლის 20 მარტამდე – გათავისუფლებამდე.

III. გადასცილდა თუ არა რინგაიზენის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობა გონივრულ ვადას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში

110. სასამართლო იზიარებს კომისიის აზრს, რომ თაღლითობის საქმეზე სამართალწარმოების ხანგრძლივობა – წინასწარი გამოძიება დაიწყო 1963 წლის 21 თებერვალს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1968 წლის 24 აპრილს – განაპირობა როგორც საქმის სირთულემ, ისე რინგაიზენის უამრავმა თხოვნამ და სააპელაციო საჩივარმა, რომლებიც ეხებოდა არა მარტო მის გათავისუფლებას, არამედ კომპეტენტურ მოსამართლეთა უმრავლესობისა და საქმის აცილებასაც.

ძირითადად, ეს შეესაბამება სამართალწარმოებასაც განზრახ გაკოტრების საქმეზე, ყოველ შემთხვევაში, გამოძიებას 1966 წლის 24 მარტს ბრალდების წაყენებამდე. თუნდაც შემდგომი პერიოდისათვის გასაგებია, რომ პროკურორს კეთილგონივრულად მიაჩნდა, ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტების მჭიდრო კავშირისა და იმ ფაქტების გამო, რომლებსაც ეფუძნებოდა ბრალდება თაღლითობისათვის, დაეცადა საბოლოო მსჯავრდებასა და სასჯელამდე თაღლითობის საქმეზე ბრალდების უარყოფამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად. ეს ხსნის, თუ რატომ იყო ერთ ადგილზე გაყინული სამართალწარმოება განზრახ გაკოტრების საქმეზე.

ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. იმ საკითხის შესახებ, იყო თუ არა რინგაიზენი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი სამართალწარმოებისას, რომელიც მან წამოიწყო, რათა მოეპოვებინა თანხმობა უძრავი ქონების – საფერმერო მიწის – გადაცემასთან დაკავშირებით,

1. ადგენს ერთხმად, რომ სასამართლოს აქვს იურისდიქცია, განიხილოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ამ თვალსაზრისით არ ყოფილა ამონაწერი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები;
2. ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ეს მტკიცება არ არის დასაბუთებული;
3. ადგენს ერთხმად, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოიყენება ზემოხსენებულ სამართალწარმოებასთან მიმართებაში;
4. ადგენს ერთხმად, რომ ზემოხსენებული სამართალწარმოებისას ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;

II. იმ საკითხის შესახებ, გადასცილდა თუ არა რინგაიზენის პატიმრობა გონივრულ ვადას მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით,

5. ადგენს ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ განმცხადებლის პატიმრობა წარმოადგენდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას 1965 წლის 14 მაისიდან 1966 წლის 14 იანვრამდე;
6. ადგენს ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ აგრეთვე 1966 წლის 14 იანვრის შემდეგ და 1967 წლის 20 მარტამდე პატიმრობა წარმოადგენდა კონსტიტუციის იმავე მუხლის დებულებების დარღვევას;
7. განმცხადებელს უნარჩუნებს უფლებას, რომ, თუ საამისოდ იქნება საფუძველი, მიმართოს სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის ამ დარღვევებთან მიმართებაში;

III. იმ საკითხის შესახებ, გადასცილდა თუ არა რინგაიზენის წინააღმდეგ განხორციელებული სამართალწარმოების ხანგრძლივობა გონივრულ ვადას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში,

8. ადგენს ერთხმად, რომ ხსენებული სამართალწარმოების დროს ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

შესრულებულია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1971 წლის 16 ივლისი. ფრანგული ტექსტი არის ავთენტური.

ხელმოწერა: ჰ. პოლინი,
პრეზიდენტი

ხელმოწერა: ჯ. ფ. სმიტი,
რეგისტრატორის მოადგილე,
რეგისტრატორის სახელით

კონვენციის 51-ე (2) მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 50-ე (2) მუხლის შესაბამისად წინამდებარე განაჩენს თან ერთვის შემდეგი განსხვავებული აზრები:

- მოსამართლე ვოლდისა და მოსამართლე სიგურჯონსონის აზრი;
- მოსამართლე ვერდროსის აზრი;
- მოსამართლე პოლმბოკის აზრი;
- მოსამართლე ზეკიას აზრი.

მოსამართლე ვოლდისა და მოსამართლე სიგურჯონსონის ერთობლივი განსხვავებული აზრი

რაც შეეხება იურისდიქციას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 84), მოსამართლე ვოლდი და მოსამართლე სიგურჯონსონი მიუთითებენ თავიანთ განსხვავებულ აზრზე *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეში, მაგრამ თავს ვალდებულად თვლიან, გაითვალისწინონ სასამართლოს წევრთა უმრავლესობის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოსამართლე ვერდროსის განსხვავებული აზრი

ვწუხვარ, რომ არ ვეთანხმები პალატის გადანყვეტილებას ორ მთავარ საკითხზე.

1. პირველ რიგში, არ შემიძლია დავეთანხმო განაჩენში მითითებულ ინტერპრეტაციას კონვენციის 26-ე მუხლთან დაკავშირებით შემდეგი მიზეზების გამო:

26-ე მუხლის ფრანგული ტექსტის თანახმად, კომისიისთვის მიმართვა შეიძლება *saisie* მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის შემდეგ, ხოლო ინგლისური ტექსტი ითვალისწინებს, რომ კომისიას „შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამონურული იქნება შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება“. ორი თანაბრად ავთენტური ტექსტის არსებობისას კომისიას არ შეუძლია, შეარჩიოს ტექსტი, რომელიც უფრო პრაქტიკულად მიაჩნია, მაგრამ უნდა ეცადოს, მონახოს ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც, ხელშეკრულების საგნისა და მიზნის გათვალისწინებით, საუკეთესოდ „მოიყვანს შესაბამისობაში“ აღნიშნულ ტექსტებს (ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, მუხლი 33, პუნქტი 4).

უდავოა, რომ ფრანგულ ტერმინს – *saisir* – აქვს გამოკვეთილი და კონკრეტული მნიშვნელობა მაშინ, როდესაც ინგლისურ გამოთქმას „განხილვას“ აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, რადგან ხელისუფლების თითოეული ქმედება მისთვის წარდგენილ საქმესთან მიმართებაში მოიცავს „განხილვას“. ამდენად, ეს გამოთქმა გულისხმობს კომისიის მიერ საქმის რეგისტრაციას; აქედან ამკარად გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ფრანგული ტექსტი შეიძლება ეთანხმებოდეს ორივე ტექსტს.

ეს ინტერპრეტაცია გამყარებულია ჩვენს მიერ იმ ფაქტითაც, რომ ზმნა „განხილვა“ (*saisir*) მიუთითებს ორ პირობაზე 26-ე მუხლში, კერძოდ, შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვასა და ექვსთვიან ვადაზე. თუ მისაღები იქნება კომისიის მიერ შემუშავებული ინტერპრეტაცია, რომლის ფარგლებშიც ტერმინი „განხილვა“ (*saisir*) გულისხმობს „განაცხადთან დაკავშირებით მსჯელობას“ (*s'occuper d'une affaire*), შეიძლება აბ-

სურდული დასკვნის გამოტანა, რომ კომისიას განხილვა შეუძლია საბოლოო შიდა გადაწყვეტილების მიღებიდან მხოლოდ ექვსი თვის ვადაში.

ჩემი ინტერპრეტაცია დადასტურებას პოულობს 27-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებულ დებულებაში, რომელიც ავალდებულებს კომისიას, უარი თქვას ნებისმიერ პეტიციაზე 26-ე მუხლის სანინაალმდეგოდ. აქედან გამომდინარე, კომისიას არ შეუძლია გადაწყვიტოს, არის თუ არა შესრულებული განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვებადობის პირობები *ex nunc* ანუ საქმის განხილვის დაწყების დროს: კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი, როგორც ასეთი, *ex tunc* 26-ე მუხლის პირობებს.

ამ ინტერპრეტაციის სანინაალმდეგოდ კომისია და პალატა მიუთითებენ პრაქტიკაზე საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტებიდან. უდავოა, რომ 26-ე მუხლი მიუთითებს „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე“. თუმცა ამ მუხლზე მითითება ხდება 26-ე მუხლის სპეციალური დებულებების ფარგლებში და ეს შეიძლება მოხდეს იმიტომ, რომ საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვას არ მიიჩნევს *jus cogens*-ის ნაწილად. ამგვარად, 26-ე მუხლის სპეციალური პირობები დომინირებს საერთაშორისო სამართლის ზოგად წესებზე. ამ მიზნით ზედმეტად მიმართა საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

არც 26-ე მუხლში მოცემულ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება ამ მუხლის მიზანი, რადგან ყველა დებულება, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო იურისდიქციას შესაბამის სფეროში, მიმართულია სახელმწიფოების დასაცავად საერთაშორისო დონეზე პასუხისმგებლობისაგან, სანამ მათ აქვთ შესაძლებლობა, გამოასწორონ დანაშაული, რომელიც, შესაძლოა, ჩადენილია ქვემდგომი ორგანოს მიერ. შესაბამისად, ამ კატეგორიის თითოეული დებულება მკაცრად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

არა ვარ დარწმუნებული, რომ უფრო მიზანშეწონილი არ იქნებოდა 26-ე მუხლის შეცვლა იმ სახით, რომლითაც პალატამ მოახდინა მისი ინტერპრეტაცია, მაგრამ კომისია და სასამართლო ვალდებულნი არიან, გამოიყენონ კონვენცია, როგორც იგი შემუშავებულია მაღალი ხელშემკერევი სახელმწიფოების მიერ. საერთაშორისო სასამართლოს მსგავსად, ჩვენი სასამართლოს „ვალდებულებაა“, „მოახდინოს ხელშეკრულებათა ინტერპრეტაცია და არა მათი გადასინჯვა“ (1950 წლის 18 ივლისის საკონსულტაციო დასკვნა სამშვიდობო ხელშეკრულებების ინტერპრეტაციის შესახებ, 1950 წლის მოხსენებები, გვ. 229).

2. არც მაშინ შემიძლია, დავეთანხმო პალატას, როდესაც იგი აცხადებს, რომ განმცხადებლის პატიმრობა 1966 წლის 14 იანვარს მისი მსჯავრდების შემდეგ წარმოადგენდა მხოლოდ პატიმრობის ვადის გაგრძელებას განზრახ გაკოტრების საქმეზე. სავარაუდოდ, როდესაც დაუპირისპირდა განცხადებას გათავისუფლების თაობაზე 1966 წლის 14 იანვარს, პროკუ-

რორმა მიუთითა, რომ რინგაიზენისათვის არაფერს ნიშნავდა თაღლითობის საქმეში გათავისუფლება, რადგან იგი, ამავდროულად, იმყოფებოდა პატიმრობაში განზრახ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით. თუმცა ლინცის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც 1966 წლის 2 მარტს დააკმაყოფილა პროკურორის სააპელაციო საჩივარი, გარკვევით აღნიშნა, რომ რინგაიზენის პატიმრობის ძირითადი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ თაღლითობის საქმეზე მსჯავრდების შემდეგ არსებოდა მისი გაქცევის მომეტებული საფრთხე, ვინაიდან მას მძიმე სასჯელი მოელოდა.

ფაქტობრივად, არ შეიძლება სადავო გახდეს საკითხი, რომ გაქცევის საფრთხემ შეიძლება ნამოჭრას მომენტი, როდესაც პირი, რომელიც თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და, შესაბამისად, არ ფიქრობს მიმალვაზე, აღმოჩნდება მოულოდნელი მსჯავრდების ახალ სიტუაციაში. თუნდაც თვითონ პირი უარყოფდეს ამგვარი საფრთხის არსებობას, არავის შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლომ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერდა დამატებით პატიმრობას თაღლითობის საქმეზე, თუმცა არ არსებობდა დაკავების აუცილებლობა რინგაიზენისათვის გაქცევაში ხელის შეშლის მიზნით, რადგან იგი პატიმრობაში იმყოფებოდა განზრახ გაკოტრების საქმეზეც. სააპელაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან მოყოლებული, დომინირებადი გახდა პატიმრობა თაღლითობის საქმეზე.

1966 წლის 6 ივლისსა და 30 ნოემბერს ლინცის სააპელაციო სასამართლომ გათავისუფლების შესახებ სხვა თხოვნების უარყოფისას კვლავ განმარტა, რომ არსებობდა გაქცევის საფრთხე, რომელიც განპირობებული იქნებოდა განსაკუთრებით თაღლითობისათვის დაკისრებული სასჯელის სიმკაცრით. მეორე გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ რინგაიზენი ვერავითარ სარგებლობას ვერ მიიღებდა განზრახ გაკოტრების საქმეზე გათავისუფლებით, რადგან იგი იმყოფებოდა პატიმრობაში თაღლითობის საქმეზეც, რომლისთვისაც მსჯავრი დაედო და 1966 წლის 18 ოქტომბერს შეეფარდა მკაცრი პატიმრობა ხუთი წლის ვადით.

და ბოლოს, რინგაიზენი გათავისუფლდა სააპელაციო სასამართლოს 1967 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით იმ საფუძველზე, რომ გარემოებები, რომლებიც შეეხებოდა მისი მიმალვისა და ახალი დანაშაულების ჩადენის საფრთხეს თაღლითობის საქმეზე, სრულიად შეიცვალა, მაშინ, როდესაც მისი პატიმრობა განზრახ გაკოტრების საქმეზე შეწყდა მხოლოდ მისი გათავისუფლების შესახებ პირველი ბრძანების შედეგად.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ თაღლითობის საქმეზე მსჯავრდებისა და სასჯელის შეფარდების შემდეგ, 1966 წლის 14 იანვარს, რინგაიზენი კვლავ რჩებოდა პატიმრობაში, უპირველეს ყოვლისა, გაქცევის საფრთხის მიზეზით, რომელიც განაპირობა მსჯავრდებამ და სასჯელმა, აგრეთვე იმავე საქმეზე მეორე სასჯელის შეფარდებამ 1966 წლის 18 ოქტომბერს. შესაბამისად, ხსენებულ პატიმრობას არეგულირებდა უკვე არა მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტი, არამედ მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტი, როგორც

ალიარა სასამართლომ *Wemhoff*-ის საქმეში და როგორც მოსამართლე ზეკიას განსხვავებული აზრი გარკვევით მიუთითებს წინამდებარე საქმეში.

წინამდებარე საქმეში ზემოხსენებული საფუძვლები ძალაშია *a fortiori*, როდესაც მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის არც ერთი პირობა არ არის შესრულებული. ფაქტობრივად, რინგაიზენი არ გამოცხადდა სააპელაციო სამართალწარმოებისას მის ბრალეულობასთან დაკავშირებით, ხოლო საოლქო სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა ფაქტები და გამოტანილი ვერდიქტი ბრალეულობის შესახებ, რომელიც არსებითად არ შეცვალა უზენაესმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე, არავის შეუძლია იმის თქმა, რომ თუნდაც ამ ვერდიქტის შემდეგ რინგაიზენი მხოლოდ ეჭვმიტანილი იყო დანაშაულის ჩადენაში მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის მნიშვნელობისათვის.

მოსამართლე პოლმბოკის განსხვავებული აზრი

ჩემი აზრით, ავსტრიის ხელისუფლებას (გამომძიებელ მოსამართლეს, ლინცის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა პალატას, ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს, თვითონ საოლქო სასამართლოს, ლინცის სააპელაციო სასამართლოს) ჰქონდა საკმარისი საფუძვლები, არ დაეკმაყოფილებინა რინგაიზენის თხოვნები გათავისუფლების შესახებ პროცესის განმავლობაში. შესაბამისად, მე არ ვუერთდები ევროპული სასამართლოს უმრავლესობას დასკვნაში, რომ ავსტრიის რესპუბლიკამ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

მოსამართლე ზეკიას განსხვავებული აზრი

ამ საქმეში ორი ძირითადი საკითხი შემდეგში მდგომარეობს:

1. იყო თუ არა რინგაიზენი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი

- (ა) იმ სამართალწარმოებასთან მიმართებაში, რომელიც მან წამოიწყო, რათა ავსტრიის ხელისუფლებას დაემტკიცებინა საფერმერო მიწის ნაკვეთის გადაცემა მის სახელზე;
- (ბ) დროის ხანგრძლივობასთან მიმართებაში მის წინააღმდეგ წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების განაზღვრისას;

2. გადასცილდა თუ არა რინგაიზენის პატიმრობის პერიოდები გონივრულ ვადას, რასაც ითვალისწინებს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თვალსაზრისით სიამოვნებით მივმართავ სასამართლოს განაჩენს. №1 საკითხთან დაკავშირებით მოწინებთ ვიზიარებ სასამართლოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და დასკვნებს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კერძოდ, იმას, გადასცილდა თუ არა რინგაიზენის პატიმრობა სასამართლო პროცესში გონივრულ ვადას, არ შემიძლია, დავეთანხმო ჩემს განსწავლულ კოლეგებს, რომლებიც წარმოადგენენ სასამართლოს უმრავლესობას. აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად, მოკლედ ჩამოვყალიბებ ჩემს მოსაზრებებს.

რინგაიზენის პატიმრობის დროის დაყოფა შეიძლება სამ პერიოდად:

1-ლი პერიოდი გაგრძელდა 1963 წლის 5 აგვისტოდან 1963 წლის 23 დეკემბრამდე;

მე-2 პერიოდი გაგრძელდა 1965 წლის 15 მარტიდან 1966 წლის 14 იანვრამდე – ამ უკანასკნელ დღეს მას მსჯავრი დაედო;

მე-3 პერიოდი გაგრძელდა 1966 წლის 14 იანვრიდან (მსჯავრდებიდან) 1967 წლის 20 მარტამდე (გათავისუფლებამდე).

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საეარაუდო დარღვევის განხილვისას ზემოხსენებული პატიმრობის სამი პერიოდის შეკრება რომ შემძლებოდა, დაუბრკოლებლად შევუერთდებოდი უმრავლესობას და ვცნობდი აესტრიის რესპუბლიკის მხრიდან კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას. თუმცა, ჩემი აზრით, ჩვენ არ შეგვიძლია მხედველობაში მივიღოთ, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასების მიზნით რინგაიზენის პატიმრობა მისი მსჯავრდების შემდგომ. ამგვარი პატიმრობა, რომელიც განხორციელდა ან გრძელდება მსჯავრდების შემდეგ, არ შეიძლება ჩაითვალოს იმავე საფუძველზე პატიმრობად, მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის შესაბამისად, რომელსაც ცალსახად უკავშირდება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. მეორე მხრივ, ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ პატიმრობა, მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის შესაბამისად, თუნდაც იგი აშკარად არ იყოს გაუქმებული, შეიძლება კვლავ ჩაითვალოს პატიმრობად მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მას შემდეგ, რაც დაპატიმრებული პირი მსჯავრდებულთა კომპეტენტური სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, პატიმრობაში მყოფ პირს მსჯავრდების შემდგომ არ შეუძლია იჩივლოს თავისუფლების აღკვეთის თაობაზე, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება მხოლოდ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ, რომლებიც ელოდებიან თავიანთ სასამართლო პროცესს. ამასთან დაკავშირებით მე შემიძლია მივუთითო მე-9 პუნქტზე *Wemhoff*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში (1968 წლის 27 ივნისი).

ვეთანხმები რა მსჯავრდებისა და პატიმრობის სასჯელის წინააღმდეგ მსჯავრდებული პირის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარსა და ბათილობის შესახებ საჩივრის შემაჩერებელ ეფექტს – და ამას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამართლის ზოგიერთ სისტემაში, რომელიც დომინირებს კონტინენტზე – მე ჯერ კიდევ შორს ვდგავარ იმ აზრისაგან, რომ პატიმრობის პერიოდი მსჯავრდების შემდგომ ხვდება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების ფარგლებში.

ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც წარმოადგენს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველს, ჩემი აზრით, მოცემულია მე-6 (2) მუხლში: „ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“

მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტი აშკარად ითვალისწინებს, რომ პირს შეიძლება მართლზომიერად აღეკვეთოს თავისუფლება კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ. აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ იცვლება დამნაშავეობის პრეზუმფციით. დამნაშავეობის პრეზუმფცია ექვემდებარება გასაჩივრებას; იგი ხდება საბოლოო და გადამწყვეტი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ან იმ დროის გასვლის შემდეგ, რომელიც დასაშვებია სააპელაციო საჩივრის შესატანად, თუ იგი არ არის შეტანილი ამგვარი მსჯავრდების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა განმცხადებლის პატიმრობის თაობაზე 1966 წლის 14 იანვარს მისი მსჯავრდების შემდეგ.

წამოყენებული იქნა არგუმენტი, რომ რინგაიზენი დაპატიმრებული იყო არა 1966 წლის 14 იანვრის შემდეგ მისი მსჯავრდების ძალით, არამედ მხოლოდ პატიმრობის შესახებ 1965 წლის 15 მარტის ბრძანების საფუძველზე – განზრახ გაკოტრების ბრალდებასთან მიმართებაში – რაც, ფაქტობრივად, მოქმედებდა მსჯავრდების შემდეგაც, მის გათავისუფლებამდე ამ საქმეზე. აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება მსჯავრდების შემდეგ არ შეიძლება ჩაითვალოს მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის შესაბამისად. განმცხადებლის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრისა და ბათილობის შესახებ განცხადების შემაჩერებელი ეფექტის მხედველობაში მიღებით და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რაც ამასთან დაკავშირებით ითქვა სასამართლოში ბრალდების მხარის ადვოკატის მიერ, ამ აზრს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა ამის წინააღმდეგ შეიძლება წამოიჭრას შემდეგი საკითხები: მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის პატიმრობის სახე, რომელსაც ახლა განვიხილავთ, ხორციელდება მე-5 მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის შესაბამისად. ამდენად, იმისათვის, რომ დადგინდეს პატიმრობის მართლზომიერება მსჯავრდების შემდგომ პერიოდში მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისათვის, ჩვენ უნდა შევვძიოთ იმის თქმა, რომ განმცხადებლის პატიმრობას ამ პერიოდის განმავლობაში არ დაუკარგავს თავისი თავდაპირველი ხასიათი. მე ძალიან სადავოდ მიმაჩნია მსჯელობის ეს მიმდინარეობა და ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო სანინააღმდეგო აზრს ვემხრობი.

1966 წლის მსჯავრდება რინგაიზენის პატიმრობასთან დაკავშირებით არ გაუუქმებია რომელიმე სასამართლო ხელისუფლებას, ხოლო ბრალდება თაღლითობისათვის 78 მყიდველთან მიმართებაში დაამტკიცა უზენაესმა სასამართლომ. სასჯელის გადასინჯვა სხვა საკითხებთან ერთად დაუბ-

რუნდა საქმის განმხილველ სასამართლოს. გარდა ამისა, 1965 წლის 12 მაისამდე ლინცის საოლქო სასამართლომ მიიღო ბრძანება რინგაიზენის დაპატიმრების შესახებ თალლითობის საქმეზე. მართალია, სამართალწარმოება გაკოტრების საქმეზე შეიძლება არ ყოფილა დასაბუთებული მტკიცებულებით და, ფაქტობრივად, მოგვიანებით გაუქმდა კიდეც, ძირითადი ბრალდება თალლითობაში დამთავრდა მსჯავრდებით, რომელიც დაამტკიცა სააპელაციო სასამართლომ.

ყველაზე მეტი, რაც შეიძლება ითქვას, არის ის, რომ განმცხადებლის მსჯავრდების შემდეგ მისი პატიმრობის საფუძველები არ არის ნათელი. მაგრამ თუ ვინმე გონივრულად მოიფიქრებს ერთ საფუძველზე მეტს ამგვარი პატიმრობისათვის და თუ ერთი საფუძველი მაინც არსებობს, რომელიც გაამართლებდა პატიმრობის ვადის გაგრძელებას, ეს საკმარისი იქნებოდა, რომ მესამე პერიოდი გამორიცხულიყო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის განხილვის სფეროდან.

მხედველობიდან არ უნდა იქნეს გამორჩენილი ის ფაქტი, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ძირითადი მიზანია, დაცვას წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი, რათა იგი არ დარჩეს იქ იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს გონივრულად არის აუცილებელი საქმის მოსამზადებლად და გადანყვეტილების მიღების მიზნით სასამართლოსთვის წარსადგენად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მიზანია, რომ ეჭვმიტანილი არ იმყოფებოდეს პატიმრობაში სათანადო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში და არ დაისაჯოს მხოლოდ ეჭვის საფუძველზე. 1966 წლის იანვარში კომპეტენტური სასამართლოს მიერ მტკიცებულების მოსმენისა და მსჯავრდების შემდეგ ძალიან ძნელია იმის აღიარება, რომ დასაშვებია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება.

ამ მიზეზებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ რინგაიზენის პატიმრობის პერიოდი 1966 წლის 14 იანვრიდან 1967 წლის 20 მარტამდე არ შეიძლება დაემატოს პატიმრობის სხვა პერიოდებს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევის განხილვისას.

რაც შეეხება ორ დარჩენილ პერიოდს:

პატიმრობის პირველი პერიოდი გაგრძელდა მხოლოდ ოთხი თვისა და თვრამეტი დღის განმავლობაში. თავისთავად, ეს პერიოდი არ არის არაგონივრულად ხანგრძლივი იმ მრავალი თალლითობის გამოძიებისათვის, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩაიდინა განმცხადებელმა.

შეგვიძლია 1-ლი და მე-2 პერიოდების ერთობლივად განხილვა? მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ამის გაკეთება მართლზომიერად შეგვეძლება. სავარაუდოდ თალლითობა 78 მყიდველთან მიმართებაში და ქონების განზრახ მისაკუთრების რამდენიმე შემთხვევა წინ უსწრებდა განზრახ გაკოტრებაში ბრალდებებს, რომელთა გამოძიებაც გაცილებით გვიან დაიწყო.

მსგავსი დანაშაულები, ჩადენილი დროის მოკლე პერიოდში, გონივრულად უნდა ჩაითვალოს, რომ იქნება განხილული მომკვლევე ორგანოე-

ბის მიერ. ეჭვმიტანილს, რომელიც იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, შეუძლია მოითხოვოს დაცვა, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მთელი დროის მანძილზე ერთჯერად. მაგრამ როდესაც განსხვავებული დანაშაულები ჩადენილია ან აღმოჩენილია გაცილებით გვიან და იმავე ეჭვმიტანილს კვლავ აკავებენ და ათავსებენ წინასწარ პატიმრობაში შემდგომში ჩადენილი დანაშაულებისათვის, იწყება ახალი გამოძიება და პატიმრობის ახალი ვადა აითვლება. ამგვარ შემთხვევაში სრულიად გამართლებულია მომკვლევო ხელისუფლების ქმედება, განხილვიდან გამორიცხოს პატიმრობის წინა პერიოდები, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია დროისა და ადგილის ურთიერთკავშირი. ამგვარ საქმეებში პატიმრობის სხვადასხვა პერიოდი უნდა იქნეს განხილული ცალ-ცალკე და არა ერთობლივად, თუნდაც დანაშაულთა უკანასკნელი ჯგუფი გარკვეულწილად უკავშირდებოდეს პირველ ჯგუფს.

ახლა განვიხილავ, უთანაბრდება თუ არა პატიმრობის მეორე პერიოდი, ცალკე აღებული, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას. არა ვარ დარწმუნებული, რომ საქმის მოცემულ გარემოებებში ადგილი აქვს დარღვევას.

პატიმრობის მეორე პერიოდი გრძელდებოდა ათი თვის განმავლობაში. ხელისუფლებას, მათ შორის გამომძიებელ მოსამართლეებს, მოუხდა მრავალი სამართალდარღვევის გამოკვლევა, რომლებიც, სავარაუდოდ, რინგაიზენმა ჩაიდინა. განმცხადებელს უწყვეტად შეჰქონდა სხვადასხვა სახის განცხადებები და საჩივრები სასამართლოებსა და ხელისუფლების სხვა ორგანოებში. ამ საჩივრებში იგი ამტკიცებდა მოსამართლეთა და სხვა ხელისუფალთა მიკერძოებულობას, აცილებას უცხადებდა მოსამართლეებს და აკრიტიკებდა სასამართლოთა შემადგენლობას. მისი საჩივრები სრულიად დაუსაბუთებელი იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ბოროტად იყენებდა უფლებას სასამართლო პროცესზე, რასაც შედეგად მოჰყვა გამოძიების დროს სამართალწარმოების ზედმეტად გახანგრძლივება და პროცესის დასრულების გაჭიანურება, ხელს უშლიდა რა საქმის განმხილველი სასამართლოსთვის საქმის წარდგენას. მომჩივანის საქციელმა აშკარად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი პატიმრობის ვადის გაგრძელებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ მიმაჩნია, რომ მოცემულ გარემოებებში ავსტრიის ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

სელმუნი საფრანგეთის
წინააღმდეგ

Selmouni v. France

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმე „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Selmouni v. France*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა დიდი პალატის სახით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“), რომელშიც ცვლილებები იქნა შეტანილი №11 ოქმით¹, 27-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის² შესაბამისი დებულებების თანახმად. დიდი პალატა შემდეგი მოსამართლეებისგან შედგებოდა:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, პრეზიდენტი,

ბ-ნი ლ. ფერარი ბრავო,

ბ-ნი გ. ბონელო,

ბ-ნი ლ. კაფლისჩი,

ბ-ნი პ. კურისი,

ბ-ნი ყ.-პ. კოსტა,

ბ-ნი ვ. ფურმანი,

ბ-ნი კ. იუნგვიერტი,

ბ-ნი მ. ფიშბახი,

ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი,

ქ-ნი ნ. ვეჯიკი,

ბ-ნი ჯ. ჰედიგენი,

ქ-ნი ვ. ტომასენი,

ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,

ბ-ნი ტ. პანტირუ,

ბ-ნი რ. მარუსტე,

ბ-ნი კ. ტრაჯა,

აგრეთვე, რეგისტრატორის მოადგილე – ქ-ნი მ. დე ბოერ-ბუკიკიო.

იმჯველა რა განმარტოებით 1999 წლის 18 მარტს, 24 ივნისსა და 7 ივლისს,

1999 წლის 7 ივლისს სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

* რეგისტრატორის შენიშვნა

1-2 მე-11 ოქმი და სასამართლოს რეგლამენტი ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბერს.

1. საქმე სასამართლოს წარუდგინეს ადამიანის უფლებათა ევროპულ-მა კომისიამ (შემდგომში „კომისია“), როგორც ეს დადგენილია კონვენციის ადრე მოქმედი მე-19 მუხლით², და ნიდერლანდების მთავრობამ, შესაბამისად, 1998 წლის 16 მარტსა და 1998 წლის 14 აპრილს, იმ სამთვიანი ვადის ფარგლებში, რომელიც დადგენილია კონვენციის ადრე მოქმედი 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით. საქმეს საფუძვლად უდევს ნიდერლანდებისა და მაროკოს მოქალაქის – ბ-ნი აჰმედ სელმუნის – მიერ 1992 წლის 28 დეკემბერს კომისიაში საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ კონვენციის ადრე მოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი განაცხადი (25803/94).

კომისიის თხოვნა მიუთითებდა ადრე მოქმედ 44-ე და 48-ე მუხლებსა და დეკლარაციაზე, რომლითაც საფრანგეთმა ცნო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (ადრე მოქმედი მუხლი 46); ნიდერლანდების მთავრობის განაცხადი მიუთითებდა ადრე მოქმედ 48-ე მუხლზე. თხოვნისა და განაცხადის მიზანი იყო გადაწყვეტილების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლითა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.

2. სასამართლოს ადრე მოქმედი რეგლამენტი A³ 33-ე მუხლის მე-3 (დ) პუნქტის შესაბამისად დასმული კითხვის პასუხად ბ-ნმა სელმუნიმ განაცხადა, რომ სურდა საქმის მოსმენაში მონაწილეობის მიღება, და დაასახელა ადვოკატი, რომელიც დაიცავდა მის ინტერესებს (რეგლამენტის ადრე მოქმედი მუხლი 30).

3. როგორც პრეზიდენტი პალატისა, რომელიც შედგა (კონვენციის ადრე მოქმედი 43-ე მუხლი და რეგლამენტის ადრე მოქმედი 21-ე მუხლი), რათა მოეგვარებინა, კერძოდ, პროცედურული საკითხები, რომლებიც შესაძლოა წამოჭრილიყო №11 ოქმის ძალაში შესვლამდე, ბ-ნი რ. ბერნჰარდტი, იმ დროისათვის სასამართლოს პრეზიდენტი, რეგისტრატორის მეშვეობით მოეთათბირა მთავრობათა წარმომადგენლებს, განმცხადებლის ადვოკატსა და კომისიის დელეგატებს წერილობითი პროცედურის ორგა-

² მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, დაემატა რა მე-19 მუხლი, სასამართლო ფუნქციონირებს მუდმივ საფუძველზე.

³ რეგისტრატორის შენიშვნა. სასამართლოს რეგლამენტი A ეხებოდა ყველა იმ საქმეს, რომელიც შეტანილი იყო სასამართლოში მე-9 ოქმის ძალაში შესვლამდე (1994 წლის 1 ოქტომბერი) და აქედან მოყოლებული 1998 წლის 31 ოქტომბრამდე -- მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც შეტანილი იყო იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებისთვისაც ოქმი არ იყო სავალდებულო.

ნიზების შესახებ. მიღებული ბრძანების შესაბამისად, რეგისტრატორმა განმცხადებლის მიმოხილვა მიიღო 1998 წლის 27 ნოემბერს, ხოლო საფრანგეთის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) და ნიდერლანდების მთავრობის მიმოხილვები – 1998 წლის 7 დეკემბერს.

4. 1998 წლის 1 ნოემბერს № 11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, ოქმის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქმე გადაეცა სასამართლოს დიდ პალატას, რომელშიც *ex officio* ნევრების სახით შევიდნენ ბ-ნი ყ.-პ. კოსტა, საფრანგეთის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი – სასამართლოს პრეზიდენტი, ქ-ნი ე. პალმი – სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი და ბ-ნი მ. ფიშბახი – სექციის ვიცე-პრეზიდენტი (კონვენციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-3 და მე-5 (ა) პუნქტები). დიდი პალატის სხვა ნევრები იყვნენ: ბ-ნი ფერარი ბრავო, ბ-ნი ლ. კაფლისჩი, ბ-ნი პ. კურისი, ბ-ნი ვ. ფურმანი, ბ-ნი კ. იუნგვიერტი, ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი, ქ-ნი ნ. ვეჯიკი, ბ-ნი ჯ. პედიგენი, ქ-ნი ვ. ტომასენი, ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა, ბ-ნი ტ. პანტირუ, ბ-ნი ე. ლევიტსი და ბ-ნი კ. ტრაჯა (რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი და მე-100 მუხლის მე-4 პუნქტი). შემდგომში შემცვლელმა მოსამართლეებმა – ბ-ნმა გ. ბონელომ და ბ-ნმა რ. მარუსტემ – შეცვალეს ქ-ნი პალმი და ბ-ნი ლევიტსი, რომლებსაც არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საქმის შემდგომ განხილვაში (რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-5 (ბ) პუნქტი).

5. სასამართლოს მოწვევის საფუძველზე (რეგლამენტის 99-ე მუხლი) კომისიამ ერთ ნევრს – ბ-ნ დ. სვაბის – გადასცა დიდი პალატის წინაშე სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლებამოსილება.

6. პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოსმენა ჩატარდა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1999 წლის 18 მარტს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ბ-ნი ყ.-ფ. დობელი, სამართლებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმომადგენელი, ქ-ნი მ. დუბროკარი, ადამიანის უფლებათა დირექტორის თანაშემწე, სამართლებრივ საქმეთა დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო,

ქ-ნი ფ. დუბლე, შედარებითი და საერთაშორისო სამართლის სამსახურის უფროსი, სამოქალაქო თავისუფლებათა და სამართლებრივ საქმეთა დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო,

ბ-ნი ყ.-კ. მულე, სისხლის სამართლის საქმეთა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტი, იუსტიციის სამინისტრო, – მრჩეველები;

განმცხადებლის სახელით :

ქ-ნი მ.-ა. კანუ-ბერნარი, პარიზის ადვოკატურიდან, ადვოკატი;

კომისიის სახელით:

ბ-ნი დ. სვაბი, დელეგატი.

სასამართლო მოისმინა ბ-ნ სვაბის, ქ-ნ კანუ-ბერნარისა და ბ-ნ დობელის მიმართეები.

ფაქტები

7. ბ-ნი სელმუნი არის ნიდერლანდებისა და მაროკოს მოქალაქე. იგი დაბადებულია 1942 წელს. ამჟამად იმყოფება მონმედის ციხეში (საფრანგეთი).

ა. საჩივრის წარმოშობა და შეტანა

8. 1991 წლის 20 ნოემბერს პოლიციამ დააკავა გერეი ტარეკი, დომინიკ კელეჯიანი და ბ-ნი კელეჯიანის მეგობარი გოგონა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული გამოძიების თაობაზე ბ-ნი დე ლაროსიეს, ბობინის *tribunal de grande instance*-ს გამომძიებელი მოსამართლის, მითითების საფუძველზე. დომინიკ კელეჯიანმა ნებაყოფლობით განუცხადა პოლიციას, რომ მან ჰერონი იყიდა ამსტერდამში ვინმე „გაბისაგან“, რომელიც ამავე დროს მას წამლის დამალვაში დაეხმარა, რათა შემდგომში საფრანგეთში შემოეტანა რამდენიმე ჯერზე. მანვე პოლიციას მისცა ტელეფონის ნომერი ამსტერდამში, რითაც ხელი შეუწყო განმცხადებლის დადგენას.

9. 1991 წლის 25 ნოემბერს ბ-ნი სელმუნი დაკავებული იქნა პარიზში სასტუმროში. მას შემდეგ, რაც ამოიცნეს დომინიკ კელეჯიანმა და მისმა მეგობარმა გოგონამ, ბ-ნმა სელმუნიმ განმარტა, რომ საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა დომინიკ კელეჯიანთან ტანსაცმლით ვაჭრობის სფეროში და უარყო ყოველგვარი მონაწილეობა ნარკოტიკებით ვაჭრობაში.

10. ბ-ნი სელმუნი პოლიციაში იქნა დაპატიმრებული 1991 წლის 25 ნოემბრის საღამოს ცხრის ნახევრიდან 1991 წლის 28 ნოემბრის საღამოს 7 საათამდე. იგი დაკითხული იქნა ბობინის სან-სენ-დენის სისხლის სამართლის საგამომძიებო დეპარტამენტის (*SDPJ93*) პოლიციის ოფიცრების მიერ.

11. ბ-ნი სელმუნი პირველად დაკითხული იქნა 1991 წლის 26 ნოემბერს დილის 12.40 საათიდან 1.30 საათამდე პოლიციის ოფიცრების მიერ, რომელთა წინააღმდეგ მან შემდგომში შეიტანა საჩივარი. დაკითხვისა და სასამართლოს საკნებში დაბრუნების შემდეგ მას ჰქონდა ძლიერი შეტევა. ციხის

მოხელემ იგი წაიყვანა სასწრაფო დახმარების განყოფილებაში ჟან ვერდიეს საავადმყოფოში, ბონდში, დილის 3 საათსა და 15 წუთზე. ქვემოთ მოცემული სასწრაფო დახმარების განყოფილების სამედიცინო დასკვნები:

„გამოკვლევის თარიღი: 1991 წლის 26 ნოემბერი, დილის 3 საათი და 15 წუთი. შეინიშნება დაზიანება ძალადობის შედეგად. გამოკვლევისას ნაპოვნია რამდენიმე ზედაპირული სილურჯე და დაზიანება ორივე ხელზე, სილურჯე სახის მარცხენა მხარეზე, სილურჯე მარცხენა პიპოხოზდრიაზე. კეფაზე აქვს სილურჯის ნიშნები. გულმკერდის არეში ტკივილი ძლიერდება ღრმა სუნთქვისას. ნევროლოგიური გამოკვლევა არ ადასტურებს რაიმე ანომალიას.“

12. 1991 წლის 26 ნოემბერს გამომძიებელმა მოსამართლემ გააგრძელა პოლიციაში პატიმრობის ვადა ორმოცდარვა საათით. ბ-ნი სელმუნი რამდენჯერმე იქნა დაკითხული: საღამოს 4.40-დან 5.10 საათამდე, 7 საათზე, 8-დან 8.15 საათამდე და 10.25-დან 11.30 საათამდე. იმავე დღეს ბ-ნი სელმუნი გასინჯა ექიმმა აუსტინმა, რომელმაც შემდეგი დასკვნა გამოიტანა:

„სილურჯე მარცხენა ქუთუთოზე, ხერხემლის ქვემოთ. სკალპი დაზიანებული აქვს.“

13. 1991 წლის 27 ნოემბერს ბ-ნი სელმუნი დაკითხული იქნა დილის 11 საათსა და 40 წუთზე. მისი ხელახალი გამოკვლევისას ექიმმა აუსტინმა შემდეგი შენიშვნები გააკეთა:

„სერიოზული სილურჯე მარცხენა ქუთუთოზე, მარცხენა ხელზე, ხერხემლის ქვემოთ. სილურჯე სკალპზე. გუშინდელი დღის მერე არაფერი უჭამია... გამოთქვა საჩივრები.“

14. 1991 წლის 28 ნოემბერს დილის 9.30-დან 10.45 საათამდე დაკითხვის შემდეგ ბ-ნი სელმუნი კვლავ გასინჯა ექიმმა აუსტინმა, რომელმაც სამედიცინო ცნობაში აღნიშნა:

„სილურჯე მარცხენა ქუთუთოზე, მარცხენა ხელზე, ხერხემლის ქვემოთ. სილურჯე სკალპზე. მკურნალობას არ გადის.“

15. 1991 წლის 29 ნოემბერს დილის 11 საათსა და 30 წუთზე განმცხადებელი გამოკვლეული იქნა ექიმ ედერის, ზოგადი პრაქტიკოსის, მიერ. ბ-ნი სელმუნის თხოვნის საფუძველზე მან გასცა ცნობა, რომლის თანახმადაც ბ-ნი სელმუნი პრეტენზიას გამოთქვამდა ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით. ცნობაში მითითებული იყო:

„თავის ტკივილი, სილურჯე ორივე თვალთან, ორივე ხელზე, ხერხემალზე, გულმკერდის არეში, ორივე ბარძაყსა და მარცხენა მუხლზე. ყველა ეს არე მტკივნეულია.“

16. იმავე დღეს განმცხადებელი წარდგენილი იქნა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, რომელმაც ბრალი დასდო სამართალდარღვევებში საშიში ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ კანონმდებლობის წინააღმდეგ და აიყვანა პატიმრობაში. გამომძიებელი მოსამართლის წინაშე ბ-ს სელმუნის პირველი წარდგენისას მოსამართლემ თავისი ინიციატივით დანიშნა ექიმი გარნიე, პარიზის სამართლოს სააპელაციო კოლეგიის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, რათა გაეხინჯა ბ-ს სელმუნი, „რომელიც ჩიოდა პოლიციაში პატიმრობისას ცუდად მოპყრობის შესახებ“ და კიდევ ერთი პირი – ბ-ნი აბდელმაჯიდ მადი, რომელიც დაკავებული იქნა 1991 წლის 26 ნოემბერს და იმავე სამართალდარღვევებში ედებოდა ბრალი.

17. 1991 წლის 2 დეკემბერს განმცხადებელი ფლერი-მეროგის ციხის სამედიცინო დეპარტამენტის ექიმმა ნიკომ გასინჯა. ბ-ნი სელმუნის თხოვნის საფუძველზე გაცემულ სამედიცინო ცნობაში ექიმმა აღნიშნა:

„... სილურჯე მთელ სხეულსა და ბარძაყებზე, აგრეთვე სერიოზული სილურჯე თვალების არეში. წარმოადგენს კონიუნქტივის სილურჯეს. როგორც ამბობს, მარცხენა თვალში მხედველობა დაზიანებული აქვს.“

18. 1991 წლის 7 დეკემბერს ექიმმა გარნიემ, გამომძიებელი მოსამართლის მიერ დანიშნულმა ექსპერტმა, განცხადებელი ციხეში გასინჯა. ბ-ნმა სელმუნიმ განუცხადა ექიმს:

„1991 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით დილის 9 საათზე, გამაჩერეს ქუჩაში. მაშინ არანაირი პრობლემა არ წარმოქმნილა. წამიყვანეს სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდი. ექსიდან ერთ-ერთმა გადაცმულმა პოლიციელმა დამარტყა მარცხენა საფეთქლის არეში. შემდეგ წამიყვანეს ბოზინის პოლიციის განყოფილებაში. დაახლოებით დილის 10 საათზე ამიყვანეს მეორე სართულზე, სადაც დაახლოებით რვა ადამიანი დაამიწყო ცემა. მე მუხლებზე დავეცი. პოლიციის ერთმა მოხელემ თმაში მტაცა ხელი. მეორე პოლიციელი განუწყვეტილად მიმტყამდა თავში რაღაც საგანს, რომელიც ბეისბოლის ხელჯოხს ჰგავდა, კიდევ ერთი ზურგის არეში მცემდა. დაკითხვა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ღამით მოვითხოვე ექსპერტიზა. წამიყვანეს საავადმყოფოში, სადაც რენტგენზე გამიშუქეს თავისა და გულმკერდის არე. შემდგომი დაკითხვისას, მომდევნო დღის საღამოს, დაახლოებით 9 საათზე, კვლავ მცემეს, რაც დილის 2 საათამდე გრძელდებოდა. როდესაც ჩამომიყვანეს ფლერიში, გავიარე სამედიცინო ექსპერტიზა.“

19. ექიმი თავის დასკვნაში აღნიშნავს:

- „ქვეორბიტული ჰემატომა, რომელიც ვრცელდება 2 სმ-ის სიღრმეზე მარცხენა ქუთუთოს ქვემოთ, მონითალო ფერის, თითქმის მთლიანად მორჩენილია,
 - დაახლოებით 1 სმ-ის სიგრძის ჭრილობა, რომელიც ვრცელდება მარცხენა ნარბის გასწვრივ,
 - ერთი ქვეორბიტული ჰემატომა მარჯვენა მხარეზე, თითქმის მთლიანად მორჩენილია,
 - მრავალრიცხოვანი (მათ შორის ექვსი მძიმე) დაჟეჟილობა, რომელთაგან ზოგიერთი მარცხენა ხელზე თითქმის მთლიანად მორჩენილია,
 - ორი 5 სმ-იანი დაჟეჟილობა – შესაძლოა ჭრილობა – მარჯვენა ხელზე,
 - 0,5 სმ-ის დაზიანება მარჯვენა ხელის უკანა მხარეს,
 - ჰემატომა გულმკერდის არეში, მარჯვენა მხარეთან ახლოს,
 - ერთი ჰემატომა მარჯვენა მხარეს,
 - მძიმე ჰემატომა (10-5 სმ) გულმკერდის მარცხენა მხარეს,
 - სამი ჰემატომა მარცხენა მხარეს,
 - მძიმე ჰემატომა (5-3 სმ) გულმკერდის წინა მხარეს, მონითალო ფერის, ეპიგასტრიულ არეში,
 - ჰემატომა მარჯვენა წინაპეპათიტურ არეში,
 - ჰემატომა გულმკერდის არეში მარცხენა მხარეს, მკერდიდან 5 სმ-ით ქვემოთ,
 - 5-3 სმ-ის ჰემატომა ილლიის მარცხენა მხარეს,
 - ჰემატომა მარჯვენა კუნთის არეში,
 - მარჯვენა დუნდულის ჰემატომა,
 - მარცხენა დუნდულის 10-5 სმ-ის სიგრძის ჰემატომა,
 - 5-1 სმ-ის გასწვრივი ჰემატომა მარცხენა ბარძაყის წინა მხარეს,
 - კანის დაზიანება, უთანაბრდება ჭრილობას, რომელიც მორჩენის სტადიაშია, მარჯვენა კოჭის წინა მხარეს,
 - შეშუპება მარჯვენა ტერფის უკანა მხარეს და კანის დაზიანება ტერფის უკანა მხარეს
 - ხუთი ზედაპირული ჭრილობა, რომლებიც მორჩენის სტადიაშია, მარჯვენა ფეხის ქვედა წინა მხარეს,
 - მარცხენა ხელის პირველ ორ მეტაკარალზე უკანა მხარეს დალურჯებული შეშუპება და კანის დაზიანება.
- პაციანტი აცხადებს, რომ ფლერიში ჩამოსვლის შემდეგ მას მკურნალობდნენ კანის მალამოებით და აძლევდნენ ტკივილგამაყუჩებლებს. არ შეინიშნება რაიმე დაზიანება სკალპისა და მარცხენა თვალის კაკალთან...“

20. დასკვნის თანახმად:

„დასკვნა

ბ-ნი სელმუნი აცხადებს, რომ პოლიციაში პატიმრობისას მას ცუდად ექცეოდნენ.

მას აქვს სხეულის ტრავმული დაზიანებები, რომლებიც მიღებულია იმ დროს, როდესაც პატიმრობაში იმყოფებოდა.

ეს დაზიანებები ექვემდებარება მკურნალობას.“

21. აღნიშნული დასკვნა თან ერთვის საგამოძიებო საქმეს, რომელიც გაიხსნა განმცხადებელთან მიმართებაში. 1991 წლის 11 დეკემბერს გამოძიებელმა მოსამართლემ საქმე პროკურატურას გაუგზავნა.

22. 1992 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით გამოძიებელმა მოსამართლემ განმცხადებელი გადასცა სისხლის სამართლის სასამართლოს და მოითხოვა მისი წინასწარ პატიმრობაში აყვანა.

23. 1992 წლის თებერვალში ბობინის *tribunal de grande instance*-ს პროკურატურამ ეროვნული პოლიციის ინსპექციას მისცა პოლიციის შესაბამისი მოხელეების დაკითხვის მითითება.

24. 1992 წლის 1 დეკემბერს ფლერი-მეროგის ციხეში ეროვნული პოლიციის ინსპექციის მოხელის მიერ განმცხადებლის დაკითხვის დროს ამ უკანასკნელმა დაადასტურა თავისი ადრინდელი განცხადებები:

„1991 წლის 25 ნოემბრის საღამოს, დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე, ჩემი სასტუმროს, *Terminus Nord*-ის, მახლობლად, *Gare du Nord*-თან ახლოს, პარიზში, დამაპატიმრა ორმა-სამმა გადაცემულმა პოლიციელმა. მათ კედელთან მიმაყენეს და ყელზე იარაღის ლულები მომაბჯინეს.

დაკავების დროს არც წინააღმდეგობა გამინევია და არც ბრძოლა დამიწყია.

თქვენ შემახსენებთ, რომ 1992 წლის 27 ნოემბერს მე ვალიარე დაკავებიდან გაქცევის მცდელობა. მე ვაპროტესტებ ამას. პირველ რიგში, ვამტიციებ, რომ ასეთი განცხადება არ გამიკეთებია პოლიციის ოფიცრისათვის, რომელმაც დამკითხა, გარდა ამისა, დაკითხვის ოქმის ჩანაწერს ნაუკითხვად მოვანერე ხელი. პოლიციაში პატიმრობიდან გათავისუფლებისას პოლიციელმა მითხრა, რომ მან მაიძულა, ხელი მომენერა იმაზე, თითქოს წინააღმდეგობა გაუწიე დაკავების დროს.

დაკავების დროს მარტო ვიყავი. მაშინვე წამიყვანეს სასტუმროს ოთახში, რომელიც ჩემი თანდასწრებით გაჩხრიკეს. ორი პოლიციელი უკვე იქ დაგვხვდა.

სანამ ისინი ჩხრეკდნენ ჩემს ოთახს, ყველაზე ახალგაზრდა პოლიციელმა მარცხენა საფეთქელთან დამარტყა. როდესაც მათ დაამთავრეს ჩხრეკა, წამიყვანეს ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილებაში, ბობინიში, და ამიყვანეს მეორე თუ მესამე სართულზე.

მას შემდეგ, რაც მთლიანად გამჩხრიკეს და ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ჩამომართვეს, ხუთმა პოლიციელმა დაიწყო ჩემი დაკითხვა.

ერთმა მათგანმა, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელი ჩანდა, მაიძულა მუხლებზე დადგომა და დამიწყო თმებით თრევა, ხოლო მეორემ ნეკნებში დამარტყა ჯოხი, რომელიც ბეისბოლის ხელჯოხის ჰგავდა.

შემდეგ თავში მირტყამდა ამ ჯოხს.

სხვა სამი პოლიციელიც აქტიურად მცემდა. ზოგიერთი მათგანი ფეხებზე შემდგა და მანებებდა.

როგორც მახსოვს, ბობინის პოლიციის განყოფილებაში დავბრუნდი დაახლოებით საღამოს 10 საათზე. მოპყრობა, რომელიც ზემოთ აღვწერე, დაახლოებით დილის 1 საათამდე გრძელდებოდა.

პირველი დაკითხვის შემდეგ გადამცეს ფორმიან პოლიციელებს შენობის პირველ სართულზე, სადაც ვიყავი დაკავებული. რადგან ცემისაგან ნეკნები და თავი მტკიოდა, ამის შესახებ ვაცნობე პოლიციელებს, როლებმაც ღამით ნამიყვანეს იმ რაიონის საავადმყოფოში, მაგრამ არ ვიცი, რომელში. იქ გავიარე რამდენიმე შემონმება, მათ შორის, რენტგენზე გაშუქება, ხოლო მოგვიანებით დამაბრუნეს პოლიციის განყოფილებაში, მაგრამ არა იმაში, სადაც პირველად მიმიყვანეს.

ფორმიანი პოლიციელები კარგად მექცეოდნენ.

მომდევნო დილით, სანამ მეორედ დამკითხავდნენ, გამსინჯა ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების ექიმმა, რომელმაც ჩემს სხეულზე პოლიციელთა სისასტიკის ნაკვალევი დაინახა.

1992 წლის 26 ნოემბერს კვლავ დამკითხა პოლიციის რამდენიმე ოფიცირმა – სამმა თუ ოთხმა – დღის რომელიღაც მონაკვეთში. ვფიქრობ, დაახლოებით დილის 10 საათი იქნებოდა. ამ დროს თმებით მითრიეს და რამდენიმეჯერ ჯოხი დამარტყეს.

იმავე საღამოს, როდესაც მეორე სართულზე რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდა, კვლავ დამკითხა ექვსმა პოლიციელმა, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით მექცეოდნენ. მათ ხელჯოხებითა და ბეისბოლის ხელჯოხით მცემეს. ყველა მათგანი მონანილებოდა ჩემზე განხორციელებულ ძალადობაში დილის 1 საათამდე. ვფიქრობ, რომ ცუდად მოპყრობის პროცესი დაიწყო დაახლოებით საღამოს 7 საათზე. დროის ერთ მონაკვეთში მაიძულეს შენობის გრძელ დერეფანში გასვლა, სადაც ერთ-ერთი ოფიცერი, ალბათ, ჯგუფის ხელმძღვანელი, თმაში მწვდა და დერეფანში მათრია. ამ დროს სხვები მეორე მხარეს იდგნენ.

მათ შემიყვანეს ოთახში, რომელშიც ქალი იჯდა, და დამარტყეს. შემდეგ თმაში მომიკიდეს ხელი და უთხრეს ქალს: „ნახე, შენ ახლა სიმღერას გაიგონებ.“

იქ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ვიყავი. ვერ აგინერთ იმ ქალს, მაგრამ მახსოვს, რომ ახალგაზრდა იყო.

შემდეგ გამომიყვანეს უკან კარიდორში, სადაც ერთ-ერთმა პოლიციელმა ამოიღო პენისი, მომიახლოვდა და მითხრა: „აჰა, მონუნე ეს“; ამ მომენტით

სათვის დაჩოქილი ვიყავი. მან პენისი მომიტანა ბაგეებთან, მე კი წინააღმდეგობას ვუწევდი.

მას შემდეგ, რაც ვიუარე, თავისი კოლეგის რჩევით ამ პოლიციელმა დამაშარდა.

ამის შემდეგ წამიყვანეს სხვა ოთახში და დამემუქრნენ დადალვით, თუ არ ავლაპარაკდებოდი. მე უარი ვთქვი. მათ აანთეს ორი სარჩილავი ლამპა, რომლებიც შეერთებული იყო გაზის ორ პატარა ბალონთან. მათ დაჯდომა მაიძულეს, ხოლო ლამპები დაანყვეს ერთი მეტრის მოშორებით ჩემი ტერფებიდან, რომლებზეც ფეხსაცმელი არ მეცვა, ამავდროულად, მცემდნენ. შემდეგ მათ ამოიღეს შპრიცი და მისი გაკეთებით დამემუქრნენ. როდესაც ეს დავიზახე, გავიხიე სახელო და ვუთხარი: „მიდით, თუ გაბედავთ“. როგორც ვფიქრობდი, მათ არ შეასრულეს მუქარა.

ჩემმა რეაქციამ პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ახალი ტალღა გამოიწვია და კვლავ არასათანადოდ მომეპყრნენ.

პოლიციელებმა დაახლოებით 15 წუთით თავი დამანებეს, ხოლო ამის შემდეგ ერთ-ერთმა მითხრა: „თქვენ, არაბებს, მოგწონთ, როდესაც გხმარობენ“. ამის შემდეგ გამაკავეს, გამხადეს და ერთ-ერთმა პოლიციელმა ანუსში შემიყო პოლიციელის პატარა შავი ხელჯოხი.

შენიშვნა: როდესაც ბ-ნი სელმუნი ამ სცენას ყვება, ტირილს იწყებს.

მე ვიცი, რომ რაც ახლა გითხარით, ძალიან მძიმე მოსასმენია, მაგრამ ყველაფერი სიმართლეა. მე სინამდვილეში დავექვემდებარე ამგვარ მოპყრობას.

სექსუალური ძალადობის შემდეგ კვლავ წამიყვანეს საკანში.

მომდევნო დღეს შემამონმა ექიმმა, რომელმაც შეაფასა ჩემი მდგომარეობა.

მე ვაცნობე ექიმს, რომ პოლიციელებმა ძალადობა განახორციელეს ჩემს მიმართ, ვთხოვე კიდეც, რომ ეთქვა მათთვის, შეენყვიტათ ამგვარი მოპყრობა.

ძალადობა, რომელიც აღვწერე, გრძელდებოდა 1991 წლის 25-26 და 26-27 ნოემბრის ღამის საათებში.

გამომძიებელი მოსამართლის წინაშე წარდგენამდე დროდადრო მცემდნენ.

როდესაც ხელი მოვანერე დოკუმენტებს ჩემს ნივთებთან დაკავშირებით, შევნიშნე, რომ აღარ იყო 2,800 გულდენი და ფირმა „დიუპონის“ სანთებელა. ამის შესახებ შევატყობინე პოლიციელს, რომელიც, ალბათ, უფროსი იყო. მან უხეშად მიპასუხა და რეაგირება არ მოუხდენია.

სანთებელას აქვს ინიციალები „A.Z.“

მე შემიძლია იმ ექვსი პოლიციელის ამოცნობა, რომლებმაც მცემეს.

ასევე შემიძლია აღვწერო, თუ რა მონაწილობა მიიღო თითოეულმა მათგანმა ჩემს ცემაში.

უფროსი ოფიცერი ოდნავ მელოტია. მეორე დაახლოებით 30-35 წლისაა, ქერა თმები აქვს.

როგორც კი წარმადგინეს გამოძიებული მოსამართლის წინაშე, ვუთხარი მას ჩემზე განხორციელებული ძალადობის შესახებ. რამდენიმე დღის შემდეგ გავიარე შემონმება ციხეში. თუმცა იმ დღეს, როდესაც წარვდექი გამოძიებული მოსამართლის წინაშე, ბობინის სასამართლოში დავინახე ექიმი.

მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში მყავდა ადვოკატი, რომელსაც შევატყობინე, თუ როგორ მეპყრობოდნენ პოლიციაში.

როდესაც ციხეში დაებრუნდი, სხეულზე მეტყობოდა ფიზიკური ძალადობის ნიშნები. ამჟამად პრობლემები მაქვს მხედველობასთან დაკავშირებით. მე საჩივარი შემაქვს პოლიციელების წინააღმდეგ."

25. დაკითხვის ოქმის ჩანაწერი გაეგზავნა ბობინის პროკურორს 1992 წლის 2 დეკემბერს, როგორც №B.92.016.5118/4 სამართალწარმოების ნაწილი.

26. 1992 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ბობინის სისხლის სამართლის სასამართლოს მეცამეტე განყოფილებამ განმცხადებელს შეუფარდა პატიმრობა თხუთმეტი წლით და სამუდამო გაძევება საფრანგეთის ტერიტორიიდან. რაც შეეხება საბაჟო ხელისუფლების მიერ აღძრულ სამოქალაქო სამართალწარმოებას, მას სხვა თანაბრადებულებთან ერთად ებრძანა ოცდაათი მილიონი ფრანგული ფრანკის ნაწილ-ნაწილ გადახდა. 1993 წლის 16 სექტემბრის განაჩენით პარიზის სააპელაციო სასამართლომ შეუმცირა პატიმრობის ვადა 13 წლამდე, ხოლო განაჩენის დანარჩენი ნაწილი უცვლელი დატოვა. 1994 წლის 27 ივნისს საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი.

27. პატიმრობაში ყოფნისას ბ-ნი სელმუნი გადიოდა რეგულარულ მკურნალობას *Hôtel-Dieu*-ს საავადმყოფოში.

ბ. საგამომძიებლო სამართალწარმოება

28. 1993 წლის 1 თებერვალს განმცხადებელმა ბობინის *tribunal de grande instance*-ს უფროსი გამოძიებელი მოსამართლის სახელზე შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ განცხადებასთან ერთად. კერძოდ, იგი ჩიოდა: „ფიზიკური ძალადობით მიყენებული სხეულის დაზიანების გამო, რამაც იგი გამოუსადეგარი გახადა მუშაობისათვის რვა დღეზე მეტი ხნის განმავლობაში; ძალადობისა და ჭრილობის იარაღით (ბეისბოლის ხელჯოხით) მიყენების გამო; გარყვნილი ქმედებების გამო; ძალადობის გამო, რამაც გამოიწვია მუდმივი ინვალიდობა (ერთ თვალში მხედველობის დაკარგვა); გაუპატიურების გამო ორი თუ მეტი თანამონაწილის დახმარებითა და ნაქეზებით; ყველა ეს დანაშაული ჩადენილი იქნა 1991 წლის 25-29 ნოემბერს პოლიციის ოფიცრების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას“.

29. 1993 წლის 22 თებერვალს №B.92.016.5118/4 სამართალწარმოებისას ბობინის პროკურორმა მოითხოვა, რომ დაწყებულიყო გამოძიება ბ-ნი სელმუნის მიერ შეტანილი საჩივრის, აგრეთვე თანაბრალდებული ბ-ნი მადის ანალოგიური საჩივრის საფუძველზე. საჩივრები ეხებოდა უცნობი პირისა თუ პირთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს დაუცველ ადამიანებზე განხორციელებული ძალადობისა და მათთვის იარაღის გამოყენებით ჭრილობების მიყენებისათვის, აგრეთვე გარყვნილი ქმედებებისათვის. განმცხადებლის მიერ 1993 წლის 1 თებერვალს შეტანილი საჩივარი რეგისტრაციაში 1993 წლის 15 მარტს გატარდა. ახალ სამართალწარმოებას სხვა ნომერი მიენიჭა – B.93.074.600/9.

30. 1993 წლის 27 აპრილს ქ-ნმა მარიმ, ბობინის *tribunal de grande instance*-ს გამომძიებელმა მოსამართლემ, რომელსაც დაენერა საქმე, ეროვნული პოლიციის ინსპექციის დირექტორს მისცა ოფიციალური მითითებები, მიელო ყველა საჭირო ღონისძიება სიმართლის დადგენის მიზნით. მოხსენებების წარდგენის საბოლოო დღედ 1993 წლის 15 ივნისი განისაზღვრა.

31. 1993 წლის 9 ივნისს ექიმმა გარნიემ, ქ-ნი მარის თხოვნის საფუძველზე, ხელახლა გამოიკვლია ბ-ნი სელმუნი. თავის დასკვნაში, რომელიც მან 1993 წლის 21 ივნისს წარადგინა, შემდეგი მოსაზრებები ჩამოაყალიბა:

„როდესაც პირველად გამოვიკვლიე ბ-ნი სელმუნი, მან განაცხადა, რომ პოლიციაში პატიმრობისას დაუზიანდა ჯანმრთელობა. დღეს კი მითხრა, რომ მაშინ არ უხსენებია ექსპუალური ძალადობა, რადგან სირცხვილის გრძნობას განიცდიდა.

ანალოგიური ხერხის გამოკვლევამ არ გამოავლინა სხეულის დაზიანება, რაც დაადასტურებდა ან გააქარწყლებდა პაციენტის განცხადებებს, მით უმეტეს, თუ გაეთვალისწინებთ სავარაუდო აქტებიდან დროის გასვლას.

სომატური დაზიანებები, რომლებიც აღნიშნულია წინა სამედიცინო ცნობაში, ექვემდებარება მკურნალობას შემდგომი გართულების გარეშე.

რაც შეეხება სავარაუდო გაუპატიურებას, რაიმე ფუნქციური შედეგების ან გარეგანი დაზიანების არაარსებობის გამო არ არის აუცილებელი მუშაობისათვის გამოუსადეგრობის საფუძველზე სელმუნის დროებითი გათავისუფლება [ITTP], როგორც პირდაპირი შედეგი სავარაუდო ქმედებებისა.

მუშაობისათვის სრული გამოუსადეგრობა

სხეულის დაზიანებები, რომლებიც მითითებულია პირველ სამედიცინო ცნობაში და აღნიშნებოდა ბ-ნი სელმუნის პირველი ექსპერტის დასკვნის მომზადების დროს, არის ტრავმული ხასიათის, მძიმე მარჯვენა მხარის გარეშე (არაერთი ჰემატომა და სილურჯე) და საჭიროა დროებითი გათავისუფლება მუშაობისათვის გამოუსადეგრობის საფუძველზე 5 დღის ვადით.

დასკვნა

ბ-ნი სელმუნი აცხადებს, რომ პოლიციაში პატიმრობისას მასზე განახორციელეს სექსუალური ძალადობა და სცემეს.

ტრავმული ხასიათის დაზიანებების გამო საჭიროა მისი დროებით გათავისუფლება მუშაობისათვის გამოუსადეგრობის საფუძველზე 5 დღით. პაციენტი აცხადებს, რომ მარცხენა თვალში დაუზიანდა მხედველობა. საჭიროა მისი შემონმება თვალის სპეციალისტის მიერ, რათა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი სავარაუდო ქმედებებთან.

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, რაიმე გარეგანი დაზიანების ან ფუნქციური შედეგების არარსებობის გამო დროებითი გათავისუფლება მუშაობისათვის გამოუსადეგრობის საფუძველზე არ არის აუცილებელი.

32. 1993 წლის 15 ივნისის ბრძანებაში გამომძიებელმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ერთსა და იმავე სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ორი საჩივრის ერთი ნომრით – B.92.016.5118/4 – გაერთიანების თაობაზე.

33. მან განმცხადებელი 1993 წლის 14 მაისს დაკითხა, 1993 წლის 9 ივნისს დანიშნა ექსპერტი და 1993 წლის 15 სექტემბერს მხარეებს გადასცა სამედიცინო ექსპერტის დასკვნა.

34. 1993 წლის 7 ივლისს განმცხადებელმა გამომძიებელ მოსამართლეს გაუგზავნა 1991 წლის 29 ნოემბრისა და 2 დეკემბრის სამედიცინო ცნობების ასლები, რომლებშიც კვლავ თავის საჩივრებზე მიუთითებდა.

35. 1993 წლის 3 სექტემბრის წერილში, რომელიც განმცხადებელმა გაუგზავნა პარიზის სააპელაციო სასამართლოს მეათე განყოფილების თავმჯდომარეს, რომელსაც უნდა განეხილა განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი საშიში ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ კანონმდებლობის წინააღმდეგ სამართალდარღვევებისათვის მსჯავრდების წინააღმდეგ, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი ბენისბოლის ხელჯოხით გააუპატიურეს და დაამატა, რომ პოლიციელმა დააშარდა. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ზემოხსენებული წერილის გაგზავნამდე ბობინის სისხლის სამართლის სასამართლოს მეცამეტე განყოფილების თავმჯდომარესაც აცნობა იმ ცუდი მოპყრობის შესახებ, რასაც დაექვემდებარა პოლიციაში პატიმრობისას.

36. 1993 წლის 8 ოქტომბრის ოფიციალური ინსტრუქციით გამომძიებელმა მოსამართლემ გაიმეორა 1993 წლის 27 აპრილის მოთხოვნა, რამდენადაც არ იყო დაცული პოლიციის ინსპექციის მიერ მოხსენების წარდგენის ვადა – 1993 წლის 15 ივნისი. მან ასევე ბრძანა, ბ-ნი სელმუნის საქმის მასალები ნაშრომლოთ ფრენსისის ციხის საავადმყოფოდან, ფლერი-მეროგის ციხიდან და *Hôtel-Dieu*-ს საავადმყოფოდან.

37. გამომძიებელმა მოსამართლემ კვლავ დაკითხა სამოქალაქო მხარეები 1993 წლის 6 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც 1993 წლის 2 დეკემბერს მიიღო მტკიცებულება პოლიციის ინსპექციიდან. 1994 წლის 26 იანვარს ოფიციალურად იქნა დანიშნული ადვოკატი განმცხადებლის ინტერესების წარმოსადგენად სამართლებრივი დახმარების პროგრამის ფარგლებში. 1994 წლის 23 ივნისისა და 27 ოქტომბრის წერილებით აღნიშნულმა ადვო-

კატმა განმცხადებელს აცნობა, რომ პრობლემები შეექმნა მისი მონახულების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით.

38. სამოქალაქო მხარეები დაიკითხნენ 1994 წლის 10 თებერვალს. ამავე დღეს იყო დანიშნული დამნაშავეის იდენტიფიკაციის პროცედურა პოლიციის იმ ოფიცრების ამოსაცნობად, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული ბ-ნი სელმუნის ბრალდებები. ბ-ნმა სელმუნიმ ათიდან ოთხი პოლიციელი ამოიცნო. ესენი იყვნენ: ბ-ნი ჟან-ბერნარ ჰერვი, ბ-ნი კრისტოფ სტებლე, ბ-ნი ბრუნო გოტიე და ბ-ნი პატრის ჰურო.

39. სამოქალაქო მხარეთა მიერ ამოცნობილი პოლიციის ოფიცრების ბრალდების წაყენების მიზნით გამოძიებულმა მოსამართლემ 1994 წლის 1 მარტს საქმის მასალები პროკურორს გაუგზავნა.

40. ბობინის პროკურორმა საქმე პარიზის მთავარ პროკურორს, მანკი, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს გადასცა.

41. 1994 წლის 27 აპრილის განაჩენით, მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საქმე ჩამოაცილა ბობინის გამომძიებელ მოსამართლეს და გადასცა ვერსალის *tribunal de grande instance*-ს მოსამართლეს. 1994 წლის 21 ივნისს ვერსალის *tribunal de grande instance*-ს პროკურორმა თავიდან დაიწყო შემდეგი სამართალდარღვევების გამოძიება (საქმე №V.94.172.0178/3):

„საჯარო მოხელეთა მიერ ფიზიკური ძალადობა, რამაც გამოიწვია მუშაობისათვის სრული გამოუსადეგრობა რვა დღეზე მეტი ხნით, და სექსუალური ძალადობა რამდენიმე თავდამსხმელისა თუ თანამონაწილის მიერ ნებისმიერი პირების წინააღმდეგ, რომელთა ვინაობა დადგენილი იქნება გამოძიების შედეგად.“

42. 1994 წლის 22 ივნისს საქმე დაენერა ქ-ნ ფრანსუაზა კარლიე-პრიენს, ვერსალის *tribunal de grande instance*-ს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას.

43. 1994 წლის 8 აგვისტოს გამოძიებულმა მოსამართლემ მოითხოვა, გამოეგზავნათ მისთვის ბ-ნი სელმუნის ორივე სამედიცინო დოკუმენტი ეროვნული პოლიციის ინსპექციის ბეჭდით. შტამპიანი დოკუმენტები მას 1995 წლის 12 აპრილს გაეგზავნა.

44. 1995 წლის 19 სექტემბერს ბ-ნმა სელმუნიმ *Hôtel-Dieu*-ს საავადმყოფოში გაიკეთა ოპერაცია მარცხენა თვალზე.

45. 1995 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით გამოძიებულმა მოსამართლემ მოიწვია თვალის სპეციალისტი, ექიმი ბიარი, ბ-ნი სელმუნის გამოსაკვლევად.

46. 1996 წლის 5 იანვარს სამედიცინო ექსპერტს მიეცა დამატებითი ვადა დასკვნის მოსამზადებლად. 1996 წლის 18 იანვარს წარმოდგენილ დასკვნაში ექიმმა ბიარმა შემდეგი მოსაზრებები ჩამოაყალიბა:

„1. ბ-ნი სელმუნის მხედველობა გაუუარესდა 1995 წლის სექტემბერში ოპერაციის გაკეთების შემდეგ. თუმცა არ შეიძლება დანამდვილებით იმის მტკიცება, რომ მხედველობის გაუარესება მოხდა 1991 წლის 25 ნოემბრიდან 1995 წლის სექტემბრამდე.

2. ძალადობას, რის თაობაზეც ჩივის ბ-ნი სელმუნი, კერძოდ, დარტყმებს, სახის მარცხენა პერიორიტიკულურ არეში შეეძლო გამოეწვია თვალის დაზიანება, მაგრამ მეტამორფოზის ან თუნდაც მხედველობის შემცირების სუბიექტური სიმპტომებისა და ეპირეტინალური მემბრანის დამოუკიდებელი პრობლემის გარდა, თვალზე, კერძოდ, წინა თვალბუდეზე, რაიმე ნაკვალევი აღმოჩენილი არ არის, არც ჰაიმორიტის რაიმე ნიშანი შეინიშნება თვალის ბადისებრ გარსთან, რაც გამონეული იქნებოდა ხანგრძლივი დარტყმებით, რომ მათ შორის კავშირი დადგინდეს. გარდა ამისა, დეგენერაციის ნიშნები იქნა აღმოჩენილი ორგანულ მოშლილობასთან (ახლომხედველობა ორივე თვალზე) მიმართებაში.“

47. 1996 წლის 6 თებერვალს სამედიცინო დასკვნა გადაეცა ბ-ნ სელმუნის, რომელმაც კიდევ ერთხელ მისცა ჩვენება. იგი კვლავ ამტკიცებდა ბრალდებებს ოთხი პოლიციელის მიმართ, რომლებიც ამოიცნო. 1996 წლის 7 მარტს მოსმენილი იქნა მეორე სამოქალაქო მხარის, ბ-ნ მადის, ჩვენება. მადიმ დაასახელა მეხუთე პოლიციელი – ბ-ნი ალექსის ლეკლერი.

48. 1996 წლის 2 მაისის წერილით გამომძიებელი მოსამართლე სთხოვდა სისხლისსამართლებრივი გამოძიების დეპარტამენტის (CID) დირექტორს იმ პოლიციელთა სახელებსა და მისამართებს, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული საჩივარი. დირექტორმა პასუხი 1996 წლის 23 მაისს გაუგზავნა.

49. 1996 წლის 21 ოქტომბერს გამომძიებელმა მოსამართლემ ოფიციალურად შეატყობინა განმცხადებლის მიერ მითითებულ ხუთ პოლიციელს, რომ მათ მიმართ დაწყებული იქნა გამოძიება.

50. ხუთი პოლიციელი, რომელთა წინააღმდეგაც შეიტანეს საჩივრები ბ-ნმა სელმუნიმ და ბ-ნმა მადიმ, კერძოდ, ბ-ნი ჰერვი, ბ-ნი სტებლე, ბ-ნი გოტიე, ბ-ნი ლეკლერი და ბ-ნი ჰურო, დაიკითხნენ პირველივე გამოცხადების დროს 1997 წლის 10, 24 და 31 იანვარს, 28 თებერვალსა და 7 მარტს. მათ მიმართ დაწყებული იქნა გამოძიება საჯარო მოხელეთა მიერ ძალადობისათვის, რომელმაც გამოიწვია მუშაობისთვის სრული გამოუსადეგრობა რვა დღეზე მეტი ხნით. ბ-ნი ჰერვის, ბ-ნი სტებლეს, ბ-ნი გოტიესა და ბ-ნი ჰუროს მიმართ აგრეთვე დაიწყო გამოძიება რამდენიმე წამქეზებლისა თუ თანამონაწილის მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობისათვის.

51. 1998 წლის 24 აპრილს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პოლიციელები უარყოფდნენ ბრალდებებს და ამტკიცებდნენ, რომ ბ-ნი სელმუნის დაკავების დროს „ბრძოლას“ ჰქონდა ადგილი, გამომძიებელმა მოსამართლემ ექსპერტად დანიშნა ექიმი გარნიე, რომელსაც დაევალა ბ-ნი

სელმუნის სამედიცინო დოკუმენტებისა და ცნობების შემონახვა და დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, განაპირობა თუ არა აღმოჩენილი დაზიანებები ბრძოლამ მისი დაპატიმრების დროს, 1991 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, ან ხომ არ ამყარებდა ისინი განმცხადებლის ბრალდებებს.

52. იმავე დღეს განცხადებელმა მოითხოვა მთელი რიგი საგამომძიებო ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის მოწვევბა და სხვა სამედიცინო დასკვნებს შორის შემდეგი დაპირისპირება, რათა განსაზღვრულიყო მისთვის მიყენებული ზიანი, და მოსამართლის მიერ იმ შენობების შემონახვა, სადაც იგი იმყოფებოდა პოლიციაში პატიმრობისას. 1998 წლის 7 მაისის ბრძანებით გამომძიებელმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა თხოვნები იმ საფუძველზე, რომ ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ უკვე დაკმაყოფილებული იყო.

53. 1998 წლის 4 ივნისს მოეწყო დაპირისპირება განმცხადებელსა და ოთხ პოლიციელს შორის. ბ-ნმა სელმუნიმ აღწერა, თუ რა როლი ითამაშა თითოეულმა მათგანმა მისი პატიმრობაში ყოფნის დროს.

54. ექიმი გარნიეს დასკვნა 1998 წლის 3 ივლისს იქნა წარდგენილი. ექსპერტის აზრით,

„სამედიცინო დოკუმენტების განხილვა აჩვენებს, რომ ექიმებმა დაადგინეს პოლიციაში პატიმრობისას პაციენტის სხეულზე მიყენებული დაზიანებების მატება.

ზოგიერთი მათგანი ნამდვილად მიღებულია „ბრძოლის დროს“, როდესაც პაციენტი დაკავებული იქნა 1991 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, როგორც ამას აღწერენ CID-ის შესაბამისი მოხელეები.

დაზიანებები, განსაკუთრებით ქვედა კიდურებსა და ღუნდულებზე, რომლებიც არ იქნა აღმოჩენილი პირველი შემონახვისას, სინამდვილეში მიღებულია პაციენტის დაკავების შემდეგ, რაც, შესაბამისად, პაციენტის არგუმენტაციას ამყარებს.

რაც შეეხება გაუპატიურებასთან დაკავშირებულ ქმედებებს, რასაც აღწერს პაციენტი, 1993 წლის 9 ივნისს, მომხდარი ფაქტიდან წელიწადნახევრის შემდეგ, ჩატარებული ტესტის უარყოფითი შედეგი არც უარყოფს და არც ადასტურებს, რომ ეს მტკიცება სინამდვილეს შეეფერება.“

55. 1998 წლის 25 აგვისტოს გამომძიებელმა მოსამართლემ ოფიციალურად შეატყობინა ბ-ნ სელმუნის გამომძიების დამთავრების შესახებ. საგამომძიებო მასალები პროკურატურას 1998 წლის 15 სექტემბერს გაეგზავნა.

56. 1998 წლის 19 ოქტომბერს პროკურორმა წერილობით განაცხადა, თუ რა სახით სურდა, რომ გამომძიებელ მოსამართლეს გაეგრძელებინა საქმის განხილვა. იგი ამტკიცებდა, *inter alia*:

„... პოლიციის ოფიცრების მიერ ფაქტების უარყოფა არ განხილულა იმაზე მეტად, ვიდრე მათი მითითება „ძალის გამოყენებაზე“, როდესაც ახორციელებდნენ დაკავებას, ან იძულებით წინააღმდეგობაზე დაკითხვის პროცესში. აჰმედ სელმუნისა და აბდელმჯიდ მადის განცხადებებში რაიმე ცვლილებისა თუ შეუსაბამოების არარსებობა ამართლებს იმას, რომ ისინი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. გარდა ამისა, ისინი დასტურდება სამედიცინო დასკვნებით და, ამდენად, წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ხუთი პირის წინააღმდეგ, რაც განხილული უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ...”

57. 1998 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით გამომძიებელმა მოსამართლემ ხუთივე პოლიციელი ვერსალის სისხლის სამართლის სასამართლოს პროცესზე გამოიძახა. რაც შეეხება ბ-ნი სელმუნის ბრალდებებს, მოსამართლემ ხსენებულ სასამართლო პროცესზე ოთხი პოლიციელი გამოიძახა, რომელთაც ბრალი ედებოდათ ძალადობაში, რამაც გამოიწვია მუშაობისათვის სრული გამოუსადეგრობა რვა დღეზე მეტი ხნით, და ჯგუფურად, ძალისა და ძალადობის გამოყენებით ჩადენილ სექსუალურ ძალადობაში.

58. ვერსალის სისხლის სამართლის სასამართლოს მოსმენა გაიმართა 1999 წლის 5 თებერვალს. განმცხადებელმა შეიტანა განცხადება იმ საჩივრის გასამყარებლად, რომ სასამართლოს არ ჰქონდა საქმის განხილვის იურისდიქცია და რომ იგი უნდა გადასცემოდა ასიზის სასამართლოს. ბ-ნი სელმუნი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობა პრინციპში წარმოადგენდა გაუპატიურებას; რომ იგი იყო მსხვერპლი საჯარო მოხელეების მხრიდან ძალადობისა, რამაც გამოიწვია მუდმივი შრომისუუნარობა, კერძოდ, მხედველობის დაქვეითება; და ბოლოს, მისივე მტკიცებით, ცუდად მოპყრობა, რომელსაც იგი დაექვემდებარა, კლასიფიცირებული უნდა ყოფილიყო ნამებად დანაშაულის ჩადენამდე ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში. სასამართლომ ეს პრეტენზიები საქმის არსებით მხარესთან ერთად განიხილა. სასამართლო განხილვის დასრულებისას პროკურორმა მოითხოვა, რომ ბ-ნი ჰერვისათვის შეეფარდებინათ პატიმრობა ოთხი წლის ვადით, ხოლო ბ-ნი სტებლესათვის, ბ-ნი ჰუროსა და ბ-ნი გოტიესათვის – პატიმრობა სამი წლის ვადით. სისხლის სამართლის სასამართლომ განაჩენის გამოტანა 1999 წლის 25 მარტისათვის გადადო.

59. 1999 წლის 25 მარტის განაჩენში ვერსალის სისხლის სამართლის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბ-ნი სელმუნის საჩივარი იურისდიქციასთან დაკავშირებით შემდეგი მოტივებით:

- (ა) სექსუალური დანაშაულის გაუპატიურებად კლასიფიცირებასთან დაკავშირებით სასამართლომ დაასკვნა, რომ არც სამედიცინო ცნობები და არც ესქვერტთა დასკვნები არ ამტკიცებს ბ-ნი სელმუნის ანალურ ხვრელში რაიმეს

მოთავსებას. უფრო მეტიც, სელმუნიმ ვერ შეძლო პოლიციის იმ ოფიცრის ამოცნობა, რომელმაც, მისი მტკიცებით, გააუპატიურა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება სამართალდარღვევა კლასიფიცირებული იქნეს გაუპატიურებად."

(ბ) ძალადობის მუდმივი შრომისუუნარობის გამომწვევ ძალადობად კლასიფიცირებასთან დაკავშირებით

"... სასამართლო აღნიშნავს, რომ ექსპერტის, ექიმ ბიარდის, დასკვნა არ ადგენს მიზეზობრივ კავშირს ბ-ნი სელმუნის მხედველობის დაქვეითებასა და მის მიერ მიღებულ დარტყმებს შორის. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებული საჩივრის დაკმაყოფილება."

(გ) ცუდად მოპყრობის დანაშაულის ჩადენამდე ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში ნამებად კლასიფიცირებასთან დაკავშირებით

"გარდა იმ ფაქტისა, რომ ეს ქმედებები არ იყო ამგვარად კლასიფიცირებული ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც გამოიყენებოდა იმ დროს, როდესაც ადგილი ჰქონდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, წინამდებარე საქმეში აპმედ სელმუნის მიმართ განხორციელებული ძალადობის აქტები, რომლებიც, მისი მტკიცებით, კლასიფიცირებული უნდა იქნეს ნამებად ან ბარბაროსობად, არ იყო განხორციელებული დანაშაულის ჩადენამდე ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში.

ამდენად, სასამართლო თელის, რომ არ შეიძლება ზემოხსენებული ქმედებების კლასიფიცირება დანაშაულად..."

60. იმის დასადგენად, იყენენ თუ არა პოლიციის ოფიცრები დანაშაულები, სისხლის სამართლის სასამართლომ აღნიშნა, რომ "ორი სრულიად ურთიერთსაინანაღმდეგო არგუმენტი იქნა წარმოდგენილი", და გადაწყვიტა "პოლიციის ოფიცრების მიერ მიცემული მთელი რიგი განმარტებების" "რიგრიგობით" განხილვა. დაუშვა რა, რომ "დადგინდა... რომ [განმცხადებლისათვის მიყენებული] დაზიანებები გამონვეული იქნა პოლიციაში პატიმრობისას ან მანამდე თუ მის შემდეგ მოკლე ხნის განმავლობაში", სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო მხარეების მცდელობა, დაკავების დროს წინააღმდეგობა გაენიათ, არ არის საკმარისი, ახსნას არსებული დაზიანებები; რომ "შეუსაბამობა", თუ ამას საერთოდ ჰქონდა ადგილი, სამოქალაქო მხარეთა განცხადებებს შორის არ იყო გადამწყვეტი და რომ ზოგადად "სამოქალაქო მხარეები ერთნაირად აღწერდნენ მოვლენებს"; რომ მყარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც კი "პოლიციის ნებისმიერმა ოფიცრმა კარგად იცის, რომ აღიარება სასურველია და ამავდროულად ბრალდებულისათვის რთულია მისი მოგვიანებით შეცვლა"; და რომ "სახეზე იყო არაერთი მტკიცებულება, რომელიც არ ადასტურებდა მტკიცებას, რომ სამოქალაქო მხარეებმა მოილაპარაკეს პოლიციის მოხელეთა წინააღმდეგ საჩივრების შეტანამდე".

61. ვერსალის სისხლის სამართლის სასამართლომ დაადგინა, რომ „გამოძიების დროს მოპოვებულმა და სასამართლოსთვის წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ მოვლენები მართლაც მოხდა დაზარებულთა მიერ აღწერილი სახით“, და მსჯავრი დასდო პოლიციელებს იმ დანაშაულებისათვის, რომელთა ჩადენაშიც ედებოდათ ბრალი. სასამართლომ ვალდებულად ჩათვალა თავი, „გამოეყენებინა სისხლის სამართლის კანონმდებლობა იმ სახით, რომ ის მაგალითი ყოფილიყო სხვებისათვის“, ხოლო ბ-ნ ჰუროს, ბ-ნ გოტიესა და ბ-ნ სტებლეს შეუფარდა პატიმრობა სამი წლის ვადით. მეოთხე პოლიციელთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა:

„... ბერნარ ჰერვი, უფროსი გამომძიებელი ინსპექტორი, პასუხისმგებელი იყო გამოძიების წარმოების მეთოდების გამოყენებაზე მისი კოტროლისა და დირექტივების ქვეშ. გარდა ამისა, იგი უშუალოდ მონაწილეობდა ძალადობაში, რამდენადაც თმებით ითრევდა სამოქალაქო მხარეებს. სამოქალაქო მხარეებმა ცალსახად ამოიცნეს მასში ოფიცერი, რომელსაც ამ ქმედების ჩადენაში სდებდნენ ბრალს.

აქედან გამომდინარე, სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს, მისი ქმედებების გამო უფრო მკაცრად გაასამართლოს ბერნარ ჰერვი და უფარდებს პატიმრობას ოთხი წლის ვადით.

რადგან ბერნარ ჰერვი კვლავ არის პასუხისმგებელი ოფიცერია, აუცილებელია, საჯარო პოლიტიკის გათვალისწინებით, სასჯელი დაუყოვნებლივ აღსრულდეს. სასამართლო გაცემს ბერნარ ჰერვის დაკავების ორდერს“.

62. ვერსალის სისხლის სამართლის სასამართლომ დაშვებულად გამოაცხადა ბ-ნი სელმუნის განცხადება სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ დაუკონკრეტებია თანხა მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის და, შესაბამისად, შეინარჩუნა სამოქალაქო სამართლის სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

63. პოლიციის ოფიცრებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს.

64. 1999 წლის 8 აპრილს ვერსალის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბ-ნი ჰერვის განცხადება გათავისუფლების თაობაზე შემდეგი მოტივებით:

„... სამართალდარღვევებმა თავიანთი განსაკუთრებით სერიოზული ხასიათის გამო, რამდენადაც ეხებოდა ბრალდებულის სტატუსს, როგორც პოლიციის უფროსი ოფიცრისა [officier de police judiciaire], რომელიც პასუხისმგებელია რესპუბლიკის კანონების აღსრულებაზე, რომელსაც მსჯავრი დასდო პირველმა ინსტანციამ, სერიოზულად და ხანგრძლივად ხელყო საზოგადოებრივი წესრიგი...“

65. 1999 წლის 1 ივლისის განაჩენით, რომელიც მიღებული იქნა 1999 წლის 20-21 მაისის მოსმენის შემდეგ, რომლის შედეგადაც ბ-ნი ჰერვი გათავისუფლებული იქნა, ვერსალის სააპელაციო სასამართლომ გაამართლა პოლიციელები სექსუალური ძალადობის ბრალდების საქმეში არასაკმარისი მტკიცებულების გამო, მაგრამ დამნაშავეებად ცნო „პოლიციის ოფიცრების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას და კანონიერი მიზნის გარეშე ძალადობისა და ჭრილობის მიყენებაში იარაღით ან მისი გამოყენების მუქარით, რამაც გამოიწვია მუშაობისთვის სრული გამოუსადეგრობა რვა დღეზე ნაკლები ხნით სელმუნის საქმეში, ხოლო რვა დღეზე მეტი ხნით მადის საქმეში.“ შესაბამისად, სასამართლომ ბ-ნ ჰერვის შეუფარდა პატიმრობა თვრამეტი თვით, რომელთაგან თხუთმეტი თვე გადავადდა, ბ-ნ გოტიესა და ბ-ნ სტებლეს – თხუთმეტი თვით გადავადებით, ხოლო ბ-ნ ჰუროს – თორმეტი თვით პატიმრობა გადავადებით. სააპელაციო სასამართლომ, *inter alia*, ჩამოაყალიბა შემდეგი მოტივები:

„ბრალის თაობაზე

ძალადობასთან დაკავშირებით

აბსოლუტური პირობებით პოლიციელის, *a fortiori* უფროსი ოფიცრის [*officier de police judiciaire*], სიტყვა უფრო სარწმუნოა, ვიდრე ნარკოტიკებით მოვაჭრისა. თუმცა ეს წინაპირობა, შესუსტებულია და დაუსაბუთებელიც კი არის, როდესაც სამართალდამრღვევის განცხადებებს ამყარებს გარეგანი მტკიცებულებები, როგორცაა სამედიცინო დასკვნები. საქმის გარემოებები უფრო საეჭვო ხდება, როდესაც პოლიციელთა განმარტებები მნიშვნელოვნად იცვლება სამართალწარმოების მსვლელობისას; და პრეზუმფცია პოლიციის სასარგებლოდ კარგავს ძალას, თუ ნაჩვენებია, რომ, როგორც წინამდებარე საქმეში, პოლიციის მოხსენებები სიმართლეს არ ასახავს.

სამედიცინო დასკვნებთან დაკავშირებით

სამოქალაქო მხარეთა მიერ წაყენებული ბრალდებები ეფუძნება სამედიცინო დასკვნებს. პირველ რიგში, რაც შეეხება სელმუნის საქმეს: ექპერტმა, პროფესორმა გარნიემ, 1998 წლის 5 მაისის დასკვნაში აღნიშნა, რომ ყველა ექიმმა, რომელმაც გამოიკვლია სელმუნი პოლიციაში პატიმრობისას, დაადგინა ტრავმული დაზიანებები მარცხენა მკლავზე, მარჯვენა თვალის არეში, სკალპსა და ხერხემალზე. 1991 წლის 29 ნოემბერს შემდგომი დაზიანებები იქნა აღმოჩენილი ქვედა კიდურებზე. ექიმმა დასძინა, რომ 1991 წლის 7 დეკემბერს ჩატარებული გამოკვლევისას სელმუნის კვლავ ჰქონდა ადრინდელი დაზიანებები, ხოლო დუნდულებსა და მარჯვენა მუხლზე ახალი დაზიანებები შეინიშნებოდა.

სელმუნისათვის მიყენებულ დაზიანებათა რაოდენობა იზრდებოდა პოლიციაში პატიმრობის გაგრძელებასთან ერთად.

1991 წლის 29 ნოემბერს ექიმი ედერის მიერ აღმოჩენილი სილურჯე მარცხენა ქუთუთოზე, პატარა სნორხაზოვანი ქრილობა მარცხენა ნარბის გასწვრივ, მარცხენა და მარჯვენა ქვეორბიტალური ჰემატომა, ხოლო შემდგომში, 1991 წლის 2 დეკემბერს, ექიმი ნიკოს მიერ აღწერილი სილურჯე „თვალეზის ირგვლივ“ შეესაბამება სელმუნის მიერ ნახსენებ დარტყმებს.

სხვადასხვა ჰემატომა, აღმოჩენილი გულმკერდის არეში, ორივე ფერდსა და მუცელზე, შეესაბამება დარტყმებისა და ცემის ფაქტებს, რომლებზეც სელმუნი მიუთითებდა 1991 წლის 7 დეკემბრის განცხადებაში.

სკალპისა და თავის ტკივილი, რომლებზეც მიუთითეს ექიმმა აუსტინმა და ექიმმა ედერიმ, ასევე ამყარებს სელმუნის განცხადებებს, რომ მას თმებით ითრევენ და თავში გამუდმებით ურტყამდნენ საგანს, რომელიც შეიძლება ბეისბოლის ხელჯოხი ყოფილიყო.

დუნდულეებსა და თეძოებზე აღმოჩენილი ჰემატომა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მხოლოდ ბლაგვი საგნის დარტყმით. ამგვარადვე, ფეხებზე, მუხლებსა და ტერფებზე აღმოჩენილი ჰემატომები შეესაბამება დარტყმებს ან შეჯახებებს, რაზეც სელმუნი ჩიოდა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ობიექტური დაზიანებები, როგორც ეს მოხსენებულია თანმიმდევრულ გამოკვლევებში, შეესაბამება დარტყმებს, რომელთაც სელმუნი აღწერს.

რაც შეეხება მადის, სამედიცინო ცნობები და სამედიცინო-საექსპერტო დასკვნები მონიშნავენ იმ დარტყმების ნამდვილობასა და ინტენსიურობაზე, რასაც იგი დაექვემდებარა. აგრეთვე, ექსპერტის თქმით, დრო, რომელიც გავიდა ობიექტური დაზიანებების გარენასა და ზემოხსენებულ მოვლენებს შორის, აშკარად მიუთითებს მცირე ზომის განმეორებით დაზიანებებზე.

სკალპის დაზიანება აბსოლუტურად შეესაბამება მადის განმცხადებას იმის თაობაზე, რომ თავში არაეთაგზის ურტყეს ბლაგვი საგანი.

მართკუთხედი ფორმის დიდი ჰემატომა მარჯვენა ბარძაყზე და იმავე ფორმის სამი ჰემატომა მარცხენა ბარძაყზე მკაფიოდ ასახავს იმ დარტყმებს, რომლებიც მიყენებულია ბლაგვი საგნით, როგორც ამას მომჩივანი აღწერს.

ბრალდებულების შეფასებებთან დაკავშირებით

ბრალდებულთა განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაჩნდა დაზიანებები, სრულებით მოკლებულია საფუძვლიანობას. გარდა ამისა, ამ და სხვა საკითხების თაობაზე მათი განმარტებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, ბ-ნი ჟან-ბერნარ ჰერვი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ მისი მოქმედება სელმუნის (D57) დაკავების დროს მხოლოდ დახმარების განევით შემოიფარგლებოდა, მაგრამ შემდგომში აღნიშნა, რომ დაკავების დროს იგი ქუჩაში კი არა, სასტუმროში იმყოფებოდა.

პოლიციის ოფიცრების მტკიცებით, მათ წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები არის ურთიერთმეთანხმებული, კარგად გააზრებული ლონისძიება. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიებისა და სა-

მართალწარმოების შვიდი წლის განმავლობაში არ ყოფილა მოპოვებული მტკიცებულება ამ მტკიცების დასაბამებლად. მოსარჩელეთა ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. თანმიმდევრული აღწერები ყველა იმ არასათანადო მოპყრობისა, რომელზეც ისინი მიუთითებდნენ, არ წარმოაჩენს რაიმე მიმნებებლობას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სელმუნის პრაქტიკულად არ ყოლია ადვოკატი წარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას.

არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ მადისა და სელმუნის, რომლებიც იქამდე არასდროს ყოფილან აყვანილი პატიმრობაში, არ შეიძლებოდა პქონოდათ სრულებით ყალბი ისტორიის შეთხზვის პრაქტიკა.

სასტუმროს სიახლოვეს სელმუნის დაკავების უბრალო ფაქტი, თუნდაც თუ დაუშვებთ, რომ დაკავებას თან ახლდა გარკვეული წინააღმდეგობის განევა, არ ხსნის მიყენებული დაზიანებების სიმძიმესა თუ მათ თანდათანობით გამოვლინებას, რაც დასტურდება საქმეში არსებული ფოტოებით, რომელთა ნახვის შემდეგაც პოლიციელებმა დაუყოვნებლივ არ წარადგინეს ანაგრიში არც უშუალოდ საკუთარ თავზე და არც სელმუნზე რაიმე ისეთი საეჭვო ნიშნების არსებობის თაობაზე, რომლებიც საჭიროებდა დანვრილებით სამედიცინო გამოკვლევას, რაც მათ ინტერესებში შედიოდა.

რაც შეეხება მადის, პოლიციელის მოხსენება, რომლის თანახმადაც იგი განზრახ ურტყამდა თავს კედელსა და კარადას, არ შეესაბამება სამედიცინო გამოკვლევების დასკვნებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ სახის შემთხვევის დროს, როგორც წესი, მოვლენების განხორციელებას თან სდევს ერთმნიშვნელოვანი დაზიანებები და სისხლიანი ჭრილობებიც კი, რასაც ამ შემთხვევაში არ პქონია ადგილი.

ყველა ამ ფაქტიდან გამომდინარე სასამართლო დარწმუნდა, რომ სავარაუდო წინააღმდეგობის განევა დაკავების დროს გამოგონილი იქნა ბრალდებულთა მიერ, რათა გაემართლებინათ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მიყენებული ჰემატომების და დაზიანებების სერიოზული ხასიათი და ადგილმდებარეობა.

პოლიციის მოხსენებების სარწმუნო ხასიათი

SDPJ 93-ის პოლიციელებმა, კერძოდ, ჟან-ბერნარ პერვიმ, სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ რამდენიმე მოხსენება სელმუნისა და მადის შესახებ, რომლებიც იმყოფებოდნენ პატიმრობაში, შეიცავდა არაზუსტ განცხადებებს როგორც დროის, ისე იმ პირთა ვინაობის შესახებ, ვინც შეადგინა ეს დოკუმენტები, რასაც არ მისცემია რაიმე დასაბამებული ლოგიკური ახსნა სასამართლოს წინაშე. მაგალითად, პურომ შეადგინა მოხსენება (*D114*) გონესში 26 ნოემბერს საღამოს 5.50-დან 6.55 საათამდე ჩხრეკასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მოხსენება (*D158*) შეადგინა საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე – ანუ თითქმის იმავე დროს – დაკავების დროს მადის მიერ წინააღმდეგობის განევის თაობაზე, სასამართლოს კი განუცხადა, რომ იგი მადის დასაწყნარებლად ჩაერია.

გამომძიებლების მიერ შედგენილი დოკუმენტების სრული არასაიმედო-ობა განსაკუთრებით სერიოზული საკითხია, რამეთუ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთელი სისტემა ფაქტობრივად ეფუძნება პოლიციის უფროსი ოფიცრებისა და მათი თანაშემწეების მოხსენებების [officiers et agents de police judiciaire] სარწმუნო ხასიათს.

ზემოხსენებულის შესაბამისად, სისასტიკე, რაშიც პოლიციის ოფიცრებს ედებათ ბრალი, სრულიად აშკარაა. საქმის განმხილველმა სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ სამართალწარმოების დროს მათ სხვა არაფერი გაუკეთებიათ, თუ არა სიმართლის დამალვა საკუთარ ქმედებებთან დაკავშირებით.

...

სასჯელთან დაკავშირებით

სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენაშიც ედებათ ბრალი პოლიციის ოფიცრებს, განსაკუთრებით მძიმეა და გამორიცხავს მათზე 1995 წლის 3 აგვისტოს ამნისტიის დებულებების გავრცელებას. ეს სამართალდარღვევები მიჩნეული უნდა იქნეს ისეთ შემთხვევებად, რომლებიც განსაკუთრებით არაადამიანურ მოპყრობას წარმოადგენს. რესპუბლიკის კანონების შესრულებაზე პასუხისმგებელი უფროსი ოფიცრების მიერ ჩადენილი ეს სამართალდარღვევები მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვინაიდან ამგვარი საქციელის გამართლება სრულიად დაუშვებელია, სამართალდამრღვევთა პიროვნული თვისებების, ნაყენებული ბრალდების, კორუფციისა და საშიშროების ხარისხის მიუხედავად.

თუმცა სამართალდარღვევების სერიოზული ხასიათი არ შეიძლება შეედაროს იმას, რაც მოხდებოდა, თუ სექსუალური ძალადობა განხორციელდებოდა ბრალდებულების წინააღმდეგ. სამართალდარღვევები არც წინასწარ მოფიქრებული გეგმის შედეგია. თითოეული ბრალდებულის მონაწილეობის, აგრეთვე ადრინდელი სისხლისსამართლებრივი ისტორიებისა და ადმინისტრაციული საქმის მასალების არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა შემცირდეს განაჩენის დადგენილებით ნაწილში მითითებული სასჯელების ხანგრძლივობა და ბრალდებულთა ხელმძღვანელობის დისკრეციას უნდა გადაეცეს საკითხი, თუ რა დისციპლინარული შედეგები არის აუცილებელი წინამდებარე საქმეზე. პატიმრობასთან დაკავშირებული სასჯელები გადავადებული იქნება მხოლოდ ჰერვისთან მიმართებაში, რომლის პასუხისმგებლობის საკითხი უფრო მძიმედ დგას, რამეთუ სწორედ იგი წარმოადგენდა პასუხისმგებელ ოფიცერს.

...“

66. ბ-ნმა სელმუნიმ კომისიას 1992 წლის 28 დეკემბერს მიმართა. იგი ჩიოდა კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის თაობაზე.

67. კომისიამ განაცხადი (№25803/94) არსებით განხილვაზე დაშვებულად მიიჩნია 1996 წლის 25 ნოემბერს. 1997 წლის 11 დეკემბრის მოხსენებაში (კონვენციის ადრე მოქმედი მუხლი 31) ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. კომისიის მოხსენების სრული ტექსტი თან ერთვის წინამდებარე განაჩენს დაწარმის სახით⁵

საბოლოო არბუმენტაცია სასამართლოს წინაშე

68. მთავრობამ თავის მიმოხილვაში სთხოვა სასამართლოს, კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრთან მიმართებაში დაედგინა, რომ განმცხადებელმა არ ამონურა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები, ან, ალტერნატიულად, სამართალდარღვევები, რომელთა ჩადენაში ედებოდათ ბრალი პოლიციის ოფიცრებს, არ მიეჩნია „წამებად“. მთავრობამ აღიარა, რომ სამართალწარმოება მეტისმეტად ხანგრძლივი იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თვალსაზრისით.

69. განმცხადებელმა სთხოვა სასამართლოს კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევების დადგენა და სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება 41-ე მუხლის შესაბამისად.

5 რეგისტრატურის შენიშვნა. პრაქტიკული მიზეზების გამო დანართი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ განაჩენის დაბეჭდილ ვერსიასთან ერთად (სასამართლოს რჩეულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე ოფიციალურ მოხსენებებში), მაგრამ კომისიის მოხსენების ასლის მიღება შესაძლებელია რეგისტრატურიდან.

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

70. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იმ მეთოდებმა, რომლებითაც მას ექცეოდნენ პოლიციაში პატიმრობისას, განაპირობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ამ მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებროს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.“

ა. მთავრობის წინასწარი პრეტენზია

მთავრობის ძირითადი არგუმენტაციის თანახმად, რასაც კომისიის წინაშეც ამტკიცებდა, სასამართლოს არ შეეძლო მე-3 მუხლის საფუძველზე საჩივრის განხილვა იმის გამო, რომ განმცხადებელმა არ ამონუ-რა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ბ-ნი სელმუნის განცხადება პოლიციის ოფიცერთა წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ იყო ზოგადი საშუალება, რომელიც საკმარისი იყო სავარაუდო მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის. მისივე მტკიცებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ სამართალწარმოებამ კომისიის 1996 წლის 25 ნოემბრის დასკვნების შემდეგ განიცადა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა. მთავრობის თქმით, წინამდებარე საქმეში არ იყო სახეზე „განსაკუთრებული გარემოებები“, რომლებიც კონვენციის საფუძველზე შექმნილ ორგანოებს მისცემდა საშუალებას, განმცხადებლები გაეთავისუფლებინა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის ვალდებულებისაგან (იხ. საქმეზე *Akdivar and Others v. Turkey* 1996 წლის 16 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე 1996-IV). მთავრობის მტკიცებით, არ შეიძლება ბოდა მისთვის ბრალის წაყენება, რომ

„გამოავლინა სრული პასიურობა“, რადგან ბობინის პროკურატურის ინიციატივით ჩატარდა ადმინისტრაციული მოკვლევა, შემდეგ კი, 1993 წლის 22 თებერვალს, ხსენებულმა პროკურატურამ მოითხოვა გამოძიების დაწყება. მთავრობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ, მართალია, სამართალწარმოება არ ყოფილა ერთგვაროვანი, ვინაიდან განსაკუთრებული აქტიურობის პერიოდები იცვლებოდა უმოქმედობის პერიოდებით, პოლიციის ოფიცრები საბოლოოდ გადაეცნენ ვერსალის სისხლის სამართლის სასამართლოს. მთავრობამ მიუთითა, რომ პოლიციის ოფიცერთა მსჯავრდე-

ბის შემთხვევაში განმცხადებელს, როგორც სამოქალაქო მხარეს, შეეძლო, მოეთხოვა კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის. ამ თვალსაზრისით მისი განცხადება სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ჩაბმის თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს „უეფექტოდ“ კონვენციის პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობით.

მთავრობა ამტკიცებს, რომ წინამდებარე საქმე განსხვავდება საქმისაგან *Mitap and Müftüođlu v. Turkey*, რომელზეც მიუთითა კომისიამ გადანყვეტილებაში დაშვებადობის შესახებ (განაცხადები №15530/89 და №15531/89, 1991 წლის 10 ოქტომბრის გადანყვეტილება, გადანყვეტილებები და მოხსენებები (DR) 72, გვ. 169) და საქმეებისაგან *Tomasi v. France* (განაცხადი №12850/87, 1990 წლის 13 მარტის გადანყვეტილება, DR 64, გვ. 128) და *Ringeisen v. Austria* (1971 წლის 16 ივლისის განაჩენი, სერია A №13), რომლებშიც მიჩნეული იქნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ბოლო ეტაპი განაცხადის შეტანის შემდეგ მალევე იქნა ამონურული, მაგრამ კომისიას უნდა გადაეწყვიტა დაშვებადობის საკითხი. კომისიამ არა მარტო არ დაიცვა თავისი პრეცედენტული სამართალი, არამედ უფრო მეტიც, *Mitap and Müftüođlu*-ის საქმე ეხებოდა სამართალწარმოების ხანგრძლივობას და არა მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევას.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ მეტისმეტად ხანგრძლივმა დრომ, რაც დასჭირდა განმცხადებლის საჩივრის განხილვას, არ შეიძლება *ipso facto* მიგვიყვანოს იმის დადგენამდე, რომ დაცვის საშუალება არ იყო ეფექტიანი; რომ ჯეროვნად უნდა იქნეს გათვალისწინებული წინამდებარე საქმეში ის ფაქტი, რომ პოლიციის ოფიცრებმა პასუხი აგეს თავიანთი ქმედებებისათვის ეროვნული სისხლის სამართლის სასამართლოების წინაშე; და რომ, ამდენად, სასამართლოში განაცხადის შეტანა ნაადრევი იყო.

72. განმცხადებელმა უპასუხა, რომ შეასრულა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის ვალდებულება. მისი თქმით, დაკითხვის დროს, 1992 წლის 1 დეკემბერს, მან ეროვნული პოლიციის ინსპექციის ოფიცერს აცნობა, რომ აპირებდა საჩივრის შეტანას. აგრეთვე დაამატა, რომ 1993 წლის 1 თებერვალს უფროსი გამომძიებელი მოსამართლის წინაშე შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი იმის თაობაზე, რომ ბობინის *tribunal de grande instance*-ს პროკურატურამ არ აღძრა დევნა სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ განცხადებასთან ერთად. მისი საჩივარი და განცხადება რეგისტრაციაში 1993 წლის 15 მარტს გატარდა. ამის შემდეგ, განმცხადებლის მტკიცებით, მას აღარ ჰქონდა რაიმე საშუალება, რომ დაეჩქარებინა სამართალწარმოება. თავისი მტკიცებების გასამყარებლად სელმუნი მიუთითებდა საქმეზე *Aksay v. Turkey* (1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, მოხსენებები 1996-VI), რომლის შესაბამისადაც „არ არის სავალდებულო იმ საშუალებების ამონურვა, რომლებიც არაადეკვატური ან არაეფექტურია“, და ამტკიცებდა, რომ სწორედ ამგვარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი წინამდებარე საქმეში.

73. კომისიამ დაადგინა, რომ ბ-ნმა სელმუნიმ შეასრულა კონვენციის 35-ე მუხლის მოთხოვნები. კომისიის თქმით, განმცხადებლის მტკიცებუბის სერიოზულობისა და ფაქტობრივი გარემოებებიდან გასული დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ხელისუფლებას არ მიუღია ყველა პოზიტიური ღონისძიება გამოძიების დროული დასრულების მიზნით.

74. სასამართლო მიუთითებს, რომ 35-ე მუხლის მიზანია, მისცეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შესაძლებლობა, აღკვეთონ ან გამოასწორონ სავარაუდო დარღვევები კონვენციის ძალით დაფუძნებული ინსტიტუტების მიერ განხილვამდე (იხ., მაგალითად, საქმეზე *Hentrich v. France* 1994 წლის 22 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №296-A, გვ. 18, პუნქტი 33, და საქმე *Remli v. France*, 1996 წლის 23 აპრილი, მოხსენებები 1996-II, გვ. 571, პუნქტი 33), შესაბამისად, ათავისუფლებს სახელმწიფოებს პასუხისმგებლობისგან საკუთარ ქმედებებზე, სანამ მათ აქვთ შესაძლებლობა, გამოასწორონ საქმე თავიანთი სამართლებრივი სისტემის მეშვეობით. ეს წესი ეფუძნება იმ ვალდებულებას, რომელიც ასახულია კონვენციის მე-13 მუხლში – რომელთანაც იგი მჭირდო კავშირშია – რომ არსებობს დაცვის ეფექტიანი ხელმისაწვდომი საშუალება სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით შიდასამართლებრივ სისტემაში. ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული იმ პრინციპის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ კონვენციით დადგენილი დაცვის მექანიზმი არის სუბსიდიარული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემებთან მიმართებაში (იხ. საქმეზე *Handyside v. the United Kingdom* 1976 წლის 7 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №24, გვ. 22, პუნქტი 48, და *Akdivar and Others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 1210, პუნქტი 65). ამგვარად, საჩივარი სასამართლოში შეტანამდე უნდა იქნეს წარდგენილი – არსებითად განსახილველად მაინც – სათანადო შიდასახელმწიფოებრივ ორგანოში, შიდა კანონმდებლობაში დადგენილი ოფიციალური მოთხოვნებისა და ვადის შესაბამისად (იხ. საქმეზე *Cardot v. France* 1991 წლის 19 მარტს გამოტანილი განაჩენი, სერია A №200, გვ. 18, პუნქტი 34).

75. თუმცა კონვენციის 35-ე მუხლი მოითხოვს დაცვის იმ საშუალებათა ამონურვას, რომლებიც ეხება დარღვევებს და, ამავდროულად, ხელმისაწვდომი და საკმარისია. ამგვარ საშუალებათა არსებობა საკმარისად უნდა იყოს დამტკიცებული არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დაცვის საშუალებები მოკლებულია აუცილებელ ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობას; მოპასუხე სახელმწიფოს ევალება, დაადგინოს, რომ აღნიშნული სხვადასხვა პირობები დაკმაყოფილებულია (იხ. *inter alia*, შემდეგი განაჩენები: საქმეზე *Vernillo v. France*, 1991 წლის 20 თებერვალი, სერია A №198, გვ. 11-12, პუნქტი 27; ზემოხსენებული *Akdivar and Others*-ის საქმეზე, გვ. 1210, პუნქტი 66; და საქმეზე *Dalia v. France*, 1998 წლის 19 თებერვალი, მოხსენებები 1998-I, გვ. 87-88, პუნქტი 38). გარდა ამისა, „საერთაშორისო

სამართლის ზოგადად აღიარებული პრინციპების“ შესაბამისად შეიძლება არსებობდეს სპეციალური პირობები, რომლებიც განმცხადებელს ათავისუფლებს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვისაგან თავისი შეხედულებისამებრ (იხ. საქმეზე *Van Oosterwijck v. Belgium* 1980 წლის 6 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №40, გვ. 18-19, პუნქტები 36-40).

76. 35-ე მუხლი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის განაწილებას. მთავრობას ეკისრება სასამართლოს წინაშე იმის მტკიცება, რომ არ იქნა ამონურული ის ეფექტიანი ხელმისაწვდომი საშუალება, რომელიც არსებობდა როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში და რომელიც ითვალისწინებდა კომპენსაციას განმცხადებლის საჩივრებთან მიმართებაში და მიანიშნებდა წარმატების გონივრულ პერსპექტივებს. თუმცა იქნება რა ერთხელ დაკმაყოფილებული მტკიცების ტვირთი, ამის შემდეგ უკვე განმცხადებელს ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, რომ მთავრობის მიერ მითითებული საშუალება სინამდვილეში ამონურული იქნა, ან გარკვეული მიზეზების გამო იყო არაადეკვატური და არაეფექტური საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ან რომ არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ათავისუფლებდა მას ამ მოთხოვნის შესრულებისაგან (იხ. ზემოხსენებული *Akdivar and Others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 1211, პუნქტი 68). ერთი ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ეროვნული ხელისუფლების სრული პასიურობა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან არამართლზომიერი მოპყრობის ან ზიანის მიყენების სერიოზული მტკიცებების შემთხვევაში, მაგალითად, ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს არ დაუწყია გამოძიება ან არ შეუთავაზებია დახმარება. ამგვარ პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი კვლავ სახელმწიფოზე გადადის, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ რეაგირება მოახდინა გასაჩივრებული საკითხების მასშტაბსა და სერიოზულობასთან დაკავშირებით (*ibid.*).

77. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ წესის გამოყენებისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კონტექსტს. შესაბამისად, აღიარებული იქნა, რომ 35-ე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს მოქნილობის გარკვეული ხარისხით და გადაჭარბებული ფორმალურობის გარეშე (იხ. ზემოხსენებული *Cardot*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 18, პუნქტი 34). სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვა არც აბსოლუტურია და არც ავტომატურად ხდება მისი გამოყენება; იმის განხილვისას, დაცული იქნა თუ არა ეს მოთხოვნა, არსებითია, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული ინდივიდუალური საქმის კონკრეტული გარემოებები (იხ. ზემოხსენებული *Van Oosterwijck*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 17-18, პუნქტი 35). ეს ნიშნავს იმას, *inter alia*, რომ სასამართლომ რეალისტური შეფასება უნდა მისცეს არა მარტო დაცვის ფორმალური საშუალებების არსებობას შესაბამისი ხელშემ-

კერელი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, არამედ საერთო სამართლებრივ და პოლიტიკურ კონტექსტსაც, რომელშიც ისინი მოქმედებს, ისევე როგორც განმცხადებლების პირად მდგომარეობას (იხ. ზემოხსენებული *Akdivar and Others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 1211, პუნქტი 69).

78. სასამართლო მიუთითებს, რომ პოლიციაში პატიმრობიდან 1991 წლის 29 ნოემბერს განმცხადებლის გათავისუფლებისთანავე გამოძიებულმა მოსამართლემ, რომელიც იხილავდა მის წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებას, მოითხოვა ექსპერტის სამედიცინო დასკვნა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 16) და წინასწარი გამოძიების ჩატარება პროკურორის ხელმძღვანელობით (კერძოდ, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 25). თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ წინასწარი გამოძიების მსვლელობის დროს განმცხადებელს არავითარი განაცხადი არ გაუკეთებია ხსენებული მოვლენებიდან სულ მცირე ერთი წლის შემდეგაც კი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 24) და რომ სასამართლო გამოძიების დაწყების მოთხოვნა არ გაკეთებულა მანამდე, სანამ განმცხადებელი შეიტანდა სისხლისსამართლებრივ საჩივარს სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის თაობაზე 1993 წლის 1 თებერვალს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 28-29).

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებები ცხადყოფს სამართალწარმოების რამდენიმეჯერ გაჭიანურებას, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. თითქმის ერთი წელი გავიდა 1991 წლის 7 დეკემბერს განმცხადებლის სამედიცინო შემოწმებიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 18) განმცხადებლის დაკითხვამდე ეროვნული პოლიციის ინსპექციის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 24); ამის შემდეგ კვლავ თითქმის ერთი წელი გავიდა სასამართლო გამოძიების დაწყებას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 29) და პოლიციის ოფიცერთა იდენტიფიცირების პროცედურას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 38) შორის; ორი წელი და დაახლოებით რვა თვე გავიდა პოლიციელთა იდენტიფიცირების დღიდან მათ მიმართ გამოძიების დაწყებამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 50). სასამართლო აღნიშნავს, კომისიის მსგავსად, რომ ფაქტობრივი გარემოებებიდან ხუთი წლის შემდეგ არავინ ყოფილა ბრალდებული იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებელმა ამოიცნო პოლიციის ოფიცრები, რომლებსაც ბრალი ედებოდათ. უფრო მეტიც, პოლიციის ოფიცრები საბოლოოდ არ გამოცხადებულან სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 58) იქამდე, სანამ ხუთი წელი არ გავიდა მათი იდენტიფიცირებიდან და შვიდი წელი – პოლიციაში განსახილველი პატიმრობიდან.

79. სასამართლოს აზრით, ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკითხი იმას კი არ ეხება, ჩატარდა თუ არა მოკვლევა, რომელიც, როგორც საბოლოოდ დადგინდა, განხორციელდა, არამედ ჩატარდა თუ

არა იგი გულმოდგინებით, ითვალისწინებდა თუ არა ხელისუფლება პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებასა და დასჯას და, შესაბამისად, იყო თუ არა მოკვლევა „ეფექტიანი“. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ, როდესაც ადამიანს აქვს დასაბუთებული საჩივარი მე-3 მუხლის (ან მე-2 მუხლის) დარღვევის თაობაზე, დაცვის ეფექტიანი საშუალების ცნება მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან საგანგებო და ეფექტიან გამოძიებას, რასაც მიეყვართ პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებასა და დასჯამდე (იხ., *inter alia*, შემდეგი განაჩენები: ზემოხსენებული *Aksoy*-ის საქმეზე, გვ. 2287, პუნქტი 98; საქმეზე *Assenov and Others v. Bulgaria*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, მოხსენებები 1998-VIII, გვ. 3290, პუნქტი 102; და *mutatis mutandis*, *Soering v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისი, სერია A №161, გვ. 34-35, პუნქტი 88). სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნი სელმუნის მტკიცებები, რომლებიც – როგორც სამედიცინო ცნობებიდან ჩანს, ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო – გაუთანაბრდა დასაბუთებულ საჩივარს, იყო განსაკუთრებით სერიოზული როგორც სავარაუდო ფაქტებთან, ისე შესაბამისი პირების სტატუსთან მიმართებაში.

80. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სასამართლო, კომისიის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ არ მიიღო პოზიტიური ზომები დაცვის იმ საშუალების უზრუნველსაყოფად, რომელიც, მთავრობის მითითებით, იყო ეფექტიანი.

81. შესაბამისად, დაცვის საშუალების, ანუ სისხლისსამართლებრივი საჩივრისა და სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ განცხადების ერთობლიობის (რასაც მთავრობა ეყრდნობოდა), „ეფექტიანობასა“ და „ადეკვატურობასთან“ დაკავშირებით მთავრობის განმარტებების სარწმუნოების ნაკლებობის გამო სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლისათვის ხელმისაწვდომი საშუალება წინამდებარე საქმეში არ იყო ჩვეულებრივი საშუალება, რომელიც საკმარისი იყო მისთვის ზიანის ანაზღაურების მისაცემად იმ სავარაუდო დარღვევებთან მიმართებაში, რომლებსაც იგი ამტკიცებდა. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ გადაწყვეტილება შემოიფარგლება საქმის გარემოებებით და არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც ზოგადი განცხადება იმ შედეგით, რომ სისხლის სამართლის საჩივარი სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ განცხადებასთან ერთად არასოდეს არის საშუალება, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მტკიცებას პოლიციაში პატიმრობისას არასათანადო მოპყრობის თაობაზე, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მთავრობის არგუმენტი, რომ არ იქნა ამონურული შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები.

1. ფაქტების შეფასება სასამართლოს მიერ

82. განმცხადებელი ჩივის, რომ იგი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას სხვადასხვა ფორმით. ეს მოიცავდა მის არაერთგზის ცემას, დარტყმას, სხვადასხვა საგნით ჩარტყმას; მუხლებზე დაჩოქებას ახალგაზრდა ქალის წინ, რომელსაც პოლიციელი ეუბნება: „ნახე, შენ ახლა სიმღერას გაიგონებ“; პოლიციელის მიერ მისთვის პენისის დანახებას, შემდეგი სიტყვებით: „აჰა, მონუნე ეს“, ამის შემდეგ კი დაშარდვას; დამუქრებას სარჩილავი ლამით, ნემსით და ა.შ. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ იგი გაუპატიურებული იქნა პოლიციელების პატარა შავი ხელჯოხით, შემდეგი სიტყვებით: „თქვენ, არაბებს, მოგნონთ, როდესაც გხმარობენ“. განმცხადებელი ხაზს უსვამს, რომ მისი მტკიცებები არ შეცვლილა სამართალწარმოების მთელი მსვლელობის მანძილზე, რომ საექსპერტო-სამედიცინო დასკვნები და იმ ექიმებისაგან მოსმენილი მტკიცებულებები, რომლებმაც გასინჯეს იგი, ადგენდა მიზეზობრივ კავშირს იმ მოვლენებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პოლიციაში მისი პატიმრობისას, და ამყარებდა მის მტკიცებებს.

83. კომისიამ ჩათვალა, რომ სამედიცინო ცნობები და დასკვნები, შედგენილი სრულიად დამოუკიდებელი სამედიცინო პრაქტიკოსების მიერ, მიუთითებდა მრავალ დარტყმასა და მათ ინტენსიურობაზე.

84. ნიდერლანდების მთავრობა თავის მიმოხილვაში დაეთანხმა კომისიის მიერ ფაქტების ანალიზს.

85. ალტერნატიულად, საჩივრის არსებითი მხარესთან მიმართებაში საფრანგეთის მთავრობამ მიმოხილვაში აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გამოტანილი საბოლოო დადგენილება სავარაუდო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, ხოლო პოლიციის ოფიცრები სარგებლობდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციით კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

86. სასამართლო მიუთითებს დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც ძალაში იყო 1998 წლის 1 ნოემბრამდე და რომლის შესაბამისადაც, კონვენციის თანახმად, ფაქტების დადგენა და დამონმება ძირითადად კომისიის უფლებამოსილებას შეადგენდა (ადრე მოქმედი მუხლები 28 (1) და 31). აქედან გამომდინარე, მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში ჰქონდა სასამართლოს ამის უფლებამოსილება. თუმცა სასამართლოსათვის კომისიის დასკვნებს სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია და თვითონ ახდენს ფაქტების შეფასებას მისთვის წარმოდგენილი მასალების საფუძველზე (იხ. *inter alia*, შემდეგი განაჩენები: საქმეზე *Cruz Varas and Others v. Sweden*, 1991 წლის 20 მარტი, სერია A №201, გვ. 29, პუნქტი 74; საქმეზე *McCann and Others v. the United Kingdom*, 1995 წლის 27 სექტემბერი, სერია A

№324, გვ. 50, პუნქტი 168: და ზემოხსენებული *Aksoy*-ის საქმეზე, გვ. 2272, პუნქტი 38).

87. სასამართლო მიიჩნევს, რომ, როდესაც ადამიანს ათავსებენ პატიმრობაში ჯანმრთელ მგომარეობაში, მაგრამ მას ალენიშნება დაზიანებები გათავისუფლების დროს, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სათანადო ახსნა-განმარტება, თუ საიდან განჩნდა ამგვარი დაზიანებები. ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად (იხ. საქმეზე *Tomasi v. France* 1992 წლის 27 აგვისტოს გამოტანილი განაჩენი, სერია A №241-A, გვ. 40-41, პუნქტები 108-11; და საქმეზე *Ribitsch v. Austria* 1995 წლის 4 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №336, გვ. 25-26, პუნქტი 34). იგი ასევე მიუთითებს, რომ განმცხადებელი სისხლის სამართლის საჩივარსა და განცხადებაში სამართალწარმოებაში გამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ აყალიბებდა ბრალდებებს პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 28). სასამართლოს აზრით, მათი ბრალის საკითხი არის მხოლოდ საფრანგეთის სასამართლოების, კერძოდ, სისხლის სამართლის სასამართლოების, იურისდიქცია. შიდასამართალწარმოების შედეგის მიუხედავად, პოლიციის ოფიცრების მსჯავრდება ან გამართლება არ ათავისუფლებს მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციით დაკისრებული ვალდებულებისაგან (იხ. ზემოხსენებული *Ribitsch*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი). შესაბამისად, სავალდებულოა სათანადო ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან წარმოიშვა ბ-ნი სელმუნის დაზიანებები.

88. წინამდებარე საქმეში სასამართლო მიიჩნევს, რომ, ძირითადად, მიღებული უნდა იქნეს კომისიის მიერ დადგენილი ფაქტები, ვინაიდან მის მიერ განხილული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სასამართლო თვლის, რომ კომისია მართლზომიერად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებლის მტკიცებები დამტკიცდა გონივრული ეჭვის გარეშე, რამეთუ ამგვარი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად დასაბუთებული, აშკარა და თანმხვედრი დასკვნების თანაარსებობიდან (იხ. საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* 1978 წლის 18 იანვარს გამოტანილი განაჩენი, სერია A №25, გვ. 64-65, პუნქტი 161, და საქმეზე *Aydın v. Turkey* 1997 წლის 25 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1997-VI, გვ. 1889, პუნქტი 73). რამდენიმე არსებული სამედიცინო ცნობა შეიცავს ზუსტსა და თანმხვედრ ინფორმაციას, ხოლო რაიმე სათანადო ახსნა-განმარტების, თუ საიდან წარმოიშვა დაზიანებები, არარსებობა ამართლებს კომისიის დასკვნას. თუმცა სასამართლოს მიერ განხორციელებული ანალიზი კომისიის მოსაზრებისაგან ორი მიზეზით განსხვავდება.

პირველ რიგში, სასამართლო, კომისიისაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ საჭიროა განმარტების გაკეთება ბ-ნი სელმუნის განცხადებებზე, რომლებიც არ მტკიცდება სამედიცინო დასკვნებით. ამ თვალსაზრისით

სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ მიმოხილვაში, ყურადღებას ამახვილებდა რა განაცხადის დაშვებადობაზე, წარმოადგინა არგუმენტები ფაქტების სერიოზულობისა და იმ გზების ალტერნატიულად, როგორც უნდა მოხდეს მათი კლასიფიცირება კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად. ხსენებულ მიმოხილვაში მთავრობა სადავოდ ხდიდა სავარაუდო დაზიანებების სიმძიმეს ექიმ გარნიეს მეორე დასკვნის (იხ. წინამდებარე განაჩენი პუნქტი 31) და ოკულისტის, ექიმ ბიარდის, დასკვნის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 46) კუთხით. ამგვარად, მიუხედავად ამ არგუმენტაციისა, რომელიც ამტკიცებს სანინალმდეგოს, მთავრობას არც ერთხელ არ გაუპროტესტებია სხვა ფაქტები, რომლებსაც ამტკიცებს ბ-ნი სელმუნი. სასამართლო სუბსიდიარული მოსაზრების სახით აღნიშნავს, რომ ეს ფაქტები დადგენილად ჩათვალა როგორც სისხლის სამართლის სასამართლომ – გარდა გაუპატიურებისა და მხედველობის დაქვეითების მტკიცებისა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 59-61), ისე ვერსალის სააპელაციო სასამართლომ, გარდა სექსუალური ძალადობისა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 65).

89. შესაბამისად, სასამართლო ავითარებს აზრს, რომ წარდგენილი საჩივრის გათვალისწინებით ეს ფაქტები შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს.

90. თუმცა სასამართლო თვლის, რომ არ იქნა დამტკიცებული ბ-ნი სელმუნის გაუპატიურების ფაქტი, რადგან ამის ბრალდება მან საკმაოდ გვიან გააკეთა საიმისოდ, რომ სამედიცინო მტკიცებულებას შეძლებოდა მისი დამტკიცება ან უარყოფა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 54). ამგვარადვე, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე არ დადგინდა მიზეზობრივი კავშირი განმცხადებლის მხედველობის სავარაუდო დაქვეითებასა და იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პოლიციაში პატიმრობისას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 46).

2. გასაჩივრებული მოპყრობის სიმძიმე

91. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სისასტიკის ის ზღვარი, რომელიც აუცილებელია მე-3 მუხლის გამოყენებისათვის, სახეზე იყო წინამდებარე საქმეში. მისი თქმით, პოლიციის ოფიცრების მოტივი, როგორც მას აცნობეს, ალიარების მოპოვება იყო. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სწორედ ის იყო დამნაშავე, თუმცა დაკავების დროს არც თვითონ მისი და არც მისი ოთახის გაჩხრეკის შედეგად არ იქნა აღმოჩენილი რაიმე მტკიცებულება. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 49 წლის განმავლობაში იგი არც ერთხელ არ ყოფილა მსჯავრდებული ან თუნდაც დაკავებული და უარყოფდა ყოველგვარ მონაწილეობას ნარკოტიკებით ვაჭრობაში, რასაც იძიებდა პოლიცია. სელმუნი ამტკიცებდა, რომ პოლიცია განზრახ ეპყრობოდა არასათანადოდ გამუდმებული დაკითხვებით დღისით და, უფრო მეტიც, ღამ-ღამობით.

განმცხადებლის მტკიცებით, იგი დაექვემდებარა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ არასათანადო მოპყრობას. როგორც იგი აღნიშნავს, ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ პოლიციაში ამგვარი პრაქტიკა არსებობდა, რაც მოითხოვდა მომზადებას, ნერთნასა და განზრახვას, ამავედროულად, მიზნად ისახავდა ალიარების ან ინფორმაციის მოპოვებას. იგი ამტკიცებდა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მისთვის მიყენებული ტკივილის სისასტიკე და სიმკაცრე ამართლებდა ქმედებების კლასიფიცირებას წამებად კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

92. კომისიამ ჩათვალა, რომ განმცხადებელმა დარტყმების შედეგად მიიღო დაზიანებები, აგრეთვე განიცადა ფიზიკური და სულიერი ტკივილი. ბ-ნი სელმუნის აზრით, ეს მოპყრობა განზრახ იქნა განხორციელებული მის მიმართ ალიარებისა თუ ინფორმაციის მიღების მიზნით. კომისიის შეხედულებით, ამგვარი მოპყობა, განხორციელებული სახელმწიფოს ერთი თუ მეტი მოხელის მიერ და დამტკიცებული სამედიცინო ცნობებით, იყო ისეთი სერიოზული და სასტიკი ხასიათის, რომ კლასიფიცირებული უნდა ყოფილიყო წამებად, სხვა სამართალდარღვევების, კერძოდ, გაუპატიურების, რომელზეც მიუთითებდა განცხადებელი, შესახებ აზრის გამოთქმის აუცილებლობის გარეშე.

93. თავის მიმოხილვაში ნიდერლანდების მთავრობა დაეთანხმა კომისიის მიერ ფაქტების შეფასებას კონვენციის დებულებების კუთხით, აგრეთვე მის დასკვნას.

94. საფრანგეთის მთავრობამ ხაზი გაუსვა არსებულ წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, კომისიის დასკვნას, რომელიც მიუთითებდა დაზიანებების „სიმძიმეზე, რაც აღნიშნული იყო ექიმ გარნიეს 1991 წლის 7 დეკემბრის დასკვნაში, და, მეორე მხრივ, უშუალოდ ექიმ გარნიეს დასკვნას შორის, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დაზიანებებს სერიოზული ხასიათი არ ჰქონდა. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ ოკულისტის დასკვნის მიხედვით, სავარაუდოდ ფაქტებსა და მხედველობის დაქვეითებას შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის მტკიცებით, როგორც სასამართლოს პრეცედენტული სამართლის (იხ. ზემოხსენებული საქმე *Ireland v. the United Kingdom*, აგრეთვე *Tomasi*-სა და *Aydin*-ის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები) საქმის ფაქტობრივი გარემოებების კუთხით, არასათანადო მოპყრობა, რომელიც ჩაიდინეს პოლიციის ოფიცრებმა, არ უთანაბრდებოდა „წამებას“ კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

95. სასამართლო იმეორებს, რომ მე-3 მუხლი ითვალისწინებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ ღირებულებას. თვით ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი, როგორცაა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას ან არაადამიანურ თუ და-

მამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. განსხვავებით კონვენციისა და №1 და №4 ოქმების არსებითი დებულებებისგან, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ან გადახვევის უფლებას, რაც დაშვებულია მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, თუნდაც საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც ემუქრება ერის სიცოცხლეს (იხ. ზემოხსენებული შემდეგი განაჩენები: საქმეზე *Ireland v. the United Kingdom*, გვ. 65, პუნქტი 163; *Soering*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 34-35, პუნქტი 88; და საქმეზე *Chahal v. the United Kingdom*, 1996 წლის 15 ნოემბერი, *მოხსენებები* 1996-V, გვ. 1855, პუნქტი 79).

96. იმისათვის, რომ განისაზღვროს, უნდა იქნეს თუ არა არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფორმა კვალიფიცირებული წამებად, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს განსხვავება, რასაც ითვალისწინებს მე-3 მუხლი, ამ ცნებასა და არადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ცნებას შორის. როგორც ევოპულმა სასამართლომ ადრე დაადგინა, არსებობდა იმის მიზანი, რომ კონვენციას ამ განსხვავების მეშვეობით სპეციალური ნიშანი მიენიჭებინა განზრახ არადამიანური მოპყრობისათვის, რამაც ძალიან მძიმე და სასტიკი ტანჯვა გამოიწვია (იხ. ზემოხსენებულ საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, გვ. 66-67, პუნქტი 167).

97. წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს, ამგვარსავე განსხვავებას აკეთებს, რაც გამომდინარეობს 1-ლი და მე-16 მუხლებიდან:

მუხლი 1

„1. ამ კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ფსიქოლოგიურს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააპინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან ეს ხდება მათი ნაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ...“

მუხლი 16, პუნქტი 1

„1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, თავის ოურიუსდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა აქტები, რომლებსაც არ მოიცავს მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრება,

როცა ასეთ აქტებს ჩადიან სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან ეს ხდება მათი ნაქეზებით, თუ ნებართვით ან მდუმარე თანხმობით. სახელდობრ, ვალდებულებები, რომლებსაც შეიცავს მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები, გამოიყენება, ოღონდ მათში ნახსენები განსაზღვრება „ნამება“ უნდა შეიცვალოს განსაზღვრებით „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის სხვა სახეობანი“.

98. სასამართლო ადგენს, რომ ყველა დაზიანება, რომლებიც მითითებულია სხვადასხვა სამედიცინო ცნობებში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11-15 და 17-20) და განმცხადებლის განცხადებებში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი დაექვემდებარა პოლიციაში პატიმრობისას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 18 და 24) ადგენს ფიზიკური და – უდავოდ (მიუხედავად იმისა, რომ, სამწუხაროდ, არ ყოფილა მიღებული ფსიქოლოგიური დასკვნა ბ-ნი სელმუნის შესახებ ზემოხსენებული მოვლენების შემდეგ) – სულიერი ტკივილისა თუ ტანჯვის არსებობას. მოვლენათა მიმდინარეობა აგრეთვე ცხადყოფს, რომ ტკივილი და ტანჯვა განმცხადებელს მიაღდა განზრახ, *inter alia*, დანაშაულის აღიარების მიზნით, რომლის ჩადენაშიც იყო ეჭვიმტანილი. და ბოლოს, სამედიცინო ცნობები, რომლებიც თან ერთვის საქმის მასალებს, აშკარად აჩვენებს, რომ ძალადობის მრავალი აქტი უშუალოდ განხორციელებული იყო პოლიციის ოფიცრების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

99. გასაჩივრებულმა ქმედებებმა განმცხადებელში წარმოშვა შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების შეგრძნება, რასაც შეეძლო მისი დამცირება და შეურაცხყოფა და, შესაძლოა, მისი ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის გატეხვა. ამგვარად, სასამართლო აღმოაჩენს ელემენტებს, რომლებიც საკმარისად სერიოზულია, რათა ამგვარი მოპყრობა ჩაითვალოს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად (იხ. ზემოხსენებულ საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, გვ. 66-67, პუნქტი 167; და *Tomasi*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 42, პუნქტი 115). სასამართლო იმეორებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რაც არ იყო მკაცრად აუცილებელი მისი საქციელიდან გამომდინარე, ამცირებს ადამიანურ ღირსებას და პრინციპში წარმოადგენს მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას (იხ. *Ribitsch*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 26, პუნქტი 38, და საქმეზე *Tekin v. Turkey* 1998 წლის 9 ივნისის გამოტანილი განაჩენი, *მობხენებები* 1998-IV, გვ. 1517-18, გვ. 53).

100. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინამდებარე საქმეში უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა ბ-ნი სელმუნისათვის მიყენებული „ტკივილი ან ტანჯვა“ განსაზღვრული იყოს როგორც „სასტიკი“ გაერო-ს კონვენციის 1-

ლი მუხლის მნიშვნელობით. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული „სი-სასტიკე“, მსგავსად „მინიმალური სისასტიკისა“, აუცილებელია მე-3 მუხლის გამოყენებისათვის საგნების შეფარდებითი ხასიათის გათვალისწინებით; ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

101. სასამართლომ ადრე განხილულ მთელ რიგ საქმეებში დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მოპყრობას, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ ნამებად კვალიფიცირებულიყო (იხ. ზემოხსენებულ *Aksay*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 2279, პუნქტი 64, და *Aydin*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 1891-92, პუნქტები 83-84 და 86). თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონვენცია „ცოცხალი დოკუმენტია, რომლის იტერპრეტაცია უნდა მოხდეს დღევანდელი გარემოებების კუთხით“ (იხ. *inter alia*, შემდეგი განაჩენები: საქმეზე *Tyrer v. the United Kingdom*, 1978 წლის 25 აპრილი, სერია A №26, გვ. 15-16, პუნქტი 31; *Soering*-ის საქმეზე, გვ. 40, პუნქტი 102; და საქმეზე *Loizidou v. Turkey*, 1995 წლის 23 მარტის განაჩენი, სერია A №310, გვ. 26-27, პუნქტი 71), სასამართლო მიიჩნევს, რომ გარკვეული ქმედებები, რომლებიც წარსულში კლასიფიცირებული იყო „არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“ „ნამების“ საწინააღმდეგოდ, შეიძლება მომავალში სხვაგვარად იქნეს კლასიფიცირებული. სასამართლო იმ აზრს ავითარებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში აუცილებელი მნიშვნელოვნად მაღალი სტანდარტის არსებობა შესაბამისად და გარდუვალად მოითხოვს უფრო მეტ სიმტკიცეს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევათა შეფასებისას.

102. სასამართლო დარწმუნებულია იმაში, რომ ბ-ნ სელმუნის დარტყმების დიდი ოდენობა აქვს მიყენებული. როგორც არ უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დარტყმების ამგვარი ინტენსიურობა მნიშვნელოვან ტკივილს მიაყენებს მას. უფრო მეტიც, დარტყმა ავტომატურად არ ტოვებს კვალს სხეულზე. თუმცა, როგორც ეს გამომდინარეობს ექიმ გარნიეს 1991 წლის 7 დეკემბრის სამედიცინო დასკვნიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 18-20), ძალადობის კვალი ბ-ნ სელმუნის თითქმის მთელ სხეულზე ჰქონდა.

103. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ განმცხადებელს თმებით ითრევდნენ; არბენინებდნენ დერეფანში, ხოლო ორივე მხარეს განლაგებული პოლიციელები ფეხს უდებნენ; რომ იგი დააჩოქეს ახალგაზრდა ქალის წინ, რომელსაც ვილაცამ მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ნახე, შენ ახლა სიმღერას გაიგონებ“; რომ მას პოლიციელმა პენისი დაანახა, შემდეგი სიტყვებით: „აჰა, მონუნე ეს“, ამის შემდეგ კი დააშარდა; რომ მას დაემუქრნენ სარჩილავი ლამპითა და ნემსით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 24).

გარდა ზემოხსენებული ქმედებების ძალადობრივი ხასიათისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერი პირისათვის, მისი მდგომარეობის მიუხედავად, შემზარავი და დამამცირებელი იქნებოდა.

104. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული მოვლენები არ შემოიფარგლებოდა პოლიციაში პატიმრობის მხოლოდ ერთი პერიოდით, რომლის განმავლობაში – ყოველგვარი გამართლების გარეშე – გადამეტებულმა დაძაბულობამ და ემოციებმა მიგვიყვანა გადაჭარბებამდე. ამკარად იქნა დადგენილი, რომ ბ-ნი სელმუნი დაექვემდებარა განმეორებით და ხანგრძლივ ძალადობას დაკითხვისას მრავალი დღის განმავლობაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11-14).

105. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის პიროვნების წინააღმდეგ განხორციელებულმა ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა ძალადობამ, რაც განხილულია მთლიანობაში, მას „სასტიკი“ ტყვილი და ტანჯვა მიაყენა, რაც იყო განსაკუთრებულად სერიოზული და სასტიკი. ამგვარი ქმედება უნდა ჩაითვალოს ნამებად კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისათვის.

3. დასკვნა

106. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

107. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მის საჩივართან დაკავშირებული სამართალწარმოება პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ არ ჩატარდა გონივრულ ვადაში, რასაც მოითხოვს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა . . . განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება . . . სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში . . . მოსმენაზე.“

ა. განსახილველი პერიოდი

108. განმცხადებლის მტკიცებით, განსახილველი პერიოდი დაიწყო 1991 წლის 29 ნოემბერს, მაშინ, როდესაც იგი წარდგენილი იქნა გამოძიებელი მოსამართლის წინაშე პოლიციაში პატიმრობის შემდეგ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, 1991 წლის 11 დეკემბრიდან, როდესაც ბობინის გამოძიებელმა მოსამართლემ სამედიცინო ექსპერტის დასკვნის პროკურატური-

სათვის გადაცემა ბრძანა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ, რამდენადაც გამომძიებელმა მოსამართლემ გამოიჩინა ექსპრეტის დანიშვნის ინიციატივა, მას შეეძლო კანონიერად იმ დასკვნის გამოტანა, რომ საქმეს განიხილავდა სასამართლო ხელისუფლება. უფრო მეტიც, ამგვარ ვალდებულებაზე აშკარად მიუთითებს გაერო-ს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც, ყოველ მონაწილე სახელმწიფოს მოეთხოვება, უზრუნველყოს, რომ მისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა სწრაფად წარმართონ გამოძიება, როცა საკმარისი საფუძველია ეჭვისათვის, რომ გამოყენებული იყო წამება. განმცხადებელი აგრეთვე ჩიოდა, რომ მისი 1992 წლის 1 დეკემბრის საჩივარი იყო აშკარა და ერთმნიშვნელოვანი. ბ-ნი სელმუნი ამტკიცებდა, რომ მისი საჩივრისა და სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ განცხადების რეგისტრაციაში გატარების თარიღი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სამართალწარმოების დაწყების დღედ.

109. თავის მხრივ, მთავრობა მიუთითებს, რომ სამართალწარმოება დაიწყო 1993 წლის 15 მარტს, როდესაც სისხლის სამართლის საჩივარი და განცხადება სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ შეტანილი იქნა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე.

110. კომისიამ ჩათვალა, რომ სამართალწარმოება არ დაწყებულა 1993 წლის 15 მარტამდე, როდესაც რეგისტრაციაში გატარდა განმცხადებლის საჩივარი.

111. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი პერიოდი სამართალწარმოებასთან მიმართებაში, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „გონივრული ვადის“ მოთხოვნის შესაბამისად, დაიწყო მაშინ, როდესაც განმცხადებელმა აშკარად შეიტანა საჩივარი, დაკითხული იქნა რა ეროვნული პოლიციის ინსპექციის ოფიცრის მიერ – 1992 წლის 1 დეკემბერს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 24). სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საჩივრის ეს მარტივი ფორმა არის დაცვის საშუალება, რომელსაც ითვალისწინებს საფანგეთის კანონმდებლობა, და რომ პროკურორმა იცოდა განმცხადებლის საჩივრის შესახებ ჯერ კიდევ 1992 წლის 2 დეკემბერს, როდესაც მას დაკითხვის ჩანაწერი გადაეცა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 25). ითვალისწინებს რა სავარაუდო ქმედებების ხასიათსა და განსაკუთრებულ სერიოზულობას, სასამართლო არ თვლის, რომ განსახილველი პერიოდი უნდა დაიწყოს 1993 წლის 1 თებერვლიდან, როდესაც განმცხადებელმა შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი და განცხადება სამართალწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 28; შემოხსენებული *Tomasi*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 20 და 43, პუნქტები 46 და 124 შესაბამისად) ან, *a fortiori*, იმ დღეს, როდესაც საჩივარი და განცხადება გატარდა რეგისტრაციაში.

ბ. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა

112. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, კერძოდ: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების საქციელი (იხ. *inter alia*, ზემოხსენებული *Vernillo*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 12-13, პუნქტი 30; და საქმეზე *Acquaviva v. France* 1995 წლის 21 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №333-A, გვ. 15-16, პუნქტი 53).

1. სასამართლოსთვის წარდგენილი არგუმენტაცია

113. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა თავისთავად არ აიხსნება საქმის სირთულით ან მისი საქციელით. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების ქმედებას, განმცხადებელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ პერიოდს. 1991 წლის 29 ნოემბრიდან 1994 წლის 27 აპრილამდე ხელისუფლების საქციელი შედარებით ქმედითი იქნებოდა, თუ დიდხანს არ დაელოდებოდა ეროვნული პოლიციის ინსპექციის ოფიცრის დაკითხვას და მოითხოვდა საქმის ახალი სასამართლოსათვის გადაცემას. მეორე პერიოდი 1994 წლის 27 აპრილიდან დღემდე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში სასამართლო ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეჩვენებინა რაიმე გულმოდგინება სამართალწარმოების მსვლელობისას, მიუხედავად ფაქტების სერიოზული ხასიათისა.

114. მთავრობამ აღნიშნა, რომ საქმე თავისთავად არ იყო განსაკუთრებული სირთულის სამართლებრივი თვალსაზრისით, მაგრამ ფაქტების ძალიან სერიოზული ხასიათი და ბრალდებული პირების სტატუსი ამართლებდა სამართალწარმოების სპეციალური გზით წარმართვას, რამაც მისი გახანგრძლივება განაპირობა. წინამდებარე საქმეში აუცილებლად იქნა მიჩნეული ბრძანების მიღება საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის თაობაზე „მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისათვის“ (იხ. საქმეზე *Boddaert v. Belgium* 1992 წლის 12 ოქტომბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №235-D). რაც შეეხება თვითონ განმცხადებლის საქციელს, მთავრობა ეთანხმება კომისიას, რომ მის საქციელს არ გამოუწვევია სამართალწარმოების გახანგრძლივება.

სასამართლო ხელისუფლების საქციელის თვალსაზრისით მთავრობა ამტკიცებდა, რომ გამოძიება განხორციელდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე 1994 წლის 1 მარტამდე, როდესაც ბობინის გამომძიებელმა მოსამართლემ საქმე გაუგზავნა პროკურატურას. იმ დროს, როდესაც საქმე განიხილებოდა სხვადასხვა სასამართლოში, ხელისუფლება აგრეთვე გულმოდგინედ იქცეოდა. 1994 წლის 22 ივნისის შემდეგ, როდესაც დაინიშნა

ვერსალის *tribunal de grande instance*-ს გამომძიებელი მოსამართლე, მთავრობამ აღიარა, რომ საქმის განხილვაში ადგილი ჰქონდა შეფერხებებს, რაც, მისი თქმით, არ იყო განპირობებული მხოლოდ გამომძიებელი მოსამართლის მიზეზით.

მთავრობას არ გაუპროტესტებია ის ფაქტი, რომ სამართალწარმოების მთელი ხანგრძლივობა იყო გადაჭარბებული, რამდენადაც ბრალდებულის სერიოზულობა უდავოდ მოითხოვდა განსაკუთრებულ გულმოდგინებას გამოძიების მიმდინარეობის დროს.

115. კომისიამ ჩათვალა, რომ საქმე არ იყო განსაკუთრებული სირთულის, მიუხედავად ფაქტების უკიდურესად სერიოზული ხასიათისა და საბოლოოდ ბრალდებული პირების სტატუსისა, კერძოდ: პოლიციის ოფიცრებს ბრალი ედებოდათ სამართალდარღვევების ჩადენაში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების საქციელს, კომისიამ აგრეთვე მიიჩნია, რომ საქმე სხვადასხვაგვარად ხორციელდებოდა განსახილველი პერიოდის განმავლობაში. ერთი მხრივ, იგი სათანადო გულმოდგინებით წარიმართა 1994 წლის 22 ივნისამდე, როდესაც დაინიშნა ვერსალის *tribunal de grande instance*-ს გამომძიებელი მოსამართლე, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობდა მეორე პერიოდიც, რომელიც ემთხვევა ვერსალის გამომძიებელი მოსამართლის მიერ გამოძიების წარმოებას, რომლის დროსაც ხელისუფლებამ არ მიიღო ყველა პოზიტიური ღონისძიება და არ გამოავლინა აუცილებელი გულმოდგინება, ბრალდებულის სერიოზული ხასიათისა და ზემოხსენებული მოვლენებიდან გასული დროის გათვალისწინებით.

2. სასამართლოს მიერ განხორციელებული შეფასება

(ა) საქმის სირთულე და განმცხადებლის ქმედება

116. სასამართლო ეთანხმება განმცხადებელს ამ საკითხთან დაკავშირებით. ამგვარად, არც საქმის სირთულე და არც განმცხადებლის საქციელი არ ამართლებს სამართალწარმოების ხანგრძლივობას.

(ბ) სასამართლო ხელისუფლების ქმედება

117. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოება, რომელიც კვლავ მიმდინარეობს, რამდენადაც შესაძლებელია სააპელაციო საჩივრის შეტანა, უკვე გრძელდება ექვს წელსა და შვიდ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. სასამართლო, როგორც უკვე აღნიშნა ამ საკითხთან დაკავშირებით, იმეორებს, რომ, როდესაც პირს აქვს დასაბუთებული საჩივარი მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან საგანგებო და ქმედით გამოძიებას, რო-

მელსაც მიეყავართ პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებასა და დასჯამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 79).

მიუხედავად მთავრობის აღიარებისა, რომ, სავარაუდო ფაქტების სერიოზულობიდან გამომდინარე, მთელი სამართალწარმოება იყო გადაჭარბებული (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 114), სასამართლო მიიჩნევს, რომ მისმა დასკვნებმა საჩივრის დაშვებადობასთან დაკავშირებით მე-3 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, დასკვნამ, რომ რამდენიმე შეფერხება განპირობებული იყო სასამართლო ხელისუფლების მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 78), მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი არის დასაბუთებული.

(გ) დასკვნა

118. ხელთ არსებული ყველა მტიცებულების მხედველობაში მიღებით სასამართლო ადგენს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „გონივრული ვადა“ გადაჭარბებული იყო.

აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას სამართალწარმოების მთელ ხანგრძლივობასთან მიმართებაში.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

119. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები და თუ შესაბამისი მალალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას.“

ა. ზიანი

120. განმცხადებელი ითხოვს 750,000 ფრანგულ ფრანკს მიყენებული პირადი ზიანისათვის. ეს თანხა მოიცავს ზოგად კომპენსაციას იმ დაზიანებების გამო, რომლებიც გამოიწვია მის მიმართ განხორციელებულმა ძალადობამ პოლიციაში პატიმრობისას, და სპეციალურ კომპენსაციას მხედველობის დაქვეითების გამო, რამდენადაც მისი მხედველობა ჯერ კიდევ არ არის სტაბილიზებული. ბ-ნი სელმუნი მოითხოვს 1,500,000 ფრანგულ ფრანკს არამატერიალური ზიანისათვის, რაც განაპირობა მოპყრობამ, რომელსაც იგი დაექვემდებარა პოლიციაში პატიმრობისას, სამართალწარმოების ხანგრძლივობამ და სასჯელის ნიდერლანდებში მოხდის შეუძლებლობამ.

121. საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ, რამდენადაც არ არსებობდა რაიმე განსხვავება მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანსა და იმ ფაქტს შორის, რომ სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა შიდა სასამართლოებში, 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ იყო მზად გადაწყვეტილების მისაღებად.

122. კომისიის დელეგატმა არ გამოთქვა რაიმე მოსაზრება.

123. პირველ რიგში, სასამართლო იმეორებს თავის დასკვნას, რომ განმცხადებელს არ დაუმტკიცებია, რომ იგი იქნა გაუპატიურებული, და არც მიზეზობრივი კავშირი დადგინდა ძალადობასა და მხედველობის დაქვეითებას შორის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 90). მიუხედავად ამისა, ასკვნის, რომ, მხედველობაში მიიღო რა, *inter alia*, მუშაობისათვის გამოუსადეგრობის საფუძველზე დროებითი გათავისუფლება ხუთი დღით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 31) და, ნაწილობრივ, მისი ტკივილი და ტანჯვა, განმცხადებელმა განიცადა პირადი ზიანი არამატერიალურ ზიანთან ერთად. შესაბამისად, გაითვალისწინა რა კონვენციის დარღვევების სერიოზული ხასიათი, რომელთა მსხვერპლი გახდა ბ-ნი სელმუნი, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან განიცადა პირადი და არამატერიალური ზიანი, რისთვისაც განაჩენში მითითებული დასკვნები არ ითვალისწინებს საკმარის კომპენსაციას. სასამართლო თვლის, რომ, წინა დასკვნების გათვალისწინებით, საკითხი 41-ე მუხლის გამოყენების თაობაზე მზად არის და, სამართლიან საფუძველზე შეფასებით, რასაც მოითხოვს ხსენებული მუხლი, ანიჭებს მას 500,000 ფრანგულ ფრანკს.

ბ. ტსოვნა ნიდერლანდებისთვის გადაცემის თაობაზე

124. განმცხადებელმა მოითხოვა სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად ნიდერლანდებისთვის გადაცემა.

125. ნიდერლანდების მთავრობა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მხარს უჭერს განმცხადებლის თხოვნას, აღნიშნავს რა, რომ ორივე სახელმწიფო არის მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ 1993 წლის 21 მაისის კონვენციის მხარე.

126. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ 41-ე მუხლი არ აძლევს იურისდიქციას, მიიღოს ბრძანება ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ (მაგალითად, იხ. *mutatis mutandis*, საქმეზე *Saïdi v. France* 1993 წლის 20 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, სერია A №261-C, გვ. 57, პუნქტი 47; და ზემოხსენებული *Remli*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 575, გვ. 54).

ბ. განუხლები ხარჯები

127. განმცხადებელი ქვითრებზე დაყრდნობით მოითხოვს 203,814 ფრანგულ ფრანკს ხარჯებთან და წარმომადგენლობისათვის განუხლ და-ნახარჯებთან მიმართებაში. მან თანხა შემდეგი სახით გაანაწილა: 90,450 ფრანგული ფრანკი ვერსალის სასამართლოების, ხოლო 113,364 ფრანგული ფრანკი – კონვენციის ინსტიტუტების წინაშე სამართალწარმოებისათვის, ამას გამოკლებული ის თანხები, რაც კომისიამ და სასამართლომ მია-ნიჭეს სამართლებრივი დახმარების სახით.

128. მთავრობის მტკიცებით, საკითხი 41-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად.

129. კომისიის დელეგატს არ გამოუთქვამს რაიმე მოსაზრება.

130. სასამართლო გონივრულად მიიჩნევს განმცხადებლის მოთხოვნას ხარჯებისა და დანახარჯების თვალსაზრისით კომისიისა და სასამართლოს წინაშე, კერძოდ, 113,364 ფრანგულ ფრანკს. სასამართლო მთლიანად ანიჭებს მას აღნიშნულ თანხას, გამოკლებული თანხა, რაც განმცხადებელმა მიიღო სამართლებრივი დახმარების სახით ევროპის საბჭოსაგან, რაც სარჩელში ჯერ არ ყოფილა გათვალისწინებული.

დ. სასაბაჟო

131. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი საპროცენტო განაკვეთი საფრანგეთში წინამდებარე განაჩენის გამოტანის დღისათვის არის 3.47% ყოველწლიურად.

ე. თხოვნა დეკლარაციის თაობაზე, რომ შესაბამისი თანხა გა-თავისუფლდეს გადასახადისაგან

132. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მას საბაჟო ჯარიმის სახით თორმეტი მილიონი ფრანგული ფრანკის გადახდა ებრძანა ერთობლივად და ცალ-ცალკე მათ წინააღმდეგ მიმართულ სამართალწარმოებაში სხვა მსჯავრდებულ პირებთან ერთად. შესაბამისად, განმცხადებელმა სთხოვა სასამართლოს, განაჩენში დაეკონკრეტებინა, რომ 41-ე მუხლის საფუძველზე მინიჭებული თანხა გათავისუფლებული უნდა ყოფილიყო გადასახადისაგან.

133. სასამართლო თვლის, რომ 41-ე მუხლის თანახმად მინიჭებული კომპენსაცია სასამართლოს განაჩენის ძალით უნდა გათავისუფლდეს გადასახადისაგან. შეუსაბამო იქნებოდა განმცხადებლისათვის კომპენსაციის მინიჭება, *inter alia*, არასათანადო მოპყრობისათვის, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, აგრეთვე ხარჯებისა და გა-

ნეული დანახარჯების უზრუნველსაყოფად, თუ სახელმწიფო თვითონ წარმოადგენდა როგორც დებიტორს, ისე კრედიტორს ამ თანხის მიმართ. თუმცა ხსენებული თანხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზანი და 41-ე მუხლის სისტემა გარდუვალად იქნება ხელყოფილი, თუ ასეთი სიტუაცია იქნება დამტკიცებული. თუმცა სასამართლოს არა აქვს იურისდიქცია, დაეთანხმოს ამგვარ თხოვნას (იხ., *inter alia*, საქმეზე *Philis v. Greece* 1991 წლის 27 აგვისტოს გამოტანილი განაჩენი, სერია A №209, გვ. 27, პუნქტი 79, და საქმეზე *Allenet de Ribemont v. France* 1996 წლის 7 აგვისტოს გამოტანილი განაჩენი, მოხსენებები 1996-III, გვ. 910, პუნქტები 18-19). ამდენად, ეს საკითხი უნდა გადაეცეს საფრანგეთის ხელისუფლების დისკრეციას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. არ აკმაყოფილებს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას, რომ შიდა-სახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები არ იყო ამონურული;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
4. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს 500,000 (ხუთასი ათასი) ფრანგული ფრანკი პირადი ზიანისა და არამატერიალური ზიანისათვის, აგრეთვე 113,364 (ას ცამეტი ათას სამას სამოცდაოთხი) ფრანგული ფრანკი ხარჯებისათვის. სამი თვის ამონურვის შემდეგ თანხის სრულად გადახდამდე ამ თანხას დაერიცხება წლიური მარტივი პროცენტი 3.47%;
5. არ აკმაყოფილებს განმცხადებლის პრეტენზიის დარჩენილ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ადამიანის უფლებათა სახლში, სტრასბურგში, 1999 წლის 28 ივლისს.

ლუციუს ვილდჰაბერი,
პრეზიდენტი

მოდ დე ბოერ-ბუკიჩიო,
რეგისტრატორის მოადგილე

სილვერი და სხვები
გაერთიანებული სამეფოს
წინააღმდეგ

Silver and others v. the United Kingdom

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Silver and others v. the United Kingdom*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის¹ სათანადო დებულებების შესაბამისად. პალატა შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან:

ბ-ნი ჯ. ვიარდა, პრეზიდენტი,
ბ-ნი თორ ვილიალმსონი,
ბ-ნი ფ. გოლცუკლუ,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი,
სერ ვინსენტ ევანსი,
ბ-ნი ს. რუსო,

აგრეთვე, რეგისტრატორი – ბ-ნი მ.-ა. ეისენი და რეგისტრატორის მოადგილე – ბ-ნი პ. პეტზოლდი.

იმსჯელა რა განმარტოებით 1982 წლის 23-24 სექტემბერსა და 1983 წლის 24-25 თებერვალს,

1983 წლის 25 თებერვალს სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

¹ რეგისტრატორის შენიშვნა: რეგლამენტის ვერსია, რომელიც მოქმედებდა სამართალწარმოების დაწყების დროს. სასამართლოს რეგლამენტის განახლებული ვერსია ძალაში შევიდა 1983 წლის 1 იანვარს, მაგრამ მხოლოდ იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც სასამართლოს ამ თარიღის შემდეგ გადაეცა.

1. საქმე „სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“). საქმეს საფუძვლად უდევს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ 1972-1975 წლებში სხვადასხვა დღეს ბ-ნი რუბენ სილვერის, ბ-ნი კლიფორდ დიქსონ ნოის, ქ-ნი ჯუდიტ კოლნის, ბ-ნი ჯეიმს ჰენრი ტატლის, ბ-ნი გარი კუპერის, ბ-ნი მაიკლ მაკმაჰონისა და ბ-ნი დესმონდ როი კარნეს მიერ კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად კომისიისთვის წარდგენილი შვიდი განაცხადი (№5947/72, №6205/73, №7052/75, №7061/75, №7107/75, №7113/75 და №7136/75).

2. კომისიის თხოვნა შეტანილი იქნა სასამართლოს რეგისტრატურაში 1981 წლის 18 მარტს – სამი თვის ვადაში, რომელიც დადგენილია 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით. თხოვნა მიუთითებდა 44-ე და 48-ე მუხლებსა და დეკლარაციაზე, რომლითაც გაერთიანებულმა სამეფომ ცნო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (მუხლი 46). თხოვნა მიზნად ისახავდა სასამართლოს გადანყვეტილების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოქალაქე მთავრობის მიერ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-8 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.

3. შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატა აერთიანებდა *ეს ოფ-ფიცო* წევრებს: სერ ვინსენტ ევანსს, ბრიტანეთის მხრიდან არჩეულ მოსამართლეს (კონვენციის 43-ე მუხლი), და ბ-ნ ჯ. ვიარდას, სასამართლოს პრეზიდენტს (სასამართლოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტი). 1981 წლის 25 აპრილს პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით კენჭისყრით აირჩია დანარჩენი ხუთი წევრი, კერძოდ: ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი, ბ-ნი ფ. მატშერი, ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი, ბ-ნი ს. რუსო და ბ-ნი რ. ბერჰადტი (კონვენციის 43-ე მუხლი *ინ ფინე* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

შემდგომში ბ-ნმა ფ. გოლცუკლუმ და ბ-ნმა თორ ვილიალმსონმა, შემცვლელმა მოსამართლეებმა, შესაბამისად, დაიკავეს ქ-ნი ბინდშედლერ-რობერტის, რომელიც პრეზიდენტმა გაათავისუფლა საქმიდან, და ბ-ნი ბერნჰარდტის, რომელიც ჩამოშორებული იქნა საქმის შემდგომი განხილვიდან, ადგილები (რეგლამენტის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 24-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები).

4. ბ-ნმა ვიარდამ, რომელიც გახდა პალატის პრეზიდენტი რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრატორის მემკვიდრით გამოარკვია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის (შემდგომში

„მთავრობა“) წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატების მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით. 4 მაისს ბ-ნმა ვიარდამ გადანყვიტა, რომ მთავრობის წარმომადგენელს უნდა წარმოედგინა მიმოხილვა 1981 წლის 4 სექტემბრამდე, ხოლო დელეგატებს საპასუხო მემორანდუმი რეგისტრატორის მიერ მთავრობის მიმოხილვის მიღებიდან ორი თვის ვადაში უნდა წარმოედგინათ. 13 აგვისტოს პრეზიდენტმა თანხმობა გამოთქვა, რომ პირველი ვადა გაგრძელებულიყო 1981 წლის 2 ოქტომბრამდე.

მთავრობის მიმოხილვები რეგისტრატურაში 1981 წლის 2 ოქტომბერს იქნა მიღებული. 4 დეკემბერს კომისიის მდივანმა, რომელმაც რეგისტრატორს შეატყობინა 14 ოქტომბერს, რომ დელეგატებმა არ გამოთქვეს სურვილი, თავად ეპასუხათ წერილობითი ფორმით, გადასცა სასამართლოს მიმოხილვა, რომელიც დელეგატებს განმცხადებელთა ადვოკატებმა წარუდგინეს.

5. 1982 წლის 27 იანვარს სასამართლომ ჩაატარა მოსამზადებელი შეხვედრა და ჩამოაყალიბა მთელი რიგი წინადადებებისა მის წინაშე ჩასატარებელი მოსმენის სფეროს შეზღუდვასთან დაკავშირებით. იმავე დროს სასამართლომ შეადგინა კითხვებისა და თხოვნების სია, რომელიც 10 თებერვალს რეგისტრატორის მეშვეობით გადაეცა მთავრობასა და კომისიას; პასუხები მთავრობას უნდა წარედგინა 14 ივნისამდე, ხოლო კომისიას ერთ კითხვასთან დაკავშირებით – 6 აგვისტომდე.

6. რეგისტრატორის მეშვეობით მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატებთან მოთათბირების შემდეგ პრეზიდენტმა გადანყვიტა 17 მაისს, რომ ზეპირი მოსმენა უნდა ჩატარებულიყო 1982 წლის 22 სექტემბერს, ხოლო 22 ივლისს გადანყვიტა, რომ მისი სფერო შეზღუდული უნდა ყოფილიყო იმგვარად, როგორც ეს მითითებული იყო იმავე დღეს მიღებულ ბრძანებაში.

7. ზეპირი მოსმენა ჩატარდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1982 წლის 22 სექტემბერს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ქ-ნი ა. გლოვერი, იურიდიული მრჩეველი, საგარეო საქმეთა სამინისტრო — წარმომადგენელი;

ბ-ნი ს. ბრაუნნი,

ბ-ნი ნ. ბრათზა, ადვოკატი — მრჩეველი;

ქ-ნი ს. ევანსი,

ბ-ნი ს. ოსბორნი,

ქ-ნი ვ. დიუსი, შინაგან საქმეთა სამინისტრო,

ბ-ნი რ. ფილიპსი, სახაზინო ადვოკატთა სამსახური — მრჩეველები;

კომისიის სახელით:

ბ-ნი ჯ. ფოკეტი,

ბ-ნი ფ. ერმაკორა — დელეგატები;

ბ-ნი ა. ლესტერი, დედოფლის ადვოკატი,

ბ-ნი მ. ბელოფი, დედოფლის ადვოკატი,

ბ-ნი ბ. რეიმონდი,

ბ-ნი ს. გროსი, ადვოკატები, რომლებიც რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, დახმარებას უწევდნენ დელეგატებს.

სასამართლო მოუსმინა ბ-ნ ბრაუნს მთავრობის სახელით და ბ-ნ ფოკეტს, ბ-ნ ერმაკორასა და ბ-ნ ლესტერს კომისიის სახელით, აგრეთვე მათ პასუხებს სასამართლოს ორი წევრის მიერ დასმულ კითხვებზე.

8. 22 სექტემბერს კომისიამ წარმოადგინა სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის მიმოხილვა, რომლებიც მან მიიღო განმცხადებლებისაგან კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენდა დარღვევას.

იმავე დღეს პრეზიდენტმა დაადგინა, რომ ხსენებულ მიმოხილვაზე მთავრობას პასუხი წერილობითი ფორმით უნდა წარმოედგინა 22 ნოემბრამდე – ვადაში, რომელიც შემდგომში გაგრძელებული იქნა მთავრობის თხოვნის საფუძველზე 1983 წლის 14 იანვრამდე. პასუხი სამდივნოში უკანასკნელ ხსენებულ დღეს იქნა მიღებული.

1983 წლის 25 იანვარს პრეზიდენტმა დაადგინა, რომ კომისიის დელეგატებს 1983 წლის 14 მარტამდე უნდა წარმოედგინათ მიმოხილვები, რომელთა წარდგენა მათ ან განმცხადებლებს უნდოდათ ზემოხსენებული მიმოხილვის საპასუხოდ.

9. შეიდივე განმცხადებლის ძირითადი საჩივარი ის იყო, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ მათი მიმონერის კონტროლი წარმოადგენდა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებით გარანტირებული მიმონერის პატივისცემის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევას. მათი მტკიცებით, მე-13 მუხლის სანინაალმდეგოდ, ხსენებული დარღვევების მიმართ არ არსებობდა შიდა სამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტიანი საშუალება. გარდა ამისა, ბ-ნი სილვერი ჩიოდა, რომ მას ხელი არ მიუწვდებოდა სასამართლოზე, რაც წარმოადგენდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას სამართლებრივი კონსულტაციის შესახებ ორ პეტიციასთან მიმართებაში.

I. ფაქტები თითოეულ განმცხადებელთან მიმართებაში

ა. ბ-ნი სილვერი

10. პირველი განმცხადებელი, ბ-ნი რუბენ სილვერი, დაიბადა 1915 წელს. იგი იყო გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე. კომისიაში განაცხადის შეტანის დროს (1972 წლის 20 ნოემბერი) იგი იმყოფებოდა პატიმრობაში ინგლისში. ციხიდან გათავისუფლებული იქნა 1974 წლის თებერვალში. იგი გარდაიცვალა 1979 წლის მარტში.

11. 1972 წლის იანვრიდან 1973 წლის მარტამდე ბ-ნი სილვერის 7 წერილი შეჩერებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ წინამდებარე განაჩენის 59-ე, 62-ე, 63-ე, 66-ე, 68-ე და 69-ე პუნქტებში მითითებულ საფუძვლებზე.

განმცხადებელს არ მიუმართავსაჩივრით ციხის შიდა არხების მეშვეობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 51-53) მისი მიმონერის შეჩერებასთან დაკავშირებით; მისი მტკიცებით, ციხის უფროსმა მას ხელი შეუშალა, თითოეული შემთხვევის თაობაზე პეტიციებით მიემართა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რადგან ბ-ნი სილვერის წინა პეტიციებს იმ დროისათვის რეაგირება არ მოჰყოლია.

12. 1972 წლის 20 ნოემბერს ბ-ნმა სილვერმა პეტიციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს სამართლებრივი კონსულტაციის მიღების მიზნით ციხეში შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. იგი, *inter alia*, ჩიოდა სამედიცინო და სტომატოლოგიური მკურნალობის თაობაზე. მას ნებართვაზე უარი ეთქვა 1973 წლის 18 აპრილს. 1973 წლის 30 ივლისს მან შეიტანა ახალი პეტიცია, რომელშიც მიუთითებდა წინა პეტიციაზე და ითხოვდა ნებართვას სამართლებრივი კონსულტაციის მიღებაზე სტომატოლოგიურ მკურნალობასთან დაკავშირებით. მეორე პეტიცია, როგორც ჩანს, დაკმაყოფილებული იქნა 1973 წლის 1 ოქტომბერს, მაგრამ ბ-ნი სილ-

ვერი ჩიოდა, რომ მისთვის არ უცნობებიათ ამის შესახებ. იმ დროს, როცა მან შეიტანა ორივე პეტიცია, პატიმრებს არ შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციის მიღება მოსალოდნელ სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვის გარეშე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32).

ბ. ბ-ნი ნოი

13. მეორე განმცხადებელი, ბ-ნი კლიფორდ დიქსონ ნოი, არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, დაბადებული 1930 წელს. კომისიაში განაცხადის შეტანის დროს (1973 წლის 1 თებერვალი) იგი ინგლისში იხდიდა პატიმრობას თაღლითობაში მსჯავრდებისათვის. ციხიდან გათავისუფლდა 1977 წლის 31 იანვარს. იგი შემდგომში დეპორტირებული იქნა გაერთიანებული სამეფოდან.

14. 1972 წლის მაისიდან 1975 წლის აპრილამდე და წინამდებარე განაჩენის მე-60, 61-ე, 67-ე და 71-ე მუხლებში მითითებულ საფუძვლებზე ბ-ნი ნოის 4 წერილი შეჩერებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ, ხოლო შემდგომი წერილის გაგზავნა სამი კვირით იქნა დაყოვნებული.

განმცხადებელმა, როგორც ჩანს, გაასაჩივრა ეს ქმედება, მაგრამ არა №9 წერილის შეჩერება, ციხის შიდა არხების მეშვეობით, თუმცა წარუმატებლად.

ბ. ქ-ნი კოლნი

15. მესამე განმცხადებელი, ქ-ნი ჯუდიტ კოლნი, არის ავსტრალიის მოქალაქე, დაბადებული 1927 წელს. იგი სკოლის მასწავლებელია და ამჟამად ლონდონში ცხოვრობს.

16. დაახლოებით 1974 წლის მაისში ქ-ნმა კოლნმა მიმონერა დაიწყო ბ-ნი მაიკლ უილიამსთან, მასთან ერთად პატიმრობაში მყოფი მეგობრის ძმასთან. ბ-ნი უილიამსი პატიმრობაში იმყოფებოდა მისი უდიდებულესობის ალბანის ციხეში და წარმოადგენდა „A კატეგორიის“ პატიმარს. ეს იყო განსაკუთრებული დაცვის კატეგორია, რომელიც გათვალისწინებული იყო იმ პირებისათვის, რომლებიც, გაქცევის შემთხვევაში, დიდ საშიშროებას შეუქმნიდნენ საზოგადოებას, პოლიციას ან სახელმწიფოს უსაფრთხოებას. 1974 წლის ივლისში მისი უდიდებულესობის პულის ციხეში გადაყვანის შემდეგ მათი მიმონერა შემჩნეული და შეჩერებული იქნა წინამდებარე განაჩენის 59-ე მუხლში მითითებულ საფუძვლებზე. მიმონერა შეუმჩნევლად იქნა აღდგენილი 1974 წლის აგვისტოში ბ-ნი უილიამსის მისი უდიდებულესობის ვეიკფილდის ციხეში გადაყვანის შემდეგ, მაგრამ გამჟღავნდა შემდეგ თვეში; ამის შემდეგ და იმავე საფუძვლებზე მათ შორის მთელი მიმონერა დაბრკოლებული იყო.

განმცხადებელმა საკითხი წამოჭრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე როგორც თავად უშუალოდ, ისე პარლამენტის წევრის მეშვეობით, მაგრამ უშედეგოდ.

დ. ბ-ნი ტატლი

17. მეოთხე განმცხადებელი, ბ-ნი ჯეიმს ჰენრი ტატლი, არის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, დაბადებული 1914 წელს. კომისიაში განაცხადის შეტანის დროს (1975 წლის 20 მარტი) იგი იმყოფებოდა პატიმრობაში ინგლისში. 1981 წლის 5 იანვარს იგი პირობით იქნა გათავისუფლებული.

18. 1975 წლის მარტში ბ-ნი ტატლის 2 წერილი შეჩერებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ წინამდებარე განაჩენის 62-ე, 64-ე და 68-ე პუნქტებში მითითებულ საფუძვლებზე.

განმცხადებელმა პეტიციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს მისი მიმონერის შეჩერების თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ.

ე. ბ-ნი კუპერი

19. მეხუთე განმცხადებელი, ბ-ნი გარი კუპერი, არის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, დაბადებული 1946 წელს. კომისიაში განაცხადის შეტანის დროს (1974 წლის 28 ოქტომბერს) იგი იმყოფებოდა პატიმრობაში ინგლისში. იგი გათავისუფლებული იქნა 1981 წლის 14 დეკემბერს, მაგრამ შემდგომში კვლავ დააპატიმრეს.

20. 1974 წლის აპრილიდან 1976 წლის მარტამდე ბ-ნი კუპერის 14 წერილი შეჩერებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ წინამდებარე განაჩენის მე-60, 65-ე, 67-ე და 71-ე პუნქტებში მითითებულ საფუძვლებზე.

ხსენებულმა განმცხადებელმა, როგორც ჩანს, უშედეგოდ იჩივლა ციხის შიდა არხების მეშვეობით თოთხმეტიდან ექვს წერილთან, კერძოდ, №20, №22, №23, №24, №26 და №27 წერილებთან დაკავშირებით.

ვ. ბ-ნი მაკმაჰონი

21. მეექვსე განმცხადებელი, ბ-ნი მაიკლ მაკმაჰონი, არის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, დაბადებული 1944 წელს. კომისიაში განაცხადის შეტანის დროს (1975 წლის 8 ივლისი) იგი ინგლისში იხდიდა პატიმრობას, როგორც მკვლელობისთვის მსჯავრდებული „A კატეგორიის“ პატიმარი. იგი გათავისუფლებული იქნა 1980 წლის 18 ივლისს.

22. 1975 წლის მარტიდან 1976 წლის თებერვლამდე ბ-ნი მაკმაჰონის გაგზავნილი 11 წერილი შეჩერებული, ხოლო მის სახელზე შემოსული ერთი წერილი დამალული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ.

ხსენებულმა განმცხადებელმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა

სამი პეტიციით, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა: მიჩნეული იქნა, რომ კენტერბერის მთავარეპისკოპოსის სახელზე მიმართული წერილი (№33) არ უნდა ყოფილიყო შეჩერებული, რადგან ადრესატი იყო პარლამენტის წევრი; შესაბამისად, წერილი გაიგზავნა და ბ-ნმა მაკმაჰონმა უარი თქვა საჩივარზე ამ თვალსაზრისით. დანარჩენი 11 წერილის შეჩერებისა თუ დამალვის საფუძვლები მითითებულია წინამდებარე განაჩენის 59-ე, 61-ე, 66-ე და 70-ე პუნქტებში.

ზ. ბ-ნი კერნი

23. მეშვიდე განმცხადებელი, ბ-ნი დესმონდ როი კერნი, არის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე, დაბადებული 1945 წელს. კომისიაში განაცხადის შეტანის დროს (1975 წლის 5 აპრილი) ინგლისში იხდიდა პატიმრობას, როგორც ქურდობისთვის მსჯავრდებული „A კატეგორიის“ პატიმარი. იგი გათავისუფლებული იქნა 1977 წლის 30 აგვისტოს.

24. 1974 წლის ნოემბრიდან 1976 წლის მაისამდე ბ-ნი კერნის 22 წერილი შეჩერებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ წინამდებარე განაჩენის 59-ე, 60-ე, 64-ე, 66-ე, 67-ე და 68-ე პუნქტებში მითითებულ საფუძვლებზე. ხსენებულმა განმცხადებელმა იჩივლა ციხის შიდა არხების მეშვეობით, აგრეთვე საკითხი აღძრა ადმინისტრაციის საპარლამენტო კომისიის წინაშე თითოეული წერილის შეჩერებასთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ.

II. შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

25. ინგლისსა და უელსში ციხეებსა და პატიმრებზე კონტროლსა და პასუხისმგებლობას, „პატიმრობის შესახებ“ 1952 წლის კანონის შესაბამისად, ახორციელებს შინაგან საქმეთა მინისტრი. იგი უფლებამოსილია, ამ კანონის 47 (1) მუხლის შესაბამისად დაადგინოს წესები „ციხეების რეგულირებისა და მართვის მიზნით ... აგრეთვე დაპატიმრებული პირების კლასიფიცირების, მათ მიმართ მოპყრობის, მათი მუშაობის, დისციპლინისა და კონტროლის მიზნით“. ამგვარ წესებს შეიცავს პარლამენტისთვის განსახილველად წარდგენილი სანესდებო დოკუმენტები და ისინი ხორციელდება უარყოფითი რეზოლუციის პროცედურის შესაბამისად, ანუ ძალაში შედის, თუ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მიღებული წესები, რომლებიც ამჟამად მოქმედებს და რომელთა გარკვეული ნაწილი ეხება პატიმრების მიმონერას, წარმოადგენს ციხის 1964 წლის წესებს შეცვლილი სახით (შემდგომში „წესები“).

26. ციხის დანესებულებებში ერთიანი პრაქტიკის უზრუნველყოფის თვალსაზრისით შინაგან საქმეთა მინისტრი აგრეთვე გამოსცემს ციხის

უფროსებისათვის მართვის სახელმძღვანელოებს ან დირექტივებს მუდმივი ბრძანებების (შემდგომში „ბრძანებები“) და ცირკულარული ინსტრუქციების (შემდგომში „ინსტრუქციები“) სახით. ციხის უფროსებს, თუ არა აქვთ სხვაგვარი უფლებამოსილება, მოეთხოვებათ ამ დირექტივების შესრულება, თუმცა აღნიშნულ დირექტივებს არა აქვს (მაგრამ მიზნად ისახავს, რომ ჰქონდეს) კანონის ძალა.

იმ დროს, როდესაც ადგილი ჰქონდა იმ მოვლენებს, რომლებმაც საფუძველი დაუდო ნინამდებარე საქმეს, და 1981 წლის 30 ნოემბრამდე როგორც ბრძანებები, ისე ინსტრუქციები, გარდა პატიმრების მიმონერის კონტროლის შესახებ დირექტივებისა, შეიცავდა ციხის ყოველდღიური ადმინისტრაციის ზოგადი ხასიათის შიდა წესებსა და მითითებებს. ბრძანებები და ინსტრუქციები ხელმისაწვდომი იყო პარლამენტის ორივე პალატისათვის, მაგრამ არა საზოგადოებისა თუ პატიმრებისათვის, თუმცა ამ უკანასკნელებმა ციხის ბარათების საშუალებით მიიღეს ინფორმაცია მიმონერის კონტროლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ.

პატიმრების მიმონერის შესახებ დირექტივები, რომლებიც ძალაში შევიდა 1981 წლის 1 დეკემბრიდან, არსებითად იქნა გადასინჯული. გარდა ამისა, გადასინჯული ბრძანებები სრული სახით გამოქვეყნდა; მართვის ან ადმინისტრაციული ხასიათის საკითხები, რომლებიც არ ეხებოდა პატიმრების მიმონერის უფლებას და ჩაითვალა არამიზანშენიონილად გამოქვეყნებისათვის, ამოღებული იქნა ბრძანებებიდან და გათვალისწინებული იქნა ინსტრუქციებში. თვითონ წესები არ იქნა შეცვლილი, თუმცა მთავრობამ აღნიშნა სასამართლოში მოსმენის დროს, რომ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეცვლილიყო №34 (8) წესი (იხ. ნინამდებარე განაჩენის პუნქტი 29), რადგან იგი მიმონერაზე ახდენდა ზეგავლენას.

27. რამდენადაც საქმე პატიმართა მიმონერას ეხება, შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტივები ციხის უფროსების მიმართ ასრულებდა და ახლაც ასრულებს ორმაგ ფუნქციას: ერთი მხრივ, წესების მეშვეობით ზღუდავს ციხის უფროსების დისკრეციულ უფლებებს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს წესს, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა გადაწყვიტოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება გარკვეული ასპექტების მიმართ. ძირითადი დებულებები, რომლებსაც შეიცავს წესები ამ საკითხთან დაკავშირებით, ქვემოთ არის განხილული. ამასთანავე, თან ერთვის მოკლე მიმოხილვა

- (ა) შესაბამისი ბრძანებებისა და ინსტრუქციებისა, რომლებიც ძალაში იყო 1981 წლის 30 ნოემბრამდე; და
- (ბ) ამ თარიღის შემდეგ განხორციელებული ცვლილებებისა.

ა. ზოგადი დებულებები

28. მიმონერის კონტროლის შესახებ ზოგადი დებულებების შემცველი შემდეგი ნესები ძალაში შევიდა 1964 წლის 25 მარტიდან და კვლავაც მოქმედებს:

„33 (1). მინისტრს შეუძლია დისციპლინისა და სათანადო ნესრიგის უზრუნველყოფის ან დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით ან ნებისმიერი პირის ინტერესებისათვის დაანესოს შეზღუდვები ზოგადად ან კონკრეტულ შემთხვევაში პატიმრებსა და სხვა პირებს შორის კომუნიკაციაზე.

...

(3) გარდა ამ ნესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველი ნერილი ან კომუნიკაციის საშუალება, გაგზავნილი ან მიღებული პატიმრის მიერ, ნაკითხული და განხილული უნდა იქნეს ციხის უფროსის ან მისი მოვალეობის შემსრულებელი მოხელის მიერ“ (1974 წლის 1 ივლისიდან სიტყვა „უნდა“ შეიცვალა სიტყვით – „შესაძლოა“). „ამავდროულად, ციხის უფროსს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ შეაჩეროს ნებისმიერი ნერილი ან კომუნიკაცია იმ საფუძველზე, რომ მისი შინაარსი მიუღებელია ან მეტისმეტად გრძელია.“

ბ. დებულებები მიმონერის ავტორის პიროვნებასთან დაკავშირებით

29. შემდეგი ძირითადი ნესები, რომლებიც ეხება იმ პირებს, ვისთანაც პატიმარს შეუძლია მიმონერა იქონიოს, ძალაში შევიდა 1964 წლის 25 მარტს და კვლავაც მოქმედებს:

„33 (2). გარდა ნესდებით ან ამ ნესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პატიმარს არ უნდა მიეცეს ნება, მიმონერა აწარმოოს ნებისმიერ პირთან, რომელიც გარეთ იმყოფება, ან მასთან ერთად მყოფ პირთან მინისტრის ნებართვის გარეშე.

34 (8). პატიმარი არ არის უფლებამოსილი ნესების 34-ე მუხლის – რომელიც არეგულირებს მიმონერის მოცულობას – შესაბამისად „მიმონერა აწარმოოს ნებისმიერ პირთან რაიმე სამართლებრივ ან სხვა საქმესთან დაკავშირებით ან ნებისმიერ პირთან, გარდა ნათესავისა ან მეგობრისა, მინისტრის ნებართვის გარეშე.“

1. მდგომარეობა 1981 წლის 1 დეკემბრამდე

30. ნესების 34-ე (8) მუხლისა და ბრძანებების №5A 22, №5A 23 და №5A 30 შესაბამისად, პატიმარმა უნდა მიიღოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვა, რომ მიმონერა აწარმოოს ნებისმიერ პირთან, გარდა ახლო ნათესა-

ვისა; თუმცა მას აგრეთვე ჩვეულებრივ შეუძლია ამგვარი ნებართვის აუცილებლობის გარეშე მიმონერა ანარმოს სხვა ნათესავეებთან ან მეგობრებთან, მაგრამ ციხის უფროსს აქვს დისკრეცია, აკრძალოს ამგვარი მიმონერა უსაფრთხოების ან სათანადო ნესრიგისა და დისციპლინის საფუძველზე ან დანაშაულის თავიდან აცილების ან აღკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე. ციხის უფროსებს აქვთ დისკრეცია – რასაც, ნაკლებად სავარაუდოა, რომ განხორციელებენ „A კატეგორიის“ პატიმართან მიმართებაში, როგორცაა ბ-ნი უილიამსი ან ბ-ნი მაკმაჰონი – ნება დართონ, ურთიერთობა დაამყარონ სხვა პირებთან, რომლებსაც პირადად არ იცნობდა პატიმარი და პატიმრებამდე. მაგრამ ზოგადად მას არ შეეძლო მიენერა სხვა პატიმრებისათვის, ყოფილი პატიმრებისათვის, ქორწინებათა რეგისტრაციის ორგანიზაციისთვის, „პირობითი საფირმო ნიშნების შემცველ მისამართებზე“ ან მისი მეგობრების გარკვეული კატეგორიებისათვის.

გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო მუდმივი ნებართვა მიმონერისათვის, რომელიც ხვდება გარკვეულ სპეციალურ კატეგორიაში, როგორც ეს ახსნილია წინამდებარე განაჩენის პუნქტებში 31-36.

(ა) მიმონერა სამართლებრივ მრჩევლებთან

31. 1973 წლის 1 იანვრიდან ცენზურის გაუვლელი მიმონერა სამოქალაქო ან სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომლის მხარეც იყო პატიმარი, დასაშვები გახდა წესების 37A (1) მუხლის შესაბამისად, რომელიც კვლავ ძალაშია და ითვალისწინებს:

„პატიმარს, რომელიც არის ნებისმიერი სამართალწარმოების მხარე, შეუძლია სამართალწარმოებასთან დაკავშირებით თავის სამართლებრივ მრჩეველთან ანარმოს მიმონერა. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ციხის უფროსი ჩათვლის, რომ ნებისმიერი ამგვარი მიმონერა შეიცავს ისეთ საკითხს, რომელიც არ ეხება სამართალწარმოებას, არ შეიძლება მიმონერის წაკითხვა ან შეჩერება ამ წესების 33-ე (3) მუხლის შესაბამისად.“

1975 წლის 6 აგვისტომდე პატიმრებს პეტიციით უნდა მიემართათ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის კონსულტაციის ან ინსტრუქციების მიღებაზე ნებართვის მოსაპოვებლად სამოქალაქო სამართალწარმოების აღძვრასთან დაკავშირებით (გამონაკლისი იყო განქორწინებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საქმეებისა). 1975 წლის 6 აგვისტოს №45/1975 ინსტრუქციამ ამ წესში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც შესაბამისად ასახული იქნა წესების 37A (4) მუხლში და ამის საფუძველზე მინისტრმა მიიღო დირექტივები №17A ბრძანების კუთხით. წესების 37A-ე (4) მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 1976 წლის 26 აპრილს და კვლავ მოქმედებს, შემდეგნაირად იკითხება:

„მინისტრის ნებისმიერი დირექტივის შესაბამისად, პატიმარს შეუძლია მიმონერა ანარმოს ადვოკატთან სამართლებრივი კონსულტაციის მიღების მიზნით სამართლებრივი დეენის ნებისმიერი საფუძვლის თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც პატიმარი შეიძლება გახდეს სამოქალაქო სამართალწარმოების მხარე, ან ამგვარ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ადვოკატისათვის მითითების მიცემის მიზნით.“

№17A ბრძანება, *inter alia*, ითვალისწინებს, რომ:

- (i) პატიმარმა უნდა მიიღოს ადვოკატის კონსულტაცია სამართალწარმოების აღძვრაზე ნებართვის მიღებამდე;
- (ii) ყოველ ჯერზე დასაბუთებულად, ნილობითი განცხადება პირველად მიმართული უნდა იყოს ციხის უფროსის სახელზე აუცილებელი საშუალებების მისაღებად; რაც მ. თ. დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსალოდნელი სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეში შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, რომელიც „წარმოიშევა ან უკავშირდება“ პატიმრობას, ზოგადად გამოიყენება „წინასწარი განხილვის ნესი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 47).

სხვა შემთხვევებში ამ კატეგორიის მიმონერა ექვემდებარებოდა შეზღუდვებს, რომლებიც განხილულია წინამდებარე განაჩენის პუნქტებში 41-47.

(ბ) მიმონერა პარლამენტის წევრებთან

33. პატიმრებს შეეძლოთ პარლამენტის წევრებთან თავისუფლად დაკავშირება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც მოყვანილია წინამდებარე განაჩენის პუნქტებში 41-47.

(გ) მიმონერა საკონსულო თანამდებობის პირებსა და თანამეგობრობის მოხელეებთან

34. პატიმრებს, რომლებიც იყვნენ უცხოელი მოქალაქეები ან თანამეგობრობის ან ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეები, თავისუფლად შეეძლოთ გაერთიანებულ სამეფოში მათი ქვეყნების აკრედიტებულ წარმომადგენლებთან დაკავშირება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც განხილულია წინამდებარე განაჩენის პუნქტებში 41-47.

(დ) მიმონერა გარკვეულ ორგანიზაციებთან

35. №5A 31 (2) b ბრძანების შესაბამისად, პატიმარს შეეძლო შინაგან საქმეთა მინისტრის ან ციხის უფროსის ნებართვის მიღების გარეშე მიენერა ორ-

განიზაცებისთვის *National Council for Civil Liberties, Justice, Release* ან *Howard League for Penal Reform* სამართლებრივი კონსულტაციის მიღების მიზნით მის მსჯავრდებასა და სასჯელთან ან ზოგად საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მას შეეძლო მიენერა ხსენებული ორგანიზაციებისათვის სამართალ-წარმოების აღძვრის თხოვნის თაობაზე. მართალია, თავდაპირველად მას არ შეეძლო სამართლებრივი კონსულტაციის მიღება მათგან ნებისმიერ საკითხის შესახებ მის პატიმრობასთან დაკავშირებით, ეს დასაშვები გახდა №38/1977 ინსტრუქციით, თუმცა „წინასწარი განხილვის წესი“ შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 47). მიუხედავად ამისა, ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში, პატიმარს თავიდან უნდა შეესრულებინა პროცედურა, რომელიც გათვალისწინებული იყო №45/1975 ინსტრუქციაში და შემდეგ ასახული იქნა №17A ბრძანებაში (ციხის უფროსის სახელზე განაცხადი შესაბამისი საშუალებების მისაღებად; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32).

სხვა შემთხვევებში ამ კატეგორიის მიმონერა ექვემდებარებოდა შეზღუდვებს, რომლებიც განხილულია წინამდებარე განაჩენის 41-47 პუნქტებში.

(ე) განაცხადები ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში

36. სპეციალური დებულებები გამოიყენებოდა კომისიაში შესატანი განაცხადებისათვის. მათთან მიმართებაში არ გამოიყენებოდა არც შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვა მათ შეტანასა თუ სამართლებრივ მრჩეველთან მიმონერის წარმოებისათვის და არც „წინასწარი განხილვის წესი“.

2. მდგომარეობა 1981 წლის 1 დეკემბრიდან

37. გაუქმდა იმ შეზღუდვათა უმრავლესობა, რომლებსაც ითვალისწინებდა ადრინდელი ბრძანებები და ინსტრუქციები მიმონერის ავტორების პიროვნების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი წესები თავისთავად არ იქნა შეცვლილი, გადასინჯული ბრძანებების (№№5B23-5B30) შესაბამისად, თუ დაცული იქნება დებულებები მიმონერის შინაარსის შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 48), პატიმარს შეუძლია დაუკავშირდეს ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთაგან უმთავრესია:

- (ა) მიმონერის ადრესატები (გარდა მეუღლეებისა), რომლებმაც ითხოვეს, რომ შემდგომში აღარ მიიღონ წერილები;
- (ბ) სხვა პატიმრები, რომლებიც არ არიან ნათესავები, როდესაც არსებობს იმის საფუძველი, რომ მიმონერა სერიოზულად შეაფერხებს რეაბილიტაციას ან სასურველია ურთიერთობის აღკვეთა უსაფრთხოებისა თუ სათანადო წესრიგის ან დისციპლინის ინტერესებიდან გამომდინარე;

- (გ) ყოფილი პატიმრები, როდესაც არსებობს იმის საფუძველი, რომ მიმონერა სერიოზულად შეაფერხებს რეაბილიტაციას;
- (დ) მიჩნეულია, რომ პირი (გარდა ახლო ნათესავისა) ან ორგანიზაცია გეგმავს ან ჩართულია ისეთ საქმიანობაში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ციხის დაწესებულების უსაფრთხოებასა თუ სათანადო წესრიგს.

ბ. დეპუტატები კორესპონდენციის რაოდენობასთან დაკავშირებით

38. ქვემოთ ჩამოთვლილია კორესპონდენციის რაოდენობის შესახებ ძირითადი წესები, რომლებითაც შეუძლია იხელმძღვანელოს პატიმარს და რომლებიც ძალაში შევიდა 1964 წლის 25 მარტს და კვლავ მოქმედებს:

„34 (1) პატიმარს, რომელიც არ არის მსჯავრდებული, შეუძლია გაგზავნოს და მიიღოს იმდენი წერილი ... რამდენიც მას სურს მინისტრის მიერ ამგვარ გარემოებებში ზოგადად ან კონკრეტულ საქმეზე დადგენილ ფარგლებში და პირობების შესაბამისად.

(2) მსჯავრდებულ პატიმარს უფლება აქვს,

(ა) გაგზავნოს და მიიღოს წერილი ციხეში მოთავსებისას, შემდეგ კი კვირაში ერთხელ;

...

(3) ციხის უფროსს შეუძლია ნება დართოს პატიმარს დამატებით წერილზე ..., როდესაც ეს საჭიროა უშუალოდ მისი ან ოჯახის კეთილდღეობისათვის.

(4) ციხის უფროსს შეუძლია პატიმარს მისცეს ვიზიტის უფლება წერილის გაგზავნის ან მიღების სანაცვლოდ.

...

(6) „ვიზიტორთა კომიტეტს ან ვიზიტორთა კოლეგიას“ (1972 წლის 1 იანვრიდან „ვიზიტორთა კოლეგია“) შეუძლია ნება დართოს პატიმარს დამატებით წერილზე ... განსაკუთრებულ გარემოებებში ...

(7) მინისტრს შეუძლია დაუშვას დამატებითი წერილები ... ნებისმიერ პატიმართან ან პატიმრების ჯგუფთან დაკავშირებით.“

1. მდგომარეობა 1981 წლის 1 დეკემბრამდე

39. გარდა იმისა, რომ წესების 34-ე (2) მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულ პატიმარს შეეძლო კვირაში ერთხელ გაეგზავნა – საზოგადოებრივი ხარჯებით – და მიეღო ერთი წერილი, მას უფლება ჰქონდა, თავისი ხარჯებით კვირაში ერთხელ გაეგზავნა ერთი დამატებითი წერილი და მიეღო პასუხი (№5A 3 (8) ბრძანება და №155/1968 ინსტრუქცია).

ციხის ადმინისტრაციის დისკრეცია, ნესების 34-ე (3), (6) და (7) მუხლების შესაბამისად, შემდგომი წერილების ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით ხორციელდებოდა, როდესაც ეს შესაძლებელი იყო.

ხსენებული შეზღუდვები რაოდენობასთან დაკავშირებით არ გამოიყენებოდა წინასწარ დაკავებაში მყოფ პატიმრებთან მიმართებაში (მუხლი 34 (1)), მაგრამ ისინი სხვა ბევრი თვალსაზრისით ექვემდებარებოდა მსჯავრდებული პატიმრების მიმონერის შესახებ იმავე წესებს.

2. მდგომარეობა 1981 წლის 1 დეკემბრის შემდეგ

40. გადასინჯული ბრძანებები (№5B7 და №5B14) არ ცვლის ძირითად უფლებამოსილებას, მაგრამ აკონკრეტებს, რომ დამატებითი წერილები დასაშვებია უნდა იყოს შესაძლებლობის ფარგლებში.

დ. დეპულეგაჰი მიმონერის შინაარსთან დაკავშირებით

41. ნესების 33-ე (3) მუხლის გარდა, რომლის ტექსტი მოცემულია წინამდებარე განაჩენის 28-ე პუნქტში, პატიმრების მიმონერის შინაარსთან დაკავშირებით შემდეგი ძირითადი წესები შევიდა ძალაში 1964 წლის 25 მარტს და კვლავ მოქმედებს:

„34 (8) პატიმარს არ შეუძლია 34-ე მუხლის“ – რომელიც არეგულირებს მიმონერის რაოდენობას – შესაბამისად „ურთიერთობა დაამყაროს ნებისმიერ პირთან რაიმე სამართლებრივი ან სხვა საქმის თაობაზე ... მინისტრის ნებართვის გარეშე.“

1. მდგომარეობა 1981 წლის 1 დეკემბრამდე

42. მუხლები 33 (3) და 34 (8) შემდგომში შევსებული იქნა სხვადასხვა ბრძანებებითა და ინტრუქციებით.

43. №5A31 ბრძანების შესაბამისად, მსჯავრდებულ პატიმარს განსაკუთრებით აეკრძალა განცხადებების გაკეთება თავის სასამართლო პროცესთან, მსჯავრდებულს ან სასჯელთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსამართლის, პროკურორის, თანამეგობრობის ან უცხოეთის მთავრობის წარმომადგენლის (იმ გარკვეული შეზღუდვების შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება უცხოელ მოქალაქეებზე ან თანამეგობრობის სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე) ან არაოფიციალური ორგანიზაციების (გარკვეულ სპეციფიკურ გამოწვევებთან ერთად) წინაშე. მიუხედავად ამისა, ამგვარი განცხადებების გაკეთება შესაძლებელი იყო მინისტრის წინაშე.

44. №5A24 ბრძანების შესაბამისად, პატიმრებს არ შეეძლოთ წერილების გაგზავნა, რომლებითაც ითხოვდნენ მათი სახელით დაკავშირებას, რი-

სი უფლებაც უშუალოდ მათ არ ჰქონდათ, ან მთელი რიგი სხვა ისეთი წერილების გაგზავნას, რაც წესების დარღვევას წარმოადგენდა.

45. (ა) №5A 26 (4) ა. და ბ. და №5A 29 ბრძანებები კრძალავდა გაგზავნილ წერილებში (გარდა იმ წერილებისა, რომლებიც მიმართული იყო პარლამენტის წევრების ან საკონსულთნო თანამდებობის პირების ან თანამდებობის მოხელეების სახელზე და რომელთა მიმართ გამოიყენებოდა სპეციალური წესები) ნებისმიერი შემდეგი საკითხის გაშუქებას:

- (i) მიუღებელი მითითებები საჯარო სამსახურში მყოფ მოხელეთა შესახებ;
- (ii) დანაშაულისა და დანაშაულის მეთოდების ან სხვათა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის განხილვა;
- (iii) ნებისმიერი საჩივარი სასამართლოების, პოლიციისა და ციხის ადმინისტრაციის მიმართ, რომლებიც წარმოადგენს კარგად მოფიქრებულ და გათვლილ მცდელობას მათი შეურაცხყოფისათვის;
- (iv) ძალადობის მუქარა ან მისკენ მონოღება;
- (v) გამოქვეყნებისათვის ან რადიო-ტელემაუწყებლობით გამოყენებისათვის განკუთვნილი მასალა (ეს წესი შემსუბუქებული იყო გარკვეული პუბლიკაციების მიმართ);
- (vi) მეტისმეტად შეუფერებელი ენა;
- (vii) განცხადებები კერძო პირების შესახებ, რომლებიც აშკარად სკანდალური ან ცილისმამბებლურია ან სხვაგვარად საგანგებოდ გათვლილია მათთვის ზიანის მისაყენებლად;
- (viii) ფულის ან მატერიალური ღირებულების მქონე ქონების თხოვნა;
- (ix) საჩივრები ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებით;
- (x) ციხის მოხელეთა წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები;
- (xi) საზოგადოებრივი აგიტაციის ან პეტიციის წახალისების მცდელობა.

მსგავსი წესები გამოიყენებოდა შემოსული წერილების მიმართ (ბრძანება №5A 26 (4) დ.).

როგორც აღნიშნულია წინამდებარე განაჩენის 32-ე და 35-ე პუნქტებში, აკრძალვა ციხეში მოპყრობასთან ან ციხის მოხელეთა წინააღმდეგ ბრალდებებთან დაკავშირებით საჩივრების შეჩერებაზე არ გამოიყენებოდა გარკვეულ მიმონერასთან სამართლებრივ მრჩევლებთან (1975 წლის 6 აგვისტოდან) და გარკვეულ ორგანიზაციებთან (1977 წლის 26 აგვისტოდან) მიმართებაში იმ პირობით, რომ ყოველთვის დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო „წინასწარი განხილვის წესი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 47).

(ბ) 1975 წლის 28 ნოემბრამდე აკრძალული შინაარსის იგივე ნუსხა გამოიყენებოდა პარლამენტის წევრების სახელზე გაგზავნილ წერილებთან მიმართებაში იმის გარდა, რომ მათში შეიძლებოდა გათვალისწინებული

ყოფილიყო საჩივრები ციხეში მოპყრობისა და ციხის პერსონალის წინააღმდეგ ბრალდებების შესახებ, თუ დაცული იქნებოდა „წინასწარი განხილვის წესი“. აქედან გამომდინარე, წერილი პარლამენტის წევრის სახელზე შეჩერებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებდა ამ სახის განუხილველ საჩივარს (№5C ბრძანება, ცვლილებები განიცადა №62/1975 ინტრუქციით). პრაქტიკის შეცვლის დროს გამოცემული იქნა შეტყობინება, რომელიც აჯამებდა წესებს პარლამენტის წევრების სახელზე მიმართულ წერილებთან დაკავშირებით, პატიმრებისათვის ინფორმაციის მიღების მიზნით. შეტყობინება შეიცავდა შემდეგ დებულებას:

„საჩივარი ან თხოვნა ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებით უნდა გაკეთდეს ციხის უფროსის, ვიზიტორთა კოლეგიის ან მოწვეული მოხელის სახელზე, ანდა პეტიციის სახით მინისტრის სახელზე. ... საჩივარი პერსონალის წევრის წინააღმდეგ უნდა გაკეთდეს ციხის უფროსის სახელზე. შესაძლებელია, რომ საჩივარი ამ საკითხების თაობაზე არ გაკეთდეს პარლამენტის წევრის სახელზე საქმის ოფიციალურად დამთავრებამდე.“

(გ) იმ მსჯავრდებული პატიმრების წერილები, რომლებიც იყვნენ უცხოელი მოქალაქეები ან თანამეგობრობის ან ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეები, საკონსულო თანამდებობის პირების და თანამეგობრობის მოხელეების სახელზე ექვემდებარებოდა იმავე წესებს შინაარსთანმიმართებაში, როგორც პარლამენტის წევრების სახელზე 1975 წლის 3 სექტემბრამდე. ხსენებულ დღეს გაუქმდა ეს შეზღუდვა (№5A 20 ბრძანება, ცვლილებები განიცადა 1975 წლის 3 სექტემბრის ინსტრუქციით).

46. წესების 34-ე (8) მუხლით აიკრძალა კომუნიკაცია ნებისმიერ სამართლებრივ ან სხვა საქმის თაობაზე მინისტრის წინასწარი ნებართვის გარეშე. გამონაკლისი იყო გარკვეული სახის მიმონერა სამართლებრივ საქმესთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ნებართვის მიცემა გათვალისწინებული იყო წინამდებარე განაჩენის 31-ე, 32-ე და 35-ე პუნქტებში. პატიმრების მიერ საქმის წარმართვა შემდგომში რეგულირდებოდა №№ 1C 4-6 ბრძანებებით, რომელთა ძირითადი დებულებების შესაბამისად, „პატიმარს“, იყო მსჯავრდებული თუ არა, „ციხეში არ შეეძლო საქმიანი ურთიერთობების წარმოება, მაგრამ მას უნდა ჰქონოდა გონივრული საშუალებები საკუთარი საქმიანობის მონესრიგებისათვის“. თუმცა, ამ ზოგადი წესის შესაბამისად, ციხის უფროსებს ჰქონდათ დისკრეცია, პატიმრისათვის მიეცათ გარკვეული შეზღუდული პირადი საქმეების, კერძოდ, პირადი ქონების განკარგვის, ჩეკის ხელმოწერის, ანდერძისა თუ სხვა დოკუმენტის შედგენისა თუ ხელმოწერის, განხორციელების ნება. ამ წესების ფართო მნიშვნელობა ის იყო, რომ, მართალია, პატიმარს არ შეეძლო პირადად მონაწილეობა მიველო ხანგრძლივ საფუძველზე საქმიან ურთიერთობებში, მაგრამ მას შეეძლო გარეგნების დადება თავისი პირადი ქონებისა და სხვა საქმიანი ინტერესის ღირებულების დაცვის მიზნით უშუალოდ თავისი ან ოჯახის ინტერესებისათვის.

47. საჩივარი ციხეში მოპყრობასთან ან ციხის მოხელის წინააღმდეგ ბრალდებასთან დაკავშირებით შეიძლება გათვალისწინებული ან მითითებული ყოფილიყო მხოლოდ სამართლებრივი მრჩევლების, სპეციალური ორგანიზაციების, პარლამენტის წევრების ან საკონსულო თანამდებობის პირებისა თუ თანამეგობრობის მოხელეების სახელზე მიმართულ წერილებში, როგორც ეს აღნიშნული იყო წინამდებარე განაჩენის 45-ე პუნქტში. გარდა ამისა, „წინასწარი განხილვის ფილტრაციის წესის“ შესაბამისად – რაც მოცემულია, კერძოდ, №17A ბრძანებაში – რომელიმე აღნიშნული კატეგორიის წერილი, რომელიც ეხებოდა ამგვარ საკითხს, გარკვეული გამო-ნაკლისების გარდა, უნდა ყოფილიყო შეჩერებული, სანამ პატიმარი არ მიმართავდა თავის საჩივარს ჩვეულებრივი შიდა არხების მეშვეობით (პეტიცია შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ან განცხადება ვიზიტორთა კოლეგიის, შინაგან საქმეთა მინისტრის მონვეული მოხელის ან ციხის უფროსის სახელზე) და არ მიიღებდა განსაზღვრულ პასუხს. აქედან გამომდინა-რე, შედეგის მიუხედავად, მიმონერა ზოგადად უნდა გაგრძელებულიყო.

2. მდგომარეობა 1981 წლის 1 დეკემბრიდან

48. წესების 33-ე (3) და 34-ე (8) მუხლები ამჯერად შევსებულია ახალი №5B34 და №5B40 ბრძანებებით. ახლანდელი მდგომარეობის შესაბამისად,

- (ა) სასამართლო მოსმენასთან, მსჯავრდებასა და სასჯელთან მიმართებაში განცხადებების აკრძალვა გაუქმებულია.
- (ბ) დებულებები, რომლებიც მსგავსია წინა №5A 24 ბრძანებისა (მიზნად ისახავდა წესების დარღვევის ან სხვაგვარად ხელყოფის თავიდან აცილებას – იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 44), კვლავ ძალაში რჩება.
- (გ) აკრძალული შინაარსის ნუსხა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა)) გადასინჯული იქნა; ძირითადი საკითხები, რომლებზე მითითებაც არ შეიძლებოდა შემოსულ ან გასულ წერილებში, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
 - (i) მასალა, რომელიც საფრთხეს უქმნის ციხის უსაფრთხოებას;
 - (ii) მასალა, რომელიც ხელს უწყობს ან აქეზებს დისციპლინარული ან სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევის ჩადენისაკენ;
 - (iii) მასალა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას;
 - (iv) გაკვეული დამანგრეველი მოქმედების მქონე საშუალებების შექმნის აღწერა;
 - (v) გარკვეული ბუნდოვანი ან კოდირებული შეტყობინებები;
 - (vi) ძალადობის ან ქონების დაზიანების მუქარა წერილის მიმღებ

პირში შიშის ჩანერგვის მიზნით;

- (vii) შანტაჟი ან გამოძალვა;
- (ix) ინფორმაცია, რომელიც აშკარად წარმოადგენს მუქარას ან ძალადობის საშიშროებას ან ფიზიკურ ზიანს აყენებს ნებისმიერ პირს;
- (x) საჩივრები ციხეში მოპყრობის შესახებ, რომელთა მიმართებაში არ იქნა დაცული „ერთდროული განხილვის წესი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 49);
- (xi) მასალა, რომელიც ეხება კერძო ბრალდებას;
- (xii) გარკვეული სპეციფიკური მასალა, რომელიც განკუთვნილია გამოქვეყნებისა თუ რადიო-ტელევიზიის მიერ გამოყენებისაკენ;
- (xiii) მსჯავრდებულ პატიმართან მიმართებაში – მასალა, რომელიც წარმოადგენს საქმიან ურთიერთობას; ეს გამოთქმა იმგვარად არის განსაზღვრული, რომ გამორიცხავს გარკვეულ სპეციფიკურ პირად ურთიერთობებს.

ზემოთ მოცემული სია არ გამოიყენება საკონსულო თანამდებობის პირებსა და თანამეგობრობის მოხელეებთან ან, (x) საკითხის გამოკლებით, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრებთან მიმონერასთან დაკავშირებით (ახალი №5D5 და №5E6 ბრძანებები).

რაც შეეხება (xiii) საკითხს, იგი კვლავ ძირითად წესად რჩება, რომლის თანახმადაც პატიმრებს არ შეუძლიათ რაიმე საქმიანი ურთიერთობების განხორციელება ციხიდან, მაგრამ ეს არ გამოიყენება არამსჯავრდებული პატიმრების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ მიმონერა შეზღუდვების გარეშე ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით (გადასინჯული №1C4 და №1C5 ბრძანებები).

49. „წინასწარი განხილვის ფილტრაციის წესი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 47) შეიცვალა „ერთდროული განხილვის წესით“, რასაც ითვალისწინებს №5B34 (j) ბრძანება. საჩივარი ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებით შეიძლება მითითებული იყოს მიმონერაში, როგორც კი იგი ნამოჭრილი იქნება ზემოხსენებული პროცედურების მეშვეობით იმგვარად, რომ პატიმარს არ უწევს შიდა გამოძიების შედეგის ლოდინი. ეს წესი არ გამოიყენება ისეთ საჩივრებთან მიმართებაში, რომლებიც არ მოითხოვს გამოძიებას, ან იმ ზოგად საჩივრებთან მიმართებაში, რომელთა გამოსწორება ან კომპენსაცია შესაძლებელია (მაგალითად, მეტისმეტი სიმჭიდროვე): ეს შეიძლება მითითდეს საჩივრებში შიდა განხილვის გარეშე. გარდა ამისა, ახალი ბრძანებების მნიშვნელობა ის არის, რომ, წინა მდგომარეობისაგან განსხვავებით, სათანადოდ განხილულ საჩივარზე ახლა უკვე შეიძლება მითითდეს ნებისმიერ წერილში, მიუხედავად მისი ადრესატისა.

ე. პრაქტიკა ცენზურასთან დაკავშირებით (1981 წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული)

50. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად არის გათვალისწინებული წესებით (მაგალითად, №37A (1) მუხლი, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 31) და 1974 წლის 1 ივნისამდე, პატიმრის მიერ გაგზავნილი ან მის სახელზე შემოსული მთელი კორესპონდენცია, 33-ე (3) მუხლის შესაბამისად, უნდა ნაკითხულიყო და შემონმბულიყო, თუმცა №5A 26 ბრძანება ციხის უფროსებს აძლევდა დისკრეციას, რომ სპეციალური შიდა მიმონერა დაქვემდებარებოდა არაუმეტეს ზედაპირულ შემონმებას. ძალაში შევიდა რა ხსენებულ დღეს, 33-ე მუხლის (3) პუნქტი შეიცვალა – ნაკითხვა და შემონმება აღარ იყო სავალდებულო, მაგრამ ციხის უფროსები კვლავ ექვემდებარებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტივებს ამ საკითხის თაობაზე. ამგვარად, ახლა უკვე ღია დანესებულებებში ჩვეულებრივ არ ხდება გამავალი შიდა კორესპონდენციის ნაკითხვა ან მისი შემონმება; სხვა ადგილებში მთელი მიმონერა ექვემდებარება შემონმებას, მაგრამ ნაკითხვა არაა სავალდებულო (ახალი №5B32 ბრძანება).

პატიმარს, რომლის წერილი შეჩერებულია შინაარსის საფუძველზე, უნდა მიეცეს თავიდან დანერის შესაძლებლობა. როდესაც შეჩერების მიზეზი ადრესატის პიროვნებაა, პატიმარს შეუძლია ამ წერილის სხვა პირისათვის გაგზავნა.

3. საჩივრები ცენზურასთან დაკავშირებით (1981 წლის 1 დეკემბრამდე და ამის შემდეგ)

1. საჩივრების შიდა არხები

51. პატიმარს, რომელიც უკმაყოფილოა მისი მიმონერის შეჩერების ან ცენზურის შესახებ გადანყვეტილებით, შეუძლია საჩივრით მიმართოს ციხის უფროსს, ვიზიტორთა კოლეგიას ან შინაგან საქმეთა სამინისტროს მონვეულ მოხელეს, ანდა პეტიციით მიმართოს შინაგან საქმეთა მინისტრს უშუალოდ. პატიმარს შეუძლია მიმართოს თავისი საჩივარი ნებისმიერი ამ არხის მეშვეობით და, თუ რამდენიმე მათგანს გამოიყენებს, იმ თანამიმდევრობით, როგორც მას სურს.

(ა) ვიზიტორთა კოლეგია

52. ვიზიტორთა კოლეგიას შეუძლია განიხილოს გასაჩივრებული გადანყვეტილების შესაბამისობა წესებსა და შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტივებთან. იგი მიაპყრობს ციხის უფროსის ყურადღებას ნებისმიერ არამართლზომიერ ქმედებაზე ან მოხსენებით მიმართავს შინაგან საქმეთა

მინისტრს; მართალია, მისი უფლებამოსილება უფრო საკონსულტაციო ხასიათისაა, მისი რეკომენდაცია შესრულებული უნდა იქნეს გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

(ბ) პეტიციები შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე

53. პატიმრებს უფლება აქვთ, პეტიციით მიმართონ შინაგან საქმეთა მინისტრს ნებისმიერი ისეთი საკითხის, მაგალითად, ნებართვის მიღების, თაობაზე, რისი უფლებამოსილებაც არა აქვს ადგილობრივი ციხის ადმინისტრაციას ან რაზეც უკვე უარი უთხრა, ან საჩივარი გამოთქვას ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებით.

პატიმრისგან ისეთი პეტიციის მიღებისას, რომელშიც საჩივარია გამოთქმული ციხის ადმინისტრაციის მიერ მისი მიმონერის შერჩევების ან ცენზურის შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრი, თუ იგი დაასკვნის, რომ შესაბამისი ბრძანებები არ იქნა სათანადოდ ინტერპრეტირებული ან გამოყენებული ციხის ადმინისტრაციის მიერ, მისცემს მათ დირექტივებს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. თუმცა მას შეუძლია უარი თქვას ბრძანებებზე კონკრეტულ შემთხვევებში, თუკი ეს შეიძლება საერთოდ მოხდეს, რამდენადაც მათი უშუალო მიზანია უნიფიცირებული პრაქტიკის უზრუნველყოფა და მიმონერაში თვითნებური ჩარევის თავიდან აცილება.

1981 წლის 1 დეკემბრამდე დირექტივები, რომლებიც ეხებოდა პეტიციების წარდგენას, მოცემული იყო №№5B 1-16 ბრძანებებში. კერძოდ, გათვალისწინებლი იყო, რომ, გარკვეული გამონაკლისებით, პატიმარს არ შეეძლო პეტიციით მიმართვა, თუ და სანამ იგი ელოდა პასუხს წინა პეტიციაზე (№5B 12(2) ბრძანება).

1981 წლის 1 დეკემბრიდან №5B 12 (2) ბრძანების დებულებები შემსუბუქებული იქნა ახალი №5C9 და №5 C 10 ბრძანებებით. შემდგომი პეტიციის წარდგენა მას ახლა უკვე შეეძლო ერთი თვის გასვლის შემდეგ წინა პეტიციით მიმართვიდან. უფრო მეტიც, თუ წინა პეტიცია არ იყო გადაწყვეტილი, პატიმარს მაშინვე შეეძლო მიმართვა გარკვეულ სპეციფიკურ საკითხებზე, მათ შორის, მიმონერაში ჩარევაზე.

2. ადმინისტრაციის საპარლამენტო კომისარი

54. მიმონერის კონტროლის შესახებ საჩივრებით მიმართვა ადმინისტრაციის საპარლამენტო კომისარისთვისაც (ომბუდსმენი) შეიძლება. „ადმინისტრაციის საპარლამენტო კომისარის შესახებ“ 1967 წლის კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, კომისარს, რომელსაც ნიშნავს მეფე, შეუძლია, თემთა პალატის წევრის თხოვნის საფუძველზე გამოიძიოს ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების კონკრეტული ორგანოების (მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრის) მიერ ადმინისტრაციული ფუნქცი-

ების განხორციელების დროს, როდესაც საჩივრით მიმართავს საზოგადოების წევრი, რომელიც ჩივის, რომ მის მიმართ უსამართლობას ჰქონდა ადგილი „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების“ შედეგად. ზოგადად, არ შეიძლება ამგვარი გამოძიების ჩატარება, როდესაც შესაძლებელია სამართალწარმოების განხორციელება. კანონის მე-12 მუხლი ამკარად ითვალისწინებს, რომ ომბუდსმენს არ შეუძლია არსებითად განიხილოს დისკრეციული გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა არამართლზომიერი ადმინისტრირების გარეშე; აქედან გამომდინარე, მისი იურისდიქცია არ ვრცელდება პატიმრის მიმონერაში ჩარევაზე, რომელიც წესებით გათვალისწინებული დისკრეციის ან შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტივების საფუძველზე მართლზომიერად განხორციელდა. გარდა ამისა, მას არ შეუძლია უშუალო დახმარება აღმოუჩინოს არამართლზომიერი ადმინისტრირებით დაზარალებულ პირს, ვინაიდან მისი უფლებამოსილება შეზღუდულია გამოძიების შედეგებზე მოხსენების გაკეთებით პარლამენტის წევრისათვის, რომელმაც ეს მოითხოვა, შესაბამისი ხელისუფლებისა და ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტის თითოეული პალატისათვის (მე-10 მუხლი).

1979 წლის 23 აგვისტომდე პატიმრებს ომბუდსმენტთან დაკავშირება მხოლოდ პარლამენტის ისეთი წევრის მეშვეობით შეეძლოთ, რომელსაც სურდა დახმარება. თუმცა ეს კვლავ მიდგომის ზოგად მეთოდად რჩება, მათ ახლა უკვე შეუძლიათ უშუალოდ ომბუდსმენტისთვის მიწერა; თუმცა წერილები ომბუდსმენტის სახელზე ექვემდებარება იმავე შეზღუდვებს საჩივრების ერთდროულ განხილვასთან მიმართებაში ციხეში მოპყრობის შესახებ, როგორც მიმონერა პარლამენტის წევრებთან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 48 და 49), და მას კვლავ არ შეუძლია გამოძიების გაგრძელება, თუ პატიმრის წარმომადგენელი პარლამენტის წევრი არ მოითხოვს ამას.

3. შიდა სასამართლოებისათვის მიმართვა

55. ციხის ადმინისტრაციის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელება წესების შესაბამისად კორესპონდენციის კონტროლთან დაკავშირებით ექვემდებარება ინგლისის სასამართლოების საზედამხედველო კონტროლს სასამართლო გადასინჯვის სამართალწარმოების გზით. ამ იურისდიქციის განხორციელებისას სასამართლოები შუამდგომლობენ, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ციხის ადმინისტრაციის მიერ წესების დაცვა იმგვარად, რომ პატიმრებს ჰქონდეთ კორესპონდენციის გაგზავნის ან მიღების უფლება (მაგალითად, 37-ე (ა) 1 მუხლი; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 31) და უზრუნველყოფილი იქნეს, რომ წესების საფუძველზე მინიჭებული მიმონერის შეზღუდვის დისკრეცია ადმინისტრაციამ არ განახორციელოს თვითნებურად, არაკეთისინდისიერად, არამართლზომიერი მოტივით ან *ultra vires* სახით.

ამ კონტექსტში სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმესთან *Raymond v. Honey* დაკავშირებით (1982 1) *All England Law Reports*-ში ლორდმა ვილბერ-ფორსმა მიუთითა, რომ ინგლისის კანონმდებლობის პრინციპის შესაბამისად, „მსჯავრდებული პატიმარი, მიუხედავად მისი ციხეში პატიმრობისა, ინარჩუნებდა ყველა სამოქალაქო უფლებას, რომელთა ჩამორთმევა არ ხდებოდა ამკარად ან აუცილებლად არ იგულისხმებოდა“.

4. საჩივრების ბოროტად გამოყენება ან დაუსაბუთებელი საჩივრები

56. დისციპლინარული სამართალდარღვევის ჩადენისათვის შესაძლებელი იყო პატიმრებისათვის სანქციების შეფარდება. წესების 47-ე მუხლის შესაბამისად, იგულისხმება „ნებისმიერი ყალბი და ბოროტი განზრახვით ბრალდების წაყენება მოხელის წინააღმდეგ“, აგრეთვე განმეორებითი „დაუსაბუთებელი საჩივრები“ პეტიციის, მიმონერის საშუალებით თუ სხვაგვარად. პატიმარს, რომელიც ბრალს სდებს ციხის თანამშრომელს, უნდა მიეცეს სათანადო გაფრთხილება (№88/1961 ინსტრუქცია, ამჟამად შეცვლილია №14/1980 ინსტრუქციით, რომელიც არ არის გამოქვეყნებული).

III. წინამდებარე საქმეში შიდა კანონმდებლობისა და მიმონერაზე კონტროლის პრაქტიკის გამოყენება

57. წინამდებარე საქმე განპირობებულია განმცხადებლების 62 წერილის, კერძოდ: ბ-ნი სილვერის – 7, ბ-ნი ნოის – 4, ქ-ნი კოლნის – 3, ბ-ნი ტატლის – 2, ბ-ნი კუპერის – 14, ბ-ნი მაკაპონის – 10 და ბ-ნი კერნის – 22 წერილის შეჩერებით; ქ-ნი კელნის საქმეში 3 წერილი იმაზე მიუთითებს, რომ მას აღეკვეთა ბ-ნ უილიამსთან მიმონერის გაგრძელება. გარდა ამისა, ბ-ნი ნოი ჩიოდა მისი ერთ-ერთი გაგზავნილი წერილის შეყოვნების, ხოლო ბ-ნი მაკაპონი – ერთ-ერთი შემოსული წერილის დამალვის თაობაზე.

მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ ინგლისსა და უელსში პატიმრების მიერ გაგზავნილი და მიღებული წერილების რაოდენობა წელიწადში დაახლოებით ათ მილიონს შეადგენდა. ამ საქმეში პატიმრობაში მყოფი განმცხადებლების მიმონერის მთლიან რაოდენობაზე მითითება იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ქვემოთ ხსენებულ პერიოდებში (პერიოდები, რომელთა შესახებ ჩანაწერები ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომია) მათ მიერ დანერგილი და ციხის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი წერილების რაოდენობა იმ ფორმით, როგორც მათ დანერგეს, შემდეგნაირად გამოიყურება: ბ-ნი სილვერი – 419 (1968 წლის 20 მარტიდან 1973 წლის 2 აგვისტომდე); ბ-ნი ნოი – 149 (1972 წლის 14 ნოემბრიდან 1975 წლის 15 აპრილამდე, რომლის განმავლობაშიც იგი გათავისუფლებული იყო თითქმის ორი წლის

მანძილზე); ბ-ნი ტატლი - 94 (1975 წლის 2 იანვრიდან 29 დეკემბრამდე); ბ-ნი კუპერი - 299 (1974 წლის 8 აგვისტოდან 1976 წლის 24 ივნისამდე); ბ-ნი მაკმაჰონი - 492 (1974 წლის 5 დეკემბრიდან 1977 წლის 9 თებერვლამდე), ბ-ნი კერნი - 480 (1974 წლის 14 ოქტომბრიდან 1976 წლის 16 ივნისამდე).

58. დებულებები, 1981 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, რომელთა საფუძველზე იქნა შეჩერებული ან დაყოვნებული ხსენებული 64 წერილი, ქვემოთ არის მოყვანილი. იმ შემთხვევაში, როდესაც წერილი შეჩერებული იყო ერთზე მეტ საფუძველზე, მითითებულია დამატებითი საფუძველი ან საფუძველებიც.

ხსენებული 59 წერილის ტექსტები მოცემულია კომისიის მოხსენების III დამატებაში, დანარჩენი ხუთი წერილის ასლები არ არის ხელმისაწვდომი. ხელმისაწვდომი წერილები შემდგომში მოხსენიებულია ნომრით, ხოლო დანარჩენები - მხოლოდ თარიღით.

ა. დებულებები წერილების ავტორების პიროვნებასთან დაკავშირებით

მიმონერის შეზღუდვა სხვა პირებთან, გარდა ნათესავისა თუ მეგობრისა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 29-30)

59. შემდეგი წერილები შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ ისინი არ იყო გაგზავნილი ნათესავის ან მეგობრის მიერ ან მიმართული მათ სახელზე:

(ა) ქ-ნი კოლნის წერილები №13, №14 და №15 ბ-ნი უილიამსის სახელზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 16);

(ბ) ბ-ნი მაკმაჰონის წერილები №35, №36, №37, №38, №39, №40 და №41 (ადრესატები, შესაბამისად, იყვნენ: სამაუნყებლო კომპანია, ადვოკატი, სატელევიზიო პროგრამის ნამყვანი, ჟურნალისტი, პოლიციის ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობდა გამოძიებას ბ-ნი მაკმაჰონის საქმეზე, სამართლის პროფესორი და ისლინგტონის მერი) და იმავე ჟურნალისტის 1975 წლის 31 დეკემბრის წერილი ბ-ნი მაკმაჰონის სახელზე. განმცხადებელი ადრეც აწარმოებდა მიმონერას აღნიშნულ ადვოკატთან, რომელიც მას არ იცნობდა, მაგრამ მათი მიმონერა აიკრძალა, როდესაც გამოვლინდა, რომ იგი სცილდებოდა ზოგადი გამოძიების ფარგლებს. მართალია, №41 წერილი შეჩერებული იქნა, ბ-ნი მაკმაჰონს, როგორც ჩანს, უფლება ჰქონდა, მიენერა ადგილობრივი მთავარი საბჭოს წევრისათვის.

ეს შეზღუდვა იყო აგრეთვე ბ-ნი სილვერის №4 და ბ-ნი კერნის №48 წერილების შეჩერების დამატებითი საფუძველი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 68).

ბ. დეპუტატები მიმომხარის შინაარსთან დაკავშირებით

1. შეზღუდვები კომუნიკაციებთან დაკავშირებით ნებისმიერი სამართლებრივი ან სხვა საქმის თაობაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 32, 35, 41 და 46).

60. (ა) ბ-ნი კერნის მიერ ადვოკატისათვის გაგზავნილი №57 და სამოქალაქო თავისუფლებების ეროვნული საბჭოსათვის გაგზავნილი 1975 წლის 15 სექტემბრის წერილები შეჩერებული იქნა, რადგან განმცხადებელმა თავდაპირველად არ მიმართა ციხის უფროსს სამართლებრივი კონსულტაციის მიღებასთან დაკავშირებით. ორივე წერილი შედგენილი იყო №45/1975 ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32).

(ბ) ბ-ნი კუპერის მიერ ადვოკატისათვის გაგზავნილი №27 წერილი, რომელიც ეხებოდა მიმდინარე მოკვლევას და რომელიც აგრეთვე შედგენილი იყო №45/1975 ინსტრუქციის მიღების შემდეგ, შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ განმცხადებელმა უკვე მიიღო საკმარისი დახმარება სამართლებრივი კონსულტაციის თვალსაზრისით.

(გ) შემდეგი წერილები შეჩერებული იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის წინასწარი ნებართვის არარსებობის გამო:

(i) ბ-ნი ნოის მიერ ადვოკატისათვის გაგზავნილი №10 წერილი, რომელიც შეიცავდა შემდეგ ციტატას: „... დაიკარგება ის ქონება, თუ მალე არ მოხვალთ – ეს დაახლოებით 100-დან 125 000 გირვანქა სტერლინგამდე ღირს – სუფთა კაპიტალი – დამატებითი დაფინანსებისა და კარგი საადვოკატო ანაზღაურების შემდეგ – იქნება 50-დან 75 000 გირვანქა სტერლინგამდე – რომელშიც თქვენც გაქვთ წილი“;

(ii) ბ-ნი კერნის მიერ დევონის სამეფო სასამართლოსათვის გაგზავნილი №49 წერილი, რომელიც შეიცავდა თხოვნას, რომ მისი საქმის განხილვის დროს წარმოდგენილი სამედიცინო მოხსენება გაეგზავნათ პარლამენტის წევრისათვის.

2. პატიმრის სასამართლო პროცესთან, მსჯავრდებულთან ან სასჯელთან დაკავშირებული განცხადებების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 43)

61. ამ აკრძალვამ განაპირობა ბ-ნი ნოის №49 წერილის შეჩერება, რომელიც მიმართული იყო ლორდ-კანცლერის სახელზე, მაგრამ რეალურად ეხებოდა სამართლებრივ განცხადებას განმცხადებლის სააპელაციო საჩივარში. წერილის გაგზავნის ნებართვა მოგვიანებით, სავარაუდოდ, სააპელაციო საჩივრის განხილვის შემდეგ მისცა მას შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ეს აგრეთვე წარმოადგენდა ბ-ნი მაკმაჰონის №35 და №37 ნერილების შეჩერების დამატებით საფუძველს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 59).

3. იმ ნერილების აკრძალვა, რომლებიც არღვევდა ან სხვაგვარად ხელყოფდა წესებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 44)

62. ბ-ნი სილვერის №1 და ბ-ნი ტატლის №18 ნერილები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 68), რომლებიც წინ უსწრებდა №45/1975 და №38/1977 ინსტრუქციებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 32 და 35) აგრეთვე შეჩერებული იქნა იმ დამატებით საფუძველზე, რომ ისინი სთხოვდნენ თავიანთ მეუღლეებს მიის გაკეთებას, რისი უფლებაც თვითონ მათ არ ჰქონდათ: პირველ შემთხვევაში – ადვოკატთან დაკავშირებას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლო აკრძალვასთან დაკავშირებით ციხეში მოპყრობის თაობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – სამართლებრივი კონსულტაციის მიღებას სამოქალაქო თავისუფლებათა ეროვნული საბჭოდან მისი მიმონერის კონტროლთან დაკავშირებით.

4. სხვათა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების განხილვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (ii))

63. ბ-ნი სილვერის მიერ მეუღლისათვის გაგზავნილი №7 ნერილი შეჩერებული იქნა, ვინაიდან შეიცავდა შემდეგ ფრაზას: „... ციხეში ერთი ჩემი ახლო მეზობელი მატარებლების მძარცველია ... მეორე, რომელიც აქ გასულ ოთხშაბათს მოვიდა, არის ერთ-ერთი აზიელი ძმა, რომელმაც სავარაუდოდ მოკლა ... მაკაი ...“

5. ხელისუფლების შეურაცხყოფისაკენ მიმართული საჩივრების აკრძალვა

64. ბ-ნი ტატლის მიერ ცოლისათვის გაგზავნილი №17 ნერილი შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ შეიცავდა მასალებს, რომლებიც განზრახ იყო მიმართული ციხის ადმინისტრაციის შეურაცხყოფისაკენ.

ეს აგრეთვე წარმოადგენდა ბ-ნი კერნის №51 ნერილის შეჩერების დამატებით საფუძველს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 68).

6. ძალადობის ან შეტისმეტად შეუფერებელი ენის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (iv) და (vi))

65. ბ-ნი კუპერის მიერ მშობლებისათვის გაგზავნილი №28, №29, №30 და №31 ნერილები შეჩერებული იქნა ორ საფუძველზე: ისინი შეიცავდა ძალადობის მუქარას და გამოყენებული იყო მეტისმეტად შეუფერებელი ენა.

7. გამოქვეყნებისათვის განკუთვნილი მასალის აკრძალვა

66. შემდეგი წერილები შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ ისინი შეიცავდა გამოქვეყნებისათვის განკუთვნილ მასალას:

(ა) ბ-ნი სილვერის №5 წერილი ებრაელთა „ქრონიკაში“ კონსულტანტი რაბინის სახელზე, რომელშიც ცდილობდა კვებასთან დაკავშირებული კონსულტაციის მიღებას. წერილი შეჩერებული იქნა, თუმცა მასზე აღნიშნული იყო „არ არის განკუთვნილი გამოქვეყნებისათვის“ და შეიცავდა ამკარა თხოვნას, რომ ციხის ნესების გამო მისი არც ერთი ნაწილი არ გამოქვეყნებულიყო;

(ბ) ბ-ნი მაკმაჰონის №32, №34 და №42 წერილები; პირველი ორი მიმართული იყო სატელევიზიო პროგრამის წამყვანის, ხოლო მესამე – გაზეთის სახელზე.

ეს აგრეთვე წარმოადგენდა მაკმაჰონის №37 წერილის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 59) და ბ-ნი კერნის №60 და №61 წერილების შეჩერების დამატებით საფუძველს.

8. სამართლებრივი მრჩევლებისა და პარლამენტის წევრების სახელზე მიმართულ წერილებში ციხეში მოპყრობის შესახებ საჩივრების მითითების აკრძალვა „განხილვის წესის“ დაუცველად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა) და (ბ) და პუნქტი 47)

67. ქვემოთ ჩამოთვლილი წერილები – ყველა მათგანი მიმართული იყო პარლამენტის წევრების სახელზე – შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ ისინი შეიცავდა ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივრებს, რომელთა მიმართაც არ იყო დაცული „წინასწარი განხილვის წესი“:

(ა) ბ-ნი ნოის №9 და №11 წერილები;

(ბ) ბ-ნი კუპერის №20, №22, №23, №24 და №26 წერილები, აგრეთვე ემდგომი 1974 წლის 3 აპრილის წერილი;

(გ) ბ-ნი კერნის №43, №45, №53, №54, №58 და №59 წერილები, აგრეთვე 1974 წლის 27 დეკემბრისა და 1975 წლის 11 იანვრის წერილები.

ბ-ნი კერნის პატიმრობაში ყოფნის დროს გაგზავნილი №43 წერილის შეჩერების თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილ პეტიციას რეაგირება არ მოჰყოლია; შემდგომში მთავრობამ კომისიის წინაშე აღიარა, რომ ცენზურა განხორციელდა შეცდომით, რამდენადაც წერილი არ შეიცავდა საჩივარს.

იმავე აკრძალვამ განაპირობა ბ-ნი კერნის ადვოკატის სახელზე გაგზავნილი №56 წერილის შეჩერებაც.

ბ-ნი ნოის №9 და №11 წერილები შეჩერებული იქნა ამავე წესის თანახმად იმ დამატებითი საფუძველით, რომ ადრესატი იყო როგორც ადვოკატი, ისე პარლამენტის წევრი.

9. ზოგად მიმონერაში ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (ix))

68. შემდეგი წერილები შეჩერებული იქნა იმის გამო, რომ ისინი შეიცავდა საჩივრებს ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებით:

(ა) ბ-ნი სილვერის №1, №2, №3, №4 და №6 წერილები, რომელთაგან №4 მიმართული იყო მთავარი რაბინის, ხოლო დანარჩენი – განმცხადებლის მეუღლის სახელზე. როგორც ჩანს, ერთი კვირის შემდეგ №4 წერილის შეჩერებიდან, რომელიც ეხებოდა კვებასთან დაკავშირებულ საჩივრებს, ბ-ნი სილვერს ნება მიეცა, მსგავსი წერილი გაეგზავნა რაბინისათვის;

(ბ) ბ-ნი ტატლის №18 წერილი თავისი ცოლის სახელზე;

(გ) ბ-ნი კერნის №44, №46, №47, №48, №50, №51, №52, №55, №60 და №61 წერილები, რომლებიც შესაბამისად მიმართული იყო ბ-ნი მაკენდრიუსს (№44 და №50), სამოქალაქო თავისუფლებათა ეროვნული საბჭოს (№46 და №55), სისხლის სამართლის რეფორმის პოვარდის ლიგის (№47), მედიკოსი პრაქტიკოსის (№48), ჯანმრთელობის სამსახურის კომისრის (№51), სულიერი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ მდივნისა (№52) და ჟურნალისტების სახელზე (№60 და №61). №46, №55 და №47 წერილები წინ უსწრებდა №38/1977 წლის ინსტრუქციას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 35).

10. ციხის ოფიცრების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (x))

69. ეს აკრძალვა აგრეთვე იყო ბ-ნი სილვერის №6 წერილის შეჩერების დამატებითი საფუძველი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 68).

11. საზოგადოებრივი აგიტაციის ან პეტიციის წახალისების მცდელობის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (xi))

70. ბ-ნი მაკმაჰონის №32 და №34 წერილების შეჩერების დამატებითი საფუძველი ის იყო, რომ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 66) ისინი მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი პეტიციების წახალისებას.

12. სხვადასხვა

71. ბ-ნი ნოის №12 ნერილის (რომელიც მიმართული იყო ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის სახელზე და შეიცავდა საჩივრებს მიმონერის კონტროლის თაობაზე) გაგზავნა დაყოფილი იქნა სამი კვირით, რამდენადაც იგი დაექვემდებარა შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციებს. ნერილი შედგენილი იყო მანამდე, სანამ გაუქმდებოდა საკონსულო თანამდებობის პირების სახელზე გაგზავნილი წერილების შინაარსზე დაწესებული შეზღუდვები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (გ)).

ბ-ნი კუპერის №19, №21 და №25 წერილები – ყველა მათგანი ეგზავნებოდა ნათესავებს – შეჩერებული იქნა „მიუღებელი“ წერილების ზოგადი კონტროლის საფუძველზე წესების 33-ე (3) მუხლის შესაბამისად, მაგრამ ოფიციალური ახსნის გარეშე. კომისიამ აღნიშნა, რომ გარდა ხსენებული წესით გათვალისწინებული ზოგადი დისკრეციისა, ამ ქმედებასთან დაკავშირებული უფლებამოსილება არ იყო გარკვეული.

სამართალწარმოება კომისიაში

72. ბ-ნმა სილვერმა, ბ-ნმა ნოიმ, ქ-ნმა კოლნმა, ბ-ნმა ტატლმა, ბ-ნმა კუპერმა, ბ-ნმა მაკმაჰონმა და ბ-ნმა კერნმა კომისიას მიმართეს შესაბამისად 1972 წლის 20 ნოემბერს, 1973 წლის 1 თებერვალს, 1975 წლის 2 ივნისს, 1975 წლის 20 მარტს, 1974 წლის 28 ოქტომბერს, 1975 წლის 8 ივლისსა და 1975 წლის 5 აპრილს. მათი მტკიცებით, ციხის ადმინისტრაციის მიერ მიმონერაზე კონტროლი წარმოადგენდა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების დარღვევას. ბ-ნი სილვერი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ უარყოფა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ორი პეტიციისა, რომლებიც მიზნად ისახავდა სამართლებრივი დახმარების თაობაზე ნებართვის მიღებას, წარმოადგენდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უარყოფას.

1976 წლის 5 მარტს, 1975 წლის 19 დეკემბერსა და 1977 წლის 4 ოქტომბერს კომისიამ არსებით განხილვაზე დაუშვებლად გამოაცხადა, შესაბამისად, ბ-ნი სილვერის, ბ-ნი ნოისა და ბ-ნი კუპერის განაცხადები, რამდენადაც ისინი შეიცავდა გარკვეულ დამატებით საჩივრებს. უკანასკნელ ხსენებულ დღეს კომისიამ დაშვებულად გამოაცხადა აღნიშნული განაცხადების დანარჩენი ნაწილი და სხვა ოთხი განაცხადი მთლიანად; მანამდე, 1977 წლის 11 მარტს, მან მიიღო ბრძანება შვიდი განაცხადის გაერთიანების შესახებ რეგლამენტის 29-ე მუხლის შესაბამისად. მოგვიანებით თითოეული განმცხადებელი ჩიოდა, რომ ადგილი ჰქონდა მე-13 მუხლის დარღვევას, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ დაცვის ეფექტიანი საშუალებები ეროვნული ხელისუფლების წინაშე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო.

73. 1979 წლის 3 აპრილს ბ-ნი სილვერის წარმომადგენელმა აცნობა კომისიას თავისი კლიენტის გარდაცვალების შესახებ. განმცხადებლის უახლოესი ნათესავის სურვილის შესაბამისად საქმის გაგრძელების, აგრეთვე ზოგადი ინტერესის მქონე წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით, 1979 წლის 8 მაისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განაცხადის განხილვის გაგრძელების თაობაზე.

მართალია, დღეს მიჩნეულია, რომ უახლოეს ნათესავებს უნდა ჰქონდეთ „განმცხადებლების“ სტატუსი (იხ. *Deveer*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1980 წლის 27 თებერვალი, სერია A №35, გვ. 19-20, პუნქტი 37), მიზანშეწონილია, რომ წინამდებარე განაჩენი „განმცხადებლად“ კვლავ ბ-ნი სილვერს მოიხსენიებდეს.

74. 1980 წლის 11 ოქტომბრის მოხსენებაში (კონვენციის 31-ე მუხლი) კომისიამ გამოხატა თავისი მოსაზრება

- ხმათა სხვადასხვა რაოდენობით (ერთი საკითხი ერთხმად იქნა მიღებული), რომ გარდა ექვსი წერილისა (კერძოდ, ბ-ნი სილვერის №7, ბ-ნი კუპერის №№ 28-31 და ბ-ნი ნოის №12 წერილები), ციხის ადმინისტრაციის მიერ განმცხადებლების მიმონერაზე კონტროლი წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მიმონერის პატივისცემის უფლების დარღვევას;
- რომ არ იყო აუცილებელი საკითხის შემდგომი განხილვა მე-10 მუხლთან დაკავშირებით;
- ერთხმად, რომ ბ-ნი სილვერის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული უფლების დარღვევას სამოქალაქო სასამართლოების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ შიდასამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების არარსებობა, რასაც ჩივიან განმცხადებლები მე-8 მუხლთან მიმართებაში, წარმოადგენდა მე-13 მუხლის დარღვევას.

მთავრობის საბოლოო მტკიცებები სასამართლოში

75. 1982 წლის 22 სექტემბრის მოსმენაზე მთავრობამ არსებითად გაიმეორა 1981 წლის 2 ოქტომბრის მიმოხილვაში ჩამოყალიბებული მტკიცებები, რომლებითაც სასამართლოს სთხოვა:

„(1) მე-8 მუხლთან მიმართებაში:

- (i) ვინაიდან კომისიამ დაასკვნა, რომ გამოვლენილი ფაქტებით არ დადგინდა გაერთიანებული სამეფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, კომისიის დასკვნების დამტკიცება;

- (ii) ვინაიდან კომისიის დასკვნებს კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად აპროტესტებს გაერთიანებული სამეფო, გამოიტანოს დასკვნები მთავრობის მიმოხილვაში ჩამოყალიბებული მტკიცებების შესაბამისად;
- (iii) ვინაიდან კომისიის მიერ კონვენციის დარღვევის ფაქტებს არ აპროტესტებს გაერთიანებული სამეფოს მთავრობა იმ ცვლილებების საფუძველზე, რომლებიც გადასინჯული მოქმედი ბრძანებებით იქნა შეტანილი გაერთიანებულ სამეფოში პატიმრების მიმონერასთან დაკავშირებულ პრაქტიკაში:
 - (ა) გადანყვიტოს და გამოაცხადოს, რომ დადგენილი ფაქტებით არ ვლინდება დარღვევები გარდა იმ დარღვევებისა, როგორც ეს ჩამოყალიბებულია კომისიის მოხსენებაში;
 - (ბ) განაჩენში აშკარად აღნიშნოს ცვლილებები, რომლებიც შეტანილი იქნა გადასინჯულ მოქმედ ბრძანებებში იმ დარღვევებზე სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად, რომლებიც დაადგინა კომისიამ;

(2) მე-6 მუხლთან მიმართებაში

- (i) განაჩენში აშკარად აღნიშნოს ცვლილებები, რომლებიც შეტანილი იქნა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში პატიმრებსა და მათ სამართლებრივ მრჩეველებს შორის მიმონერის კონტროლთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ *Goldier*-ის საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ;
 - (ა) ამ ცვლილებების კუთხით უარი თქვას კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის შესახებ საჩივრების შემდგომ განხილვაზე;
- ან ალტერნატიულად
 - (ბ) გადანყვიტოს და გამოაცხადოს, რომ დადგენილი ფაქტებით არ ვლინდება გაერთიანებული სამეფოს მიერ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სხვაგვარად, ვიდრე ეს ჩამოყალიბებულია კომისიის მოხსენებაში;

(3) მე-13 მუხლთან მიმართებაში

გადანყვიტოს და გამოაცხადოს, რომ დადგენილი ფაქტებით არ ვლინდება გაერთიანებული სამეფოს მიერ კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა ან, ალტერნატიულად, რომ ხსენებულმა ფაქტებმა არ განაპირობა რომელიმე ამგვარი დარღვევა გადასინჯული მოქმედი ბრძანებების ძალაში შესვლის შემდეგ პატიმრების მიმონერასთან დაკავშირებით.“

I. წინამდებარე საქმის მოქმედების სფერო

76. განმცხადებლები ძირითადად ჩიოდნენ კონკრეტული წერილების შეჩერებასა თუ შეფერხებასთან დაკავშირებით, თუმცა ისინი აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ მოცემულ სფეროში კონვენციის დარღვევის პრაქტიკა კვლავაც განაგრძობდა არსებობას.

77. სასამართლო არ არის ვალდებული, განიხილოს დამატებითი მტკიცებები, რადგან განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვებადობის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება განსაზღვრავს სასამართლოში განსახილველი საქმის ობიექტს (იხ., *inter alia*, საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* 1978 წლის 18 იანვრის განაჩენი, სერია A №25, გვ. 63, პუნქტი 157). წინამდებარე საქმეში კომისიამ განაცხადების დაშვებადობის თაობაზე გადაწყვეტილებებში განაცხადა, რომ საკითხები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს არსებით განხილვას, იმაში მდგომარეობს, იყო თუ არა ჩარევა, რასაც წარმოადგენდა მიმონერის ცენზურა, მთელ რიგ შემთხვევებში გამართლებული მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ეხებოდა თუ არა სხვა საკითხებს კონვენციის შესაბამისად. კომისიის მიერ საქმის შემდგომი განხილვა არ სცილდება ხსენებულ საკითხებს.

78. როგორც ეს მითითებულია წინამდებარე განაჩენის 25-56 პუნქტებში, ინგლისსა და უელსში პატიმრების მიმონერასთან დაკავშირებულმა პრაქტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კომისიის მოხსენების შემდეგ. ამ მიზეზით მთავრობა არ აპროტესტებს კომისიის მიერ გამოტანილ ბევრ დასკვნას; მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადასინჯული ბრძანებები უკვე გამოქვეყნებული იქნა და, რომ წინამდებარე საქმეში ნახსენები წერილების უმრავლესობა არ იქნება შეჩერებული ახალი რეჟიმის ფარგლებში. ამ გარემოებებმა განაპირობა, რომ პრეზიდენტმა 1982 წლის 22 ივლისს მიიღო ბრძანება მოსმენის მოქმედების სფერო შეზღუდვის თაობაზე იმ საკითხებით, რომლებიც კვლავ განხილვის პროცესშია (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 6).

განმცხადებლებმა სხვადასხვა თვალსაზრისით გააკრიტიკეს კონტროლის ახალი სისტემა. თავის მხრივ, მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, მხედველობაში მიეღო 1981 წელს, აგრეთვე 1975 წელს განხორციელებული ცვლილებები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32); მიუხედავად იმისა, რომ, მისი მტკიცებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ახალი რეჟიმი, როგორც კონვენციის იმ დარღვევების გამოსწორების საშუალება, რომლებსაც აქამდე ჰქონდა ადგილი, მთავრობამ მოსმენის დროს განაცხადა, რომ მიზნად არ ისახავდა კონვენციასთან შესაბამისობის თაობაზე გადწყვეტილების მოპოვებას.

79. ზოგადად სასამართლოს ამოცანა არ არის, გადაწყვეტილება გამოიტანოს კანონმდებლობის შესახებ *in abstracto*; რა თქმა უნდა, იმ დროს, როდესაც წინამდებარე საქმე დაიწყო, ჯერ კიდევ არ მოქმედებდა ახალი რეჟიმი. ამდენად, სასამართლოს არ შეუძლია მისი კონვენციასთან შესაბამისობის განხილვა (უპირატესად იხ., *mutatis mutandis*, *National Union of Belgian Police*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1975 წლის 27 ოქტომბერი, სერია A №19, გვ. 17, პუნქტი 36, და ზემოხსენებულ საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, სერია A №25, გვ. 72, პუნქტი 189). მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, 1975 წლის 21 თებერვალს *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, იმ განაცხადების შედეგად, რომლებმაც განაპირობა წინამდებარე საქმე, გაერთიანებულმა სამეფომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

II. მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

80. ბ-ნი სილვერის მტკიცებით, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე მიმართული, სამართლებრივი დახმარების მიღებასთან დაკავშირებული 1972 წლისა და 1973 წლის პეტიციებზე უარი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 12) წარმოადგენდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უარყოფას, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, როგორც ეს ინტერპრეტირებულია სასამართლოს მიერ *Golder*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე.“

სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ 1972 წლის პეტიციით: კომისიამ ჩათვალა, რომ არ დადგინდა 1973 წლის პეტიციის უარყოფა. ამდენად, სასამართლოს წინაშე ეს საკითხი არ წამოჭრილა.

81. მთავრობის ძირითადი თხოვნა ის იყო, რომ სასამართლოს უარი ეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებული დადგენილების გამოტანაზე იმ ცვლილებების თვალსაზრისით, რომლებიც განიცადა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენის შემდეგ (იხ., *inter alia*, წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32).

სასამართლოს არ შეუძლია ამ თხოვნის გათვალისწინება. ეს ცვლილებები შეტანილი იქნა, რათა, პირველ რიგში, ძალაში შესულიყო ზემოხსენე-

ბულ განაჩენში ჩამოყალიბებული პირობები, ხოლო, მეორე რიგში, ისინი წარმოადგენს წინამდებარე საქმეზე კომისიის წინაშე სამართალწარმოების შედეგს. მიუხედავად ამისა, 1975 და 1981 წლებიდან მათ აშკარად ვერ შეძლეს აღედგინათ უფლება, რაზეც ჩიოდა ბ-ნი სილვერი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად; აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ისაუბრო „საკითხის“ თუნდაც ნაწილობრივ „გადანყვეტაზე“ (იხ., *mutatis mutandis*, სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი და საქმე *X. v. the United Kingdom*, 1981 წლის 5 ნოემბრის განაჩენი, სერია A №46, გვ. 27, პუნქტი 64). გარდა ამისა, 1982 წლის 22 სექტემბრის მიმოხილვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 8) შეიცავს განმცხადებლის პრეტენზიას სამართლებრივ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით 50-ე მუხლის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით კი შეიძლება მნიშვნელოვანი საკითხი იყოს სასამართლოს მიერ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განსაზღვრა.

82. ამის საპირისპიროდ მთავრობამ განაცხადა, რომ *Golders*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენის კუთხით არ აპროტესტებს კომისიის დასკვნას მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის თაობაზე. ვინაიდან ბ-ნი სილვერისა და ბ-ნი გოლდერის საქმეთა ფაქტობრივი გარემოებები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, სასამართლო ადასტურებს აღნიშნულ დასკვნას.

III. მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

83. განმცხადებელთა მტკიცებით, 64 წერილის შეჩერება ან დაყოვნება წარმოადგენდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რომელიც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

84. აშკარაა, და არც ყოფილა გაპროტესტებული, რომ სახეზე იყო „საჯარო ხელისუფლების ჩარევა“ განმცხადებელთა მიმონერის პატივისცემის უფლებაში, რომელიც გარანტირებულია მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით. ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ამ მუხლის დარღვევას, თუ არ ხვდება მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ გამონაკლისებში. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, იყო თუ არა წინამდებარე საქმეში ჩარევა „დაშვებული კანონით“;

ემსახურებოდა თუ არა კანონიერ მიზანს ან მიზნებს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ზემოხსენებული მიზნებისათვის (იხ. უპირატესად, *mutatis mutandis*, *Sunday Times*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1979 წლის 26 აპრილი, სერია A №30, გვ. 29, პუნქტი 45).

ა. იყო თუ არა ჩარევა „დაშვებული კანონით“?

1. ზოგადი პრინციპები

85. *Sunday Times*-ის საქმეზე გამოტანილ 1979 წლის 26 აპრილის განაჩენში სასამართლომ განიხილა ცნების – „კანონით გათვალისწინებული“ – მნიშვნელობა და ამ თვალსაზრისით აღნიშნა მთელი რიგი განსხვავებებისა, რომლებიც არსებობს კონვენციის მე-8, მე-9, მე 10 და მე-11 მუხლების, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლისა და მე-4 ოქმის მე-2 მუხლის ფრანგულ და ინგლისურ ვერსიებს შორის (*ibid.*, გვ. 30, პუნქტი 48).

მთავრობა დაეთანხმა სასამართლოს, რომ ხსენებულ განაჩენში ჩამოყალიბებული პრინციპები მე-10 მუხლში გამოთქმასთან „კანონით გათვალისწინებული“ (*prescribed by law/prévues par la loi*) დაკავშირებით გამოიყენება მე-8 მუხლში გამოთქმასთან „კანონით დაშვებული“ (*in accordance with the law/prévue par la loi*) მიმართებაშიც. რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა იყოს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ორი დებულება ემთხვევა ერთმანეთს მიმონერის მეშვეობით გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში. და მათ რომ არ მიეცეთ იდენტური ინტერპრეტაცია, ეს გამოიწვევდა სხვადასხვა დასკვნას ერთი და იმავე ჩარევის შესახებ.

86. პირველი პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს *Sunday Times*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენიდან, არის ის, რომ ჩარევას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს შიდა კანონმდებლობაში (*ibid.*, გვ. 30, პუნქტი 47). წინამდებარე საქმეში მთვარობის, კომისიისა და განმცხადებელთა საერთო არგუმენტი იყო, რომ ჩარევის საფუძველი დადგენილი იყო „ციხის შესახებ“ კანონსა და წესებში და არა ბრძანებებსა და ინსტრუქციებში, რომლებიც მოკლებული იყო კანონის ძალას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 26). ასევე სადავო არ ყოფილა ის ფაქტი, რომ გასაჩივრებული ღონისძიებები შეესაბამებოდა ინგლისის კანონმდებლობას.

87. მეორე პრინციპის თანახმად, „კანონი უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი: მოქალაქეს უნდა შეეძლოს არსებულ გარემოებებში მოცემულ საქმეზე სამართლებრივ წესებზე მითითება (*ibid.*, გვ. 31, პუნქტი 49). „ციხის შესახებ“ კანონი და წესები აშკარად აკმაყოფილებდა ამ კრიტერიუმს, მაგრამ ბრძანებები და ინსტრუქციები არ იყო გამოქვეყნებული.

88. მესამე პრინციპის თანახმად, „ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით,

რაც მოქალაქეს აძლევს მისი ქცევის რეგულირების საშუალებას: მას უნდა შეეძლოს – თუ საჭიროა, სათანადო კონსულტაციის მეშვეობით – განჭვრიტოს იმ ხარისხით, რაც გონივრულია არსებულ გარემოებებში, შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს მოცემულმა ღონისძიებამ“ (*ibid.*).

კანონი, რომელიც ითვალისწინებს დისკრეციას, უნდა მიუთითებდეს მის მასშტაბზე. თუმცა სასამართლომ ცნო, რომ შეუძლებელია კანონის ფარგლებისათვის აბსოლუტური განსაზღვრულობის მინიჭება. ასეთ შემთხვევაში იმის საფრთხე იქნებოდა, რომ განსაზღვრულობის ძიება მიგვიყვანდა გადაჭარბებულ სიმკაცრემდე (*ibid.*). ამ მოთხოვნების დაცვა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წინამდებარე საქმის „გარემოებებში“, რომლებიც ეხება პატიმრობას სპეციალურ კონტექსტში – ყოველწლიურად დაახლოებით ათი მილიონი წერილის დახარისხებას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 57). ნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა კანონის იმგვარი სახით ფორმულირება, რომ ყველა შემთხვევა გაეთვალისწინებინა. რა თქმა უნდა, თავის მხრივ, განმცხადებლები არ უარყოფენ, რომ ამგვარი დისკრეცია ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს.

ამ მოსაზრებების შესაბამისად სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ „ბევრი კანონი ისეთი სიტყვებით არის ჩამოყალიბებული, რომლებიც მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია და რომელთა ინტერპრეტაცია და გამოყენება პრაქტიკის საკითხია“ (*ibid.*). წინამდებარე საქმეში მიმონერის კონტროლის სისტემის მოქმედება უბრალოდ არ იყო საკითხი პრაქტიკისა, რომელიც განსხვავდება თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე: ბრძანებებმა და ინსტრუქციებმა დაადგინა პრაქტიკა, რომელიც მოქმედებდა გამონაკლისი შემთხვევების გარდა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26-27). ამ პირობებში სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, ხსენებულ დირექტივებს უშუალოდ არ ჰქონდა კანონის ძალა, მაგრამ ისინი – ზოგადად განსაზღვრულ დონემდე, როდესაც დაინტერესებული პირები საკმარისად იგებენ მათ შინაარსს – შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული იმის შეფასებისას, იყო თუ არა ხსენებული წესების გამოყენებისას შესრულებული წინასწარ განსაზღვრის კრიტერიუმი.

89. ამ მიზნით სასამართლოს არ შეუძლია დაეთანხოს განმცხადებლების დამატებით საჩივარს, რომ პირობები და პროცედურები, რომლებიც არეგულირებს მიმონერაში ჩარევას – კერძოდ, ბრძანებებსა და ინსტრუქციებში ჩამოყალიბებული დირექტივები – გათვალისწინებული უნდა იყოს უშუალოდ მოქმედ კანონმდებლობაში.

90. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ კანონი თავისთავად უნდა ითვალისწინებდეს დაცვის გარანტიებს დარღვევის წინააღმდეგ.

მთავრობა აღიარებს, რომ მიმონერის კონტროლის სისტემა თავისთავად უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს. სასამართლოს მიიჩნევს, რომ ამკარად უნდა არსებობდეს გარანტიების გარკვეული ფორმები. ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს კონვენციას, არის

კანონის უზენაესობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების ჩარევა ინდივიდუალურ უფლებებში უნდა ექვემდებარებოდეს ქმედით კონტროლს (იხ., *inter alia*, *Klass and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1978 წლის 6 სექტემბერი, სერია A №28, გვ. 25-26, პუნქტი 55). ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება ასე, მსგავსად წინამდებარე საქმისა, როდესაც კანონმდებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებას აძლევს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის გამოყენებაც არის პრაქტიკის საკითხი, რაც ექვემდებარება ცვლილებებს და არა საპარლამენტო განხილვებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 26).

თუმცა სასამართლო არ ახდენს გამოთქმის – „დაშვებული კანონით“ – ინტერპრეტაციას იმ სახით, თითქოს ის ნიშნავდეს, რომ დაცვის გარანტიები უშუალოდ მითითებული უნდა იყოს ტექსტში, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდვების დანებს. ფაქტობრივად, დარღვევის წინააღმდეგ დაცვის გარანტიების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებთან. სასამართლო უპირატესად მიიჩნევს ამ საკითხის გათვალისწინებას მე-13 მუხლის ფართო კონტექსტით (იხ. წინამდებარე განაჩენი 111-119 პუნქტები).

2. წინამდებარე საქმეში ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება

(ა) საკითხები, რომლებიც არ ყოფილა გაპროტესტებული

91. კომისიის აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად ან დამატებით საფუძვლებზე ქვემოთ მითითებული წერილების შერჩევის წინასწარ განჭვრეტა არ იყო შესაძლებელი და, შესაბამისად, არ იყო „დაშვებული კანონით“:

- (ა) სამართლებრივ მრჩევლებთან მიმონერის შეზღუდვა იმ საფუძველზე, რომ განმცხადებელს უკვე მიეცა სამართლებრივი კონსულტაციის მიღების საკმარისი შესაძლებლობა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 32 და 60): ბ-ნი კუპერის №27 წერილი;
- (ბ) პატიმრის სასამართლო პროცესთან, მსჯავრდებულსთან ან სასჯელთან დაკავშირებული განცხადებების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 43 და 61): ბ-ნი ნოის №8 და ბ-ნი მაკმაჰონის №35 და №37 წერილები;
- (გ) მეტისმეტად შეუფერებელი ენის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (vi), და პუნქტი 65): ბ-ნი კუპერის №№28-31 წერილები;
- (დ) გამოქვეყნებისათვის განკუთვნილი მასალის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (v), და პუნქტი 66): ბ-ნი სილვერის №5, ბ-ნი მაკმაჰონის №32, №34, №37 და №42, აგრეთვე ბ-ნი კერნის №60 და №61 წერილები;

- (ე) აკრძალვა სამართლებრივი მრჩევლებისა და პარლამენტის წევრების სახელზე მიმართული წერილებისა, რომლებიც ეხება ციხეში მოპყრობის შესახებ განუხილველ საჩივრებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა) და (ბ), 47 და 67): ბ-ნი ნოის №9 და №11, ბ-ნი კუპერის №20, №22, №23, №24 და №26, მისივე 1974 წლის 3 აპრილის, აგრეთვე ბ-ნი კერნის №43, №45, №53, №54, №56 და 1974 წლის 27 დეკემბრისა და 1975 წლის 11 იანვრის წერილები;
- (ვ) აკრძალვა ზოგადი სახის მიმონერისა, რომელიც შეიცავდა საჩივრებს ციხეში მოპყრობასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (ix) და პუნქტი 68): ბ-ნი სილვერის №1, №2, №3, №4 და №6, ბ-ნი ტატლის №18 და ბ-ნი კერნის №44, №46, №47, №48, №50, №51, №52, №55, №60 და №61 წერილები;
- (ზ) ციხის ოფიცრების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (x) და პუნქტი 69): ბ-ნი სილვერის №6 წერილი;
- (თ) საზოგადოებრივი აგიტაციის ან პეტიციის წახალისების მცდელობის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა), საკითხი (xi) და პუნქტი 70): ბ-ნი მაკმაჰონის №32 და №34 წერილები;
- (ი) „არასასურველი“ წერილების ზოგადი კონტროლი (ოფიციალური ახსნა-განმარტება არ მისცემია – იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 71); ბ-ნი კუპერის №19, №21 და №25 წერილები.

რაც შეეხება (ა) და (ი) საკითხებს, კომისიამ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული ჩარევის რეალური ღონისძიების წინასწარ განჭვრეტა არ იყო შესაძლებელი. დანარჩენ საქმეებში მან ჩათვალა, რომ წესი, რომლის თანახმადაც განხორციელდა შეჩერება, არ შეიძლებოდა თავისთავად ყოფილიყო წინასწარ განჭვრეტადი.

მთავრობა არ აპროტესტებს კომისიის ამ დასკვნებს. სასამართლო, თავის მხრივ, ვერ ხედავს საფუძველს, რომ განსხვავებული აზრი განავითაროს. აქედან გამომდინარე, ადგენს, რომ ამ წერილების შეჩერება ზემოთ აღნიშნულ საფუძველებზე არ იყო „დაშვებული კანონით“.

(ბ) გაპროტესტებული საკითხები

92. მთავრობა თუ განმცხადებლები აპროტესტებენ კომისიის დასკვნებს საკითხის – „კანონით დაშვებული“ – თაობაზე წერილების სამ განსხვავებულ ჯგუფთან მიმართებაში. პრეზიდენტის 1982 წლის 22 ივლისის ბრძანების შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 6), სასამართლო მოსმენის დროს არგუმენტი იყო წამოყენებული ამ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც თანმიმდევრულად იქნება განხილული.

93. პირველი ჯგუფი მოიცავს ქ-ნი კოლნის №№ 13-15, ბ-ნი მაკმაპონის №№ 35-41 და 1975 წლის 31 დეკემბრის ურნალისტიკისათვის გაგზავნილ ნერილებს, რომელთაგან ყველა შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ ისინი არ იყო გაგზავნილი ან მიმართული ნათესავის ან მეგობრის სახელზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 29-30 და 59). მთავრობამ გააპროტესტა კომისიის მოსაზრება, რომ შესაბამისი პრაქტიკა, გამორიცხავს რაკარგი რეპუტაციის მქონე პირებთან მიმონერას, უფრო შორს წავიდა, ვიდრე შესაძლებელია, გონივრულად გამომდინარეობდეს ნესების 34-ე (8) მუხლიდან 33-ე (1) მუხლთან ერთად და რომ ამ ნერილების შეჩერება, შესაბამისად, არ იყო „დაშვებული კანონით“.

იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა მოცემულ შემთხვევაში დაკმაყოფილებული წინასწარ განჭვრეტადობის კრიტერიუმი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრძანებები, რომლებიც ავსებს 34-ე (8) მუხლს: ისინი არ იყო ხელმისაწვდომი პატიმრებისათვის და, როგორც ჩანდა, არც მათი შინაარსი ყოფილა განმარტებული ციხის ბარათებში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26, 30 და 88). თუმცა, თავის მხრივ, 34-ე (8) მუხლის ფორმულირება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 29) სავსებით ნათელია: მკითხველი იმას კი ვერ დაინახავს, რომ სხვა პირებთან, გარდა მეგობრებისა და ნათესავებისა, მიმონერა ნებადართულია გარკვეული გამოწვევების დაცვით, არამედ იმას, რომ აკრძალულია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მინისტრი აძლევს ნებართვას. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 33-ე (2) მუხლი – რომელიც შეიცავს 34-ე (8) მუხლში მოცემულ მსგავს აკრძალვას – და 34-ე (2) მუხლი, საიდანაც ნათელი გახდება, რომ არსებობდა შეზღუდვები მსჯავრდებული პატიმრების ნერილების რაოდენობასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 29 და 38).

ამ მიზეზებიდან გამომდინარე სასამართლოს გამოაქვს დასკვნა, რომ ჩარევა იყო „დაშვებული კანონით“.

94. მეორე ჯგუფი მოიცავს ბ-ნი კერნის №58 და №59 ნერილებს, რომლებიც თარიღდება 1975 წლის 12 დეკემბრით და 1976 წლის 2 იანვრით და მიმართულია პარლამენტის წევრის სახელზე. ისინი შეჩერებული იქნა იმ საფუძველზე, რომ შეიცავდა საჩივრებს ციხეში მოპყრობის თაობაზე და მათ მიმართ არ იქნა დაცული „წინასწარი განხილვის წესი“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ბ), 47 და 67). მთავრობას არ გაუპროტესტებია კომისიის მოსაზრება, რომ იმავე კატეგორიის მთელი რიგი სხვა ნერილების შეჩერება არ იყო განჭვრეტადი, რამდენადაც „წინასწარი განხილვის წესი“ არ იყო გათვალისწინებული თვითონ ნესებში, და აღნიშნა, რომ ამ ორ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მდგომარეობა იყო. იგი ეყრდნობოდა განმარტებით შეტყობინებას, რომელიც მოცემული იყო 1975 წლის ნოემბერში პატიმრებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით – ანუ ხსენებული ორი ნერილის დაწერამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ბ)).

სასამართლომ ჩათვალა, რომ შესაბამის შეტყობინებაში მოცემული ფორმულირება იმგვარი იყო, რომ საკმარისად ეცნობებინა დაინტერესებული პირებისათვის არსებული პრაქტიკის შესახებ. ამგვარად, ამ წერილების შეჩერება წარმოადგენდა წესების განჭვრეტად გამოყენებას და, ამდენად, იყო „დაშვებული კანონით“.

95. მესამე ჯგუფი მოიცავს შემდეგ წერილებს, რომლებიც შეჩერებული ან დაყოვნებული იყო ქვემოთ მითითებულ ძირითად ან დამატებით საფუძველზე:

- (ა) კომუნიკაციის შეზღუდვა რაიმე სამართლებრივ ან სხვა საქმესთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 32, 35, 41, 46 და 60): ბ-ნი ნოის №10, ბ-ნი კერნის №49 და №57 წერილები, აგრეთვე სამოქალაქო თავისუფლებათა ეროვნული საბჭოსათვის გაგზავნილი წერილი;
- (ბ) იმ წერილების აკრძალვა, რომლებიც არღვევს ან სხვაგვარად ხელყოფს წესებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 44 და 62): ბ-ნი სილვერის №1 და ბ-ნი ტატლის №18 წერილები;
- (გ) სხვათა მიერ ჩადენილი დანაშაულების განხილვის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა), საკითხი (ii) და 63): ბ-ნი სილვერის წერილი №7;
- (დ) ციხის ადმინისტრაციის შეურაცხყოფისაკენ მიმართული საჩივრების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა), საკითხი (iii) და 64): ბ-ნი ტატლის წერილი №17;
- (ე) ძალადობის მუქარის აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 4 (ა), საკითხი (iv) და 65): ბ-ნი კუპერის №№28-31 წერილები;
- (ვ) ბ-ნი ნოის №12 წერილი, რომელიც შეჩერებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინსტრუქციების მიღებამდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 71).

კომისიამ დაადგინა, რომ თითოეული ზემოხსენებული ჩარევა იყო განჭვრეტადი წესების ტექსტიდან გამომდინარე და, ამდენად, „დაშვებული კანონით“. განმცხადებლებმა ეს გაასაჩივრეს იმ საფუძველით, რომ ორი შემდგომი მოთხოვნა, რომლებიც, მათი მტკიცებით, გამომდინარეობს ამ გამოთქმიდან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 89-90), არ იქნა შესრულებული.

იმ პოზიციის თვალსაზრისით, რომელიც სასამართლომ დააფიქსირა განმცხადებლების მიერ მითითებულ პუნქტებში, სასამართლოს აზრი ემთხვევა კომისიის დასკვნებს.

ბ. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზნებს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად?

96. განმცხადებლები არ ამტკიცებდნენ, რომ შეზღუდვები წინამდებარე საქმეში ემსახურებოდა სხვა, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნებისგან განსხვავებულ, მიზანს. სასამართლოს წინაშე მთავრობა ამტკიცებდა, რომ დასახული მიზანი იყო „უნესრიგობის თავიდან აცილება“, „დანაშაულის თავიდან აცილება“, „ზნეობის დაცვა“ და/ან „სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა“, ხოლო კომისიამ ჩათვალა, რომ თითოეული ჩარევა იყო „აუცილებელი“ ერთი ან მეტი მიზნის მისაღწევად.

ეს საკითხი არ განხილულა და არ ნამოჭრილა სასამართლოს წინაშე. ამგვარად, იგი ვერ ხედავს საფუძველს, ეჭვქვეშ დააყენოს, რომ თითოეული ჩარევა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა მე-8 მუხლის შესაბამისად.

ბ. იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“?

1. ზოგადი პრინციპები

97. სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში განმარტა ფრაზა – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თავისი ამოცანები საკითხების განხილვისას და ის გზა, რომლითაც იგი ახორციელებს ამ ამოცანებს. საქმარისია, მოკლედ მიმოვიხილოთ რამდენიმე პრინციპი:

- (ა) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ არ არის „გარდაუვალის“ სინონიმი. მას არც ისეთი გამოთქმების მოქნილობა ახასიათებს, როგორცაა: „დასაშვები“, „ჩვეულებრივი“, „სასარგებლო“, „გონივრული“ ან „სასურველი“ (იხ. *Handyside*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A №24, გვ. 22, პუნქტი 48);
- (ბ) ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული, მაგრამ არა აბსოლუტური ზღვარი შეზღუდვების დანესების საკითხში. საბოლოო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ისინი კონვენციას, უნდა მიიღოს სასამართლომ (*ibid.*, გვ. 23, პუნქტი 49);
- (გ) ფრაზა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ნიშნავს, რომ კონვენციით გათვალისწინებული ჩარევა, *inter alia*, უნდა შეესაბამებოდეს „გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას“ და უნდა იყოს „დასახული მიზნის პროპორციული“ (*ibid.*, გვ. 22-23, პუნქტები 48-49);

(დ) კონვენციის ის პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებს გარანტირებული უფლების გამონაკლისებს, ვინაშე უნდა იყოს ინტერპრეტირებული (იხ. ზემოხსენებული *Klass and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №28, გვ. 21, პუნქტი 42).

98. სასამართლომ აგრეთვე განმარტა, რომ იმის შეფასებისას, იყო თუ არა მსჯავრდებული პატიმრის მიერ მიმონერის პატივისცემის უფლების განხორციელებაში ჩარევა „აუცილებელი“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პატიმრობის ჩვეულებრივი გონივრული მოთხოვნები (იხ. ზემოხსენებული *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №18, გვ. 21, პუნქტი 45). რა თქმა უნდა, სასამართლო აღიარებს, რომ პატიმრების მიმონერაზე კონტროლის ზოგიერთი ღონისძიება აუცილებელია და ეს თავისთავად არ მოდის კონვენციასთან შეუსაბამობაში.

2. წინამდებარე საქმეში ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება

(ა) საკითხები, რომლებიც არ ყოფილა გაპროტესტებული

99. კომისიამ გამოხატა აზრი, რომ წერილების შეჩერება შემდეგ ძირითად თუ დამატებით საფუძველზე არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“:

(ა) მიმონერის შეზღუდვა სხვასთან, გარდა ნათესავისა თუ მეგობრისა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 29-30 და 59): ქ-ნი კოლნის №№13-15, ბ-ნი მაკმაპონის №№35-41 და 1975 წლის 31 დეკემბრის ყურნალისტისათვის გაგზავნილი წერილები, ბ-ნი სილვერის №4 და ბ-ნი კერნის №48 წერილები;

(ბ) კომუნიკაციის შეზღუდვა რაიმე სამართლებრივ ან სხვა საქმესთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 32, 35, 41, 46 და 60): ბ-ნი კუპერის №27, ბ-ნი კერნის №49 და №57 წერილები, აგრეთვე მისი 1975 წლის 15 სექტემბრის წერილი სამოქალაქო უფლებათა ეროვნული საბჭოს სახელზე;

(გ) ციხის ადმინისტრაციის შურაცხყოფისაკენ მიმართული საჩივრების აკრძალვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა), საკითხი (iii) და 64): ბ-ნი ტატლეს №17 და ბ-ნი კერნის №51 წერილები;

(დ) სამართლებრივი მრჩეველებისა და პარლამენტის წევრების სახელზე მიმართული იმგვარი წერილების აკრძალვა, რომლებიც შეიცავდა საჩივრებს ციხეში მოპყრობის შესახებ „განხილვის წესის“ დაცვის გარეშე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45 (ა) და (ბ), პუნქტი 47 და 67): ბ-ნი ნოის №9 და №11, ბ-ნი კუპერის №20, №22,

№23, №24 და №26, აგრეთვე მისი 1974 წლის 3 აპრილის, ბ-ნი კერ-
ნის №43, №45, №53, №54, №56, №58, №59 და მისი 1974 წლის 27
დეკემბრისა და 1975 წლის 11 იანვრის წერილები;

- (ე) საზოგადოებრივი აგიტაციის ან პეტიციის ნახალისების მცდელო-
ბა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა), საკითხი (xi) და 70):
ბ-ნი მაკმაჰონის №32 და №34 წერილები;
- (ვ) იმ წერილების აკრძალვა, რომლებიც არღვევს ან სხვაგვარად
ხელყოფს წესებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 44 და 62):
ბ-ნი სილვერის №1 და ბ-ნი ტატლის №18 წერილები.

რაც შეეხება (ვ) საკითხს, კომისიამ ჩათვალა, რომ არსებითად კანონი-
ერ საფუძველზე მიღებული ღონისძიება გადაჭარბებული იყო. მეორე
მხრივ, დანარჩენ შემთხვევებში თვითონ საფუძველი, ისევე, როგორც ღო-
ნისძიება, არ შეესაბამებოდა აუცილებლობის მოთხოვნას მე-8 მუხლის მე-
2 პუნქტის მნიშვნელობით; კომისიამ იგივე აზრი გამოხატა წინამდებარე
განაჩენის 91-ე პუნქტის (ბ), (გ), (დ), (ვ) და (ზ) ქვეპუნქტებში მითითებულ
ძირითად ან დამატებით საფუძველებზე შესაბამისი წერილების შეჩერებას-
თან დაკავშირებით. და ბოლოს, კომისიამ ჩათვალა, რომ ბ-ნი კუპერის
№19, №21 და №25 წერილების შეჩერება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნ-
ქტი 71) არ იყო „აუცილებელი“.

მთავრობა არ აპროტესტებს კომისიის ამ დასკვნებს. თავის მხრივ, სა-
სამართლო ვერ ხედავს საფუძველს, რომ განსხვავებული აზრი განავითა-
როს. აქედან გამომდინარე, ადგენს, რომ ხსენებული წერილების შეჩერება
არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

(ბ) გაპროტესტებული საკითხები

100. რაც შეეხება მთელ რიგ წერილებს, მთავრობამ და განმცხადებ-
ლებმა გააპროტესტეს კომისიის დასკვნები „აუცილებლობის“ საკითხთან
დაკავშირებით. პრეზიდენტის 1982 წლის 22 ივლისის ბრძანების შესაბამი-
სად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 6), არგუმენტი იქნა წამოყენებუ-
ლი სასამართლოში მოსმენის დროს ამ საკითხებზე, რომლებიც რიგრიგო-
ბით იქნება განხილული.

101. ბ-ნი ნოის მიერ ადვოკატისათვის გაგზავნილი №10 წერილი შეჩერე-
ბული იქნა, რადგან შეიცავდა მითითებას საქმიან ურთიერთობაზე (იხ. წინამ-
დებარე განაჩენის პუნქტები 41, 46 და 40). კომისიამ არ მიიჩნია, რომ ჩარევა
იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რადგან არ არსებობდა
ამის მხარდამჭერი მტკიცებულება. მთავრობა არ ეთანხმება ამ დასკვნას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული წერილი – დანერგილი თაღ-
ლითობისთვის მსჯავრდებული პატიმრის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩე-
ნის პუნქტი 13) – ეხებოდა არა უბრალოდ სამართლებრივ პრობლემებს,

არამედ ინტერპრეტაციებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 60). ზოგადად საქმიან ურთიერთობებში პატიმრების მონაწილეობასთან დაკავშირებით იმ დროს მოქმედი შეზღუდვების თაობაზე რაიმე მოსაზრების გამოთქმის გარეშე და გაერთიანებული სამეფოს შეფასების ზღვრის სათანადოდ გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ხელისუფლებას შეეძლო ეფიქრა, რომ ამ კონკრეტული წერილის შეჩერება აუცილებელი იყო „უნესკო-რიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“ კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

102. ბ-ნი სილვერის №7 წერილი შეჩერებული იქნა, რადგან მასში მოხსენიებული იყვნენ ციხეში მყოფი სხვა დამნაშავეები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა), საკითხი (ii) და 63). კომისიამ ჩათვალა, რომ ჩარევა შეიძლებოდა ჩათვლილიყო „აუცილებლად“, უპირატესად იმიტომ, რომ ბ-ნი სილვერს შეეძლო წერილის თავიდან დაწერა შეურაცხმყოფელი ნაწყვეტის გარეშე. მისმა ადვოკატმა პრეტენზია გამოთქვა, რომ მთავრობამ არ დაადგინა, რომ თავიდან დაწერის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო. ამდენად, მისმა განცხადებამ, რომ წერილი არ იქნებოდა შეჩერებული 1981 წლის დეკემბრიდან მოქმედი რეჟიმის შესაბამისად, ცხადყო, რომ 1973 წელს მიღებული ღონისძიება არ იყო „აუცილებელი“.

საწინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობისას სასამართლომ უნდა დაუშვას, რომ ბ-ნი სილვერს მიეცა ზემოხსენებული შესაძლებლობა ჩვეულებრივი პროცედურის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 50). იმის მხედველობაში მიღებით, რომ სხვა დამნაშავეები წარმოადგენდნენ „A კატეგორიის“ პატიმრებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 16), სასამართლომ ადგენს, რომ ხელისუფლებას შეეძლო ეფიქრა, რომ ამ კონკრეტული წერილის შეჩერება აუცილებელი იყო „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“, აგრეთვე „უნესკო-რიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

103. ბ-ნი კუპერის №№28-31 წერილები შეჩერებული იქნა არა მარტო მეტიმეტად შეუფერებელი ენის გამოყენების, არამედ იმის გამოც, რომ შეიცავდა ძალადობის მუქარას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 45 (ა), საკითხი (iv), და 65). მისმა ადვოკატმა გააპროტესტა კომისიის მოსაზრება, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი“ მეორე საფუძველზე.

სასამართლომ ეთანხმება კომისიის აზრს. №№28-30 წერილები შეიცავდა ძალადობის აშკარა მუქარას, ხოლო №31 წერილი შეიძლება ჩაითვალოს მის გაგრძელებად. როგორც სასამართლოს განაჩენშია აღნიშნული, ხელისუფლებას საკმარისი საფუძველი ჰქონდა იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ხსენებული წერილების შეჩერება აუცილებელი იყო „უნესკო-რიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

104. და ბოლოს, ბ-ნი ნოის №12 წერილი, მიმართული შეერთებული შტატების კონსულის სახელზე, გაგზავნამდე სამი კვირით იქნა დაყოვნებული (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 71). მისმა ადვოკატმა კითხვის ქვეშ

დააყენა ამ ჩარევის აუცილებლობა მაშინ, როდესაც კომისიამ, დაასკვნა რა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-8 მუხლის დარღვევას, დაადგინა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ჩარევა არ იყო გამართლებულად „აუცილებელი“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ერთი ან მეტი მიზნისათვის.

სასამართლოს აზრით, როდესაც ერთ რომელიმე შემთხვევაში ციხის ქვემდგომი ხელისუფლება ეჭვობს, თუ როგორ უნდა განახორციელოს თავისი საზედამხედველო ფუნქციები პატიმრების მიმონერასთან დაკავშირებით, მას უნდა შეეძლოს ინსტრუქციების მიღება ზემდგომი ხელისუფლებისაგან. ბ-ნი ნოის №12 წერილის შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციამ დაადგინა, რომ აუცილებელი იყო, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, ინსტრუქციების თაობაზე წერილით მიემართა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის; მან გადაწყვიტა, რომ წერილი არ უნდა შეჩერებულყო. ხსენებულ გარემოებებში, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ წერილის საგანი არ იყო რეალურად საჩქარო, სასამართლო არ თვლის, რომ წერილების გაგზავნის დაყოვნება სამი კვირით იმდენად სერიოზული იყო, რომ წარმოადგენდეს მე-8 მუხლის დარღვევას.

დ. დასკვნები მე-8 მუხლთან დაკავშირებით

105. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი სილვერის №7, ბ-ნი ნოის №10 და ბ-ნი კუპერის №№ 28-31 წერილების შეჩერება იყო როგორც „დაშვებული კანონით“ და გამართლებული, ისე „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 95, 102, 101 და 103). ამგვარად, ხსენებული ჩარევა არ წარმოადგენდა მე-8 მუხლის დარღვევას. იგივე დასკვნა ეხება ბ-ნი ნოის №12 წერილის დაყოვნებას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 95 და 104).

მეორე მხრივ, დანარჩენი 57 წერილის შეჩერება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 99); შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას.

IV. მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

106. განმცხადებლები აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმონერაზე კონტროლი ციხის ადმინისტრაციის მიერ წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.

107. კომისიამ დაასკვნა, რომ, რამდენადაც მიმონერის კონტექსტში თავისუფალი გამოხატვის უფლება გარანტირებული იყო მე-8 მუხლით, არ იყო აუცილებელი საკითხის შემდგომი განხილვა მე-10 მუხლის კონტექსტში.

არც მთავრობასა და არც განმცხადებლებს არ გამოუთქვამთ საპირისპირო მოსაზრება, რასაც ეთანხმება სასამართლო.

V. მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

108. განმცხადებლების მტკიცებით, გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტიანი საშუალება თითოეულ საჩივართან მიმართებაში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-8 და მე-10 მუხლების შესაბამისად და, ამგვარად, მათ მიმართ დაირღვა მე-13 მუხლი. ამ მუხლის თანახმად,

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა ჩადენილია პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.“

ა. მე-13 მუხლი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტსა და მე-10 მუხლთან ერთად აღებული

109. კომისიის მიერ გამოხატული აზრის თანახმად, რაც განმცხადებლებს არ გაუპროტესტებიათ სასამართლოს წინაშე:

- მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ბ-ნი სილვერის საჩივართან დაკავშირებით 1972 წლის პეტიციის უარყოფის შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 12) მე-13 მუხლის კუთხით არ ნაშრომობა ცალკე საკითხი;
- კომისიის აზრით, მე-10 მუხლთან მიმართებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 107) არ არის აუცილებელი მე-13 მუხლის საფუძველზე განმცხადებელთა საჩივრების მე-10 მუხლთან დაკავშირებული ასპექტების განხილვა.

110. სასამართლო ეთანხმება კომისიის მოსაზრებას. ითვალისწინებს რა მის გადაწყვეტილებას მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 80-82), მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბ-ნი სილვერის საჩივრის მე-13 მუხლის კუთხით განხილვის საჭიროება, რამდენადაც ამ უკანასკნელი მუხლის მოთხოვნები ნაკლებად მკაცრია, ვიდრე ამას ითვალისწინებს წინა მუხლის მოთხოვნები (იხ., *inter alia*, *Sporrong and Lönnroth*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1982 წლის 23 სექტემბერი, სერია A №52, გვ. 32, პუნქტი 88). არ არის აუცილებელი არც მე-13 მუხლის შესაბამისად საჩივრების მე-10 მუხლთან დაკავშირებული ასპექტების განხილვა, რადგან წინამდებარე საქმეში მე-8 და მე-10 მუხლები ერთმანეთს ემთხვევა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 107).

ბ. მე-13 მუხლი მე-8 მუხლთან ერთად აღებული

111. იგივე არ ეხება განმცხადებლების საჩივრების მე-8 მუხლთან დაკავშირებული ასპექტების განხილვას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სასამართლომ გადაწყვიტა, მე-13 მუხლის კონტექსტში განიხილოს პატიმრების მიმონერის კონტროლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ დაცვის გარანტიების საკითხი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 90).

კომისიამ განიხილა საჩივრის სხვადასხვა შესაძლო არხები და მივიდა იმ დასკვნამდე რომ არ არსებობდა შიდასამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტიანი საშუალება და, შესაბამისად, სახეზე იყო მე-13 მუხლის დარღვევა. მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, დაედგინა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებით არ გამოვლინდა ამ დებულების რაიმე დარღვევა ან, ალტერნატიულად, რომ არ იქნებოდა გამოვლენილი დარღვევის რაიმე ფაქტი გადასინჯული ბრძანებების ძალაში შესვლის შემდეგ.

112. დაადგინა რა, რომ წინამდებარე საქმის ფარგლები არ ვრცელდება მიმონერის კონტროლის სისტემაზე 1981 წლის დეკემბრის შემდეგ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 79), სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს მთავრობის ალტერნატიული თხოვნა.

113. პრიციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით მე-13 მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, შემდეგში მდგომარეობს:

- (ა) როდესაც პირს აქვს დასაბუთებული პრეტენზია, რომ იგი გახდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი, მას უნდა მიეცეს დაცვის საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე და, თუ შესაძლებელია, მიიღოს კომპენსაცია (იხ. ზემოხსენებული *Klass and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №28, გვ. 29, პუნქტი 64);
- (ბ) არ არის სავალდებულო, რომ მე-13 მუხლში მითითებული ხელისუფლება იყოს სასამართლო ხელისუფლება, მაგრამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი უფლებამოსილება და გარანტიები, რომლებსაც იგი ითვალისწინებს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმის განსაზღვრისას, არის თუ არა ეფექტიანი დაცვის საშუალება (*ibid.*, გვ. 30, პუნქტი 67);
- (გ) თუმცა შეიძლება, რომ არც ერთი ცალკეული საშუალება თავისთავად არ აკმაყოფილებდეს მე-13 მუხლის მოთხოვნებს, შესაძლებელია, ამგვარი აღმოჩნდეს დაცვის საშუალებათა ერთობლიობა, რომლებსაც ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 26, პუნქტი 60, და *Van Droogenbroeck*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1982 წლის 24 ივნისი, სერია A, №50, გვ. 32, პუნქტი 56);

(დ) არც მე-13 მუხლი და არც კონვენცია ხელშემკვერელი სახელმწიფოებისათვის ზოგადად არ ადგენს რაიმე კონკრეტულ წესს, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შიდა სამართლებრივ კანონმდებლობაში კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიანი განხორციელება, მაგალითად, კონვენციის შიდა კანონმდებლობაში ჩართვა (იხ. *Swedish Engine Drivers' Union*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 6 თებერვალი, სერია A №20, გვ. 18, პუნქტი 50).

ბოლოს მითითებული პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მოცემულ საქმეში მე-13 მუხლის გამოყენება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გზით აირჩიეს ხელშემკვერელმა სახელმწიფოებმა ნებისმიერი პირისათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში 1-ლ თავში ჩამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა (იხ. ზემოხსენებული საქმე *Ireland v. the United Kingdom*, სერია A №25, გვ. 91, პუნქტი 239).

114. წინამდებარე საქმეში არ იყო მინიშნებული, რომ დაცვის რაიმე საშუალებები იყო ხელმისაწვდომი განმცხადებლებისათვის გარდა საჩივრების განხილვის ოთხი არხისა, რაც განხილული იქნა კომისიის მიერ, კერძოდ, განცხადებების შეტანისა ვიზიტორთა კოლეგიისა და ადმინისტრაციის საპარლამენტო კომისიის სახელზე, პეტიციით მიმართვისა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის და ინგლისის სასამართლოებში საქმის აღძვრისა.

115. რაც შეეხება პირველ ორ არხს, სასამართლო, კომისიის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ისინი არ წარმოადგენს „სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას“ წინამდებარე მიზნებისათვის.

ვიზიტორთა კოლეგიას არ შეუძლია თავისი დასკვნების ცხოვრებაში გატარება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 52). იგი აგრეთვე არ განიხილავს იმ პირების განცხადებებს, რომლებიც არ იმყოფებიან პატიმრობაში, როგორცაა ქ-ნი კოლნი.

საპარლამენტო კომისართან დაკავშირებით საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მას უშუალოდ არა აქვს კომპენსაციის მიცემის თაობაზე სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 54).

116. რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრს, თუ მის სახელზე შეტანილი იყო საჩივარი ბრძანების ან ინსტრუქციის კანონიერებასთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისადაც განხორციელდა მიმონერაზე კონტროლის ღონისძიება, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად დამოუკიდებლად მე-13 მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Klass and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №28, გვ. 26, პუნქტი 56): როგორც შესაბამისი დირექტივების ავტორი, იგი რეალურად განიხილავს თავის საკუთარ საქმეს. თუმცა მდგომარეობა სხვაგვარი იქნება, თუ მოსარჩელე ამტკიცებს, რომ კონტროლის ღონისძიება წარმოიშვა ერთ-ერთი ამ დირექტივის არამარ-

თლზომიერი გამოყენების შედეგად. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარ საქმეებში პეტიცია შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ზოგადად იქნება ეფექტიანი დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, თუ საჩივარი დასაბუთებულია. თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევებშიც კი სულ მცირე 1981 წლის 1 დეკემბრამდე ამგვარი პეტიციების წარდგენის პირობები ზოგიერთ შემთხვევაში ითვალისწინებდა შეზღუდვებს დაცვის ამ საშუალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 53).

117. თავის მხრივ, ინგლისის სასამართლოებს აქვთ გარკვეული სახედამხედველო იურისდიქცია შინაგან საქმეთა მინისტრისა და ციხის ადმინისტრაციის მიერ „ციხის შესახებ“ კანონითა და წესებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 55). თუმცა მათი იურისდიქცია შეზღუდულია იმის განსაზღვრით, განხორციელდა თუ არა უფლებამოსილება თვითნებურად, არაკეთილსინდისიერად, არამართლზომიერი მოტივით ან *ultra vires*-ის სახით.

ამ თვალსაზრისით განმცხადებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თუ კონვენცია არ არის ჩართული შიდა კანონმდებლობაში, არ შეიძლება პირდაპირ იქნეს გამოყენებული ინგლისის სასამართლოებში; თუმცა მათ აღიარეს, რომ იგი მნიშვნელოვანი იყო ბუნდოვანი კანონმდებლობის ინტერპრეტაციისათვის იმ დაშვების თანახმად, რომ ეს უკანასკნელი შეესაბამება გაერთიანებული სამეფოს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

118. განმცხადებლებს არ ნამოუყენებიათ რაიმე არგუმენტი, რომ ჩარევა მათ მიმონერაში ეწინააღმდეგებოდა ინგლისის კანონმდებლობას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 86). კომისიის მსგავსად, სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე სამართალწარმოებაში გასაჩივრებულ ღონისძიებათა უმრავლესობა არ შეესაბამებოდა კონვენციას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 105). უმეტეს შემთხვევებში მთავრობას არ გაუპროტესტებია კომისიის დასკვნები. მას არც ის უმტკიცებია, რომ ინგლისის სასამართლოებს შეეძლოთ, დაედგინათ, რომ ღონისძიებები თვითნებურად, არაკეთილსინდისიერად, არამართლზომიერი მოტივით ან *ultra vires*-ის სახით განხორციელდა.

სასამართლოს აზრით, თუ გამოსაყენებელი ნორმები (რომლებიც გათვალისწინებული იყო წესებში ან შესაბამის ბრძანებებსა თუ ინსტრუქციებში) არ შეესაბამებოდა კონვენციას, სახეზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რასაც მოითხოვს მე-13 მუხლი. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ამ მუხლის დარღვევას.

თუმცა როდესაც ხსენებული ნორმები შეესაბამებოდა მე-8 მუხლს, დაცვა ბელმისწინდომ საშუალებათა ერთობლიობა აკნაყოფილებდა მე-13 მუხლის მოთხოვნებს, სულ მცირე იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელი იყო შინაგან საქმეთა მინისტრისათვის პეტრიციით მიმართვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 116); პეტრიციას შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე შეეძლო მას მიერ მიღებულ დირექტივებთან შესაბამისობის უზ-

რუნველყოფა, ხოლო რაც შეეხება წესებთან შესაბამისობას, ინგლისის სასამართლოებს ჰქონდათ საზედამხედველო იურისდიქცია, რაც განხილული იყო წინამდებარე განაჩენის 117-ე პუნქტში.

119. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ნორმები არ შეესაბამებოდა კონვენციას და როდესაც სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა მე-13 მუხლის დარღვევას. დანარჩენ შემთხვევებში არ გვაქვს საფუძველი, დავუშვათ, რომ განცხადებლების საჩივრები არ შეიძლებოდა სათანადოდ განეხილა შინაგან საქმეთა მინისტრს და/ან ინგლისის სასამართლოებს. ამდენად, ადგილი არ ჰქონია მე-13 მუხლის დარღვევას; თუმცა გამონაკლისია ბ-ნი სილვერის №7 ნერილი, რომელთან მიმართებაშიც მას ხელი არ მიუწვდებოდა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის პეტიციით მიმართვის საშუალებაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 53).

VI. 50-ე მუხლის გამოყენება

120. კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ღონისძიება სრულად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს კონვენციიდან და თუ ხსენებული (სახელმწიფოს) შიდა კანონმდებლობა იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას ამ გადაწყვეტილების ან ღონისძიების შედეგების გამო, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სასამართლიან დაკმაყოფილებას“.

121. 1982 წლის 22 სექტემბრის მიმოხილვაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 8) განმცხადებლები ჩიოდნენ „ზოგადი“ ზიანის თაობაზე მათი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვდნენ სპეციალური სამართლებრივი დანახარჯების ანაზღაურებას; პრეტენზია „სპეციალურ“ ზიანთან მიმართებაში აგრეთვე წამოყენებული იქნა ბ-ნი სილვერის, ბ-ნი მაკმაჰონისა და ბ-ნი კერნის სახელით.

122. ნერილობითი პროცედურა ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 8). მოცემულ გარემოებებში 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად; ამდენად, მიზანშეწონილია საკითხის გადადება. ამ თვალსაზრისით სასამართლო დელეგატებს გადასცემს შემდგომი პროცედურის განსაზღვრის უფლებამოსილებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ბ-ნი სილვერის 1972 წლის 20 ნოემბრის პეტიციასთან დაკავშირებულმა უარის თქმამ განაპირობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა;

2. ადგენს, რომ ბ-ნი სილვერის №7, ბ-ნი ნოის №10 და №12 და ბ-ნი კუპერის №№28-31 წერილების გარდა, თითოეული განმცხადებლის მიერ დაწერილი ან მის სახელზე მიმართული ყველა წერილის შეჩერება ან დაყოვნება წინამდებარე საქმეში წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას;

3. ადგენს, რომ არ არსებობს იმის აუცილებლობა, საქმე განხილული იქნეს მე-10 მუხლის შესაბამისად;

4. ადგენს, რომ აგრეთვე არ არსებობს იმის აუცილებლობა, განმცხადებლების საჩივრების ასპექტები განხილული იქნეს მე-13 მუხლის შესაბამისად მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტსა და მე-10 მუხლთან მიმართებაში;

5. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მე-13 მუხლის დარღვევას წინამდებარე განაჩენის 119-ე პუნქტში მითითებულ დონემდე;

6. ადგენს, რომ საკითხი 50-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ჯერ არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად;

შესაბამისად,

ა) დროებით გადააყვანოს ხსენებულ საკითხს;

ბ) პალატის პრეზიდენტს გადასცემს შემდგომი პროცედურის განსაზღვრის უფლებამოსილებას.

შესრულებულია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1983 წლის 25 მარტს. ინგლისური ტექსტი არის ავთენტური.

ხელმოწერა: ჯერარდ ვიარდა,
პრეზიდენტი

ხელმოწერა: მარკ-ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი

**ვან დროგენბროეკი
ბელგიის წინააღმდეგ**

Van Droogenbroeck v. Belgium

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ვან დროგენბრეკი ბელგიის წინააღმდეგ“
(*Van Droogenbroeck v. Belgium*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პლენარულ სხდომაზე სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად გადან-ყვეტილების მისაღებად. სასამართლო შემდეგი მოსამართლეებისაგან შედგებოდა:

ბ-ნი, უ. ვიარდა, პრეზიდენტი,
ბ-ნი, მ. ზეკია,
ბ-ნი ჯ. კრემონა,
ბ-ნი ვ. განშოფ ვან დერ მეერში,
ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი,
ბ-ნი დ. ევრიგენისი,
ბ-ნი გ. ლეგერგრენი,
ბ-ნი ლ. ლისჩი,
ბ-ნი ფ. გოლცუკლუ,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი ჯ. პინეირო ფარინა,
ბ-ნი ე. გარსია დე ენტერია,
ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი,
ბ-ნი ბ. უოლში,
სერ ვინსენტ ევანსი,
ბ-ნი ს. რუსო,
ბ-ნი რ. ბერნჰარდტი,
ბ-ნი ჯ. გერსინგი,

აგრეთვე, რეგისტრატორი – ბ-ნი მ.-ა. ეისენი და რეგისტრატორის მო-ადგილე – ბ-ნი პ. პეტცოლდი.

იმსჯელა რა განმარტოებით 1982 წლის 26-27 თებერვალსა და 24, 25 და 27 მაისს,

1982 წლის 27 მაისს სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა:

1. ვან დროგენბრეკის საქმე სასამართლოს გადასცეს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) და ბელგიის სამეფოს მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“). საქმეს საფუძვლად უდევს 1977 წლის 16 აპრილს ბელგიის მოქალაქის, ბ-ნი ვალერი ვან დროგენბრეკის მიერ ზემოხსენებული სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 25-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი განაცხადი (№ 7906/77).

2. როგორც კომისიის თხოვნა, ისე მთავრობის განაცხადი შეტანილი იქნა სასამართლოს სამდივნოში სამი თვის ვადაში, რომელიც დადგენილია 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით. თხოვნა შეტანილი იქნა 1980 წლის 18 დეკემბერს, ხოლო განცხადება – 1981 წლის 5 იანვარს. თხოვნა მიუთითებდა 44-ე და 48-ე მუხლებსა და დეკლარაციაზე, რომლითაც ბელგიის სამეფომ აღიარა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (მუხლი 46); განაცხადი მიუთითებდა 48-ე მუხლზე. მოთხოვნა მიზნად ისახავდა სასამართლოს გადაწყვეტილების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხე მთავრობის მიერ მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას; კერძოდ, სასამართლოს ეთხოვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული უფლების – პატიმრობის კანონიერების განხილვის მიზნით სასამართლო პროცესზე უფლების – მოქმედების სფეროს დაზუსტება.

3. შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატაში *ex officio* წევრების სახით შევიდნენ ბ-ნი ვ. განშოფ ვან დერ მეერში, ბელგიის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი), და ბ-ნი ფ. ვიარდა, სასამართლოს პრეზიდენტი (სასამართლოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტი). 1981 წლის 31 იანვარს პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით კენჭისყრით აირჩია დანარჩენი ხუთი წევრი, კერძოდ: ბ-ნი ჯ. კრემონა, ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი, ბ-ნი ფ. გოლცუკლუ, ბ-ნი ლ.-ე. პეტიტი და ბ-ნი უოლში (კონვენციის 43-ე მუხლი *in fine* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი). შემდგომში ბ-ნი პეტიტი ჩამოცილებული იქნა საქმის განხილვას და შეცვლილი იქნა ბ-ნი დ. ვერიგენისის, პირველი შემცვლელი მოსამართლის, მიერ (რეგლამენტის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

4. ბ-ნმა ვიარდამ დაიკავა პალატის პრეზიდენტის თანამდებობა (რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და რეგისტრატორის მეშვეობით გამოარკვია ბელგიის სამეფოს მთავრობის წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატების მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით. 3 თებერვალს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ მთავრობის წარმომადგენელს მიმო-

ხილვა 1981 წლის 15 აპრილამდე, ხოლო დელეგატებს საპასუხო მიმოხილვა რეგისტრატორის მიერ მთავრობის მიმოხილვის მიღებიდან ორი თვის ვადაში უნდა წარმოედგინათ.

მთავრობის მიმოხილვები რეგისტრატურაში 21 აპრილს იქნა მიღებული. 20 ივლისს კომისიის მდივანმა შეატყობინა რეგისტრატორს, რომ დელეგატები თავიანთ მიმოხილვას მოსმენის დროს წარმოადგენდნენ.

5. მთავრობის წარმომადგენელსა და კომისიის დელეგატებთან რეგისტრატორის მეშვეობით მოთათბირების შემდეგ 23 ივლისს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ზეპირი მოსმენა ჩატარდებოდა 1981 წლის 20 ოქტომბერს.

6. ზეპირი მოსმენა გაიმართა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 20 ოქტომბერს. გახსნამდე ცოტა ხნით ადრე სასამართლომ მოსამზადებელი შეხვედრა ჩაატარა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ბ-ნი ჯ. ნისე, იუსტიციის სამინისტროს იურიდიული მრჩეველი — წარმომადგენელი;

ბ-ნი ე. იახიანი, "avocat" — ადვოკატი;

ქ-ნი ნ. ლაუვერსი, ციხეების გენერალური დირექტორატის იურიდიული მრჩეველის მოადგილე — მრჩეველი;

კომისიის სახელით:

ბ-ნი ს. ტრეჩსელი, დელეგატი,

ბ-ნი ს. ბეუსელინკი და ბ-ნი ჯ. ვან დამი — ადვოკატები, რომლებიც ეხმარებოდნენ დელეგატებს (რეგლამენტის 29-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი, მე-2 წინადადება).

სასამართლომ მოუსმინა ბ-ნ ტრეჩსელს, ბ-ნ ბეუსელინკსა და ბ-ნ ვან დამს კომისიის სახელით და ბ-ნ იახიანს მთავრობის სახელით, აგრეთვე მათ პასუხებს სასამართლოსა და მისი ორი წევრის მიერ დასმულ კითხვებზე.

1981 წლის 21-22 ოქტომბრისა და 23 ნოემბრის განხილვების შემდეგ პალატამ, სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად, უარი განაცხადა იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ.

8 დეკემბრის წერილში მთავრობის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ იგი არ ითხოვდა შემდგომ მოსმენას. იგივე პოზიცია დააფიქსირა კომისიის დელეგატმა 15 დეკემბერს. მომდევნო დღეს სასამართლოს პრეზიდენტმა ნება მისცა მთავრობის წარმომადგენელს, რომელმაც ამის სურვილი ზემოხსენებულ წერილში გამოხატა, წარმოედგინა დამატებითი მიმოხილვა

1982 წლის 18 იანვრამდე, ხოლო დელეგატს წერილობითი პასუხი უნდა წარმოედგინა ზემოხსენებული მიმოხილვების მიღებიდან სამი კვირის ვადაში რეგისტრატორის მეშვეობით. 28 იანვარს პრეზიდენტმა გააგრძელა პირველი ვადა 10 თებერვლამდე. მთავრობის დამატებითი მიმოხილვა და დელეგატის პასუხი, რომელსაც თან ერთვოდა განმცხადებლის მიმოხილვა, სამდივნოში მიღებული იქნა შესაბამისად 10 და 25 თებერვალს.

8. 14 ოქტომბრიდან 1982 წლის 18 მარტამდე რეგისტრატორმა კომისიისა და მთავრობისაგან სხვადასხვა დღეს მიიღო მრავალი დოკუმენტი და ინფორმაცია, რომელთაგან ზოგიერთი წარდგენილი იქნა საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, ხოლო ზოგიერთი – რეგისტრატორის თხოვნების პასუხად პრეზიდენტის, პალატისა თუ სასამართლოს ინსტრუქციების შესაბამისად.

შ ა ქ ტ ა პ ი

I. საქმის კონკრეტული გარემოებები

9. განმცხადებელი არის ბელგიის მოქალაქე, დაბადებული 1940 წელს. იგი არ ეწევა რაიმე მუდმივ საქმიანობას.

1970 წლის 29 ივლისს ბრიუგეს სისხლის სამართლის სასამართლომ (*tribunal correctionnel*) შეუფარდა პატიმრობა ორი წლის ვადით ქურდობისათვის, აგრეთვე ქურდობის მცდელობისათვის ე.წ. „გამლების“ მეშვეობით. სასამართლომ აგრეთვე მიიღო ბრძანება მისი „მთავრობის განკარგულების ქვეშ“ მოთავსების თაობაზე ათი წლის ვადით, „სოციალური დაცვის შესახებ“ 1964 წლის 1 ივლისის კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 19): მან აღნიშნა, რომ ბ-ნი დროგენბრეკი იყო რეციდივისტი (სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი), რომელსაც ბრიუსელის სისხლის სამართლის სასამართლომ 1968 წლის 9 აპრილს ორი წლით მიუსაჯა პატიმრობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის და რომელმაც გამოავლინა დანაშაულის ჩადენის მუდმივი ტენდენცია.

განმცხადებელმა და *ministère public*-მა (პროკურატორის ერთ-ერთი დეპარტამენტი) სააპელაციო საჩივრებით მიმართეს გენტის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც დაამტკიცა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება 1970 წლის 20 ოქტომბერს. მან დაადგინა, რომ მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსება გამართლებული იყო იმ საფრთხის არსებობით, რომელსაც დაექვემდებარებოდა საზოგადოება და თვითონ ბ-ნი ვან დროგენბრეკი, თუ მას გაათავისუფლებდნენ სასჯელის ამონურვისას (*door het gevaar dat, na afloop van de straf die tegen hem uitgesproken wordt, de invrijheidstelling van de veroordeelde voor de maatschappij en voor hem zelf zou doen lopen*).

განმცხადებლის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული საკასაციო სასამართლოს მიერ 1971 წლის 19 იანვარს.

10. ბ-ნი ვან დროგენბრეკი ძირითადი სასჯელის ამონაწილს (1972 წლის 18 ივნისი), რომელიც მან მოიხადა წმ. ჟილის ციხეში, ბრიუსელში, ხოლო შემდგომში – მალინსის ციხეში, გათავისუფლებული იქნა პატიმრობიდან. მართალია, მალინსის ციხის ფსიქოლოგიაში სპეციალიზებული სამედიცინო მუშაკის (*médecin-anthropologue*) აზრით, მას არ გააჩნდა თვითკრიტიკისა და პასუხისმგებლობის გრძნობა (*noch auto-critiek, noch verantwoordelijkszin*), იუსტიციის მინისტრი, მოქმედებდა რა ციხის უფროსის რეკომენდაციის, აგრეთვე „გათავისუფლებული პატიმრების რეაბილიტაციის შედეგების დაგვირგად უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე“, დაეთანხმა მის საზოგადოებაში რეინტეგრაციის მცდელობას ნახევრად საპატიმრო ღონისძიების შეფარდებით 1972 წლის 1 აგვისტოდან; ამაში იგულისხმებოდა მისი შეგირდად მუშაობა ბრიუსელში ცენტრალური გათბობის დამონტაჟების საქმიანობით დაკავებულ ფირმაში და ინტენსიურ პროფესიულ სასწავლო სემინარებზე დასწრება სპეციალიზებულ დანესებულებებში პარასკევობით და კვირაობით.

11. თუმცა 1972 წლის 8 აგვისტოს განმცხადებელი გაუჩინარდა. სამი დღის შემდეგ გენტის სააპელაციო სასამართლოსადმი დაქვემდებარებული *procureur général*-ის (პროკურორის) ინსტრუქციების საფუძველზე იგი შეიტანეს ძებნილთა სიაში. ბ-ნი ვან დროგენბრეკი დაკავებული იქნა ქურდობის მცდელობისათვის 1972 წლის 3 ოქტომბერს გამომძიებელი მოსამართლის ორდერის საფუძველზე და დაპატიმრებული იქნა ფორესტის ციხეში, ბრიუსელში. 17 ნოემბერს იგი არ ცნო დამნაშავედ ბრიუსელის სისხლის სამართლის სასამართლომ, მაგრამ 27 ნოემბერს იუსტიციის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება მისი მერკსპლასის ციხეში, იმ რეციდივისტებისათვის განკუთვნილ ბლოკში გადაყვანის შესახებ, რომლებიც მთავრობის განკარგულების ქვეშ იმყოფებოდნენ (*te doen overbrengen naar de afdeling voor TBR - geïnterneerde recidivisten te Merksplas*); ეს იმის გამო მოხდა, რომ სამინისტროს ინდივიდუალურ საქმეთა დეპარტამენტმა 27 ნოემბერს გამოხატა თავისი მოსაზრება, რომ განმცხადებელმა ბოროტად გამოიყენა მისთვის მიცემული შესაძლებლობა, რომ იგი იყო სრულიად არასაიმედო და რომ მითითებული იყო პატიმრობის შემდგომი პერიოდი (*dat (hij) werkelijk misbruik heeft gemaakt van de hem geboden kans, dat hij helemaal niet is te betrouwen en dat een nieuwe interneringsperiode gewittigd is*).

რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის (რომლის წინაშეც დროგენბრეკი გამოცხადდა 1973 წლის 13 ივნისს) დადებითი დასკვნის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22) იუსტიციის მინისტრმა გადაწყვიტა 22 ივნისის მისი პირობით გათავისუფლება 25 ივლისისათვის, ვინაიდან ზემოხსენებული ფირმა მზად იყო, კვლავ აეყვანა იგი გათბობის ტექნიკური მუშაკი-ინსტრუქტორის სახით.

12. განმცხადებელი კვლავ გაუჩინარდა 1973 წლის სექტემბრის დასაწყისში. 6 ნოემბერს იგი დაკავებული და წარდგენილი იქნა ანტვერპენის სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის. 1974 წლის 16 იანვარს სასამართლომ მას მიუსაჯა პატიმრობა სამი თვით. 4 თებერვალს სასჯელის ამონურვისას იგი გათავისუფლებული იქნა, რადგანაც იუსტიციის მინისტრი დათანხმდა საზოგადოებაში მისი რეინტეგრაციის შემდგომ მცდელობას, მაგრამ მარტის ბოლოს რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა დაკარგა მისი კვალი. იგი დაპატიმრებული იქნა 1974 წლის 21 მაისს. შესაბამისად, 1975 წლის 16 იანვრამდე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის ბ-ნმა ვან დროგენბრეკმა მოიხადა რვათვიანი პატიმრობა, რაც მას ბრიუსელის სისხლის სამართლის სასამართლომ შეუფარდა 1974 წლის 9 აგვისტოს; ამის შემდეგ იგი კვლავ გადაყვანილი იქნა მერკსპლასის ციხეში პატიმრობის თაობაზე იუსტიციის მინისტრის 11 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე. მან ციხე დატოვა 1975 წლის 11 ივლისს: ორი დღით ადრე რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის რეკომენდაციის საფუძველზე იუსტიციის მინისტრი დათანხმდა მის პირობით გათავისუფლებას (*te ontslaan*), ერთი თვის ვადით განახლებადი ნებართვის ფორმით, საფრანგეთში რეაბილიტაციის გზით.

13. ამგვარად, ბ-ნი ვან დროგენბრეკი გაემგზვრა საფრანგეთში პატიმართა დახმარების კომიტეტის ერთი წევრის თანხლებით, მაგრამ სარეაბილიტაციო გეგმა პრაქტიკულად განუხორციელებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, იგი ბელგიაში დაბრუნდა. მას შემდეგ რაც უშედეგო გამოდგა მისი მცდელობა, საერთო საცხოვრებელში ეპოვნა თავშესაფარი, იძულებული გახდა, ბრიუსელში მარტო ეცხოვრა სამუშაოსა და ყოველგვარი საარსებო საშუალებების გარეშე. 1975 წლის 10 სექტემბერს ინდივიდუალურ საქმეთა დეპარტამენტმა, მიუთითა რა რეციდივიზმის საფრთხეზე, წამოაყენა წინადადება, რომ „ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული“ განმცხადებლის მერკსპლასის ციხეში დაპატიმრებისათვის; იუსტიციის მინისტრმა თანხმობა მომდევნო დღეს განაცხადა. ამის შემდეგ ბ-ნი ვან დროგენბრეკი მესამედ გაუჩინარდა; ხელისუფლებამ, მისი საქციელიდან გამომდინარე, ძებნილთა სიაში შეიტანა. ნიდერლანდებში რამდენიმე თვის მალვის შემდეგ, აგრეთვე მძიმე ფინანსური გაჭირვების გამო იგი იძულებული გახდა, ჩაბარებოდა *parquet du procureur du Roi*-ისადმი (პროკურატურა) დაქვემდებარებულ პოლიციას 1976 წლის 21 იანვარს ბრიუსელში. იგი მაშინვე იქნა მოთავსებული ფორესტის ციხეში მერკსპლასის ციხეში გადაყვანამდე. ვინაიდან მან არ ისურვა შეთავაზებული სამუშაოს შესრულება, 2 თებერვალს იგი მოთავსებული იქნა ციხის იმ კორპუსში, რომელშიც საკნები იყო განთავსებული, ნაცვლად რეციდივისტებისათვის განკუთვნილი კორპუსისა.

1976 წლის 3 მარტს განმცხადებელი თავისივე თხოვნის საფუძველზე გამოცხადდა რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის წინაშე, რომელმაც მისი საქმის თავიდან შესწავლა სექტემბერში გადაწყვიტა. 8 სექტემბრის შეკრე-

ბაზე კოლეგიამ დადგინა, რომ მას თავისი პატიმრობის პერიოდში არ გააჩნდა დანაზოგი და არც ციხის გარეთ რაიმე სამუშაოს მონახვის პერსპექტივა ჰქონია. ამდენად, უარი თქვა გათავისუფლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემაზე, სანამ იგი ციხეში მუშაობით არ დაზოგავდა 12,000 ბელგიურ ფრანკს.

23 სექტემბერს განმცხადებელი მერკსპლასის ციხიდან გადაყვანილი იქნა ლოუვეინის ციხეში.

14. 1976 წლის 12 მაისს ბ-ნმა ვან დროგენბრეკმა, 1964 წლის 1 ივლისის კანონის 26-ე მუხლზე დაყრდნობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23), გენტის სააპელაციო სასამართლოსადმი დაქვემდებარებული პროკურორის წინაშე შეიტანა შუამდგომლობა, რათა გათავისუფლებულიყო იმ გადაწყვეტილების შედეგებისაგან, რომელიც ითვალისწინებდა მის მოთავსებას მთავრობის განკარგულების ქვეშ. 13 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა: უარყო რა არგუმენტები, რომლებიც ეფუძნებოდა მე-4 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებს, მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებს, სასამართლომ დაადგინა, რომ გათავისუფლების თითოეულ შემთხვევაში განმცხადებელი ავლენდა ახალი დანაშაულის ჩადენის მიდრეკილებას; აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ იგი კვლავ საფრთხეს უქადდა საზოგადოებრივ ინტერესებს (*zodat hij asociaal blijft*). 1977 წლის 15 თებერვალს მისი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო საკასაციო სასამართლომ იმ საფუძველზე, რომ მას უკვე აღარ შეეძლო ამ სასამართლოში გადაწყვეტილების ნამდვილობის გასაჩივრება, ვინაიდან იგი საბოლოო გახდა 1971 წლის 19 იანვარს.

15. 1977 წლის 13 მარტს განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი ლოუვენის *procureur du Roi*-ის წინაშე თვითნებური პატიმრობისა და, ალტერნატიულად, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ (*abus de pouvoir*). ბ-ნმა ვან დროგენბრეკმა მიუთითა, რომ 28 თებერვლიდან ნაშთი მის ანგარიშზე აღემატებოდა 12,000 ბელგიურ ფრანკს; გარდა ამისა, მისივე მტკიცებით, რეციდივისტთა საქმეების კოლეგია, რომელსაც არ ითვალისწინებდა 1964 წლის 1 ივლისის კანონი, იყო „უკანონო“. ამავდროულად, ბრალი დასდო მინისტრს იმაში, რომ მისი სასჯელი „იძულებით შრომად“ გადააქცია. 1977 წლის 19 აგვისტოს საჩივარი არ იქნა განხილული იმ მოტივით, რომ მასში არ იყო ჩამოყალიბებული მოთხოვნა საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ.

16. 1977 წლის 4 მაისს ბ-ნი ვან დროგენბრეკი კვლავ გამოცხადდა ზემოხსენებული კოლეგიის წინაშე. კოლეგიამ, აღნიშნა რა, რომ მას იმ დროისათვის დაზოგილი ჰქონდა 12,868 ბელგიური ფრანკი და რომ საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა პატიმრობაში (*lang genoeg*), „დიდი ენთუზიაზმის გარეშე“ (*zonder veel enthousiasme*) მიიღო რეკომენდაცია მისი გათავისუფლების (*te ontslaan*) თაობაზე. აქედან გამომდინარე, 1977 წლის 1 ივნისს იუსტიციის მინისტრმა მისცა მას განახლებადი ნებართვა ერთი თვის ვადით. მა-

ნამდე იგი ორი თვით ექვემდებარებოდა ნახევრად საპატიმრო ღონისძიებას, რომლის დროსაც ღამე წმ. ჟილის ციხეში (ბრიუსელში) უნდა გაეტარებინა, ხოლო დღის განმავლობაში ციხის გარეთ უნდა ემუშავა. მაგრამ ბ-ნი ვან დროგენბრეკი გარეთ გასვლის პირველსავე დღეს გაუჩინარდა. შესაბამისად, მაშინვე იქნა შეტანილი ძებნილთა სიაში მერკსპლასის ციხის რეციდივისტთა ბლოკში დაბრუნების მიზნით.

17. 1977 წლის 22 სექტემბერს ბ-ნი ვან დროგენბრეკი ადგილზე იქნა დაჭერილი და დაკავებული ბრიუგეში ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით. 9 დეკემბერს ბრიუგეს სისხლის სამართლის სასამართლომ მას სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა. 21 დეკემბერს, სასჯელის მოხდისას, იგი დაბრუნებული იქნა მერკსპლასში. 19 დეკემბერს იუსტიციის სამინისტრომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაბრუნება პატიმრობაში არ საჭიროებდა მინისტრის ახალ გადაწყვეტილებას, რამდენადაც იგი პატიმრობიდან გაიქცა 1977 წლის 8 ივნისს (*aangezien betrokkene zich op 8. 6. 77 heeft onttrokken aan zijn internering. is geen ministeriële beslissing nodig om hem opnieuw te interneren*).

რეციდივისტთა საქმეების კოლეგიამ საქმე თავიდან განიხილა 1978 წლის 3 მაისს, თუმცა საკითხი სექტემბრამდე გადაიდო. 13 სექტემბერს კოლეგიამ მიუთითა, რომ ბ-ნმა ვან დროგენბრეკმა მუშაობაზე სისტემატურად უარის თქმით მხოლოდ 2,437 ბელგიური ფრანკის დაზოგვა მოახერხა. ამდენად, კოლეგიამ წამოაყენა წინადადება, რომ არ მისცემოდა განახლებადი ნებართვა 12,000 ბელგიური ფრანკის შეგროვებამდე. 3 ოქტომბერს მინისტრმა მიიღო ინსტრუქციები ამ მიზნით; მან აგრეთვე მიუთითა, რომ განმცხადებლის გათავისუფლება უნდა დაქვემდებარებოდა მთელ რიგ პირობებს, რომლებიც მსგავსი იყო მინისტრის მიერ ჩამოყალიბებული ადრინდელი პირობებისა, სახელდობრ: იგი უნდა გადაეცათ ბრიუსელის სოციალური რეაბილიტაციის სამსახურის „ზედამხედველობის“ ქვეშ, რეგულარულად უნდა ემუშავა, არ უნდა შეეცვალა დამქირავებელი ან მისამართი ზემოხსენებული სამსახურის თანხმობის გარეშე, თავი უნდა შეეკავებინა ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარებისაგან, აგრეთვე არ უნდა დაემყარებინა ურთიერთობა ყოფილ დამნაშავეებთან. ამ გადაწყვეტილების განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბ-ნმა ვან დროგენბრეკმა არ შეასრულა არც ერთი ზემოხსენებული პირობა. 1979 წლის 14 მარტს იგი კიდევ ერთხელ გამოცხადდა რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის წინაშე, რომელმაც დაამტკიცა 1978 წლის 13 სექტემბრის რეკომენდაცია.

18. 1979 წლის 16 სექტემბერს განმცხადებელმა გენტის სააპელაციო სასამართლოსადმი დაქვემდებარებული *procureur général*-ის წინაშე შეიტანა მეორე შუამდგომლობა, 1964 წლის 1 ივლისის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23). ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა 1980 წლის 18 მარტს, *ministère public*-ის მხრიდან საწინააღმდეგო განცხადებების განხილვის შემდეგ. მართალია, სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ისევე, როგორც 1976 წელს, კონვენციაზე და-

ფუძნებული არგუმენტები, მან დაადგინა, რომ სახეზე იყო ბ-ნი ვან დრო-გენბრეკის გათავისუფლების საფუძვლები იმ გადანყვეტილების შედეგებზე, რომლის თანახმადაც იგი იმყოფებოდა მთავრობის განკარგულების ქვეშ. იგი გათავისუფლებული იქნა იმავე დღეს, მაგრამ მალე კვლავ აღიკვეთა თავისუფლება: ბრიუსელის სისხლის სამართლისა და გენტიის სააპელაციო სასამართლოებმა 1980 წლის 10 სექტემბერსა და 1981 წლის 3 ივნისს შესაბამისად მიუსაჯეს ერთ თვით და ერთი წლით პატიმრობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის. ამ სასამართლოებს მასთან დაკავშირებით არ გამოუყენებიათ „სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი.

II. შესაბამისი კანონმდებლობა

ა. რეციდივისტთა და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევთა მოთავსება მთავრობის განკარგულების ქვეშ

19. რეციდივისტთა და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევთა მოთავსება მთავრობის განკარგულების ქვეშ შეიცვალა პოლიციის სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ მოთავსებით, რაც გათვალისწინებული იქნა 1967 წლის 8 ივნისის სისხლის სამართლის კოდექსით; იგი შეტანილი იქნა „სოციალური დაცვის შესახებ“ 1930 წლის 9 აპრილის კანონის 24-28-ე მუხლებში და დღეს რეგულირდება გონებრივად არასრულფასოვან და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევებთან მიმართებაში „სოციალური დაცვის შესახებ“ 1964 წლის 1 ივლისის კანონის 22-26-ე მუხლებით (თავი VII) („1964 წლის კანონი“).

ბელგიის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსება კლასიფიცირებულია როგორც სასჯელი და არა უსაფრთხოების ზომა; ამას სხვადასხვა შედეგი მოჰყვება კანონმდებლობაში (საკასაციო სასამართლო, 1978 წლის 4 აპრილი, *Pasicrisie* 1978, I, გვ. 858-862; 1975 წლის 17 ივნისი, *ibid.* 1975, I, გვ. 998-999; 1933 წლის 11 დეკემბერი, *ibid.* 1934, I, გვ. 96). 1964 წლის კანონის 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსება ემატება ძირითად სასჯელს, რომელიც ითვალისწინებს იმავე დროს თავისუფლების აღკვეთას, ქმედითი ხდება სასჯელის ამონურვისას და გამოიყენება კანონით დადგენილი ვადით, კერძოდ, ოცი წლით, ათი წლით ან ხუთიდან ათ წლამდე, საქმის ხასიათიდან გამომდინარე.

პირი, რომელმაც განმეორებით ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი სამართალდარღვევა (დანაშაული), მოთავსებული უნდა იქნეს მთავრობის განკარგულების ქვეშ (მუხლი 22), თუმცა, ზოგიერთ შემთხვე-

ვაში, მსგავსად წინამდებარე საქმისა, ეს არის სასამართლოს დისკრეციის საკითხი (მუხლი 23): ეს უკანასკნელი წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც მსუბუქ სამართალდარღვევას (*délit*) მოჰყვება მძიმე ან მსუბუქი სამართალდარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლები), როდესაც მძიმე სამართალდარღვევას მოჰყვება მსუბუქი სამართალდარღვევა, აგრეთვე გამოიყენება ნებისმიერი იმ „პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა რა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში სულ მცირე სამი ისეთი სამართალდარღვევა, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას მსუბუქი სამართალდარღვევისათვის (*emprisonnement correctionnel*) სულ მცირე ექვსი თვით, ამკარად ავლენს დანაშაულის ჩადენის მუდმივ ტენდენციას“. ამ უკანასკნელ შემთხვევებში „სასამართლო პროცესის თავისებურებები სამართალდარღვევებთან მიმართებაში, რომლებიც განაპირობს პირის რეციდივისტად კლასიფიცირებას, მოცემული უნდა იყოს მიმდინარე საბრალდებო მასალებში“ და შესაბამისმა სასამართლომ „უნდა ჩამოაყალიბოს „სპეციფიკური და ზუსტი“ საფუძვლები სასჯელის შეფარდებისათვის (მუხლი 24, საკასაციო სასამართლო, 1962 წლის 3 იანვარი, *Pasicrisie* 1962, I, გვ. 525-526).

20. თუ რეციდივისტს კვლავ შეეფარდა პატიმრობა, ნებისმიერი წინა ბრძანების შესრულება, რომლის თანახმადაც იგი მოთავსებულია მთავრობის განკარგულების ქვეშ, უნდა გადაიდოს სასჯელის მოხდამდე. სწორედ ამგვარი შედეგი მოჰყვა წინამდებარე საქმეში 1974 წლის 16 იანვრის, 1974 წლის 9 აგვისტოსა და 1977 წლის 9 დეკემბრის განაჩენებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 12 და 17). ახალი პატიმრობის შეფარდებას შეიძლება თან სდევდეს შემდეგი ბრძანება პირის მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსების თაობაზე, ეს უკანასკნელი მოხდილი უნდა იქნეს პირველი ბრძანების ამონურვის შემდეგ, მაგრამ ბ-ნ ვან დროგენბრეკთან მიმართებაში ეს წესი არ იქნა დაცული ანტვერპენის, ბრიუსელისა და ბრიუგეს სისხლის სამართლისა თუ გენტის სააპელაციო სასამართლოების მიერ 1974, 1977, 1980 და 1981 წლებში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 12, 17 და 18).

21. საკასაციო სასამართლოს თანახმად, სასჯელი – მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსება, რაც შეიძლება დაექვემდებაროს სრულ აპელაციას ან გასაჩივრებას საკასაციო სასამართლოში სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში – და ძირითადი სასჯელი წარმოადგენს „განუყოფელ მთლიანობას“. ამავდროულად, პირველი სასჯელი, ისევე, როგორც უკანასკნელი, წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას (1978 წლის 4 აპრილი, *Pasicrisie* 1978, I, გვ. 858-862; 1975 წლის 17 ივნისი, *ibid.* 1975, I, გვ. 998-999; 1962 წლის 3 იანვარი, *ibid.* 1962, I, გვ. 525-526; 1955 წლის 22 ივლისი, *ibid.* 1955, I, გვ. 1270-1271, 1939 წლის 19 სექტემბერი, *ibid.* 1939, I, გვ. 384; 1933 წლის 11 დეკემბერი, *ibid.* 1934, I, გვ. 96). 1964 წლის კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, „რეციდივისტებმა და გამოუსწორებელმა სამართალდამრღვევებმა, რომლებიც მოთავსებულნი არიან მთავრობის განკარგუ-

ლების ქვეშ, პატიმრობა, თუ აუცილებელია, უნდა მოიხადონ დანესებულე-ბაში, რომელსაც ითვალისწინებს სამეფო დეკრეტი. წინამდებარე საქმეში ამგვარ დანესებულებას წარმოადგენდა მერკსპლასი. იგი განკუთვნილი იყო მამაკაცებისათვის, რომელთაც არ აღენიშნებოდათ სულიერი დაავა-დება (1952 წლის 8 თებერვლის სამეფო დეკრეტი).

როგორც მიუთითებს ფრაზა „თუ აუცილებელია“, კანონი მთავრობას, მოცემულ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრს, აძლევს ფართო დისკრეცი-ას იმის გადაწყვეტისას, თუ როგორ უნდა იქნეს აღსრულებული სასჯელი: პატიმრობით, ნახევრად საპატიმრო ღონისძიების შეფარდებით თუ გათა-ვისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ან პირობით. მინისტრს შეუძლია, პირობით გაათავისუფლოს შესაბამისი პირი ძირითადი სასჯელის ამონურ-ვისას, რომლის შეუსრულებლობის გამო იგი კვლავ იქნება დაპატიმრებუ-ლი, ან უშუალოდ პატიმრობის მოხდის დროს; მინისტრს აგრეთვე შეუძ-ლია, მოგვიანებით გააუქმოს პირობით გათავისუფლება.

იუსტიციის მინისტრი ნაწილობრივ იღებს სხვადასხვა გადაწყვეტი-ლებას მინისტრის დეკრეტებით გათვალისწინებული პროცედურის შესა-ბამისად. პირობით გათავისუფლება, როგორც წესი, ხორციელდება:

- ძირითადი სასჯელის მოხდისას „ფსიქოლოგიაში სპეციალიზებუ-ლი სამედიცინო მუშაკისა“ და იმ დანესებულების უფროსის მოხ-სენების საფუძველზე, რომელშიც მოთავსებულია მსჯავრდებუ-ლი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 10);
- პატიმრობის დროს რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის რეკო-მენდაციის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11, 12, 16 და 22).

გადაწყვეტილებას პირობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11, 12, 13 და 17) გათავისუფლების გაუქმების შესახებ ჩვეულებრივ იღებს მინისტრი შესაბამისი პირის „ზედამხედველობაზე“ პასუხისმგებელი მოხე-ლის მოხსენების ან იმ რაიონის სააპელაციო სასამართლოსადმი დაქვემ-დებარებული *procureur général*-ის რეკომენდაციის საფუძველზე, სადაც ხორციელდება მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსება. ეს მოხსენე-ბები და რეკომენდაციები ეხება იმას, თუ როგორ იცავს შესაბამისი პირი დაკისრებულ პირობებს, აგრეთვე მის საარსებო საშუალებებს, სამუშაოს, საქციელსა და მისი მხრიდან რეციდივიზმის საფრთხეს. თუ იგი იხდის შემ-დგომ პატიმრობას, გაუქმება, ჩვეულებრივ, ეფუძნება „ფსიქოლოგიაში სპეციალიზებული სამედიცინო მუშაკის“ და დანესებულების უფროსის მოხსენებებს; ეს მოხსენებები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სამართალ-დარღვევის (რის გამოც შეეფარდა სასჯელი) ხასიათის, სამართალდამ-რღვევის სისხლისსამართლებრივი ისტორიის, მისი პიროვნების, ზნეობის, ოჯახისა და საქმიანობის, აგრეთვე სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

22. კოლეგია იმ რეციდივისტთა საქმეებზე, რომლებიც იმყოფებიან მთავრობის განკარგულების ქვეშ და არიან პატიმრობაში (რეციდივისტთა საქმეების კოლეგია), დაფუძნებული იქნა მინისტრის 1946 წლის 12 მარტის დეკრეტით, რომელშიც ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი შესაბამისად 1949 წლის 20 მაისსა და 1968 წლის 11 მარტს. კოლეგია შედგება მოსამართლის ან გადამდგარი მოსამართლისაგან, რომელიც, ამავდროულად, არის თავმჯდომარე, ციხის ფსიქოლოგიური სამსახურის სამედიცინო დირექტორის ან გადამდგარი სამედიცინო დირექტორისაგან (*Service d'anthropologie*), აგრეთვე ციხის სოციალური სამსახურის უფროსი მოხელისაგან. კოლეგიის სხდომებს ესწრება ოუსტიციის მინისტრის წარმომადგენელი. პატიმართა დახმარების კომიტეტს ან სოციალური რეაბილიტაციის სამსახურებს შეიძლება ეთხოვოთ, წარგზავნონ წარმომადგენელი სიტყვით გამოსვლისა და ხმის მიცემის უფლებამოსილებით (1949 წლის 20 მაისის დეკრეტი) სხდომებზე, რომლებზეც კოლეგია განიხილავს იმ პატიმართა მდგომარეობას, რომლებიც იმყოფებიან ან მომავალში იქნებიან მოთავსებული მათი ზედამხედველობის ქვეშ.

კოლეგიას სულ მცირე ორ თვეში ერთხელ ინვეეს თავმჯდომარე. ოუსტიციის მინისტრს უნდა მიენოდოს დასკვნა, რომელსაც არა აქვს სავალდებულო ხასიათი, „პატიმრობაში მყოფი რეციდივისტებისა და გამოუსწორებელი სამართალდამრღვევების გათავისუფლებისა ... და იმ პირობების შესახებ“, რომლებიც თან ერთვის მათ გათავისუფლებას.

სამართალდამრღვევებს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი კოლეგიის წინაშე გამოცხადების თაობაზე მათი პატიმრობის პირველი ექვსი თვის ამონაურვამდე, თუ სხდომა დაიწყო მათ მიერ ძირითადი სასჯელის მოხდისთანავე, ან პირველი სხდომის დროს, რომელიც ტარდება მათი ხელახალი დაპატიმრების შემდეგ იმ შემთხვევებში, როდესაც მინისტრმა გააუქმა გადანყვეტილება პირობით გათავისუფლების შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 13). სამართალდამრღვევებს კვლავ მოუსმენენ სხდომაზე მათი პატიმრობის პირველი ექვსი თვის ამონაურვამდე, თუ პატიმრობა ექვსთვიანია და დანიშნულია რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11, 12, 13, 16 და 17).

თუმცა ტექსტებში არაფერია ნათქვამი ამ საკითხთან დაკავშირებით, პატიმარი მოსმენილი უნდა იქნეს ადვოკატის დახმარებისა და ციხის იმ მასალების შესწავლის შესაძლებლობის გარეშე, რომლებიც შეიცავს, *inter alia*, სოციალური გამოკითხვის შედეგებს. კოლეგიის მდივანი დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის პირს განხილვების ბოლოს მიღებულ დასკვნას. თუ დასკვნა დადებითია, საკითხი გადაეცემა მინისტრს გადანყვეტილების გამოსატანად. მინისტრს ასევე შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს დირექტივები გათავისუფლებასთან დაკავშირებით კოლეგიასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.

დანესებულების უფროსებმა შესაბამის პირებს უნდა აცნობონ მინისტრის გადანყვეტილებები მათი გათავისუფლების თაობაზე. ამგვარი გა-

დანყვეტილებები ექვემდებარება იმ პირობებს, რომლებიც აღინიშნება ნიგნში და ყოველთვის უნდა შეიცავდეს, გათავისუფლებული პირის ზედამხედველობის (რომელსაც ახორციელებენ სოციალური რეაბილიტაციისა თუ ციხის სოციალური სამსახურები) ქვეშ წარდგენის ვალდებულებას.

23. 1964 წლის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, პირს, რომელიც იმყოფება მთავრობის განკარგულების ქვეშ, 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად შეუძლია მიმართოს რაიონის სააპელაციო სასამართლოსადმი დაქვემდებარებულ *procureur général*-ს „გადანყვეტილების შედეგებიდან გათავისუფლების“ შესახებ. თუ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინამდებარე საქმეში, სამართალდამრღვევი იმყოფება მთავრობის განკარგულების ქვეშ არაუმეტეს ათი წლის ვადით, ამგვარი განაცხადი „შეიძლება გაკეთდეს [ძირითადი] სასჯელის დამთავრებისას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14) და, შესაბამისად, „სამ ნელში ერთხელ“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 18); ეს პერიოდები იზრდება ხუთ წლამდე „სხვა შემთხვევებში“. *Procureur général*-მა უნდა ჩაატაროს ამგვარი გამოძიება, როგორც მას მიაჩნია მართლზომიერად, დაურთოს შედეგები საქმის მასალებს და წარადგინოს მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში; ამ უკანასკნელს გამოაქვს დასაბუთებული განაჩენი მას შემდეგ, რაც მოუსმენს შესაბამის პირს, რომელიც უნდა სარგებლობდეს ადვოკატის დახმარებით“.

24. 1930 წლისა და 1964 წლის კანონების გატარების შემდეგ პრაქტიკა წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა. თავდაპირველად სამართალდამრღვევებს არ ათავისუფლებდნენ პატიმრობის ვადის (რომელიც განსხვავდებოდა კატეგორიების მიხედვით) დამთავრებამდე. მეორე მხრივ, ახლა უკვე, როდესაც სასჯელი პირველად შეეფარდება პირს, რომელიც არ არის საზოგადოებისათვის ძალიან საშიში, ხელისუფლება, ზოგადი წესის თანახმად, გაათავისუფლებს პროცესის დროს ძირითადი სასჯელის მოხდის შემდეგ, მაგრამ ხელახლა აიყვანს პატიმრობაში, თუ იგი ჩაიდენს სხვა სამართალდარღვევას ან არ შეასრულებს რომელიმე დანესებულ პირობას, ამავდროულად, არ გააჩნია სამუშაო და საარსებო საშუალებები. გარდა ამისა, ხანგრძლივი პატიმრობა ახლა უკვე გამოწვევას წარმოადგენს: როგორც მთავრობა ამტკიცებს, სამართალდამრღვევი პირობით იქნება გათავისუფლებული – თუ სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებას – როგორც კი შეიქმნება რეაბილიტაციის რეალური შესაძლებლობა.

25. ციხის ზოგადი წესების 62-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად (1965 წლის 21 მაისის სამეფო დეკრეტი), 95-ე მუხლის გათვალისწინებით, პირებს, რომლებიც იხდიან სასჯელს მსუბუქი სამართალდარღვევისათვის (*peine correctionnelle*) და იმყოფებიან პატიმრობაში 1964 წლის კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ისევე, როგორც ბ-ნი ვან დროგენბრეკი, შეიძლება მოეთხოვოთ ციხის სამუშაოს შესრულება.

ბ. დაცვის საშუალებათა არსებობა თავისუფლების შესაძლო უკანონო აღკვეთასთან მიმართებაში

26. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს ხელი მიუწვდებოდა დაცვის რამდენიმე საშუალებაზე:

- (i) თვითნებური პატიმრობის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა ან გამონწვევა;
- (ii) *ministère public*-თან არსებული დავის გადაცემა გენტიის სააპელაციო სასამართლოსათვის 1970 წლის 20 ოქტომბრის განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით;
- (iii) სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვა შეფარდებული ზომის შედეგებიდან გათავისუფლების თაობაზე;
- (iv) პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარისათვის, როგორც *juge des référés*-ისათვის (მოსამართლე, რომელიც განიხილავს გადაუდებელ განაცხადებს), მიმართვა;
- (v) სამართალწარმოების აღძვრა უშუალოდ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მე-3 საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს წინამდებარე განაჩენის მე-14, მე-18 და 23-ე პუნქტებზე, ხოლო მე-5 საკითხთან დაკავშირებით – 55-ე პუნქტზე.

27. რაც შეეხება პირველ საკითხს, ნებისმიერი პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ მას უკანონოდ აღეკვეთა თავისუფლება კერძო პირისა თუ საჯარო მოხელის მიერ, ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია, შეიტანოს საჩივარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად ან მის გარეშე (*constitution de partie civile*), ანდა აღძვას სამართალწარმოება უშუალოდ სისხლის სამართლის სასამართლოში შუამდგომლობით (სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე და 434-436-ე მუხლები; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე, 182-ე და 609-ე მუხლები; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15).

28. რაც შეეხება მეორე საკითხს, გენტიის სააპელაციო სასამართლომ 1897 და 1914 წლებში დაადგინა, რომ *ministère public*-სა და მსჯავრდებულ პირს შორის არსებული დავა სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით შეიძლება გადასცემოდა იმ სასამართლოს, რომელმაც შეუფარდა იგი, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი გადანყვეტილებებია, რომლებიც არ ყოფილა დადასტურებული სხვა განაჩენებით.

29. ზემოხსენებულ მეოთხე საშუალებასთან დაკავშირებით სასამართლო შემოიფარგლება იმის აღნიშვნით, რომ, სამართალწარმოების შესახებ კანონთა კოდექსის 584-ე და 1039-ე მუხლების შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს, როგორც *juge des référés*-ს, გა-

მოაქვს დადგენილება – „დროებით“ საფუძველზე, თუ საკითხი გადაუდებელია, და „არსებითად განხილვის“ ხელყოფის გარეშე – თუ ამას ითხოვს პირი, რომელიც აცხადებს, რომ არის, მაგალითად, მსხვერპლი ადმინისტრაციული ქმედებისა, რომელიც წარმოადგენს *voie de fait*-ს (უკანონობის გამოვლინება). ეს საშუალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს „ყველა საქმესთან მიმართებაში, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონის საფუძველზე გამოირიცხება სასამართლოების კომპეტენციიდან“. ამ თვალსაზრისით მთავრობის მიერ ციტირებული პრეცედენტული სამართალი განხილულია წინამდებარე განაჩენის 54-ე პუნქტში.

საქმის წარმოება კომისიაში

30. 1974 წლის 2 იანვარს ბ-ნმა ვან დროგენბრეკმა შეიტანა პირველი განაცხადი (№6989/75), რომელიც 1976 წლის 5 მარტს კომისიამ გამოაცხადა დაუშვებლად იმ თვალსაზრისით, რომ არ იყო ამონაწერი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები. 1977 წლის 16 აპრილით დათარიღებულ მეორე განაცხადში (№7906/77) ბ-ნი ვან დროგენბრეკი ამტკიცებდა, რომ იგი იმყოფებოდა ყმობაში და ამუშავებდნენ იძულებით, კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დარღვევით. იგი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ თავისუფლების აღკვეთა, რომელიც, მისი თქმით, შეუფარდა იუსტიციის მინისტრმა და არა სასამართლომ, ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს და რომ მას არ ჰქონდა უფლება სასამართლო პროცესზე პატიმრობის სხვადასხვა პერიოდის კანონიერების განხილვის მიზნით, როგორც ამას მოითხოვს იმავე მუხლის მე-4 პუნქტი. და ბოლოს, იგი ჩიოდა მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევაზე, ამტკიცებდა რა, რომ ორ შემთხვევაში დაექვემდებარა დისციპლინარულ სანქციებს რეციდივისტთა საქმეების კოლეგიის რეკომენდაციების შეუსრულებლობისათვის.

31. 1979 წლის 5 ივლისს კომისიამ არ დააკმაყოფილა უკანასკნელი საჩივარი დაუსაბუთებლობის საფუძველზე (კონვენციის 27-ე მუხლის პუნქტი 2), ხოლო განაცხადის დანარჩენი ნაწილი დაშვებულად გამოაცხადა.

1980 წლის 9 ივლისის მოხსენებაში (კონვენციის 31-ე მუხლი) კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას (ერთხმად), მაგრამ არა 1-ლი პუნქტის (ათი ხმით ორის წინააღმდეგ) ან მე-4 მუხლის დარღვევას (ერთხმად).

მოხსენებას თან ერთვის ერთი განსხვავებული აზრი.

მთავრობის მიერ კომისიისთვის წარდგენილი არგუმენტაცია

32. მთავრობა 1981 წლის აპრილის მიმოხილვასა და 1982 წლის თებერვლის დამატებითი მიმოხილვაში

„სასამართლოს სთხოვდა, დაედგინა, რომ განმცხადებლის საქმეში ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის რომელიმე დებულების დარღვევას.“

სამართალი

I. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

33. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არაეის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

(ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ პირის კანონიერი დაპატიმრება;

...“

(ბ)-(ვ) ქვეპუნქტები ამკარად არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; გარდა ამისა, მთავრობას არ მიუთითებია რომელიმე მათგანზე.

34. რაც შეეხება მენ მუხლის 1-ლ (ა) პუნქტს, სადავო არ არის „სასამართლოს“, კერძოდ, გენტის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც მიიღო ბრძანება სასჯელის შეფარდების შესახებ, „კომპეტენცია“ 1970 წლის 20 ოქტომბრის განაჩენის თვალსაზრისით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 9).

იგივე ითქმის იმ საკითხთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა ადგილი თავისუფლების აღკვეთას. ამ თვალსაზრისით უნდა გავიხსენოთ, რომ ბელგიის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, რეციდივისტა და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევთა მოთავსება მთავრობის განკარგულების ქვეშ კლასიფიცირებულია სასჯელად, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას; ეს ამგვარადაა იმ ფორმის მიუხედავად, რომლითაც ხორციელდება ბრძანების განხორციელება მოცემულ საქმეზე ან მოცემულ დროს, იქნება ეს პატიმრობა, ნახევრად საპატიმრო ღონისძიების შეფარდება თუ თავისუფლება ზედამხედველობის ქვეშ ან პირობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 19 და 21 – საკასაციო სასამართლო, 1978 წლის 4 აპრილი, *Pasicrisie* 1978, I, გვ. 861). თუმცა სასამართლო მხედველობაში იღებს მხოლოდ პირველ ფორმას, რადგან სწორედ ამას ასაჩივრებს ბ-ნი ვან დროგენბრეკი. კომისიის დელეგატების მიერ 1981 წლის 20 ოქტომბრის მოსმენაზე წარმოდგენილი მონაცემების თვალსაზრისით სასამართლო განიხილავს პატიმრობის პერიოდებს, რომლებიც აღნიშნულია ბ-ნი ვან დროგენბრეკის №7906/77 განაცხადში (იხ. წინამდებარე განაჩენის

პუნქტი 30), კერძოდ, 1976 წლის 21 იანვრიდან 1977 წლის 1 ივნისამდე და 1977 წლის 21 დეკემბრიდან 1980 წლის 18 მარტამდე პერიოდებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 13-18).

35. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ჰქონდა თუ არა ადგილი პატიმრობის ზემოხსენებულ პერიოდებს გენტის სააპელაციო სასამართლოს მიერ „მსჯავრდების შემდეგ“.

ფრანგული ტექსტის გათვალისწინებით, სიტყვა „მსჯავრდება“ მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის მიზნებისათვის გაგებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ გულისხმობდეს როგორც „ბრალის დადგენას“ მას შემდეგ, რაც „კანონით გათვალისწინებული წესით იქნება დადგენილი, რომ ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას“ (იხ. *Guzzardi*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1980 წლის 6 ნოემბრის განაჩენი, სერია A №39, გვ. 37, პუნქტი 100), ისე სასჯელის ან სხვა ღონისძიების შეფარდებას, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. წინამდებარე საქმეში ეს პირობები დაკმაყოფილებულია.

სიტყვა „შემდეგ“ არ ნიშნავს უბრალოდ იმას, რომ „პატიმრობა“ უნდა მოჰყვებოდეს „მსჯავრდებას“ დროის თვალსაზრისით: „პატიმრობა“ უნდა იყოს „მსჯავრდების შემდეგ, მოსდევდეს მას, დამოკიდებული იყოს მსჯავრდებაზე ან განხორციელდეს მის საფუძველზე“ (იხ. საქმე *X v. the United Kingdom*, 1981 წლის 5 ნოემბერი, სერია A №46, გვ. 17, პუნქტი 39; *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 8 ივნისი, სერია A №22, გვ. 27, პუნქტი 68).

36. განმცხადებლის მტკიცებით, გასაჩივრებული თავისუფლების აღკვეთა ეფუძნებოდა არა „კომპუტენტური სასამართლოს“ მიერ მსჯავრდებას, არამედ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებებს.

მეორე მხრივ, მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ პატიმრობა განხორციელდა „კანონის მოქმედებით“, რაც მოჰყვა სასამართლოს გადაწყვეტილებას მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსების თაობაზე და წარმოადგენდა ამგვარი გადაწყვეტილების „განხორციელების ძირითად მეთოდს“: მხოლოდ გათავისუფლება მოითხოვდა „მინისტრის გადაწყვეტილებას“. „ფუნქცია, რომელიც მიენიჭა მინისტრს ... 1964 წლის 1 ივლისის კანონით“, შეზღუდული იყო „იმ სასჯელების აღსრულების მოდალურობის განსაზღვრით, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას“, მაგალითად, „პატიმრობის“, რომელიც ითვალისწინებს ამგვარ სასჯელს, „გადადებით“ ... ან გადაწყვეტილების გაუქმებით პირობით გათავისუფლების მიზნით“ იმ პირობების საფუძველზე, რომლებსაც თვითონ განსაზღვრავს. შესაბამისად, მთავრობის მტკიცებით, „მინისტრი რომ არ იღებს გადაწყვეტილებას გათავისუფლების თაობაზე, არ ნიშნავს იმას, რომ მას გამოაქვს გადაწყვეტილება დაპატიმრებაზე“.

37. ეს სადავო საკითხი ბელგიის კანონმდებლობაში. მთავრობა არგუმენტებს უმეტესად აფუძნებდა ნაწყვეტზე 1964 წლის კანონის წინამორბედი

1930 წლის 9 აპრილის კანონპროექტიდან („მთავრობის განკარგულების ქვეშ ყოფნა წარმოადგენს პატიმრობას სამეფო დეკრეტით გათვალისწინებულ დანესებულებებში“, *Pasinomie* 1930, გვ. 88, სექტი 2), მაგრამ, გარდა ამისა, არსებობს სხვა ნაწყვეტებიც განსხვავებული შედეგით („მთავრობის განკარგულების ქვეშ ყოფნა არ არის დამოკიდებული პატიმრობაზე, რომელიც შეიძლება მოსდევდეს მას“: *Chambre des représentants*, 1927-1928 წწ. სესია, დოკუმენტი № 11). კომისიის დელეგატმა აღნიშნა, რომ არგუმენტი არ შეესაბამებოდა 1964 წლის კანონის 25-ე მუხლის შინაარსს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 21: „თუ აუცილებელია“), აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს ბოლოდროინდელ ადმინისტრაციულ პრაქტიკას, ვინაიდან რეციდივისტებისა და გამოუსწორებელი სამართალდამრღვევების დაახლოებით ორი მესამედი, რომელიც იმყოფება მთავრობის განკარგულების ქვეშ, თავისუფალი რჩება (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 24, კომისიის მოხსენების პუნქტი 16 და 1981 წლის 20 ოქტომბრის მოსმენის სტენოგრაფიული ჩანაწერი).

მაშინაც კი, როდესაც სამართალდამრღვევი არ იქნება გათავისუფლებული თავდაპირველი სასჯელის მოხდის შემდეგ – რასაც არ ჰქონია ადგილი წინამდებარე საქმეში და რაც დღეისათვის წარმოადგენს გამოაკლისს – მისი პატიმრობაში დატოვება მინისტრის ინსტრუქციების შედეგი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი პოზიცია გამომდინარეობს 1930 წლის 20 დეკემბრის ცირკულარიდან, რომელიც წარმოადგინა მთავრობამ („მსჯავრებულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან მთავრობის განკარგულების ქვეშ, სასჯელის ამონურვის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა უნდა აცნობოს, რომ შეიძლება განხილული იქნეს მათი პატიმრობის საკითხი“), და ფაქტებიდან, რომლებიც მოყვანილია კომისიის გადანწყვეტილებებში (1975 წლის 1 ოქტომბერი, განაცხადი №66971/74, *R. V. v. Belgium*. ეს საქმე და ბ-ნი ვან დროგენბრეკის პირველი განაცხადი (№6989/75) შემდგომში გაერთიანებული იქნა). გარდა ამისა, გასაგებია, რომ ამ სახის გარკვევით ჩამოყალიბებული ინსტრუქციები საჭიროა, როდესაც პატიმარი სხვა ციხიდან მერკსპლასში უნდა იქნეს გადაყვანილი.

ამგვარად, 1975 წლის 11 იანვრისა და 11 სექტემბრის გადანყვეტილებები, რომლებიც აუქმებს ბ-ნი ვან დროგენბრეკის პირობით გათავისუფლებას, ითვალისწინებს ბრძანებას მისი „დაპატიმრების“ შესახებ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 12-13).

38. ნებისმიერ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ფორმალური, ისე ენობრივი მხარე და კონცენტრაცია გაკეთდეს რეალურ მდგომარეობაზე (უპირატესად იხ. *mutatis mutandis*, *Deweer*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1980 წლის 27 თებერვალი, სერია A №35, გვ. 23, პუნქტი 44).

ეს იმ საკითხთა რიგს ეხება, რომლებშიც მთავრობა ფართო დისკრეციით სარგებლობს. პრეცედენტული სამართალი და პრაქტიკა ფაქტობრივად ადასტურებს 1964 წლის კანონის 25-ე მუხლის ტექსტით გათვალისწინ-

ნებულ მნიშვნელობას („თუ აუცილებელია“) და რეალურ ფრაზას – „განკარგულების ქვეშ მოთავსება“. 1978 წლის 4 აპრილის განაჩენში ბელგიის საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სასჯელის აღსრულება უმეტეს-ნილად“ იუსტიციის მინისტრის „დისკრეციის საკითხია“ (*Pasicrisie* 1978, I, გვ. 861). შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მინისტრის გადაწყვეტილება სასამართლოს გადაწყვეტილებით გაცილებით ნაკლებად იზღუდება „სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის გამოყენებასთან მიმართებაში, ვიდრე მთავრობის განკარგულების ქვეშ მანანნალების მოთავსების სისტემის ანალოგიურ სფეროში (1981 წლის 27 ნოემბრის კანონი; იხ. *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვ. 24-25, პუნქტი 37, და გვ. 33-34, პუნქტი 61). ანუ, კომისიის დღე-გატის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „სასამართლოს გადაწყვეტილება არ ბრძანებს“ რეციდივისტებისა და გამოუსწორებელი სამართალდამრღვევების „დაპატიმრებას“: იგი ამის „ნებას რთავს“.

39. ამგვარ გარემოებებში სასამართლომ უნდა განიხილოს, არსებობს თუ არა საკმარისი ურთიერთკავშირი უკანასკნელ გადაწყვეტილებასა და თავისუფლების აღკვეთას შორის მე-5 მუხლის მიზნებისათვის.

ამ კითხვას მტკიცებითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან მინისტრის დისკრეცია ხორციელდება კანონისა და „კომპეტენტური სასამართლოს მიერ“ გამოცხადებული სასჯელის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით სასამართლო აღნიშნავს, რომ, ბელგიის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით პირს უფარდებს პატიმრობას, ხოლო დამატებითი ან დამხმარე სასჯელის სახით – მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსებას, 1964 წლის კანონის 22-ე ან 23-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს „განუყოფელ მთლიანობას“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 21; საკასაციო სასამართლო, 1975 წლის 17 ივნისი, *Pasicrisie* 1975, I, გვ. 999). სახეზეა ამ განაჩენის ორი შემადგენელი ნაწილი: პირველი არის სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, რასაც განსაზღვრული ვადით ექვემდებარება სამართალდამრღვევი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო მეორე გულისხმობს სამართალდამრღვევის მოთავსებას მთავრობის განკარგულების ქვეშ, რისი აღსრულებაც შეიძლება სხვადასხვაგვარი ფორმით განხორციელდეს – ზედამხედველობის პირობით გათავისუფლებით დაწყებული და პატიმრობით დამთავრებული.

აღსრულების ამ ფორმებს შორის არჩევანი იუსტიციის მინისტრის დისკრეციის საკითხია. ამისდა მიუხედავად, იგი არ სარგებლობს განუსაზღვრელი უფლებამოსილებით გადაწყვეტილების მიღების დროს: კანონით დადგენილ ფარგლებში მან უნდა შეაფასოს საფრთხის ხარისხი, რომელსაც საზოგადოებას უქმნის პირი, აგრეთვე მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის მოკლე თუ გრძელვადიანი პერსპექტივები.

40. ფაქტობრივად, მხედველობიდან არ უნდა იქნეს გამორჩენილი მიზნები, რომლებიც გამომდინარეობს 1964 წლის კანონის სახელწოდებიდან

და ზოგადი სტრუქტურულიდან, კანონპროექტის შემუშავების ისტორიიდან და ბელგიის პრეცედენტული სამართლიდან: ეს არის არა მარტო „საზოგადოების დაცვა იმ საფრთხისაგან, რასაც ქმნიან რეციდივისტები და გამოუსწორებელი სამართალდამრღვევები, არამედ [მთავრობის] უზრუნველყოფაც [მათი] გამოსწორების შესაძლებლობით“ (საკასაციო სასამართლო, 1993 წლის 11 დეკემბერი, *Pasicrisie* 1934, I, გვ. 99). ამ მიზნების მიღწევა საჭიროებს, მხედველობაში იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ გარემოებები, მათი ხასიათის თვალსაზრისით, განსხვავდება თითოეული საქმის მიხედვით და ექვემდებარება ცვლილებას. გადანყვეტილების მიღების დროს სასამართლოს არ შეუძლია, გარემოებათა ხასიათის გათვალისწინებით, გააკეთოს უფრო მეტი, ვიდრე იმის შეფასებაა, თუ როგორ განვითარდება ადამიანი მომავალში. თავის მხრივ, იუსტიციის მინისტრს შეუძლია მოხელეების მემკვიდრეობით და მათი დახმარებით უფრო დეტალურად და უფრო ხშირი ინტერვალებით აწარმოოს მონიტორინგი, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი ნიშნავს, რომ დროის გასვლასთან ერთად კავშირი მის გადანყვეტილებებს – გათავისუფლებაზე უარის ან ხელახლა დაპატიმრების შესახებ – და თავდაპირველ განაჩენს შორის ნაკლებად მყარი ხდება. კავშირი შეიძლება განყდეს, თუ ეს გადანყვეტილებები ემყარებოდა ისეთ საფუძვლებს, რომლებსაც არ ჰქონდა კავშირი საკანონმდებლო ხელისუფლებისა და სასამართლოს მიზნებთან ან ისეთ შეფასებასთან, რაც არაგონივრული იყო ხსენებული მიზნების თვალსაზრისით. ამგვარ გარემოებებში პატიმრობა, რომელიც თავდაპირველად კანონიერი იყო, გადაიქცევა თავისუფლების თვითნებურ აღკვეთად, რაც შეუთავსებელია მე-5 მუხლთან (იხ. უპირატესად ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 19, პუნქტი 43).

ამგვარ სიტუაციას არ ჰქონია ადგილი წინამდებარე საქმეში. ბელგიის ხელისუფლებამ მოთმინება და ნდობა გამოავლინა ბ-ნ ვან დროგენბრეკთან მიმართებაში: მისი საქციელის მიუხედავად, რამდენიმე შესაძლებლობა მისცა ცხოვრების გზის შესაცვლელად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 10, 11, 12 და 16). ფორმა, რომლითაც ხელისუფლებამ განახორციელა დისკრეცია, შეესაბამებოდა კონვენციის მოთხოვნებს, რომლებიც უშვებს ზომების მრავალსახეობას სასჯელის შეფარდებისას და არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, სასამართლოებს გადასცენ სასჯელის აღსრულების ზოგადი ზედამხედველობის უფლებამოსილება.

41. კომისიის წინაშე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 27 *in fine* და მოხსენების პუნქტი 57) განმცხადებელი აგრეთვე ჩიოდა, რომ მისი პატიმრობა არც „კანონიერი“ იყო და არც „კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად“ განხორციელდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, ამტკიცებდა რა, რომ იუსტიციის მინისტრმა მიითვისა უფლებამოსილება, რომელიც, 1964 წლის კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, მთელ მთავრობას ეკუთვნის.

ამ თვალსაზრისით სასამართლო, კომისიის მსგავსად, შემოიფარგლება იმის აღნიშვნით, რომ ბელგიაში, ისევე, როგორც სხვა ხელშემკვრელ სა-

ხელმწიფოებში, ტრადიციულად, სისხლის სამართლის სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელებისა და სხვა ღონისძიებების აღსრულება იუსტიციის მინისტრის კომპეტენციაშია. სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, ეჭვქვეშ დააყენოს ის ფაქტი, რომ ძალაუფლების განაწილების შესახებ ბელგიის საჯარო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, მინისტრი წარმოადგენდა სათანადო ხელისუფლებას, რომელიც მოქმედებდა ბ-ნი ვან დროგენბრეკის საქმეზე.

42. აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

II. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

43. განმცხადებელი აგრეთვე ჩიოდა, რომ, როდესაც პატიმრობაში იმყოფებოდა, მას არ ჰქონდა უფლება სასამართლო პროცესზე, რაც დააკმაყოფილებდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს: ამ მუხლის თანახმად, „დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებააღკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საჩივარი, თუმცა ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას; ამ თვალსაზრისით სასამართლო მიუთითებს თავის პრეცედენტულ სამართალზე, სახელდობრ, *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე (1971 წლის 18 ივნისი, სერია A № 12, გვ. 39-40, პუნქტი 73).

ა. მთავრობის ძირითადი არბუმენტაცია

44. უპირველეს ყოვლისა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ სამართალწარმოება, რომელიც ხორციელდებოდა 1970 და 1971 წლებში ბრიუგეს სისხლის სამართლის, გენტის სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 9) აკმაყოფილებდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. იგი ეყრდნობოდა, *inter alia*, შემდეგ ნაწყვეტს ზემოხსენებული განაჩენიდან (1971 წლის 18 ივნისი, *ibid.*, გვ. 40, პუნქტი 76):

„ერთი შეხედვით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ფორმულირებიდან შეიძლება ვინმემ იფიქროს, თითქოს იგი უზრუნველყოფს პატიმრის უფლებას, რომ სასამართლომ ყოველთვის განახორციელოს ზედამხედველობა წინა გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მას აღეკვეთა თავისუფლება. ... უდავოა, რომ, როდესაც გადაწყვეტილებას ... იღებს ადმინისტრაციული ორგანო, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალ-

დებულებს, ხელმისაწვდომი გახადონ ... სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ იგივე გამოიყენება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს სამართალწარმოების დასრულებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, გადაწყვეტილებაში არის ჩართული, მაგალითად, როდესაც პირი დაპატიმრებულია „კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების“ შემდეგ (კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პუნქტი)“ (იხ. აგრეთვე *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A №22, გვ. 32; პუნქტი 77).

45. თუმცა როგორც სასამართლომ დაადგინა ბოლო დროს, ეს ნაწყვეტი „ლაპარაკობს მხოლოდ „გადაწყვეტილებაზე, რომელიც პირს ალუკვეთს თავისუფლებას“; იგი არ გულისხმობს პატიმრობის შემდგომი პერიოდის განხილვას, როდესაც შეიძლება წამოჭრილი იქნეს ახალი საკითხები, რომლებიც ხელყოფს პატიმრობის კანონიერებას“ (იხ. ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 22, პუნქტი 51). გარდა ამისა, *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში მხედველობაში იქნა მიღებული, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, არა მარტო თავდაპირველი გადაწყვეტილებები მანანნალობისათვის სამი განმცხადებლის დაპატიმრების თაობაზე (სერია A №12, გვ. 40-43, პუნქტები 74-80), არამედ მათი გათავისუფლების შესახებ თხოვნების განხილვის პროცედურაც იმ დონემდე, რომ წამოჭრილი იქნა საკითხები მათი პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერების შესახებ (*ibid.*, გვ. 43-44, პუნქტი 81-84).

„მანანნალების“ პატიმრობა ხდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ე) ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლებში. იგივე გამოიყენება სულთ ავადმყოფების „პატიმრობასთან“ მიმართებაშიც. თუმცა „საფუძვლებმა, რომლებიც თავდაპირველად ამართლებდა ამ სახის დაკავებას, შეიძლება შეწყვიტოს არსებობა“ – ეს ის ფაქტია, რომლის საფუძველზეც სასამართლომ გარკვეული მნიშვნელობის დასკვნა ჩამოაყალიბა:

„...მე-5 მუხლის დანიშნულებასა და მიზანთან წინააღმდეგობაში იქნებოდა მე-4 პუნქტის ინტერპრეტაცია ... იმგვარად, რომ დაკავების აღნიშნული კატეგორია გამოირიცხოს კანონიერების შემდგომი გადასინჯვისაგან მხოლოდ იმ პირობით, თუ თავდაპირველი გადაწყვეტილება მიღებული იქნა სასამართლოს მიერ. განსახილველი თავისუფლების აღკვეთის უშუალო ხასიათი მოითხოვს, რომ კანონიერების განხილვა ხდებოდეს გონივრულ ინტერვალებში“ (იხ. *Winterwerp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1979 წლის 24 ოქტომბერი; აგრეთვე ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №33, გვ. 23, პუნქტი 55, და სერია A №46, გვ. 22-23, პუნქტი 52).

46. მოპასუხე მთავრობის არგუმენტაცია შემდგომში მდგომარეობდა: რეციდივისტთა და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევთა მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსებას არ ახასიათებდა რომელიმე ის ნიშან-

თვისება, რომელიც მოითხოვდა ხსენებული პრეცედენტების გამოყენებას. იგი გაუთანაბრდა თავისუფლების აღკვეთას გარკვეული ვადით საერთო სასამართლოს ბრძანების საფუძველზე. ის არ იქნებოდა მოქმედი, თუ სასჯელის შეფარდების დროს არ იქნებოდა დაკმაყოფილებული ობიექტური პირობები, რომლებიც ამომწურავად იყო ჩამოთვლილი 1964 წლის კანონის 22-ე და 23-ე მუხლებში და, პრინციპში, არ ექვემდებარებოდა ცვლილებას დროთა განმავლობაში; მისი ნამდვილობა არ შეიძლებოდა სადავო გამხდარიყო რაიმე შემდგომი მოვლენის გამო. ამგვარად, კანონმდებლობით ნებადართული ღონისძიება, რომელსაც უფარდებენ სასამართლოები და აღასრულებს იუსტიციის მინისტრი თავისი როლის – „სასჯელის ინდივიდუალურად მისადაგების“ – შესრულებისას, სინამდვილეში ეფუძნებოდა საზოგადოების დაცვის აუცილებლობას რეციდივისტთა და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევთა ქმედებებისაგან, მაგრამ არც ბელგიის კანონმდებლობა და არც კონვენცია არ ადგენენ, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებისათვის არსებული საფრთხე კვლავ განაგრძობს არსებობას პირის გათავისუფლების შემთხვევაში. კომისიის სანინაალმდეგო მოსაზრება ერთმანეთში ურევს კანონიერებასა და მართლზომიერებას, ორ რადიკალურად განსხვავებულ ცნებას, და იმ მნიშვნელობას იძენს, რომ ყოველ მსჯავრდებულ დამნაშავეს უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ დროს გაასაჩივროს თავისი პატიმრობის მართლზომიერება – პოზიცია, რომელიც უცხოა ნებისმიერი ქვეყნისათვის.

47. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ ხელშემკერელი სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სფერო, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „არ არის აუცილებელი, რომ იგივე იყოს ყველა გარემოებაში და თავისუფლების აღკვეთის თითოეულ კატეგორიასთან მიმართებაში“ (ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 22, პუნქტი 52). მას მხედველობიდან არ გამოორჩენია ის ფაქტი, რომ ნინამდებარე საქმეში პატიმრობაზე ვრცელდებოდა მხოლოდ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი და არა (ე) ქვეპუნქტი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა *Winterwerp*-ისა და *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეებში, ან ორივე ქვეპუნქტი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქმეში *X v. the United Kingdom* (*ibid.*>, გვ. 17-18, პუნქტი 39).

მიუხედავად ამისა, ამ კონტექსტში მოცემული კატეგორიის „პატიმრობის“ ხასიათი და მიზანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ადგილი, რომელიც მას უკავია კონვენციის სტრუქტურაში. რეციდივისტთა და გამოუსწორებელ სამართალდამრღვევთა მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსების სისტემა დადგინდა სპეციალური მიზნების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლოს აზრით, ხსენებული ღონისძიება, თუმცა უთანაბრდებოდა სასჯელს, მიმართული იყო არა მარტო საზოგადოების დაცვისაკენ, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის შესაძლებლობის მიცემისაკენ, გამოესწორებინა ხსენებული პირები (იხ. ნინამდებარე განა-

ჩენის პუნქტი 40). ერთი სამართალდარღვევის შემდეგ სისხლის სამართლის წესით დასჯადი სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევის გარდა (კანონის 22-ე მუხლი), სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას უნდა აღნიშნოს გადაწყვეტილების საფუძვლები (მუხლი 24) და, კერძოდ, უნდა მიუთითოს „კონკრეტული და ზუსტი ტერმინებით“, თუ რატომ მიიჩნევს იგი, რომ ბრალდებული, რომელიც, კანონმდებლობის თვალსაზრისით, რეციდივისტად არის კლასიფიცირებული, ავლენს „დანაშაულის ჩადენის მუდმივ ტენდენციას“ კანონის 23-ე მუხლის მნიშვნელობით (საკასაციო სასამართლო, 1962 წლის 3 იანვარი, *Pasicrisie* 1962, I, გვ. 526; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 9). პრაქტიკაში სასამართლოს გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრს აძლევს „პატიმრობის თავდაპირველ უფლებამოსილებას იმ ვადით ... რომლის სრული ხანგრძლივობა – ათ წლამდე – შეფარდებით განუსაზღვრელი ხასიათისაა და პრინციპში იცვლება იმ მოპყრობის, რომელსაც ითხოვს სამართალდამრღვევი, და საზოგადოების დაცვის მოთხოვნების შესაბამისად (კომისიის მოხსენების პუნქტი 64 და 1979 წლის 5 ივლისის საბოლოო გადაწყვეტილება განაცხადის დაშვებადობასთან დაკავშირებით). პატიმრობას, რომელსაც შეიძლება მოსდევდეს მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსება, მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, „თუ აუცილებელია“ (კანონის 25-ე მუხლი), სიტყვები, რომლებიც საკასაციო სასამართლომ ჩათვალა ფრაზის – „თუ ასე მოითხოვს საზოგადოების დაცვა“ – სინონიმად (1978 წლის 4 აპრილი, *Pasicrisie* 1978, I, გვ. 861).

როგორც კომისიამ მიუთითა მოხსენების 66-ე პუნქტში, ეს სისტემა ფუნდამენტურად განსხვავდება სასამართლოს მიერ გასამართლებული იმ პატიმრების პირობით გათავისუფლების სისტემისაგან – რის შესახებაც სასამართლო არ გამოხატავს აშკარა მოსაზრებას – რომელთა პატიმრობის ვადას სასამართლო განსაზღვრავს იმგვარად, როგორც ეს მართლზომიერია თითოეულ საქმეზე.

იუსტიციის მინისტრის დისკრეცია, 1964 წლის კანონის შესაბამისად, ითვალისწინებს, რომ მან სასჯელის ხსენებული ზომის შეფარდების მთელ პერიოდში მხედველობაში უნდა მიიღოს შესაბამისი პირისათვის თავისუფლების აღკვეთის ან გაგრძელების აუცილებლობა ან ამგვარი აუცილებლობის არსებობა თუ არარსებობა. „დანაშაულის ჩადენის მუდმივ ტენდენცია“ და „საზოგადოებისათვის საფრთხის“ არსებობა არის არსებითი შეფარდებითი ცნებები, რომლებიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევის პიროვნების განვითარებისა და საქციელის მეთვალყურეობას, რათა იგი შეეგუოს პირობების დადებით ან უარყოფით ცვლილებებს. ეს გარკვეულწილად აღიარებული იქნა როგორც ბელგიის კანონმდებლობით, რომლის შესაბამისადაც სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თავდაპირველი გადაწყვეტილების შედეგებიდან გათავისუფლება (კანონის 26-ე მუხლი; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23), ისე მთავრობის მიერ, როდესაც მინისტრის გადაწყვეტილებების საფუძველზე დააარსა რეციდივისტთა საქმეების კოლეგია,

რომელშიც განევრიანდნენ „ფსიქოლოგიაში სპეციალიზებული სამედიცინო მუშაკები“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 21 და 22).

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, მოითხოვს თუ არა ბელგიის სისტემის ლოგია თავისუფლების აღკვეთის გამამართლებელი პირობის შემდგომ სასამართლო განხილვას გონივრულ ინტერვალებში. თუ ჩაითვლება, რომ ამგვარი გამამართლებელი პირობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნეს დადგენილი მსჯავრდების დროს, ეს გარკვეულწილად გაუთანაბრდება დაშვებას, რომ პატიმრობა არ წარმოშობს არავითარ სასარგებლო შედეგს.

48. შესაბამისად, ბელგიის საკასაციო სასამართლომ 1978 წლის 4 აპრილის განაჩენში უარყო ეს არგუმენტი „გათვალისწინებული ზედამხედველობის“ თეორიის სასარგებლოდ (*Pasicrisie* 1978, I, გვ. 862; აგრეთვე იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 44). თუმცა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის „დაკავების ან დაპატიმრების“ „კანონიერება“ უნდა იყოს განსაზღვრული არა მარტო შიდა კანონმდებლობის, არამედ კონვენციის ტექსტის, მასში გაცხადებული პრინციპების თვალსაზრისით და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების მიზნის მხედველობაში მიღებით (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 25, პუნქტი 57, რომელიც წაკითხული უნდა იქნეს ზემოხსენებულ *Winterverp*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენთან ერთად, სერია A №33, გვ. 17, პუნქტი 39 და გვ. 19-20, პუნქტი 45).

გარდა იმისა, რომ შესაბამისობაში უნდა იყოს შიდა კანონმდებლობასთან, „პატიმრობა, რომელიც თვითნებურად ხორციელდება, არასოდეს ჩაითვლება „კანონიერად“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 19, პუნქტი 43). ეს არის ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადასცილდეს იუსტიციის მინისტრი იმ ფართო დისკრეციის განხორციელებისას, რომელიც მას აქვს სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების აღსრულებისას. ეს მოთხოვნა მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, თუ რა განიხილება ამ ეტაპზე, კერძოდ, შესაძლებლობა, რომ პირს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება ათ წლამდე (კანონის 23-ე მუხლი), თუ უფრო მეტი ხნით (მუხლი 22). ამგვარი პატიმრობა აღარ იქნება კონვენციასთან შესაბამისობაში, თუ შეწყვეტს არსებობას მისი საფუძველები, რომლებიც მართლზომიერია და შესაბამეა „სოციალური დაცვის შესახებ“ კანონს; იგი გახდება „უკანონო“ მე-5 მუხლის მიზნებისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაბამის პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სასამართლოზე, რომელსაც აქვს იურისდიქცია, გადაწყვიტოს, ადგილი აქვს თუ არა ამ სახის დარღვევას; ეს შესაძლებლობა ადამიანს უნდა მიეცეს პატიმრობაში ყოფნის დროს – დაპატიმრებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ და გონივრულ ინტერვალებში (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 22-23, პუნქტი 52) – აგ-

რეთვე მაშინ, როდესაც იგი ხელახლა იქნება დაპატიმრებული გათავისუფლების შემდეგ.

49. მართალია, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლის უფლებას იმგვარად, რომ უფლებამოსილება მისცეს სასამართლოს საქმის ყველა ასპექტთან, მათ შორის, საკუთრივ მართლზომიერების საკითხებთან მიმართებაში თავისი დისკრეციით შეცვალოს გადაწყვეტილების მიმღები ხელისუფლების დისკრეცია. თუმცა გადასინჯვა საკმარისად ფართო უნდა იყოს, რომ ზეგავლენა მოახდინოს პირობებზე, რომლებიც, კონვენციის თანახმად, არსებითია პირის „კანონიერი“ პატიმრობისათვის 1964 წლის კანონის VII თავის შესაბამისად; ეს უფრო მეტად იმით არის განპირობებული, გარდა უშუალოდ რეციდივისტის ან გამოუსწორებელი სამართალდამრღვევის სტატუსისა, რომ პირობებმა, რომლებიც თავდაპირველად ამართლებს პატიმრობას, შეიძლება შეწყვიტოს არსებობა (იხ. ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 25, პუნქტი 57-58).

წინამდებარე საქმეში კონვენცია მოითხოვს სათანადო პროცედურას, რომელიც სასამართლოს მისცემს საშულებას, „სწრაფად“ გადაწყვიტოს ბ-ნი ვან დროგენბრეკის განცხადების საფუძველზე, იყო თუ არა იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილი, დაედგინა, რომ პატიმრობა კვლავ შესაბამისობაში იყო 1964 წლის კანონის დანიშნულებასა და მიზნებთან (*ibid.*). მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის ეს არ იყო უბრალოდ მიზანშეწონილობის საკითხი, არამედ სწორედ თავისუფლების აღკვეთის „კანონიერებას“ ეხებოდა.

ბ. მთავრობის ალტერნატიული არგუმენტაცია

50. მთავრობა ალტერნატიულად ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს ხელი მიუწვდებოდა რამდენიმე საშუალებაზე, რომლებიც აკმაყოფილებდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. სახელდობრ, ეს საშუალებები იყო:

- (i) თვითნებური პატიმრობის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა ან მისი გამოწვევა;
- (ii) *ministère public*-თან არსებული დავის გადაცემა გენტის სააპელაციო სასამართლოსათვის 1970 წლის 20 ოქტომბრის განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით;
- (iii) სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვა შეფარდებული ზომის შედეგებიდან გათავისუფლების თაობაზე;
- (iv) პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარისათვის, როგორც *juge des référés*-ისათვის (მოსამართლე, რომელიც განიხილავს გადაუდებელ განაცხადებს), მიმართვა;
- (v) სამართალწარმოების აღძვრა უშუალოდ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

1981 წლის 20 ოქტომბრის მოსმენის დროს, აგრეთვე 1982 წლის თებერვლის დამატებით მიმოხილვაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 44-45) მთავრობამ უარი თქვა იმ პრეტენზიაზე, რომლის თანახმადაც ბ-ნ ვან დროგენბრეკს ასევე შეეძლო საჩივრით მიემართა "Conseil d'Etat"-ისთვის პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების ბათილობასთან დაკავშირებით.

არც რეციდივისტთა საქმეების კოლეგიასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22) შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი აკმაყოფილებს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. კოლეგია არ არის „სასამართლო“ კონვენციის მნიშვნელობით, იგი მის წინაშე წარმოდგენილ პატიმრებს არ უზრუნველყოფს სასამართლო პროცედურის გარანტიებით, რომ განიხილოს პატიმრობის კანონიერება ან *a fortiori* მიიღოს ბრძანება გათავისუფლების თაობაზე იმ პირებისა, რომელთა თავისუფლების აღკვეთა „უკანონოდ“ არის მიჩნეული (უპირატესად იხ. ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 23, პუნქტი 53 და გვ. 26, პუნქტი 61, და საქმე *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის განაჩენი, სერია A №25, გვ. 76, პუნქტი 200).

51. მთავრობის მიერ ნახსენები პირველი საშუალების (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26 და 50) მიზანია არა მარტო იმის დადგენა, რომ პატიმრობა არის უკანონო, არამედ ისიც, რომ სამართალდარღვევა რეციდივისტის ან გამოუსწორებელი სამართალდამრღვევის საქმეში ჩადენილია *ex hypothesi* სამოქალაქო მოსამსახურის, საჯარო მოხელის ან ციხის დანესებულების უფროსის მიერ (სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 609-ე მუხლი) – ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი მიზანია პირადი ბრალის დადგენა. გარდა ამისა, „სასამართლოს“ საქმის მოსმენის დროს – თუ დავუშვებთ, რომ სამართალწარმოება „სწრაფად“ იქნა დამთავრებული – შეუძლია მხოლოდ მსჯავრი დასდოს სამართალდამრღვევს; მას თვითონ არ შეუძლია, „ბრძანოს“ დაზარალებულის გათავისუფლება. და ბოლოს, ღონისძიება უშედეგო იქნება, თუ ბრალდებულს იცავს „კომპეტენტური ხელისუფლების“ (სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლი), მოცემულ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრის, „ბრძანებები“.

52. რაც შეეხება სამართლებრივი დაცვის მეორე გასაჩივრებულ საშუალებას, ფაქტობრივად, 1897 და 1914 წლებში გენტის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ *ministère public*-სა და პატიმარს შორის არსებული დავა სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით უნდა გადასცემოდა იმ სასამართლოს, რომელმაც შეუფარდა ეს სასჯელი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 28; კომისიის მოხსენების პუნქტები 35, 39 და 71 *in fine*; მთავრობის მიმოხილვის პუნქტი 53). თუმცა, როგორც მთავრობამ აღნიშნა [ევროპის] სასამართლოს კითხვაზე გაცემულ პასუხში, ზემოხსენებული ძველი განაჩენები დარჩა იზოლირებულ გადაწყვეტილებებად და არ იქნა განმტკიცებული ბოლოდროინდელი იურისპრუდენციით.

ისინი არ ეხება სოციალური დაცვის სისტემას. შესაბამისად, არ შეიძლება მათზე დაყრდნობა მე-5 მუხლით გათვალისწინებული საშუალების არსებობის დასადგენად.

53. მესამე საშუალება – სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვა შეფარდებული ზომის შედეგებიდან გათავისუფლების თაობაზე, რომელსაც უზრუნველყოფს 1964 წლის კანონის 26-ე მუხლი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23), უდავოდ მოიცავს სამართალწარმოებას „სასამართლოში“ და ითვალისწინებს სასამართლო პროცესის გარანტიებს; თუმცა, როდესაც პირი თავისუფალია, ამგვარი განცხადების საშუალებით იგი მოითხოვს სასჯელის – მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსების – სრულად გაუქმებას. ამდენად, მთლიანობაში განიხილება შეფარდებული ზომა და არა მხოლოდ პატიმრობის საკითხი. აქ იმდენად მნიშვნელოვანი პატიმრობის „კანონიერება“ კი არ არის, არამედ იმ „სასჯელის დროზე ადრე შეწყვეტის მიზანშეწონილობა“, რომელიც განაჩენის საფუძველზე არის დაკისრებული და რომელიც უკვე აღარ ექვემდებარება აპელაციას (მთავრობის დამატებითი მიმოხილვის პუნქტი 33; საკასაციო სასამართლო, 1977 წლის 15 თებერვალი, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14). როგორც კომისიამ (მოხსენების პუნქტი 74 *in fine*) და განმცხადებლებმა (1982 წლის თებერვლის წერილობითი მიმოხილვა) აღნიშნეს, სააპელაციო სასამართლოს არ შეუძლია, „განასხვავოს თავისუფლების აღკვეთა და ხელმძღვანელობის, დახმარებისა თუ ზედამხედველობის ამგვარი ზომები“, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს, „იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირის ამჟამინდელი საქციელი აღარ არის იმგვარი, რომ გამართლებული იქნეს პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება“. გარდა ამისა, სასამართლოში ორი განცხადების განხილვას შორის სამწლიანი ან ხუთწლიანი ინტერვალები მეტისმეტად ხანგრძლივია, „გონივრულად“ რომ ჩაითვალოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 48). ამავდროულად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი ვან დროგენბრეკის განცხადებების განხილვას დასჭირდა შვიდი თვე პირველ შემთხვევაში (1976 წლის 12 მაისიდან 13 დეკემბრამდე, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14) და ექვსი თვე მეორე შემთხვევაში (1979 წლის 16 სექტემბერიდან 1980 წლის 18 მარტამდე, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 18), ფაქტი, რომელიც ძნელად თუ შეესაბამება ცნებას – „სწრაფად“.

54. მთავრობის მტკიცებით, ბელგიის სამართლებრივ სისტემაში *juge des référés* (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 29) წარმოადგენს „ადამიანის თავისუფლების უკანასკნელ ბასტიონს“. მის სახელზე განცხადებით მიმართვა სამართალწარმოების კოდექსის 584-ე მუხლით შეიძლება მაშინ, როდესაც საკითხი გადაუდებელ განხილვას მოითხოვს იმ ზოგადი იურისდიქციის საფუძველზე, რომელიც მას მინიჭებული აქვს: „გამოიტანოს დროებითი დადგენილება ... ყველა საკითხთან დაკავშირებით, გარდა იმ საკითხებისა, რომლებსაც კანონი გამორიცხავს სასამართლოების კომპეტენციიდან“.

Juge des référés-ის აშკარად აქვს „სასამართლოსათვის“ დამახასიათებელი ნიშნები მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით. აგრეთვე, როგორც ჩანს, მისი ფუნქციის უშუალო შინაარსში იგულისხმება დადგენილების გამოტანა „სწრაფად“ და თუმცა მას გამოაქვს მხოლოდ „დროებითი“ გადანყვეტილება, იგი „დაუყოვნებლივ განხორციელებადაც, მიუხედავად მისი შესაძლო გასაჩივრებისა“ (მთავრობის მიმოხილვის პუნქტი 56).

მისი იურისდიქციის ფარგლები გამოხატულია ფართო ტერმინებით. სასამართლოს კოდექსის შემუშავების ისტორია და მასში ოფიციალურად გაცხადებული საფუძვლები მიუთითებს, რომ იგი მოიცავს სასამართლოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საქმეს – სამოქალაქოს, ადმინისტრაციულსა და სისხლისსამართლებრივს – გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც მოითხოვს განხილვის სპეციალურ პროცედურას სისხლის სამართლის მატერიალური თუ პროცესუალური კანონმდებლობით. სასამართლოსთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 584-ე მუხლის ბოლოს ნახსენები გამონაკლისი ეხება იმ საკითხებს, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა ეს ხელს არ უშლის იმის დადგენას, რომ მოცემული აქტები ამ ხელისუფლების მხრიდან არ იყო კანონიერი.

სასამართლო აგრეთვე აღიარებს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მთავრობის მიერ მითითებულ პრეცედენტულ სამართალს. სახელდობრ, იგი აღნიშნავს, რომ 1980 წლის 22 თებერვალს, 20 მაისსა და 14 აგვისტოს ბრიუსელის *juge des référés*-მა „უბრძანა“ მოპასუხეს, ბელგიის სახელმწიფოს, „დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა“ პირები, რომელთა პატიმრობა მიჩნეული იქნა „უკანონოდ“ (ყურნალი *Tribunaux*, 1980, გვ. 578-580). თუმცა შესაბამისი ბრძანებები მიღებული იქნა ბ-ნი ვან დროგენბრეკის ხელახლა დაპატიმრებისა (1977 წლის 21 დეკემბერი) და, ერთი გამონაკლისით, გათავისუფლების (1980 წლის 18 მარტი) შემდეგ. გარდა ამისა, რამდენადაც ეს ბრძანებები მოიცავდა თავისუფლების აღკვეთის ზომებს, ისინი არ იყო კავშირში 1964 წლის კანონთან: პირველი და მესამე ეხებოდა არაბელგიელი სუბიექტების მოთავსებას მთავრობის განკარგულების ქვეშ უცხოელთა კონტროლის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად; მეორე, რომლის წინააღმდეგაც ბელგიის სახელმწიფომ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, ეხებოდა პირობით გათავისუფლების გაუქმებას.

იგივე არ ითქმის ბოლოდროინდელ ბრძანებაზე*: 1981 წლის 16 ნოემბერს ბრიუსელის *juge des référés*-მა დაადგინა, რომ 1964 წლის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად ჰქონდა განაცხადის მოსმენის იურისდიქცია იმ პირის გათავისუფლების თხოვნის თაობაზე, რომელიც იმყოფებოდა პატიმრობაში ციხის ფსიქიატრიულ კორპუსში; ამისდა მიუხედავად, მან გადანყვიტა, რომ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა დროებით გათავისუფლების შესახებ თხოვნის დაკმაყოფილება.

მეორე მხრივ, 1981 წლის 10 ივლისს ნიველესის პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ მას არ ჰქონდა იურისდიქ-

ცია, ებრძანებინა იმ რადიოგადამცემისა და თანამგზავრული თეფშის დაბრუნება, რომელიც მას ჩამოერთვა 1981 წლის 3 ივნისს სატელეგრაფო და სატელეფონო სამსახურის* მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ. ეს გადაწყვეტილება დამტკიცებული იქნა ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს მიერ 1982 წლის 18 იანვარს; იგი მიუთითებდა როგორც ბელგიის, ისე საფრანგეთის პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც წინ უსწრებდა სასამართლოს კოდექსის მიღებას, და დაადგინა, რომ „სამოქალაქო სასამართლოსა და, შესაბამისად, *juge des référés*-ს არ ჰქონდა იურისდიქცია იმ ზომებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნისას“.¹ შემოხსენებული განხილვების კუთხით, წინამდებარე საქმეში *juge des référés*-ისათვის მიმართვა, სასამართლოს აზრით, არ აკმაყოფილებს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს შემდეგი საფუძვლების გამო:

პირველ რიგში, ეს პუნქტი ეხება ბელგიის შიდა კანონმდებლობის საკითხებს, რომლებიც ამჟამად არ არის მონესრიგებული (იხ., *mutatis mutandis*, შემოხსენებული *Deweert*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია №35, გვ. 28 *in fine*) ახლანდელი პრეცედენტული სამართლით, რომელიც განვითარების სტადიაშია და წარმოადგენს განხილვების საგანს. მთავრობამ პრეტენზია გამოთქვა ეროვნული სასამართლოებში ხსენებულ პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით; და არც კომისიის წინაშე მიუთითა კონვენციის 26-ე მუხლსა და არსებით განხილვასთან მიმართებაში. დაცვის საშუალების არსებობა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობით იგი მოკლებული იქნება ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობას, რასაც ითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი (იხ., *mutatis mutandis*, შემოხსენებული *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენი, სერია №12, გვ. 34, პუნქტი 62). ყოველ შემთხვევაში, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებების დროს *juge des référés*-ისათვის მიმართვის შესაძლებლობა 1964 წლის კანონით გათვალისწინებულ საკითხზე არ აკმაყოფილებდა ამ პირობას.

მეორე რიგში, რამდენადაც *juge des référés*-ის გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ „დროებითი“ დადგენილება, იგი ხელს არ უშლის საქმის არსებითად განხილვას (იხ. სამართალწარმოების კოდექსის 1039-ე მუხლი და, *mutatis mutandis*, შემოხსენებული *Deweert*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია №35, გვ. 28, (ა), *in fine*) და, ამდენად, არა აქვს *res judicata* უფლებამოსილება. გარდა ამისა, პრეცედენტული სამართლის მდგომარეობა ჯერ არ არის იმგვარი, რომ დაადგინოს საკმარისი სიზუსტით, აკმაყოფილებს თუ არა *juge des référés*-ის მიერ განხორციელებული გადასინჯვა მოცულობის თვალსაზრისით მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს

1 რეგისტრატურის შენიშვნა: ეს გადაწყვეტილებები არ იყო წარმოდგენილი წინამდებარე განაჩენის მიღების დღისათვის.

გადანყვეტილების „კანონიერებასთან“ დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 49). აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელ სასამართლოს აქვს საკითხის „არსებითად“ განხილვის უფლებამოსილება. სასამართლომ ეს საკითხი ნამოჭრა მოსმენის დროს, რაზეც მთავრობამ უპასუხა, რომ ამის კომპეტენცია ექნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. თუმცა მას [მთავრობას] არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ამ განცხადების დასასაბუთებლად, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილებული იყო თუ არა წინამდებარე საქმეში „სისწრაფის“ მოთხოვნა.

55. მთავრობის მიერ მოხსენიებულ მეხუთე და ბოლო საშუალებასთან მიმართებაშიც შესაძლებელია ზოგიერთ სხვა მიმოხილვაზე მითითება.

1979 წლის 28 თებერვლის განაჩენში მონსის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ რაიმე სპეციალური დებულების არარსებობისას, აგრეთვე სამართალწარმოების კოდექსის 568-ე მუხლის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს განცხადებებს, რომლებიც ასაჩივრებს თავისუფლების აღკვეთის ნამდვილობას და რომლებიც ეფუძნება უშუალოდ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს (ყურნალი *Tribunaux*, 1979, გვ. 358-361). ხსენებული საქმე ეხება იმ ადამიანის პატიმრობას, რომელიც „ფაქტობრივი გარემოებების განხორციელების დროს“ იმყოფებოდა „სერიოზული ფსიქიკური მოშლილობის მდგომარეობაში“, რამაც შეუძლებელი გახადა მისი ქცევის რეგულირება“. ამ საკითხს არეგულირებს 1964 წლის კანონის II-V თავები (მუხლები 7-20). 1980 წლის 14 თებერვალს საკასაციო სასამართლომ გააუქმა ხსენებული გადაწყვეტილება იმ მიზეზებით, რომლებიც არ იყო დაკავშირებული განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვებადობასთან, რაც სინამდვილეში ნაგულისხმევად იყო აღიარებული (*Revue de droit pénal et de criminologie*, 1980, გვ. 765-790, *ministère public*-ის არგუმენტაციასთან ერთად).

1974 წლის 22 აგვისტოს განაჩენში (სამხედრო სასამართლო, ყურნალი *Tribunaux*, 1974, გვ. 611-612) და 1976 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში (სამხედრო-საველე სასამართლო, *ibid.*, 1976, გვ. 646-647) ხაზგასმით იქნა აღნიშნული, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით, რომ არაფერი უშლიდა ხელს სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა *Commission judiciaire*-ის გადაწყვეტილების საფუძველზე, გათავისუფლების თაობაზე მიემართა სამხედრო-საველე სასამართლოსათვის ან სამხედრო სასამართლოსათვის. ხსენებული პრეცედენტების თანახმად, ამ სასამართლოების უფლებამოსილება „მოქმედი შიდა კანონმდებლობიდან“ კი არ გამომდინარეობდა, არამედ წარმოადგენდა პრეცედენტული სამართლის შედეგს“, რომლის საფუძველი მომდინარეობს „საერთაშორისო ხელშეკრულებიდან, აგრეთვე იმ პრინციპიდან, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ნორმებს“; შესაბამისად, ამ უფლებამოსილების მოცულობის სფერო არ გა-

დასცილდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს (კანონიერების და არა სისწრაფის განხილვა).

სასამართლომ ადრეც მიუთითა კონვენციის შიდა კანონმდებლობაში ჩართვის (იხ. ზემოხსენებული საქმე *Ireland v. the United Kingdom*, სერია A №25, გვ. 91, პუნქტი 239) და უშუალოდ გამოყენების (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენი, სერია A №12, გვ. 46, პუნქტი 95, და *Van Oostervijck*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1980 წლის 6 ნოემბერი, სერია A №40, გვ. 16, პუნქტი 33) შედეგების მნიშვნელობაზე. თუმცა მოპასუხე სახელმწიფოსათვის „არ არის ცნობილი რაიმე გადაწყვეტილება მთავრობის განკარგულების ქვეშ მყოფი რეციდივისტის მიერ შეტანილ განცხადებაზე, რომელიც უშუალოდ ეფუძნება კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს“ (დამატებითი მიმოხილვის პუნქტი 39). აღნიშნული განცხადებებიდან ყველაზე უფრო ადრე მიღებული (1974/1976) ეხება სამხედრო მოსამსახურის წინასწარ პატიმრობას. მოსის სააპელაციო სასამართლოს 1979 წლის 28 თებერვლის განაჩენი ფაქტობრივად ეხება თავისუფლების აღკვეთის ფორმას, რომელსაც ითვალისწინებს „სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის II-V თავები და არა, წინამდებარე საქმის მსგავსად, თავი VII. თუმცა ეს იყო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლომ აშკარად არ დაადასტურა ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებაში და რომელიც გამოტანილი იქნა ბ-ნი ვან დროგენბრეკის ხელახლა დაპატიმრების შემდეგ. მოცემულ სფეროში ბელგიის პრეცედენტული სამართალი კვლავ განვითარების სტადიაშია და, ამდენად, ფარგლები, რომლებშიც მომავალში დაამტკიცებს სასამართლოს მიერ გადასინჯვის უფლებამოსილების არსებობას, ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

56. სასამართლო არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ვინაიდან ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი განვითარებები დასრულდა, შეიძლება მივალნიოთ შედეგს, რომელიც დააკმაყოფილებს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს *juge des référés*-ის სახელზე განაცხადის შეტანის გაერთიანებით მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საქმის „არსებითად განხილვასთან“ ან ამ ორი საშუალების ერთდროული თუ თანამიმდევრული განხორციელებით (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული საქმე *X v. the United Kingdom*, სერია A №46, გვ. 26, პუნქტი 60). თუმცა იგი ვალდებულია, დაადგინოს, რომ ამგვარი შედეგი არ იქნა მიღწეული წინამდებარე საქმეში; აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

III. მე-4 მუხლის სავარაუდო დარღვევა

57. ბ-ნი ვან დროგენბრეკი აგრეთვე ეყრდნობა მე-4 მუხლს, რომლის თანახმად:

- „1. არავინ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში;
 2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება;
 3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო“ არ მოიცავს:
 - (ა) ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც უნდა შესრულდეს ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ჩვეული წესით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისას ან ასეთი თავისუფლების აღკვეთისაგან პირობით გათავისუფლების განმავლობაში;
- ...“

58. განმცხადებლის პირველი მტკიცების თანახმად, მთავრობის განკარგულების ქვეშ მოთავსების გამო იგი იმყოფებოდა „ყმობაში“ 1-ლი პუნქტის საწინააღმდეგოდ, რადგან დაექვემდებარა „ადმინისტრაციის კაპრიზებს“.

სიტუაცია, რომელთან დაკავშირებითაც გამოთქვამს პრეტენზიას განმცხადებელი, არ არღვევს მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 42). შესაბამისად, იგი ჩაითვლება ყმობად მხოლოდ მაშინ, თუ იგი წარმოადგენს „თავისუფლების უარყოფის განსაკუთრებით მძიმე“ ფორმას (იხ. კომისიის მოხსენების პუნქტები 79-80), რასაც წინამდებარე საქმეში ადგილი არ ჰქონია.

59. ბ-ნი ვან დროგენბრეკი აგრეთვე ჩიოდა, რომ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საწინააღმდეგოდ, მას „მოეთხოვა“ მუშაობა 12,000 ბელგიური ფრანკის დაზოგვის მიზნით. მთავრობის მტკიცებით, მას უბრალოდ „შესთავაზეს“ მუშაობა.

სასამართლო თვლის, რომ ეს საკითხი ღიად უნდა დატოვოს. თუ თავისუფლების პირობაა ციხეში შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილი ფულის დანაზოგის ფლობა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 13, 16 და 17), ეს პრაქტიკა მაინცდამაინც არ სცილდება ვალდებულებას ამ ტერმინის მკაცრი მნიშვნელობით.

თუმცა აქედან არ გამომდინარეობს, რომ საჩივარი დასაბუთებულია, რადგან მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა არ ნიშნავს ავტომატურად, რომ არ იქნა დაცული მე-4 მუხლი: ეს უკანასკნელი მუხლი მე-3 (ა) პუნქტში ითვალისწინებს მუშაობას ჩვეული წესით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინამდებარე საქმეში იმ სახით, რომელიც არ ხელყოფს მე-5 მუხ-

ლის 1-ლ პუნქტს. გარდა ამისა, მუშაობა, რომელიც ბ-ნ ვან დროგენბრეკს მოეთხოვა, არ გადასცილდა იმას, რაც არის „ჩვეული“ ამ კონტექსტში, რამდენადაც იგი მიზნად ისახავდა მის დახმარებას საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის და ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, რომლის მსგავსი პრაქტიკა ევროპის საბჭოს სხვა ქვეყნებშიც არსებობს (იხ. ნინამდებარე განაჩენის პუნქტი 25 და, *mutatis mutandis*, ზემოთ ხსენებული *De Wilde, Oms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, სერია A № 12, გვ. 44-45, პუნქტი 89-90).

60. შესაბამისად, ბელგიის ხელისუფლებას არ დაურღვევია მე-4 მუხლის მოთხოვნები.

IV. 50-ე მუხლის გამოყენება

61. მოსმენის დროს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა სთხოვა სასამართლოს, კონვენციის დარღვევის დადგენის შემთხვევაში მიეცა მისი კლიენტისათვის სამართლიანი დაკმაყოფილება 50-ე მუხლის შესაბამისად. მისივე განცხადებით, „მატერიალური თუ არამატერიალური ზიანის“ შესახებ საკითხის გადაწყვეტას უტოვებდა სასამართლოს დისკრეციას; ხოლო „ჰონორარები და გაღებული ხარჯები“, რომლებიც მან ჩამონათვალში მიუთითა, კომისიის მდივანმა გადასცა რეგისტრატორს 1981 წლის 14 ნოემბერს.

მთავრობამ არ დააფიქსირა თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

62. აქედან გამომდინარე, მართალია, წამოჭრილი იყო სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის *bis* შესაბამისად, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად და შემდგომში უნდა იქნეს განხილული; საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი უნდა დაუბრუნდეს პალატას სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

ზემოსხენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევას;
4. ადგენს, რომ საკითხი 50-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ჯერ არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად;

შესაბამისად,

(ა) მთლიანად გადადებს აღნიშნულ საკითხს;

(ბ) ხსენებულ საკითხს უბრუნებს პალატას სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1982 წლის 24 ივნისს. ფრანგული ტექსტი არის ავთენტური.

ხელმოწერა: ჟერარდვიარდა,
პრეზიდენტი

ხელმოწერა: მარკ-ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი

ვინტერვერპი
ნიდერლანდების წინააღმდეგ

Winterwerp v. the Netherlands

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (*Winterwerp v. the Netherlands*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის სათანადო დებულებების შესაბამისად. სასამართლო შემდეგი მოსამართლეებისგან შედგებოდა:

ქ-ნი პ. პედერსენი, პრეზიდენტი,
ბ-ნი ჯ. ვიარდა,
ბ-ნი დ. ევრიგენისი,
ბ-ნი პ.-პ. თეითგენი,
ბ-ნი გ. ლაგერგრენი,
ბ-ნი ლ. ლისჩი,
ბ-ნი ფ. გოლცუქლუ,

აგრეთვე რეგისტრატორი – ბ-ნი მ.-ა. ეისენი და რეგისტრატორის მოადგილე – ბ-ნი პ. პეტზოლდი.

იმსჯელა რა განმარტოებით 1978 წლის 29 ნოემბერსა და 1979 წლის 25-26 სექტემბერს,

1979 წლის 26 სექტემბერს სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე განაჩენი.

1. ვინტერვერპის საქმე სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“). საქმეს საფუძვლად უდევს 1972 წელს ნიდერლანდების მოქალაქის, ბ-ნი ფრიც ვინტერვერპის მიერ კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად ნიდერლანდების წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი.

2. როგორც კომისიის თხოვნა, რომელსაც თან ერთვის კონვენციის 31-ე მუხლით გათვალისწინებული მოხსენება, ისე მთავრობის განცხადება, რომელიც მიუთითებდა 48-ე მუხლზე, შეტანილი იქნა სასამართლოს რეგისტრატურაში სამი თვის ვადაში 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 47-ე მუხლის თანახმად. თხოვნა შეტანილი იქნა 1978 წლის 9 მარტს, ხოლო განცხადება – 21 აპრილს. ისინი მიზნად ისახავს სასამართლოს გადაწყვეტილების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხე მთავრობის მიერ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.

3. შეიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატაში *ex officio* წევრების სახით შევიდნენ ბ-ნი ჯ. ვიარდა, ნიდერლანდების მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი), და ბ-ნი გ. ბალადორე პალიერი, სასამართლოს პრეზიდენტი (რეგლამენტის 21-ე მუხლი). 1978 წლის 11 მარტს სასამართლოს პრეზიდენტმა რეგისტრატორის მოადგილის თანდასწრებით კენჭისყრით აირჩია დანარჩენი ხუთი მოსამართლე, კერძოდ, ქ-ნი ჰ. პედერსენი, ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი, ბ-ნი დ. ევრიგენისი, ბ-ნი ლ. ლისჩი და ბ-ნი ფ. გოლცუკლუ (კონვენციის 43-ე მუხლი *in fine* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი). შემდგომში ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი გათავისუფლდა სხდომიდან (1978 წლის 4 ივლისი), ხოლო ბ-ნი ბალადორე პალიერი გათავისუფლდა საქმის განხილვიდან (1979 წლის 25 სექტემბერი); ისინი შეცვალეს პირველმა ორმა შემცვლელმა მოსამართლემ – ბ-ნმა ლაგერგრენმა და ბ-ნმა თეითგეინმა (რეგლამენტის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 24-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები).

პალატის პრეზიდენტი რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გახდა ბ-ნი ბალადორე პალიერი, შემდეგ კი, 1979 წლის 25 სექტემბრიდან, ქ-ნი პედერსენი.

4. პალატის პრეზიდენტმა რეგისტრატორის მოადგილის მეშვეობით გამოარკვია მთავრობის წარმომადგენლისა და კომისიის დელეგატების მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით. 19 მაისს მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთავრობის წარმომადგენელს უნდა წარმოედგინა მიმოხილვა 1978 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო დელეგატებს საპასუხო მიმოხილვა მთავრობის მიმოხილვის მიღებიდან ორი თვის ვადაში უნდა წარმოედგინათ.

მთავრობის მიმოხილვები რეგისტრატურამ 1978 წლის 24 ივლისს მიიღო. 18 სექტემბერს კომისიის მდივანმა შეატყობინა რეგისტრატურას, რომ დელეგატებმა არ წარმოადგინეს საპასუხო მიმოხილვები.

5. რეგისტრატორის მეშვეობით მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატებთან მოთათბირების შემდეგ 6 ოქტომბერს პალატის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ზეპირი მოსმენა ჩატარდებოდა 28 ნოემბერს. 21 ოქტომბერს მან სთხოვა მთავრობას, წარმოედგინა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც რეგისტრატურამ 10 ნოემბერს მიიღო.

6. ზეპირი მოსმენა ჩატარდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 28 ნოემბერს. სხდომამდე ცოტა ხნით ადრე სასამართლომ მოკლე მოსამზადებელი შეხვედრა გამართა.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით:

ქ-ნი ფ. ი. ვან დერ ვოლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩევლის თანაშემწე — წარმომადგენელი;

ბ-ნი ე. ა. დრუგლევერ ფორტუინი, ადვოკატი (*Landsadvocaat*),

ბ-ნი ლ. ა. გილჰუდი, იუსტიციის სამინისტროს მოხელე, მრჩეველი

კომისიის სახელით:

ბ-ნი ჯ. ე. ფასეტი, მთავარი დელეგატი,

ბ-ნი კ. ჰ. ჯ. პოლაკი, დელეგატი,

ბ-ნი ჯ. პ. ა. ვან ლუნი, რომელმაც განმცხადებელი წარმოადგინა კომისიის წინაშე, დახმარებას უწევდა დელეგატებს რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად.

სასამართლომ მოუსმინა ქ-ნ ვოლს, ბ-ნ დრუგლევერ ფორტუინსა და ბ-ნ გილჰუდს მთავრობის სახელით და ბ-ნ ფასეტსა და ბ-ნ ლუნს კომისიის სახელით, აგრეთვე მათ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე.

7. მთავარი დელეგატის წინადადებით პალატის პრეზიდენტმა სამართალწარმოება მხოლოდ დროებით დახურულად გამოაცხადა, რათა კომისიას საშუალება ჰქონოდა, ორი კვირის ვადაში წარმოედგინა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის წერილობითი განცხადება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ინტერპრეტაციის შესახებ. გაერთიანებული სამეფოს მთავრობასა და რეგისტრატურას შორის ნოემბერში ადგილი ჰქონდა წერილების გაცვლას ამ საკითხთან დაკავშირებით.

1978 წლის 15 დეკემბერს კომისიის თხოვნის საპასუხოდ პრეზიდენტმა გააგრძელა ზემოხსენებული ვადა 1979 წლის 5 იანვრამდე. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის წერილობითი განცხადება კომისიამ სამდივნო-

ში 9 იანვარს წარადგინა; იმავდროულად დელეგატებმა მიუთითეს, რომ მათ არ მოუშზადებიათ მიმოხილვა. 2 თებერვალს მიღებული წერილით ნიდერლანდების მთავრობის წარმომადგენელმა შეატყობინა რეგისტრატორს, რომ მთავრობას ხსენებულ განაცხადში წამოჭრილ საკითხებზე კომენტარის გაკეთება არ მიაჩნდა საჭიროდ.

8. 1978 წლის 27 დეკემბერს ბ-ნმა ვან ლუნმა სასამართლოს გადასცა გარკვეული დოკუმენტები, რომლებზეც მითითება გააკეთა მოსმენის დროს.

9. პალატამ გადაწყვიტა, რომ სამართალწარმოება 1979 წლის 26 სექტემბერს დასრულდებოდა.

ფაქტები

10. ბ-ნი ფრიც ვინტერვერპი ცხოვრობს ნიდერლანდებში. იგი დაქორწინდა 1956 წელს და შეეძინა რამდენიმე შვილი. 1968 წელს ადგილობრივი ბურგომისტრის განკარგულების საფუძველზე, საგანგებო პროცედურის შესაბამისად იგი მოთავსებული იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ექვსი კვირის შემდეგ, მისი მეუღლის განცხადების საფუძველზე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული სასამართლოს (*kantongerecht*) ბრძანებით იგი დაკავებული იქნა იმავე საავადმყოფოში. მისი მეუღლის შემდგომი განცხადების საფუძველზე, მოგვიანებით კი პროკურორის (*officier van justitie*) მოთხოვნით, საოლქო სასამართლო (*arrondissement rechtbank*) წლიდან წლამდე აგრძელებდა ბრძანებას განმცხადებლის მკურნალი ექიმის სამედიცინო მოხსენებების შესაბამისად.

ბ-ნი ვინტერვერპი ჩივის პროცედურასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ მას არ მისცემია შესაძლებლობა, წარმდგარიყო სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში და არც სასამართლო ბრძანებების შესახებ შეუტყობინებიათ მისთვის, მას არ მიუღია რაიმე სამართლებრივი დახმარება და არ ჰქონია სამედიცინო დასკვნების გასაჩივრების შესაძლებლობა. მისი საჩივრები აგრეთვე მიმართულია გათავისუფლების შესახებ თხოვნების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სამოქალაქო ქმედუნარიანობის დაკარგვის წინააღმდეგ.

ა. ნიდერლანდების კანონმდებლობა სულით ავადმყოფების დაკავების შესახებ

11. სულით ავადმყოფების დაკავება რეგულირდება 1884 წლის 27 აპრილის კანონით „სულიერად დაავადებული პირების სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ (*wet van 27 April 1884, Sib 96, tot regeling van het Staat-*

stoezicht op krankzinnigen). კანონი, რომელსაც ზოგადად უწოდებენ სულიერად დაავადებული პირების შესახებ კანონს (*krankzinnigenwet*), რამდენჯერმე შეიცვალა. უკანასკნელი, 1970 წლის 28 აგვისტოს, ცვლილება ძალაში შევიდა 1972 წლის 15 მაისს, ანუ მას შემდეგ, რაც განმცხადებელი პირველად იქნა დაკავებული. ნიდერლანდების პარლამენტი ამჟამად იხილავს კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს სისტემის მთლიან რეფორმირებას.

„სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ კანონი ხუთ მთავარ თავად იყოფა. ძირითადად, წინამდებარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებულია სამი თავი, რომლებიც, პირველ რიგში, ეხება პირების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას და მათ იქ ყოფნას, მეორე რიგში, დროებით გათავისუფლებას, შემდეგ კი საერთოდ გათავისუფლებას და, მესამე რიგში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებულ პირთა ქონების განკარგვას.

კანონი არ განმარტავს, თუ ვინ არიან „სულიერად დაავადებული პირები“, მაგრამ აყალიბებს იმ საფუძვლებს, როდესაც ხდება აღნიშნული პირების მოთავსება საავადმყოფოში (იხ. აგრეთვე მომდევნო პუნქტები). წარმოდგენილი მტკიცებულებიდან ჩანს, რომ ბოლოდროინდელი პრაქტიკის შესაბამისად, ნიდერლანდების სასამართლოები დასაშვებად მიიჩნევენ „სულიერად დაავადებული პირის“ დაკავებას მხოლოდ მაშინ, თუ მისი სულიერი მოშლილობა ისეთი სახის ან სიმძიმისაა, რომ რეალურ საფრთხეს უქმნის თავად ავადმყოფს ან სხვა ადამიანებს.

(i) გადაუდებელ შემთხვევებში დაკავების პროცედურა

12. სასწრაფო შემთხვევებში ბურგომისტრს აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება „სულიერად დაავადებული პირის“ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მოთავსების შესახებ.

1972 წლამდე ბურგომისტრი ვალდებული იყო, მოეპოვებინა წინასწარი სამედიცინო რეკომენდაცია მხოლოდ ისეთ გარემოებებში, როდესაც ეს შესაძლებელი იყო; მისი გადაწყვეტილება ძალაში რჩებოდა სამი კვირის განმავლობაში, მაგრამ პროკურორს შეეძლო ვადის შემცირება ან გაგრძელება (კანონის მე-14 მუხლი).

აღნიშნული პროცედურა არსებითად შეიცვალა 1970 წლის კანონით, მე-14 მუხლი გაუქმდა და შეიცვალა 35b-35j მუხლებით. ბურგომისტრი ახლა უკვე ვალდებული იყო, მოეპოვებინა ფსიქიატრის ან, თუ ეს შეუძლებელი იყო, სხვა სამედიცინო პრაქტიკოსის წინასწარი დასკვნა. მიიღებდა რა გადაწყვეტილებას დაკავების შესახებ, მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა პროკურორისათვის და გაეგზავნა მისთვის სამედიცინო დეკლარაციები, რომლებსაც ეფუძნებოდა მისი განკარგულება. თავის მხრივ, პროკურორი ვალდებული იყო, ხსენებული დეკლარაციები გადაეცა არა უგვიან-

ნეს მომდევნო დღისა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ განცხადებასთან ერთად. თუ გადაწყდებოდა დაკავების ვადის გაგრძელება, ის ძალაში იყო სამი კვირის განმავლობაში, მაგრამ მისი გაგრძელება შეიძლებოდა პრეზიდენტის მიერ იმავე ხანგრძლივობით მეორე ვადით. ქვემოთ განხილულია განცხადებებით მიმართვის პროცედურა დროებითი დაკავების შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებით (იხ. ნინამდებარე განაჩენის უქნეტები 13 და 15).

(ii) დროებითი დაკავების შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებით

13. გარდა ზემოხსენებული გადაუდებელი შემთხვევებისა, არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება სულიერი ავადმყოფობის ან შეშლილობის საფუძველზე დროებითი დაკავების შესახებ სასამართლოს ბრძანებით.

რაიონული სასამართლოს მოსამართლეს (*kantonrechter*) შეუძლია დროებითი დაკავების შესახებ ბრძანების მიღება წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც გაკეთებულია სისხლით ან ქორწინებით ახლო ნათესავის, მეუღლის ან სამართლებრივი წარმომადგენლის მიერ, რომლებიც ცდილობენ პირის დაკავებას საზოგადოებრივი ინტერესებიდან ან მისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე (კანონის მე-12 მუხლი). მოსამართლეს აგრეთვე შეუძლია ამგვარი ბრძანების მიღება იმ სრულწლოვანი პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი მდგომარეობა მოითხოვს სათანადო მკურნალობას (მე-15 მუხლი). გარდა ამისა, დროებითი დაკავების შესახებ ბრძანების მიღება შეუძლია საოლქო სასამართლოს პრეზიდენტს პროკურორის მოთხოვნის (*requisitoir*) საფუძველზე.

კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, განცხადებას ან მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს იმ ექიმის მიერ სულ მცირე შვიდი დღით ადრე შედგენილი დეკლარაცია, რომელსაც აქვს ნიდერლანდებში მუშაობის ლიცენზია, მაგრამ არ მუშაობს იმ დანესებულებაში, რომელსაც უნდა გადაეცეს პაციენტი. დეკლარაციაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ შესაბამისი პირი „სულიერად დაავადებულია (*toestand van krankzinnigheid*) და რომ მისი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აუცილებელი ან სასურველია“. განცხადება ასევე შეიძლება შეიცავდეს ფაქტებსა და დოკუმენტებს, რომლებიც ამკარად მიუთითებს სულიერი ავადმყოფობის მდგომარეობის შესახებ, თუმცა ეს არ არის სავალდებულო.

1970 წლის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ სამედიცინო დეკლარაცია შედგენილი უნდა იქნეს იმ ფსიქიატრის მიერ, რომელიც თვითონ უშუალოდ არ მკურნალობს პაციენტს; რამდენადაც შესაძლებელია, მასში დასაბუთებულად უნდა იყოს აღნიშნული, არის თუ არა პაციენტის მდგომარეობის

რეობა იმგვარი, რომ უაზრო ან სამედიცინო თვალსაზრისით მიზანშეუწონელი იქნებოდა, მისთვის სასამართლოს მოესმინა. ფსიქიატრმა, თუ შეუძლია, პირველ რიგში, რჩევა უნდა ჰკითხოს ოჯახის ექიმს.

14. მოსამართლე იღებს ბრძანებას დროებითი დაკავების შესახებ, თუ სამედიცინო დეკლარაცია, გამომდინარე ფაქტებთან უშუალო კავშირიდან ან მიწოდებული დოკუმენტებიდან, ადეკვატურად ადგენს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობა აუცილებელი ან სასურველია (კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი).

1972 წლამდე განცხადების ან თხოვნის განხილვა არ ექვემდებარებოდა რაიმე შემზღვეველ ფორმალობებს. მე-17 მუხლის თანახმად (ის ვერსია, როგორი სახითაც იგი ძალაში იყო წინამდებარე საქმის გარემოებების დროს), მოსამართლეს ჰქონდა კომპეტენცია, მოესმინა პირისათვის, რომლის დაკავების საკითხიც წყდებოდა. ზემოხსენებული კანონის შედეგად, ახლა უკვე მოსამართლე ვალდებულია, მოუსმინოს პირს, თუ იგი არ დაასკვნის სამედიცინო დეკლარაციიდან, რომ ეს უაზრო ან სამედიცინო თვალსაზრისით მიზანშეუწონელია; მას შეუძლია თავისი შეხედულებით ან შესაბამისი პირის თხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს ეს უკანასკნელი სამართლებრივი დახმარებით (მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი). მოსამართლემ უნდა მოიძიოს ყველა შესაძლო ინფორმაცია როგორც იმ პირისაგან, რომელმაც მიმართა განცხადებით ან თხოვნით მე-12 ან მე-13 თავების შესაბამისად, ისე ზოგიერთი სხვა პირისაგან (მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი) და შეუძლია, თუ შესაფერისად მიაჩნია, გამოიძახოს ის პირი, ვინც მიმართა დაკავების შესახებ ბრძანების თაობაზე მე-12 მუხლის შესაბამისად (მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი).

15. დროებითი დაკავების შესახებ ბრძანება არ ექვემდებარება გასაჩივრებას და, უფრო მეტიც, არ ეცნობება შესაბამის პირს (17-ე მუხლი); იგი ძალაშია ექვსი თვის განმავლობაში (22-ე მუხლი).

ხსენებული ბრძანება, მსგავსად დაკავების შესახებ ბრძანებებისა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 16 და 17), იძულებითი დაკავების ნებას რთავს და არა ავალდებულებს და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ის არც კი შესრულდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ჯერ არ არის ჰოსპიტალიზებული, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსება უნდა მოხდეს თოთხმეტი დღის განმავლობაში სასამართლოს ბრძანების მიღებიდან (მე-17 და მე-18 მუხლები). სისხლით ან ქორწინებით უახლოეს ნათესავს, მეუღლეს ან სამართლებრივ წარმომადგენელს უნდა ეცნობოს პაციენტის საავადმყოფოში მოთავსების შესახებ ბურგომისტის მიერ, რომელსაც შეატყობინა სასამართლომ ან პროკურორმა (მე-19 მუხლი). სამედიცინო დეკლარაცია, რომელსაც ეფუძნება მოსამართლის გადანიშნულება, უნდა გადაეცეს პაციენტის მკურნალ ექიმს. ეს ექიმი ვალდებულია, პირველი ორი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად შეიტანოს რეესტრში თავისი ინფორმაცია, შემდეგ – ყოველკვი-

რეულ საფუძველზე ექვსი თვის განმავლობაში, შემდეგ კი – ყოველთვიურად (მე-20 მუხლი).

საავადმყოფოში მოთავსებიდან ორი კვირის განმავლობაში პაციენტის მკურნალობაზე პასუხისმგებელი ექიმი ვალდებულია, გაუგზავნოს დასაბუთებული დეკლარაცია პაციენტის სულიერი მდგომარეობისა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი ყოფნის ვადის გაგრძელების აუცილებლობის ან არასასურველობის შესახებ იმ რაიონის პროკურორს, რომელშიც მოთავსებულია ფსიქიატრიული საავადმყოფო (21-ე მუხლი).

(iii) დაკავების შესახებ ბრძანების გაცემა

16. დროებითი დაკავების შესახებ ბრძანების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში საოლქო სასამართლოს შეიძლება წარედგინოს შემდგომი განცხადება ან თხოვნა, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის გაგრძელებას ერთ წლამდე. ნებისმიერ ასეთ განცხადებას ან თხოვნას თან უნდა ერთვოდეს პასუხისმგებელი ექიმის სამედიცინო ჩანაწერები მისივე დასაბუთებულ დეკლარაციასთან ერთად, თუ რამდენად აუცილებელი ან სასურველია პაციენტისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის გაგრძელება (22-ე მუხლი).

არ არის აუცილებელი, პაციენტს ეცნობოს განცხადების ან თხოვნის ანდა მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების შესახებ.

17. განცხადების ან თხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საოლქო სასამართლო (23-ე მუხლი). სასამართლო, გარდა იმისა, რომ უნდა მოუსმინოს პროკურორს, არ არის ვალდებული, მისდიოს რაიმე პროცედურას. მას შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულება მონმეების ან სხვა წყაროებისაგან, მოუსმინოს პაციენტს, მისცეს მას სამართლებრივი დახმარება და მოეთათბიროს ექსპერტებს, მაგრამ იგი არ არის ვალდებული, ასე მოიქცეს. საქმის განხილვის დროს პაციენტი ვალდებულია, დარჩეს დანესებულებაში, თუ საჭიროა, დროებითი დაკავების ბრძანების მიღების შემდეგ ექვს თვეზე მეტი ხნითაც.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას, არ ცხადდება საჯაროდ და არც შესაბამის პირს ეცნობება. ფაქტობრივად, საავადმყოფოს ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, როგორ და როდის იქნება გამართლებული ამგვარი შეტყობინება სამედიცინო თვალსაზრისით.

ზოგადი წესის თანახმად, სამოქალაქო საქმეების განხილვისას საოლქო სასამართლო იკრიბება სულ მცირე სამი მოსამართლისაგან შემდგარი პალატის სახით („სასამართლო მოწყობის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). თუმცა ხსენებულმა პალატამ შეიძლება ამგვარი საქმე გადასცეს ერთი მოსამართლისაგან შემდგარ პალატას (*enkelvoudige kamer*), თუ ეს შესაფერისად მიაჩნია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

288-ე (ბ) მუხლი). თითოეულ საოლქო სასამართლოს აქვს თავისი რეგლამენტი (*reglement van orde*), რომელიც დამტკიცებულია სამეფო დეკრეტით უზენაესი სასამართლოს (*Hoge Raad*) რეკომენდაციით. უტრეხტის საოლქო სასამართლოს რეგლამენტის თანახმად, რომელიც ძალაში იყო მოცემულ დროს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 25 და 26), დაკავებასთან და პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნასთან დაკავშირებული ყველა საქმის განხილვის იურისდიქცია ჰქონდა ერთი მოსამართლისაგან შემდგარ პალატას.

(iv) დაკავების შესახებ ბრძანების განახლება

18. არაუმეტეს თოთხმეტი დღისა და არანაკლებ რვა დღისა სასამართლოს ბრძანებით გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე საოლქო სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნეს პაციენტის დაკავების ვადის ერთ წლამდე გაგრძელების შესახებ განცხადება ან თხოვნა („სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლი).

იგივეა კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების შესახებ ბრძანების შემდგომი პროცედურა. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როდის უნდა გამოიტანოს დადგენილება სასამართლომ.

(v) დაკავების შესახებ ბრძანების დროებით შეჩერება ან შეწყვეტა

19. დანესებულების მთავარმა ექიმმა პაციენტს შეიძლება განსაზღვრული ვადით მისცეს დროებითი გათავისუფლების (*verlof*) ნებართვა (27-ე მუხლი).

20. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხელმძღვანელობას შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს (*ontslag*) პაციენტი ზემოხსენებული ექიმის წერილობითი დეკლარაციის საფუძველზე, თუ მასში ნათქვამია, რომ პაციენტს არ აღენიშნება სულიერი ავადმყოფობის არავითარი ნიშნები ან რომ მისი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღარ არის აუცილებელი ან სასურველი (28-ე მუხლი).

პაციენტის გათავისუფლებაზე წერილობითი თხოვნით საავადმყოფოს ხელმძღვანელობას შეიძლება მიმართოს უშუალოდ პაციენტმა, ასევე იმ პირმა, რომელმაც მიმართა მისი დაკავების თხოვნით ან, ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, სისხლით ან ქორწინებით სხვა ნათესავმა, რომლებიც მოხსენიებულნი არიან მე-12 მუხლში (1970 წლის კანონის მიღებამდე მოქმედი კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ უნდა მოეთათბიროს დანესებულების მთავარ ექიმს და, თუ იგი თანახმა იქნება, უნდა გაათავისუფლოს პაციენტი. თუ ექიმის მოსაზრება უარყოფითია, ხელმძღვანელობამ თხოვნა ექიმის მოსაზრებასთან ერთად უნდა გადასცეს პროკურორს, რომელიც გადასცემს მათ საოლქო

სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო პროცედურა ამ თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც გამოიყენება დაკავების შესახებ ბრძანების მიღებასთან მიმართებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 17); სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას (29-ე მუხლის პუნქტები 2 და 4).

თუმცა პროკურორი არ არის ვალდებული, თხოვნა სასამართლოს გადასცეს, თუ თხოვნის დაკმაყოფილება აშკარად შეუძლებელია (*indien het verzoek klaarblijkelijk niet voor inwilliging vatbaar is*), თუ წინა თხოვნა კვლავ განხილვის სტადიაშია ან თუ სასამართლომ უკვე უარი თქვა მსგავსი თხოვნის დაკმაყოფილებაზე დაკავების შესახებ ბრძანებით გათვალისწინებულ პერიოდში და გარემოებები არ შეცვლილა (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

პროკურორი, რომელიც პასუხისმგებელია ფსიქიატრიული საავადმყოფოების ზედამხედველობაზე, ვალდებულია, გამოიკვლიოს, რომ ამგვარ დაწესებულებაში არაფერ იყოს დაკავებული უკანონოდ. თუ დაწესებულების მთავარი ექიმი თანახმაა, პროკურორს შეუძლია მიიღოს ბრძანება იმ პაციენტის გათავისუფლების თაობაზე, რომლის დაკავების ვადის გაგრძელებასაც იგი საჭიროდ არ მიიჩნევს. თუ მთავარი ექიმი არ არის თანახმა, პროკურორს შეუძლია გადასცეს საქმე საოლქო სასამართლოს. თუ პროკურორს საეჭვოდ მიაჩნია პაციენტის დაკავების ვადის გაგრძელების აუცილებლობა, მან საქმე სასამართლოს უნდა გადასცეს; იგი ვალდებულია, ასე მოიქცეს, თუ ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორი (30-ე მუხლი).

როდესაც დაკავების შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული პერიოდი ამოიწურება, საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ პროკურორს უნდა აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ რვა დღის განმავლობაში და თუ დაკავების ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადება არ იქნება წარმართული სასამართლოში, უნდა ბრძანოს პაციენტის გათავისუფლება, თუ არ დაასკვნის მთავარი ექიმის დასაბუთებული წერილობითი დეკლარაციიდან, რომ ასეთი ნაბიჯი საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან თავად უნდა მიმართოს სასამართლოს დაკავების ვადის გაგრძელების თაობაზე თხოვნით (31-ე მუხლი).

(vi) დაკავება და სამოქალაქო ქმედუნარიანობა

21. ნებისმიერი სრულწლოვანი პირი, რომელიც მოთავსებულია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ავტომატურად კარგავს ქმედუნარიანობას, განკარგოს თავისი ქონება (32-ე მუხლი). შედეგად, ყველა ხელშეკრულება, რომელსაც დებს შესაბამისი პირი დაკავების შემდეგ, არის ბათილი. ამავდროს მას არ შეუძლია კანონიერად გადასცეს თავისი ქონება ან ოპერირება მოახდინოს თავის საბანკო ანგარიშებზე. პაციენტი მხოლოდ მას შემდეგ

დაიბრუნებს ქმედუნარიანობას, განკარგოს თავისი ქონება, როდესაც ოფიციალურად იქნება გათავისუფლებული და არა, მაგალითად, დროებით.

საოლქო სასამართლოს შეუძლია, ადამიანის დაკავების მოთხოვნაზე უფლებამოსილი ნებისმიერი პირის განცხადების ან პროკურორის თხოვნის საფუძველზე, დაუნიშნოს დროებითი განმკარგულებელი (*provisioneel bewindvoerder*) ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მოთავსებულია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, თუ ეს იქნება მიჩნეული აუცილებლად ან სასურველად (33-ე მუხლი). გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლში ჩამოყალიბებული ზოგადი წესი უფლებას აძლევს საოლქო სასამართლოს, დაუნიშნოს მეურვე (*curator*) პირს, რომელიც არის ან არ არის დაკავებული და რომელსაც სულიერი ავადმყოფობის ან ალკოჰოლიზმის გამო აღარ შეუძლია თავისი საქმეების წარმართვა.

(vii) პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტი

22. კანონპროექტის ძირითადი მიზანია სულიერად დაავადებული პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება: კანონპროექტი ითვალისწინებს იმ პროცედურული გარანტიების განმტკიცებას, რომლებიც თან სდევს პირის დაკავებას, და აძლევს უფრო მეტ თავისუფლებას საავადმყოფოს ფარგლებში.

ამდენად, კრიტიკრიუმში, რომელიც ამართლებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას, უნდა იყოს ისეთი სახის, რომ პირი, თავისი სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით, „საფრთხეს უქმნიდეს საკუთარ თავს, სხვებს ან სხვა პირებისა თუ ქონების ზოგად უსაფრთხოებას“. შესაბამისობის შემდგომი ცვლილებები გულისხმობს, რომ: კომპეტენტური სასამართლო ყველა საფეხურზე იქნება საოლქო სასამართლოს ერთი მოსამართლისაგან შემდგარი პალატა; ბრძანება დროებითი დაკავების შესახებ ძალაში იქნება მხოლოდ სამი კვირის განმავლობაში; ბრძანების მიღებამდე ან გათავისუფლების თხოვნის გადანყვეტამდე სასამართლომ, ზოგადი წესის შესაბამისად, უნდა მოუსმინოს შესაბამის პირს; ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს შეუძლია გადანყვეტოს, არ მოუსმინოს პაციენტს, იქნება მაშინ, როდესაც ის განიხილავს განცხადებას ან თხოვნას პირველი დაკავების შესახებ, ანუ სამი კვირის შემდეგ დროებითი დაკავების შესახებ ბრძანების მიღებიდან; სასამართლო ვალდებული იქნება, შესაბამისი პირი თხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს სამართლებრივი დახმარებით; გათვალისწინებული იქნება დაკავების შესახებ ბრძანების გასაჩივრების შესაძლებლობა; ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ავტომატურად არ გამოიწვევს სამოქალაქო ქმედუნარიანობის დაკარგვას.

ბ. საქმის კონსერვაციული ფაქტები

23. 1967 წლის 28 მარტიდან 12 სექტემბრამდე ბ-ნი ვინტიერვერპი ნებაყოფლობით მკურნალობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. აღნიშნულ პერიოდამდე ცოტა ხნით ადრე მან ავარიის დროს, როგორც ჩანს, მიიღო ტვინის სერიოზული დაზიანება. 1968 წლის 17 მაისს იგი მოთავსებული იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში *Zon en Schild* („მზე და ფარი“) ამერსფორტის ბურგომისტრის განკარგულების საფუძველზე გადაუდებელი პროცედურის შესაბამისად, რომელიც მაშინ იყო ძალაში სულიერად დაავადებული პირების შესახებ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 12). გარემოებები, რომლებმაც დააჩქარა აღნიშნული გადანყვეტილება, იმაში მდგომარეობდა, რომ განმცხადებელმა მოიპარა დოკუმენტები ადგილობრივი რეესტრიდან. იგი დააკავა პოლიციამ, შემდეგ კი ნახეს პოლიციის საკანში შიშველ მდგომარეობაში მნოლიარე. პროკურორმა დაკავების ვადა გააგრძელა, რაც შესაძლებელი იყო მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

24. 1968 წლის 24 ივნისს, „გადაუდებელი“ დაკავების მოქმედების დროს, ბ-ნი ვინტიერვერპის მეუღლემ სტანდარტული ფორმით მიმართა ამერსფორტის რაიონულ სასამართლოს ბ-ნი ვინტიერვერპის დროებითი დაკავების შესახებ *Zon an Schild*-ის საავადმყოფოში როგორც საზოგადოებრივი წესრიგის, ისე მისი ქმრის ინტერესებიდან გამომდინარე.

განცხადებას თან ერთვოდა 20 ივნისით დათარიღებული სამედიცინო დეკლარაცია ზოგადი სამედიცინო პრაქტიკოსისა, რომელმაც იმ დღეს პირველად გამოიკვლია პაციენტი. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ პაციენტი დაკავებული იქნა 1966 წელს „მკვლელობის მცდელობისათვის“ და გადიოდა ფსიქიატრიულ მკურნალობას 1967 წელს. დეკლარაციაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ პაციენტი იყო „შიზოფრენიკი, ჰქონდა წარმოსახვითი და უტოპიური იდეები და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აყენებდა გამოუსწორებელ ზიანს როგორც საკუთარ თავს, ისე თავის ოჯახს“ და რომ იგი „ვერ ათვითცნობიერებდა თავის ავადმყოფობას“. დასკვნაში ექიმმა აღნიშნა, რომ „მოცემულ მომენტში“ არ შეიძლებოდა პაციენტის „საზოგადოებაში თავისუფლად დატოვება“.

24 ივნისს აღნიშნული დეკლარაციის საფუძველზე რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა განცხადება და მიიღო ბრძანება განმცხადებლის დროებითი დაკავების თაობაზე ისე, რომ, პირველ რიგში, არ განახორციელა თავისი უფლებამოსილება, მოესმინა მისთვის ან მიეღო ექსპერტის კონსულტაცია.

25. 1968 წლის 1 ნოემბერს განმცხადებლის მეუღლემ მიმართა უტრეხტის საოლქო სასამართლოს თავის ქმართან მიმართებაში ერთი წლის ვადით დაკავების შესახებ ბრძანების გამოტანის თაობაზე.

მის განცხადებას თან ერთვოდა მკურნალი ექიმის ყოველდღიური და ყოველკვირეული ჩანაწერები, ისევე, როგორც დეკლარაცია იმის შესახებ,

თუ რამდენად იყო აუცილებელი ან სასურველი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შემდგომი მკურნალობა.

ხსენებული დოკუმენტების საფუძველზე ერთი მოსამართლისაგან შემდგარმა პალატამ, რომელიც ამგვარი საქმეების მოსმენაზე იყო პასუხისმგებელი, 1968 წლის 23 დეკემბერს მიიღო ბრძანება.

26. 1969 წლის 16 დეკემბერს, ქ-ნი ვინტერვერპის განცხადების შედეგად და მკურნალი ექიმის ყოველთვიური ჩანაწერებისა და წინა წლის დეკლარაციის იდენტური დეკლარაციის საფუძველზე, ერთი მოსამართლისაგან შემდგარმა პალატამ მიიღო ბრძანება დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ 1969 წლის 23 დეკემბრიდან „აუცილებლობის შემთხვევაში ერთი წლის ვადით“.

1970 წლის 6 აგვისტოს განმცხადებელი გადაყვანილი იქნა *Rijks Psychiatrische Inrichting*-ში („სახელნიფო ფსიქიატრიული დაწესებულება“) ეინდჰოვენში. საავადმყოფო საკმაოდ შორს იყო ბ-ნი ვინტერვერპის ცოლის სახლიდან, რომლის მონახულებაც მას ამ დრომდე ხშირად შეეძლო.

27. 1970 წლის 14 დეკემბერს *'s-Hertogenbosch*-ის პროკურორმა მოითხოვა დაკავების შესახებ ბრძანების ვადის გაგრძელება შემდეგი ერთი წლის ვადით იმ ექიმის ყოველთვიური ჩანაწერების საფუძველზე, რომელიც თანმიმდევრულად მკურნალობდა ბ-ნ ვინტერვერპს, და ეინდჰოვენში მკურნალი ექიმის დეკლარაციის საფუძველზე. ამ დეკლარაციაში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:

„პაციენტი განიცდის სულიერ ავადმყოფობას, რომელსაც ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: ფსიქოპათური პიროვნულობა, ჩხუბისადმი მიდრეკილება და ინტრიგული ხასიათი, პარანოიისადმი მიდრეკილება, არასაიმედოობა; პაციენტი ავლენს ჭკუასუსტობის ნიშნებს ... ემოციური თავშეუკავებლობის ფორმით; მას ახასიათებს ეგოცენტრული მიდრეკილება; საჭიროებს მკაცრ ზედამხედველობასა და სპეციალურ მოვლას. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის გაგრძელება აუცილებელია.“

1971 წლის 7 იანვარს, ანუ პირველი ბრძანების ვადის ამონურვიდან ორი კვირის შემდეგ, საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციის საერთო პალატამ *'s-Hertogenbosch*-ში დაკავების ვადა ერთი წლით გააგრძელა.

28. 1971 წლის 21 დეკემბერს, 1972 წლის 15 დეკემბერსა და 1973 წლის 14 დეკემბერს იმავე სასამართლომ კვლავ თითო წლით გააგრძელა დაკავების შესახებ ბრძანებები პროკურორის თხოვნებისა და მკურნალი ექიმის (რომელიც 1972 წლის განმავლობაში შეიცვალა) ყოველთვიური სამეციდინო ჩანაწერებისა და იდენტური დეკლარაციების საფუძველზე. 1974 წლის 19 დეკემბერსა და 1975 წლის 15 დეკემბერს საოლქო სასამართლომ კვლავ დააკმაყოფილა პროკურორის ანალოგიური მოთხოვნები. ბრძანება უკანასკნელად 1977 წლის დეკემბრიდან იქნა გაგრძელებული.

29. სასამართლოებს ყოველწლიურად წარედგინებოდათ სამედიცინო ჩანაწერები, თუმცა მეტისმეტად მოკლე, რომლებშიც მითითებული იყო, რომ განმცხადებელი ავლენდა შიზოფრენიულ და პარანოიალურ რეაქციებს, რომ იგი ვერ ათვისებდა საკუთარ პათოლოგიურ მდგომარეობას და რამდენიმე შემთხვევაში ჩაიღინა საკმაოდ მძიმე ქმედებები მათი შედეგის გაუცნობიერებლად. მაგალითად, ჩანაწერებში ნათქვამი იყო, თუ როგორ წავიდა ბ-ნი ვინტერვერპი რალაც ფანტასტიკური გეგმების განსახორციელებლად თავისი ოჯახის მთელი დანაზოგით საზღვარგარეთ და როგორ აღმოჩნდა სულ მალე უკაპიკოდ, მაგრამ ვერ გაათვითცნობიერა, როგორ მიატოვა თავისი ოჯახი და რამდენად დამოკიდებული იყო თვითონ საკონსულოზე, რომელიც დაეხმარა მას და დააბრუნა სამშობლოში.

30. 1969 წლის თებერვალში განმცხადებელმა პირველად მიმართა საავადმყოფოს ხელმძღვანელობას გათავისუფლების შესახებ თხოვნით კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 20). საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ თხოვნა გადასცა პროკურორს, რომელმაც, თავის მხრივ, გადასცა საოლქო სასამართლოს. ამ უკანასკნელმა საავადმყოფოში პაციენტის მოსმენის შემდეგ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

1971 წლის აპრილში საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ პროკურორს გაუგზავნა მეორე თხოვნა უარყოფითი რეკომენდაციით. ბ-ნი ვინტერვერპის მოსმენის შემდეგ პროკურორმა, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უარყო თხოვნა საოლქო სასამართლოსათვის გადანყვეტილების მისაღებად მისი გადაცემის გარეშე. იგივე განმეორდა მესამე განცხადების მიმართაც 1972 წლის ივლისში.

1973 წლის 20 თებერვალს პაციენტმა კვლავ მიმართა გათავისუფლების თხოვნით *Rijks Psychiatrisch Inrichting*-ის ხელისუფლებას. 1973 წლის 26 აპრილს დაწესებულების სამედიცინო დირექტორმა თხოვნა გადასცა პროკურორს თავისი კომენტარებით, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: პაციენტი განიცდიდა პარანოიალურ ფსიქოზს, რომლის განკურნებაც წარმატებით შეიძლებოდა ფსიქოფარმაკოლოგიური მეთოდებით, მაგრამ წინა დროებით გათავისუფლების დროს მან ვერ შეძლო გამოწერილი ნაწილების მიღება და შედეგად რეციდივის გამო ისევ საავადმყოფოში მოხვდა; ზომები იქნა მიღებული პაციენტის საზოგადოებაში თანდათანობითი რეინტეგრაციისთვის და იგი მთელ ღამეებს საავადმყოფოს გარეთ ატარებდა; ჯანმრთელობის გაუარესების გამო მისი გათავისუფლების ძალიან მცირე საფუძველი არსებობდა. ამ მოსაზრების საფუძველზე და ბ-ნი ვინტერვერპის მოსმენის შემდეგ პროკურორმა კვლავ უარი თქვა მისი თხოვნის დაკმაყოფილებაზე და თავი შეიკავა, გადაეცა თხოვნა საოლქო სასამართლოსათვის. მან თავისი გადანყვეტილება განმცხადებელს 1973 წლის 17 მაისს შეატყობინა.

განმცხადებლის ოთხი თხოვნა გათავისუფლების თაობაზე წარმოადგენდა უბრალო განცხადებებს, რომ იგი არ იყო სულიერად ავადმყოფი,

რომ მას ტყუილად ედებოდა ბრალი სამართალდარღვევაში და რომ იგი არ უქმნიდა საფრთხეს არც საკუთარ თავსა და არც სხვებს. პროკურორმა სამი ბოლო თხოვნა არ გადასცა სასამართლოს, რადგან მათი დაკმაყოფილება აშკარად შეუძლებელი ჩანდა.

31. ბ-ნი ვინტერვერპს პერიოდულად ათავისუფლებდნენ. სულ მცირე ოთხ შემთხვევაში – 9 თვით 1974 წელს, ოთხი თვით – 1976-1977 წლებში, ერთი თვითა და ორნახევარი თვით – 1978 წელს – მას მიეცა ნება, საავადმყოფოს გარეთ ეცხოვრა ექსპერიმენტულ საფუძველზე. შემდეგ მას ყოველთვის აბრუნებდნენ საავადმყოფოში. მტკიცებულებაში მითითებულია რამდენიმე მიზეზი: მან ვერ შეძლო დანიშნული მკურნალობის კურსის გაგრძელება; მისი საცხოვრებელი ბინძური იყო; სულ ახლახანს, გერმანიაში ხეტიალის დროს, ჩაამტვრია ფანჯარა.

32. დაკავებისა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ ბ-ნმა ვინტერვერპმა ავტომატურად დაკარგა თავისი ქონების განკარგვის ქმედუნარიანობა (კანონის 32-ე მუხლი; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 21). მისთვის არ დაუნიშნავთ არავითარი დროებითი განმკარგულებელი (33-ე მუხლი) და მის საქმეებს, როგორც ჩანს, თავდაპირველად მისი მეუღლე განაგებდა. შემდეგ, 1971 წლის 11 აგვისტოს, საოლქო სასამართლომ მას დაუნიშნა მეურვე (სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლი). მეურვეს ბ-ნი ვინტერვერპის გათავისუფლების თაობაზე არავითარი თხოვნა არ წარუდგენია.

სამართალწარმოება კომისიაში

33. კომისიაში 1972 წლის 13 დეკემბერს შეტანილ განაცხადში ბ-ნი ვინტერვერპი საჩივარს გამოთქვამდა, რომ მას თვითნებურად აღუკვეთეს თავისუფლება, რომ არ მისცეს ნება, მისთვის მოესმინა სასამართლოს და არ შეატყობინეს ინფორმაცია იმ გადანყვეტილებების შესახებ, რომლებითაც მისი დაკავების ვადა რამდენჯერმე იქნა გაგრძელებული.

1975 წლის 30 სექტემბერს კომისიამ მიიღო განაცხადი და დააკონკრეტა, რომ მან „განიხილა განაცხადი ... კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებაში“.

საქმის არსებითი განხილვის დროს განმცხადებლის ადვოკატმა შემდეგი პრეტენზია გამოთქვა: მისი კლიენტის მიერ ქონების განკარგვაზე ქმედუნარიანობის ავტომატური დაკარგვა მოიცავდა „მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დადგენას“, რასაც ადგილი ჰქონდა რეალური სასამართლო პროცესის გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.

34. 1977 წლის 15 დეკემბრის მოხსენებაში კომისიამ ერთხმად გამოთქვა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის და არა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. მეორე მხრივ, კომისიამ ჩათვალა,

რომ იგი არ იყო ვალდებული, გამოეთქვა თავისი მოსაზრება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, რამდენადაც „ეს საკითხი ... ეხება იმ ფაქტებს, რომლებიც განსხვავდება თავდაპირველად განსახილველად წარმოდგენილი ფაქტებისაგან და მანამდე არ ყოფილა რაიმე დეტალური განხილვის საგანი“.

სამართალი

I. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

35. უდავოა, რომ 1968 წლიდან, გარდა შეჩერების რამდენიმე პერიოდისა, განმცხადებელს აღეკვეთა თავისუფლება სულიერად დაავადებული პირების შესახებ კანონის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 23-31). იგი ჩივის, რომ გახდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, წინამდებარე საქმესთან მისი მიმართების თვალსაზრისით, შემდეგნაირად იკითხება:

„ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

...

(ე) სულით ავადმყოფების ... კანონიერი დაკავება;

...“

ა. „სულით ავადმყოფების კანონიერი დაკავება“

36. პირველ რიგში, ბ-ნი ვინტერვერპი ამტკიცებს, რომ მისთვის თავისუფლების აღკვეთა არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია სიტყვებში „სულით ავადმყოფების კანონიერი დაკავება“. არც მთავრობა და არც კომისია არ ეთანხმება ამ საჩივარს.

37. კონვენცია არ განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიტყვები „სულით ავადმყოფები“. ეს ისეთი ტერმინია, რომელსაც არ შეიძლება მიეცეს მკაფიოდ განსაზღვრული ინტერპრეტაცია: როგორც კომისიამ, მთავრობამ და განმცხადებელმა მიუთითეს, ამ ტერმინის მნიშვნელობა გამუდმებით განიცდის ევოლუციას, ვინაიდან ვითარდება ფსიქიატრიული კვლევა, მკურნალობა სულ უფრო მოქნილი ხდება და იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება სულით ავადმყოფების მიმართ, უფრო ფართოდ ვრცელდება სულით ავადმყოფთა პრობლემების უკეთესი გათვითცნობიერება.

ნებისმიერ შემთხვევაში, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ე) ქვეპუნქტი აშკარად არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს ნებას რთავს პირის დაკა-

ვებას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრები ან საქციელი განსხვავდება კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებისაგან. სხვაგვარი განმარტება არ იქნებოდა შესაბამისობაში მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ტექსტთან, რომელიც იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს (იხ. *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 8 ივნისი, სერია A №22, გვ. 24, პუნქტი 57, და საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, 1978 წლის 18 იანვარი, სერია A №25, გვ. 74, პუნქტი 194) იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ექვემდებარება შეზღუდულ ინტერპრეტაციას (იხ. *mutatis mutandis*. *Klaas and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1978 წლის 6 სექტემბერი, სერია A №28, გვ. 21, პუნქტი 42, და *Sunday Times*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1979 წლის 26 აპრილი, სერია A №30, გვ. 41, პუნქტი 65). ეს არც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საგანთან და მიზნებთან იქნებოდა შესაბამისობაში, კერძოდ, იმის უზრუნველყოფასთან, რომ არავის შეიძლება წაერთვას თავისუფლება თვითნებური გზით (იხ. *Lawless*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1961 წლის 1 ივლისი, სერია A №3, გვ. 52, და ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 25, პუნქტი 58). უფრო მეტიც, ეს უგულებელყოფდა თავისუფლების უფლების მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვ. 36, პუნქტი 65, და ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 35, პუნქტი 82 *in fine*).

38. როგორც კონვენცია არ იძლევა „სულით ავადმყოფების“ განმარტებას, ისე ნიდერლანდების კანონმდებლობა არ განმარტავს „სულიერად დაავადებული პირების“ (*krankzinnige*) მნიშვნელობას; კანონმდებლობა ადგენს მხოლოდ აღნიშნული პირების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების საფუძვლებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 11). ამდენად, განცხადებით მიმართვა „სულიერად დაავადებული პირის“ დროებითი დაკავების შესახებ შეიძლება მხოლოდ ან მისი საკუთარი ინტერესებიდან ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე; უნდა არსებობდეს სამედიცინო დეკლარაცია იმ სახით, რომ შესაბამისი პირი „სულიერად დაავადებულია და მისი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აუცილებელი ან სასურველია“ (კანონის მე-12 და მე-16 მუხლები, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 13). რაიონული სასამართლო იღებს ბრძანებას დროებითი დაკავების შესახებ, თუ იგი ჩათვლის, რომ ზემოაღნიშნული პირობა ადეკვატურად არის დადგენილი (კანონის მე-17 მუხლი; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 14). ანალოგიურად, განცხადებას დაკავების ბრძანების თაობაზე, რომლის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლო, თან უნდა ერთვოდეს პასუხისმგებელი ექიმის დასაბუთებული დეკლარაცია, რომ შემდგომი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აუცილებელი ან სასურველია პაციენტისათვის (კანონის 22-ე და 23-ე მუხლები; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 16 და 17). გარდა ამისა, როგორც

მტკიცებულებიდან ჩანს, ბოლო დროს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ნიდერლანდების სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებას „სულეირად დაავადებული პირის“ დაკავების შესახებ, თუ მისი სულიერი მომლობა ისეთი სახის ან ისეთი სიმძიმისაა, რომ იგი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებს; კანონპროექტი, რომელსაც ამჟამად პარლამენტი განიხილავს, მიუთითებს „საფრთხეზე [შესაბამისი პირის] მიმართ, სხვების მიმართ ან ადამიანებისა თუ ქონების ზოგადი უსაფრთხოების“ მიმართ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11 და 22).

ზემოხსენებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მოქმედი კანონი რაიმე გზით არ მოდის შეუსაბამობაში იმ მნიშვნელობასთან, რაც აქვს ცნება „სულით ავადმყოფებს“ კონვენციის კონტექსტში. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირი, რომელიც დაკავებულია „სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ ნიდერლანდების კანონის შესაბამისად, პრინციპში, ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტის მოქმედების ფარგლებში.

39. შემდეგი განსახილველი საკითხი არის დაკავების „კანონიერება“ მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტის მიზნებისათვის. ამგვარი „კანონიერება“, პირველ რიგში, გულისხმობს შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან, აგრეთვე, როგორც ეს დადასტურებულია მე-18 მუხლში, შესაბამისობას იმ შეზღუდვების მიზანთან, რომლებიც ნებადართულია მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტით; ეს მოთხოვნა ეხება თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ბრძანებას, ისევე, როგორც მის აღსრულებას (იხ. ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 28, პუნქტი 68 *in fine*).

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, სასამართლო მიუთითებს, რომ ტერმინი „კანონიერი“ ვრცელდება როგორც პროცედურულ, ისე მატერიალურ ნორმებზე. ამგვარად, არსებობს გარკვეული თანხვედრა ამ ტერმინსა და იმ ზოგად მოთხოვნას შორის, რომელიც მოცემულია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დასაწყისში, კერძოდ, ეს არის „კანონით გათვალისწინებული პროცედურის“ დაცვა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 45).

რა თქმა უნდა, ეს ორი ცნება ასახავს იმ მიზნის მნიშვნელობას, რომელიც საფუძვლად უდევს მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 37) – დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც აღაირებს კანონის უზენაესობას (იხ. *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1975 წლის 21 თებერვალი, სერია A № 18, გვ. 16-17, პუნქტი 34, ზემოხსენებული *Klaas and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 25, პუნქტი 55), არავითარი თვითნებური დაკავება არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონიერად“.

ამგვარადვე, კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს თვითნებურობის არავითარ ელემენტს; კომისიის დასკვნის თანახმად, არავის შეუძლია დააკავოს პირი, როგორც „სულით ავადმყოფი“, ისეთი სამედიცინო მტკიცებულების გარეშე, რომელიც ადგენს, რომ მისი სულიერი მდგომარეობა ამართლებს მის იძულებით ჰოსპიტალიზებას (იხ.

მოსხენების პუნქტი 76). განმცხადებელიც და მთავრობაც იზიარებენ ამ მოსაზრებას.

სასამართლო მთლიანად ეთანხმება დასაბუთების ამგვარ მსვლელობას. სასამართლოს აზრით, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, ადამიანს არ უნდა ალექვეთოს თავისუფლება, თუ დანამდვილებით არ იქნება ნაჩვენები, რომ იგი არის „სულით ავადმყოფი“. სულიერი მოშლილობის, რაც უნდა დადგინდეს კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლების მიერ, ხასიათი საჭიროებს სპეციალურ ობიექტურ სამედიცინო შემოწმებას. უფრო მეტიც, სულიერი მოშლილობა უნდა იყოს ისეთი სახის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს იძულებით დაკავებას. გარდა ამისა, გაგრძელებული დაკავების კანონიერება დამოკიდებულია ამგვარი მოშლილობის სიმძაფრეზე (იხ. *mutatis mutandis*, *Stögmüller*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1969 წლის 10 ნოემბერი, სერია A №9, გვ. 39-40, პუნქტი 4, და ზემოხსენებული *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 43, პუნქტი 82).

40. სასამართლოს უდავოდ აქვს იურისდიქცია, შეამოწმოს დაკავების „კანონიერება“ (იხ. ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 29, პუნქტი 69). ფაქტობრივად, ბ-ნი ვინტერვერპი მიუთითებს უკანონობაზე იმ პროცედურული ხარვეზების საფუძველზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დაკავების შესახებ უკვე განხილული სამი ბრძანების მიღებისას. აღნიშნული მტკიცებები ქვემოთ არის განხილული „კანონით გათვალისწინებულ პროცედურასთან“ მჭიდრო კავშირში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 44-50). ამჟამინდელ კონტექსტში საკმარისია, აღვნიშნოთ: იმის გადანყვეტისას, უნდა იქნეს თუ არა დაკავებული ადამიანი როგორც „სულით ავადმყოფი“, ეროვნულ ხელისუფლებას აქვს გარკვეული დისკრეცია, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს კონკრეტულ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულება; [ვეროპის] სასამართლოს ამოცანაა, კონვენციის შესაბამისად გადასინჯოს ხსენებული ხელისუფლების გადანყვეტილებები (იხ. უპირატესად, *mutatis mutandis*, *Handyside*-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A №24, გვ. 22 და 23, პუნქტები 48 და 50, ზემოხსენებული *Klass and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 23, პუნქტი 49, და ზემოხსენებული *Sunday Times*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 36, პუნქტი 59).

41. წინამდებარე საქმის ფაქტების თანახმად, ეროვნული სასამართლოებისათვის წარდგენილი სამედიცინო მტკიცებულება მიუთითებდა, რომ განმცხადებელი ავლენდა შიზოფრენიულ და პარანოიალურ რეაქციებს, ვერ ათვისებდა თავის პათოლოგიურ მდგომარეობას და რამდენიმე შემთხვევაში ჩაიდინა რეალურად სერიოზული სამართალდარღვევა შედეგების გაუცნობიერებლად. გარდა ამისა, უშედეგოდ დამთავრდა მისი საზოგადოებაში თანდათანობითი რეაბილიტაციის არაერთი მცდელობა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 24, 27, 29 და 30).

42. ბ-ნი ვინტერვერპი აკრიტიკებს სამედიცინო მოხსენებებს და მიიჩნევს, რომ ისინი არ აკმაყოფილებს მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტის მიზნებს. გარდა ამისა, იგი კითხვის ქვეშ აყენებს, რომ ბურგომისტრის თავდაპირველი განკარგულება ფსიქიატრიულ მტკიცებულებას ეფუძნებოდა.

სასამართლოს აზრით, გარემოებები, რომლებმაც დააჩქარა ბურგომისტრის განკარგულების მიღება 1968 წლის მაისში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23), ისეთი ხასიათისაა, რომ ამართლებს „გადაუდებელ“ დაკავებას იმ სახით, როგორც იგი გათვალისწინებულია იმ დროს მოქმედი ნიდერლანდების კანონის შესაბამისად. თუმცა ამგვარი დაკავების ექვს კვირამდე გაგრძელების აუცილებლობა შეიძლება გარკვეულად საეჭვო იყოს, მაგრამ პერიოდი არ არის იმდენად ხანგრძლივი, რომ დაკავება „უკანონოდ“ ჩაითვალოს. მიუხედავად განმცხადებლის კრიტიკისა, სასამართლოს არა აქვს მიზეზი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ სამედიცინო მტკიცებულების ობიექტურობა და საფუძვლიანობა, რომლის შესაბამისადაც ნიდერლანდების სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება განმცხადებლის, როგორც სულით ავადმყოფის, დაკავების შესახებ 1968 წლის ივნისიდან. არც იმაზე მიუთითებს რაიმე, რომ გასაჩივრებული თავისუფლების აღკვეთა უკანონო მიზნით განხორციელდა.

43. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ ბ-ნი ვინტერვერპის სხვადასხვა დროს განხორციელებული დაკავება ნარმოადგენდა „სულით ავადმყოფი პირის თავისუფლების კანონიერ აღკვეთას“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ე) ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში.

ბ. „კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად“

44. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი თავისუფლების აღკვეთა არ განხორციელდა „კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად“. მისი აზრით, აღნიშნული ცნება გულისხმობს სამართლებრივი პროცედურის გარკვეული ელემენტარული პრინციპების პატივისცემას, როგორცაა: პირისათვის ინფორმაციის მიცემა და მისი მოსმენა, სამართალწარმოებისას გარკვეული სახით მონაწილეობის მიღების ნებართვა და სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა. განმცხადებლის მტკიცებით, ამ საქმეში არ იქნა დაცული ხსენებული პრინციპები.

მთავრობამ განმცხადებელს უპასუხა, რომ ნიდერლანდების კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული პროცედურა რეგულარული გადასინჯვის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი მოსამართლის მიერ, რომელიც სამედიცინო დეკლარაციებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას, უეჭველად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც შეიძლება ითვალისწინებდეს ამ თვალსაზრისით მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

კომისიის აზრით, მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტი, გარდა იმისა, რომ ითხოვს სამედიცინო მოხსენების აუცილებელ არსებობას, აგრეთვე უბრა-

ლოდ მიუთითებს შიდა კანონმდებლობაზე მინიმალური პროცედურული გარანტიების ჩამოყალიბების გარეშე.

45. თავის მხრივ, სასამართლო თელის, რომ სიტყვები „კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად“ აუცილებლად მიუთითებს შიდა კანონმდებლობაზე; ეს სიტყვები ხაზს უსვამს შესაბამისი პროცედურის კანონთან შესაბამისობის აუცილებლობას.

თუმცა შიდა კანონმდებლობა თავისთავად შესაბამისობაში უნდა იყოს კონვენციასთან, მათ შორის იმ ზოგად პრინციპებთან, რომლებიც ამკარად გაცხადებულია ან იგულისხმება მასში. ცნებაში, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემულ ტერმინს, იგულისხმება სამართლიანი და მართლზომიერი პროცედურა, კერძოდ, ნებისმიერი ის ღონისძიება, რომლითაც პირს აღეკვეთება თავისუფლება, უნდა მომდინარეობდეს და ხორციელდებოდეს სათანადო ხელისუფლების მიერ და არ უნდა იყოს თვითნებური. „სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ ნიდერლანდების კანონი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 11-20) აკმაყოფილებს ამ პირობას.

46. დაცული იქნა თუ არა განმცხადებლის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული პროცედურა – ეს ის საკითხია, რომლის განხილვის იურისდიქციაც აქვს სასამართლოს (იხ. მაგალითად, ზემოხსენებული *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 38-39, პუნქტები 69-70, და ზემოხსენებული *Engel and others*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 28, პუნქტი 68 *in fine*). მართალია, ჩვეულებრივ, სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის იმის შემოწმება, თუ რამდენად შეასრულა ეროვნულმა ხელისუფლებამ შიდა კანონმდებლობის მოთხოვნები (იხ. *Ringelsen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 16 ივლისი, სერია A №13, გვ. 40, პუნქტი 97), სხვა თვალსაზრისით მას ეხება ისეთი საკითხები, როდესაც, როგორც წინამდებარე საქმეში, მითითებულია შიდა კანონმდებლობა, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში შიდა კანონმდებლობის უგულებელყოფა წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, რის შედეგადაც სასამართლოს შეუძლია და ვალდებულია, განახორციელოს გადასინჯვის გარკვეული უფლებამოსილება (იხ. კომისიის გადაწყვეტილება არსებით განხილვაზე დაშვებადობის შესახებ, განაცხადი №1169/61, *X v. Federal Republic of Germany*, კონვენციის წელიწადი, ტომი 6, გვ. 520-590, 588 გვერდზე).

თუმცა კონვენციით დადგენილი დაცვის სისტემის ლოგიკა ხსენებული გადასინჯვის ფარგლებზე შეზღუდვებს ანესებს. უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ხელისუფლებას, უპირატესად სასამართლოებს, ეკისრება შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება იმ სფეროებშიც კი, რომლებშიც შესაბამისი კანონის ნორმები კონვენციაშია „გათვალისწინებული“: ეროვნული ხელისუფლებას ცალსახად აქვს კომპეტენცია, გადაჭრას ის საკითხები, რომლებიც ამ კუთხით წარმოიშობა (იხ. კომისიის ზემოხსენებული გადაწყვეტილება, *ibid*; აგრეთვე, *mutatis mutandis*, იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 40).

47. ბ-ნი ვინტერვერპი მიუთითებს მისი დაკავების შესახებ ბრძანება-თა ფორმალურ ხარვეზებზე ორი თვალსაზრისით.

48. პირველ რიგში, იგი აპროტესტებს, რომ 1968 წლის 23 დეკემბერსა და 1969 წლის 16 დეკემბერს უტრეხტის საოლქო სასამართლოს ერთი მოსამართლისაგან შემდგარი პალატის მიერ მიღებული ბრძანებები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 25 და 26) იყო „არამართლზომიერი“ ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად. განმცხადებლის მტკიცებით, „სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ კანონის 22-ე-24-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმეების განხილვის ხსენებული პალატისათვის დაქვემდებარების გამო უტრეხტის საოლქო სასამართლოს რეგლამენტი არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე (ბ) მუხლს, რომელიც მიუთითებს ერთი მოსამართლისაგან შემდგარ პალატაზე, რომელიც ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე დამოკიდებულია სულ მცირე სამი მოსამართლისაგან შემდგარი პალატის გადანყვებილებაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 17).

მთავრობა, ნიდერლანდების კანონმდებლობის სხვა დებულებებზე დაყრდნობით, კითხვის ქვეშ აყენებს ამგვარ ინტერპრეტაციას.

კომისია, თავის მხრივ, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „დაკავების შესახებ ბრძანების მიღების კომპეტენცია არ არის უცხო ერთი მოსამართლისაგან შემდგარი პალატისათვის“ (მოხსენების პუნქტი 80 *in fine*).

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში უტრეხტის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვებილება ნაკარნახევი იყო მისი რეგლამენტით, რომელიც დამტკიცებული იქნა სამეფო დეკრეტით *Hoge Raad*-ის (უზენაესი სასამართლო) რეკომენდაციის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 17). საკითხი იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა აღნიშნული რეგლამენტის შინაარსი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, ნამოჭრის პრობლემურ საკითხს ნიდერლანდების კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რომელიც, *Hoge Raad*-ის პრეცედენტული სამართლის არარსებობის შემთხვევაში, როგორც ჩანს, საკამათო რჩება. ამგვარ გარემოებებში სასამართლოს არა აქვს საკმარისი საფუძველი, დაადგინოს, რომ უტრეხტის საოქლო სასამართლო არ მოქმედებდა „კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად“.

49. განმცხადებლის მტკიცებით, მეორე ფორმალური ხარვეზი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 1969 წლის 16 დეკემბერს მიღებული ბრძანება დაკავების შესახებ ამოიწურა, სანამ მას 1971 წლის 7 იანვარს გააგრძელებდა *'s-Hertogenbosch*-ის საოლქო სასამართლო (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 27). განმცხადებლის დასკვნით, მისი დაკავება, პირველ რიგში, გახდა უკანონო, ვინაიდან გაგრძელდა დადგენილ დროზე მეტი ხნით; მეორე მხრივ, 1971 წლის 7 იანვრის ბრძანება არ შეესაბამებოდა კანონს, რადგან ვადა უკვე გაუვიდა.

ამის საპასუხოდ მთავრობამ განმარტა, რომ, როდესაც არსებობს პროკურორის თხოვნა დაკავების ვადის გაგრძელების თაობაზე, წინა ბრძანება

რჩება ძალაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. „სულიერად დაავადებულ პირთა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, თხოვნა შეტანილი უნდა იქნეს წინა ბრძანების ამონაწერამდე ცოტა ხნით ადრე, მაგრამ არ აკონკრეტებს, როდის უნდა გამოიტანოს დადგენილება საოლქო სასამართლომ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 18). კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორმა თავისი თხოვნა წარადგინა 1970 წლის 14 დეკემბერს, ანუ დადგენილ პერიოდში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 27).

სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის ზოგად განმარტებას. უფრო მეტიც, რამდენადაც საქმე ეხება სპეციფიკურ ფაქტებს, არ დგას საკითხი, რომ დაყოვნებამ გამოიწვია თავისუფლების თვითნებური აღკვეთა: ორი კვირის ინტერვალის წინა ბრძანებასა და შემდგომ ბრძანებას შორის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულად ან გადამეტებულად.

50. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი დაკავებული იქნა „კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად“.

ბ. მკურნალობის შესაძლო უფლება

51. ბ-ნი ვინტერვერპის მტკიცებით, მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც დაკავებულია როგორც „სულით ავადმყოფი“, უფლება აქვს სათანადო მკურნალობაზე, რათა იგი არ იყოს დაკავებული იმაზე მეტ ხანს, რაც აბსოლუტურად აუცილებელია. თავის მდგომარეობასთან დაკავშირებით განმცხადებელი ჩივის, რომ ფსიქიატრთან მისი შეხვედრები მეტისმეტად ხანმოკლე და არარეგულარული იყო. ამავე დროს, მისთვის აღმოჩენილი მკურნალობა მხოლოდ დამანყნარებელი საშუალებების მიღებით შემოიფარგლებოდა.

მთავრობამ კატეგორიულად უარყო აღნიშნული მტკიცებები.

სასამართლო, ისევე, როგორც კომისია, მიიჩნევს, რომ სულით ავადმყოფი პაციენტის უფლება მისი მდგომარეობისათვის შესაფერის მკურნალობაზე არ შეიძლება გამომდინარეობდეს მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტიდან. უფრო მეტიც, მტკიცებულება არ შეიცავს არანაირ სხვა მინიშნებას, რომელიც ეხება კონვენციის რომელიმე სხვა დებულების დარღვევას მკურნალობასთან მიმართებაში.

დ. დასკვნა

52. ამგვარად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი (ე) პუნქტის დარღვევას.

II. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

53. განმცხადებელი ასევე ეყრდნობა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვით:

„დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებააღკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

სასამართლო ვალდებულია, განიხილოს აღნიშნული საჩივარი, თუმცა არ დადგინდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა (იხ. ზემოხსენებული *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 39-40, პუნქტი 73).

ა. დაკავების თაობაზე გურგომისტრის თავდაპირველი განკარგულება, აგრეთვე რაიონული და საოლქო სასამართლოების ბრძანებები

54. ბ-ნი ვინტერვერპი თავდაპირველად დაკავებული იქნა 1968 წლის 17 მაისიდან 24 ივნისამდე ამერსფორტის ბურგომისტრის განკარგულების საფუძველზე. დაკავების შესახებ ხსენებული გადაწყვეტილება, მიღებული გადაუდებელი პროცედურის თანახმად, რომელიც „სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ ნიდერლანდების კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ძალაში იყო სამი კვირის განმავლობაში, მაგრამ დაკავების ვადა გაგრძელებული იქნა პროკურორის მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23).

მეორე მხრივ, განმცხადებლის შემდგომი დაკავება არ იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგი. კანონის მე-17, 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, 1968 წლის 24 ივნისის დროებითი დაკავების შესახებ ბრძანება მიღებული იქნა ამერსფორტის რაიონული სასამართლოს მიერ, 1968 წლის 23 დეკემბრის ბრძანება – უტრეხტის საოლქო სასამართლოს მიერ, ხოლო შემდგომი ბრძანებები – უტრეხტისა და *'s-Hertogenbosch*-ის საოლქო სასამართლოების მიერ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 24-28).

55. ზემოხსენებულ *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე 1971 წლის 18 ივნისს გამოტანილ განაჩენში (გვ. 40, პუნქტი 76) სასამართლომ განაცხადა:

„როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება პირისათვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ, ... მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, დაპატიმრებული პირისათვის ხელმისაწვდომი გახადონ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება; მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ იგივე გამოიყენება, როდესაც

საც სასამართლო გადაწყვეტილებას დახურულ სხდომაზე იღებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ჩართულია გადაწყვეტილებაში; ...”

თავის პრეცედენტულ სამართალზე მითითებით კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ გამოიყენება „სუ-ლით ავადმყოფობის“ საფუძველზე პირების დაკავებასთან მიმართებაში მაშინ, როდესაც დაკავება განუსაზღვრელი პერიოდით ხორციელდება (იხ. მოხსენების 95-ე პუნქტი).

როგორც უკვე მითითებული იყო წინამდებარე განაჩენში, საფუძველბ-მა, რომლებიც თავდაპირველად ამართლებდა ამ სახის დაკავებას, შეიძლება შეწყვიტოს არსებობა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 39 *in fine*). შესაბამისად, მე-5 მუხლის დანიშნულებასა და მიზანთან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 37) წინააღმდეგობაში იქნებოდა მე-4 პუნქტის ინტერპრეტაცია, კონტექსტიდან გამომდინარე, იმგვარად, რომ დაკავების აღნიშნული კატეგორია გამოირიცხოს კანონიერების შემდგომი გადასინჯვისაგან მხოლოდ იმ პირობით, რომ თავდაპირველი გადაწყვეტილება მიღებული იქნა სასამართლოს მიერ. განსახილველი თავისუფლების აღკვეთის უშუალო ხასიათი მოითხოვს, რომ კანონიერების განხილვა ხდებოდეს გონიერულ ინტერვალებში. თუმცა, როგორც კომისია აცხადებს თავისი მოხსენების 95-ე პუნქტში, ამ საკითხის შემდგომი განხილვა ზედმეტია იმის დადგენამდე, სინამდვილეში იქნა თუ არა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომლებმაც ზემოქმედება მოახდინა ბ-ნი ვინტერვერპის საქმეზე, „სასამართლო პროცესის“ შემდეგ (*recours devant un tribunal*) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით.

56. არც ბურგომისტრს, რომელმაც მიიღო თავდაპირველი განკარგულება დაკავების შესახებ, და არც პროკურორს, რომელმაც გააგრძელა მისი დაკავების ვადა, არ შეიძლება მიენეროთ, რომ მათ გააჩნიათ „სასამართლოსათვის“ დამახასიათებელი ნიშნები. ამის საპირისპიროდ, უდავოა, რომ რაიონული და საოლქო სასამართლოები, რომლებმაც მიიღეს სხვადასხვა ბრძანება დაკავების შესახებ, წარმოადგენდნენ „სასამართლოს“ ორგანიზაციული თვალსაზრისით: ორივე ორგანიზაცია „დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისაგან“ (იხ. ზემოხსენებული *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 41, პუნქტი 77).

57. თუმცა ასეთი ორგანოს ჩარევა დააკმაყოფილებს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს მხოლოდ იმ პირობით, თუ „სამართალწარმოებას ექნება სასამართლო ხასიათი და შესაბამის პირს უზრუნველყოფს თავისუფლების აღკვეთის სახისათვის შესაფერისი გარანტიებით“; „რათა გადამწყვეტს, უზრუნველყოფს თუ არა პროცედურა ადეკვატურ გარანტიებს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ გარემოებების კონკრეტული ხასიათი, რომლებშიც ხორციელდება ხსენებული პროცედურა“ (იხ. ბოლოს ხსენებული განაჩენი, გვ. 41 და 42, პუნქტები 76 *in fine* და 78).

როგორც მართებულად აღნიშნა მთავრობამ, „სულით ავადმყოფების პატიმრობა“ (მე-5 მუხლის მე-1 (ე) პუნქტი) წარმოადგენს სპეციალურ კატეგორიას.

58. კომისიის აზრით, ხსენებული კატეგორიისათვის სასამართლო პროცესის აბსოლუტური მინიმუმი არის შესაბამისი პირის უფლება, წარმოადგინოს თავისი საქმე და გაასაჩივროს სამედიცინო და სოციალური მტკიცებულებები, რომლებიც მხარს უჭერს მის დაკავებას (იხ. მოხსენების პუნქტი 1). დელეგატების მტკიცებით, ნიდერლანდების კანონმდებლობა ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს (მუხლი 5-4), აძლევს რა დისკრეციას ამ საკითხებში მოსამართლეს.

არსებითად, განმცხადებელი მხარს უჭერს კომისიის მსჯელობას. იგი აცხადებს, რომ სულით ავადმყოფების განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის კონტექსტში წაკითხული უნდა იქნეს მათი უფლება, მიიღონ სამართლებრივი დახმარება.

59. მთავრობის მტკიცებით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ ავალდებულებს სასამართლოს, პირადად მოუსმინოს ინდივიდუალურ პირს, რომლის სულიერი მდგომარეობა დადგენილია ობიექტური სამედიცინო რეკომენდაციით, რომლის მიხედვითაც მას არ შეუძლია სასამართლო პროცესზე რაიმე მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთება. მისივე აზრით, ნიდერლანდების სასამართლოებისთვის წლების განმავლობაში წარდგენილი ობიექტური სამედიცინო მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ამგვარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბ-ნი ვინტერვერპის საქმეში.

მთავრობის განცხადების თანახმად, სულიერად დაავადებული პირების შესახებ კანონით გათვალისწინებული სისტემა უზრუნველყოფს ადეკვატურ გარანტიებს. გადასინჯვას ახორციელებს დამოუკიდებელი სასამართლო, რომელსაც აქვს სრული დისკრეციული უფლება, არსებითად განიხილოს თითოეული ინდივიდუალური საქმე. უფრო მეტიც, გადასინჯვის პროცესი განგრძობითია: სულ მცირე წელიწადში ერთხელ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად აუცილებელია დაკავების ვადის გაგრძელება. ზედამხედველობის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროკურორი, რომელსაც აქვს წესდებით განსაზღვრული ვალდებულება, უზრუნველყოს, რომ არავინ იქნეს უკანონოდ დაკავებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. და ბოლოს, სხვადასხვა ეტაპზე მოთხოვნისამებრ წარდგენილი სამედიცინო დეკლარაციები და მოხსენებები ექვედებარება სპეციალური წესებს, რათა პაციენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს გარანტიები.

60. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას.

მართალია, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული სამართალწარმოება არ მოითხოვს, ყოველთვის დაცული იქნეს იგივე გარანტიები, რომლებსაც მოითხოვს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სამოქალაქო ან სისხლის-სამართლებრივი სამართალწარმოებისას (იხ. ზემოხსენებული *De Wilde*,

Ooms and Versyp-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 42, პუნქტი 78 *in fine*). მიუხედავად ამისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ შესაბამის პირს ხელი მიუწვდებოდადეს სასამართლოზე და ჰქონდეს შესაძლებლობა, მოსმენილი იქნეს პირადად ან, საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით, რის შეუსრულებლობაც მას ვერ უზრუნველყოფს „პროცედურის ფუნდამენტური გარანტიებით, რომლებიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის დროს“ (იხ. ბოლოს ხსენებული განაჩენი, გვ. 41, პუნქტი 76). სულიერმა ავადმყოფობამ შეიძლება განაპირობოს აღნიშნული უფლების განხორციელების საშუალების შეზღუდვა ან შეცვლა (მე-6 მუხლის 1 პუნქტთან დაკავშირებით იხ. ზემოხსენებული *Golder*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 19, პუნქტი 39), მაგრამ ამას არ შეუძლია უფლების უშუალო არსის ხელყოფა. რა თქმა უნდა, სპეციალური პროცედურული გარანტიები აუცილებელია, რათა დაცული იქნეს იმ პირთა ინტერესები, რომლებსაც სულიერი მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ საკუთარი სახელით მოქმედება.

61. „სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ კანონის მე-17, 23-ე და 24-ე მუხლების (რომლებიც მაშინ იყო ძალაში) შესაბამისად, არც რაიონული სასამართლო და არც საოლქო სასამართლო არ იყო ვალდებული, მოესმინა პირისათვის, რომლის დაკავებაც იქნა მოთხოვნილი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 14, 17 და 81).

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, განმცხადებელს არასოდეს მიუღია მონაწილეობა უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით სამართალწარმოებაში, რომელზეც მიღებული იქნა ბრძანებები მისი დაკავების შესახებ: მისთვის არასოდეს შეუტყობინებიათ პროცესის ან ამ პროცესის შედეგების შესახებ: მისთვის არც სასამართლოს მოუსმენია და არც საქმის დაცვის შესაძლებლობა მისცემია.

ამ ფუნდამენტური თვალსაზრისით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები არ იქნა დაცული არც კანონმდებლობაში და არც პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულად ჰქონდა სასამართლოსთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაიონულ და საოლქო სასამართლოებში დაკავების შესახებ განცხადებების თაობაზე გადაწყვეტილებების მისაღებად განხორციელებულმა პროცედურამ ვერ უზრუნველყო ბ-ნი ვინტერვერპის „უფლება სასამართლო პროცესზე“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 57). „სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მრავალი გარანტიის მნიშვნელობის დაკნინების გარეშე, სასამართლო ადგენს, რომ ხსენებულმა პროცედურამ არ დააკმაყოფილა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

ბ. გათავისუფლების თაობაზე განმცხადებლის თხოვნები

62. მთავრობამ მართებულად მიუთითა იმის საჭიროებაზე, რომ სულიერად დაავადებული პირების შესახებ კანონით დადგენილი მთლიანი სისტემა ფართოდ იქნეს გაგებული. ამდენად, უნდა გადაწყდეს, თუ რამდენად იქნა გამოსწორებული სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზები სამართალწარმოების პროცესში გათავისუფლების თაობაზე თხოვნების განხილვისას (კანონის 29-ე მუხლი; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 20).

63. მართალია, კანონის 29-ე მუხლი პირს ნებას რთავს, მოითხოვოს თავისი დაკავების გადასინჯვა, არ არის აუცილებელი, რომ მისი თხოვნა გათავისუფლების თაობაზე განიხილოს სასამართლომ. თხოვნა უნდა გაკეთდეს საავადმყოფოს ხელმძღვანელობის სახელზე, რომელიც, უარყოფითი სამედიცინო დასკვნის შემთხვევაში, თხოვნას გადასცემს პროკურორს, ხოლო პროკურორი – საოლქო სასამართლოს, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც თხოვნის დაკმაყოფილება აშკარად შეუძლებელია, იგი არ არის ვალდებული, ასე მოიქცეს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პროკურორის გადაწყვეტილება მიჩნეული იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებად კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის. ამგვარად, შეზღუდვები გათავისუფლების შესახებ განცხადებებს შორის ინტერვალებზე შეიძლება, გარემოებების მიხედვით, წარმოადგენდეს კანონიერ შეზღუდვებს სულით ავადმყოფებისათვის, ხელი მიუწვდებოდეთ სასამართლოზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 60). თუმცა ყოველთვის, როდესაც პროკურორი უარს ამბობს, თხოვნა გადასცეს საოლქო სასამართლოს იმ საფუძველზე, რომ იგი აშკარად დაუსაბუთებელია, ის არა უბრალოდ ზღუდავს, არამედ ფაქტობრივად უარყოფს უფლებას სასამართლო პროცესზე, რომელიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში.

იმ შემთხვევებში, როდესაც საოლქო სასამართლოში შედის მოთხოვნა მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანაზე, სასამართლო სრულიად დამოუკიდებელია, განიხილოს, თუ რამდენად სასურველია დაკავებული პირის მოსმენა. ამ სახის უფლებამოსილება ვერ უზრუნველყოფს იმ პროცედურის ფუნდამენტურ გარანტიებს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 60 და 61).

64. საოლქო სასამართლომ მოუსმინა ბ-ნ ვინტერვერპს 1969 წლის თებერვალში, როდესაც განიხილა მისი პირველი თხოვნა გათავისუფლების თაობაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის 30 (1) პუნქტი). ამ თვალსაზრისით განმცხადებელს ჰქონდა უფლება სასამართლო პროცესზე მისი დაკავების კანონიერების განსახილველად

ამისაგან განსხვავებით, განმცხადებლის შემდგომი თხოვნები 1971

ნლის აპრილში, 1972 წლის ივლისსა და 1973 წლის თებერვალში არ გადაეცა საოლქო სასამართლოს, ვინაიდან პროკურორმა უარყო ისინი იმ საფუძველით, რომ მათ არ ჰქონდათ წარმატების რაიმე შესაძლებლობა (იხ. წინამდებარე განაჩენის 30-ე პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები). ბ-ნ ვინტერვერპს პროკურორმა ყველა ხსენებულ შემთხვევაში მოუსმინა და მისი გადანყვეტილებები შეიძლებოდა დასაბუთებულიყო მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მაგრამ მათი კვალიფიცირება არ შეიძლება „სასამართლოს“ მიერ მიღებულ გადანყვეტილებებზე მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით.

ბ. განმცხადებლის მიერ სამართლებრივი წარმომადგენლის მოთხოვნის უფლების გამოუყენებლობა

65. მთავრობა თავისი მიმოხილვის მე-11 (ბ) პუნქტში აცხადებს, რომ პირს, რომელსაც აქვს „არსებითი და დასაბუთებული საფუძველი, უარყოს თავისი დაკავების კანონიერება, შეუძლია, ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად, ჰყავდეს ადვოკატი საქმის სასამართლოში წარსადგენად. მთავრობის მიმოხილვის თანახმად, ბ-ნ ვინტერვერპს ბევრჯერ ჰქონდა შესაძლებლობა, განსაკუთრებით, საავადმყოფოდან არაერთგზის გათავისუფლების დროს, მიეღო იმ ადვოკატის კონსულტაცია, რომელსაც თვითონ აირჩევდა. რამდენადაც მას ამკარად არასოდეს მიუმართავს სასამართლოსათვის ადვოკატის მეშვეობით არც მისი დაკავების პერიოდული გადასინჯვისას და არც გათავისუფლების თაობაზე მის თხოვნებთან დაკავშირებით, მთავრობა მტკიცებით, არ შეიძლება იმის თქმა, რომ უარყოფილი იქნა მისი უფლება მე-5 მუხლი მე-4 პუნქტით უზრუნველყოფილ „სასამართლო პროცესზე“.

66. სასამართლო არ ეთანხმება ამგვარ ლოგიკურ ჯაჭვს. „დაკავების კანონიერების უარყოფის არსებითი და დასაბუთებული საფუძველების“ არსებობა არ შეიძლება იყოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცესის ხელმისაწვდომობის წინაპირობა, რამდენადაც ეს სწორედ ის საკითხია, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გადანყვეტონ. უფრო მეტიც, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ მოითხოვს, რომ პირები, რომლებიც საჭიროებენ ზრუნვას „სულით ავადმყოფობის“ გამო, თვითონ უნდა იღებდნენ ინიციატივას, მოიპოვონ სამართლებრივი წარმომადგენლობა სასამართლოში დაცვის მიზნით.

ამგვარად, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ განმცხადებელმა არ გამოიყენა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებული უფლება მხოლოდ იმის გამო, რომ მას არასოდეს მიუმართავს ადვოკატისათვის, რათა ამ უკანასკნელს წარმოედგინა იგი; ფაქტობრივად, მან სინამდვილეში მოითხოვა აღნიშნული უფლების განხორციელება ოთხ შემთხვევაში, როდესაც ცდილობდა დაკავების კანონიერების გასაჩივრებას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 64).

67. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა გადანყვეტილებები, რომლებიც მიუთითებდა ან ითვალისწინებდა ბ-ნი ვინტიერვერპის დაკავებას, მიღებული იქნა იმ ორგანოების მიერ, რომლებსაც არ გააჩნდათ „სასამართლოსათვის“ დამახასიათებელი ნიშნები, ან, ალტერნატიულად, რომლებმაც ვერ შეძლეს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო პროცესის გარანტიების უზრუნველყოფა; განმცხადებელს ხელი არ მიუწვდებოდა „სასამართლოზე“ და არც ამგვარი გარანტიებით უსარგებლია, როდესაც განხილული იქნა მისი თხოვნები გათავისუფლების თაობაზე, გარდა პირველი თხოვნისა, რომელიც უარყო საოლქო სასამართლომ 1969 წლის თებერვალში. ამგვარად, ბ-ნი ვინტიერვერპი იყო მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის მსხვერპლი.

68. ამ დასკვნის კუთხით, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ აუცილებელია, გადანყვიტოს ამ საქმეში წამოჭრილი საკითხი, კერძოდ, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „კანონიერების“ გადასინჯვა განხორციელებული პროცედურის მხოლოდ ფორმალურ მხარეს ეხება თუ, იმავედროულად, თავისუფლების აღკვეთის რეალურ გამართლებასაც. ამ კუთხით ინტერპრეტაცია, რომელსაც დაეთანხმნენ კომისია, ნიდერლანდების მთავრობა და განმცხადებელი (იხ. კომისიის მოხსენების პუნქტები 46, 62 და 88-91), გაპროტესტებული იქნა გაერთიანებული სამეფოს მიერ თავის 1979 წლის 9 იანვრის მიმოხილვაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 7). ნებისმიერ შემთხვევაში, ნიდერლანდების კანონმდებლობა არ ზღუდავს გადასინჯვის ფარგლებს.

III. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

69. განმცხადებელი მესამე საჩივარს თელის „დამატებითად, მაგრამ ამავე დროს დაკავშირებულად სხვა საჩივრებთან“. მისი მტკიცებით, რამდენადაც მისმა დაკავებამ ავტომატურად ჩამოართვა მას თავისი ქონებით სარგებლობის უფლება, ადგილი ჰქონდა „მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დადგენას“ მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული სასამართლო პროცესის გარანტიების გარეშე. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადანყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოე-

ბაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნენ დაშვებული მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა თუ სასამართლოს შეხედულებით ეს სრულიად აუცილებელია, ვინაიდან განსაკუთრებულ გარემოებებში საჯაროობა ზიანს მიყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს."

70. კომისია არ მიიჩნევს საჭიროდ, გამოხატოს რაიმე მოსაზრება ხსენებულ საჩივართან დაკავშირებით; იგი თვლის, რომ განსახილველი საკითხი ეხება „ფაქტებს, რომლებიც განსხვავდება“ მისთვის განსახილველად თავდაპირველად წარდგენილი ფაქტებისაგან და არ ყოფილა მის წინაშე რაიმე „დეტალური განხილვის“ საგანი (იხ. მოხსენების პუნქტი 116).

ამდენად, დადგენილი უნდა იქნეს, შეუძლია თუ არა, თავის მხრივ, სასამართლოს, დადგენილება გამოიტანოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

71. 1978 წლის იანვრის განაჩენში საქმეზე *Ireland v. the United Kingdom* (სერია ANo25, გვ. 63, პუნქტი 157) სასამართლომ შემდეგი სიტყვებით გამოხატა საკამათო საქმეებზე თავისი იურისდიქციის ფარგლები:

„კომისიის გადანყვეტილება, რომელიც განაცხადს დაშვებულად მიიჩნევს, განსაზღვრავს სასამართლოსთვის წარსადგენი საქმის საგანს; მხოლოდ ამ ფარგლებში შეუძლია სასამართლოს ... სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილი ფაქტების ან კანონმდებლობის ყველა ამ საკითხის ცნობა ...“

როდესაც 1975 წლის 30 დეკემბერს მიღებული იქნა ბ-ნი ვინტერვერპის განაცხადი, კომისიამ დააკონკრეტა, რომ მან განიხილა განაცხადი „კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებაში“ (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 33). როდესაც განმარტავდნენ, თუ რატომ არ ჩათვალა კომისიამ „აუცილებლად ან სასურველად“ მე-6 მუხლზე მითითება განაცხადის არსებითად განხილვის სტადიაზე, დელეგატებმა მოსმენის დროს განაცხადეს, რომ, კომისიის აზრით, შესაძლებელი იყო საკითხის განხილვა.

72. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ კომისიაში (იხ. ზემოხსენებული *De Wilde, Ooms and Versyp*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 30, პუნქტი 54) ან თვითონ სასამართლოში საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობას არ წამოუყენებია რაიმე წინასწარი პრეტენზია.

უფრო მეტიც, თუმცა აღნიშნული საჩივარი აშკარად არ იყო მოხსენიებული ბ-ნი ვინტერვერპის მიერ კომისიისთვის წარდგენილ განაცხად-

ში, იგი აშკარა კავშირში იყო თავდაპირველად ნამოყენებულ საჩივრებთან. მისი პრეტენზიები, რომლებიც გამოთქმული იყო არსებით განხილვაზე დაშვებადობის შესახებ სამართალწარმოების დროს, რომელზეც იგი არ იყო წარმოდგენილი ადვოკატით, მიმართული იყო მისი თავისუფლების აღკვეთის წინააღმდეგ: იგი თვლიდა, რომ დაკავებული იქნა თვითნებურად და საჩივარს გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ არ მისცეს შესაძლებლობა, წარმდგარიყო სასამართლო მოსმენაზე და არც იმ გადაწყვეტილებების შესახებ შეატყობინეს, რომლებითაც მისი დაკავების ვადა რამდენჯერმე იქნა გაგრძელებული (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 33). ახალი საკითხი მე-6 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ნამოჭრა ბ-ნმა ვან ლუნმა კომისიის წინაშე საქმის არსებითად განხილვის დროს, ეხებოდა სამართლებრივ შედეგს, რომელიც ავტომატურად გამომდინარეობს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განმცხადებლის იძულებითი მოთავსების ფაქტიდან („სულიერად დაავადებული პირების შესახებ“ კანონის 32-ე მუხლი; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 21). ამგვარად, ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საკითხებთან, რომლებიც წარმოადგენს ბ-ნი ვინტერვერპის თავდაპირველი საჩივრების საგანს და რომლებიც კომისიამ არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა (იხ. *mutatis mutandis*, *Delcourt*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1970 წლის 17 იანვარი, სერია A № 11, გვ. 20, პუნქტი 40).

ამგვარად, სასამართლოს აქვს იურისდქიცია, მიიღოს გადაწყვეტილება ხსენებულ საჩივართან დაკავშირებით.

73. მთავრობა კითხვის ქვეშ აყენებს, გამოიყენება თუ არა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი საქმის ფაქტებთან დაკავშირებით. მისი აზრით, ნამოჭრილი საკითხი ეხება სტატუსს და არა სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს, როგორც ასეთს.

სასამართლო არ იზიარებს ამ მოსაზრებას. ქმედუნარიანობა საკუთრების ინდივიდუალურ განკარგვასთან დაკავშირებით მოიცავს პირადი უფლების განხორციელებას და, ამდენად, ეხება „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით (იხ. *König*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1978 წლის 28 ივნისი, სერია A № 27, გვ. 32, პუნქტი 95). ბ-ნი ვინტერვერპისათვის აღნიშნული ქმედუნარიანობის ჩამორთმევა გაუთანაბრდა ამგვარი უფლებებისა და მოვალეობების „დადგენას“.

74. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შედეგად განმცხადებელმა დაკარგა საკუთრების განკარგვის ქმედუნარიანობა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 32).

აშკარაა, რომ თავდაპირველ „გადაუდებელ“ დაკავებასთან მიმართებაში, რის შესახებ გადაწყვეტილებაც მიიღო ბურგომისტრმა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 12 და 23), ადგილი ჰქონდა სასამართლო მოსმენას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

დაკავების შემდგომი პერიოდები რეგულარულ ინტერვალებში გრძელდებოდა ამერსფორტის რაიონული და უტრეხტისა და 's-Hertogenbosch-ის საოლქო სასამართლოების მიერ. თუმცა წინამდებარე განაჩენი უკვე ითვალისწინებდა პროცედურის მთელ რიგ ასპექტებს, რომლებიც გამოყენებული იქნა ამ შემთხვევებში, ძირითადად კი იმ ფაქტს, რომ არც კანონმდებლობაში და არც პრაქტიკაში ბ-ნ ვინტერვერპს არ მისცემია შესაძლებლობა, რომ მისთვის მოესმინათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 61). უფრო მეტიც, პროცედურა ეხებოდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ უზრუნველყოფილი იქნა „სამართლიანი განხილვა“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით სამოქალაქო ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით.

75. მთავრობის ზოგადი მტკიცებით, ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რამდენადაც სულიერად დაავადებული პირების შესახებ კანონის დებულებები იცავს იმ სულით ავადმყოფი დაკავებული პირის სამოქალაქო უფლებებს, რომელიც სწორედ რომ მისი სულიერი მდგომარეობის გამო საჭიროებს დაცვას, რადგან თვითონ არ შეუძლია თავისი საქმეების განკარგვა.

სასამართლო არ ეთანხმება მსჯელობის ამგვარ ჯაჭვს. რაც არ უნდა გამართლებული იყოს სულით ავადმყოფისათვის ქონების განკარგვის ქვედუნარიანობის ჩამორთმევა, მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული გარანტიები მაინც უნდა იქნეს დაცული. მართალია, როგორც ზემოთ იყო მითითებული მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებაში (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 60 და 63), სულიერი ავადმყოფობა შეიძლება წარმომადგენდეს „სასამართლო პროცესზე“ უფლების კანონიერი შეზღუდვის საფუძველს, მაგრამ მას არ შეუძლია გაამართლოს სრული არარსებობა ამ უფლებისა, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში (იხ. ზემოხსენებული *Goldner*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 18 და 19, პუნქტები 36, 38 და 39).

76. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

IV. 50-ე მუხლის გამოყენება

77. მოსმენაზე განმცხადებლის ადვოკატმა წამოაყენა წინადადება, რომ სამართლიანი დაკმაყოფილების სახით განხორციელებულიყო ზუთი საკითხის მომცველი სქემა, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფდა მისი კლიენტის შემდგომ მკურნალობას სოციალური ფსიქიატრიული სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ. ამასთან ერთად, მოთხოვნილი იყო პირობა, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა სრული პროცედურული გარანტიები დაკავების ვადის ყოველწლიური გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებებთან და გათავისუფლების შესახებ თხოვნებთან დაკავშირებით. არ ყოფილა წამოყენებული რაიმე საჩივარი მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით და არც რაიმე მოთხოვნა არამატერიალურ ზიანთან მიმართებაში მატერიალური ანაზღაურების სახით.

კომისიის დელეგატებმა, შემდგომი დეტალების დამატების გარეშე, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება, რომ ეს წინადადება წარმოადგენდა 50-ე მუხლის შესაბამისად კომპენსაციის მინიჭების სამართლიან სქემას.

მთავრობა თავის პოზიციაზე დარჩა.

78. აქედან გამომდინარე, თუმცა ეს საკითხი კიდევ ერთხელ იყო წამოჭრილი სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის შესაბამისად, კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი ჯერ არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად. ამდენად, სასამართლო ვალდებულია, საკითხი გადადოს და ამასთან დაკავშირებით დანიშნოს შემდგომი პროცედურა მოპასუხე სახელმწიფოსა და განმცხადებელს შორის შეთანხმების შესაძლებლობის (სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტები) გათვალისწინებით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;
3. ადგენს, რომ მას აქვს იურისდიქცია, გამოიტანოს დადგენილება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე საჩივართან დაკავშირებით;
4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
5. ადგენს, რომ საკითხი 50-ე მუხლის გამოყენების თაობაზე არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად;

შესაბამისად,

(ა) მთლიანად გადადებს აღნიშნულ საკითხს;

- (ბ) სთავაზობს კომისიას, წინამდებარე განაჩენის გამოტანიდან ორი თვის ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მიმოხილვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, აცნობოს სასამართლოს საკითხის ნებისმიერი მოგვარების თაობაზე, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს მთავრობასა და განმცხადებელს შორის;
- (გ) გადადებს შემდგომ პროცედურას.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტარსბურგში, 1977 წლის 24 ოქტომბერს. ინგლისური ტექსტი ავთენტიურია.

ხელმოწერა: ჰელგა პედერსენი,
პრეზიდენტი

ხელმოწერა: მარკ-ანდრე ეისენი
რეგისტრატორი